რკინის თეატრი

ოთარ ჭილაძე



ოთარ ჭილაძე

რკინის თეატრი

1

მიწას ურმებით ეზიდებოდნენ. ორმოებში ჭუჭყიანი, დაბუშტული წყალი იდგა. ორმოების გასწვრივ ფესვებშეფუთვნილი ნერგები ეყარა. ვიღაც დამთხვეული გერმანელი ქვიშაზე ბაღს აშენებდა. ნავსადგურში ორიოდე ძირგამომპალი კარჭაპი ეხახუნებოდა ერთმანეთს. მწვანე წყლის ზედაპირზე ანძის გამრუდებული ანარეკლი ტივტივებდა. თოლიები ჩხაოდნენ, ხარხარებდნენ. ნაპირზე მკვდარი ცხენი ეგდო. ცხენის გამოღადრული მუცლიდან ვირთხა გამოვარდებოდა უცებ, ჭურვივით გაფხრეწდა ჰაერს და პირდაპირ ზღვაში მოადენდა ტყაპანს. “მოუსვა თურქეთშიო” — ამბობდა მამა. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება მაინც მერძევე იყო. მერძევის ბიდონი თეთრსა და ორთქლიან ენას გამოუყოფდა ხოლმე. მერძევეს თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული. პირში ჭრელტარიანი ყალიონი ედო და განუწყვეტლივ აქსუტუნებდა. “ჩაგსვამ ბიდონში და მამაშენიც ვეღარ გიპოვისო” — ეუბნებოდა ღიმილით. გაცლილ ბიდონთან ერთად წუხანდელი ნასუფრალიც მიჰქონდა; აივანზე თბილსა და ნოტიო სურნელს ტოვებდა. ასე იწყებოდა დილა. საღამოს კი, ისევ ზედიზედ ჩერდებოდნენ მხიარული სტუმრებით სავსე ეტლები მწვანედ შეღებილ ჭიშკართან. იდგა ერთი გაუთავებელი ჟრიამული; ცხენების ფრუტუნი, ხვიხვინი; მეეტლეების გინება, ქალების კისკისი, კაცების ხორხოცი და, რასაკვირველია, რევოლვერების ბათქაბუთქიც (მაშინდელი დაცხრილული ჭერი, მიუხედავად მრავალგზის შეკეთებისა, წვიმას დღემდე ატარებდა და წვიმის დროს, ანუ თითქმის ყოველ მეორე დღეს, სასტუმრო ოთახის იატაკი ტაშტებითა და ჯამებით იყო მოფენილი). გრიალებდა პიანინო: ოქროსფერი შანდლებით გაწყობილი, საკურთხეველივით გაჩაღებული. სანთლებს ტკაცატკუცი გაუდიოდათ, ცხარე ცრემლით ტიროდნენ. კარადაში ჭურჭელი წკრიალებდა. მაგიდიდან გადმოვარდნილი ჩანგალი ობლად ეგდო ნოხზე, აცეკვებულ ფეხებთან, როგორც თოჯინის მოგლეჯილი მკლავი. ჯერ კიდევ გასარკვევი ჰქონდათ, მათი ორასწლიანი მონობა დამთავრებულიყო თუ

მათი მონობის მხოლოდ ორასი წელი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ზეიმი უფრო შეეფერებოდათ, ვიდრე გლოვა; სხვა თუ არაფერი, აქეთიქით წანწალს მაინც გადარჩებოდნენ და იმისი შიში აღარ მოკლავდათ — სახლებიანდუქნებიანწვიმებიანზღვიანად — ხვალ სად ამოყოფს თავს ჩვენი ქალაქიო. და ისევ გრიალებდა პიანინო: მოვა ჩემი საყვარელი, მე დავხვდები თავშიშველი, ლა, ლა, ლა, ლა... ათი თითი გამწარებული დაქროდა თეთრად აელვებულ კლავიშებზე, აღმა და დაღმა, აღმა და დაღმა, თითქოს ზღვაში მოტივტივე ფიცარზე შერჩენილი თაგვები იყვნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, ვერ შეეგნოთ, ამ მოკლე ფიცრის ერთი ბოლო ისევე რომ მთავრდებოდა მათთვის დამღუპველი ზღვით, როგორც მეორე. მოულოდნელად რევოლვერი დაიჭექებდა და ქალები წივილკივილით წამოიშლებოდნენ. ქალების შესაკრთობად, სუფრის აღსაგზნებად გასროლილი რევოლვერის ტყვიით (რა თქმა უნდა, შემთხვევით) დაჭრილ ოფიცერს მუხლებზე მასპინძლის ბავშვი ეჯდა; გვერდზე ჩავლილი სიკვდილის გათოშილი, ვნებიანი ამონასუნთქი ჯერ ისევ დასთამაშებდა მიტკალივით გადაფითრებულ სახეზე; ახლახან მოსმული ღვინით დანამული ტუჩები ოდნავ, ძლივსშესამჩნევად უთრთოდა და მედიდურად, ამაყად იღიმებოდა, თუმცა მის მუხლზე მოკალათებული ბავშვი გაოფლილი კეფით გრძნობდა, რა გამალებით უცემდა გული სუფრის გმირს, ჰაეროვანი კოცნით რომ აჯილდოვებდნენ ქალები, ხოლო კაცები ფეხზე ამდგრები ადღეგრძელებდნენ, თავად კი, ყველაზე ლამაზი მანდილოსნის — ალბათ ბავშვის დედის — ლეჩაქით გადახვეულ ხელს (ტყვიას ოდნავ გაეგლიჯა ცერისა და საჩვენებელი თითის შემაერთებელი აპკი) მუხლზე დასკუპებულ ბავშვს ცხვირწინ უტრიალებდა და ერთსა და იმავეს უმეორებდა განუწყვეტლივ: აი, მე როგორი ვავა მაქვს და აი, მე როგორი ვავა მაქვსო. ბავშვი ვერ ხვდებოდა, თავს აწონებდა თუ თავს აცოდებდა ეს უცხო ძია, და, ღამის გრძელ პერანგში ჩაკარგული, დაძაბულობისგან ფეხის თითებს კრუნჩხავდა, ჯერ კიდევ გაოგნებული, დათრგუნული, ძილში ჩასმენილი სროლის ხმით, ვერცხლის, ბროლის, ფაიფურის ჭურჭელზე ათასნაირად არეკ-

ლილი, აბრჭყვიალებული სინათლით, ნელსაცხებლისა და დამწვარი დენთის სუნით. მაგრამ ბავშვური ალღოთი გრძნობდა, თვითონაც უნდა დაემალა შიში, თვითონაც უნდა ეთვალთმაქცა, თუნდაც უცხო ძიას ხათრით, ვის მუხლზედაც დაესკუპებინათ დიდის ამბით — დაამახსოვრდებაო — და ვისაც სუფრის გმირად ნათლავდნენ თანამეინახეები, როცა ძიას გული ჩიტივით უფრთხიალებდა და ლაჯები გამოსველებული ჰქონდა. ისიც რომ დაეზოგა და საკუთარი შიშიც დაემალა, ძალაუნებურად, კოვზს იდებდა პირში, ვითომ ყალიონიაო, და ყაბალახით თავწაკრულ მერძევესავით აწკლაპუნებდა ტუჩებს. ყველანი იცინოდნენ. "უკვე მსახიობია, ეს ეშმაკის ფეხიო" — იძახდნენ დიასახლისის საამებლად:

მოვა ჩემი საყვარელი,

მე დავხვდები თავშიშველი,

ლა, ლა, ლა, ლა...

დრო კი გადიოდა. ახლა ღამღამობით ორთქლმავლების მოულოდნელი შეკივლება აღვიძებდა. მიუჩვეველი იყო და მძინარეც შეკრთებოდა ხოლმე. პირველი მატარებელი რომ შემოვიდა ბათუმში, მამამისმა სადგურში შეკრებილ ხალხს მიულოცა და თქვა: გათავდა, ფეხს ვეღარ მოიცვლის ჩვენი ქალაქიო. და მართლაც, იმ დღიდან მოყოლებული, როცა ბათუმმა ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის უკიდურეს სამხრეთში გადაინაცვლა, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ ჯერ თბილისს გადააბა იგი რკინიგზით, მერე კი, მიწისქვეშა მილებით ბაქოსაც დაუკავშირა, ერთბაშად იმდენი ხალხი მოაწყდა აქაურობას, სადმე წასვლა კი არა, ისიც საკვირველი იქნებოდა, თავის წამოწევა რომ მოეხერხებინა ამ მოხეტიალე ქალაქს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. სატვირთო და სამგზავრო სადგურები დგანდგარებდნენ. ორთქლმავლებს შხუილით გასდიოდა თეთრი ორთქლი. ნავსადგურში ახლა "სამუელ სამუელსონისა და ამხ." ფირმის ნავთსაზიდი, სამბაქნიანი გემები ღმუოდნენ — ერთი სული ჰქონდათ, როდის ამოივსებდნენ მუცლებს შავი, ცეცხლოვანი სითხით. ნავთის რეზერვუარები თვალ-

სა და ხელს შუა ამოდიოდნენ მიწიდან, როგორც ნაწვიმარზე სოკოები. ნავთი ნავთად და მალე მწვანე კონცხამდე გადაიჭიმა ჩაისა და ჩინური ჭინჭრის პლანტაციები. მიწას ჩალის ფასი ედო. აქაურობა დაპყრობილს უფრო ჰგავდა, ვიდრე გათავისუფლებულს. მკვიდრი გარბოდა, მოსული მკვიდრდებოდა. არავინ უშლიდა ხელს, არავინ უძალიანდებოდა, ციების მეტი, მაგრამ არც ციებას ეპუებოდნენ ბედის მაძიებელთა, საქმოსანთა და უპოვართა ურდოები. ვიღას არ იზიდავდა "აღთქმული ქვეყანა" — გადამდგარ გენერალსა თუ გიმნაზიის დირექტორს, ექიმსა თუ ნოტარიუსს, ბოგანოსა თუ ავაზაკს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. მოდიოდნენ, მოისწრაფოდნენ, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ღრმად რომ გაედგათ ფესვი ახალ მიწაზე. ნავსადგურში ყურთასმენა აღარ იყო: ხვნეშოდნენ, ღრჭიალებდნენ ტუმბოები; ჭრაჭუნობდა ფიცარნაგი; ცახცახებდა დაჭიმული ბაგირი; ლაპლაპებდნენ თუნუქის კასრები, ნავთის გუბეები, მტვირთავების შიშველი ზურგები. გულუბრყვილო დელფინები მალაყებს გადადიოდნენ აქაფებულ წყალში. უსაქმურობისგან გაბეზრებული მეზღვაური გემის მოაჯირზე გადმოდგებოდა და ზღვის უწყინარ ცხოველებს თოფით ხოცავდა. სისხლის ნაფლეთები, მედუზების ჯოგივით, ნელა, ტაატით მოიწევდა ქალაქისკენ. ძველებურად მხოლოდ მზე აცხუნებდა და თოლიები ჩხაოდნენ. ქალაქში კი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ყოველდღე მართავდა აღლუმებს. დოლს ბაგაბუგი გაუდიოდა. ფანჯრები ზრიალებდნენ. პოლკოვნიკი ვეზირიშვილი აცეკვებულ ცხენზე იჯდა, ცხენივით აქნევდა თავს აქეთიქით და ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებულ კოპწია ქოლგებს მჭახე ხმით დასძახოდა: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო. სასტუმროებში "აღთქმული ქვეყნის" დასაზვერად ჩამოსული უცხოელები ირეოდნენ: ცილინდრები, ბერეტები, ფესკები... "აღთქმული ქვეყანა" სამი ვეშაპის ზურგზე იდგა. ყველას პირზე ეკერა შესალოცი სიტყვებივით უცნაური და შთამბეჭდავი სახელები: როტშილდი, მენთეშევი, ნობელი. მაგრამ ნახევარ ქალაქში წლიდან წლამდე მაინც ასკილი ყვაოდა. ასე ამბობდა დედა,

რომელიც ახლა რომელიღაც ღატაკის ქოხში იჯდა და მომაკვდავ ბავშვს კრონშტანტელი დეკანოზის მოყვანას, უკვდავების წამალსა და სკოლაში უფასო სწავლას ჰპირდებოდა. გაძვალტყავებული ბავშვი გაოცებული, გაბედნიერებული შემოსცქეროდა აქოთებული ძონძებიდან. თავი ალბათ სიზმარში ეგონა, ანდა ცაში; ხოლო ეს ლამაზი, ქათქათა და სურნელოვანი ქალი — ანგელოსი. მაგრამ მეორე ქოხშიც ზუსტად ასეთივე ბავშვი ებრძოდა სიკვდილს და რამდენადაც არ უნდა გაჭრილიყო დედა, ყველას მაინც ვერ გასწვდებოდა. პირზე ვარდისფერი აბრეშუმის ცხვირსახოცი მიეფარებინა და სლუკუნებდა. გარეთ ეტლი ელოდებოდა. საღამოს თბილისიდან ჩამოსული მსახიობები უნდა მოსვლოდნენ სტუმრად და კიდევ ათასი რამე უნდა მოესწრო საღამომდე (დედას მხოლოდ დიასახლისობით როდი უყვარდა სტუმრებთან თავის გამოჩენა — უპირველეს ყოვლისა, ცოდნითა და განათლებით აცვიფრებდა სტუმრებს. მშვიდად, ღიმილით, ვითომ სხვათა შორის იტყოდა ხოლმე: ერისთავის ტასო ქართველი ოფელია კი არა, თავად საქართველოა, რომელიც იმიტომ იღუპება, იმის ნებასურვილს ანგარიშს რომ არ უწევენო; და როცა უკვე შეზარხოშებული, მაგრამ გულწრფელად მოხიბლული სტუმრები იტყოდნენ, ასეთი რამ არათუ პოლიცმეისტერის მეუღლისგან, ჩვენი განმანათლებლებისგანაც არ გაგვიგონიაო, სიხარულისა და სიამაყისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა; სტუმრების წასვლის მერეც დიდხანს ვერ მშვიდდებოდა და გულს უწყალებდა მეუღლეს: ხომ გაიგონე, რა თქვა ჩვენმა სახელოვანმა ხალხმაო). ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა. საბაჟო და პოლიცია ფეხზე იდგა, მაგრამ შავ ბაზარზე ჩიტის რძეს იშოვიდა კაცი. ვისაც ნავი ჰყავდა და ღამით შინიდან გამოსვლისა არ ეშინოდა, კონტრაბანდისტობას მისდევდა, როგორც ადრე თევზის ჭერასა და სიმინდის მოყვანას. “ასე თუ გაგრძელდა, მალე მთელი ქვეყანა შეიქნება დასაჭერი, ჩემი ჩათვლითო” — ამბობდა შეწუხებული პოლიცმეისტერი. მისი პოლიციელები აივანზე სცენას აწყობდნენ საოჯახო წარმოდგენისთვის; როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, კარადიდან არაყს იპარავდნენ და პირდაპირ ბოთ-

ლით იყუდებდნენ; თან თვალს უპაჭუნებდნენ მასპინძლის ბავშვს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ნატო გაბუნიას პირიდან იავარდი სცვიოდა. ახალგაზრდები კრეფდნენ და გულზე იბნევდნენ. ყაზბეგი ხანჯლებით ცეკვავდა. მეორე დღეს ნურიის ბაზარში ბუკინისტის მაღაზიასთან რიგი იდგა: ყველა ყაზბეგის წიგნს დაეძებდა. ყაზბეგი სასტუმროში გვიანობამდე იჯდა მაგიდასთან და ახალ მოთხრობას წერდა. გვერდით "დროების" ის ნომერი ედო, რომელშიაც მთელი მისი შემოქმედება მიწასთან იყო გასწორებული. ჩახედავდა და გაუშეშდებოდა კალამი. ქუჩიდან მთვრალი მეზღვაურების ღრიანცელი ისმოდა. ხანდახან ქალი გადაიკისკისებდა გულიანად. დილით ყელგამოჭრილ კაცს პოულობდა პოლიცია ქუჩაში. სისხლის გუბეს მიწას წააყრიდნენ ხოლმე სასწრაფოდ. ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა, როგორც შამპანური ტანწერწეტა ჭიქებში. მარინეს პროსპექტზე ეტლი უცებ სვლას შეანელებდა, მერე სულ გაჩერდებოდა და ბეჭდიანი თითი ფოსტის წინ ატუზულ მეძავს მიიხმობდა.

ეს იყო და ეს, რისი დამახსოვრებაც ოდესაში გამგზავრებამდე მოასწრო. ხოლო შვიდი წლის მერე უკანვე რომ ჩამობრუნდა, უკვე განსწავლული და დაოჯახებული, კიდევ იმდენი რამე შეცვლილიყო აქ, არათუ მისი ცოლი, რომელიც საერთოდ პირველად ჩამოვიდა ბათუმში, თვითონაც თავიდან უნდა შესჩვეოდა ყველაფერს. დამთხვეული გერმანელის გაშენებული ბაღი მწვანე ღრუბელივით ჩაწოლილიყო ზღვასა და ქალაქს შორის. "აქ, ადრე, ქვიშისა და ნაგვის მეტი, არაფერი იყოო" — უხსნიდა ცოლს, არანაკლებ გაოცებული. ფოთლების ზღვაზე გედებივით გაფუყულიყვნენ მაგნოლიის თეთრი ყვავილები. ჭრიალებდნენ კანდამსკდარი ფიჭვები. ნოტიო, მსუყე სიმწვანიდან ჩიტის სტვენა ანდა რომელიღაც ტროპიკული ყვავილის მძაფრი სურნელი გამოსხლტებოდა მოულოდნელად და უჩვეულოდ აგიფორიაქებდა სულს. ფართო, ლამის ქუჩის სიგანე ბილიკებზე ხალხი დასეირნობდა. ბავშვები დარბოდნენ. სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ფეხქვეშ ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სახლს უნდა შესჩვეოდა, მამისეულ

სახლს, უსაშველოდ გამოცარიელებულს, გამოყრუებულს, სადაც ყველაზე ცხადად გრძნობდა ჟამთასვლის დაუნდობლობასაც და ადამიანურ ვნებათა ამაოებასაც. აღარ იყვნენ, სამუდამოდ მიეტოვებინათ აქაურობა ქველმოქმედ დიასახლისსა და კაცთმოყვარე პოლიცმეისტერს, და ახლა, დაბნეულნი თუ დარცხვენილნი, იმზირებოდნენ სურათის ჩარჩოდან, როგორც არარსებული ქვეყნის სარკმლიდან. ერთი — ნებისმიერი, შარვალგამოხეული და მშიერი მსახიობის ჩამოსვლას გაცილებით დიდ მოვლენად თვლიდა ქალაქისთვის, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ოჯახისთვის მაინც, ვიდრე — მეფისნაცვლის, ანდა თავად — მეფისა; თვეობით აცხოვრებდა ხოლმე თავისთან საგასტროლოდ ჩამოსულ დასს და გულისხმიერებით, თანაგრძნობით, ქებადიდებითა და ქათინაურებითაც აპურებდა, რაც პურზე ნაკლებად როდი სჭირდებოდა თავქარიანთა, თავისუფალთა, "სინათლისა და სიკეთის თესლის გამავრცელებელთა" მოდგმას, რომელიც, არათუ სცენაზე, სინამდვილეშიც არაერთხელ ეკიდებოდა თოკზე, არაერთხელ ეგებოდა ხანჯალზე, არაერთხელ სვამდა სამსალას და ათასნაირი უბედურების გადატანა უხდებოდა, ხანდახან მაინც, ოფიციანტისთვის წინასწარ რომ არ ეკითხა სადილის ფასი. ხოლო მეორე — პოლიცმეისტერი — იმდენად კაცთმოყვარე გახლდათ, უფრო სწორად, იმდენად გულუბრყვილო, რაც არ უნდა საშიში ბოროტმოქმედი დაეჭირა, ღამე ციხეში არ გააჩერებდა, ეცოდებოდა, შინ უშვებდა, ცოლშვილთან, თუკი პირობას მისცემდა, უკანვე რომ მობრუნდებოდა დილით. ვინ არ მისცემდა პირობას? მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, იყვნენ ისეთებიც, სიტყვას რომ ასრულებდნენ, თითქოს მხოლოდ იმიტომ, კაცთმოყვარე თუ გულუბრყვილო პოლიცმეისტერს რწმენა არ შერყეოდა და თავისი "მეთოდის" გასამართლებლად, მსმენელთა გადმოსაბირებლადაც, ეთქვა: ოთხმოცდაცხრამეტი მამაძაღლისთვის რატომ უნდა დაიჩაგროს თუნდაც ერთი პატიოსანიო. მაგრამ წარმოდგენა დამთავრებულიყო, მაყურებელი დაშლილიყო და იმათაც აღარაფერი ესაქმებოდათ აქ; ჩამოებანათ გრიმი, მოეხსნათ პარიკები და ახლა არარსებული ქვეყნის სარკმლი-

დან უთვალთვალებდნენ, რა ნაყოფს გამოიღებდა მათი ნამოღვაწარი.

სახლი იგივე იყო: ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, ერთიანად ჩაფლული ხასხასა სიმწვანეში (გერმანელი მებაღის ნერგებზე ნაკლებად არც პოლიცმეისტერის ხელით ჩაყრილ ლიმონსა და მანდარინს გაეხარა). ქვითკირის ღობეზე ლეღვის ხეს ჩამოეწყო ხორკლიანი იდაყვები და, აქაურობის ყრუმუნჯი მცველივით, მოწყენილი იყურებოდა ქუჩაში. ჭიშკარიც ისევ მწვანედ შეეღებათ, ოღონდ, გაღებისას, ახლა ქვანასროლი ძაღლივით წკავწკავებდა და სახლის ახალმა ბინადრებმა იქამდე იცოდნენ მოსულის ვინაობა — თუ მთლად უცხო არ იყო ის — ვიდრე ხრეშმოყრილ ბილიკს გამოივლიდა, ოდნავ თავდახრილი, ბილიკზე გადმოშვერილ ტოტებს რომ არ წამოსდებოდა, და ორსაფეხურიანი კიბით აივანზე ამოვიდოდა. თუმცა ბევრი აღარავინ მოდიოდა აქ. ამ ჭერქვეშ შემთხვევით დაჭრილი ოფიცერი, საბა ლაფაჩი თუ შემოიხედავდა ხანდახან, ზედმეტი წესიერების, პატიოსნებისა და კეთილშობილების გამო, თავს ვალდებულად თვლიდა, არ მოეშალა ძველი ნაცნობობა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, მოურჩენელ წუხილს რომ მოჰყავდა იგი; რა გასაკვირია, თავმოყვარე ოფიცერს აქამდე ხსომებოდა თავისი უნებლიე შერცხვენა და აქამდე ჰქონოდა შიში თავისი უნებლიე შერცხვენის ასევე უნებლიე მოწმისა. თუმცა ეს მართლაც არასასიამოვნო შემთხვევა არც იმას შეუხსენებია დიმიტრისთვის და არც დიმიტრის — იმისთვის. სხვებს კი თავი ისე ეჭირათ (ალბათ ახალი პოლიცმეისტერის ხათრით, ანდა შიშით), თითქოს ჭიქაც არ აეწიათ ჟურულების ოჯახში, თითქოს არასოდეს აებზიკათ გაქონილი ცერი დიასახლისის შესაქებად და არასოდეს ეთქვათ: თქვენს ნახელავს მაინც სხვა გემო აქვსო. მაგრამ სახლის ახალ ბინადრებს ნაკლებად ადარდებდათ ეს ამბავი. დიმიტრის, ოჯახის ახალ უფროსს, გულის სიღრმეში არასოდეს მოსწონდა თავისი მშობლების ხმაურიანი ცხოვრება; გაუთავებელი, შემზარავი სიზმარივით ახსენდებოდა თავისი ბავშვობა და შეურყეველ სიმშვიდეზე ოცნებობდა მხოლოდ, რომლისთვისაც თანაბრად

მიუღებელია, როგორც შემთხვევით, სიცუღლუტით დაჭრილი, ლამაზი მანდილოსნის ლეჩაქით ხელგადახვეული ოფიცერი, ისევე სიბრიყვისა და სისასტიკის კეტით თავგაჩეხილი მეცნიერი. გული უკვე აცრუებული ჰქონდა ყოველდღიურ და ამაო ფუსფუსზე. სხვას რომ თავი გავანებოთ, მშობლების მაგალითით იცოდა, იქამდე რომ სჭირდებოდი მეორე კაცს, ვიდრე ფეხზე იდექი და სუფრის გაშლა შეგეძლო; და იქამდე რომ გივიწყებდა მეორე კაცი, ვიდრე შენი სამარე პირს შეიკრავდა, თავად კი სასაფლაოდან გამოვიდოდა და იმაზე ფიქრს შეუდგებოდა, დღეს ვისთან გავატარო დროო. სამსახურშიც ერთბაშად გაუნელეს უნივერსიტეტიდან გამოყოლილი ცეცხლი და სამართლიანობის, გაგების, ნდობის, ლმობიერებისა და მიმტევებლობის რაინდი ჩვეულებრივ ტაკიმასხარად აქციეს. მოისხამდა ვექილის მანტიას და ჩაებმებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, პროკურორისა და მოსამართლის წინააღმდეგ, კიდევ ერთი გზასამცდარი, ჩაწიხლული, განწირული სულის დასაცავად, გაკვირვებული და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულიც რომ შემოსცქეროდა მის გაწამაწიას, ორ ჟანდარმს შორის მომწყვდეული, და, შეიძლება, იმას უფრო ებრალებოდა თავისი ქომაგი, ვიდრე ქომაგს იგი, რადგან ქომაგს ჯერ კიდევ სჯეროდა, იმას კი — აღარ; იმას იქამდე დაეკარგა რწმენა, ვიდრე დააშავებდა, ვიდრე საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდებოდა; ხოლო მისი ქომაგი უნივერსიტეტში გაზეპირებულსა და ცხოვრებაში ძალადაკარგულ ფრაზებს სეტყვასავით აყრიდა მართლმსაჯულების ტაძრის ყრუსა და შეუვალ კედლებს, და თუმცა იმანაც წინასწარ იცოდა, განაჩენი უკვე გამოტანილი რომ იყო, მაინც სჯეროდა, სასწაულს მოახდენდა, ქვას შესძრავდა, ყინულს გაალხობდა და თუ ვერ დაარღვევდა წინასწარ დადგენილს, ოდნავ მაინც შეცვლიდა, ოდნავ მაინც დაულბობდა, დაურბილებდა რკინის წახნაგებს; მაგრამ რამდენიც არ უნდა ეფაფხურა, მეორე მხარე, მეორე ნაპირი, მეორე მოსაზრება, მეორე ვარაუდი კი არ იყო სასამართლო პროცესისა, არამედ უუფლებო, მაგრამ აუცილებელი მონაწილე სასამართლო სპექტაკლისა, რომელიც უიმისოდ ვერ დაიდგმებოდა, მაგრამ მისი მონაწილეობი-

თაც აუცილებლად ისე დამთავრდებოდა, როგორც სპექტაკლის დამდგმელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამიტომაც, შინ ყოფნა ერჩია ყველაფერს. შინ იმაზე ოცნებობდა, რასაც გარეთ ვერ აკეთებდა. ცოლიც შესაფერი შეახვედრა ბედმა: თუ აუცილებელი არ იყო, საერთოდ არ გამოდიოდა შინიდან. ისე დაეშინებინა ცხოვრებას, ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვედროდა თვალში. ბებიის ნაქონი გიშრის ჯვარი და აბრეშუმის ზონარი სათუთად ჰქონდა შენახული და გულუბრყვილოდ სჯეროდა იმათი ჯადოსნური ძალისა. მარჯვენა ხელის იდაყვით რეზინის სათბურს მიიჭერდა ფერდზე და, ქარგავდა თუ ქსოვდა, სულ იმის მოლოდინი ჰქონდა, როდის დაიწკავწკავებდა ჭიშკარი, ქვანასროლი ძაღლივით, თავადაც ერთგული ძაღლივით, კართან რომ მიჰგებებოდა მეუღლეს, პატრონს, მეგობარს... უფრო მეტიც — ერთადერთ ადამიანს, რომელიც ნამდვილად თავის ახლობლად შეეძლო ჩაეთვალა და რომლისაც არ ეშინოდა. სხვა აღარავინ შერჩენოდა. დედა საერთოდ არ ახსოვდა, მუცელს გადაჰყოლოდა. ისიც ძლივს გადაურჩენიათ. მერე ბებია და პაპა ზრდიდნენ კახეთში, ხოლო ისინიც რომ დაიხოცნენ, მამამ ოდესაში წაიყვანა. მამა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი იყო; მელიქიშვილი და პეტრიაშვილი მეცნიერების ამომავალ ვარსკვლავს ეძახდნენ თურმე, მაგრამ ერთხელ ვიღაცას გამოექომაგა ქუჩაში და ხულიგნებმა რკინის კეტით გაუხეთქეს თავი. მარტო დარჩენილმა დარიამ დიდხანს იავადმყოფა. ოდესის ქართველთა კოლონია პატრონობდა სამადლოდ. ახლაც ძლივს გადაარჩინეს, თუმცა თვითონ აღარ იცოდა — რიღასთვის, რა უბედურება უნდა შეხვედროდა კიდევ. დიმიტრიმ რომ ხელი სთხოვა, ესეც ჩვეულებრივ მოწყალებად ჩათვალა და მაშინვე მიზნად დაისახა, ქმრისთვის შეეწირა სიცოცხლე, ქმრის სამსახურით გადაეხადა კეთილი ხალხის ამაგი, რატომღაც, ასე თავგამოდებულები რომ ცდილობდნენ სიკვდილისთვის არ დაენებებინათ იგი, როცა თავად შვების მეტს ვერაფერს ხედავდა სიკვდილში. და აი, იმის მერე, რაც დიმიტრის ცოლი გახდა, რამე თუ ეხალისებოდა, ქმრის სამსახური ეხალისებოდა მხოლოდ, და რამე თუ სიამოვნებდა

და ახარებდა, ისევ და ისევ, ქმრის სამსახური. მაგრამ ქალური ალღოთი გრძნობდა, მაინცდამაინც კარგ ამხანაგობას ვერ უწევდა ქმარს, ევალებოდა და თვითონაც გულით სურდა, მამობაც განეცდევინებინა მეუღლისთვის, მაგრამ მთელი მისი არსება ცხოვრების სუსხიან ქარტეხილებს ისე დაეზრო და დაედამბლავებინა, როგორც არ უნდა ელოცა და როგორც არ უნდა ენატრა, ვერაფრით ვერ ბედავდა ახალი კვირტის გამოტანას. ქმარი ზოგავდა, არ საყვედურობდა, მაგრამ თავად, ქმრის უჩუმრა, ისევე მწარედ და მტკივნეულად განიცდიდა საკუთარ სიბერწეს, როგორც დედის, ბებიის, პაპისა და მამის სიკვდილს.

ცხოვრება კი გრძელდებოდა. "მაქვს პატივი, მაქვს პატივიო" — ისევ დახვიხვინებდა აცეკვებული ცხენიდან პოლკოვნიკი ვეზირიშვილი კოპწია ფერადი ქოლგების ქვეშ შეყუჟულ ლამაზმანებს. სამაგიეროდ, ბარცხანაში, წვიმებისგან დაობებულ ქოხში, აგერ უკვე მთელი წელი ფეხმოუცვლელად იჯდა მუშა სოღორაშვილი და ჭრაქის შუქით თვალამოღამებული, იდაყვებით, მუხლებით, მთელი წლის გაუკრეჭავი თმაწვერით მაგიდას შეზრდილი, "კომუნისტურ მანიფესტს" თარგმნიდა. ასე რომ, ჯარის აღლუმები ერთადერთ გართობად აღარ ითვლებოდა ბათუმისთვის: შეიყრებოდნენ ლურჯხალათიანი მუშები, წაიმძღვარებდნენ წითელ დროშას და მარსელიოზას სიმღერით გამოვიდოდნენ ქუჩაში. მუშები და მათ საყურებლად გამოფენილი ხალხი ერთმანეთს ელაზღანდარებოდა, ეკამათებოდა, მაგრამ იმპერიას სრულებითაც არ ეცალა საკამათოდ, გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას, გრძნობდა, დრო არ ეყოფოდა თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად და ერთბაშად, ძალითა და ძალადობით ცდილობდა იმის გაკეთებას, რაც გეგმის მიხედვით, დროთა განმავლობაში, თანდათანობით და ლამის თავისთავად უნდა მომხდარიყო. მეფისნაცვალთა შემპარავი, თაფლწასმული ვერაგობა თვითმმართველთა აშკარა და თავაშვებულმა სისასტიკემ შეცვალა. ციხე გმინავდა. ციხის ეზოში დროგმა დაპატიმრებული სტამბა შემოარახრახა. ქვეყანა ციხედ იყო ქცეული. აყრილი სოფლების ნაც-

ვლად სამხედრო პლაცდარმები შენდებოდა. გაუქმებულ ეკლესიებსა და მონასტრებში ჯარი იდგა. ჯარისკაცები მთვრალ მონაზონს აცეკვებდნენ. ახლა გიჟის მეტი აღარავინ იოცნებებდა ერთობასა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და უმაღლესი სასწავლებლის გახსნაზე. ცენზორებს კალამი მომარჯვებული ჰქონდათ, სიტყვა "საქართველო" რომ არ გაჰპარვოდათ. რამდენჯერმე გადაშლილ სიტყვას ზემოდან "ჩვენს მხარეს" ანდა "ჩვენს კუთხეს" დააწერდნენ ხოლმე ლამაზი, გაწაფული ხელით. მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. საქართველო მკვდარი კი არ ყოფილა, როგორც ეგონათ, როგორც უნდოდათ, თურმე მხოლოდ ეძინა; ოღონდ ღრმად, საღათას ძილით, და რაკი ასე უხეშად გამოაღვიძეს, ისიც იძულებული შეიქნა, განძრეულიყო, გაეხედგამოეხედა, საბოლოოდ გამოფხიზლებულიყო, გამოებერტყა თავიდან მაცდურად სასიამოვნო ბანგის ნალექი. ნურიის ბაზარზე, ბუკინისტის მაღაზიაში ახლა საღამოობით ნემსი ვერ ჩავარდებოდა. კამათობდნენ ყველაფერზე, რაზეც კი კამათი შეიძლებოდა, რაზეც კი შეიძლებოდა ორი აზრი არსებულიყო. მართალია, ჯერჯერობით ძირითადად ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთმანეთის გამტყუნებასა და გაბათილებას ცდილობდნენ, მაგრამ საქმე მაინც კეთდებოდა, იბადებოდა ახალი სიტყვა, მრწამსი, ვარაუდი... უფრო სწორად, დიდი ხნის წინათ დაბადებული და სულში ღრმად ჩამარხული, უჰაეროდ ვეღარ ძლებდა და სამზეოზე გამოდიოდა, ხელახლა იბადებოდა, ახლა უკვე საფუძვლიანად. ყველა ერთნაირი მოუთმენლობით, ერთნაირი იმედით ელოდებოდა გაზეთის ახალ ნომერს, როგორც მომაკვდავი — ჟანგბადის ბალიშს. ზოგს "ივერია" ეჭირა, ზოგს — "კვალი" და ოთხად გაკეცილ გაზეთს ერთმანეთს უქნევდნენ კამათისას, ვითომ არ გეგონოს ჰაერში ვლაპარაკობდე, უსაფუძვლოდო. ეს ის დროა, როცა კიდევ ერთი საუკუნე, ღრმად მოხუცებული, სიბერისგან გამოჩურჩუტებული, ცოდვებისგან ზეზეურად გამომპალი, სიძველისა და უძლურობის სუნდაკრული — ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. ხოლო მეორე, მომდევნო, ჯერ ისევ აკვანში იწვა და იქიდან იმუქრებოდა, იქიდან

უღერებდა ქვეყანას დალოღნილსა და დადორბლილ მჯიღებს. ხალხიც ორად იყო გაჭრილი: ერთი ხელით თუ მომაკვდავ საუკუნეს წამალს ასხამდა უკბილო პირში, მეორეთი მომავალს ურწევდა აკვანს. ძველზე გული სწყდებოდა, რადგან შესჩვეოდა, ახლისა კი ეშინოდა, რადგან ახალი ბევრ რამეს გადააჩვევდა, ბევრ რამეზე ააღებინებდა ხელს, რის სანაცვლოდაც, ვინ იცის, რას შესთავაზებდა. კი არ ცხოვრობდნენ, დრო გაჰყავდათ, რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ რომ გამოსულიყვნენ გაურკვევლობის ბურუსიდან. საამისოდ კი, მართლაც რომ ზედგამოჭრილია გაუთავებელი სტუმრიანობა, აულაგებელი სუფრა, უზომო ჭამასმა, თავშესაქცევი, სულელური თამაშობანი — ლოტო ანდა "ყვავილნარი" — და, რაც მთავარია, უაზრო, გაუთავებელი სჯაბაასი ყოველდღიურ წვრილმან სისაძაგლეებზე, თითქოს ორიოდე მეეტლის სითავხედე, ლაქიის სიხარბე და ვაჭრუკანას სიწუწკე ანგრევდა ქვეყანას, თითქოს ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვირი ხეზე გავიდოდა, კატა ღვინოს მოიწველიდა, ძაღლი კი ბატკნებს დაყრიდა. ელოდებოდნენ, არკი იცოდნენ — რას; საერთოდ არ იცოდნენ, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და მაინც ელოდებოდნენ, უიმედოდ, ურწმენოდ, უმოქმედოდ, რადგან რაც თავი ახსოვდათ, სულ ასე ელოდებოდნენ რაღაცას, რაღაცას, რისი სახე და სახელი უფრო ადრე დავიწყებოდათ, ვიდრე მოლოდინის უაზრობას შეიგრძნობდნენ; უაზრო მოლოდინი უაზრო ცხოვრებას აიძულებდათ, ათვალთმაქცებდათ; ერთი დღე რომ არ გენახა ნათესავი — მომიძულეო — გეტყოდა; ერთხელ მაინც რომ არ დაგეპატიჟებინა შინ ჩვეულებრივი ნაცნობი, სამკვდროსასიცოცხლოდ გადაგეკიდებოდა. ასეთი იყო ცხოვრების წესი, ყაიდა... და არა იმიტომ, ერთმანეთზე რომ ამოსდიოდათ მზე და მთვარე, არამედ — მარტო დარჩენისა რომ ეშინოდათ. სიმარტოვე ფიქრს აჩენდა; ფიქრში კი, გაწბილებული იმედების, შეუსრულებელი დაპირებების, შეცდომების, შერცხვენების ჯარი აიშლებოდა ხოლმე და სულის გამაწვრილებლად შრიალებდა, შრიალებდა, შრიალებდა, როგორც უნაყოფო ქვიშაზე გაშენებული ბაღი. წინაპრებს გაესწროთ და სამუდამოდ დამკვიდრე-

ბულიყვნენ, სამუდამოდ დამშვიდებულიყვნენ საოჯახო ალბომებსა თუ სურათების შავ ჩარჩოებში. მაგრამ დრო არ ცხრებოდა. საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალი დრო, ლტოლვილივით, სულ ბარგზე იჯდა. ნავსადგურში ტევა არ იყო. გაჭვარტლულ ლოცმანებს ზედიზედ შემოჰყავდათ უზარმაზარი, მიწიერ ცხოვრებას დანატრებული ხომალდები, როგორც მაჭანკლებს — სასიძოები, და, ქალაქის საშოში განუსჯელად იღვრებოდა ყველა ჯურის თესლი. ყავახანებში ფესკიანი თურქები, ტყავის გეტრებიანი გერმანელები თუ ჭრელ ქვედაკაბებში გამოწყობილი შოტლანდიელები ირეოდნენ. ქაჯი ვერ გაარკვევდა, ვინ ჩხიკვი იყო, ვინ ყვავი, ვინ ძმისწული, ვინ მამიდა. მოკლედ, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. მაგრამ ერთსართულიანი, კრამიტით დახურული სახლი ჯერჯერობით გვერდზე იყო გამდგარი, ხასხასა სიმწვანეში გატრუნულიყო თავისთვის. სამარისებური სიწყნარე გამეფებულიყო ირგვლივ და ვერც კი წარმოიდგენდით, ოდესღაც სამხიარულოდ თუ იკრიბებოდა აქ ხალხი, საოჯახო წარმოდგენები თუ იმართებოდა, ჩუმჩუმად თუ ხუხავდნენ ნაქურდალ არაყს სცენის გასაწყობად მოყვანილი პოლიციელები. გამქრალიყო "ნაშთი ძველი დიდებისა" და ამ სახლის ახალი ბინადრების სიცოცხლეც უკვალოდ გაქრებოდა ალბათ, თუკი რამე არ შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში. სიცოცხლის თითქმის ნახევარი გასულიყო უკვე, ხოლო დარჩენილი, მეორე ნახევარი, მარტო იმისთვისღა თუ ივარგებდა, მარადიულსა და შეურყეველ სიმშვიდეში, ანუ სიკვდილში რომ გადაზრდილიყო თანდათანობით, უხმაუროდ, შეუმჩნევლად, როგორც ჩრდილი — ჩრდილში, ღრუბელი — ღრუბელში, არაფერი — არაფერში. ასეთი ფიქრით გაეღვიძა დიმიტრის ერთ მშვენიერ დღეს და ისიც იგრძნო, მისი ოჯახი საერთოდ ამოშლილიყო სათვალავიდან, რადგან გაუნელებელ შიშსა და ოცნებას, უპირველეს ყოვლისა, მსგავსის, გამგრძელებლის, მომავალთან დამაკავშირებლის შექმნის უნარი წაერთმია და ისიცა და მისი ცოლიც გვერდზე ჩავლილი ცხოვრების დანატოვარ დუმილში გამოემწყვდია, როგორც ბრმა ლეკვები — ტომარაში. რაც არ უნდა ეთვალთმაქცა, ცხადზე ცხადია, არავითარი აზ-

რი აღარ ჰქონდა მათ არსებობას, თუკი ასე გაგრძელდებოდა სულ, თუკი აღარაფერი მოხდებოდა, თუნდაც ცუდი, ერთბაშად გამოცარიელებულსა და ერთბაშად გამოყრუებულ სახლში, სადაც გარდასულ ცხოვრებას ისეთივე შემაწუხებელი დუმილი დაეტოვებინა, როგორი ხმაურიანიც იყო თავის დროზე. მართალია, არასოდეს მოსწონდა მშობლების ცხოვრების ყაიდა, მაგრამ, ეტყობა, ცხოვრებისა თავად არაფერი გაეგებოდა. ისინი ცხოვრობდნენ, თვითონ კი ოცნებობდა. იმათ უყვარდათ ცხოვრება, რის გამოც, შეიძლება უფრო გულუბრყვილოებიც იყვნენ, მაგრამ უფრო ძლიერებიც, ყოველ შემთხვევაში, ჯიუტები მაინც. შიშის გრძნობა ალბათ არც იმათთვის იყო უცხო, მაგრამ სიყვარულის, იგივე გულუბრყვილობისა თუ სიჯიუტის წყალობით უფრო იოლად ერეოდნენ ანდა უკეთესად მალავდნენ შიშს. მამამისი სასიკვდილო სარეცელიდან იძლეოდა განკარგულებას, როგორ გამასპინძლებოდნენ მის დაკრძალვაზე ჩამოსულ ხალხს, ვისთვის შეეტყობინებინათ და ვისთვის არა. ხოლო დედას, ქმრის სიკვდილზე მეტად, ის ადარდებდა, ისეთი რამის ჩადება არ დავიწყებოდა კუბოში, ურომლისოდაც მის მეუღლეს "იქ" ცხოვრება გაუჭირდებოდა. მაგალითად — ბურნუთის კოლოფი, ანდა ქიშმირის შალი, რომლითაც ძილის წინ წელს იხვევდა მოხუცი პოლიცმეისტერი. სიკვდილს ყველაფრის დასასრულად კი არ თვლიდნენ, არამედ სიცოცხლის სახესხვაობად, თითქოს სიკვდილი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებას ნიშნავდა მხოლოდ, როგორც პოლიტიკურ პატიმრებს ასახლებდნენ ციმბირში, და იმ სხვა ქვეყანაშიც ისევ ერთად იქნებოდნენ, რაც მთავარია, ისევ ისეთები, როგორებიც აქედან წავიდოდნენ. "მამაშენი ჩემზე ადრე იმიტომ წავიდა, სამარე თბილი რომ დამახვედროსო", — ამბობდა დედა, თავადაც წასასვლელად გამზადებული, და დიმიტრის ვერ გაერკვია, მის დასამშვიდებლად, მისი მწუხარების შესამსუბუქებლად ლაპარაკობდა დედა ასე, თუ მართლა სჯეროდა, რასაც ამბობდა. ასე იყო თუ ისე, ცხოვრება იმათთვის ჭირისა და ლხინის განუწყვეტელსა და აუცილებელ მონაცვლეობას ნიშნავდა და, შეიძლება, არასწორი, მაგრამ მყარი წარ-

მოდგენა ჰქონდათ ყველაფერზე, არც ჭირს ემალებოდნენ, არც ლხინს, არც გლოვისა ეშინოდათ და არც ზეიმისა. ხოლო მათ შვილს ცხოვრება გლოვასა და ზეიმს შორის დროებით ჩამოვარდნილი სიწყნარე ეგონა და ვერც კი ხვდებოდა, ამით საერთოდ უარს რომ ამბობდა ცხოვრებაზე. დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ, უცხო ჭერქვეშ გამოღვიძებული კაცივით. იგრძნო, როგორი დაჟინებით მოაჩერდნენ საგნები, კედლები, კედლებზე დაკიდებული სურათები, თითქოს ისინიც მოუთმენლად ელოდებოდნენ, რას იტყოდა, რას მოიმოქმედებდა ხანგრძლივი ძილიდან მოულოდნელად გამოფხიზლებული. უნებურად თავი აიქნია, თითქოს უსულო სამყაროს დააფრთხობდა, მოიშორებდა მის დაძაბულსა და შემაწუხებელ მზერას. დარია სარკმელთან მიმჯდარიყო და ქარგავდა. მარჯვენა ხელის იდაყვით რეზინის სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი და კიდევ უფრო ამძაფრებდა სახლში გამეფებულ დუმილს, არა უაღრესად ქალური, სამშვიდობო საქმიანობით, არამედ საგნისმიერი გულგრილობით, მოთმინებითა და მორჩილებით; თითქოს ისიც უსიცოცხლო სამყაროს ნაწილი იყო, როგორც ყაისნაღი, რომლითაც ქარგავდა, და როგორც სკამი, რომელზედაც იჯდა. დიმიტრი სასწრაფოდ წამოდგა, ფეხები ფლოსტებში წაყო და ხალათი შემოიცვა. დარიამ მაშინვე გამოხედა და ღიმილით ჰკითხა: პური ხომ არ გაგიხუხოო. სად იყავი, რაზე ფიქრობდიო, — გაუღიმა დიმიტრიმაც, როგორც უფროსები უღიმიან პატარებს, გამოსატეხად, მათი ბავშვური საიდუმლოს გამოსაცინცლად. “პატარაობისას, რამე რომ მეტკინებოდა, პაპაჩემი ვირზე შემსვამდა ხოლმე და მაშინვე მოვრჩებოდიო”, — თქვა დარიამ და საქარგავი კალთაში მობოჯა. დიმიტრიმ ნაძალადევად გაიცინა: არ მეგონა, ვირზე შეჯდომაც თუ წამალი იყოო. შუა ოთახში იდგა, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ესმოდა, როგორ არაკუნებდა ხუფს ნავთქურაზე შემოდგმული ჩაიდანი. “კი, წამალიაო”, — გაუხარდა დარიას. “ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, სიკვდილს ველოდებითო”, — რატომღაც გაბრაზდა დიმიტრი. დარიას თვალები ცრემლით აევსო. ასე ემართებოდა, რამე თუ დააბნევდა, შეაკრთობდა ანდა შეაშფოთებდა; თვა-

ლები მაშინვე ცრემლით აევსებოდა ხოლმე. “ვინ გაწყენინა, გოგო? ერთი მოვიდე მანდა!” — დაუძახა პაპამ ვენახიდან; ზაფხულის მტვრიანი სიმხურვალე შეაფრქვია სახეში, უარესად აუჩუყა გული და უცებ ისევ პატარა გოგოდ აქცია; ბაფთებიანი ლურჯი კაბა ეცვა და წითელი, ჭრაჭუნა ფეხსაცმელები; ვითომ ვენახის წინ იჯდა, თალარში, სელის სკამზე, და ელოდებოდა, როდის გამოუტანდა პაპა ვენახიდან აბლაბუდიან ჩხასა თუ ბუსუსიან ატამს. თან აქაც იყო, ქმრის სახლში, და გაკვირვებული უყურებდა ვიღაც უცხო კაცს, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თმააჩეჩილი, წვივებგაშიშვლებული, ოთახში რომ დადიოდა წინ და უკან, დატყვევებული ნადირივით, და უთქმელი წუხილით, უთქმელი სევდით აწრიალებულ თვალებს მალულად, ერთი წამით გამოაპარებდა ხოლმე მისკენ. ვერ გაერკვია, რომელი იყო სინამდვილე: პაპის ვენახი თუ ქმრის სახლი; პაპის ხმა ეჩვენებოდა თუ ერთბაშად გაუცხოვებული, გასაცოდავებული ქმარი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმ დღის მერე ოჯახურ სიმშვიდეს ბზარი გაუჩნდა, თუმცა, სიმშვიდის ბზარში, დღითი დღე რომ ფართოვდებოდა, ჯერჯერობით ისევ წარსულის ცალკეული ნაფლეთები მოჩანდა მხოლოდ; ერთისთვის — ვენახი, ნუშის ხის ძირას გარინდებული სახედარი, უგუმბათო ეკლესია, დედის საფლავის ქვაზე მიმწვარი სანთელი თუ საცხედრეს წინ შეგროვილი სტუდენტები. მეორისთვის — მკვდარი ცხენის მუცლიდან ჭურვივით გამოვარდნილი ვირთხა, დაბუშტული წყლით სავსე ორმოები, დახოცილი დელფინები, დედამისის რომელიღაცა სტუმარი ქალის შთამბეჭდავი გულმკერდი თუ სისხლიანი ლეჩაქით ხელგადახვეული და ლაჯებგამოსველებული ოფიცერი. ჯერჯერობით წარსულის ანაბარა იყვნენ დარჩენილნი. რაც რამე იცოდნენ, განეცადათ და ახსოვდათ, ძალაუნებურად, წარსულთან აბრუნებდათ. მაგრამ, საუბედუროდ, არც წარსული ჰქონდათ საერთო და ცოლქმრულ საწოლში ერთმანეთის გვერდით გატრუნულნი, ვითომ ერთმანეთის სიმშვიდეზე მზრუნველნი, თავთავიანთი წარსულისკენ მიიპარებოდნენ, ერთმანეთის უჩუმრა, სადაც გაცილებით თამამად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს და საიდანაც უნაყოფო, უმომავლო სინამ-

დვილეს უბრუნდებოდნენ ყოველ დილით, კიდევ უფრო დათრგუ-ნულნი და დაბორკილნი სინდისის ქენჯნით, უერთმანეთოდ გატარე-ბული კიდევ ერთი ღამის გამო. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ერთმანეთს ღალატობდნენ, ცოლქმრულ ფიცსა ტეხდნენ, რაკი მო-მავლის შესაქმნელად განკუთვნილ სიყვარულს მოგონებებს ახმარ-დნენ და ქურდბაცაცა მელიებივით სხვადასხვა სოროში ეზიდებოდ-ნენ საერთო სუფრიდან. მაგრამ რაკი წუხდნენ, წვალობდნენ, რაკი რცხვენოდათ ერთმანეთისა და ერთმანეთის წინაშე თავს დამნაშა-ვედ გრძნობდნენ, ესეც უკვე ერთგვარი შეღავათი იყო გამოყრუებუ-ლი, უშვილძირო ოჯახისთვის, ერთგვარი გარანტიაც იმისა, მათთვი-საც რომ შეიცვლებოდა რაღაცა, რის შემდეგაც ან მართლა უნდა გა-თიშულიყვნენ ისინი, თანაც სამუდამოდ, ან ასევე სამუდამოდ შეუღ-ლებოდნენ ერთმანეთს, სისხლიანხორციანად, ერთმანეთით ავსილ-ნი, ერთმანეთში ჩაწრეტილიყვნენ უსასრულოდ, ჯიუტად, უღალა-ტოდ, როგორც დღე და ღამე, ვიდრე მათი ყველა ძარღვი, ყველა კუნ-თი, ყოველი უჯრედი არ განიმუხტებოდა გადატანილი ელდისაგან, შიშისაგან, ურწმუნოებისაგან და არ დაიჯერებდნენ, თვითონაც ჩვეულებრივი ადამიანები რომ იყვნენ, ჩვეულებრივი ცხოვრების ღირსნი, და არა მარტო შეეძლოთ, ევალებოდათ კიდეც მსგავსის შექმნა, გაუმწარებდათ თუ გაუხალისებდათ იგი ცხოვრებას, ბედ-ნიერი იქნებოდა თუ უბედური თავად, რადგან იქამდე არც ცხოვრება ეთქმოდა იმათ ყოფას: ერთი ქარგვით იღამებდა თვალებს, მეორე კი მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდა იმათ დასაცავად, დამარხვის მე-ტი აღარაფერი რომ სჭირდებოდათ, გულს უჩუყებდა ხალხს, რომელ-საც კაცის ნება წარმართავდა და არა კანონი. რა თქმა უნდა, ეს ის არ იყო, რისთვისაც გაჩენილიყვნენ, რაც ევალებოდათ, რაც აუცილებ-ლად უნდა შეესრულებინათ კიდეც, ადრე თუ გვიან, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, შესწევდათ თუ არა საამისო ძალა და უნარი, რადგან ცხოვრებას თავის უკიდეგანო სცენაზე ალბათ უკვე იმათთვისაც ჰქონდა ადგილი მოცლილი, შეიძლება, უფრო მცირე, უფრო უმნიშ-ვნელო, ვიდრე საოჯახო თეატრის სცენა, რომელსაც ქალბატონი ქე-

თევანი პოლიციელებს გააწყობინებდა ხოლმე აივანზე, მაგრამ გაცილებით მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის განკუთვნილი, რომელსაც სრულებითაც არ ენაღვლება შენი უნიჭობა თუ ნიჭიერება, შენი გაუბედაობა თუ გამბედაობა, და მხოლოდ თავფეხიანად, სულის ფსკერამდე გაშიშვლებას მოითხოვს შენგან. ამას ორივე გრძნობდა, ცოლიცა და ქმარიც, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, წესი ვნებად ექციათ, ვნება — ცეცხლად, ცეცხლი კი — სიცოცხლედ; ბიძგი სჭირდებოდათ, თვალნათელი მაგალითი, რაც სცენაზე ასვლას გააბედვინებდათ, ანუ შიშითა და ოცნებით გაბერწებულ ხორცს შეუძრავდათ და ხვალინდელი დღის რწმენას ჩაუნერგავდათ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს (თუმცა მერე, როცა მოსახდენი მოხდა, დიმიტრი სწორედ ამ "მშვენიერი დღიდან" იწყებდა თავისი უბედურების წელთაღრიცხვას), ჭიშკარმა ქვანასროლი ძაღლივით დაიწკავწკავა და ეზოში უცხო ქალი და კაცი შემოვიდა. დარია ამჯერად თეთრეულს ნამავდა დასაუთოებლად. უთო უკვე გახურებული ჰქონდა. დიმიტრიც ეს წუთია შემოსულიყო ოთახში; ჩვეულებისამებრ, დაეხედა მამისეული ხეებისთვის და ახლა, სანამ რამეს იტყოდა, ხელებს იფშვნეტდა, როგორც რაიმეთი დიდად ნასიამოვნები კაცი. ცხელი უთოსი და დანამული ქსოვილის სუნი სრულებითაც არ იწვევდა საფრთხის წინათგრძნობას. მაგრამ ცხოვრებისეული ქარტეხილები, რომელთა შესაჩერებელი ჯებირი ჯერ არ მოუგონია ადამიანს და, საბედნიეროდ, ვერც ვერასოდეს მოიგონებს, უკვე დაძრულიყო, ოღონდ ჯერჯეროობით მხოლოდ წინამორბედი, სუსტი ტალღები ელამუნებოდა მწვანეში ჩაფლულ სახლს, სახლის პატრონს ეჭვი რომ არ აეღო და მომზადებული არ დახვედროდა საბოლოო დამანგრეველ დარტყმას. და აი, აწკავწკავებული ჭიშკარი ყურთამდე გაიღო და ეზოში უცხო ხალხი შემოვიდა. წინ ქალი მოდიოდა, გაღიმებული, თუმცა ხშირხშირად იხედებოდა უკან, თითქოს არ სჯეროდა, მართლა თუ მოჰყვებოდა კაცი. დარია და დიმიტრი აივანზე გამოვიდნენ და მოუთმენელი ცნობისმოყვარეობითა თუ მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით შენიღბული შიშით მიაჩერდნენ მათკენ მომავალ უცნობებს. კაცმა ხელები ას-

წია და შორიდანვე დაიძახა: ნუ გაგვიბრაზდებით, სამტროდ არა ვართ მოსულებიო. მაღალი კაცი იყო. თმა ლომის ფაფარივით აშლოდა თავზე. გამარჯობათო — თქვა უკვე ორსაფეხურიან კიბესთან და მომხიბვლელად გაიღიმა, უნებურად დამხვდურებსაც გადასდო ღიმილი. ორივენი, ქალიცა და კაციც, თვალშისაცემად, გამომწვევად ხალისიანები, სიცოცხლით სავსენი იყვნენ; ჯიშიან ცხენებს ჰგავდნენ, ადგილზე რომ ვერ მოუსვენიათ და ერთი სული აქვთ, როდის მოწყდებიან, როდის ამოიდებენ ფეხქვეშ სივრცეს. დიმიტრის პირველად დაძმაც კი ეგონა ისინი, მაგრამ თითქოს მისი არასწორი ვარაუდის გასაბათილებლად, კაცმა თავის მომხიბვლელ ღიმილს მაშინვე ბოდიშივით მოაყოლა: ჩემი ცოლის ბრალია, ჩემმა ცოლმა აიჩემაო, და თან ქალს ნაზად მოხვია მხარზე ხელი. “მე მგონი, ჯერ არაფერი დამიშავებიაო”, — მომხიბვლელად გაიღიმა ქალმაც. მწვანე კაბა ეცვა, სალათისფერი, თითქოს მკვრივი, მოქნილი სხეულის სინათლით გაბაცებული. ზედა ტუჩზე ოფლის მსხვილი წვეთები უციმციმებდა. ოდნავ გაპობილი პირიდან თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა. “მხოლოდ ალქაჯი შეიძლება იყოს ასეთი ლამაზიო”, — გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ, ყოვლად უსაფუძვლოდ, შეეშინდა იმათი, მაგრამ თვითონვე შერცხვა ამ უსაფუძვლო შიშისა და ნირწამხდარმა ამოილუღლუღა: მობრძანდით, სტუმარი ღვთისააო. “ახლავე აგიხსნით ყველაფერს”, — გააგრძელა კაცმა და უფრო მაგრად მიიზიდა ქალი. დამხვდურები შეიშმუშნენ, ერთი წამით, ისე, რომ თავადაც არ მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება, უბრალოდ, ისინიც ცოლქმარი იყვნენ, მაგრამ უცხო ხალხის თვალწინ არასოდეს მოხვევიან ერთმანეთს. ეგ იყო და ეგ. დიმიტრიმ ჩაახველა. დარიას ლოყები შეეფაკლა. “გამიშვი, უხერხულია”, — თქვა ქალმა. წელში გაზნექილი იდგა, ცალ ფეხზე; მეორე ფეხის წვერით ოდნავ ეხებოდა მიწას. “ახლავე აგიხსნით ყველაფერს”, — გაიმეორა კაცმა. “შინ მობრძანდით, შინ უფრო გრილა”, — გააწყვეტინა დიმიტრიმ. “ჩვენ ცოლქმარი ვართ. მსახიობები, — გააგრძელა კაცმა, — თქვენმა თეატრმა მოგვიწვია სამუშაოდ. თბილისიდან გეახელით. უფრო სწორად, მსახიობი მე ვარ.

ეს კი მსახიობის მეუღლე გახლავთ, ჩემი მეუღლე. რამე თუ შემეშალა სცენაზე, მტრისას, ჯვარს მაცვამს ხოლმე. ასე არ არის? — მიხედა ქალს. ქალმა თავი დაუქნია. ისევ ისე იდგა, ცალ ფეხზე, წელში გაზნექილი, უსაშველოდ, შემაშფოთებლად, სახიფათოდ, ალქაჯივით ლამაზი. — თქვენს მეზობლად ვიქირავეთ ოთახი. — კაცმა თავისუფალი ხელი უკან გაიშვირა. დიმიტრიმ და დარიამ მომიჯნავე სახლის ყრუ კედელში დატანებულ ერთადერთ სარკმელს შეხედეს ერთდროულად. — მაგრამ ჩემს ქალბატონს არ მოსწონს თავისი ახალი ბუდე. უკეთესსაა მიჩვეული. მიდგება სარკმელთან და თქვენს სახლს უყურებს, როგორც ღორმუცელა ბავშვი საშაქარლამოს ვიტრინას". "შინ მობრძანდით, შინ უფრო გრილა", — გაიმეორა დიმიტრიმ, რამე რომ ეთქვა, სულელივით რომ არ მდგარიყო დაუპატიჟებელი სტუმრების წინაშე. "ტყუილად ვაწუხებთ ამ ხალხს", — თქვა ქალმა. თავი არ აუწევია. მიწას დასცქეროდა გაღიმებული. თითქოს მოსწონდა ქმრის ლაპარაკი და, იმავე დროს, თითქოს რცხვენოდა კიდეც ქმრის მაგივრად. "დამაცადე, — უთხრა კაცმა და ფეხი კიბის საფეხურზე შედგა, — რახან მოვედით, გაპრანჭვას აზრი აღარა აქვს. ხარჯი ხარჯია. სიმართლე რომ გითხრათ, რატომღაც მოხუცებად მყავდით წარმოდგენილი. თქვენი ხისფეხა მეზობლის ბრალია. იმან გვითხრა, უშვილძირო ოჯახიაო. მეც ასე ვიფიქრე, თითქოს ასეთ სახლში მხოლოდ მოხუცი ცოლქმარი უნდა ცხოვრობდეს, წყნარი, კეთილი, ერთადერთი საზრუნავიღა რომ დარჩენიათ, ყვავილების მორწყვა ანდა ჩიტებისთვის საკენკის დაყრა არ დაგვავიწყდესო. არც კი აინტერესებთ, რა ხდება ქვეყანაზე, საერთოდ, არსებობს თუ არა ქვეყანა. ცხოვრობენ თავიანთ პატარა სამოთხეში, მშვიდად, უზრუნველად, უცოდველად დაბერებული ადამ და ევა. თქვენ კი... — ლაპარაკლაპარაკით ამოვიდა აივანზე, ქალიც თან ამოიყოლა. ისევ მხარზე ჰქონდა იმისთვის ხელი მოხვეული, თითქოს ქალს უჭირდა თავისით სიარული ანდა უძალიანდებოდა. — ღმერთო ჩემო! — შესძახა დიდ ოთახში შესვლისთანავე. — აი, ჩვენი, ძველებური, ქართული სისადავე. აჭარაში ჩამოვედი და საქართველო აღმოვაჩინე. მართალი ხარ,

— მიუბრუნდა ქალს, — ეს რომ ჩემი სახლი იყოს, არავის შემოვუშვებდი. ანდა დამთვალიერებლებს შემოვუშვებდი მხოლოდ, თანაც ფასიანი ბილეთებით, როგორც მუზეუმში. არა, როგორც ჩვენთან, თეატრში. ბილეთის ფასი ხუთი კაპიკიდან ხუთ მანეთამდე. ღარიბებისთვის ხუთი კაპიკი, მდიდრებისთვის ხუთი მანეთი. შეიძინეთ, ბატონებო, ბილეთი! წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ, ერთი ღარიბი მოსწავლის სასარგებლოდ, მოუსავლიანობით დაზარალებულთა სასარგებლოდ, გადასახლებულთა სასარგებლოდ, ერთი ხელმოკლე სტუდენტის სასარგებლოდ...” “ნუ მოყვები ახლა შენებურად, — გაიღიმა ქალმა და კაცს მხარზე ლოყა აუსვა. — მართლა როგორ გრილა აქ. მხოლოდ ძველ სახლებშია ასეთი სიგრილე, ასეთი სიწყნარე”. “მხოლოდ მუზეუმში ანდა საყდარში, — შეუსწორა კაცმა, — მუზეუმი და საყდარი. წარსული და მომავალი. სინანული და იმედი. აგე, ჩვენი დიდი პაპა”, — ხელი კედელს მიუშვირა. კედელზე ფერადი ძაფით ნაქარგი რსთაველის სურათი ეკიდა. ოთახის ბინდიდან ალისფერმა სახემ გამოანათა მოულოდნელად, თითქოს სენაკიდან, ეს წუთია, სადღესასწაულოდ მორთული ბერი გამოვიდაო; თითქოს ისიც მასპინძელი იყო და მოსულებს გამოხედა. “ბავშვობაშიც მინახავს სადღაც ასეთი რუსთაველი”, — თქვა ქალმა. “ჩვენი ბავშვობის თოვლის ბაბუა, — გააწყვეტინა კაცმა. — სახელოვანი სიკვდილი მოგიტანეთ, ბავშვებო, საჩუქრად. პირს კი ნუ აბჩენთ, შოშიებივით, თვალი გაახილეთ. ყველას გვახსოვს, არკი ვიცით, იყო თუ არა სინამდვილეში”. “რატომ ჰქვია თქვენს თეატრს რკინისა?” — იკითხა უცებ ქალმა. დარიამ მხრები აიჩეჩა, დიმიტრის შეხედა. დიმიტრიმაც აიჩეჩა მხრები: რა ვიცი, ასე ეძახიანო; ვიდრე თეატრად გადააკეთებდნენ, რკინეულობის საწყობი იყო და ალბათ ამიტომო. “ალბათ, ალბათ... — გააწყვეტინა კაცმა. — მაგრამ თეატრი რკინასავით გამძლე უნდა იყოს, რკინასავით მაგარი, რადგან მარტო იქღა ფრიალებს ჩვენი დროშა, მტრების გულის გასახეთქად”. “ოოოოჰ... — შეიჭმუხნა ქალი. — ამ ხალხს მაინც რას ერჩი, იქნებ არ სიამოვნებთ შენი ლაპარაკი”. “კი მაგრამ, რას ვამბობ ამისთანას?! — გაიკვირვა

კაცმა. — აღარც ვილაპარაკოთ? ენას კბილი დავაჭიროთ? თვალი დავხუჭოთ? გულხელი დავიკრიფოთ? მოვკვდით? აღარა ვართ? ჩვენი თავადაზნაურობა სამარცხვინო იუბილეებით აპირებს ქვეყნის გადარჩენას, მაგრამ ახლაც ნაცარში ჩაუვარდა კოვზი. უნივერსიტეტის მაგივრად კიდევ ერთი სამხედრო სასწავლებელი მიიღო საჩუქრად, ზარბაზნის ბოლში რომ გაახვიოს თავისი ნიჭი. ერთი და ორი და სამი! ერთი და ორი და სამი! ყოჩაღ, ქართველო თავადიშვილებო! ვემსახურებით ხელმწიფეს! ერთი და ორი და სამი!..” “გამიშვი ხელი! ამისთვის მოვედით? ამისთვის წამომიყვანე?” — გაბრაზდა ქალი. გაიწია კიდეც, მაგრამ კაცმა კიდევ უფრო მაგრად მიიზიდა. ქალს სიბრაზისგან ტუჩები უცახცახებდა. “მე რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ და არავისი არ მეშინიაო”, — უთხრა კაცმა. სამაგიეროდ დიმიტრი შეშინდა უარესად. ვერ მიმხვდარიყო და ვერც ეკითხა (ვინ აცალა ლაპარაკი?), რა უნდოდა მისგან ამ უცნაურ ცოლქმარს. ვექილი რომ არ სჭირდებოდათ, მაშინვე შეატყო. იქით დაუდგებოდნენ სხვას ვექილებად; მაგრამ, რა თქმა უნდა, არც იმის გასარკვევად იყვნენ მოსულები, თუ რატომ ერქვა ბათუმის თეატრს რკინის თეატრი. შინ იყო, საკუთარ ჭერქვეშ, მაგრამ მასპინძლისა არაფერი ეცხო. ისე იძაბებოდა, თითქოს ბოშები შემოვარდნოდნენ შინ, გინდა თუ არა, უნდა გიმარჩიელოთო; თითქოს რაღაცა უნდა ეთქვათ იმისთვის — შემზარავი, წარმოუდგენელი. იმასაც კი ფიქრობდა, მოგზავნილები ხომ არ არიანო, მაგრამ თვითონვე რცხვენოდა ამგვარი მდაბალი ფიქრისა; უნდობლობას ნამდვილად არ იმსახურებდნენ მისი უცნაური სტუმრები, მაგრამ ვერაფერი ზრდილობა გახლდათ, უცხო ხალხთან იმაზე ლაპარაკი, რის გამოც, ადვილი შესაძლებელია, მთქმელსაც და გამგონებელსაც ციმბირი უკან დარჩენოდა. ესეც რომ არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაემხილათ თავიანთი მოსვლის მიზეზი? ისინი კი ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, თითქოს სტუმრად კი არ იყვნენ, სცენაზე თამაშობდნენ და დიმიტრისა და დარიას ისღა ევალებოდათ, ასე პირდაღებულებს ეცქირათ იმათი თამაშისთვის. არც ისაა გამორიცხული, თავიანთი მღელვარების შესანიღბად იქცეოდნენ ასე, უფ-

რო სწორად, ასე გამოსდიოდათ, მაგრამ გინდაც მართლა ასე ყოფილიყო, რა შეღავათია დიმიტრისთვის? პირიქით, დიმიტრისაც სწორედ მათი ცუდად შენიღბული მღელვარება გადასდებოდა, გაურკვეველი, უსახელო, მისი არსებისთვის ყოვლად უცხო, მიუღებელი და ამიტომაც, გაცილებით შემაწუხებელი, ვიდრე სხვა, საკუთარი, რაიმე გარკვეული მიზეზით გამოწვეული მღელვარება. ოთახში ჰაერი ჩაიხუთა. სუნთქვა ჭირდა. საგნებიც უჩვეულოდ დაძაბულნი, დაეჭვებულნი გამოიყურებოდნენ. უნებურად მამის სურათისკენ გააპარა თვალი, თითქოს მკვდარი პოლიცმეისტერი დაიცავდა, თითქოს დაიფრენდა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს, სტუმრებს კი არა, აკრძალული იდეების კონტრაბანდისტებს. დარია, დარიაო, — იყვირა უცებ, გაცილებით ხმამაღლა, ვიდრე საჭირო იყო, ვიდრე გულდაჯერებულსა და ზურგმაგარ მასპინძელს შეეფერებოდა. დარიამ გაკვირვებულმა შეხედა, თითქოს ისიც ეს წუთია გამოერკვა რინდიდანო. სხვათა შორის, ასედაც იყო. შეიძლება, ქმარზე მეტადაც დააბნია და ააღელვა იგი ამ მოულოდნელმა სტუმრებმა. დაინახა თუ არა თბილისელი მსახიობი, უფრო ზუსტად, როგორც კი ხელები ასწია იმან, მაშინვე მკვდარი მამა გაახსენდა რატომღაც; თუმცა, რაღა რატომღაც — გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თბილისელი მსახიობი მამამისს. მამამისმაც ასე იცოდა ხელების აწევა, შორიდანვე რომ დანახვებოდა სარკმელთან მომლოდინე შვილს. ხელებაწეული მოდიოდა ქუჩაში და სრულებითაც არ ენაღვლებოდა, მთელი ქუჩა რომ უყურებდა, მხრებს რომ იჩეჩავდნენ მისი უცნაური საქციელით გაკვირვებული გამვლელები. ხელებაწეული მოდიოდა ქუჩაში, თბილისელი მსახიობივით ლამაზი, ახოვანი, და სარკმლის მინაზე ცხვირმიჭყლეტილ შვილს უღიმოდა. შვილსაც ეღიმებოდა და ისიც ხელებით ანიშნებდა მამას, სირცხვილია, ხალხი გიყურებსო, თუმცა გული სიამაყითა და სიხარულით ებერებოდა, ასეთი მამა რომ ჰყავდა, მისი ჭკუისა, მისი ამყოლი, მისი გამგები, თითქოს ამხანაგი ბიჭი იყო და არა მამა, თანაც მეცნიერების ამომავალი ვარსკვლავი... და, რაც მთავარია, ასეთი აღგზნებული სახე ჰქონდა მამამისსაც იმ საზარელ დღეს. იმ საზა-

რელ დღეს მამას ხელები აღარ აუწევია შვილის დანახვისას; ერთი წამით გამოხედა მხოლოდ, დაბნეულად, თითქოს შემთხვევით. და ისევ ვიღაც მთვრალებს მიუბრუნდა. მთვრალები ჩია, გრძელწვერიანი მოხუცისკენ იწევდნენ, მაგრამ დარიამ მოგვიანებით შეამჩნია იგი, მერე შეამჩნია, როცა მამამ თვალებგადმოკარკლულ მთვრალს მკერდში ხელი უბიძგა, როცა დანარჩენი მთვრალები მამას მიესივნენ, ხოლო ის ჩია, გრძელწვერიანი მოხუცი მოკლე, სასაცილო ნაბიჯებით გაიქცა. დარია სწორედ იმ სასაცილო სირბილმა შეზარა; მაშინვე მიხვდა, რაღაც უბედურებაში იყო გახვეული მამამისი და იმ უბედურებას გაურბოდა ასე სასაცილოდ ის ჩია, გრძელწვერიანი მოხუცი. მერე თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა, რას გაჰკიოდა, თავით გატანილ სარკმელში სანახევროდ გადაკიდული, ვიდრე ვიღაცები კარს შემოუმტვრევდნენ და ძალით ააგლეჯდნენ სარკმლის რაფას, შუშის ნამტვრევებივით ერთიანად დაბღორტნილსა და დასისხლიანებულს. სწორედ ამ დროს დაიყვირა დიმიტრიმ: დარია, დარიაო, და დარიამ გაკვირვებულმა შეხედა. სხვაგან იყო, ბავშვობაში, ოდესაში... “ხილი მაინც მივართვათ სტუმრებს, არ ვათქმევინოთ, ეს რა უცხვირპირო ხალხი ყოფილაო”, — სხაპასხუპით მოაყოლა დიმიტრიმ, თითქოს თავს იმართლებდა უხეშობისთვის, ცოლის ფიქრის დაფრთხობისთვის, ანდა თითქოს უხაროდა, ბოლოს და ბოლოს, გამოსავალი რომ ეპოვნა საკუთარი ფიქრიდან. “ნუ წუხდებით. სხვა დროს. ახლა ნამდვილად ვერ დავრჩებით. თეატრში გველოდებიან. ჩათვალეთ, რომ უბრალოდ გაგეცანით. კარის მეზობლები ვართ თითქმის, ხოლო ჰესიოდეს თუ დავუჯერებთ, ნათესავებზე მეტიც, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, უფრო ახლო მეზობლობა რომ გვინდოდა თქვენთან, თუკი, რა თქმა უნდა, თქვენს მყუდროებას არ დაარღვევდნენ ჩვენისთანა თავქარიანი მდგმურებიო”, — თქვა კაცმა. დიმიტრის გულზე მოეშვა. ოთახში დაგუბებული ჰაერიც ერთბაშად განიმუხტა. დაძაბული ხორცი სასიამოვნოდ გაეშალა. მაგრამ ახლა იმან შეაწუხა, უარით რომ უნდა გაესტუმრებინა ეს ლამაზი, მართლაც რომ ბოშებივით მოურიდებელი და ხმაურიანი ხალხი. სხვა

რომ არაფერი, მშობლების ხსოვნას ვერ აკადრებდა, მდგმურები გაეჩინა, მსახიობისგან ფული აეღო, როცა დედამისი თავად მსახიობობდა და უკანასკნელ ლუკმას გაუყოფდა მეორე მსახიობს, ფეხს დაბანდა, მტლად დაედებოდა, როგორც წმინდანს, წამებულს, მსხვერპლად შეწირულს. სირცხვილისგან საფლავში გადაბრუნდებოდა ალბათ თეატრის ქომაგი და თაყვანისმცემელი, თავმომწონედ რომ იტყოდა ხოლმე, აქაურ ქართველებს მე გავუღვიძე სიამაყის გრძნობაო. და მართლაც, დედამისს ნინოობის პირველი საღამო რომ გაუმართავს ბათუმში და სხვა სახელოვან ხალხთან ერთად აკაკიც გამოუყვანია სცენაზე, უცხოელებს პირი დაუღიათ: ღმერთი ვიხილეთო. ქართველებმა აღარ იცოდნენ თურმე, როგორ გაბერილიყვნენ და გაბღენძილიყვნენ. სტუმრად, კი ბატონო, როდემდენაც უნდოდათ, ოთახს კი ვერ მიაქირავებდა, ვერავითარ შემთხვევაში; ვერც იმას აკადრებდა, თქვენი ფული არ მინდაო; ბოლოს და ბოლოს, მსახიობები იყვნენ და არა უსახლკარო, მოხეტიალე ბოშები, მაგრამ იმათაც უნდა გაეგოთ, არ უნდა გაემტყუნებინათ დიმიტრი და კეთილ მეზობლებად დარჩენილიყვნენ მომავალშიც. “სხვათა შორის, დედაჩემიც მსახიობობდა. შეიძლება, გაგებულიც გქონდეთო”, — მოაყოლა დარცხვენილმა. კაცმა გაიცინა და დიმიტრისთვისაც რომ დაემტკიცებინა, არაფერი გითქვამს საწყენიო, ხუმრობით დაემუქრა: არ დაგავიწყდეთ, თქვენი სამოთხე ხელისგულივით რომ მოჩანს ჩვენი სარკმლიდანო, თვალებით შევჭამთ, თქვენიანათო. სხვაც ბევრი ითქვა. ასე რომ, დარია ხილის გამოტანასაც მოასწრებდა და ხაჭაპურის გამოცხობასაც, მაგრამ არც ერთი აღარ დაფიქრებულა ამაზე. ოთხივე აღეგზნო ამ მართლაც უცნაურ გაცნობას. მოსულები თავიანთი “სითავხედისთვის” იხდიდნენ ბოდიშს; დამხვდურები წუხდნენ, პირველსავე სათხოვარზე უარი რომ უნდა ეთქვათ და გაეწბილებინათ “ასეთი სასიამოვნო” მეზობლები. გულწრფელად სთხოვდნენ (რაღაი ახლა ასე მშვიდობიანად გადარჩენილიყვნენ), ხშირად მოსულიყვნენ “დაუპატიჟებლადაც”, “თავისუფლად, თამამად, როგორც საკუთარ ოჯახში” (მერე კი იცემდა დიმიტრი თავში ხელს, მაგ-

რამ მერე რაღას გამოასწორებდა. “ამას ჰქვია სწორედ. ენაზე დამაბიო”, — გაიძახოდა გამწარებული, შუაღამისას მწვანე ჭიშკარი ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავებდა და თბილისელი მსახიობი “დაუპატიჟებლად” დაადგებოდა ხოლმე თავზე). თავაზიანობაში არც მოსულები ჩამორჩებოდნენ დამხვდურებს. კაცმა წინასწარ დაპატიჟა ისინი თეატრში, ოღონდ ჯერჯერობით ზუსტად არ იცოდა, როდის შედგებოდა წარმოდგენა, ან რას ითამაშებდა. მაგრამ როგორც კი დააზუსტებდა, მაშინვე შეატყობინებდათ და ბილეთებსაც მოართმევდათ. “ან კეისარს ვითამაშებ, ან კაი გრაკხს, ან ურიელს, ან ხიმშიაშვილს. შეიძლება, ჰამლეტსაც, — თქვა კაცმა და უცებ, თითქოს ზნემ წამოუარაო, თვალები გადაატრიალა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო, ცოლი ახლა ორივე ხელით მიიხუტა გულზე და სრულიად სხვა, იმქვეყნიური, არაადამიანური ხმით გააგრძელა: ნუ იზამ იმას, რაც მე გითხარ, რაც დაგარიგე. დეე, იმ მეფემ გარყვნილ საწოლს კვლავ მიგიტყუოს. გადგისვას ხელი მაგ ლოყებზე, მოგეალერსოს; მაშინ შენ იმის უწმინდურსა, მხურვალე კოცნას და დაწყევლილის თითებითა გაფუფუნებას შესწირავ ჩემსა საიდუმლოს, ყველას გაუმხელ, ეტყვი, რომ გიჟი კი არა ვარ, ვიგონებ მხოლოდ. კარგი იქნება, ყველაფერი გამოამჟღავნო, ან ვით შეჰფერის შენებრ ლამაზს, ჭკვიან დედოფალს, მას დაუმალოს ესოდენი მძიმე საქმენი... მას, იმ ღამურას, ქვემძრომ ჯოჯოს, ქეციან კატას”. “ბრავო, ბრავო, ბრავოო!” — ტაში დაუკრა წეღანდელზე არანაკლებ დამფრთხალმა და დაბნეულმა დიმიტრიმ. დარიას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. “საცოდავებიო”, — თქვა ბოლოს. თუმცა, ეს რომ თქვა, სტუმრები უკვე კარგა ხნის წასულები იყვნენ, თავად კი ისევ მაგიდასთან იდგა, დანამულ თეთრეულზე ხელებდაწყობილი. დიმიტრიმ მოუყრუა. არადა, ძალიან გააკვირვა დარიას ნათქვამმა, გააკვირვა და რაღაცნაირად შეაწუხა კიდეც, თითქოს დარია ქმარს კიცხავდა შეფარულად, რადგან დიმიტრის აზრით, სტუმრებს არაფერი სჭირდათ შესაცოდი. პირიქით, ეჭვიც არ ეპარებოდა, ვერავინ და ვერაფერი აღუდგებოდა წინ იმათ ნებასურვილს; ხოლო თუ მაინცდამაინც ბინაზე იყო საქმე, ამასაც

მოაბამდნენ თავს. ჯერ ახალი ჩამოსულები იყვნენ, ახლა იწყებდნენ ცხოვრებას და არაფერი დაშავდებოდა, ცოტა ხანს თუ გაიჭირვებდნენ. რაც მთავარია, წვიმა არ დასდიოდათ თავზე; ბოლოს და ბოლოს, თავშესაფარი კი არ უთხოვიათ, უკეთესს დაეძებდნენ; გიჟისა არ იყოს, სხვისი სახლი ერჩიათ თავისას. პირველად არ დამთხვეოდა მისი და დარიას აზრი ერთმანეთს და დიმიტრი, ცოტა არ იყოს, განაწყენებული სცემდა ბოლთას, მაგრამ დარიამ რომ სთხოვა, ზეწარი გამაჭიმინეო, გაუხარდა კიდეც, რადგან, მარტო დარჩენილი, ძალაუნებურად ისევ სტუმრებზე ფიქრობდა, როგორც მგრძნობიარე მაყურებელი უკვე დამთავრებული, მაგრამ მძიმე, დაძაბული წარმოდგენის გმირებზე. მაშინვე ჩამოართვა ზეწრის ბოლო და ათრთოლებული თითებით მოჭმუჭნა. მეორე ბოლო დარიას ეჭირა და ელოდებოდა. ცოლქმარს შორის გაბმული, მობოშებული ზეწარი ოდნავ ირწეოდა ჰაერში, ცარიელი ჰამაკივით, თითქოს ეს წუთია ვიღაც წამომდგარიყო იქიდან, ვიღაც მესამე, რომელსაც მათი ბედი ეკითხებოდა. უცებ ისეთი სევდა შემოაწვა დიმიტრის გულზე, ისე შეეცოდა ცოლიცა და საკუთარი თავიც, თითქოს უფსკრულის სხვადასხვა მხარეს იდგნენ ისინი და ამ დაჭმუჭნული ზეწრითღა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს; თითქოს საკმარისი იქნებოდა, რომელიმე მათგანს ზეწრისთვის ხელი გაეშვა, სამუდამოდ მოსწყდებოდნენ, სამუდამოდ დაკარგავდნენ ერთმანეთს და არარაობის, არარსებობის თვალჩაუწვდენელ უფსკრულში ჩაინთქმებოდნენ. გაუბედავად, ფრთხილად მოქაჩა ზეწრის ბოლო და იგრძნო, როგორ დაიძაბა, როგორ გაუძალიანდა ცოლის სხეული უფსკრულს გადაღმა. რაღას უცდიო — თვალებით ჰკითხა დარიამ, ხოლო დიმიტრიმ ახლა ისე მძლავრად დაიქნია ზეწარი, უნებურად წინ წამოვარდნილი დარია მკლავებში მოიმწყვდია. დარიამ გაკვირვებული, დაბნეული თვალებით ამოხედა. “როგორა ხარ, დარიაო” — მიესიყვარულა დიმიტრი, მაგრამ საკუთარმა ხმამ შეაკრთო, ნერწყვის ჩაყლაპვა გაუჭირდა და სასწრაფოდ აარიდა თვალი. ნიკაპი თავზე ჩამოადო და გაილურსა. შემცბარი, აფორიაქებული უსმენდა, როგორ სცემდა დარიას გული,

სადღაც, ძალიან ახლოს, ლამის მის არსებაში. ისეთი გაფაციცებული უსმენდა, თითქოს ბავშვს პირველად მიედო ყურზე მამის საათი, და მართლაც, ერთი წამით, შორეულმა, ბავშვობის დროინდელმა მოგონებებმა გაიელვა მის გონებაში: ხელში დაჭრილმა ოფიცერმა, აჟრიამულებულმა სტუმრებმა, ატკაცუნებულმა სანთლებმა... მაგრამ ერთი წამით. ახლა წარსულისთვის არ ეცალა. ამდენი ხნის ქმარი იყო და აქამდე არ იცოდა, ასეთი თბილი, ასეთი გამაბრუებელი სურნელი თუ ჰქონდა მის ცოლს; ასეთი ნაზი, სულისშემძვრელად დრეკადი ნეკნები... მეორე წუთას გაშმაგებული კოცნიდა დარიას ცრემლიან თვალებს, ლოყებს, ტუჩებს, თმას... ზეწარი უშლიდა, ზეწარში იყვნენ გაბლანდულნი ორივენი და ერთად, ზეწრიანად მიჰქროდნენ თვალჩაუწვდენელ უფსკრულში, ოღონდ იქამდე განუცდელი, იქამდე მათთვის არარსებული თავდავიწყების, შვებისა და ნეტარების უფსკრულში. “დიმიტრი, დიმიტრი!” — აფხიზლებდა, აფრთხილებდა ცოლი, მაგრამ დიმიტრის ვეღარაფერი შეაკავებდა; ბოლომდე, სულიანხორციანად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ჩაცლილიყო ნეტარების უფსკრულში. მსგავსიც არაფერი განუცდია აქამდე; არასოდეს არ უგრძვნია ასე ცხადად საკუთარი მამაკაცობა, საკუთარი სხეული, ცოლის სხეულს შერწყმული, შედუღებული; არასოდეს არ ყოფილა ასეთი გულწრფელი, ასეთი გულუხვი, ასეთი თამამი; არასოდეს არ გაუცია და არასოდეს არ მიუღია სანაცვლოდ ამგვარი წყალობა, ჯილდო, მადლი... არასოდეს. არასოდეს... დარია!

ცხრა თვის მერე ნატო მოევლინა ქვეყანას — ორი წყვილი ცოლქმარის ნაშიერი, რამდენადაც გარკვეული თვალსაზრისით, ახალ მეზობლებსაც მიუძღვოდათ წვლილი მის გაჩენაში, რის გამოც, სხვათა შორის, მადლობის მეტს არაფერს იმსახურებდნენ ისინი არც ნატოს კანონიერი მშობლებისგან და არც ნატოსგან, რაც არ უნდა მკაცრი, დაუნდობელი და შეუფერებელი ყოფილიყო ქვეყანა ნებისმიერი ახალი სიცოცხლისთვის, რადგან სიცოცხლე თავისთავად უკვე დიდი მადლია და ერთნაირად ძვირფასია — ბედნიერებით გაგაუბედურებს თუ უბედურებით გაზიარებს ბედნიერებას. მაგრამ, სამწუხაროდ, თა-

ვად წაუვიდათ ცუდად საქმე: თითქოს სამუდამოდ აპირებდნენ ბა-
თუმში დარჩენას, მაგრამ ქალმა სამი თვეც ვერ გაუძლო აქაურობას,
უფრო სწორად — თავისი ქმრის სისულელეებს, და უკანვე გაიქცა.
თუმცა გასაკვირი ის იქნებოდა, ასე თუ არ მოიქცეოდა, მკერდს
მოიშიშვლებდა, კომუნარი ქალივით, და ჩიტირეკია ქმარს გვერდში
ამოუდგებოდა ბარიკადზე. ქალს თავისი ოჯახი, თავისი ბუდე უნდა
და არა ჩხუბი და აყალმაყალი. ხოლო იმისი მეუღლე სულ იმაზე ფიქ-
რობდა, კიდევ რა მოვიგონო ისეთი, უარესად რომ გადავრიო ხალ-
ხიო. მეფეს ებრძოდა, ტახტის დამხობას აპირებდა, დიდება აუვარდა
თავში და მსახიობობა აღარ აკმაყოფილებდა, გმირის გვირგვინს
ელტვოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღწევდა კიდეც თავის მიზანს,
რადგან ხალხს სეირი ურჩევნია ყველაფერს და ვინც სეირს გაუმარ-
თავს, იმისი გმირიც ის არის. ცოლის გაქცევამ ხომ კიდევ უფრო გა-
ნადიდა მისი სახელი, კიდევ ერთი ეკალი მიუმატა იმის გვირგვინს,
თითქოს რაკი მსახიობი იყო, თანაც სახელოვანი, არ შეიძლებოდა
ჩვეულებრივი ცხოვრებით ეცხოვრა: ოჯახი ჰქონოდა, ბავშვი გაეზარ-
და, თავის დროზე დაეძინა, თავის დროზე ესადილა, ფული ყაირა-
თიანად დაეხარჯა და შავ დღეზეც ეფიქრა. მოკლედ, ისეთივე ყოფი-
ლიყო, როგორიც მისი თაყვანისმცემლები, მისი განმადიდებლები
იყვნენ, ჩვეულებრივები, შეგუებულნი ჩვეულებრივობას, რის სანაც-
ვლოდაც თავიანთი ჩვეულებრივი სიხარბით, სიმკაცრითა და აღტკი-
ნებით განუწყვეტელ სეირს მოითხოვდნენ არაჩვეულებრივისგან,
რჩეულისგან; არა — კიდევ უარესი — სეირს კი არა, სისხლს, თავგან-
წირვას, ეშაფოტზე ასვლას, მათი სახელით, მათი გულისთვის, და
ისიც ადიოდა, დღითი დღე, განუწყვეტლივ, ნაბიჯნაბიჯ, რადგან სხვა-
ნაირად აღარც იმას შეეძლო, აღარც იმას ჰქონდა უკან დასახევი გზა,
რამდენადაც უკვე ნაგემი ჰქონდა დიდების შხამი. ამიტომ, ყველაზე
ნაკლებად საკუთარ თავს ეკუთვნოდა და როგორც არ უნდა მოენდო-
მებინა, მაინც ვეღარ მოიქცეოდა ისე, როგორც მარტო თვითონ უნ-
დოდა. სცენაზე თუ ქუჩაში, განუწყვეტლივ გრძნობდა მაყურებლის
თვალს და მისი ყოველი სიტყვა, მისი ყოველი ნაბიჯი საერთო განـ

სჯის საგანი ხდებოდა. ყველამ იცოდა: ნავებზე რომ ექეიფა შუაღამისას ზღვაში, მაგიდაზე რომ ეცეკვა რესტორან “ფრანციაში”, დუელში რომ გამოეწვია ვიღაც პორუჩიკი, მსახიობი ქალის შეურაცხყოფისთვის, მაგრამ ცოტანი თუ ფიქრობდნენ იმაზე, რა უჯდებოდა დიდება, რისი გადატანა უხდებოდა, რას უძლებდა და ითმენდა თავის გამოყრუებულ ოთახში, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, გაქცეული ცოლის აჩრდილიც არანაკლებ უწყალებდა ალბათ სისხლს. ერთადერთი ადგილი (როგორც თვითონვე ამბობდა), სადაც, ასე თუ ისე, კიდევ შეეძლო საკუთარი სახის დაბრუნება, სულის მოთქმა, გულის გახსნა — ისევ დიმიტრის ოჯახი იყო, თუმცა გაქცეული ცოლის ხსენებას იქაც ერიდებოდა, არც იქ იყო ბოლომდე გულწრფელი, მაგრამ დიმიტრი და დარია უთქმელადაც ხვდებოდნენ, გაქცეულ ცოლზე წუხილსაც რომ მოჰყავდა იმათთან იგი, დაკარგულ სამოთხესავით რომ ელტვოდა იქაურობას, ბრმად, ალალბედზე, რის გამოც, მეტნაკლებად, თვითონაც დამნაშავეებად გრძნობდნენ თავს მის წინაშე (ისევ თავიანთი სიკეთისა თუ სისულელის გამო) და დანაშაულის ეს გრძნობა აიძულებდათ ალბათ, უსიტყვოდ, უსასრულოდ მოეთმინათ იმისი მოულოდნელი და, ცოტა არ იყოს, თავხედური გამოცხადებები. შუაღამისას, ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავებდა ჭიშკარი, აღარც კი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ვინ შეიძლება იყოს ასე გვიანო, და ფაცაფუცით იცვამდნენ, ფეხზე რომ დახვედროდნენ თავიანთ მარადიულ სტუმარს, ბედისწერასავით გარდაუვალს, მოუშორებელს. გათენებამდე იჯდა ხოლმე დიდ ოთახში, ფეხი ფეხზე გადადებული, ოჯახურ სითბოს, სიმყუდროვეს დანატრებული, ხან დასაკლავი პირუტყვივით სევდიანი, აწრიალებული, ხან კი — ქარივით დაუდგრომელი, დაუოკებელი. მაგრამ ყველაფერს აიტანდა კაცი, და თავად თბილისელი მსახიობისთვისაც აჯობებდა, მხოლოდ მსახიობი რომ ყოფილიყო და მსახიობის დიდებით დაკმაყოფილებულიყო. მსახიობი მართლაც დიდებული გახლდათ, ცალ მუხლზე რომ დაიჩოქებდა და ხმაათრთოლებული დაიწყებდა: დედაო ღვთისა, ეს ქვეყანა შენი ხვედრიაო, რა დასამალია და, დიმიტრისაც ჟრუანტელი დაუვ-

ლიდა ხოლმე ტანში. მაგრამ გრძნობების აყოლა სცენაზეა კარგი და არა პოლიტიკაში. პოლიტიკაში საკმაოდ მოიკოჭლებდა, სტუდენტივით მსჯელობდა, "კავკასიელთა წრის" წევრებს ახსენებდა დიმიტრის, იმათ იცოდნენ ასე, რაღაცას მოჰკრავდნენ ყურს და ეგონათ, მარტო ჩვენ გვხვდა ამგვარი პატივიო; ნათხოვარი წიგნის ორ გვერდს წაიკითხავდნენ ძილის წინ და მეორე დღეს თავს გადაგჭამდნენ. კი ბატონო, ქვეყნის ხსნა კეთილშობილური საქმეა, მაგრამ გზა ხსნისა მრავალნაირია; ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, არც შენი მოსაზრება აღმოჩნდეს ერთადერთი. მეფის სიკვდილი მეფეს შობს. "ვინც მეფეს ებრძვის, ისიც მეფეაო" — იტყოდა ხოლმე თბილისელი მსახიობი და მაშინვე პიანინოს მიუჯდებოდა, თითქოს დიმიტრის დაეწყო ამ თემაზე საუბარი და არა თვითონ. დიმიტრის კი, უკვე აშლოდა ლაპარაკის საღერღელი და თავს ვეღარ ერეოდა. "დიახ, მარადიულია თესლი მეფობისა! — ლამის ყვიროდა გაბრაზებული. — მარადიულია, რადგან სულერთია იმისთვის, ვის სულში აღმოცენდება: მებაღისა, მეჯინიბისა, კაპრალისა თუ მსახიობისაო". თბილისელი მსახიობი კი, პიანინოზე უკრავდა, თითქოს დიმიტრის ჯიბრით, დიმიტრის გასაბრაზებლად, და მიზანსაც აღწევდა. დიმიტრის აზრით, მეფის (გინდაც მეფეთა) მოსპობით, ისევე არ ისპობოდა მეფობა, როგორც ყანის აღებით პური. "ხოლო რაც შეეხება "გმირს", ანდა როგორც თქვენ უწოდებთ, "ქვეყნის მხსნელს", მე თუ მკითხავთ, შემთხვევითი, არაკანონზომიერი მოვლენაა; გამწარებული ხალხი წამოისვრის ხოლმე, უცენზურო სიტყვასავით, რაც მერე თავადვე უხდება სანანებლადო" — ამბობდა დიმიტრი, მაგრამ თბილისელ მსახიობს არც ესმოდა მისი ნალაპარაკევი, პიანინოსთან იჯდა და თავაღერილი მღეროდა: მოვა ჩემი საყვარელი, მე დავხვდები თავშიშველი, ლა, ლა, ლა ლა... მერე უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, გაჩუმდებოდა, თითები კლავიშებზე შეეყინებოდა და როდისროდის იტყოდა: რასაც შენ ამბობ, ჩემო დიმიტრი, პირწავარდნილი ქართული ფილოსოფიაა, ქართული ბედოვლათობის გასამართლებლად გამოგონილიო. ასე იყო თითქმის ყოველ ღამე. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მა-

ინც იცრიცებოდა წყვდიადი. ჯერ აქაიქ, გაუბედავად, თითქოს ხმების მოსასინჯად, აჟივჟივდებოდნენ ჩიტები; მეთევზეები თავიანთ ნავებთან აფუსფუსდებოდნენ, აჩქარდებოდნენ, ხელიდან რომ არ გაეშვათ დილის თევზი. ცხენების სადგომიდან თბილი ჩონჩორიკის სასიამოვნო სუნი გამოდიოდა. ხვიხვინფრუტუნით იღვიძებდნენ ზეზეურად მძინარე ცხენები. ყრუდ აბაკუნებდნენ ფლოქვებს ნამჯით მოფენილ მიწაზე. ბარცხანიდან, კახაბერიდან, ჭაობიდან გუნდგუნდად მოისწრაფოდნენ მუშები თავიანთი ქარხნებისკენ. ნელნელა, თანდათანობით გამოდიოდა ქალაქი წყვდიადიდან, როგორც ნაყოფი საშოდან. ინაკვთებოდნენ, იკვეთებოდნენ სახლები, პორტში გალურსული გემები. მხრებზე ხალათმოგდებულ მეძავს ლამის მუჯლუგუნებით მიჰყავდა კარისკენ უჟმურად გამოფხიზლებული, გუნებაწამხდარი და უკვე მონანიე მუშტარი; გზადაგზა ფაცაფუცით უხსნიდა, როგორ გაეღწია აქედან, ღამით, სიბნელეში, სიმთვრალით მოსულს. ახალი დღე იბადებოდა. დიმიტრისთვის კი, ახალი სადარდელი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეშინოდა თბილისელი მსახიობისა, უფრო მყარად, უფრო საფუძვლიანად, ვიდრე თავიდან, გაცნობის დღეს შეეშინდა. სხვა თუ არაფერი, ვექილი იყო და არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, ხელისუფლება კარგი თვალით რომ არ უყურებდა მის მარადიულ სტუმარს, რომელსაც იმდენი უკვე მოესწრო, აქამდე სამგზის უკრავდნენ ციმბირში თავს, სხვა რაღაცაში რომ არ ყოფილიყო საქმე. თბილისელ მსახიობს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნიჭის გამო არ ზოგავდნენ, აქაოდა, რაკი მსახიობი ხარ და თანაც ასეთი სახელოვანი, ყველაფერი გეპატიებაო. ასე რომ ეფიქრა დიმიტრის, სულელი იქნებოდა და არა მშიშარა. უბრალოდ, ხელისუფლება თავისი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ხოლო იმ გეგმაში, დიმიტრის ღრმა რწმენით, თბილისელ მსახიობს დიდი ხნის წინ ჰქონდა ჯვარი დასმული, როგორც იმპერიისთვის არასაიმედო პიროვნებას. საამისოდ მისი პირველი წარმოდგენაც კმაროდა (წარმოდგენა თუ ერქვა იმას), იმოდენა ხალხი ორმოში რომ ჩააყენა, როგორც იოანე ნათლისმცემელმა — მდინარეში. მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ისაა, ძა-

ლაუნებურად, დიმიტრიც იმისი “ნათლული” რომ გამოდიოდა, ძალაუნებურად, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხათრიანობის გამო, დიმიტრიც განსაცდელში რომ იგდებდა თავს (აკი ერთხელ გააფრთხილა კიდეც მოხუცმა ყაჩაღმა! თავად მეორე დღეს სახრჩობელაზე უნდა ასულიყო, გული კი ვექილზე შესტკიოდა, თითქოს თავისი სიკვდილი გაცილებით იოლი ამბავი იყო, ვიდრე ვექილის სიცოცხლე — ეს დღეები სულ შენ გიყურებდი და, რაღა დაგიმალო, ძალიან შემეცოდეო; ახლა ისეთი დროა, რამენაირად თუ არ გამოიცვალე ხასიათი, სხვას კი არა, საკუთარ თავსაც ვერ დაიცავო. გაანათლოს ღმერთმა! ლამაზი, დარბაისელი მოხუცი იყო. ზეპირად რომ არ სცოდნოდა იმისი “საქმე”, ვერაფრით დაიჯერებდა, კაცის მოკვლა თუ შეეძლო იმას. ასეთი ხალხი ჰყავდათ ალბათ ადრე მეფეებს მრჩევლებად და ვეზირებად. თითქოს ცემენტის საკანში კი არა, საკუთარ ციხედარბაზში იჯდა და გამოსამშვიდობებლად, ბოდიშის მოსახდელად მოსულ ვექილს კი არ ელაპარაკებოდა, საკუთარ მოურავს აძლევდა ყოველდღიურ დავალებას. გაანათლოს უფალმა!). მართალია, თბილისელი მსახიობი ყოველთვის ისეთ დროს დაადგებოდა ხოლმე თავზე, როცა წყალსაც ეძინა და ეშმაკსაც, მაგრამ ხელისუფლება იმიტომაა ხელისუფლება, წყალზეც და ეშმაკზეც ფხიზლად ეჭიროს ყური და ყოველთვის უშეცდომოდ იცოდეს, ვისი ჭიშკარი წკავწკავებს, ქვანასროლი ძაღლივით, ნებისმიერი სტუმრობისთვის ასე შეუფერებელ დროს. მაგრამ დიმიტრი დარიასთანაც ვერ ბედავდა ამის თქმას. არა მარტო რცხვენოდა დარიასი — შუაღამისას, ჭიშკრის დაწკავწკავებაზე, მერცხალივით რომ წამოფრინდებოდა ხოლმე საწოლიდან, თითქოს მამა გასცოცხლებია, ანდა მამაზეციერი მოსდგომია კარზეო — უბრალოდ, იმდენად იყო დაშინებული, შიშს შიშში ემალებოდა, იმასღა ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს, დარიასავით, ვერც ის ხვდებოდა, თავადაც დამნაშავის სახეს რომ იღებდა იმავე ხელისუფლების თვალში. როგორც კი ამას გაიფიქრებდა, სირაქლემასავით, მაშინვე შიშის სილაში წაჰყოფდა ხოლმე თავს, და ასე გრძელდებოდა მთელი წელი, მთელი წელი იძულებული იყო

კვერცხი ეგორებინა იმისთვის, ვისთვისაც საერთოდ არ უნდა გაეღო კარი, ანდა მაშინვე მიეხურა, როგორც კი საფრთხე იგრძნო. კამათი კი არ უნდა გაემართა მასთან, თანაც მიკიბულმოკიბულად — პირდაპირ და გარკვევით უნდა ეთქვა: არ მაინტერესებს, ბატონო, არც შენი მამულიშვილური ვნებები და არც შენი მსახიობური მისწრაფებებიო. და მართლაც, რა სჯიდა დიმიტრის, ან რაში აინტერესებდა, რის დადგმას აპირებდა თბილისელი მსახიობი, ანდა რომელ როლზე ოცნებობდა. რატომ უნდა გაეტეხა ღამე იმის გასარკვევად, მსახიობები ნამდვილად წმინდანები იყვნენ (როგორც ერთ დღეს ამბობდა თბილისელი მსახიობი), თუ გამოუსწორებელი ლოთები, უწესოები და უმაქნისები (როგორც მეორე დღეს ამბობდა თვითონვე); ანდა, ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა შეეცხადებინა შუაღამისას, ხელისუფლება სიკვდილის მერეც უნდობლობით თუ უყურებდა ყაზბეგს, არ აფასებდა, ძეგლს არ უდგამდა, როცა ყაზბეგმა სიცოცხლეშივე თქვა უარი ყველაფერზე, სიცოცხლეშივე უარყო ის, რის გამოც შეეძლო ხელისუფლების პატივისცემა დაემსახურებინა. ამიტომაც, რასაკვირველია, მკვდარიც უნდობლობას იწვევდა. "იციან ყაზბეგის ძალა. მკვდარსაც ებრძვიანო" — გაიძახოდა საკუთარი მიხვედრილობით ბავშვურად გახარებული თბილისელი მსახიობი და ისევ აგრიალებდა პიანინოს. სანთლის ალი კედელზე დაკიდულ სურათებს ელაციცებოდა და სურათის ბინადრებსაც ისეთი შემცბარი და გაკვირვებული სახეები ედოთ, თითქოს ისინიც ეს წუთია წამოუყრიათ საწოლებიდანო. თბილისელი მსახიობი წარსულსაც უფრთხობდა დიმიტრის. თუმცა, საცა სამართალია, არც თვითონ ჰქონდა ცხოვრება დალაგებული. უცებ ისეთი რამ გამოუხტებოდა ხოლმე — თეატრში იატაკის აყრისა არ იყოს — კაცს მოფიქრებაც კი გაუჭირდებოდა. მარცხიანი კაცი იყო და მარცხი ედო საფუძვლად იმის დიდებასაც. თავის პირველსავე წარმოდგენაზე მაყურებელზე მეტი არც იმას გაუკეთებია, ისიც ორმოში იდგა სხვებთან ერთად, ვიდრე თეატრის პატრონი და პოლიცმეისტერი ხალხს ებოდიშებოდნენ სცენიდან, მეორე დღეს კი, უკვე მთელმა ბათუმმა იცოდა იმისი სახელი, როგორც უსამართლო-

ბის მსხვერპლისა და სამართლიანობისთვის მებრძოლისა. მაგრამ შენ რომ მსახიობი ხარ, მსახიობობას უნდა დასჯერდე, შენი ნიჭი ხალხის გაადამიანებას, განათლებას უნდა მოახმარო და არა ხალხის კიდევ უფრო გაპირუტყვებასა და გაგიჟებას. ხალხი შენს წარმოდგენაზე გასართობად, დასასვენებლად, თუნდაც გასანათლებლად მოდის და არა სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად. ხოლო შენ, თუკი შენს მსახიობობას, შენს ნიჭს, კიდევ სხვა, ქვენა მიზნებისთვის იყენებ, ნუ გეწყინება და, ძალაუნებურად, ბოროტების სამსახურში დგები, ეშმაკს უამხანაგდები, ანდა სულაც იმ ხარბი ბრიყვივით გემართება, ორი კურდღლის დაჭერა რომ მოინდომა ერთდროულად, და ამიტომ, ორივე სამუდამოდ გაუშვა ხელიდან, ანუ თეატრსაც საფრთხეში აგდებ, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არ ესიამოვნება, საზოგადოების თავშესაყარი, საზოგადოების გასართობად გამიზნული დაწესებულება შეთქმულთა და მეამბოხეთა ბუნაგად გადაუქციონ, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებ იმას (როგორც ქარი — ცეცხლს), ვისი მოსპობაც შენი პატარა ჭკუით ასე განგიზრახავს, ასე თუ ებრძვი ანდა ასე თუ ელტვი მეფობას. თუმცა საამისოდ, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერი საშუალება თანაბრად მისაღებია, თუნდაც ხალხის ორმოში ჩაყენება, იმავე ხალხის გასაღიზიანებლად, გასამწარებლად და მერე იმის დასამტკიცებლად (რა თქმა უნდა, გაღიზიანებული, გამწარებული ხალხისთვის), ტახტზე მჯდომი რომ უფრო ცუდია, ვიდრე ტახტზე დაჯდომის მსურველი, რაკი პირველმა თეატრში იატაკი აუყარათ, სინათლე ჩაუქროთ, ხოლო მეორემ, მიუხედავად უიატაკობისა და უსინათლობისა, მაინც გაუმართათ "წარმოდგენა", ხახამშრალნი, გაბითურებულნი რომ არ გაბრუნებულიყვნენ შინ. "გული ცუდს მიგრძნობსო" — კი იძახოდა დარია, მაგრამ ვინ დაუჯერა. მისი მეუღლე კეთილშობილების, თანაგრძნობის, გულისხმიერების გამომჟღავნების ჟინს შეეპყრო და პროფესიული მაღალფარდოვნებითა და ბრტყელსიტყვაობით უმტკიცებდა, მათი ოჯახისთვის უკადრისი საქციელი რომ იქნებოდა დაპატიჟებაზე უარის თქმა, ცხვირის აბზუება ჯერ კიდევ დასამკვიდრებე-

ლი ხალხისთვის, რომლებისთვისაც, შეიძლება, ჭერზეც, პურზეც და წყალზეც მეტს ნიშნავდა ყოველი ახალი ნაცნობი. მერე რა მოხდა? რა იმათი მამიდა იყო დიმიტრი? ან რა იმათი ამხანაგი? რაკი ოთახი არ მიაქირავა (როდის აქირავებდა, ან რატომ უნდა მიექირავებინა მაინცდამაინც იმათთვის ოთახი?), აღარც დაპატიჟება უნდა მიეღო, დატეულიყო შინ, როგორც დარია ურჩევდა, და მაშინ ვეღარც ისინი მისცემდნენ თავს ამდენის უფლებას, მეტი მორიდება, მეტი პატივისცემა ექნებოდათ და მეორე თეატრად არ გაიხდიდნენ იმის ოჯახს. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო თავში ხელის ცემა და კბილთა ღრჭიალი, ახლა ლა, ლა, ლა უნდა ეძახა თვითონაც და გალანძღული დროშის, დაკნინებული სულისა და გადახნული საფლავების სადღეგრძელო ესვა, ვიდრე მეზობელ ეზოში, ქვითკირის ღობის გადაღმა, გოდორში დამწყვდეული მამალი დაიყივლებდა ხრინწიანად, ყივანახველიანი ბავშვივით. დიახაც, დააგვიანდა. უკვე ორმოში იდგა, როგორც ეშმაკის ვალში, და ჯერ კიდევ საკითხავია, საერთოდ ამოვიდოდა თუ არა იქიდან. ვერ გამოიცვალა ხასიათი და იმიტომ; ხათრიანი მხდალი ბრძანდებოდა და იმიტომ; ერთს ამბობდა და მეორეს აკეთებდა; სიტყვით მოთმინებას ქადაგებდა, ორმოში კი პირველი ჩავარდა. “მეშინია, მეშინიაო” — იმის მაგივრადაც იძახდა თვალცრემლიანი დარია. ჯერ კიდევ ჩაუცმელი, ჯერ კიდევ მოსაწყობი, ის კი, ხათრიანი მხდალი, უკვე სათეატროდ გამოწყობილი (სხვათა შორის, ის ერთი ხელი ტანსაცმელიც თავის სისულელეს შესწირა, მტვერსა და აბლაბუდას შეაჭამა), მთელი საათი ბრიყვივით უხსნიდა (თითქოს იმ დღეს პირველად უნდა წასულიყო დარია თეატრში), არაფერია საშიშიო; სცენაზე გათამაშებული ამბავიც ისევე შორსაა სინამდვილისაგან, როგორც ბათუმი ოდესისგანო. იცით, კიდევ რატომ? ადამიანს იმდენად ეშინია ბოროტებისა, განუსჯელად დაექვემდებარება ხოლმე, როცა სიკეთეს ათასჯერ აწონის, გაზომავს, გემოსაც გაუსინჯავს, ხომ ნამდვილად სიკეთეაო. დიმიტრიც ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და ისიც განუსჯელად დანებდა ბოროტებას, თუმცა, ღმერთირჯული, ქუჩაში გამოსვლისთანავე მიხვდა, სისულელეს

სჩადიოდა. ქუჩებში ისეთი საზეიმო განწყობილება სუფევდა, ისეთი უჩვეულო, ისეთი თვალშისაცემი, გამომწვევი, თითქოს ჯიბრიანიც — დიმიტრის კი არა, ბავშვსაც არ გაუჭირდებოდა მიხვედრა, კარგი არაფერი მოჰყვებოდა ამ ამბავს. წყლის გამყიდველი ბიჭებიც შემაშ-ფოთებელი თავგამოდებით გაჰყვიროდნენ: დღეს თეატრში ქართუ-ლი თეატრიაო; თითქოს პირველად იმართებოდა ბათუმში ქართული წარმოდგენა, თითქოს ბათუმში სხვა თბილისელი მსახიობი არასო-დეს ჩამოსულიყოს, თუნდაც იმავე დიმიტრის დედის მოწვევით. თე-ატრის წინ ხომ ნემსი ვერ ჩავარდებოდა. ბილეთს სანთლით ეძებ-დნენ. ხალხი კი, მაინც მოდიოდა და მოდიოდა, ფეხითა თუ ეტლით. კბილდაკრეჭილი, თავაღერილი ცხენები ძლივს მიარღვევდნენ ხალ-ხის ზღვას. გაცოფებული, ფეხზე წამომდგარი მეეტლეები ერთმანეთ-საც აგინებდნენ, ცხენებსაც, ხალხსაც და თეატრსაც, თითქოს თავი-ანთი ცხენებიანეტლებიანად, სადაცაა უნდა ჩანთქმულიყვნენ ხალ-ხის ჭაობში, და ერთი სული ჰქონდათ, როდის გაეცლებოდნენ ამ სა-ხიფათო ადგილს. თეატრიდან კი, მართლაც ავის მომასწავებლად, ბოლქვაბოლქვა გამოდიოდა მოწითალო მტვერი, გეგონებოდათ, ცეცხლი გასჩენიაო. ხალხიც მტვერს გადაეწითლებინა. ყელკისერ-მოშიშვლებული ქალები გაშლილ მარაოებს პირზე იფარებდნენ და იმის მაგივრად, მეეტლეებისა არ იყოს, თავიანთი კაცებიანად, უკან მოუხედავად გასცლოდნენ აქაურობას, რაკი თეატრის პატრონს უკვე განემარტა იმათთვის — საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნამდვი-ლად რომ აეყარათ თეატრში დამპალი იატაკი, ჯიუტად არ იცვლიდ-ნენ ფეხს, თითქოს მათი სიჯიუტე სასწაულს მოახდენდა, თითქოს არ გამართლდებოდა თეატრის პატრონის ნათქვამი, ანდა თითქოს ერთ წუთში დააგებდა ვინმე ახალსა და საიმედო იატაკს. თუმცა, რა გასაკ-ვირია, ასე "უბრძოლველად", ასე "უსახელოდ" რომ არ ეთმობოდათ "ბრძოლის ველი", როცა, ვინ იცის, რა მღელვარებით, რა ნეტარებით ელოდებოდნენ დღევანდელ დღეს, რათა ერთხელ კიდევ დაეხეთქათ ერთმანეთისთვის გულები — საფრანგეთიდან, იტალიიდან თუ ჰო-ლანდიიდან გამოწერილი კაბებით, ალმასის საყურეებით, ბრილიან-

ტის ბეჭდებითა და მარჯნის ყელსაბამებით. მე შენ გეტყვი, განებივრებულნი იყვნენ სანახაობებით, აღარ იცოდნენ, როდის რითი გაერთოთ თავი და გული გაწყალებული არ ჰქონდათ ვეზირიშვილის დოლების ბრაგაბრუგით. ახლა კი — დიდი ბოდიში, მაგრამ ამჯერად ტყუილად გარჯილხართ, ქალბატონო, წარმოდგენა არ შედგებაო. რას ჰქვია, არ შედგება? რას ჰქვია, არ შედგება?! შენ მაინც გაგვაგებინე, გენაცვალე, რა ხდება, რაშია საქმეო — აქეთიქიდან ეხვეოდნენ თბილისელი მსახიობის მეუღლეს. ის კი, პასუხად, მხრებს იჩეჩავდა და იღიმებოდა, ალბათ უკვე გაქცევაზე ფიქრობდა და სრულებითაც აღარ ენაღვლებოდა აქაურობა. მაგრამ სწორედ ამ დროს, მისი ქმარი ეტლის კოფოზე შეხტა, მეამბოხესავით აღგზნებული, გადაფითრებული და იქამდე ილაპარაკა (ლაპარაკი, იცოცხლე, ეხერხებოდა), ვიდრე თავისი არ გაიტანა, ვიდრე ხალხის მღელვარება მისთვის საძულველი (თუ სანატრელი?) ტახტისკენ არ მიუშვა, როგორც ტლუ, შეუგნებელი, გულღრძო გლეხი მიუშვებს ხოლმე წვიმის ნიაღვარს გადამტერებული მეზობლის ბოსტანზე. “მართალს ამბობს. მასხრად გვიგდებენ. ძაღლებადაც აღარ გვთვლიანო” — გაიძახოდნენ ლურჯხალათიანი მუშები და არა მარტო მუშები, ყველანი ერთნაირად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, ხოლო შეურაცხყოფილნი, უფრო იოლად იჯერებდნენ, მართლა მათი უპატივცემულობით, მათი აბუჩად აგდების მიზნით რომ აეყარათ თეატრში იატაკი, მაინცდამაინც დღეს. “მაინცდამაინც დღეს დალპა?” “მაინცდამაინც, დღეს უნდა გამოეცვალათ?” ყურთასმენა აღარ იყო. ზოგი ქალაქის თავს აგინებდა, ზოგი პოლიცმეისტერს, ზოგი — ორივეს ერთდროულად: ერთი ცარიელი ადგილია, მეორე კი კონტრაბანდისტებისა და ქურდბაცაცების დამქაში, და იმიტომაცაა, ყოველ ნაბიჯზე ათასი საშინელება რომ ხდება ჩვენს ქალაქშიო; ღამე ქუჩაში ვერ გამოვსულვართ, ბაღში სკამზე ვერ ჩამოვმსხდარვართ, რადგან, ღმერთი თუ შეგვეწია და ცოცხლები გადავრჩით, დედიშობილას გამოგვაძუნძულებენ იქიდან, როგორც ადამს ედემიდანო. ხოლო როცა თბილისელმა მსახიობმა ეტლის კოფოდან გადმოსძახათ: თუ ფეხზე დგომას არ ითაკილებთ,

ჩვენ, მსახიობები, მზადა ვართ, იატაკაყრილ თეატრშიც მოგემსახუროთო, ახლა ამაზე აყაყანდნენ — ზოგი ფულის დაბრუნებას მოითხოვდა, ზოგი — თეატრის საერთოდ დახურვას: როდემდე უნდა გავამასხრებინოთ თავი ამ ყალთაბანდ მსახიობებს, მთვრალები რომ გამოდიან სცენაზე და ორი სიტყვა ვერ გადაუბამთ ერთმანეთზეო (ყველაფერს იკადრებენ, ბატონო, ფული რომ არ დააბრუნონ. მე კი, სულელი თუ არა ვარ, რატომ უნდა ჩამოვწყდე ფეხზე დგომით და რატომ უნდა ვყლაპო მტვერი და აბლაბუდა?). მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უბრალოდ აინტერესებდათ, როგორ გამოიყურებოდა იატაკაყრილი თეატრი და ისიც ერთ სიამოვნებად ღირდა, შენი თვალით რომ ნახავდი, როგორ ამოიგანგლებოდა მტვერში საგანგებოდ მორთულმოკაზმული ამოდენა ხალხი. დიდი იყო "მსხვერპლის გაღების" სურვილიც. ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო — ტყუილად კი არ დაიყვირა ეტლის კოფოდან თბილისელმა მსახიობმა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ხელოვნება ხელოვნისგან მოითხოვს მსხვერპლს და არა ხალხისგან, მაგრამ თბილისელმა მსახიობმა იცოდა, რას ამბობდა, სად ამბობდა და ვისთან. იცოდა, როგორ ემოქმედა ხალხის გრძნობებსა და პატივმოყვარეობაზე. იცოდა, ერთი დასტვენა რომ უნდა ხალხს, და მართლაც, ჯერ გაუბედავად დაიძრნენ, ზანტად, ზოზინით, მერე კი — გარეთ არ დავრჩეთო — ლამის შეამტვრიეს თეატრის კარი.

დარბაზში უზარმაზარ ორმოს შავად დაეღო პირი. ორმოს ფსკერზე ნიჩბები და წერაქვები ეყარა. გვერდითა ლოჟებიდან იატაკის აყრილ ფიცრებს ამოეშვირათ მიწიანი ბოლოები. ჩამქრალი, ჩაქუფრული ჭაღი ისე ეკიდა ორმოს თავზე, თითქოს იმისთვის ამოეთხარათ ორმო, თითქოს ის უნდა ჩანთქმულიყო შიგ, როგორც კუბო — სამარეში. ხალხი ერთმანეთს ხელს აშველებდა, ერთმანეთს აწყდებოდა და სიცილით, გინებით, წყევლითა და ტანსაცმლის ფერთხვაფერთხვით იკავებდა ადგილს ორმოს ფსკერზე. ორმო ნელნელა ივსებოდა. ქალები წიოკობდნენ. ორმოში ჩასვლა იმათ უფრო უჭირდათ, თავიანთი გრძელი კაბების გამო, მაგრამ მაინც არ კარგავდნენ კეკლუცო-

ბის ხალისს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მოხდენილად დაყრდნობოდნენ ქვემოდან შემოშველებულ ხელს. ზომაზე მეტად აწეული კაბის კალთიდან ხან ჩამოქნილი, თვალწარმტაცი, ხან კი ცომივით გაფუებული წვივი გამოკრთებოდა ხოლმე. ჰაერში შმორის სუნი იდგა. აბლაბუდის ნაკუწები დაფრინავდნენ. უზარმაზარი, ჭრელი პეპლებივით ფარფატებდნენ მარაოები, მაგრამ ჰაერი უფრო და უფრო გუბდებოდა, იზინთებოდა, იოფლებოდა და უფრო და უფრო ძნელდებოდა თავის შეკავება, ზრდილობისა და ქცევის წესების დაცვა: უხეშად ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს, გაგულისებულნი, ამრეზილნი, გაბოროტებულნი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონვე იყვნენ დამნაშავენი, ამ დღეში რომ ჩაეგდოთ თავი, ასე რომ გაპამპულებულიყვნენ ერთმანეთის თვალში. მაგრამ რაკი გაპამპულებულიყვნენ, რა თქმა უნდა, ერჩიათ, ბევრი ყოფილიყო მათნაირი პამპულა. კიდევ უფრო მჭიდროვდებოდნენ, სხვისთვისაც რომ მოეცალათ ადგილი, მეტნი დატეულიყვნენ, მეტნი კი არა, ყველანი, მთელი ქალაქი, მთელი საქართველო, მთელი იმპერია, მთელი კაცობრიობა. ორმოდან თავებიღა მოუჩანდათ. ორმო კი ქოთქოთებდა: რა გვიყვეს ამ ოხრებმა, ცოცხლად დაგვამარხვინეს თავიო. დრო გადიოდა და თანდათანობით წყვდიადში იძირებოდა იქაურობა. გვიან მიაქციეს ყურადღება, სინათლე რომ არ ენთო არც დარბაზში (უფრო სწორედ — ორმოში) და არც სცენაზე. “სინათლე” — თითქმის მაშინვე დაიყვირა ერთნაირად შეშფოთებულმა რამდენიმე ხმამ. მერე მთელი ორმო კარგა ხანს ყვიროდა ერთხმად: სინათლე, სინათლე, სინათლეო, სანამ გაუჩინარებული ფარდა შხუილით არ გაიხსნა, თითქოს წყვდიადი გაიფხრიწაო, და სცენაზე სანთლის ალი არ გამოფარფატდა. ორმო გაისუსა. ცნობისმოყვარე, მოუთმენელი დუმილი ჩამოვარდა უცებ. სანთლის ალი სცენის კიდესთან შეჩერდა, ადგილზე უფრო გამალებით აპარპალდა და თბილისელი მსახიობის გამეხებული სახე გაანათა. ორმომ ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა და დაუძახა: რას გვეტყვი ახალსო. თვითონვე გაეცინა თავისსავე შეკითხვაზე. ხოლო თბილისელი მსახიობი თუ თბილისელი მსახიობის

სახე — რამდენადაც მხოლოდ მისი სახე მოჩანდა, ისიც მკრთალად — არც შერხეულა, მყარად დუმდა, და ორმოც ძალაუნებურად ჩაწყნარდა, რადგან ძალიან აინტერესებდა, მართლაც და, რა უნდა ეთქვა ახალი ამ თავგზააბნეულ კაცს. "კარგს ვერაფერს გეტყვით, ბატონებო, — თქვა ბოლოს თბილისელი მსახიობის სახემ. — სინათლე გამოგვითიშეს. თეატრში კი სანთლის მარაგი არ ჰქონიათ. მაგრამ, საბედნიეროდ, ხმა სიბნელეშიც ისმის. — საცოდავად გაიღიმა, თითქოს ნაძალადევად, თითქოს ვიღაცას გამოაჯავრა. — ასე რომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ჩვენ სიბნელეშიც შეგვიძლია ვითამაშოთ". "რა თავს იგდებ, ვიღაცა ხარ!" — უხეშად გააწყვეტინა ორმომ. "ჩემი ესე მოძღვრება არა არს ჩემი, არამედ მომვლინებლისა ჩემისაი" — კიდევ უფრო საცოდავად გაიღიმა თბილისელი მსახიობის სახემ. თითქოს ლაპარაკი უჭირდა და თვითონაც არ უკვირდებოდა, რას ლაპარაკობდა; თითქოს სანთლის ალი წვავდა და ტკივილისგან ბოდავდა. "ვინ მოგავლინა, იმ ჩვენი ცოდვით სავსემ?!" — დაუძახა ორმომ ღვარძლიანად. "თქვენ! — იყვირა უცებ თბილისელი მსახიობის სახემ. — თქვენ!" — გაიმეორა ერთხელ კიდევ, ისეთი სიმტკიცითა და სიჯიუტით, ორმოს კარგა ხანს გაუჭირდა შეპასუხება. დიმიტრიც დაიძაბა. იგრძნო, როგორ გაეოფლა ზურგი. ცალი ფეხი ბარის ტარზე ედგა, წარამარა უსხლტებოდა, თანაც მკლავზე დარია ეკიდა და ყოველნაირად ცდილობდა, გაუნძრევლად მდგარიყო, არ წაერთმია დარიასთვის მკლავი. დარიაც წყვდიადს შთაენთქა, მაგრამ მაინც გრძნობდნენ ერთმანეთს, მაინც ერთნი იყვნენ და ერთმანეთის მეშვეობით ინარჩუნებდნენ წონასწორობას სიბრიყვის ამ ქაოსში. ერთი ნავი იყო, მეორე — ღუზა; უფრო სწორად, ორივე ერთდროულად ნავიც იყო და ღუზაც: საკუთარი თავისთვის — ნავი, მეორისთვის კი — ღუზა. ნავი და ღუზა. ღუზა და ნავი. ღუზა ფსკერზე, სილაშია ჩაფლული. ნავი წყლის ზედაპირზეა გაჩერებული. ერთმანეთს ვერ ხედავენ, მათ შორის მთელი სტიქიაა, მაგრამ მაინც ერთნი არიან, ერთად არიან, ჯაჭვით გადაბმულნი... ღმერთმა ნუ ქნას, ჯაჭვი გაწყდეს. ერთი სამუდამოდ ფსკერზე ჩარჩება, სილაში; მეორე — აქეთიქით უნდა

ეხეთქოს უკიდეგანო ზღვაზე. ღმერთმა ნუ ქნას. ასე რომ, ვიდრე სცენაზე თბილისელი მსახიობის სახე გამოვიდოდა, დიმიტრის კიდევ ჰქონდა იმედი, თეატრის ადმინისტრაცია რაღაცას იღონებდა და, ბოლოს და ბოლოს, დაადგებოდა საშველი მათ სასაცილო გაწამაწიას. დარიასთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდა, დამნაშავედ გრძნობდა თავს, რადგან მისი მიზეზით მოხვედრილიყო ისიც ამ გაწამაწიაში. იდგა და იცდიდა. თან უაზრო, დამქანცველი, გამაოგნებელი ბზუილიდან გამოსხლეტილი ცალკეული სიტყვების დამახსოვრებას ცდილობდა, ზეპირად რომ გაემეორებინა გონებაში, პირველიდან უკანასკნელამდე, არა თავისი მახსოვრობის შესამოწმებლად, არამედ თავსმოხვეულ სიბრიყვეზე ჯავრის ამოსაყრელად. დეპუტატი. გამკითხავი. კვაწარახით. მთავრინა. ხელმწიფემდე. გურულები. პარიზიდან. აქტრისებში. გვეტირება... — იმეორებდა უსასრულოდ, ჯიბრით, გამომწვევად. უაზრობას უაზრობით უპირისპირდებოდა და ერთგვარად ერთობოდა კიდეც, დრო გაჰყავდა. მაგრამ როცა სანთლის პატარა ალმა თბილისელი მსახიობის სახე გაანათა, ერთბაშად გაუქრა ყოველგვარი გართობის სურვილი. არასოდეს არ უნახავს ამგვარი სახე (არა ჰგავდა მიწიერსა). თითქოს ადამიანის სახე კი არ იყო, არამედ წყვდიადის წიაღში თავისთავად შექმნილი, წყვდიადის სუსხით გამკვრივებული ციური სხეული, იდუმალი, ამოუხსნელი, მიუწვდომელი სამყაროებიდან გამოღწეული, მაგრამ მაინც ადამიანური ტკივილების, სისუსტეების, მისწრაფებების ნაზავი, და ამიტომაც, ერთდროულად შემაძრწუნებელიცა და შესაცოდიც. სასწრაფოდ აარიდა თვალი. არც იმის დანახვა უნდოდა და არც იმისი ხმის გაგონება. ახლა თავს ატრიალებდა აქეთიქით და წყვდიადში ჩაკარგულ სახეებს აშტერდებოდა დაჟინებით, აბა, თუ ვიცნობ რომელიმესო. ასე კი იმიტომ იქცეოდა, თბილისელი მსახიობისთვის რომ არ დაეგდო ყური, ტანმა უგრძნო წინასწარ, რასაც იტყოდა ის, უფრო სწორად, რას იტყოდა იმისი სახე, არამიწიერი. “ამიტომ აგვიყარეს იატაკი. ამიტომ ჩაგვიქრეს სინათლეც...” — ამბობდა თბილისელი მსახიობის სახე. დიმიტრი კი წინ გადაიხარა, სიბნელეში დარიას ყური მოძებნა ტუჩე-

ბით და ჩასჩურჩულა: ჩვენს უკან საბა ლაფაჩი დგასო. თუმცა, თვითონაც არ იყო დარწმუნებული, მართლა თუ დაინახა საბა ლაფაჩი. უბრალოდ, ოფიცრის სამხრეებმა გაიელვა ერთი წამით წყვდიადში. ხომ შეიძლებოდა, დავით კლდიაშვილი ყოფილიყო? ანდა კიდევ სხვა? ქართველი ოფიცრების მეტი რაა ბათუმში. "თუ დავითია, ხვალ აუცილებლად დუელში გამოიწვევს თეატრის პატრონს, — გააგრძელა გუნებაში. — სულ ჩხუბზე უჭირავს იმასაც თვალი. რა გამოდის? არაფერიც არ გამოდის. ახლა ვინც რამეს ხვდება, ენას უნდა დააჭიროს კბილი, თორემ... თორემ, ძილში მოკლავენ. გმირი დაიძინებს და მკვდარს გამოეღვიძება. მშვიდობით, ცაფირუზ, ხმელეთზურმუხტო. თუ ასეა, მაშინ ცოდნა ბოროტება ყოფილა, — ნიშნი მოუგო საკუთარ თავს, უფრო სწორად, იმის სათქმელად გამოიწვია საკუთარი თავი, რისი თქმაც დიდი ხანია უნდოდა უკვე. — დიახაც! თუკი არ ვიცით, რას მოვახმაროთ ჩვენი ცოდნა. აბა ესაა სიკეთე?" — სცენისაკენ გაიქნია თავი. "საუკუნეა, ორმოში ვდგავართ, ბატონებო. დავობდით. მტვრად ვიქეცით..." — ამბობდა თბილისელი მსახიობის სახე. "ორმოში ჩვენ ვდგავართ. შენ სცენაზე ბრძანდებიო" — დაუძახა ორმომ და ისე გულიანად გაიცინა, წყვდიადში გალურსული ჭაღიც შეკრთა, შეინძრა, აჟღრიალდა. ვინმე თუ ეჯავრებოდა ახლა დიმიტრის, თბილისელი მსახიობი ეჯავრებოდა მხოლოდ. იმ წუთას პირველად იგრძნო, რას ნიშნავდა სიძულვილი, და საშუალება რომ მისცემოდა, ალბათ მხოლოდ იმ წუთას შეეძლებოდა სიტყვებით გამოეთქვა ეს გრძნობა, მთელი თავისი სიავკარგით. მაგრამ დიმიტრის დამთავრებულიც არ ჰქონდა ფიქრი, თბილისელმა მსახიობმა ფეხი რომ დაჰკრა სცენას და ორმოში გადმოეშვა. სანთელი ჰაერშივე ჩაუქრა. ერთხანს ყველანი ჩუმად იდგნენ, როგორც დამხრჩვლები ფსკერზე, მაგრამ მეორე წუთას ყურთასმენა აღარ იყო, ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, თავისას, თავისთვის. ზმუოდნენ, ყაყანებდნენ, ყვიროდნენ. გაოფლილი, გაღიზიანებული სხეულები უარესად იგლისებოდნენ ერთმანეთში. თითქოს მხოლოდ იმ სანთლის ალი აკავშირებდათ სამყაროსთან, უნარჩუნებდათ დროისა და სივრცის შეგრძნებას, და,

აქედან გამომდინარე, ერთმანეთისა და საკუთარი თავის პატივისცემასაც, მაგრამ რაკი ისიც ერთბაშად გაჰქრობოდათ ხელში, დროსაც მოწყვეტოდნენ და სივრცესაც, ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც. ოფლის, შმორის, გახრწნილი ნელსაცხებლის სუნით გაზინთულ წყვდიადს ყველასათვის ერთნაირად წაერთმია საღად განსჯის უნარი. მატლებივით ფუტფუტებდნენ, ერთმანეთში აზელილნი, ერთ ამაზრზენ, მრავალთავა, მრავალკიდურა არსებად, თბილისელი მსახიობის გადამყლაპავ, თბილისელი მსახიობით სტომაქდამძიმებულ არსებად ქცეულნი. თან უკანვე უნდოდათ იმისი ამონთხევა, თან კმაყოფილნიც იყვნენ ამგვარი მოულოდნელი ძღვენისა. და ისევ ხვნეშოდნენ, კვნესოდნენ, ღმუოდნენ. ყველას ერთნაირად ექავებოდა ენა, რამე ბილწის, უწმაწურის, უხამსის სათქმელად. არც აყოვნებდნენ. მთვრალი მეეტლე გამოფხიზლდებოდა სირცხვილისგან. გაოცებისგან მაინც. იმათ კი აღარაფრის აღარ რცხვენოდათ, თითქოს მართლა აღარაფერი არ არსებობდა ამ ორმოს გარდა; თითქოს ამ ორმოში გაჩენილიყვნენ და ამ ორმოში აღმოხდებოდათ სული; თითქოს რაკი არ ჩანდნენ, არც არსებობდნენ; თითქოს აღარასოდეს აინთებოდა სინათლე და აღარასოდეს შეაწუხებდათ ამ აქოთებულ წყვდიადში გადატანილის გახსენება. ვიღაცას ყელსაბამი შეაწყვიტეს. ვიღაცას კაბა შემოახიეს ტანზე. ვიღაცას გული შეუღონდა. მაგრამ, საცა სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ რაც არ უნდა ამაზრზენი, დამაკნინებელი და გამაბითურებელი ყოფილიყო წყვდიადში გატარებული დრო, როგორც არ უნდა დაემდაბლებინა ორმოში მდგარი ხალხი, ერთ სასიკეთო საქმეს მაინც აკეთებდა: შეიძლება ბუნდოვნად, სუსტად, შეუცნობლად, მაგრამ თანდათანობით მაინც ეუფლებოდა ორმოს ერთნაირობის დამაიმედებელი შეგრძნება და ნებისმიერი მოვლენის ერთნაირად აღქმის უნარი. სურვილიც. თბილისელი მსახიობის საქციელმა ერთი პირობა კი აუმღვრია ორმოს გონება, როგორც გუბეში ჩაგდებული ქვა აამღვრევს ხოლმე წყალს, მაგრამ მეორე წუთას იმასაც მიხვდა, დამარცხებული კაცის უკანასკნელი, თავგანწირული ნაბიჯი რომ იყო ეს და არა მსახიობური ფან-

დი, მის გასაბრაზებლად, ანდა მისი გულის მოსაგებად გამიზნული. თბილისელმა მსახიობმა უბრალოდ თავი შეაფარა ორმოს, როგორც უსახლკარო ლტოლვილმა — მონასტერს, და ახლა მხოლოდ მონასტერს უნდა გადაეწყვიტა იმისი ბედი, მხოლოდ შემფარებელსღა ეკითხებოდა, გაუგულისდებოდა — რაღა მაინცდამაინც მე მომადექიო — თუ ქომაგად დაუდგებოდა, როგორც მოიქცა კიდეც, რადგან, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თბილისელი მსახიობის ქომაგობა უკვე იგივე თავის დაცვა იყო, რამდენადაც უკვე თავის ოფლიან წიაღში ეგულებოდა იგი და, უნდოდა თუ არა, ესმოდა თუ არ ესმოდა იმისი, მაინც თავისიანად უნდა ჩაეთვალა: ერთად იყვნენ, ერთ ბედქვეშ, ერთ წყვდიადში. მაგრამ მრისხანება მაინც მრისხანებად რჩებოდა, ამჯერად საერთოდ უმისამართო და ამიტომაც უფრო ძნელად მოსარევი. ორმო შფოთავდა, გმინავდა, გუგუნებდა და რაიმე სადინარი რომ არ მიეცა თავისი მრისხანებისთვის, თანაც რაც შეიძლება მალე, ალბათ გული გაუსკდებოდა. წარმოდგენას ვიღა ჩიოდა, ანდა დაკარგულ დროსა და ფულს, სანთლის მომნათებელი, ხელის ჩამომწოდებელიც არავინ ჩანდა, ისევ რომ ამოსულიყო სამზეოზე. “როგორი ხალხიც ვართ, თეატრიც ისეთი გვაქვსო”, “რასაც ვთესავთ, იმას ვიმკითო” — იგესლებოდნენ უარესად. მაგრამ როცა სინათლე აინთო და თეატრის პატრონის თანხლებით სცენაზე პოლიცმეისტერი შემოვარდა — თითქოს ვიღაცას გამოჰკიდებიაო — ორმომ ისეთი სტვენა და ღრიანცელი ატეხა, ეტყობა, მართლა რკინისა იყო თეატრი, კიდევ ფეხზე რომ იდგა და უძლებდა. სტვენასა და ღრიანცელს ორმომ მთელი თავისი რისხვა, მთელი თავისი გაგულისება ამოაყოლა და მახვილივით დააძგერა პოლიცმეისტერს. ამის მიხვედრა არც პოლიცმეისტერს გასჭირვებია, უკანაც გადაქანდა უნებურად, მაგრამ მალე მოერია თავს და, მადლიერების ღიმილით სახეგაბადრულმა, მოწიწებით დაუკრა ორმოს თავი. ვიდრე ორმო ჩაწყნარდებოდა, ასე იქნევდა თავს; თან მუნდირის კალთებს იქაჩავდა ძირს, თითქოს მოულოდნელად დამოკლებიაო. ორმო უსტვენდა, ღრიალებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ სძლია გა-

გულისებას და თანდათან ჩაწყნარდა, გაილურსა, სმენად იქცა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი წარმოდგენა დაწყებულიყო, ბოლოს და ბოლოს; თითქოს პოლიცმეისტერი ნამდვილად პოლიცმეისტერი კი არ იყო, პოლიცმეისტერს თამაშობდა. პოლიცმეისტერმა პირი გააღო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ვერ მოზომა თუ ნერწყვი გადასცდა, ხველა აუვარდა. სანამ თეატრის პატრონი წყალს მიურბენინებდა, ღიმილი არ მოშორებია სახიდან; გაღიმებული ახველებდა. თეატრის პატრონი წყლის მოსატანად, რატომღაც, თითის წვერებზე გაიქცა, თითქოს ძლივს ჩაწყნარებულ ორმოს ჩასძინებოდა და შიშობდა, ძილი არ დავუფრთხოო. ორმომ გაიცინა. პოლიცმეისტერმაც მხარი აუბა ორმოს და გაქცეულს ხელი გააყოლა, ვითომ, შეხედეთ, მართლაც რა სასაცილოდ გარბისო. თან ახველებდა, თან იცინოდა. ისე ახველებდა, თითქოს იცინისო, და ისე იცინოდა, თითქოს ახველებსო. თეატრის პატრონი თითქმის მაშინვე შემობრუნდა, თითქოს წინასწარ იცოდა, პოლიცმეისტერს ხველა რომ აუვარდებოდა, თითქოს ასე ჰქონდათ წინასწარ გათვალისწინებული, და კულისებშიც წინასწარ დაეყენებინათ ვიღაცა, გამზადებული ჭიქით ხელში. ისევ თითის წვერებზე მორბოდა, სახე ორმოსკენ მოღრეცოდა და დაბნეული იღიმებოდა. ჭიქიდან წყალი ეღვრებოდა. თითქოს განგებ, შეგნებულად, ორმოსთვის რომ ეჩვენებინა, ნამდვილად წყალი მომაქვსო. ორმომ ისევ გაიცინა. აქაიქ, კანტიკუნტად, ტაშიც გაისმა. პოლიცმეისტერმა წყალი დალია, სული ჩაიბრუნა (წყალს ზურგშექცეული სვამდა), და ჯერ ჭიქა დაუბრუნა თეატრის პატრონს, მერე კი, მადლობის ნაცვლად, თითი დაუქნია, ვითომ შენი ბრალია, ანდა შენი თეატრისა, ხველა რომ ამივარდაო. ეს მუნჯური სცენაც მოეწონა ორმოს, გულიანად გაიცინა. პოლიცმეისტერმა ერთხელ კიდევ დაუკრა ორმოს თავი და ერთხელ კიდევ ჩაახველა, სალაპარაკოდ მოემზადა, მერე თვალი ჭაღს გაუშტერა, ხელები კი მუცელს ქვემოთ გადაიჯვარედინა, თითქოს ტიტველია და სასირცხოს იფარავსო. “ნუ გეშინინ, იოსებ” — გაეხუმრა ორმო. მაგრამ პოლიცმეისტერს აღარ მიუქცევია ყურადღება ამ უადგილო რეპლიკისთვის, ჭაღს შესცქეროდა, აზრის

ძაფი რომ არ გასწყვეტოდა და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, თუ როგორ განიცდიდა და როგორ არ იცოდა, რანაირად, რა სიტყვებით გამოეთქვა უფრო ნათლად თავისი გულისტკივილი ამ მართლაც რომ უმსგავსო და სამწუხარო შემთხვევის გამო, არა მარტო როგორც პოლიცმეისტერს, რომელიც ვალდებულიცაა, ემსახუროს საზოგადოებას, არამედ როგორც ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქესაც, ოღონდ სხვაზე არანაკლებ მოყვარულსა და პატივისმცემელს თეატრისა, რომელიც (სხვათა შორის) არა მარტო პირად დამსახურებად, არამედ საერთო ბედნიერებად თვლის, ბათუმშიც რომ არსებობს "სულიერი ცხოვრებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დაწესებულება", როგორიც თეატრი გახლავთ, და თუნდაც ამიტომ, უსამართლობა იქნებოდა და მეტი არაფერი, რაღაცის გამო, ვიღაცას თეატრის მტრად მოსჩვენებოდა იგი, რაც არანაკლებ დააღონებდა თურმე, ვიდრე საკუთარი შვილების უმადურობა. "სადაც ხეა, იქ ცულიცაა!" — ისევ დაუძახა ვიღაცამ ორმოდან, მაგრამ პოლიცმეისტერი არც ამჯერად წამოჰგებია ანკესს, ერთი კი გაიფიქრა, სწრაფად, ყოველ შემთხვევისთვის — ბარცხანელი იქნებაო — და ვითომც აქ არაფერიო, ისევ გააგრძელა თავისი საკმაოდ დაბნეული და გრძელი სიტყვა. ბოლოს ისე გამოიყვანა, ანდა ორმომ ისე გაიგო, თითქოს თეატრის პატრონს განზრახული კი ჰქონია თეატრში იატაკის აყრა, ისევ და ისევ მაყურებლის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ამის თაობაზე არც პოლიცმეისტერს შეთანხმებია თურმე და არც თბილისელ მსახიობს.

— ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. დიახ. შენ ხარ ჩემი ბატონი. გაუგებრობა. გაუგებრობა. — შესძახა ბოლოს.

თეატრის პატრონმა ხელები გაშალა (ერთ ხელში ცარიელი ჭიქა ეჭირა) და ჭერს ახედა, ვითომ ღმერთის წინაშე ვაღიარებ, ნამდვილად ასეა, ნამდვილად გაუგებრობის ბრალიაო. "იუდა და ძმანი მისნი!" — ისევ დაიძახა ვიღაცამ. ხოლო პოლიცმეისტერი ახლა იმის მტკიცებას მოჰყვა, თუ როგორ უჭირდა, როგორ ესიკვდილებოდა თბილისელი მსახიობისთვის სახეში შეხედვა, ჯერ კიდევ "სტუმრის-

თვის”, ჯერ კიდევ “თბილისელისთვის”, რომელსაც, ამ სამწუხარო გაუგებრობის გამო, არ მიეცა თავისი ნიჭიერების გამომჟღავნების საშუალება, არ მიეცა შესაძლებლობა დაეტკბო, მოეხიბლა, განეცვიფრებინა ადგილობრივი, მკვიდრი მაყურებელი. და ამიტომაც “ალბათ საერთო სურვილს გამოვხატავ. ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. თუკი, დიახ. რა თქმა უნდა, თქვენი სახელითაც, თავისთავად ცხადია, ერთხელ კიდევ მოვიხდი ბოდიშს მელპომენეს (მელპომენე, არა?) წარმოგზავნილის წინაშე”. ორმოში ტაშმა იქუხა. ყველანი თითის წვერებზე იწეოდნენ, ერთმანეთს მხრებზე ეყრდნობოდნენ, უკეთესად რომ დაენახათ თბილისელი მსახიობი. ორმო იქამდეც ხვდებოდა, თბილისელ მსახიობს გაცილებით მეტი რომ შეეძლო, ვიდრე თავად ელოდებოდა იმისგან, თუნდაც იმიტომ, ხელისუფლების საქვეყნოდ გალანძღვასაც რომ არ მოერიდა და არაფრის წინაშე არ დაიხია ხელისუფლების ჯიბრით, რის გამოც, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ის გამოეყვანა ხელისუფლებას დღევანდელი არეულობისა თუ “გაუგებრობის” მოთავედ (რატომ შეიპატიჟე ხალხი იატაკაყრილ თეატრშიო) და დაესაჯა კიდეც, რაც არავის გააკვირვებდა ალბათ, მით უფრო პოლიცმეისტერის “გამოსვლამდე”, მაგრამ პოლიცმეისტერის “გამოსვლამ” ორმო იმაშიც დაარწმუნა, თბილისელი მსახიობის ჭეშმარიტი ფასი იმავე ხელისუფლებამ უკეთესად რომ იცოდა, ვიდრე თავად, რამაც კი არ შეურაცხყო, პირიქით, გაახარა და გააბედნიერა კიდეც, შვილშექებული მშობელივით, ოღონდ იმ გონებაშეზღუდული მშობელივით, საკუთარ თავზე მეტად ყოველთვის სხვისი რომ სჯერა, რადგან თუკი თავად მშობლიური უსამართლობა და მშობლიური უნდობლობა უშლის ხელს, იყოს მიუმხრობელი შემფასებელი შვილისა, სხვას არაფერი აიძულებს ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ აქოს და ადიდოს მისი შვილი, არაფერი, არც მშობლიური სიყვარული და არც მშობლიური ანგარება. ახლა კი, მისი “შვილი” არათუ აქო და ადიდა “სხვამ”, ცამდე აამაღლა და მიწამდე დაუკრა თავი. გარდა ამისა, ორმო უკვე მართლა თავისად, თავის განუყრელ ნაწილად თვლიდა თბილისელ მსახიობს; მართალია, თა-

ვად აკლდებოდა ის ადგილი, თბილისელ მსახიობს რომ ეკავა, ურომლისოდაც კიდევ უფრო უჭირდა განძრევაცა და სუნთქვაც, მაგრამ უკვე ისე შესჩვეოდა ამ დანაკლისს, თბილისელ მსახიობს ისევე უცაბედად რომ გაეთავისუფლებინა ადგილი, როგორც დაიკავა, სიცარიელეს იგრძნობდა მხოლოდ და არა სიხალვათეს, რადგან, ცხოველური ალღოს ბრალი იყო თუ ერთად გადატანილი წყვდიადისა, შეუმჩნევლად და სამუდამოდ გაეთავისებინა იგი, გაჟღენთილიყო იმისი მედიდური, ამაყი დუმილით, როგორც ლომის ბუნაგი — ლომის სუნით, ხოლო ეს უჩვეულო, მოულოდნელი, გადავიწყებული განცდა სიდიადისა და ძალისა, უნებურად თავადაც სიამაყით ავსებდა, რაც, თავის მხრივ, მადლიერების გრძნობასაც უჩენდა ამ თითქოს უცხო კაცის მიმართ, გულხელდაკრეფილი რომ იდგა და მშვიდად, უდრტვინველად აჰყურებდა სცენას.

— ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. სხვათა შორის, თქვენ მანდ რა გინდათ? — დაუძახა უცებ პოლიცმეისტერმა და ხელგაწვდილი გადაიხარა წინ, თითქოს სცენაზე უპირებდა ამოყვანას.

თბილისელმა მსახიობმა ჯერ ირგვლივ მიმოიხედა, დინჯად, აუჩქარებლად, ყურადღებით, თითქოს არ იცოდა და ახლა უნდა გაერკვია, სად იმყოფებოდა; მერე უმანკო ყრმის სახე მიიღო, თვალები დახუჭა, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელის მტევნები ფრთებივით ააფართხალა, თითქოს მტრედი დაჰფრენია მკერდზეო, და სასაცილოდ დაწვრილებული ხმით დაიწრიპინა: ვინათლები, მამაო. ატყდა და რა ატყდა. ჰომერული სიცილი მოგონილი იყო იმასთან. დიმიტრი რას იფიქრებდა, ჭაღი თუ არ ჩამოწყდებოდა. კულისებიდან გაოცებული, გაუბედავად მოღიმარი მსახიობები და პოლიციელები გამოეფინენ სცენაზე. პოლიცმეისტერს სიცილისგან ცრემლი სდიოდა — ერთი ხელით მუცელი ეჭირა, მეორე კი ისევ თბილისელი მსახიობისთვის ჰქონდა მიშვერილი, ორმოსაც და სცენაზე გამოფენილ ხალხსაც თბილისელი მსახიობისკენ უთითებდა, ვითომ არავის შეგეშალოთ, მე კი არა ვარ, აი, აგერ ბრძანდება ამ დაუოკებელი, ამ ზღვა სიცილის მიზეზიო.

მეორე დღეს მთელ ქალაქში ელვასავით გავარდა თბილისელი მსახიობის სახელი, რამაც გასახარზე მეტი სავალალო მოუტანა არა მარტო თბილისელ მსახიობს, არამედ მის მაღიარებელ ქალაქსაც; ხოლო ეს რომ ასე იქნებოდა, დიმიტრიმ უფრო ადრე იცოდა, ვიდრე საკუთარ კისერზეც იწვნევდა ამ დიდების დამანგრეველ, დამღუპველ, გამანადგურებელ სიმძიმეს. მაგრამ ჯერ დიდების პირველი დღე იდგა მხოლოდ და ყველანი ერთნაირად თავბრუდახვეულნი იყვნენ, განდიდებულიცა და განმადიდებლებიც. სანამ თეატრში იატაკს დააგებდნენ, ხალხი ისევ მოდიოდა, ისევ ჩადიოდა ორმოში და სულგანაბული, აღელვებული, აღტაცებული უსმენდა თავის რჩეულს. საბედნიეროდ, თეატრში იატაკი მალე დააგეს. პოლიცმეისტერმა, სამუშაოს დასაჩქარებლად, მთელი ბატალიონი "ესესხა" პოლკოვნიკ ვეზირიშვილს და არა მარტო თეატრის სიყვარულითა და პატივისცემით მოიქცა ასე, იმასაც ხელს აძლევდა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, თეატრი ისევ თეატრს დამსგავსებოდა და დამთხვეულთა, მეამბოხეთა, მორწმუნეთა და ურწმუნოთა თავშესაფრად არ ქცეულიყო. წარმოდგენები განახლდა. თბილისელი მსახიობი სცენაზე რომ გამოჩნდებოდა, ხან ბერძნულ ტოგაში, ხან ესპანურ ლაბადასა და ხან ქართულ ჩოხაში გამოწყობილი, ფერდაკარგული ქალები უფრო გამალებით იქნევდნენ მარაოებს. ქალაქში რომ ხმა გავარდა, თბილისელ მსახიობს ცოლი გაექცაო, თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც, მხოლოდ და მხოლოდ, თბილისელი მსახიობის არაჩვეულებრიობის დამადასტურებელ მოვლენად ჩათვალა ქალაქმა და, ცოტა არ იყოს, გაუხარდა კიდეც, თბილისელ მსახიობზე უიმედოდ შეყვარებული ქალივით, თითქოს, რაკი ცოლი გაჰქცეოდა იმას, თვითონაც იმედი ჩასახვოდა გულში, ყოველ შემთხვევაში, ახლა უფრო შესაძლებლად თვლიდა, როდისმე თვითონ რომ დაიკავებდა გაქცეულის ადგილს. ხოლო თბილისელი მსახიობი ცოლისაგან ათვალწუნებულ ბუდეში იჯდა ამ დროს, წინ სარკე დაედო და დაჟინებით ჩასცქეროდა ორეულს თვალებში. ძალიან მარტო ვარო — ეუბნებოდა ორეული. როგორ გიშველო, განა არსებობს სიმარტოვის წამა-

ლიო — პასუხობდა თბილისელი მსახიობი. ხმაც რომ არ ამოეღო ორეულს, სახეზედაც ეტყობოდა, მართლა რომ იტანჯებოდა. დამფრთხალი, აწრიალებული, შიშისაგან გადიდებული თვალებით იყურებოდა სარკის ფსკერიდან, თითქოს თბილისელი მსახიობისგან ელოდებოდა რაღაც საზარელი საიდუმლოს გაგებას, რაც არა მარტო მის სიცოცხლეს, არამედ საერთოდ სამყაროს არსებობას შეეხებოდა. თბილისელმა მსახიობმა კი მხოლოდ ის იცოდა, ყველანი ერთნაირად უმწეონი რომ იყვნენ, მაგრამ რაკი გაჩენილიყვნენ, ბოლომდე უნდა გაეძლოთ: ამის უფლებაღა დაეტოვებინა იმათთვის ბედსა თუ გარემოებას; ხოლო ვინც ბედსა და გარემოებას ჩაწვდენოდა, იმისთვის სიცოცხლე წამების სახეობა იყო მხოლოდ, მაგრამ რაკი ამდენი იცოდა, აღარც სისუსტე ეპატიებოდა; უნდა აეტანა წამება, არ გამტყდარიყო, არ გამოტეხილიყო, არ ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არასოდეს ჩაედინა და რომლისთვისაც ისჯებოდა. “ჩაუდენელი დანაშაულის ზიდვა მცოდნეთა და რჩეულთა ხვედრიაო” — ეუბნებოდა თავის ორეულს. მაგრამ მწარე, მტანჯველი, აუტანელი სიმარტოვე მაინც კუდიანი დედაბერივით ჩამოუჯდებოდა ხოლმე საწოლზე, გამოათრევდა ძლივს მოპოვებული ძილიდან, დაკრუნჩხული, გათოშილი თითებით გამოუწურავდა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, ოფლად გაღვრიდა, ნაპირზე ამოგდებული თევზივით ააფართხალებდა აწეწილ ლოგინში, თვალებდაყვლეპილს, კბილდაკრეჭილს, დამფრთხალს, დაუძლურებულს, დაბეჩავებულს, უსაშველოდ მიტოვებულს ყველასაგან, საკუთარი ფულით ნაქირავებ ოთახში, საკუთარ ოჯახში, საკუთარ საწოლში; არადა, გაქცეული ცოლის ერთი გამოხედვა, ერთი სიტყვა, ერთი უბრალო მოძრაობაც კმაროდა, უკვალოდ გამქრალიყო ეს უკბილო დედაბერი, წირპლიანი, ბინძური, დაუნდობელი, კაცის უნახავად გამრუშებული, დედობაგანუცდელი, თავადაც უსიყვარულოდ ჩასახული და უდედოდ გაჩენილი, ჯოჯოხეთის საშო, ღამურა, ჯოჯო, ქეციანი კატა, სიკვდილის ამხანაგი, სიკვდილის წინამორბედი, სიკვდილის მოციქული — არხეინად რომ დასკუპდებოდა სხვის საწოლზე და, უკბილო, დორბლიან პირზე ხელაფა-

რებული, ქირქილებდა, ბედნიერი, კმაყოფილი, მადლიერი მსხვერპლისა, რაკი ის ჯიუტად ითმენდა მის სტუმრობას; ხოლო მსხვერპლი, მოთმინებისგან დამახინჯებული, გასაცოდავებული არსება, ღმერთის ხატად შექმნილი, ადამის ბრმა ლეკვი, ბრმად მაძიებელი სინათლისა, სიკეთისა, სიწმინდისა — საიდუმლო პაემანზე მოსულ სატრფოსავით ეჩურჩულებოდა ყურში (თითქოს სხვა ვინმე გაიგებდა იმათ ლაპარაკს): არ ჯობია... არ ჯობია, ერთხელ და სამუდამოდ დავაყენო საშველიო? "არ ჯობიაო" — ქირქილებდა სიმარტოვე. დრო კი გადიოდა. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ბათუმში ისევ ყველანაირი ფული გადიოდა, მაგრამ ინგლისური გემი რომ მოაყვირებდა ნავსადგურს, ყველანაირი ფული ერთბაშად უფასურდებოდა. ყველას სტერლინგი უნდოდა. თურქულ ლირას ხომ მეძავებიც აღარ უყურებდნენ ზედ. — უკან მიიფარეო — ეუბნებოდნენ ლირის პატრონს და ჟივილხივილით მიისწრაფოდნენ ნავსადგურისკენ, შეძლებისდაგვარად დასუფთავებულდალამაზებულნი, მიისწრაფოდნენ, როგორც პატარა გოგონები გადიის დაძახილზე. ახლა რეზერვუარებში ერთდროულად ორასი მილიონი ფუთი ნავთი ინახებოდა და უადგილო ადგილას რომ გაეკრა ვინმეს ასანთი, მთელი ბათუმი დედაბუდიანად გადაიბუგებოდა. მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ: მოკლა ჩვენი ცოლები ქვის ხარშვამ და ქვიშის ზელამო. ყველაზე მეტად ვეშაპებს არ მოსწონდათ ეს ამბავი, გაბრაზებულები ატყლაშუნებდნენ კუდებს, სხვა ქვეყანაში გადავიტანთ ქარხნებს და საერთოდ ულუკმაპუროდ დაგტოვებთო. მაგრამ მუშებს აღარ ეშინოდათ, იმდენს უკვე ხვდებოდნენ, ვეშაპებიც ვერაფერს გააწყობდნენ უიმათოდ: ვერც დაშლიდნენ და ვერც გემებზე დაუდებდნენ თავიანთ ქარხნებს. ქვიშაზე გაშენებულ ბაღში ორკესტრი ქუხდა. მსუყედ ნასადილევი ჩინოვნიკები ტილოს სავარძლებში თვლემდნენ. მოსეირნეთა ფეხქვეშ სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა. რა აზრისა ხართ ქალთა ემანსიპაციაზეო — ეკითხებოდა სერთუკიანი ვაჟი ქოლგიან ქალიშვილს. ქალიშვილი ქოლგას მხარზე იბზრიალებდა და სასაცილოდ აგრძელებდა ცალკეულ ბგერებს:

რრრრა აზრრრრისა ვარრრრ და, კარრრრგის, მხოოოოლოდ კარ-
რრრგის. ქალი გაუფასურდება. სსსსხვათა შორისსსსს, კაااااციც.
თბილისელი მსახიობი კი, ნავის კიჩოზე გულაღმა გადაწოლილიყო
და ცას აჰყურებდა. შიშველი ფეხები თევზში ეწყო. ერთმანეთში
არეული თევზი აქაიქ შეთრთოლდებოდა ხოლმე, მობოშებულ კუდს
გაუბედავად აბზეკდა და თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა მზეზე.
“ბაბუაჩემი ქართველად მოკვდა. მამაჩემი გათურქდა. მე ვინ გამოვ-
დივარ, ჭოვ?” — ამბობდა მეთევზე ხასანა. ჭროღა თვალები ჰქონდა
და მიმინოს ნისკარტივით ცხვირი. გაოფლილი, გაწებილი თმა ყალ-
ყზე ედგა. მოხდილი ყაბალახი ჩიტის ბუდესავით ედო გვერდით.
პოლკოვნიკ ვეზირიშვილს აღლუმებისთვის აღარ ეცალა, ჯარი თოფ-
ქვეშ ეყენა, არ იცოდა, რა დროს დასჭირდებოდა. გათავხედებული
მუშები ზედიზედ იფიცებოდნენ. მიატოვებდნენ სამუშაოს და მოქუჩ-
დებოდნენ ერთად. თან, ბოლომდე მტკიცენი და შეურყეველნი რომ
დარჩენილიყვნენ, თეატრში დაზეპირებული ფრაზებით ამხნევებ-
დნენ, აქეზებდნენ ერთმანეთს. თბილისელ მსახიობს ბაძავდნენ და
იმასავით წარმოთქვამდნენ: ყოფნა, არ ყოფნა — საკითხავი, აი, ეს
არისო. ან: მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემს გულ-
ში გადატრიალდეს, ვიდრე მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი —
ქართველები გახლავართ, დიდო შაჰოო. ან კიდევ: სასახლე საჯინი-
ბოდ იქცა! კეისარი საზარელი და სულელი მასხარაა! რომაელები —
მთვრალი პირუტყვები. ჩემი ადგილი აქ არ არისო. მოკლედ, წერას
ჰყავდათ აყვანილნი, თითქოს არ იცოდნენ, გაცილებით ძვირი რომ
ჯდებოდა ცხოვრებაში იმის გამეორება, რისი ნახვაც თეატრში ხუთ
კაპიკადაც შეეძლოთ. პოლიცია გაფიცულთა მოთავეებს აპატიმრებ-
და. ციხეში ტევა აღარ იყო. ხოლო გარეთ დარჩენილი მუშები ციხის
ალაყაფზე მუშტებით აბრახუნებდნენ: ან ჩვენი ამხანაგები გამოუშ-
ვით, ან ჩვენც მაგათთან ერთად ჩაგვსვითო. “სადღა დავტიოო” —
მხრებს იჩეჩავდა ციხის უფროსი. ისიც ესწრებოდა საიდუმლო თათ-
ბირს, გუბერნატორის კაბინეტში, ხელისუფლების სხვა თვალსაჩინო
წარმომადგენლებთან ერთად. მათი სადილვახშამი რესტორან

“ფრანციიდან” მოჰქონდათ პოლიციელებს დიდი, ხელსახოცგადაფარებული ლანგრებით. კაბინეტში კი თათბირი გრძელდებოდა: “ერთი ძირგახვრეტილი ბარკასი მიყენია ნავსადგურში. გავიყვან თქვენს პატიმრებს შუა ზღვაში და გათავდა. ციხეც გაგითავისუფლდებათ”. “მეყო. საკმარისია. ეს ბოლო ნაჭერია. გაგიკვირდებათ და, სალთისონი მაშინვე კუჭში შემკრავს ხოლმე”, “ჩემი ფაშატი მგონი მაკედაა. მეჯინიბე კი იკლავს თავს, ულაყი სათოფეზე არ გამიკარებიაო, მაგრამ ფაშატიც ქალი არ არის? ერთ მეჯინიბეს ვეღარ გააცურებდა? აბა, სულიწმინდა ხომ არ დაამაკებდა, დალოცვილო?!” “მოდიან და მოდიან. ისევ ციხეში გვირჩევნია, იქ უფასოდ მაინც გვაჭმევენო”. “იქნებ, თავად თქვენმა მეჯინიბემ?” “აააა? ახ, ახ, ახ, ხა... შეიძლება, ხომ იცი. ჩემი ხელით მოვაჭრი ძირში”. “ისა. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა. შენ ხარ ჩემი ბატონი. წითელი მამალი ხომ არ აგვეფრინა მეთქი”. მაგრამ მუშები მაინც არ იშლიდნენ თავისას, ძალით ვარდებოდნენ ციხეში, გალავანზე გადადიოდნენ, მიწაზე სხდებოდნენ და, ციხის უფროსის გულის გასახეთქად, ახლა პურისა და ხორცის ულუფის მომატებას მოითხოვდნენ. “იცოდე, ცუდად გათავდება ეს ამბებიო” — ეუბნებოდა დიმიტრი დარიას, თითქოს დარიაზე იყო რამე დამოკიდებული. თოფი უნდა გავარდნილიყო და გავარდა კიდეც. პატარა, ზღვისპირა ქალაქს კიდევ ერთხელ მიეშხეფა სახეში ადამიანის ცხელი სისხლი. “დაგვხოცეს! დაგვხოცესო!” — ყვირილით მორბოდა შუა ქუჩაში თავფეხიანად გასისხლიანებული მუშა. ქალაქი გაილურსა, უფრო ღრმად შეიყუჟა ნესტიანსა და სანახევროდ ბნელ ბინებში. ციხესაც ენა ჩაუვარდა: ყველაფერს ელოდებოდა, ამას კი არა. მარინეს პროსპექტზე ცხენოსანმა კაზაკებმა ჩაიქროლეს, თქარათქურით, ჟღრიალით, ქოშინითა და ბუყბუყით. ცხენები დაბერილი ნესტოებიდან ცეცხლსა და კვამლს აფრქვევდნენ. მხედრებსაც ავად წამონთებოდათ გახვითქული სახეები. წაკუზულები იდგნენ უზანგებზე. შალითიანი კარაბინები ზურგებზე ეხათქუნებოდათ. იარაღის, ტყავისა და ცხენის ოფლის სუნი დატოვეს მთელ სიგრძეზე, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე. მოხალისე მოწყალების დები გათენებამდე აგ-

როვებდნენ ქუჩებში მკვდრებსა და დაჭრილებს. მიირწეოდა, მიღრჭიალებდა, მიბაკუნობდა წითელი ჯვრის ეტლი ღამის უკუნეთში, მიაპორწიალებდა მბჟუტავ ფანრებს და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, დაჭრილის გმინვა თუ შემოესმებოდა ანდა გვამს თუ გადააწყდებოდა და სამუდამოდ გაშეშებული თვალის გუგა ფანრის მოქანავე შუქს აისხლეტდა. მოახლისე მოწყალების დებში, სხვათა შორის, დარიაც ერია. დიმიტრიმ ვერ დაუშალა, ვერ გააჩერა, ვერ გაუბედა გაჩერება. "მამაჩემიც ხომ ქუჩაში მოკლესო" — უთხრა დარიამ და წავიდა, რათა ერთხელ კიდევ განეცადა მკვდარი მამის ძებნის სიმწარე, ცივი, გამთოშველი ელდა საცხედრეში, ხის სველ მაგიდაზე გაშოტილი გვამის ხილვით მოგვრილი (რატომ იყო მაგიდა სველი?), გამაოგნებელი უაზრობა, გამაბითურებელი სიმარტივე სიკვდილისა, გაშიშვლებული სიკვდილი, სიშიშვლე არაფრისა (ნუთუ ესაა მამაჩემი?), არაფრისა და მაინც მომნუსხველისა, მომაჯადოებელისა თავისი სიარაფრით, თავისი გულისგამხექთავი, სისხლის გამჩერებელი უძრაობითა და უმწეობით. "დავით კლდიაშვილსა და საბა ლაფაჩს ბრძანება არ შეუსრულებიათ, ჯარისკაცებისთვის სროლა აუკრძალიათ, თორემ გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდაო" — ყვებოდა ქალაქის თავის მეუღლე. ეტლი მიირწეოდა, მიღრჭიალებდა, მიძაგძაგებდა. ცხენები შეწყობილად მიაბაკუნებდნენ ფლოქვებს. დარიას კი, წყალში დამბალი, რაღაცნაირად, აბედივით გაძენძილი ფიცრის მაგიდაზე გაშოტილი მამის შიშველი სხეული ედგა ისევ თვალწინ. ჯვრიდან ჩამოხსნილი ნეშტი მაცხოვრისა? არა. არაფერი. საერთოდ არაფერი. გაშეშებული, გათოშილი არაფერი. უპირველეს ყოვლისა, იმის უარმყოფელი, ვის აღმოჩენასაც ამაოდ ცდილობდა დარია საზარლად პირდაბჩენილ, სისხლშემხმარ ჭრილობაში, მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებში, გულზე დაკრეფილ (ვერდაკრეფილ) ხელებში, გამოყვითლებულ ტერფებში... რასაც დარია ხედავდა, ის მხოლოდ ზიზღნარევი სიბრალულის, შიშნარევი გაკვირვებისა და ტლანქი, უხამსი ხუმრობით გამოწვეული შეცბუნებისა თუ შეურაცხყოფის მაგვარ შეგრძნებას უჩენდა; იმას კი არ ეუბნებოდა: მოდი, ნუ გეშინია, მომკიდე ხე-

ლი, მე ვარ მამაშენიო, არამედ — მომშორდი, რას დამჩერებიხარ, ტყუილად ეძებ, არ არსებობს, აღარ არსებობს, აღარასოდეს აღარ იარსებებსო. აღარასოდეს? აბა, თბილისელი მსახიობი? მამაც ზუსტად ამხნისა იყო, როცა მოკლეს. კი არ მოკლეს, უბედურებას გაექცა, გაერიდა და... დაბრუნდა. "რატომ წევხარ? არც მკვდარი ხარ, არც დაჭრილი!" — ჩაესმა უცებ ქალაქის თავის მეუღლის გაღიზიანებული ხმა. გაკვირვებულმა გაიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა შემოესმა. ეტლი იდგა. ყველანი გადასულიყვნენ ეტლიდან და ღობის ძირში რაღაცას დასცქეროდნენ. მეეტლე ფანარს უნათებდათ. "სად გასკდი, ასე ღორივით... ადექი. ადექი!" — ამბობდა ქალაქის თავის მეუღლე. "ლაზარე, ლაზარე!" — თქვა დარიამ გუნებაში, რაღაცნაირი, ბავშვური მღელვარებითა და სიხარულით.

ის ღამე დიმიტრიმაც თეთრად გაათენა ეზოში და, ღმერთმა იცის, რაღა არ იფიქრა, რაღა არ წარმოიდგინა, ვიდრე ცოცხალ დარიას დაინახავდა. ლეღვის ხის ძირას შეყუჟულიყო და შფოთავდა, თითქოს უკანასკნელი ღამე იდგა ბათუმისა, სამყაროსი; თითქოს სადაცაა მიწა გაიპობოდა, ცა გაიხსნებოდა და აალებული, აბუყბუყებული, აშხუვლებული, აღმუვლებული ლავა სამუდამოდ წალეკავდა, სამუდამოდ ჩაიმარხავდა თავის მდუღარე წიაღში ყველაფერს, რაც აქამდე არსებობდა, რასაც აქამდე, ავი იყო თუ კარგი, სიცოცხლე ერქვა. ასე კი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდებოდა, თბილისელი მსახიობი რომ მოევლინა აქაურობას, ეშმაკის საყდრად რომ აქცია თეატრი და ჯოჯოხეთის ცეცხლში ყრიდა ყველას, განურჩევლად. "რა ჭამა მაინც ამისთანა, ასე რამ გაუმწარა გულმუცელიო" — ფიქრობდა აღრენილი, გაბოროტებული და მუშტს უღერებდა მომიჯნავე ყრუ კედელში დატანებულ ერთადერთ სარკმელს, უფრო სწორად, იმ ადგილს, სადაც ის ერთადერთი, ამოსაქოლი, ამოსაშანთი სარკმელი ეგულებოდა. უკუნი ღამე იყო, უჩვეულოდ ბნელი, ღამე კი არა — კვამლი, კვამლი ჯურღმულისა, ქვესკნელისა, ჯოჯოხეთისა, ცათამდე აღმავალი, წამლეკავი მთათა, ტყეთა, ზღვათა და მდინარეთა — ყოველთა ტომთა, ერთა და ენათა. ქვითკირის ღობის გადაღმა გოდორში

დამწყვდეული მამალი თუ დაიყივლებდა ხანდახან, ხრინწიანად, უნდილად... თითქოს ისიც საიქიოდან ყიოდა. არც სხვამხრივ ეტყობოდა ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი. ლეღვის ძირას თავისთავად გაფაჩუნდებოდა ხოლმე შარშანდელი ფოთოლი და ესეც სიკვდილის ხმა იყო, უსულო, უძარღვო, გამოფიტული. ესეც მხოლოდ სიკვდილს ახსენებდა დიმიტრის. არაფერზე არ შეეძლო ეფიქრა, სიკვდილის გარდა. ხანდახან ჭიშკარი თითქოს უხმაუროდ იღებოდა ყურთამდე და ვიღაცებს დარიას გვამი შემოჰქონდათ ეზოში. დარიას თეთრი ხალათი და თავსაფარი სისხლში ამოსვროდა, ხოლო ფრთებივით გადაშლილ მკლავებს უმწეოდ მოაქანებდა ჰაერში. დიმიტრი თვალებს ხუჭავდა, ხმამაღლა იწყებდა განგებ ლაპარაკს, ეს შემზარავი ჩვენება რომ დაეფრთხო როგორმე, მაგრამ ჩვენება კი არ ქრებოდა, სახეს იცვლიდა მხოლოდ, აზრი კი იგივე რჩებოდა: დარია მკვდარი ბრუნდებოდა შინ. და მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო? რა არ უწყობდა ხელს? ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, როგორც ყველა შვილი, დარიაც რაღაცაში მაინც უნდა მგვანებოდა მამას, თუნდაც სიკვდილში. სიკვდილი კი ხრეშმოყრილ ბილიკზე იდგა და ლიმონის ტოტს იწოდებდა. დიმიტრის სიკვდილის დანახვა კი არ გაუკვირდა, არამედ — როდის შემოვიდა, როგორ ვერ გავიგეო. “ნუ იმალები დიმიტრი, არ გეკადრება შენი მშობლების შვილსო” — დაუძახა სიკვდილმა. თან ტოტს იწოდებდა, თითის წვერებზე აწეული. “დარია მომიკლესო” — ახლა კი საბოლოოდ იწამა დიმიტრიმ და მუხლებაკანკალებული გადავიდა ბილიკზე. ისეთივე სუნი ეცა ცხვირში, ორმოში რომ იდგა — შმორისა, მტვრისა, უაზრობისა. “ნუ გეშინია, ამჯერად ამ ერთი ლიმონის მეტი არაფერი მოაკლდება შენს ოჯახსო” — უთხრა სიკვდილმა. დიმიტრის ესეც გაუკვირდა, რა დროს ლიმონია ამ გაზაფხულზეო, მაგრამ უფრო დიდი საოცრების მოწმე გახდა იმავე წუთას: ლიმონის ტოტმა მის თვალწინ გამოისხა ნაყოფი: დიდი, ყვითელი, კრიალა, თითქოს ესესაა ჩამოუქნიათ ცვილისგანო. სიკვდილმა ნაყოფი მოწყვიტა და ტოტს ხელი გაუშვა. გათავისუფლებულმა ტოტმა შეშინებული, ძილგამკრთალი ფრინველივით გაიშ-

ხუილა სიბნელეში. სიკვდილმა ლიმონს ხელისგული გადაუსვა და მადიანად ჩაკბიჩა. მაშინვე სახე დაეღრიჯა, თვალები მოეწკურა, ნერწყვი ჩამოეწუწა ნიკაპზე. “აი, თუ რა დროსიაო” — ნიშნი მოუგო დიმიტრის. გამალებული წუწნიდა ლიმონს. დიმიტრი უეცარი ტკივილისგან აიწურა, გაიოფლა, ვეღარც ჩაისუნთქა, ვეღარც ამოისუნთქა, თითქოს აღარაფერი ჰქონდა შიგნით; თითქოს სიკვდილს გული ამოეღო იმისთვის და სასწაულად გაჩენილ ლიმონს კი არა, იმის გულს წუწნიდა ასე გამალებული. “სიცოცხლისა გეშინოდეს, დიმიტრი, სიცოცხლისა! — შეუყვირა სიკვდილმა და ტუჩები უსიამოდ გააწკლაპუნა. — ხარბია. ყველაფერი ბევრი უნდა. თანაც ახლავე. მე კი, ვიცდი, ვიცდი და ვარ ამ ერთ ლიმონს მიჩერებული”. “რისი თქმა უნდა, ნეტავიო” — გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ უსინდისო, მდაბალი, ამაზრზენი შვება იგრძნო, რადგან მაშინვე იმასაც მიხვდა, ჯერ შემოუსვლელი, ჯერ არარსებული ლიმონის შეჭმა იმის სიკვდილს ნიშნავდა, ვინც ასევე ჯერ არ მოვლენოდა ქვეყანას და ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი მომავალში, მაინც უფრო ადვილი შესალევი, ადვილი გასაწირი იყო ახლა, ვიდრე დარია, ანდა ვიდრე თუნდაც საკუთარი სიცოცხლე, რადგან საერთოდ ასეთია ბუნება კაცისა: დღევანდელით ცხოვრობს და არა ხვალინდელით; ტყუილად კი არ უთქვამს: ხვალემ იკითხოს ხვალისაო, და ვერც გაამტყუნებ, რამდენადაც ნანახი და განცდილი განაპირობებს მის ყოველ ნაბიჯს, განზრახვას, მიზანს, ოცნებასა თუ იმედს, და არა ჯერ უნახავი, ჯერ განუცდელი, გინდაც ის აღმოჩნდეს სწორედ აზრი და გამართლება მისი არსებობისა, შედეგი და ჯამი ყველაფრისა, რაც იქამდე, უიმისოდ უნახავს და განუცდია. სიკვდილმა გაიცინა. გამოწურული ლიმონის ქერქი გადააგდო და ჰკითხა: ფეხსადგილი სადა გაქვსო. სიკვდილი წავიდა. ხოლო დიმიტრი ახლა უფრო მოუთმენლად ელოდებოდა დარიას, რადგან უკვე მტკიცედ სჯეროდა, ნამდვილად დაბრუნდებოდა ის და ნამდვილად ცოცხალი. ახლა იმის მოუთმენლობა კლავდა, როდის მოუყვებოდა თავის უცნაურ ჩვენებას, როდის აახსნევინებდა, როგორც სიზმრებს ახსნევინებდა ხოლმე, ბებიისგან განსწავლულს, ბებიის გიშრის

ჯვრისა და აბრეშუმის ზონარის მპყრობელს. გალიაში დამწყვდეული ნადირივით დაძრწოდა წინ და უკან, ჭიშკარსა და ორსაფეხურიან კიბეს შორის, და თუმცა უკვე იცოდა, სიკვდილთან საუბარი მხოლოდ და მხოლოდ მისივე აღგზნებული გონების ფუყე, მკვდრადშობილი ნაყოფი იყო, ყოველ შემთხვევისთვის, ცალი თვალით მაინც დაეძებდა ლიმონის გამოწუწნულ ქერქს, ვითომ სიკვდილმა რომ გადააგდო წეღან. ის კი არა, ფეხსადგილთანაც მიირბინა რამდენჯერმე და ვიდრე კარს გამოაღებდა, გარედან მიაყურადებდა ხოლმე, თუმცა ისიც წინასწარ იცოდა, არაფერი დახვდებოდა იქ, ასისინებული, ნესტიანი წყვდიადის მეტი.

მეორე დღეს აზიზეას მოედანზე ცამეტი კუბო დაასვენეს. ქალაქი ერთად მარხავდა დახოცილებს, სამუდამოდ დაძმობილებულთ ერთნაირი, ერთდროული სიკვდილით, ერთი სიკვდილის შვილებს, ერთი და იმავე ქვეყნის ბინადრებს. ასე გამოხატავდა ქალაქი თავის თანაგრძნობასაც და გულისწყრომასაც: თანაგრძნობას — დახოცილთა, ხოლო გულისწყრომას — ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლება კი დუმდა. ყაზარმიდან და პოლიციიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თავახდილ კუბოებში გადალურჯებული, ტუჩებშეშუპებული გვამები იწვნენ. გულხელდაკრეფილნი — ჩვენ ჩვენს საქმეს მოვრჩითო. იმათთვის ყველაფერი დამთავრებულიყო, ხოლო აზიზეას მოედანი ზღვასავით ღელავდა. მის ატორტმანებულ ზედაპირზე ადიჩადიოდნენ იალქნებივით გამობერილი პლაკატები. დროშები ბუბუნებდნენ. მღვდელი, პადრე, ხოჯა, რაბინი და ტერტერა ერთად წირავდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ორატორები. დიმიტრის შინ მოაკითხეს, ბათუმელი ვექილების სახელით თქვენ უნდა თქვათ სიტყვაო, მაგრამ დიმიტრიმ სიტყვა ვერ დაამთავრა, ტირილი აუვარდა და ორმა მუშამ გვერდით გაიყვანა. “რა გატირებს, რა დროს ტირილიაო” — უწყრებოდნენ ბავშვივით აზლუქუნებულ დიმიტრის. დიმიტრის კი ცრემლმა შვება მოუტანა; წუხანდელ უძინარს, წუხანდელ ჯოჯოხეთში გამოვლილს, ცრემლი მალამოსავით ეცხებოდა გულზე, მაგრამ თვითონვე რცხვენოდა ამ მოულოდნელი, დაუმსახურებელი შვებისა, ისევე, როგორც

წუხელ შერცხვა, ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლის გამწირავს, და სახეზე ხელებაფარებული ლუღლუღებდა: უკაცრავად, უკაცრავადო... ხოლო როცა ვიღაცამ დაიძახა — თეატრი მოდისო — და ცრემლით დასველებულ თითებს შორის თბილისელი მსახიობის სახე დაინახა, ისე დაფრთხა, ისე დაფაცურდა, თითქოს თბილისელი მსახიობი, თავის დასს კი არა, კიდევ უფრო დიდ უბედურებას მოუძღოდა წინ. ცოტას მორჩა, იყვირა: გააჩერეთ, გააბრუნეთო — მაგრამ გონზე რომ მოეგო, უკვე შინისკენ მიისწრაფოდა, ლამის გარბოდა შემაშფოთებლად, დამაეჭვებლად გამოცარიელებულ ქუჩაში. ქალაქი უცხო ქალაქივით დუმდა. სადღაც, შორს, ერთნაირად ყრუდ გუგუნებდა ზღვაცა და აზიზეას მოედანიც, ქვითკირის ღობეებს მწვანე ხავსი შესცოცებოდა. ერთმანეთზე გადაბმული სარკმლებიდან სიცარიელის ტყუპი ძმები იმზირებოდნენ, გულგრილად, ბრიყვულად. დიმიტრიმ უნებურად უკან მიიხედა, მაგრამ უკანაც ის დახვდა, რაც წინ. "ეს ხომ გაქცევაა, ეს ხომ სილაჩრეა, ბატონო ვექილოო, — დასცინა საკუთარ თავს, — დიახ, სილაჩრეა, სიმამაცეს აზრი რომ ჰქონდესო", — გააგრძელა გაგულისებულმა. მიდიოდა და ფიქრობდა: მოდგება ახლა და უარესად გადარევს ხალხსო... ხვალ აზიზეას მოედანზეც ვერ დატევენ კუბოებსო. მიდიოდა და საკუთარი თავი ეჯავრებოდა. მაგრამ არც ამჯერად შემცდარა დიმიტრი. მართალია, თბილისელ მსახიობს იმ დღეს სიტყვა არ უთქვამს მოედანზე, "უარესად არ გადაურევია" ხალხი, რომელსაც, დენთის საწყობივით, ერთი ნაპერწკალიღა უნდოდა, არ გაუქეზებია თავისი აჩემებული "სახელოვანი სიკვდილით" (თითქოს სხვას არავის წაეკითხოს "ვეფხისტყაოსანი"), მაგრამ არც ნაკლები სისულელე ჩაუდენია: თეატრის შესასვლელში ბარიკადი გაუმართა ხელისუფლებას, ვითომ ხელისუფლებას თეატრის დარბევა აქვს განზრახული და ჩვენც თეატრთან ერთად უნდა დავიღუპოთ, როგორც ჭეშმარიტ მსახიობებს შეეფერებათო. მაჩაბლობდა. თითქოს ბათუმი მეორე კრწანისის ველი იყო. ანდა კიდევ უარესი — თითქოს ბათუმი პარიზი იყო, თვითონ და მისი მსახიობები კი — კომუნარები. კი აბა, კომუნარები! თამაშობდა. ხალხს ეკოპწიავებოდა. შემ-

თხვევას არ უშვებდა, ყურადღების ცენტრში რომ ყოფილიყო ყოველთვის, ყოველნაირად, ნებისმიერი მსხვერპლის საფასურად. თეატრის დარბევა კი არა, ერთი პოლიციელი, ერთი კაზაკი არ გამოჩენილა იმ დღეს ქუჩაში. “თავსაც დაიღუპავს და სხვებსაც დაღუპავს, ეგ შეჩვენებულიო” — დარიას უყვიროდა დიმიტრი. დარიას კი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და არც კარგს ამბობდა, არც ავს. და მართლაც, რა ეკითხებოდა, როგორ მოიქცეოდა თბილისელი მსახიობი; თუ უნდოდა, ტყვიისთვის შეეშვირა შუბლი; მაგრამ დარია იმას ვერ ხვდებოდა, ისინიც რომ საფრთხეში იგდებდნენ თავს, ხელისუფლებისთვის ისინიც რომ ბარიკადზე იდგნენ, იმ დამთხვეულთან ერთად, რადგან როგორც კი მორჩებოდა თავის ბარიკადობანას, პირველ რიგში ამათთან მოირბენდა, ახალახალი სისულელეების გუდით. ის ერთი კვირა დიმიტრიც შეშლილს ჰგავდა. დღეში ათჯერ გავარდებოდა ხოლმე შინიდან, იმის დასახედად, ისევ დგას თუ უკვე მოშალეს ბარიკადიო. “დგას, დგას. დგას!” — მართლა შეშლილივით ყვიროდა შინ მობრუნებული და თვალცრემლიანი დარიაც მოთმინებით ელოდებოდა, როდის გაიცლიდა უსამართლო რისხვით გაბერილ გულს მისი საბრალო, შიშისაგან თავგზააბნეული ქმარი. ის კი ყვიროდა: გადი, ნახე, რა ხდებაო; რაც კი ქალაქში ძაღლი, კატა და ბავშვია, იქ მოუყრია ყველას თავიო; ისეთი გნიასი დგას, მეორედ მოსვლა გეგონებაო; სიმართლე თუ გინდა, ქალაქის პამპულაა შენი თბილისელი მსახიობი და მეტი არაფერიო; გაექცეოდა, აბა რას იზამდა ის პატიოსანი ქალიო! — დარიას უყვიროდა, თითქოს დარიას ბრალი იყო რამე, თითქოს დარია იყო “ამბოხების” მოთავე და იმისი მითითებებით ხდებოდა, რაც ხდებოდა. არადა, დარიას იმიტომ უყვიროდა, თავს რომ ერჩია იგი, არავინ რომ არ ჰყავდა სხვა, ვინც გაუგებდა და მიუტევებდა. ამას დარიაც ხვდებოდა და კიდევ უფრო იტანჯებოდა, კიდევ უფრო ეცოდებოდა ქმარი. მერე, ამ ამბავმაც რომ გადაიარა, თბილისელი მსახიობი მაინც ჯიუტად უმტკიცებდა ხოლმე დიმიტრის, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ახლა თქვენს თეატრში ისევ რკინეულობის საწყობი იქნებოდაო, მაგრამ ხმაზეც ეტყობოდა და სახე-

ზეც, უმწეო სიბრაზე და შელახული პატივმოყვარეობა ალაპარაკებდა ასე, რადგან არც ისეთი სულელი გახლდათ, იმდენს ვერ მიმხვდარიყო, ყოველ მის გაბრძოლებას არაფრად რომ აგდებდა ხელისუფლება, უბრალოდ, ზედაც არ აფურთხებდა, ბარიკადიც ისევე აპატია, როგორც ორმო, მაგრამ დიმიტრის ეჭვიც არ ეპარებოდა, ორივესთვის პასუხს მოსთხოვდა როდისმე. საღად ფიქრობდა დიმიტრი, მაგრამ ერთი რამე, თანაც მეტად მნიშვნელოვანი, მაინც ეშლებოდა. თბილისელი მსახიობი არც სისულელის, არც პატივმოყვარეობის გამო მოქცეულა ასე; ისიც იმავე შიშმა აიყვანა ბარიკადზე, რომელმაც დიმიტრი აზიზეას მოედნიდან შინისკენ გამოაქცია. ორივემ საფრთხე იგრძნო და ორივეს ბუნებრივად დაებადა სურვილი საფრთხისაგან თავის დაღწევისა. ორივემ თავშესაფარს მიაშურა, ოღონდ იმ განსხვავებით, ერთს მზამზარეულად რომ ჰქონდა იგი, მეორეს კი უნდა აეშენებინა, თანაც სასწრაფოდ. ასე რომ, დიმიტრის მამისეული სახლიცა და თბილისელი მსახიობის ბარიკადიც, საბოლოო ჯამში, ერთსა და იმავეს ნიშნავდა — თავშესაფარს. ხოლო შეშინებული კაცი თავშესაფრისკენ, ანუ შინისკენ, მხოლოდ იმიტომ კი არ გარბის, იქ რომ დაემალოს განსაცდელს, არამედ იქ რომ შეებრძოლოს, სწორედ იქ რომ გაუმართოს გადამწყვეტი, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა, თუკი ფეხდაფეხ წამოჰყვება განსაცდელიც, რადგან სახლი უკანასკნელი გოდოლია, უკანასკნელი მიჯნაა ყოფნაარყოფნას შორის და, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თუნდაც მარტო ამის შეგრძნება და ცხოველური ჟინი სიცოცხლისა, გადარჩენისა — ყბადაღებულ ლაჩარსაც გმირად შეიქმს ხოლმე, მით უფრო, როცა ის სახლი ნამდვილად შენი სახლია, მამისეული, გაჩენის დღიდან შესისხლხორცებული, ურომლისოდაც, რაც არ უნდა გიჭირდეს დათმობა, მართლაც რომ კაპიკის ფასიც აღარ აქვს სიცოცხლეს; მაგრამ ვისაც მსგავსი სახლი არ ეგულება, ვისაც ნაქირავებ ოთახში მხოლოდ და მხოლოდ გაქცეული, მოღალატე ცოლის აჩრდილი ელოდება, რა თქმა უნდა, იმისთვის ბარიკადიც იგივე სახლია, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ერთ წუთში შეგიძლია აიშენო და ასევე ერთ

წუთში შეეწირო კიდეც, როგორც საუკუნოვანი მამისეული სახლის სიმბოლოს. ამის ბრალიცაა, თბილისელი მსახიობი და მისი დასი უკვე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა თეატრისკენ, როცა პროცესიის კუდი ჯერ კიდევ აზიზეას მოედანზე იტკეპნებოდა. პროცესიას აჭარელი ცხენოსნები მიუძღოდნენ, ასლან ბეგ აბაშიძის მეთაურობით. ცამეტი კუბო ნელა მიირწეოდა, როგორც ზღვაზე მეთევზეთა ნავების მწკრივი. შაოსან ქალებს მზე ძირს ჩამოჰქონდათ კივილით. ხოლო რკინის თეატრში ისეთი ალიაქოთი იდგა, თითქოს მართლა მარბიელი რაზმი შესევიაო. "ჩქარა. ჩქარა! ყოველი წუთი ძვირფასია!" — ყვიროდა თბილისელი მსახიობი, როგორც სცენაზე დეკორაციების დაწყობისას იცოდა ხოლმე, და მისი "კომუნარებიც" თავს არ იზოგავდნენ, არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეებზე, აჯახუნებდნენ კარებსა და ფანჯრებს, ეჯაჯგურებოდნენ დერეფანში გაჩხირულ მაგიდებსა თუ ტახტებს და ბოლოს, ყველაფერი, რისი დაძვრაცა და გამოტანაც შეიძლებოდა, თეატრის შემოსასვლელში ხვავდებოდა ერთმანეთზე. მიწით სავსე ტომრებსაც კი ეზიდებოდნენ, რათა მათი ბარიკადი, როგორც თბილისელმა მსახიობმა ბრძანა, შესახედავადაც შთამბეჭდავი ყოფილიყო. მაგრამ როგორც არ უნდა გამოედოთ თავი, ისინი მაინც ჩვეულებრივი მსახიობები იყვნენ და არა კომუნარები, ხოლო ჩვეულებრივი მსახიობური ბუნების გამო — მტრის დასახვედრად ემზადებოდნენ ისინი თუ მაყურებლისა — ვერაფრით ჩაიკლავდნენ ძვალრბილში გამჯდარ ჩვეულებას, სიცოცხლისკენ, მხიარულებისკენ პროფესიულ მიდრეკილებას, რამაც მათი ერთკვირიანი "ამბოხება", ისევ და ისევ, ჩვეულებრივ მსახიობურ დროსტარებად გადააქცია. ქალები სულ საჭმლის კეთებაში იყვნენ. კაცები ერთმანეთს ნარდს ეთამაშებოდნენ, ხოლო საჭმელსა და ღვინოს რომ დაიგულებდნენ, მერე გათენებამდე აკვნესებდნენ გიტარებს, მღეროდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ. დიდი ამბით სვამდნენ კიდევ ერთი მოგებული "ბრძოლის" სადღეგრძელოს და სახვალიო "ბრძოლისთვისაც" აწყობდნენ გეგმებს, ახალ და ახალ ხერხებს იგონებდნენ, თუ როგორ დაეფრინათ, როგორ მოეშორებინათ იქაურობისთვის მათ

საყურებლად მოსული ბავშვები, რომელთა დაუდგრომელი, დაუოკებელი ბრბოები, მიუხედავად ბარიკადის დამცველთა შეურყეველი წინააღმდეგობისა, დღითი დღე მეტი ჟინით, მეტი აღტკინებით ეტანებოდნენ ბარიკადს, როგორც მუმლი სინათლეს. ხან წყალს ასხამდნენ, ხან ქვებსაც ესროდნენ იერიშზე გადმოსულ "მტერს", მაგრამ, ღამის მეტს, მაინც არაფერს შეეძლო მათი გაყრა, მათი გათიშვა. ამიტომაც, უფრო მეტი ხალისით ილხენდნენ ღამღამობით. "ხვალ იქნებ ვკვდებით, გოგო, ახლა მაინც ამოიღე ხმა, სცენაზე ხომ არა ხარო" — ეხუმრებოდნენ ამალიას, ყველაზე ჩუმსა და მორიდებულ მსახიობ ქალს ანტიკური ხანიდან დღემდე. ამალია საერთოდ უსიტყვო როლებს ასრულებდა, რადგან სცენაზე გასვლა და იმისი დამუნჯება ერთი იყო. სხვა, იმის ადგილას, ათასჯერ მიატოვებდა ალბათ თეატრს, სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, თუნდაც მრეცხავად დადგებოდა, მაგრამ, ასევე ანტიკური ხანიდან დღემდე, არც ერთი მსახიობი არ ყოფილა ალბათ ისე შეყვარებული თეატრზე, როგორც ამალია. ყველაფერზე დაგთანხმდებოდათ, ყველაფერს მოითმენდა, ყველაფერს აიტანდა, ოღონდ თეატრში დაეტოვებინათ, ოღონდ ათასში ერთხელ მაინც მისცემოდა შესაძლებლობა, ბორძიკით, მუხლების კანკალითა და გულის ფრიალით გაევლო ყველა გზაზე უგრძესი, ყველა გზაზე სახიფათო გზა — კულისებიდან სცენამდე — და უკან — სცენიდან კულისებამდე. ხოლო იმ დღიდან მოყოლებული, როცა თეატრში თბილისელი მსახიობი მოვიდა, საერთოდ აღარ შეეძლო უთეატროდ ცხოვრება, უბრალოდ, მოკვდებოდა, როგორც უჰაეროდ, დაწვებოდა თავის საწოლზე, დაიკრეფდა გულხელს და მოკვდებოდა. მოჯადოებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე შეყვარებულს. შეყვარებულები სხვა ქალები იყვნენ და არც მალავდნენ, შემთხვევას არ უშვებდნენ, თავიანთი სიყვარული რომ გამოემჟღავნებინათ, რანაირად აღარ იმტვრეოდნენ, რანაირად აღარ იგრიხებოდნენ და იმანჭებოდნენ, თბილისელი მსახიობის ყურადღება რომ მიექციათ; ხოლო როცა მარტო მოიყრიდნენ ხოლმე თავს, უკაცებოდ, ისეთ სისულელეებს ამბობდნენ და ისეთ სისულელეებს ნატრობდნენ, ამალია კიდევ ერთხელ

რწმუნდებოდა, იმის გრძნობას არაფერი ჰქონდა საერთო სხვა ქალების გრძნობასთან. ნეტავი, ძაფი იყოს, მე კი ნემსიო; ნეტავი, ნამგალი იყოს, მე კი ყანაო; ნეტავი, გემი იყოს, მე კი ზღვაო; ნეტავი, ჩიტი იყოს, მე კი გალიაო; ნეტავი, ღვინო იყოს, მე კი თასიო; ნეტავი, თითი იყოს, მე კი სათითეო; ნეტავი, ნეტავი და ნეტავიო. ამალიას კი არაფერი არ უნდოდა, არაფერს არ ნატრობდა, გარდა იმისა, რომ თბილისელი მსახიობი სულ თბილისელი მსახიობი ყოფილიყო, თვითონ კი — სულ ამალია, თვალდახუჭული, ქუთუთოებათრთოლებული მდგარიყო იმის წინ, როგორც ბრმა — მოგუგუნე კოცონთან, და ესმინა, უსასრულოდ ესმინა, როგორ დაჰყვიროდა იგი, როგორ აღშფოთებდა იმას ამალიას უნიჭობა, მოუქნელობა, სიუშნოვე. თბილისელი მსახიობი ამალიასთვის ღმერთივით მკაცრი და უფლებამოსილი იყო; ღმერთივით სამართლიანიც, კეთილი და გამკითხავი. მართალია, რეპეტიციებზე ლანძღავდა, დასცინოდა, აწვალებდა, მაგრამ ისე არ წავიდოდა თეატრიდან, რამე ქათინაური არ ეთქვა იმავე ამალიასთვის. “აგერ ნახავთ, ეს გოგო სასწაულს თუ არ მოახდენს სცენაზე. ტყუილად კი არ უდგას ძარღვებში (ამალიას დედა ბერძენი ჰყავდა) ელექტრასა და ანტიგონეს სისხლიო” — ამბობდა ხოლმე თბილისელი მსახიობი და ამალიას ისევე სჯეროდა მისი ქათინაურისა, როგორც მისი ლანძღვისა. სჯეროდა, მართლა რომ მოახდენდა სასწაულს, თუმცა, რაკი თბილისელ მსახიობს ასე მიაჩნდა, ამალია უბრალოდ ვალდებულადაც თვლიდა თავს, მოეხდინა სასწაული და ახლა იმასაც უკვე მეტი ხალისით გაჰქონდა სცენაზე ლამპა, მეტი ხალისით შლიდა სუფრას და მეტი ხალისით მიართმევდა ხოლმე ნარგილეს მუთაქებზე მისვენებულ “სულთანს”, რომელიც, მიუხედავად ამალიას თავგამოდებისა, ხშირად იძულებული ხდებოდა, წამომდგარიყო მუთაქებიდან, თავად ჩამოერთმია ნარგილე ამალიასთვის და ფარული მჯულუგუნით დაეყენებინა იგი სცენიდან გასასვლელ გზაზე. ხოლო ერთხელ, შუაღამისას, თავსხმაში, უგონოდ მთვრალი თბილისელი მსახიობი რომ გამოეცხადა შინ — თავფეხიანად გაწუწული, ტალახში ამოგანგლული, ყვავილებით ხელდამშვენებული — ამალია

სამუდამოდ დაემონა ამ ღვთაებრივად განუსაზღვრელსა და ღვთაებრივად დაუნდობელ ბედნიერებას. “ელენე, ელენეო” — ჩასძახოდა ბალიშს თბილისელი მსახიობი მის გათოშილ, ეკალდაყრილ მხართან, და ერთადერთი, რასაც ამალია მაშინ გრძნობდა, სველი ყვავილებისა და სველი მიწის სუნით გაჟღენთილ წყვდიადში, სიამაყის გრძნობა იყო, ოღონდ არა ქალური სიამაყისა, არამედ საგნისმიერი, თუკი შეიძლება, რომელიმე საგანს, მაგალითად ჭიქას, ეამაყებოდეს, წყურვილს რომ იკლავს ვიღაცა მისი მეშვეობით. როგორც ქალი, ამალია იმ წუთას სათვალავში არ ითვლებოდა, ის იდუმალ გზას განასახიერებდა, ანდა სულაც გზის მონაკვეთს, რომლის მეშვეობითაც ერთი დიადი სული მეორე დიად სულს უკავშირდებოდა. აი, როგორი ბედნიერი იყო ამალია. ამხანაგები კი დასცინოდნენ. “რა ვთქვა? მითხარით, რა გინდათ და გიპასუხებთო” — ამბობდა თავჩაღუნული, გაწითლებული, ჭირის ოფლგადამსკდარი, ხოლო თბილისელი მსახიობი მოღუშული იჯდა ცალკე და ჩაისავით ნელნელა სვამდა ღვინოს. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იღუშებოდა, უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა, როცა სხვები ძველებურად ილხენდნენ, ძველებურად მღეროდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, ფოსტის მოხელე, თეთრწვერა იასონი გამოეცხადებოდათ. თეთრწვერა იასონმა თბილისელ მსახიობს პოლიცმეისტერის ბარათი გადასცა. სანამ იქ იდგა, დაბნეულად იღიმებოდა განუწყვეტლივ და განსაცდელში ჩავარდნილი კაცის სულსწრაფობით ათვალიერებდა იქაურობას, ქურდულად, შიშით, თითქოს არ იცოდა, საიდან და როდის გამოუვარდებოდა ხიფათი. თბილისელი მსახიობი დიდხანს კითხულობდა ბარათს, თუმცა ღერბიან ფურცელზე სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა. პოლიცმეისტერი ოჯახურ ვახშამზე ეპატიჟებოდა თბილისელ მსახიობს. ეგ იყო და ეგ. მაგრამ თბილისელი მსახიობი მაინც ჯიუტად დასცქეროდა ათრთოლებულ ფურცელს და ძველებურად მოღუშული, თითქოს არაფრად აგდებდა თანამებრძოლთა ცნობისმოყვარეობას, ცოცხალი სურათებივით გაშეშებულნი რომ შემოსცქეროდნენ მოუთმენლად. თბილი-

სელი მსახიობი კი ისევ ბარათს დასცქეროდა, თითქოს კითხულობსო, ანდა თითქოს ვერ კითხულობსო, და განრისხებული, გამწარებული, შეურაცხყოფილი აქუცმაცებდა გუნებაში, გლეჯდა და აქუცმაცებდა, როგორც მშიერი ლომი ნანადირევს. “ოჯახურ ზეიმზე”, “დიდად გაგვაბედნიერებთ”, “თქვენი ნიჭის მარად თაყვანისმცემელი” — იმეორებდა ბარათის ცალკეულ ნაგლეჯებს და არ იცოდა, როგორ შეეხედა ამხანაგებისთვის სახეში. ბოლოს, ვითომც აქ არაფერიო, ბარათი ჯიბეში ჩაიკუჭა, სკამიდან წამოდგა და თქვა: შეგიძლიათ დაიშალოთ, პოლიცმეისტერი მოუთმენლად ელოდება ჩვენს მორიგ წარმოდგენასო. “ვაშაააა! გავიმარჯვეეეეეთ!” — ერთხმად შესძახეს მსახიობთა გაცისკროვნებულმა, გაბედნიერებულმა, გამშვენიერებულმა სახეებმა, მაგრამ თბილისელ მსახიობს ხმა არ ამოუღია, ნელა, აუჩქარებლად გამოვიდა თეატრიდან — წვერმოშვებული, მოღუშული, მოტეხილი — როგორც პატიმარი ციხიდან.

ცოტა რომ გამოფხიზლდა, ზღვის პირას მიდიოდა. თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. “როდის დაღამდაო?” — გაუკვირდა გულწრფელად. ახსოვდა, დუქანში რომ შევიდა სატვირთო სადგურის გადაღმა, მაგრამ არ ახსოვდა, როდის გამოვიდა იქიდან; ახსოვდა, მთელ ბათუმში ცნობილი გიჟი რომ გადაეკიდა, ორი შაური მომეცი და საქართველოს ისტორიას მოგიყვები თავიდან ბოლომდეო, მაგრამ არ ახსოვდა, როგორ დაშორდა იმ გიჟს, მოაყოლა თუ არა საქართველოს ისტორია, თანაც ბოლომდე; ახსოვდა, დავით კლდიაშვილსა და გრიგოლ ვოლსკის რომ შეხვდა ფრანგების ეკლესიასთან, მაგრამ არ ახსოვდა, რაზე ელაპარაკა იმათ. თუმცა არა, ისიც ახსოვდა, დავით კლდიაშვილმა რომ უთხრა: ნიჭს მოვლა უნდაო; ამას კი სიცილი აუვარდა და მთლად გადარია ის პატიოსანი ხალხი. “ბატონო დავით, არავის არ უნდა ჩვენი ნიჭი, ტაკიმასხრებისაა ქვეყანაო” — ახლა ებოდიშებოდა გუნებაში და მიაჩხრიალებდა ქვიშას. პირი გაშრობოდა. სულს ვერ ითქვამდა, თითქოს ზღვის პირას კი არ მიდიოდა, ვიწრო ყუთში ჩაეჭეჭკათ, იონბაზის ბატივით. მიდიოდა, მიაჩხრიალებდა ქვიშას. “ახლა თუ ზღვაზე არ გავედი, მართლა დავიხრჩობიო” — ფიქ-

რობდა ამ უეცარი განზრახვით აფორიაქებული, აღგზნებული და დამფრთხალი, იმ ბავშვივით, სათავგადასავლო წიგნს რომ წაიკითხავს და შინიდან გაპარვას გადაწყვეტს, თუმცა დამოუკიდებლად ბაზარშიც არ გაიშვება ჯერ, დანაბარების ნაცვლად, კატის კნუტს მიიყვანს შინ, ანდა ძაღლის ლეკვს. “ახლა კი არ ავიჩემე, მთელი დღე მინდოდა ზღვაზე გასვლა და იმიტომაც მოვედი აქო” — ირწმუნებდა თავს და მიაჩხრიალებდა ქვიშას. უჭირდა გაუჩინარებულ ქვიშაზე სიარული. მაგრამ მაინც მიდიოდა. ცოტა ხნის მერე მეთევზე ხასანას უკაკუნებდა სარკმელზე და გული შიშით უსკდებოდა, ვაითუ, შინ არ იყოსო. მეთევზე ხასანამ რომ გამოხედა, ცოტას მორჩა გადაეხვია, ისე გაუხარდა მისი დანახვა. “ამ შუაღამისას ნავი რად გინდა, ჭოვ, კონტრაბანდისტობა ხომ არ დაგიწყიაო” — გაუკვირდა ხასანას. მაგრამ თბილისელ მსახიობს ისე ძალიან უნდოდა ნავი, როგორც არ უნდა განემარტა მეთევზე ხასანასთვის, მაინც ვერ გააგებინებდა, ვერ დაარწმუნებდა, ვერ გადასდებდა იმ უსაშველო, უკიდეგანო, ენით უთქმელი ნეტარების აღმთქმელ ჟინს, სურვილსა თუ აჩემებას, რითაც თვითონ იყო იმ წუთას შეპყრობილი. “მინდა. აუცილებლად მჭირდება!” — იმეორებდა მიზეზიანი ბავშვივით. მაგრამ მეთევზე ხასანამ, ეტყობა, მაინც გაუგო და ვიდრე უჩინარ ნავს უჩინარ ზღვამდე მიათრევინებდა, ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს კი უთხრა, თუ რამე გიჭირს, წამოგყვებიო, მაგრამ ამან მხოლოდ გაუღიმა პასუხად, თუმცა მაშინვე მიხვდა, ღიმილი მკვდარი, უმაქნისი ენა იყო ამ შეუვალ უკუნეთში. მერე ნავში იჯდა და გავეშებული უსვამდა ნიჩბებს, თუმცა ვერც ზღვას ხედავდა, ვერც ნავს და ვერც ნიჩბებს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთ ადგილზე ადიჩადიოდა ჰაერში, თითქოს წყვდიადზე მიბმული, ნიჩბებს კი არ უსვამდა, თავის გათავისუფლებას ცდილობდა თოკებიდან; ანდა, კიდევ უარესი — თითქოს აიწონადაიწონას ეთამაშებოდა ვიღაცა, ისეთივე უჩინარი, როგორც ზღვა, ნავი, ნიჩბები. მაგრამ უკან რომ მიიხედა და ნავსადგურის შუქურამ ციცინათელასავით გაიელვა, მიხვდა, ძალიან ღრმად შეეცურა ზღვაში. ნიჩბებს ხელი შეუშვა და გაოფლილი, ტანზე მიწებებული პერანგი

გადაიძრო. ცოტა სული მოითქვა. ზღვის ნიავი ბუბუნით ეხეოდა ზედ. ჯერ კიდევ უხაროდა რაღაცა, თუმცა არც იქ იგრძნობოდა გაშლილი და თვალუწვდენელი სივრცე. თვალთანვე მთავრდებოდა. უფრო სწორად, არ არსებობდა. არაფერი არ არსებობდა, სიბნელის მეტი. ჯერ კიდევ უხაროდა რაღაცა და ნელნელა, აუჩქარებლად შიშვლდებოდა. ტანსაცმელს გულდაგულ კეცავდა, რამდენადაც ამის საშუალებას სიბნელე აძლევდა, და ნავის ფსკერზე ალაგებდა ფეხებთან. დედიშობილა იჯდა ნავში და ყოყმანობდა; ცოტა არ იყოს, ეშინოდა უჩინარი წყლისა. მობუბუნე ნიავის ნაფლეთებს განუწყვეტლივ გრძნობდა ტუჩებზე, იღლიებში, ლაჯებში. "შეველ განსაწმენდელსაო" — შესძახა ბოლოს, ალბათ გასამხნევებლად, და თავდაყირა გადაეშვა ნავიდან, თუმცა საფუძვლიანად არც იყო დარწმუნებული, აუცილებლად ზღვა რომ დახვდებოდა სიბნელეში. უჩინარი წყალი გამდნარი კუპრივით შემოეტმასნა მაშინვე; სქელი, თბილი, ვერაგი; ატორტმანდა, ახვნეშდა, ადგაფუნდა. მაგრამ წყლის ხმასაც ისევე გრძნობდა, როგორც თავად წყალს: სმენაც დახშული ჰქონდა და თვალიც. გრძნობის ამარა არსებობდა ბრმა, ყრუ, ტიტველი; წყვდიადის ტყვე და, ამავე დროს, ყველაფრისგან თავისუფალი, როგორც ჩვილი დედის მუცელში. აი, რას მიელტვოდა თურმე; აი, როგორი ეშმაკი ყოფილა მაინც. "ვცხონდი. ვცხონდი, ვცხონდიო" — გაჰყვიროდა მთელი ხმით და მალაყებს გადადიოდა, წყვდიადის ნაჭუჭში მომწყვდეული. გული რომ იჯერა წყალთან თამაშით, გული რომ მოიოხა ცხოველური, ბნელი თავისუფლებით და ერთი ორჯერ წყალიც ჩაყლაპა, სასწრაფოდ მიაშურა ნავს, მაგრამ ნავი იქ აღარ დაუხვდა, სადაც ეგულებოდა. დაფეთებული შემობრუნდა წყალში მთელი სხეულით. იცოდა, ნავი თავისთავად ვერ გაქრებოდა, მაგრამ ამ ყიამეთში ნავის ძებნა ისეთივე უაზრობა იყო ახლა, როგორც ნემსის ძებნა თივაში. მაგრამ მაინც უნდა მოეძებნა, აუცილებლად, რადგან უნავოდ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა ნაპირამდე, გინდაც სცოდნოდა, საით იყო ნაპირი, თანაც, არა უახლოესი, არამედ თავისი, ერთადერთი, მშობლიური. "მთავარია, არ შევშინდეო" —

იმეორებდა ზედიზედ, უკვე შეშინებული, უკვე შიშს აყოლილი, უკვე ელდანაცემი. ხან ერთ მხარეს გაცურავდა, ხან მეორეს, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, ადგილზე ფართხალებდა და მხოლოდ ეგონა — მივცურავო. ცოტაც და გონებას დაკარგავდა, თუ უკვე არ ჰქონდა დაკარგული. ახლა ზედიზედ ყლაპავდა წყალს და ხელები ძლივსღა ამოჰქონდა წყლიდან, თითქოს მართლა კუპრში მიცურავდა. აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. განუწყვეტლივ, შემზარავად უწიოდა რაღაცა გონებაში და ისიც აღარ ახსოვდა, რას დაეძებდა, მხოლოდ ნავს თუ ყველაფერს ერთდროულად, რაც ნავამდე და ნავივით დაჰკარგვოდა. სწორედ ამ დროს ნიჩბის ბოლო მოხვდა ტუჩებში და, ტკივილისგან, შიშისგან თუ სიხარულისგან, ისე შეჰყვირა, საკუთარმა, მაგრამ შემზარავად გაუცხოვებულმა, გატყიურებულმა ხმამ გამოაფხიზლა აღსასრულის წინამორბედი რინდიდან, ისევ ღამის წყვდიადში დააბრუნა აღსასრულის თვალისმომჭრელი სინათლიდან. ნავის კიდეზე ეკიდა აძაგძაგებული ხელებით და ჭლექიანივით ახველებდა, ყრუდ, გადაბმულად, სულის მოუთქმელად. “ცოტას მორჩა... ცოტას მორჩა... ცოტას მორჩა...” — იმეორებდა გუნებაში უაზროდ, გაოგნებული, აღგზნებული, გახარებული, გაბითურებული. ძლივს აიტანა სხეული წყლიდან და გვამივით ჩაშვავდა ნავში.

რკინის თეატრში ერთხელ კიდევ განახლდა წარმოდგენები. თბილისელი მსახიობიც ისევ ძველებურად ატყვევებდა, აჯადოებდა, აფორიაქებდა მაყურებელს, ხან ბერძნულ ტოგაში, ხან ესპანურ ლაბადასა და ხან ქართულ ჩოხაში გამოწყობილი; რეცენზენტებიც ისევ ძველებურად გამოყოფდნენ იმას წარმოდგენის სხვა მონაწილეებისაგან, “განსაკუთრებით მშვენიერი იყოო”, მაგრამ დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევდა, ძველი ხალისისა და ცეცხლისა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა. ისევ ვულკანი იყო, მაგრამ უკვე ამოხეთქილი და ჩასანავლებლად, ჩასაწყნარებლად, ჩასაქრობად განწირული. ახლა უფრო იოლად ბრაზდებოდა, ყოველგვარ წვრილმანს ეკიდებოდა და ხშირად უსაფუძვლოდაც ლანძღავდა და სჯიდა მსახიობებს, გაოცებულნი რომ შლიდნენ ხელებს თავიანთი “ტირანის”

ზურგს უკან, ვითომ, გამაგებინე, თუ კაცი ხარ, რა უნდა, რა ბუზმა უკ-ბინაო. მაგრამ მსახიობებს მაინც სჯეროდათ, მაინც ენდობოდნენ, რაც მთავარია, მაინც უყვარდათ, და თავს არ იზოგავდნენ, იმისი გუ-ლი რომ მოეგოთ როგორმე. ის კი, ბებერი მილიონერივით, დღითი დღე ჭირვეული და მიზეზიანი ხდებოდა. ამალიამ რომ ცოლის წერი-ლი შემოუტანა, მხარზე გადამსკდარ ტოგას კემსავდა გაბზარული სარკის წინ და მართლა ბებერივით ბუზღუნებდა: ამ დამპალ ბარ-დელში ქალის საქმეც მე უნდა ვაკეთოო. იმ წუთას არც ახსოვდა, თბილისი თუ არსებობდა, მაგრამ ამალიამ წერილი რომ გაუწოდა, მაშინვე, რატომღაც, სიმამრის სახლის წინ ასვეტილი ჭადრები და-უდგა თვალწინ. იმასაც მიხვდა, ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა ეუწყებინა იმ წერილს, და თუმცა ჯერ კიდევ ბრაზობდა გაქცეულ ცოლზე, მაინც ისე აუფრიალდა გული, ისე აღელდა, ნემსი თითში იტაკა უნებურად. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფრად ჩააგ-დო ეს ამბავი, თითქოს ყოველდღე იღებდა ცოლისგან წერილს. წე-რილი მშვიდად ჩაიდო ჯიბეში და სარკეში ჩაიხედა, მაგრამ საკუთარ-მა გამოსახულებამ, თანაც ორ არათანაბარ ნაწილად გაპობილმა, ისე შეზარა, მაშინვე ცივად აარიდა თვალი. ვერ იქნა და ვეღარ დაიმ-შვიდა გული, მაგრამ ისევ სარკის წინ იჯდა, ვითომ ტოგის კემსვით გართული. “იქნება მიხვდა თავის შეცდომას, იქნება ბოდიშს მიხდის და პატიებას მთხოვსო” — წამოყოფდა ხოლმე თავს მაცდური იმედი მის აფორიაქებულ გულში. “რაღას უდგას? რატომ არ მიდისო?” — ბრაზობდა ამალიაზე და, ვითომც აქ არაფერიაო, ჯიბისკენ თავისთა-ვად გაქცეულ ხელს თმაზე ისვამდა. “რამე უბედურება თუა, მაშინ დე-პეშას გამომიგზავნიდნენ და არა წერილსო” — ფიქრობდა თან. მთე-ლი წელი ისე გავიდა, ერთხელაც არ მოუკითხიათ, “აღიარეს ამისი თავისუფლება”, ანდა თავი ისე ეჭირათ, თითქოს საერთოდ აღარ არ-სებობდა იმათთვის, საერთოდ ამოეშალათ ცოცხლების სიიდან, არც ამართლებდნენ, არც ამტყუნებდნენ, თუმცა, ეტყობა, თვითონაც ხელს აძლევდა ამგვარი ურთიერთობა ცოლთან და ცოლოურთან, რადგანაც არც თვითონ გამოუდია თავი, არც თვითონ შეუხსენებია,

ჯერ კიდევ იმათ კანონიერ სიძედ რომ ითვლებოდა. კანონი მაინც იცოდნენ, ღვთის წყალობით, ყოველ შემთხვევაში, ვალდებულები იყვნენ, სცოდნოდათ. მის სიმამრს მართლმსაჯულების სასწორი ეჭირა ხელში, გუბერნიის მინოსი გახლდათ, ჩემო ბატონო; და აი, უცებ ამხელა წერილი. კიდევ რაღაცა უბედურება დასტყდომოდა თავს, ის კი, კეისრის ტოგას კემსავდა, საკეისროდ ემზადებოდა. "მდააააო" — მიაბღავლა უცებ გაბზარულ სარკეს, როგორც საძოვრიდან დაბრუნებული ძროხა მიაბღავლებს ხოლმე საკუთარ ჭიშკარს. "მიდი და გაარკვიე, თუ ბიჭი ხარო" — გააგრძელა გუნებაში. გასაკვირი ის იქნებოდა, მის სიმამრს, თბილისის გუბერნიის მთავარ მოსამართლეს, ისევ ქმართან დაბრუნება დაევალებინა ქალიშვილისთვის, თანაც უვარგის ქმართან, რომელმაც სამი თვე ვერ შეინახა მათი ერთადერთი, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი და, თავისთავად იგულისხმება, უკეთესი ბედის ღირსი ქალიშვილი. ჯერ მარტო იმ სულელ ლიზას რამდენჯერ გაუგონებია, ჩემს გაზრდილს ვინმემ რომ აწყენინოს, ფრჩხილებით გამოვჩიჩქნი თვალებსო. ახლა კი, მთავარი ქომაგებიც ჩაერეოდნენ საქმეში, ხოლო იმათი ერთი დაყეფება გაცილებით საშიში იყო, ვიდრე ლიზას გაუთავებელი წკავწკავი. ვინ იცის, ამ ერთი წლის განმავლობაში, სულ იმაზე ჰქონდათ ბჭობა, როგორ დაესაჯათ მათი ოჯახის შემარცხვენელი, და ახლა წერილით ატყობინებდნენ ოჯახური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რასაც, რა თქმა უნდა, წერილი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დეპეშა. მართლაც, არაფერია საჩოთირო, ან საგანგაშო, თუკი შენს პირად უბედურებას სხვაც შეიტყობს, სხვაც წაიკითხავს, თუნდაც ფოსტაში, მაგრამ შენი ოჯახურ საიდუმლოებათა საქვეყნოდ გამოჭენება თანაბრად აკნინებს, ხალხის თვალში თანაბრად სცხებს ჩირქს ორივე მხარეს, იმასაც, ვისაც "ასე ცხოვრება აღარ შეუძლია" და იმასაც, ვინც "ასეთ ცხოვრებაში" იგულისხმება. ამიტომაც სდებენ წერილს კონვერტში და ლუქავენ კიდეც. მაგრამ, ეტყობა, ქეყანა მართლა ჩალითაა დახურული, ანდა მის სიმამრს თავი მართლა მინოსი ჰგონია, მისი სამწყსო კი — აჩრდილები, გარდაცვლილთა სულები, და საითაც მოეპ-

რიანება, იქით გადასწევს თავის სასწორს. ვერ მოგართვით! ვერ მოგართვით! ბოლოს და ბოლოს, ეს კი არ გაიქცა, ამას გაექცნენ; ეს არ ინდომეს, ეს გაწირეს, მარტო დატოვეს ბარიკადზე, და პირველ რიგში — ცოლმა. თუ სამართალია, ეს კი არ უნდა დასჯილიყო, ამას უნდა დაესაჯა. ახლა კი რა გამოდიოდა? არაფერიც არ გამოდიოდა — სისულელე, უაზრობა, უმსგავსობა. წერილის წაკითხვასაც ვერ ბედავდა და გამალებული კემსავდა კეისრის ტოგას, შიგ რომ შემალულიყო დროებით, როგორც თაგვი — სოროში. სარკიდან ორად გაპობილი, გაორებული სახე შემოსცქეროდა: უაზრო, უსიცოცხლო — წყლით გათიშული ორი კუნძული, თანაც ჯერ აღმოუჩენელი, დაუსახლებელი. "კეისარს კეისრისაო" — უთხრა გაბზარულ სარკეს და წამოდგა. "მიბრძანდებით?" — ჰკითხა ამალიამ. "წავალ, შევჭამ რამეს" — უთხრა ისევ სარკეს. — წერილს წავიკითხავო — გააგრძელა გუნებაში. ცოტა ხნის მერე რესტორან "ფრანციაში" იჯდა და ვერ გადაეწყვიტა, სადილამდე წაეკითხა წერილი თუ ნასადილევს. რესტორანი ჯერ კიდევ ცარიელი იყო და ახლა საითაც არ უნდა გაეხედა, ყველგან საკუთარ სახეს ხედავდა სარკეებიან დარბაზში, ოღონდ ახლა უკვე გაერთიანებულს და ჩვეულებრივად მედიდურს. მაინცდამაინც არ უყვარდა ეს ქათქათა, ბრჭყვიალა, ხაზგასმულად "ევროპული" რესტორანი, რომელიც ევროპული რესტორნის მდიდრულ დეკორაციას უფრო ჰგავდა, მაგრამ რესტორნის პატრონს ეამაყებოდა მისი სტუმრობა და ნისიად ასმევაჭმევდა, განუსაზღვრელი ვადით. მაგიდაზე, ფაიფურის თეფშებზე, გედებივით გაფუყულიყვნენ ლამაზად დაგრაგნილი ხელსახოცები. მაგიდის შუაგულში მოოქროვილი შანდალი იდგა, ახალი, თავადაც ოქროსფრად მბზინავი სანთლით. უცებ ოფიციანტის მწითური, სიბერეშეპარული სახე დაინახა, ჭაღარა, ხშირი წარბებითა და აცქვეტილი ულვაშებით გაწყობილი. "როგორ ბრძანდებითმეთქი", — თქვა ოფიციანტმა. შემცბარი იღიმებოდა. ეტყობა, დიდხანს ელოდებოდა, როდის გამოერკვეოდა ფიქრებისგან ბატონი თბილისელი მსახიობი. "აა... მადლობთ. თავად როგორ გიკითხოთ?" — მოიკითხა თვითონაც. "ევროპამ თუ არ გვიშველა რამე, წა-

სულია ჩვენი საქმეო” — თქვა ოფიციანტმა, ალბათ სტუმრის საამებლად, რამდენადაც კარგმა ოფიციანტმა, არა მარტო პირის გემოიცის სტუმრისა, არამედ იმისი გულის დარდებიც (მეტი რა ესმოდა ალბათ ამისგან, თანაც მთვრალისგან). “ევროპამ?!” — გაიკვირვა და საბოლოოდ გამოფხიზლდა. “აბა, იაპონია იქითაა მისახედი!” — გახალისდა ოფიციანტი. მაგრამ თბილისელ მსახიობს ახლა არც ევროპისთვის ეცალა, არც იაპონიისთვის, თავისი პირადი სადარდელი ჰქონდა, ცოლის წერილი ედო ჯიბეში და უცებ ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა ამ სუფთა, კოპწია, ყურადღებიანი კაცისადმი, ჯიუტად რომ ცდილობდა მის გამოთრევას გამარინდებელი ფიქრიდან. ერთისაც და მეორისაცო — შეიგინა მოულოდნელად. ოფიციანტი შეცბა. ცოტა ხნის მერე უკვე ცივად, საქმიანად ჰკითხა: რას ინებებთო. თბილისელი მსახიობიც შეწუხდა, საკუთარმა უხეშობამ შეაწუხა, ოფიციანტი კი შეეცოდა; “შინაურობის”, “ტკბილი ნაცნობმეგობრობის” აღსადგენად თვალი ჩაუკრა და უთხრა: პილატეს ცრემლები გექნებათ კარგი, სოფლურიო. თან მუცელზე მიიდო ხელი, ვითომ წამლად უნდოდა. “რა დამალევინებს არაყს ამ შუადღისასო” — შეიცხადა ოფიციანტის წასვლისთანავე; მაგრამ არაყი ესიამოვნა და ვიდრე ოფიციანტი სუფრას გააწყობდა, პირწმინდად მოიხადა სამი სახარების ვალი. არაყმა გააბრუა. გაამხნევა კიდეც. “ავდგები და დავთვრებიო” — გაიფიქრა ვიღაცის ჯიბრით, თუმცა დღეს სრულებითაც არ უნდოდა დათრობა, წერილი ჰქონდა წასაკითხი, ტანი უგრძნობდა, დღეს წყდებოდა მისი ბედი, მაგრამ ეს რომ გაიფიქრა, უკვე მთვრალი იყო, უკვე თავში უბრწყინავდა გურული, სამნახადი ჭაჭა. ჯიბიდან კონვერტი თამამად ამოიღო და დანის პირით გახსნა. ოთხად გაკეცილი ფურცელი შარიშურით გაშალა და დახედა. “გამარჯობა, მამიკო!” — უთხრა წერილმა. ისე აღელდა, ისე დაიბნა, თითქოს სხვისი წერილის კითხვისას მოულოდნელად წამოდგომოდა თავზე წერილის კანონიერი პატრონი. “გამარჯობა, მამიკო!” — გაიმეორა თვითონაც უნებურად. მაშინვე ყველაფერს მიხვდა. რაღაც სასიამოვნოდ ცხელი, სასიამოვნოდ ამაფორიაქებელი ჩაეღვარა გულში. კარგა ხანს ვე-

ღარ მიუბრუნდა წერილს. ხოლო თვალში რომ გამოიხედა, ისევ ოფიციანტი დაინახა. ოფიციანტმა ჭიქა გადაუვსო და ბოთლს ხელსახოცი მოუსვა თავზე. საქმიანად ირჯებოდა, მოღუშული; ძველი წყენა ჯერ ისევ სახეზე ეხატა, ჯერ არ გამონელებოდა ბოლომდე. "გაგიმარჯოსო" — თქვა ამან გუნებაში. წესიერად თვითონაც არ იცოდა, ვის მიმართავდა: ოფიციანტს, საკუთარ თავს თუ ჯერ კიდევ უცნობ შვილს. ჭიქა ბოლომდე დაცალა და ისევ ჩახედა წერილს. "მე უკვე დიდი ბიჭი ვარ", — უთხრა წერილმა. "ვითომ მართლა შეუძლია ევროპას ჩვენი შველა?" — ჰკითხა ამან ოფიციანტს. ახლა ოფიციანტმა გამოხედა გაკვირვებულმა. "მამათმავლების ყრილობა ვიღამ მოიწვიოს? ქალის ნიფხავი ვიღამ შეკეროს?" — უარესად ჩააცივდა ეს. ოფიციანტმა მხრები აიჩეჩა, რა ვიცი, რა ჩემი საქმეაო. "მე და დედიკოს ძალიან გვენატრები", — თქვა წერილმა. ისევ სასიამოვნოდ ცხელმა ტალღამ გადაუარა გულზე და სასწრაფოდ მოაშორა წერილს თვალი. ოფიციანტი ყურებჩამოყრილი იდგა. "როდის უკითხავს ევროპას ჩვენი ამბავი, ბიძიკო, ახლა რომ იკითხოს? რუკაზედაც ვერ გვიპოვის, სადა ვართ. ჩვენი სახელიც არ იცის. აღამაჰმადხანმა თბილისი რომ დაანგრია, პარიზმა ტაში დასცხო", — უთხრა ამან. "ღვინო ხომ არ დაგჭირდებათ კიდევ? ეს მესამე ბოთლია", — ჩაიბურდღუნა ოფიციანტმა. "მითვლი?" — გაუღიმა ამან. ოფიციანტს ესეც ეწყინა, თქვენთვის ვამბობ, თორემ რა ჩემი საქმეა, რამდენს დალევთო. ვერ იქნა და ვეღარ მოინადირა იმისი გული; სხვას ცდილობდა და სხვა გამოსდიოდა; იმიტომ, რომ ერთდროულად აქაც იყო და იქაც — წერილში — და იქ გახარებული, აქ სიტყვებს ვეღარ ზომავდა, დაუმსახურებელ ტკივილს აყენებდა ვიღაცას, რომელიც სრულებითაც არ იმსახურებდა მისგან ამგვარ უსამართლობას. "ღვინო კიდევ მოიტანე. დიდი ჭიქებიც გამოაყოლე ხელს. ჩვენი შერიგებისა უნდა დავლიოთ!" — უთხრა ოფიციანტს. ოფიციანტმა ისევ აიჩეჩა მხრები. "მე, სახელოვანი მსახიობი..." — გაიფიქრა ამან, და მეორე წუთას — გამარჯობა, მამიკოო — გამოაჯავრა ვიღაცას გუნებაში. აქ რომ შემოვიდა, დარბაზი ცარიელი იყო, ახლა კი, ჩვეულებრივი, რესტორნული ჟრიამული იდგა

ირგვლივ, ოღონდ ევროპული კი არა, ქართული. “რა დროა, ნეტავი-ო” — გაიფიქრა უინტერესოდ; არც უფიქრია საათზე დახედვა. ოფიციანტმა ცარიელ ჭიქას ხელი დააფარა. ოქროსფრად მბზინავი სანთელი სანახევროდ ჩამწვარიყო. პირველად ახლა იგრძნო გამდნარი ცვილის სუნი. ესიამოვნა. “ჩვენვე უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, ბიძიკო”, — უთხრა ოფიციანტს. “ვინ გაჭმევს? ვინ გირეცხავს? სხვათა შორის, თეატრი აქაცაა”, — თქვა წერილმა. ოჰო! ეს უკვე სხვა ამბავია, ეს უკვე იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს ცოლი ქმარზე... ევროპა — პატარა, დაჩაგრულ ქვეყანაზე. “ევროპამ თავისი მისია დიდი ხანია დაკარგა, ბიძიკო. გაძღა ცხოვრებით. არაფერი აღარ უნდა. არც იცის და არც აინტერესებს, რა ხდება აქ, რა დღეში ვართ მე და შენ. კი ბატონო, მართალი ბრძანდები. სანამ სახლიდან არ დაიყვირებს ვინმე — მიშველეო — რა უფლება გაქვს, შეუვარდე. მაგრამ დიდ პოლიტიკოსად რომ მოაქვს თავი, უსაშველოდ გავნათლდიო, რომ იძახის, ისიც უნდა იცოდეს, მე პირზე ხელი რომ მაქვს აფარებული და გინდაც მაინც მოვახერხო დაყვირება, იქამდე გამაძრობენ ტყავს, ვიდრე ჩემი ხმა ევროპამდე ჩააღწევდეს. სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო. თუ პირიქით. ხომ გაგიგონია? მადლობელი ვარ. ძველ ანგარიშს მიათვალე. შენი დიდი მადლობელი ვარ, ბიძიკო”, — სხაპასხუპით მიაყარა ოფიციანტს და წამოდგა. ისევ რომ გამოერკვა, იმავე რესტორანში იჯდა, ოღონდ ახლა სხვა სუფრაზე, მისთვის თითქმის უცნობ ხალხში. მხოლოდ სახით ცნობდა ზოგიერთს. ვიღაც ქალი ძალით აფრინდებოდა ხელში, გინდა თუ არა, მაჩვენეთ თქვენი ხელისგული, გენიოსებს განსაკუთრებული ხელისგული აქვთო. ვიღაც კაცი საცობის ნაფშხვენს ნეკით იღებდა ჭიქიდან და უცინოდა: მეც ბიჭი მეყოლებაო. პიანისტი ტუშს უკრავდა, ისიც ამას უღიმოდა, კისერმოღრეცილი. პიანინოზე ღვინით სავსე ჭიქა იდგა. უცებ პოლიცმეისტერი დაინახა, ვიღაც ზონზროხა, მოკლედ თმაშეჭრილი ქალის გვერდით. მაშინვე ჭიქას დასტაცა ხელი, ფეხზე წამოვარდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ბათუმის პოლიცმეისტერს და ვეზირიშვილის ფაშატსო. დარბაზი უარესად აზრიალდა. აქაიქ ტაშიც დაუკრეს. მიტ-

კალივით გადაფითრებული პოლიცმეისტერი სადღაც გაქრა, თავის ზონზროხა თანამგზავრიანად. კიდევ რომ გამოერკვა, შუა ქუჩაში იდგა. ქუჩაში ბნელოდა. შორს, ქუჩის ბოლოში, ოდნავ ბჟუტავდა ობოლი ნათურა, თუკი ნამდვილად ნათურა იყო. სიბნელეს რომელიღაც ყვავილის მძაფრი სუნი დაჰკრავდა, მოტკბო, უსიამო. ოდნავ ილანდებოდა ფრანგების ეკლესიის წყვილი სამრეკლო, თითქოს სიმთვრალის წყალობით გაორებული. "ამალია მელოდებაო" — გაიფიქრა სულელურად. ამალია ყოველთვის სიმთვრალეში ახსენდებოდა. თავს კი იტყუებდა, ცოლის ჯიბრით ვიქცევი ასეო, მაგრამ სიმთვრალეში ადვილი იყო თავის მოტყუება; სასიამოვნოც; რადგან ცოლის გაქცევის მერე, მისი განახევრებული ხორცი განუწყვეტლივ იტანჯებოდა; უსინდისოდ, დაუმსახურებლად მიტოვებული, კარგამოკეტილი ძაღლივით წკავწკავებდა, გაქცეულ ნახევარს ეძახდა, მაგრამ ეს შეგნებულად უყრუებდა; გაბრაზებული, შეურაცხყოფილი; ხოლო სიმთვრალე, კუდიანი დედაბრის ბანგივით, მის მკაცრსა და ფხიზელ გონებასაც ადვილად აძინებდა და მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა ყველაფერი ერთხელ კიდევ მოთავებული ჰქონდა, როცა ამალია ჯერ ისევ ლოგინში იწვა და ცხვირამდე აწეულ საბანს ორივე ხელით ჩაფრენოდა, თითქოს ძალით გადახდიდა ვინმე. ეს კი, შემაძრწუნებლად გამოცარიელებული, დარცხვენილი, გაბითურებული — ფაცაფუცით იკრავდა ფეხსაცმლის ზონრებს. სამაგიეროდ, ამალიასთვის მისი ყოველი გამოცხადება, თუნდაც ასეთი ხანმოკლე, უსულგულო და უხეში, ცის გახსნას უდრიდა, სასწაულს, ღვთის წყალობას, რადგან ღრმად სჯეროდა, არაფრით არ იმსახურებდა თბილისელი მსახიობის ყურადღებას; ფიქრშიაც არ დაუშვებდა, მეტოქე ყოფილიყო იმისი ცოლისა, რადგან ცოლსაც ისევე აღმერთებდა, როგორც ქმარს. ერთად, ერთნაირად უყვარდა ორივე: გაქცეულიც და დარჩენილიც. კი არ უხაროდა, თავზარი ეცემოდა იმის დანახვაზე; კი არ აბედნიერებდა იმის გამოჩენა, აფრთხობდა, აბნევდა და ამაღლებდა, როგორც მორწმუნეს — ღმერთისა; დაჩოქების სურვილი იპყრობდა მაშინვე და აღგზნებული, თვალებგადათეთრებული, ყელკისერდა-

ლაქავებული — ფეხებზე ეხვეოდა, გაშმაგებული უკოცნიდა მუხლებს, სანამ ის ძალით წამოაყენებდა, ლეშივით მიათრევდა საწოლამდე, სადაც, ხუთი წუთის მერე, მარტო დატოვებდა, კბილებაკაწკაწებულს, დაულეველი ცრემლით სველსა და ბედნიერს, უსაზღვროდ, უთქმელად ბედნიერს.

— შეგიძლია მომილოცო. ვღებულობ მოლოცვებს! — თქვა თბილისელმა მსახიობმა და ამალიას ტუჩებს გარიდებული ხელები ზურგს უკან დაიწყო.

— გილოცავ! სულითა და გულით გილოცავ! — მხურვალედ, გულწრფელად აღმოსთქვა ამალიამ.

— კი მაგრამ, რას მილოცავ? არ გაინტერესებს, რას მილოცავ? — გაიღიმა თბილისელმა მსახიობმა.

მაგრამ ღიმილი მაშინვე პირზე შეეყინა, თვალი გაუშტერდა, რადგან იმავე წამს მიხვდა, რისთვისაც მოსულიყო აქ; არა მამაკაცური ჟინის მოსაკლავად, რისი გაგებაცა და პატიებაც, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლებოდა, არამედ საკუთარი პატივმოყვარეობის საამებლად; ამალიასთვის უნდა დაემტკიცებინა, ამალიასთვის უნდა მოეგო ნიშნი — ცოლისგან მიტოვებული, სხვათა შესაცოდი კაცი არ გეგონოო. იმის მაგივრად, თვითონ დაეჩოქა ამ უბედური ქალის წინაშე, კაბის კალთაზე მთხვეოდა, მადლობა ეთქვა, ბოდიში მოეხადა — ყველის ვაჭარივით იკრიჭებოდა და თავის ბედნიერებას ახარბებდა. მერე სკამზე იჯდა, თავჩაქინდრული, და წასვლა რცხვენოდა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა აქედან, მარტოხელა ქალის სენაკიდან, სადაც აღარაფერი ესაქმებოდა და სადაც მისი დაყოვნება გაქცეული ცოლის ღირსებას კი არ შეურაცხყოფდა, არამედ ცოლთა მაგიერის მარადიულ, წმინდა სიმარტოვეს. ამის უფლება კი ნამდვილად არ ჰქონდა. “მე არასოდეს მექნება ოჯახიო” — თქვა ამალიამ ისე მშვიდად, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, თითქოს მარტოა ოთახშიო, და ამას უარესად დაემდუღრა გული. ამალიას ოთახში დაბადებული სევდა ქუჩაშიც გამოჰყვა, ჰაერზე კიდევ უფრო გაიზარდა, გაფუვდა, და თავფეხიანად მოიქცია იგი თავის ტლანქსა და დაუნდო-

ბელ მარწუხებში. მაგრამ ამ სევდის მიზეზი ამალია კი აღარ იყო, არამედ მისი ცოლი; სიმთვრალის ბრალი იყო თუ ბედნიერი კაცის თავკერძობისა, ამალია კი არ ეცოდებოდა — საკუთარი თავი. ცოლი ენატრებოდა. მთელი ეს ერთი წელი ცოლი ენატრებოდა მხოლოდ. მაგრამ პირველად ახლა, ქუჩაში, ამალიას ოთახიდან გამოსულმა იგრძნო ამ მონატრების ძალა და სიმძაფრე. პირველად ახლა იგრძნო, მთელი წელი ტყუილუბრალოდ რომ არ უტყდებოდა, ტყუილუბრალოდ რომ იპამპულებდა თავს, რადგან, როგორც არ უნდა დაემალა, სხვები მაინც ატყობდნენ, ცოლი ენატრებოდა, და კიდევ უფრო საცოდავი, კიდევ უფრო სასაცილო ხდებოდა სხვების თვალში. მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამაკნინებელი სიბრალულის გრძნობა უჩნდებოდა ყველას: თუნდაც იმავე ამალიას, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად უღებდა კარს, რა დროსაც არ უნდა დასდგომოდა თავზე, უგონოდ მთვრალი, უპატრონო ძაღლივით ქუჩაქუჩა ნათრევი და ზღვისპირა ბაღში ნაქურდალი ყვავილით ხელდამშვენებული, იმიტომ, რომ ამალიას არც ცხოვრებაში შეეძლო თამაში და მხოლოდ იმას ასრულებდა, რაც ბუნებისგან ევალებოდა; იმავე კოსტას, ცალფეხას, ხისფეხას, თავად უპატრონოს — ერთსა და იმავეს რომ უმეორებდა ყოველ შეხვედრაზე — მეორე ფეხსაც მოვიჭრი, უკანვე თუ არ მობრუნდეს შენი ცოლიო — იმიტომ, რომ ხისფეხა კოსტას არც თავისი უპატრონობისა რცხვენოდა და არც თავისი უმწეობისა; და იმავე დიმიტრისაც, უბილეთოდ და უდროო დროს რომ უშვებდა თავის საყდარსა თუ მუზეუმში, რათა ერთხელ კიდევ დაენახვებინა ამისთვის, რა ჰქონდა და რა დაჰკარგოდა, ანდა რა შეიძლებოდა ჰქონოდა და არ დაეკარგა, მარტო სცენაზე თუ დაყაბულდებოდა გმირობას. ყველანი იცოდებდნენ და ყველა მოწყალებას იღებდა, მოწყალებას და არა ჯილდოს, როგორც თვითონ თვლიდა, რადგან ადრე, ასე თუ ისე, კიდევ ერეოდა თავს, ყრუვდებოდა, ბრმავდებოდა, არ ტყდებოდა, უფრო სწორად, გულის ყველაზე საიდუმლო კუნჭულშიც ეშინოდა იმის აღიარება, ვერც რომ წარმოიდგენდა უცოლოდ ცხოვრებას, თუმცა მათი ერთად ყოფნა ერთერთის დაღუპვას

ნიშნავდა მხოლოდ, რადგან ქაჯიც ვეღარ გაარკვევდა უკვე, რომელი იყო გადასარჩენი და რომელი გადამრჩენელი, რომელი რომელს ღუპავდა. მიდიოდა და შიშნაჭამი ბავშვივით უბაგუნებდა გული. ერთი მისი ნაცნობი დახლიდარი, თავად ლოთი და სხვათა გალოთების მსურველი, დიდად საიდუმლო სიბრძნესავით გაანდობდა ხოლმე: როცა ვთვრები — კაცი ვარ, როცა ვფხიზლდები — კაცუნაო. ის კი, ჯერ ისევ მთვრალი, მაინც კაცუნად გრძნობდა თავს. ტირილი უნდოდა, ერთიანად გამოცარიელებულს, ერთიანად გაოგნებულს, და ცოლის წერილი რომ არ სდებოდა ჯიბეში, ალბათ ატირდებოდა. ატირდებოდა კი არა, ყმუილით გაიქცეოდა შინისკენ (დაქირავებული ოთახისკენ), რათა ცოლის ხელშენავლები ნივთები დაეკოცნა, ცოლის თავნადებ ბალიშზე დამხობილიყო პირქვე. წერილი აკავებდა, რადგან წერილი უდასტურებდა, მისი ცოლი ნამდვილად რომ არსებობდა ამ ქვეყანაზე, ნამდვილად მისი ცოლი იყო და ისევ ერთად იქნებოდნენ მალე, სულ, უსასრულოდ, რომელიმე მათგანის და, აქედან გამომდინარე, ორივეს საბოლოო დაღუპვამდე. წერილი ჯიბიდან ამოიღო, ტუჩებზე მიიდო და რამდენჯერმე აკოცა, ცხარედ, ვნებიანად. ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, ვინმე დამინახავს, ვინმეს უცნაურად მოეჩვენება ჩემი საქციელიო. თუმცა ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ეტლმა ჩაიარა მხოლოდ. ისიც მოჩვენებას ჰგავდა. ერთი წამით, უსიცოცხლოდ, უსიამოდ გაიელვეს ეტლში მსხდომთა სანთლისფერმა, გაშეშებულმა სახეებმა; თითქოს ეტლს ცოცხალი ხალხი კი არ მიჰყავდა, მანეკენები გადაჰქონდა მაღაზიიდან მაღაზიაში. ნავსადგურში გემმა დაიღმუვლა, მაგრამ უფრო გააღრმავა, გაამძაღრა ღამის დუმილი. სანამ ფოსტაში შევიდოდა, პირიდან არ მოუშორებია წერილი. გამხმარი წებოს გემოს გრძნობდა ენის წვერზე და სიამოვნებდა. ფოსტაშიც არავინ დახვედრია, მოხელის მეტი. ისიც თავის ხის ყუთში თვლემდა. ეს მაშინვე მაგიდასთან მივიდა, ლურჯი, ხაოიანი ფურცელი დაიდო წინ, სამელნის გარშემო დაყრილი კალმისტრებიდან ერთერთი ამოარჩია, წვერი თითით მოუსინჯა და ჩაფიქრდა. “ჩემო ძვირფასებო” — დაწერა ცოტა ხნის მერე. მაგრამ საჩქაროდ გადახა-

ზა ნაწერი. კალმის წვერმა ფურცლის ბუსუსი აიყოლა. ამან ფურცელი მოჭმუჭნა და სხვა კალმისტარი აიღო. “მადლობელი ვარ” — რატომღაც დიდი, ერთმანეთისგან მკვეთრად დაშორებული ასოებით დაწერა ახალ ფურცელზე. ცოტა ხანს უყურა საგულდაგულოდ გამოყვანილ ასოებს, თითქოს ტკბებოდა საკუთარი ნამოღვაწარით, მაგრამ იმის მაგივრად, წერა გაეგრძელებინა, ის ფურცელიც მოჭმუჭნა, კალმისტარი მაგიდაზე დაახეთქა და ფოსტიდან გამოვიდა. გავეშებული მიაბიჯებდა ცარიელ ქუჩაში, თითქოს ვინმე ელოდებოდა, თითქოს მიეჩქარებოდა, აგვიანდებოდა სადღაც. რკინიგზაზე გადავიდა და ციხისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა, ხოლო ქუჩის ბოლოს ციხის შავი ლანდი რომ აისვეტა, კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს, მერე გაიქცა და ციხის ალაყაფს მიეხეთქა მთელი ძალით, თითქოს სიბნელეში ვერ დაინახაო. იდგა და მუშტებით აბრახუნებდა ალაყაფზე. უსიამოდ ჟღრიალებდა გამოღვიძებული რკინა. მერე ვიღაცა თოფის კონდახით აწვებოდა მკერდში, ის კი ალაყაფისკენ იწევდა მაინც და გაჰყვიროდა: დამიჭირეთ, დამიჭირეთო... მერე პოლიციელებს მიჰყავდათ გაკავებული. წინ ბოქაული გარბოდა, ხმალი ხელში ეჭირა, ფეხებში რომ არ გაბლანდვოდა, უფრო თავისუფლად რომ ერბინა. “შე ქეციანო კატავ, შე ქვემძრომო ჯოჯოო” — მისძახოდა ბოქაულს, პოლიციელებით გაკავებული, და იცინოდა. მერე პოლიციის სამორიგეოში იჯდა სკამზე, ისევ ორი პოლიციელით გაკავებული, და ცდილობდა როგორმე ფეხი მიეწვდინა, როგორმე ჭიტლაყი ამოერტყა ბოქაულისთვის, რომელიც ზურგშექცეული იდგა და ტელეფონით ელაპარაკებოდა ვიღაცას: გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ. გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ. გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ. “თქვენს აღმატებულებას მოახსენე, თავს ნუ იგდებს, თორემ ნაცარტუტად ვაქცევ აქაურობასო” — ყვიროდა ეს და ცდილობდა, როგორმე მისწვდენოდა ფეხით ბოქაულის უკანალს, როგორმე გაეთავისუფლებინა ხელები, მაგრამ პოლიციელები ზედ ეკიდნენ, სახეწამოჭარხლებულნი, ლოყებდაბერილნი, თვალებგადმოკარკლულნი, თითქოს ქვეყნის დამაქცევარი ავაზაკი შეუპყრიათო. “თქვენი დედა... თქვენი

აღმატებულების დედა... ლაქიებო... მონებო!” — ბობოქრობდა ეს, ვიდრე სამორიგეოს კარი გაიღებოდა და თავად პოლიცმეისტერი შემოვიდოდა, გაღიმებული, სახეგაბრწყინებული, ზრდილი, თავაზიანი, და კარგი დახვედრით დიდად ნასიამოვნები სტუმარივით. “როგორ ბედავთ. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. გაუშვით ახლავეო” — სიცილით შეუწყრა პოლიციელებს, როგორც სტუმარი შეუწყრება ხოლმე თავის ცელქ შვილებს, სათამაშოს ანდა კანფეტის გამო წაკინკლავებულებს, თითქოს შინ ან სათამაშო აკლდეთ, ან კანფეტი. პოლიციელები სარგადაყლაპულებივით გაიჭიმნენ. თან მძიმედ სუნთქავდნენ, საბერველებივით. ხოლო სანამ ეს ნატკენ ხელებს ისრესდა, პოლიცმეისტერი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, თითქოს ლაპარაკით უპირებდა გაბრუებას, დაძინებას, და მართლაც, წესიერად აღარც ახსოვდა ამას, რა უნდოდა აქ, რამ მოიყვანა პოლიციაში. “თქვენ გგონიათ, ვერ ვხვდები. თქვენ გგონიათ, ვერ ვხვდები”... — ლუღლუღებდა, როგორც რულმორეული ბავშვი აჩემებულ უაზრობას, გადავლილი, დავიწყებული სიბრაზისგან, შეურაცხყოფისგან გულაჩუყებული, და ისიც კი სჯეროდა, პოლიცმეისტერი მის გამოსაქომაგებლად, მისი ღირსების დასაცავად რომ მოვარდნილიყო ამ შუაღამისას, საპარადო მუნდირში გამოწყობილი. იმავე დროს შეგინებაც უნდოდა იმისი, მაგრამ სამადლობელი სიტყვები ეწებებოდნენ სასაზე, ამაზრზენად ლორწოვანი, გულისამრევად მოტკბო, როგორც სადღაც, უგონობის ჟამს ნაგრძნობი, რომელიღაც უსახელო და მახსოვრობის შლამიან ფსკერზე ჩამპალი ყვავილის სუნი. თან იმასაც ხვდებოდა, კიდევ ერთხელ აბითურებდნენ, კიდევ ერთხელ სიმთვრალესა და მსახიობურ თავქარიანობაში უთვლიდნენ გაბრძოლებას, რისხვას, სიძულვილს. დაუსჯელობით სჯიდნენ, დაუსჯელობით ასწორებდნენ მიწასთან, რადგან რაც სასჯელს არ იმსახურებს, არც არაფერს წარმოადგენს, ჩვეულებრივი ტაკიმასხარაობაა და არა ამბოხი, ანდა თუნდაც უარყოფა რაღაცისა... ასე რომ, როცა პოლიცმეისტერმა ბრძანა, ახლავე ჩემი ეტლით მიაცილეთ შინ ბატონი თბილისელი მსახიობიო, აღარაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, პი-

რიქით, შვებაც იგრძნო, რადგან კიდევ ერთი წუთით რომ დარჩენილიყო აქ, შეიძლება, კიდევ უფრო გაპამპულებულიყო, მართლა დასაცინი და დასაგმობი გამხდარიყო პოლიცმეისტერის თვალში, რადგან ყელში მომდგარ ცრემლს ვეღარ მოერეოდა და სახეში შესტირებდა მისი დამხობისა და დაკნინების მსურველს, შემწყნარებლური, თაყვანისმცემლური ღიმილით რომ შემოსცქეროდა ახლა და კიდევ ერთხელ უხდიდა ბოდიშს ამ "სამწუხარო გაუგებრობისთვის", "პოლიციელთა უტაქტობისა და სიბრიყვისთვის", რომლებსაც ისიც კი ვერ შეუგნიათ, გიჟი რომ თავისუფალია და კანონით ხელშეუხებელია გიჟის თავისუფლება. მერე ეტლში იჯდა, კი არ იჯდა, ეგდო, ჩვრებით სავსე ტომარასავით, და მოულოდნელად მოახლოებულ გამოფხიზლებას უძალიანდებოდა, თავზარდამცემად გრძნობდა, მალე ყველაფერი შემაძრწუნებელი სიზუსტით აღსდგებოდა მის გონებაში და კიდევ ერთხელ შეაზიზღებდა საკუთარ თავს, საკუთარ ბუნებას, რომლის წყალობითაც ყოველთვის სამარცხვინო, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან ნებისმიერი მისი ნაბიჯი, საქციელი, სიტყვა — სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძენდა სხვათა თვალში. მეეტლის გვერდით, კოფოზე დასკუპებული პოლიციელი მოულოდნელად გამოხედავდა ხოლმე, ყურებამდე გაღიმებული, და დიდ, ნაფოტა კბილებს აჩვენებდა, თითქოს ახლაც იმის გასაცინებლად მისვენებულიყო ასე უმწეოდ ეტლის სავარძელზე, თითქოს შესანიშნავად გათამაშებული სიმთვრალისა და სიგიჟისთვის ჩაებრძანებინათ ეტლში, რადგან მართლა მთვრალი და მართლა გიჟი რომ ყოფილიყო, მაშინ ეტლში კი არ ჩააბრძანებდნენ, თანაც თავად პოლიცმეისტერის ეტლში, არამედ ცემენტის სარდაფში ჩააყუდებდნენ, თუნდაც დილამდე. "გააჩერე. ახლავე გააჩერეო" — დაუყვირა მეეტლეს და ვიდრე ის ეტლის გაჩერებას შეძლებდა, იქამდე გადმოხტა ეტლიდან. პოლიციელიც გადმოჰყვა და გამოედევნა: სად მიდიხარ, ვერ გაგიშვებ, ნაბრძანები მაქვს, შინამდე მიგაცილოო. მაგრამ ეს რომ მოუბრუნდა და მშვიდად უთხრა: შენზე ნუ ამომაყრევინებ ჯავრს, რადგან შენ არაფერ შუაში ხარ, ხოლო შენი გალახვისთვის

შენივე უფროსი კიდევ მადლობას მეტყვის აქეთო — პოლიციელი ცივად გატრიალდა. ის კი მიდიოდა და მოახლოებულ სიფხიზლეს უძალიანდებოდა. სიკვდილი ერჩია ახლა თავის ნაქირავებ ოთახში დაბრუნებას. ვერც დაეტეოდა იქ, მოულოდნელი ბედნიერებით გალახული, ნათრევნაგვემი. ახლა, როგორც ჯაფისაგან ქანცგაწყვეტილ პირუტყვს, ადამიანის ხმა და ხელი სჭირდებოდა მხოლოდ, თუნდაც დამცინავი, დამტუქსავი, მაგრამ თანაგრძნობით დამცინავი და თანაგრძნობით დამტუქსავი ხმა და ხელი ადამიანისა, რომელსაც არც შენი უბედურება უკვირს და არც შენი ბედნიერებისა შურს, რადგან ერთიცა და მეორეც თავისი ყოფნის, რადგან ადამიანია, ადამიანი, და გონებით ზომავს ერთსაც და მეორესაც, იმდენს ჭამს, რამდენსაც მოერევა. მაგრამ ადამიანს იმაზე მეტი თუ არ მიეცი, რამდენიც არსებობისთვის სჭირდება, მაშინ ხომ ისიც გაპირუტყვდება? მართალია ეს ვითომ? განა ზედმეტიც არ აპირუტყვებს ადამიანს? მაგრამ ახლა არც თავი ჰქონდა და არც ეცალა ამის გასარკვევად, მეორე ადამიანი სჭირდებოდა, მარტო რომ არ დარჩენილიყო, უარესად რომ არ გაჰგებოდა ფეხქვეშ მოულოდნელი ბედნიერების ქარიშხალს. აი, თურმე როგორი დამანგრეველი, როგორი დაუნდობელი ყოფილა ბედნიერება, როგორი გაგიჟება სცოდნია კაცისა. ახლა შინ რომ მისულიყო, ცოლის ხელშენავლებ ნივთებს კი არ დაკოცნიდა, დააქუცმაცებდა, დაფშვნიდა, დანაყავდა, როგორც კბილის ტკივილით გაცოფებული ბავშვი, ბოლოს და ბოლოს, ამოღებულ კბილს. ამიტომაც იყო, ბევრი რომ აღარ უყოყმანია და მართლაც ბავშვური სულწასულობით, მოუთმენლობით შეაღო მწვანედ შეღებილი ჭიშკარი.

დიმიტრიმ და დარიამ რომ შეიტყვეს, თბილისელ მსახიობს ვაჟიშვილი შესძენიაო, აღარ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ, როგორ გამოეხატათ თავიანთი სიხარული. დიმიტრის ხომ უზარმაზარი ლოდი მოეხსნა გულიდან, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ღამღამობით აღარავინ წამოაგდებდა ლოგინიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის უფრო უხაროდა, ასე კარგად რომ დამთავრებულიყო მისი დროებითი მეზობლის უთავბოლო ყიალი. დღეიდან ისიც დამშვიდდებოდა, და-

ლაგდებოდა და დაუტკბებოდა ცხოვრებას, რადგან, სხვა თუ არაფერი, უბრალოდ, ვეღარც მოიცლიდა სისულელეებისათვის, ცოლშვილი მაინც თავისას მოსთხოვდა, ხოლო თავისგან იმდენს მისცემდა, აღარც ორმოში დგომა მოუნდებოდა და აღარც ბარიკადზე ყურყუტი. გარდა ამისა, ამ ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად განუწყვეტელი დაძაბულობისა, სიბრაზისა და უსიამოვნებისა, მისთვისაც შეუმჩნევლად, ისე შესჩვეოდა, ისე შეჰყვარებოდა თბილისელი მსახიობი, ცოტა არ იყოს, გულიც კი სწყდებოდა უკვე, რაკი ხვალიდან ასე იოლად ვეღარ შეხვდებოდა იმას, მაგრამ საკუთარი, თავკერძული გულისტკივილი რა მოსატანი, რა გამოსაჩენია იმ ბედნიერებასთან, რითაც ღმერთს მისი "დაუპატიჟებელი სტუმარი", თუ გნებავთ, მისი "მტანჯველი", მისი ძილის დამაფრთხობელი და მისი სიმშვიდის დამწიოკებელი დაეჯილდოვებინა. მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო — და დიმიტრისაც უყვარდა თბილისელი მსახიობი, უსაშველოდ უყვარდა, ისე უყვარდა, იმისი ბედნიერება საკუთარ ბედნიერებად მიაჩნდა. დარიაც ციბრუტივით ტრიალებდა. ისეთი სუფრა გაშალა, დედამთილიც ვერ დაუწუნებდა, ერთი წუთით თავი რომ წამოეწია საფლავიდან. სხვათა შორის, დარიაც დღედღეზე მოსალოგინებელი გახლდათ, მუცელი ნათხოვარივით დაჰქონდა, მაგრამ თავი ვიღას ახსოვდა, ისეთი მძიმე ტვირთი მოეშორებინათ გულიდან, ცოტაც და, სიხარულისგან მართლა აფრინდებოდნენ ცაში. დღეს მათი საერთო ბედნიერების დღე იყო, თუნდაც იმიტომ, თბილისელი მსახიობის ცოლის ხსენებაც რომ შეეძლოთ, რასაც ადრე ვერ ბედავდნენ, თუმცა სამივენი მტკივნეულად განიცდიდნენ უიმისობას, თითქოს სამივეს აკლდა, თითქოს სამივეს გაჰქცეოდა იგი. ახლა კი მოულოდნელ ბედნიერებას ის მეოთხეც უკან დაებრუნებინა და ოთხივენი ერთად იყვნენ ისევ, როგორც მათი გაცნობის პირველ დღეს. მას მერე კი (ღმერთო, როგორ გარბის დრო!) მთელი წელი გასულიყო უკვე, თუმცა, რა არის ერთი წელი ბედნიერების მოლოდინში? არაფერი. ერთი წელი საკირეში გაძლებს კაცი. თბილისელ მსახიობს, როგორც საერთოდ ახალგაზრდა მამებს სჩვევიათ, თავი ისე

ეჭირა, თითქოს ბედნიერი კი არ ვარ, ბედნიერებას მივტირიო. თავს იკატუნებდა და წარამარა გაიძახოდა: დამედგა რკინის უღელიო. “რატომ ამბობთ? ნუ ამბობთ. ქვრივი ქალები ამბობენ ასე ჩვენში, თქვენ კი... თქვენ კი...” — სიტყვას ვერ ამთავრებდა აღელვებული დარია. “ამას იმიტომ ვამბობ, ჩემი ყანაც რომ მოიმკა, ჩემს შეთქმულებასაც რომ გამოუჩნდა თავისი იასე. ია. იავ, მთის ფერდზე შობილო. არადა, იამ დაღუპა ქვეყანა”, — იცინოდა თბილისელი მსახიობი. “მოდით, დღეს მხოლოდ კარგზე ვილაპარაკოთ. სიცოცხლეზე. ბედნიერებაზე. ბოლოს და ბოლოს, იშვა კაცი სოფელსა შინა”, — აწყვეტინებდა დიმიტრი. “მშვიდობით სპანნო, ჯიღოსანნო, დიდნო ბრძოლანო!” — თავისას არ იშლიდა თბილისელი მსახიობი. “როდის აპირებთ გამგზავრებას? ალბათ მალე, არა?” — ეკითხებოდა თვალცრემლიანი დარია. “რა დიდი ამბავი უნდა ჩემს გამგზავრებას, დარია, კარგო დარია. ოთხი წიგნი და ერთი ფარდაგი”. და ისევ გუგუნებდა პიანინო. წკრიალებდა ჭურჭელი. პიანინოს შანდლებში სანთლებს ტკაცატკუცი გაუდიოდათ. სამნი იყვნენ, მაგრამ ისეთი ჟრიამული იდგა სახლში, კაცს ძველი დრო გაახსენდებოდა. ჩარჩოების ბინადრებიც ცოცხლებს ჰგავდნენ, თითქოს მართლა დაბრუნებულა ძველი დროო, ფერსა და გამომეტყველებას იცვლიდნენ, ისინიც განიცდიდნენ და იზიარებდნენ მათთვის სრულიად უცხო კაცის ბედნიერებას. მაგრამ თავად იმ “უცხო კაცისთვის” არაფერი შეცვლილიყო თითქოს; ახლაც ის აღელვებდა და აღშფოთებდა, ის ადარდებდა და ახარებდა, რაც ადრე, ნებისმიერი მოულოდნელი გამოცხადებისას. ისევ გამოუსწორებელ მეოცნებედ, გამოუსწორებელ მეამბოხედ დარჩენილიყო. ისევ თავისი თეატრის ამბებს ყვებოდა; ისევ — ხან აგინებდა და ხან აღმერთებდა მსახიობებს; ისევ მოკვლით ემუქრებოდა მიუკვლეველ დამსმენელს, რომელსაც თურმე წინასწარ გაუგებინებია სინოდისთვის, სცენაზე წმინდანის გამოყვანას აპირებენო; და ისევ ტრაბახობდა, ისევ აღტაცებული საკუთარი მოხერხებულობით: სინოდიც გავაცურე, ცენზურაც და პოლიციაცო, პიესას სახელი შევუცვალე მხოლოდ და იმასაც ვერ მიხვდნენ, “ალექსანდრე ბატონიშვილი”

იგივე “ქეთევენ დედოფალი” რომ არისო. “ეშინიათ, ეშინიათ ყაზბეგისა. იმიტომ, რომ ყაზბეგმა სიმართლე იცოდა. სიმართლის მცოდნენი კი სახიფათონი არიან იმპერიისთვის. ჩვენთვისაც, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის, რადგან ძილს გვიფრთხობენ, ლუკმას გვიმწარებენ და არ გვაცლიან, მშვიდად განვლიოთ სიცოცხლის დღენი, სამადლოდ რომ მოუგდია ღმერთს ჩვენთვის. ქართველთა ომერი დავარქვით, მაგრამ საქმე ისე გავუხადეთ, საგიჟეთში ამოყო თავი. ომერი კი არა, ჰომეროსი ჰომეროსი. ქართული ჰაე უნდა თავში, ბატონო პოეტებო, უკაცრავად, ბატონო გენერლებო. ხოლო იმ დღეს, როცა ქართველთა ომერმა შეშლილთა შორის სული განუტევა, მთელი თბილისი მუშტაიდისკენ მიისწრაფოდა, არნახული, გაუგონარი სასწაულის სანახავად. იმ დღეს, ჰაეროსტატით ვირი უნდა აეყვანათ ცაში, და აბა, რა გასაკვირია, თავიანთი მწერალი დავიწყებოდათ, მცოდნე სიმართლისა, სიღრმის მხილველი და ამიტომაც უცხო, მიუღებელი, გაუგებარი თავისი თანამედროვეებისთვის. მაგრამ ბოლოს მაინც თავად მოტყუვდნენ. თავად დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი, რადგან იმ დღეს ვირი კი არ აფრინდა ცაში, არამედ ყაზბეგის სული მიეახლა უფალს. ხოლო ვირი მიწაზე დარჩა, ჩვენთან, ჩვენს შორის. ვირსა ვართ ახლა ყველანი მიჩერებულნი, ვირის ჭკუაზე დავდივართ და ახია ჩვენთვის. ვინც თავისი ფასი არ იცის, არც არაფერს იმსახურებს კარგს. დაასხი, დიმიტრი, ერთიც დავლიოთ. ვექილის პარიკსა და მსახიობის ნიღაბს გაუმარჯოს, ერთი და იგივეა, რომ იცოდე. უნიღბოდ და უპარიკოდ ჩვენც არავის არ ვჭირდებით, ნიღაბი და პარიკი გვაჭმევს პურს”, — ბორგავდა, შფოთავდა, ხორხოცობდა თბილისელი მსახიობი და ისევ გრიალებდა პიანინო, ისევ წკრიალებდა ჭურჭელი, ისევ ტკაცუნობდნენ სანთლები.

მოვა ჩემი საყვარელი,

მე დავხვდები თავშიშველი,

ლა, ლა, ლა, ლა...

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისელი მსახიობი სამუდამოდ გამოეთხოვა ბათუმს, თუმცა, გამოსათხოვარ ბანკეტზე — რა თქმა უნდა,

რესტორან “ფრანციაში” — მტკიცე პირობა მისცა გულმოკლულსა და დაობლებულ დასს, უკანვე რომ დაბრუნდებოდა მალე, ახლა უკვე ნამდვილად სამუდამოდ, და მთელ თავის ნიჭს, შესაძლებლობასა და სიცოცხლესაც კი — რკინის თეატრს შესწირავდა.

2

ელოდებოდნენ, არკი იცოდნენ — რას. საერთოდ არ იცოდნენ, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და მაინც ელოდებოდნენ, უიმედოდ, ურწმუნოდ, უმოქმედოდ, რადგან რაც თავი ახსოვდათ, სულ ასე ელოდებოდნენ რაღაცას, რაღაცას, რისი სახე და სახელი უფრო ადრე დავიწყებოდათ, ვიდრე მოლოდინის უაზრობას შეიგრძნობდნენ; მაგრამ მეტნაკლებად გარკვეული, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული და უაღრესად პირადული მოლოდინიც არსებობდა, პირადულ მოლოდინთა მთელი ნაირსახეობა; მაგალითად, კონტრაბანდისტი ბნელ ღამეს ელოდებოდა, ჩინოვნიკი — ჩინის მომატებას, მეძავი — უცხოურ გემს, ხოლო დარია — დედობას. სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. მელია საქათმეს იცავდა, მგელი — ფარეხს. წამებული ლაფში ეგდო, წამებულის გვირგვინი მლიქვნელს ედგა თავზე: მბრძანებელმა ჩემზე ადრე სხვას ჩამოართვა ხელიო. სემიპალატინსკში ილია ნაკაშიძე პოლიტიკურ პატიმრებს "მრავალჟამიერს" ასწავლიდა. პოლიცმეისტერს თბილისელი მსახიობის ჯავრი კლავდა, პოლკოვნიკ ვეზირიშვილს — თბილისელი მსახიობის ცოლისა. ზღვაში ქვიშა ილეოდა, ცაში ვარსკვლავი. მაცდუნებელ ფეხს ისევ გზიდან გადაჰყავდა კაცი. მაცდუნებელი ხელი ისევ თავისთავად ეტანებოდა სხვისას. მაცდუნებელი თვალი ვერაფრით ვერ ძღებოდა. ხალხში ცოდნის წყურვილი იღვიძებდა: იქნებ გავიგოთ, რა ამბავია ჩვენს თავს, რატომ ხდება ასეო. სახალხო აუდიტორიებში წინასწარ შედგენილი და მკაცრად შეზღუდული სიებით იგზავნებოდა წასაკითხი წიგნები, უფრო ბროშურები: "კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა", "წითელას აცრა" თუ "ჯვაროსნული ომები". სამაგიეროდ, "ცნობის ფურცლის" ტირაჟმა ცხრა ათასს მიაღწია, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, იაპონიის ომის დროს, ცამეტ ათასსაც გადააჭარბა. ძლიერნი ამაქვეყნისანი გულის ფრიალით გამოდიოდნენ შინიდან და სამსახურშიც გვიანობამდე ითრევდნენ ფეხს, ოსკარ შმერლინგი ქუჩაში არ გველოდებოდეს თავისი აპარატითო, მაგრამ რო-

გორც არ უნდა ეფრთხილათ, “ცნობის ფურცლის” სურათებიან დამატებაში მაინც ჩნდებოდნენ მათი შემკრთალი, დაბნეული სახეები, გაზეთსა თუ გაშლილ ქოლგას ამოფარებულნი. ამგვარი “კარიკატურები” კიდევ უფრო ზრდიდნენ ხალხის ინტერესს გაზეთისადმი და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ყველაფრისადმი, რაც მათ გარშემო ხდებოდა. დრო კი გადიოდა. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ხისფეხა კოსტა იცინოდა: ცხოვრება თეატრიაო, და — არაფერი გამომრჩესო — დილიდან საღამომდე გაუნძრევლად იჯდა უკანალით გადაპრიალებულ ჯორკოზე, თავისი სარდაფის კიბესთან; ხის გაბზეკილ ფეხზე სარეცხივით გადაეფინა ასოასო ამოკენკილი გაზეთი და ობობის მოთმინებით ელოდებოდა, როდის გადააწყდებოდა ზედ ფიქრში გართული გამვლელი, როდის მიეცემოდა ვიღაცასთან გამოლაპარაკების საშუალება. უზომოდ კმაყოფილი საკუთარი ბედისა, ცხოვრების თეატრიდან გამოძევებულად კი არ თვლიდა თავს, ხეიბრობის გამო, არამედ ცხოვრების თეატრის უფლებამოსილ, “ბილეთიან” მაყურებლად, რამდენადაც (თვითონ ამბობდა ასე) თავადვე მოეკვეთა მაცდუნებელი ფეხი, რომელიც “სცენისკენ” ექაჩებოდა, სხვათა გამრთობად უპირებდა გადაქცევას. იმან კი მოიკვეთა, “სცენას” “დარბაზი” ამჯობინა და არაფერი წაუგია (ამასაც თვითონ ამბობდა), თუნდაც იმიტომ, “სცენა” ყოველწუთას რომ იცვლებოდა, “დარბაზში” კი, მართალია, ერთფეროვანი, მაგრამ მყარი, საიმედო სიმშვიდე სუფევდა; მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა, ქაფურის ხეზე ჩიტები ჟივჟივებდნენ, სარდაფიდან შემწვარი თევზისა და მოხალული მზესუმზირის თბილი სუნი ამოდიოდა; დაბოლოს, მისი მოთმინების ბადეშიც აუცილებლად გაეხვეოდა ვიღაცა, თუნდაც დიმიტრი, სისხლივით რომ გამოეწოვა იმისთვის, თუკი რამე იცოდა ახალი, სხვათა თუ საკუთარი. დიმიტრის იმდენად ეცოდებოდა ხისფეხა კოსტა, არასოდეს აუვლია უბრად გვერდი, თუმცა, უნდოდა თუ არ უნდოდა, უნებურად მაინც უნდა შეჩერებულიყო, შეყოვნებულიყო, რადგან კოსტა თავისი ხის ფეხით ლამის მთელ ქუჩას კეტავდა, შლაგბაუმივით, და დიმიტრიც, თავისი მორიდებულობის წყალობით, შლაგბაუმ-

ზე თავჩამოდებული ძროხის მოთმინებით ელოდებოდა, როდის ჩათავდებოდა, როდის ჩაივლიდა კოსტას ცნობისმოყვარეობის მატარებელი. დიმიტრიმ არ იცოდა, როდის ჩამოსახლდა კოსტა ბათუმში, ოდესიდან დაბრუნებულს უკვე აქ დაუხვდა და პირველსავე დღეს ძველი ნაცნობივით დაუძახა: სადა ხარ, კაცო, რით ვეღარ განათლდი აქამდეო. არც ის იყო გამორიცხული, სარდაფის ნესტსა და წყვდიადს ამოეზარდა იგი, სოკოსავით, დიმიტრის ჯიბრზე, დიმიტრის გასამწარებლად, რადგან მართლაც რომ მისჯილივით ჰქონდა იძულებითი გულისხმიერების გამომჟღავნება ამ ხისფეხა ბრძენის, წინასწარმეტყველის, მისნის მიმართ, და ისიც თავს ვალდებულად თვლიდა, აეტანა ეს ყოველდღიური "განსაწმენდელი" თავისი პატარა სამოთხის წინ. ცხოვრება კი გრძელდებოდა, ვინ იცის, რამდენჯერ დაკნინებული, გალახული, გაწბილებული — იხტიბარს არ იტეხდა და ძველებურად დუღდა და გადმოდუღდა. სახლიც იგივე იყო: ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, წყალქვეშა ნავივით ჩაძირული ხასხასა სიმწვანეში. მაგრამ ახლა უფრო საყვარელი, უფრო ძვირფასი, უფრო გასაფრთხილებელიც, რადგან იმ სახლში ახალი სიცოცხლე იზრდებოდა ახლა, ნატო იზრდებოდა, ყვავილივით ჩუმად და შეუმჩნევლად. არც სტუმრების გაუთავებელი ჟრიამული უშლიდა ხელს და არც არავინ წამოაგდებდა საწოლიდან, სანახევროდ მძინარეს, რათა ვიღაც დამთხვეული ოფიცრისთვის კალთაში ჩაესვათ. დარია რომ მშობიარობდა, დიმიტრი ეზოში იდგა, თავსხმაში, და რატომღაც ის შემზარავი ღამე ახსენდებოდა, თეთრად რომ გაათია დარიას მოლოდინში. წვიმას თქარათქური გაუდიოდა ქოლგაზე, დიმიტრი კი სიკვდილის გამოცხადებას ელოდებოდა განუწყვეტლივ, რადგან ეგონა, სიკვდილი აუცილებლად მოვიდოდა და თავის "ლიმონს" მოიკითხავდა — ერთხელ უკვე გამოწუწნილს, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე "ლიმონი" ქვეყანას მოევლინებოდა — წინასწარ დაბევებულს და დიმიტრისგანაც წინასწარ განწირულს იმ შემზარავ ღამეს, რადგან მაშინ დარიას სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე. დარია გაცილებით ახლო იდგა სიკვდილთან, ვიდრე ის, ვინც ჯერ კიდევ არ არსებობდა და ვისაც

ვერაფრით დაიცავდა სიკვდილისგან, ვერც სიტყვით, ვერც თოფით, ვერც ფულით... ვერაფრით, რადგან არ არსებობდა, არც ხელი ჩაევლებოდა, არც თვალი. ახლა კი, წუთიწუთზე უნდა მოვლენოდა ქვეყანას, არაფრისგან, არარაობისგან, და გლუვი, ყვითლად მბზინავი ნაყოფივით გამობმოდა ცხოვრების ხეს, უფრო იოლად რომ შეძლებოდა სიკვდილს იმისი მოწყვეტა. დიმიტრი სიმწრის ოფლში იწურებოდა, წვიმა შხუილით, თქარათქურით ემსხვრეოდა ქოლგაზე, ბნელში, წვიმით გაჟღენთილი, წვიმით დამძიმებული ხეები ბზინავდნენ, სახლიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. არაფერი არ ისმოდა, წვიმის შხუილისა და თქარათქურის მეტი. ხოლო როცა აივანზე ბებია ქალი გამოვიდა, მკლავებდაკაპიწებული, და სიცილით დაუძახა: ქალიშვილი მომილოცავსო, დიმიტრის უარესად შეეშინდა (ოხ, ღმერთო და ბუნებავ! რატომ ჩაუდგით ადამიანს ასეთი მდაბალი სული!), რადგან ერჩია, თავიდანვე მკვდრად შობილიყო მისი ქალიშვილი, ვიდრე მერე მოკვდომოდა, მერე, როცა შეეჩვეოდა, შეიყვარებდა, როცა მისი გულის გულად, მისი სიცოცხლის აზრად, მიზნად, გამართლებად იქცეოდა, ახალ ელდად, ახალ საფიქრალად და ახალ სატანჯველად მიემატებოდა. “ცოცხალიაო?” — ჯერ კიდევ ეზოდან დაუძახა ბებია ქალს. “რას ჰქვია, ცოცხალია, — გაიცინა ბებია ქალმა, — ახლავე რომ ზღვაში გადააგდო, გაცურავსო”. მაგრამ მშობიარობამ ისე დაასუსტა დარია, კოვზს ვერ იჭერდა ხელში. დედის უძლურობა, რა თქმა უნდა, შვილზეც გადადიოდა, და დიმიტრიმ აღარ იცოდა, რა ცეცხლში ჩავარდნილიყო: გამოწუწნული ლიმონის სიმჟავით თვალმოჭუტული სიკვდილი ელანდებოდა განუწყვეტლივ. “ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალიაო” — შფოთავდა, უნებლიე ცოდვით გულდამდუღრული. “სიმშვიდე და კარგი კვებაო” — ერთნაირად იძახდნენ ექიმები, მაგრამ დიმიტრი ისე იყო შეშინებული, წარმოუდგენლად მიაჩნდა, ასე იოლად თუ შეიძლებოდა ამ განსაცდელიდან გამოსვლა: სიმშვიდით და კარგი კვებით. ექიმებმა ხომ არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდა იმას საქმე? მალე ისე მოაბეზრა ყველას თავი, ზურგს უკან დასცინოდნენ კიდეც: რა მოხდა, პირველად ხომ არ მოილოგი-

ნა ქალმა, ანდა მარტო ეგ ხომ არ არის მამაო. იცინოდნენ, თავს იქ-
ცევდნენ, ხან რას ურჩევდნენ და ხან რას. ისიც ყველას უჯერებდა, არ
შეეძლო არ დაეჯერებინა, რადგან არც განსჯის თავი ჰქონდა, არც
დრო; ყველაფერი უნდა ეცადა, ვალდებული იყო, ორმაგად ვალდე-
ბული, როგორც ქმარი და როგორც მამა. ერთმა თიკნის ხორციც ურ-
ჩია, სამი თვის თიკნის ხორცი უებარი წამალია უძლურებისო,
ოღონდ დაკვლამდე წყალი უნდა ასვათ და არბენინოთო. სხვა დროს,
შეიძლება, თვითონაც გასცინებოდა ამგვარ "წამალზე", მაგრამ ახლა
სიცილისთვის არ ეცალა. განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი ეჭ-
ვიანი კია, მაგრამ ყოველთვის თავის სასარგებლოდ ეჭვდება: იმას
კი არ იტყვის — ხომ შეიძლება, მატყუებდნენო, არამედ — ხომ შეიძ-
ლება, მართალს მეუბნებოდნენო. ასეთია ადამიანის ბუნება. დიმიტ-
რიც ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და ხისფეხა კოსტამ რომ უთ-
ხრა, ზემოხეთის თიკანია განთქმულიო, იმავე დღეს ზემოხეთში ამო-
ყო თავი. საჯავახომდე მატარებლით ჩავიდა; საჯავახოდან ბერძნის
წყარომდე დილიჟანს გაჰყვა; ბერძნის წყაროდან ზემოხეთამდე კი —
ურემს აედევნა, და მეურმესთან ლაპარაკში, როგორც იქნა, გალია
გაჭირვებული კაცის ჯიბრზე ერთიათად დაგრძელებული გზა. მაგრამ
სოფლურმა სიმყუდროვემ მაინც დაამშვიდა ცოტათი. რაღაცნაირად
დაიმედებული მიაბიჯებდა ურმის გვერდით. გულზე მალამოდ ეცხე-
ბოდა მოლაყლაყებული ურმის ჭრიალიც, ხარების ხვნეშაცა და მე-
ურმის ხალისიანი, მოსწრებული სიტყვაპასუხიც. ცხვირში სასიამოვ-
ნოდ უღიტინებდა გახვითქული ხარებისა და თბილი, ორთქლიანი
ფუნის სუნი. ურემი კი ნელა, აუჩქარებლად მიჭრიალებდა ხელუხლე-
ბელ, დაბურულ სიმწვანეში, გვიმრის ზღვაში, ანწლის გვირაბებში და
შემაშფოთებელზე მეტად, საწყენი და დამასევდიანებელი იყო, ათას-
ნაირი განსაცდელი და სიკვდილი რომ არსებობდა ამ ქვეყანაზე.
"მოგყიდიან კი არა, თუკი წაიყვანთ, მადლობასაც გეტყვიან, გადაგ-
ვჭამა, აგვიკლო, ბატონოო" — ეხუმრებოდა, გულს უკეთებდა მეურმე,
თუმცა თვითონ ასე იოლად ვერ შეელეოდა ალბათ საკუთარ თიკანს,
შვილივით გაზრდილს, შვილებში გარეულს. ვინ იცის, ლაპარაკისას

სულ ის ედგა თვალწინ, იმას ეფერებოდა გლეხურად, თავისებურად, და რაც არ უნდა დაღლილი დაბრუნებულიყო შინ, მაინც შლეგივით გაიჭრებოდა საძებნელად, ადგილზე თუ არ დახვდებოდა იგი. ასე რომ, როცა სოფელში ხმა გავარდა, სულზე მეტად სჭირდება ამ მორცხვსა და მორიდებულ კაცს თიკანიო, ცეცხლი წაუკიდეს, ოქროს ფასი დაადეს, ხორცი ცალკე დაუფასეს, ტყავი ცალკე, შიგანი და თავფეხი ცალკე. დიმიტრი დაბნეული, ნირწამხდარი იღიმებოდა, ხელებს იფშვნეტდა და შევაჭრებაც ეუხერხულებოდა, თითქოს ამოდენა გზა იმათი გულის მოსაგებად გამოევლო მხოლოდ, იმათი თიკნის შესაქებად და იმათ წინაშე ბოდიშის მოსახდელად; მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ფული უკან დასაბრუნებლადაც სჭირდებოდა, და აღარ იცოდა, როგორ გამომძვრალიყო ამ უხერხული მდგომარეობიდან, როგორ არ გაენაწყენებინა მის გაუბედავ ძახილზე გამოხედილი მასპინძელი, რა მოეფიქრებინა ისეთი, ერთდროულად, ისიც კმაყოფილი დარჩენოდა და არც თვითონ დაბრუნებულიყო ხელცარიელი. “მაშინ იქნება, ნახევარი მაინც მომყიდოთო” — კი არ ევაჭრებოდა, ევედრებოდა თიკნის პატრონს. “კი მაგრამ, ნახევარს რა ვუყო, ხომ ჩამაკვდა ხელში, მეორე ნახევარზე დარდითო” — იღრიჭებოდა თიკნის პატრონი და დიმიტრიმ პირველად მაშინ შეხედა სასიმინდეს ბოძზე გამობმულ თიკანს, არა როგორც “წამალს”, არამედ, როგორც ცოცხალ არსებას, რომელსაც თავისი ცხოვრება ჰქონდა, დარდიც შეეძლო და სიკვდილიც. თბილი, გულისამაჩუყებელი სევდა დაეუფლა უცებ; იგრძნო, გაცილებით დიდი ბოროტება, გაცილებით დიდი სულისწაწყმედა იყო ამ პატარა, სულელი არსების მოკვლა, ვიდრე ეგონა. მიხვდა, ამ პატარა, სულელი არსების მოკვლის უფლებაზე ვაჭრობდნენ ისა და თიკნის პატრონი, და იმასაც მიხვდა, როგორი სულმდაბლები, უსინდისოები და უგულოები იყვნენ ორივენი, როგორი თავკერძები, რადგან ერთი მკვლელობის უფლების გაყიდვას ცდილობდა, მეორე კი — ყიდვას. თიკანი მშვიდად იდგა და ათასში ერთხელ, თითქოს თავისთავად თუ შეუთრთოლდებოდა პატარა, აბზეკილი კუდი. ამათკენ არც იყურებოდა, ვითომ არც მესმის და არც მინდა მესმოდეს თქვენი

ლაპარაკიო. მერე მის წინ ჩაცუცქული დიმიტრი თუნუქის ძირგამოხვრეტილი ჯამიდან წყალს ასმევდა. ნახვრეტზე ხელისგული ჰქონდა ამოფარებული, მაგრამ წყალი მაინც ეპარებოდა და პიჯაკის სახელოში ჩასდიოდა. მკლავი იდაყვამდე დასველებოდა. "შე საწყალო. შე სულელო. შე საწყალო. შე სულელო", — ენის ჩლექით იმეორებდა განუწყვეტლივ. თიკანი დიდი, წყლიანი, ადამიანური თვალებით უყურებდა და ტალახში ჩაცუცქულ დიმიტრის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ნელა, შეუმჩნევლად, ვერაგულად ეპარებოდა მიწა ფეხქვეშ; თითქოს გახვრეტილი ჯამიანად, თიკნიანად, სასიმინდიანად, თიკნის პატრონიანად, თიკნის პატრონის ჯალაბიანად — ჯარგვალის წინ გამოფენილნი, გაოცებულნი რომ იყურებოდნენ იმისკენ — სადღაც მისრიალებდა, მიცურავდა, მაგრამ კი არ ეშინოდა, სიამოვნებდა ეს, სიმთვრალისა და გაბრუების მსგავსი შეგრძნება. დაძაბულობისგან ჯამიანი ხელი უცახცახებდა, გაოფლილი პერანგი ზურგზე ეწებებოდა, უხერხულად ჩაკუნცხულს, მაგრამ არც მუხლსა შლიდა და არც ხელს უნაცვლებდა ჯამს, რადგან სწორედ ის სიამოვნებდა, რაც მის ხორცს აწუხებდა, აბჟუებდა, აშეშებდა, აბითურებდა. საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რადგან ერთდროულად და ერთნაირი ძალით უნდოდა თიკნის გადარჩენაცა და დაკვლაც; არავინ არ ეცოდებოდა იმ წუთას ისე, როგორც ეს უსაზღვროდ გულუბრყვილო და უსაზღვროდ ცოცხალი არსება, და, იმავე დროს, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოუსვამდა დანას, როდის გაატყავებდა, როდის აქნიდა, როდის ჩაიდებდა ტომარაში და როდის გააძუნძულებდა შინისკენ. "ადამიანზე დაუნდობელი მხეცი არ გაუჩენია ღმერთსო" — სიკვდილის წინ ანდობდა თავის ყველაზე დიდსა და შემზარავ აღმოჩენას, ყველაზე უცნაურ ცხოველს, თითქოს რაკი ის ერთბაშად გაიგებდა იმას, რის გასაგებადაც თავად ხანგრძლივი ცხოვრების გზა გამოევლო, არა მარტო მიუტევებდა მკვლელს, არამედ მადლიერიც მოკვდებოდა, რადგან იმაზე მეტს, რაც ახლა გაეგო, მაინც ვერაფერს გაიგებდა, გინდა ათი სიცოცხლე ეცხოვრა და ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო ათგზის, მისი საყვარელი სიმინდისა თუ ვაზის ძირას. თიკანს ვერცხლის

ძაფივით ბრჭყვიალა ნერწყვი ეკიდა დრუნჩზე და დიმიტრიმ ხელით მოწმინდა, როგორც ბავშვს. თიკანი თითზე წაეტანა დიმიტრისთვის მოულოდნელად ღონიერი და მკვრივი ტუჩებით. დიმიტრის საცოდაობისგან გული მოერღვა, ნერწყვი გაეჩხირა სასულეში, რაღაც მშობლიური, მარადიული, ოდესღაც, ბალღური უგუნურობის ჟამს განცდილი, მოულოდნელად, ერთბაშად ამოეფოფრა სულის იდუმალი წიაღიდან, როგორც ცეცხლზე შემოდგმული რძე. წინ გადახრილმა, თითი რომ არ წაერთმია თიკნისთვის, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა ტალახში. თიკანი კი გამალებული წოვდა თითს, როგორც დედის ჯიქანს, და დიდი, წყლიანი, ადამიანური თვალებით ამოსცქეროდა, თითქოს კმაყოფილი, თითქოს ბედნიერი, თავისი ცხოველური გულუბრყვილობის, ნდობის, განურჩევლობის წყვდიადიდან. დიმიტრი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, თიკნის პატრონმა ცარიელი ჯამი რომ გამოართვა ხელიდან და უთხრა: კაი ახლა, რა გატირებს, ვის გაუგონია ამ ხნის კაცის ტირილიო. დიმიტრის შერცხვა. სახეზე მკლავი გადაისვა და წამოდგა. მღელვარების დასამალავად, ტალახიან მუხლს იწმენდდა ხმელი წკირით. თვითონაც ვერ ამჩნევდა, წკირი ოთხი თითით რომ ეჭირა. თიკნის გამოწოვილი თითი ნატკენივით გაეშვირა, გამოეცალკევებინა დანარჩენი თითებისგან, თითქოს უფრთხილდებოდა, თიკნის ნერწყვით ჯერ კიდევ სველს, ჯერ კიდევ დაბუჟულს, და ნაძალადევად იცინოდა: ცოტას მორჩა, შემჭამა ამ მამაძაღლმაო. იცინოდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავფეხიანად ტალახში ამოგანგლულიყო და მარტო თიკნის გამოწოვილი თითი ჰქონდა სუფთა, ამ თითითღა ეკიდა უხილავ კაუჭზე, საერთოდ რომ არ ჩაფლულიყო, საერთოდ რომ არ ჩამხრჩვალიყო ტალახში. მერე თოკშებმულ თიკანს დაარბენინებდა ეზოში. თიკანი ხან უძალიანდებოდა, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თავისკენ ეწეოდა დაჭიმულსა და ათრთოლებულ თოკს, რომლის მეორე ბოლო ცხრა თითით ეჭირა დიმიტრის, ხან კი, მოულოდნელად გახტებოდა ხოლმე წინ და აძუნძულებულ კაცს უკანალზე აწყდებოდა, რკოსავით პატარა და ბლაგვი რქებით. ხოლო თიკნის ყოფილი პატრონი და მისი ჯალაბი

დაბნეული ღიმილით შესცქეროდა კაცისა და თიკნის ამ უცნაურ “თამაშს”.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, დარიამ თვალში გამოიხედა, ხოლო ნატო თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, დღითი დღე ივსებოდა ფერითა და ხორცით, სულშებერილი ცეცხლივით ღვივდებოდა და ყველაზე მეტად თვითონვე აქარწყლებდა მამის უსაფუძვლო ეჭვსა და შიშს. ოჯახში ისევ სრული სიმშვიდე, სრული თანხმობა სუფევდა, არა მარტო ცოცხლებს შორის, არამედ ცოცხლებსა და მკვდრებს შორისაც; უფრო სწორად, მკვდრებს აღარ აღელვებდათ, როგორ იცხოვრებდა მათი შთამომავალი, დააგდებდა თუ გააგრძელებდა ძველ გზას; ხოლო ცოცხალს ასეთები უფრო უყვარდა და ეცოდებოდა ისინი, გარდაცვლილები, ჩარჩოს ბინადრები, ლამის გაწმინდანებულნი სიკვდილის შარავანდედით. მათი ხელშენავლები ნივთებიც ახლა უფრო ძვირფასი, განსაკუთრებით ძვირფასი გამხდარიყო, რადგან შთამომავალს, უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენას უმტკიცებდა, თავის ადგილზე რომ იდგა, სწორედ აქ, ამ დაცხრილულ ჭერქვეშ, ჯერ კიდევ იქამდე ეგულისხმათ და გაეთვალისწინებინათ, ვიდრე გაჩნდებოდა, თუნდაც იმიტომ, კანონიერი მემკვიდრე რომ ყოლოდა აქაურობას, ღირსეული ანდა უღირსი, მაგრამ კანონიერი, რომელსაც თავისი მკვდრების დაძრახვის ნებაც ექნებოდა და მიტევებისაც. დიმიტრი აქაურობის კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა თავს, მით უფრო ნატოს გაჩენის შემდეგ, და ყოველ საღამოს, შინ მობრუნებული, “განსაწმედელში” გამოვლილი, მწვანედ შეღებილ ჭიშკარს რომ შეაღებდა, ჭიშკარი ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავებდა, გული ისე აუფრიალდებოდა, თითქოს შორეული, უცხო ცის ქვეშ ხანგრძლივი მოგზაურობიდან ბრუნდებოდა და ეს უსიამო, მაგრამ უკვე ძვალრბილში გამჯდარი ხმა, ყველაზე ცხადი, ყველაზე მყარი, ყველაზე უტყუარი დადასტურება იყო იმისა, ნამდვილად რომ მოეღწია შინამდე, ნამდვილად რომ დამთავრებულიყო “უცხო ქვეყნებში”, “უცხო ცის ქვეშ” წანწალი და ერთხელ კიდევ დაეზოგა ბედს — არ გაეძარცვა, არ გაელანძღა, არ მოეკლა — და რა-

კი შინამდე მოეღწია, ახლა აღარაფერი უჭირდა, ნამცხვრის კოლოფს მეუღლეს გადასცემდა, მარადიული ყურადღების, პატივისცემის, მადლობის ნიშნად, და ორი წუთის მერე, უკვე ცხელი წყლით სავსე ტაშტში ფეხებჩაყრილი, სასიამოვნოდ მობოშებული, მოთენთილი, როგორც რძით გამძღარი ჩვილი — დედის მკლავებში, იმის შესამოწმებლად, ყველაფერი ეს მართლა ცხადში რომ ხდებოდა და არა სიზმრად, ვინ იცის მერამდენედ იტყოდა ხოლმე გუნებაში: ეს ჩემი სახლია, აქ მე ვცხოვრობ, ჩემს ძვირფას მეუღლესთან და ჩემს ძვირფას ქალიშვილთან ერთადო. ნახევარსაათიანი გარინდება, გამოთიშვა, განცხრომა — ცხელ წყალში ფეხების ჩაყრა რომ ანიჭებდა — ისეთივე აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის, როგორც... როგორც, დავუშვათ, ღმერთისთვის უქმე, მეშვიდე დღე, როცა ყველაფერი შექმნილია, ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია, მაგრამ ცოტა სული თუ არ მოითქვი, შეიძლება, ყველაფერი თავიდან შესაქმნელი გაგიხდეს. სულის მოთქმა არა მარტო გადატანილის დავიწყებას გულისხმობს, არამედ შექმნილით ტკბობასაც; ხოლო "ტკბობა", თავის მხრივ, არა მარტო ძალასა და ხალისს გიბრუნებს, არამედ ერთხელ კიდევ გარწმუნებს, რომ იმისთვის, რაც წლების მანძილზე, წვეთწვეთობით, ნამცეცნამცეც მოაგროვე, შეაკოწიწე, შექმენი — ნამდვილად ღირდა წვალება, ნამდვილად ღირდა ყოველდღე ერთი და იგივე საქმის კეთება, თუნდაც წინასწარ ჯვარდასმული სიცოცხლის დაცვა და გამართლება, მოკლედ, ყველაფერი, რაც უკვე გადაიტანე და რაც ჯერ კიდევ გადასატანი გაქვს. ასე ფიქრობდა ცხელ წყალში ფეხებჩაყრილი დიმიტრი, რომელსაც მისივე შექმნილი ადამიანები და საგნები ეხვია გარშემო, და ცხელი, წებოვანი ორთქლის ზვირთებში გახვეული, მართლა ჰგავდა რომელიღაც შუმერულ ღვთაებას, საკუთარ არსებაში ჩანთქმულს, ჩაკარგულს, რაღაცაზე გამწყრალსა თუ რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულს. სკამის ზურგზე ბუსუსიანი, ღუნღულა პირსახოცი ეკიდა; ნავთქურაზე ჩაიდანი დუღდა, გაცოფებული არაკუნებდა ხუფს — მეტი აღარ შემიძლია, გადმომიღეთ ცეცხლიდანო; დარიაც იქვე ტრიალებდა — ცხელი

წყლის ჩამატება თუ დასჭირდებოდა ქმარს, ანდა პირსახოცის მიწოდება. “სი. სი. სიიიმეთქი, მადმაზელ!” — ისმოდა დიდი ოთახიდან მუსიკის მასწავლებლის ხმა; და როცა პატარა ნატოს ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ გაუბედავი თითის ქვეშ, ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით დაიწივლებდა კლავიში, ბედნიერი ცოლქმარი, რატომღაც, ღიმილით გადახედავდა ხოლმე ერთმანეთს.

მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ქვეყანაზე უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. მუშათა გაფიცვები ახლა მთელს იმპერიაში ჩვეულებრივ, ლამის ყოველდღიურ მოვლენად ითვლებოდა. იმპერია ომს აპირებდა. სხვა გზა არც ჰქონდა: რომელიმე მეზობელს უნდა მიხტომოდა, თავისიანებს რომ არ გაეგლიჯათ. “თავისიანებში”, რა თქმა უნდა, საქართველოც იგულისხმებოდა (ოხ, ეს ველური, მოურჯულებელი, ყბადაღებული საქართველო! აი, რა მოსდევს სიკეთესა და ლმობიერებას! ჯერ თეატრიო, მერე ჟურნალიო, გაზეთიო, სკოლაო... ახლა კი რესპუბლიკობაც მოინდომა!). საქართველოც წკიპზე იდგა. აქაც განუწყვეტლივ შემოჰქონდათ იარაღი საზღვარგარეთიდან. აქაც იბრძოდნენ, ერთიანდებოდნენ და ითიშებოდნენ პოლიტიკური პარტიები: სოციალდემოკრატები, სოციალფედერალისტები, ანარქისტები, ესერები... გურია უკვე ცეცხლში იყო გახვეული. მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ჰელსინკსა და ვარშავაში ქართველი კაცი თუ გამოჩნდებოდა, მაშინვე გურიის ამბებს ეკითხებოდნენ. იასნაიაპოლიანაში მოღუშული ტოლსტოი გულისყურით უსმენდა ქართველ სტუმარს, მიშო ყიფიანს. ხოლო, ამასობაში, იმპერიის გაცუღლუტებული გენერლები ზედიზედ იღებდნენ არარსებულ ციხესიმაგრეებს აზიის თვალუწვდენელ ტრამალებში. არც პეტერბურგი უგვიანებდა ჯილდოსა და დიდებას, იმასაც სჭირდებოდა გმირები, ხოლო ვინმე თუ გაბედავდა და ამხელდა — ჩაქოლავდნენ, რაღას არ დასწამებდნენ — ეგ პოლონელი ან ებრაელი იქნება და იმიტომ თათხავს იმპერიის საუკეთესო შვილებსო. იმპერატორს უბრალო სერთუკი ეცვა. ხელში უბრალო ქუდი ეჭირა. აგარაკზე მზე მოჰკიდებოდა. საშუალოზე დაბალი, ქერათმიანი, ცისფერთვალება — მორიდებულ სტუმარს

ჰგავდა. გაჯგიმულ კაპიტანს წმინდა გიორგის ჯვარზე თითი მიადო და ჰკითხა: ტყვია მოგხვედრიათო? “დიახ, თქვენო აღმატებულებავ!” — იყვირა კაპიტანმა. “გეტკინათ?” “არა, თქვენო აღმატებულებავ!” — იყვირა კაპიტანმა. “შეგეშინდათ?” “არა, თქვენო აღმატებულებავ!” — ისევ იყვირა კაპიტანმა, სხარტად, დაუფიქრებლად. იმპერატორი სამხედრო მინისტრს მიუბრუნდა და კი არ უბრძანა, კი არ უთხრა — სთხოვა: ჩინი მოუმატეთო. და აი, გაპოლკოვნიკებული კაპიტანი იაპონიას დაეძგერა. “ჩვენთან არს უფალი” — გალობდნენ ტაძრები. გაზეთები თავგამოდებულნი ფიცულობდნენ — წირვისას ბაირაღი თავისთავად გაიშალა და აშრიალდაო; ეს კი იმის ნიშანია, გამარჯვება უსიკვდილოდ ჩვენ დაგვრჩებაო. მაგრამ გაზეთებს ხანდახან შემაშფოთებელი ცნობებიც ეპარებოდათ. ზედიზედ ამარცხებდნენ იმპერიის ძლევამოსილ არმიას, მიწაზეც და ზღვაზეც, პატარა იაპონელი ურჩხულები: ოიამა, ნოგი, ტოგო, კუროკი... (რა უცნაური სახელებია, არა? სასაცილო). პარაკლისი პარაკლისს მოსდევდა. “ჩვენთან არს უფალიო” — ისევ გალობდნენ მღვდლები. გალობდნენ ცალ მუხლზე დაჩოქილი, თავშიშველი გენერლები, პოლკოვნიკები, მაიორები, კაპიტნები, პორუჩიკები, ფელდფებელები, ეფრეიტორები. ხმელეთზე იმპერიის საუკეთესო გენერალი ინიშნებოდა მთავარსარდლად, ზღვაზე კი — იმპერიის საუკეთესო ადმირალი, მაგრამ ერთს მალევე უნდა დაეხია უკან, ხოლო მეორეს “მაკაკების” ტყვეობა ელოდებოდა. “ვერ უყურებ, ამ ქონდრისკაცებსო” — იძახდნენ, ცოტა არ იყოს, შემცბარი გაზეთები. ვერაფრით ვერ აბამდნენ იაპონელ ნელსონს. იმპერიის ძველ ესკადრას უკვე ოკეანის ფსკერზე ეძინა, ახლისთვის კი, ჯერ მხოლოდ გროვდებოდა ფული ურნებში. ხალხი უარესად იბოღმებოდა, ბრაზობდა, ქილიკაობდა: წვითა და დაგვით ორ კაპიკს ძლივსა ვშოულობ, ეგენი კი წყალში ყრიანო. ხალხი ცალკე იდგა, ხელისუფლება — ცალკე. ერთი ალთას, მეორე ბალთას. მოსკოველმა სტუდენტებმა თურმე მისალოცი დეპეშაც კი გაუგზავნეს მიკადოს, ხოლო მთელი საქართველო აკაკის ლექსს მღეროდა: “ოი, ამას ვენაცვალეო”. ხისფეხა კოსტა ფილოსოფოსობდა, წინასწარმეტყვე-

ლებდა, მისნობდა: ის დროა, ჩემო დიმიტრი, ორმოს თხრიდე და შიგ მიძვრებოდე ცოლშვილიანადო; მე რას მიყურებ, მე ისედაც სარდაფში ვცხოვრობო; ახლა რომ სისხლის წვიმები დაიწყება, წარღვნა და მეორედ მოსვლა მოგონილი იქნებაო. იმპერია შეშფოთებას ვერ მალავდა. იმპერატორის ყოველ განძრევაზე ტახტი უსიამოდ, სახიფათოდ ჭრაჭუნობდა საჯდომის ქვეშ. შეშფოთებული იყო, რა თქმა უნდა, ბათუმის პოლიცმეისტერიც; ყოველ ნაბიჯზე შეთქმულება ელანდებოდა: ნაცნობი ნაცნობს ვერ უჩერდებოდა ქუჩაში, მაშინვე პოლიციელებს მიუქსევდა ხოლმე. უკეთეს დღეში არც პოლკოვნიკი ვეზირიშვილი გახლდათ: ჯარისკაცის რკინის მათლაფიდან ჭამდა, ჯარისკაცებთან ერთად, ეჭვი არ შეეპაროთ საჭმლის უვარგისობაშიო. მერე კი ინგლისურ მარილს სვამდა და ძლივს ასწრებდა საპირფარეშომდე მირბენას. აღარ იცოდა, როგორ მოეგო ჯარისკაცების გული, კლუბიც კი გაუხსნათ ყაზარმაში, სადაც ჯარისკაცები კაპიკიან ჩაის ყიდულობდნენ (მდუღარე უფასოდ ეძლეოდათ), შაშს თამაშობდნენ და ბალალაიკაზე უკრავდნენ. იმდენად ეშინოდა ჯარისკაცების სიმშვიდის დარღვევისა, გადამდგარ ოფიცრებს, რომლებსაც უკვე სამუდამოდ გაედგათ ფესვი "აღთქმული ქვეყნის" მიწაში, ქათმებისა და ინდაურების მოშენება აუკრძალა: ჯარისკაცებიც უყურებენ იმათ პეპლაობას და ზედმეტად ღიზიანდებიანო. თუმცა თავად, მაინც ვერ ღალატობდა ძველ, დაკანონებულ ჩვეულებას და ჯარისკაცს ცოლი რომ ჩამოაკითხავდა, ჯერ თავის კაბინეტში შეჰყავდა, კაპიკიანი ჩაით უმასპინძლდებოდა, იქვე, მაგიდაზევე "პეპლავდა" თითქმის ქვეყნის მეორე ბოლოდან ფეხით ჩამოსულს, დაღლილსა და დამტვერილ დედაკაცს და მხოლოდ მერე უშვებდა ქმართან. აი, ეს დაუოკებელი ულაყი, ტახტის წაბაძვით, ჯარისკაცების გულის მოსაგებად, ახლა თავს იკატუნებდა, სიბერესა და უძლურებას იგონებდა და ბებრული ჩიფჩიფით ყოველდღე ახსენებდა ლარივით გაჭიმულ ჯარს ხელმწიფისათვის მიცემულ ფიცს, მამაშვილურად აფრთხილებდა, არ აჰყოლოდნენ ეშმაკს, არ აჰყოლოდნენ ვიგინდარა რევოლუციონერებს, რომლებსაც ღმერთიც ფეხებზე ეკიდათ და ხელმწიფეც, რომლებიც,

თურმე, ტახტს არყევდნენ, მღვდელს კრეჭდნენ, ხატს აფურთხებდნენ, საფლავს ხნავდნენ, ბავშვებს ჭამდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, კეთილშობილ ქალიშვილებს ნაგანის ლულით აკარგვინებდნენ უბიწოებას. სანამ ვეზირიშვილი და ვეზირიშვილისნაირები ოინბაზობდნენ, დროს იგებდნენ, ხელისუფლება გამალებული იქექებოდა მმართველობის ჟანგიან სკივრში და ისევ ამოჰქონდა იქიდან ძველთაძველი, მრავალნაცადი ხერხები, მეთოდები, საშუალებანი: “პური და სანახაობა”, “დაყავი და იბატონე”, “მიუქსიე ერთმანეთს”, “აუფრინე წითელი მამალი”, “დაპირდი და არ მისცე”, “გარყვენი და დასაჯე”, “გაღმა შეედავე და გამოღმა შეირჩინე”, “დაათვრე და ამღერე”, “დაათვრე და აცეკვე”, დაათვრე და დაათვრე და დაათვრე და დაათვრე. “კასრები უკვე გზაშია, დღეს ყველამ ერთად უნდა დავლიოთ ჩვენი ხელმწიფოს სადღეგრძელოო” — იძახდა პოლკოვნიკი ვეზირიშვილი და თან ასი წლის ბებერივით სლუკუნებდა, ხვნეშოდა, ოხრავდა, აცახცახებული ხელით ძლივსძლივობით ამოჰქონდა უბიდან ბაღდადივით უშველებელი, ჭრელი ცხვირსახოცი და ნელა, გულისგამაწყალებლად ნელა იმშრალებდა “სველ” თვალებს, სათითაოდ, ჯერ ერთსა და მერე მეორეს, ყველას რომ დაენახა, ყველა რომ დაენამუსებინა ამ “კეთილი”, “გულისხმიერი”, “მამასავით საყვარელი მოხუცის” ცრემლს. ჯარი გაჭიმული იდგა, სარგადაყლაპულივით, გუნებაში ეცინებოდა პოლკოვნიკის ჯამბაზობაზე, მაგრამ არაფერი არ უნდოდა, ერთიორი წუთით თავს თუ მიადებინებდნენ სადმე, აქოთებული ჩექმის გახდის უფლებას თუ მისცემდნენ და მწარე თუთუნს გააბოლებინებდნენ. მაგრამ ჯერ წარმოდგენა გრძელდებოდა. დოლები ბრაგუნობდნენ. პოლკის დროშა ურჩხულის კუდივით იფოფრებოდა ჰაერში. “ყველამ აკოცოს. ნებას ვაძლევ. დღეს განსაკუთრებული დღეაო” — მოწყალებას იღებდა პოლკოვნიკი. დროშა კი ნელა მოიკლაკნებოდა, ტკაცუნობდა, ბუბუნებდა. ჯარისკაცები ჩოჩქოლებდნენ, თითქოს მართლა საჩუქრები უნდა დაერიგებინათ იმათთვის. პირჯვარს იწერდნენ, იჩოქებოდნენ, კოცნიდნენ აფრიალებული დროშის კალთას, ზოგი ვითომ, მაგრამ პოლკოვნიკიც ვითომ ვერა-

ფერს ამჩნევდა, ბებრულად ასავსავებდა თავს და ხრინწიანად ყვიროდა: ვინ ვატირე მე ჩვენი მტრისაო. “დედა!” — სჭექდა ჯარი. “კიიიიდევ?” — ქათამივით იგრეხდა პოლკოვნიკი კისერს, თითქოს უკეთესად რომ გაეგონა ჯარის პასუხი. “ცოლი!” — სჭექდა ჯარი, “კიდევ, კიიიიდევ?” — მადა ეხსნებოდა პოლკოვნიკს. “გვარშიგასათხოვარი!” — სხარტად, მხედრულად უმარცვლავდა ჯარი. მაგრამ ვეღარაფერი შეაჩერებდა წლობით, საუკუნეობით დაგროვილ რისხვას, სიძულვილს, შურისძიების სურვილს, ჟინს, მოთხოვნილებას. იმპერიის თავზე საავდრო ღრუბლები იგრაგნებოდნენ. “ძირს მეფე და მაღლა მუშაო” — გუგუნებდნენ ჯურღმულები, სარდაფები, დილეგები. საძირკველი ირყეოდა. საფლავებში კუბოები სკდებოდნენ. ყურმოჭრილი მსახურები ამაოდ ქოლავდნენ სასახლის სარკმლებს — მიწისძვრის, ქარიშხლის, წარღვნის მაუწყებელი გუგუნი მაინც აღწევდა სასახლეში. ნელა, ზოზინით, უხალისოდ თენდებოდა სისხლიანი კვირა, მაგრამ მისი წითელი გამონაშუქი ერთბაშად გადასწვდა მთელს იმპერიას. ისევ უნდა გავარდნილიყო თოფი და ისევ გავარდა. ბათუმი ბარიკადებით მოიფინა. ჭრიდნენ ელექტრონის ბოძებს, ხეებს; ახლომახლო სახლებიდან ავეჯს ეზიდებოდნენ; ტომრებს მიწით ავსებდნენ (გამოადგათ თბილისელი მსახიობის მაგალითი). სამი დღე ქალაქი მუშების ხელში იყო. თბილისიდან ბრძანების მოლოდინში, სამი დღე ათრობდა და აქეზებდა ჯარს პოლკოვნიკი ვეზირიშვილი. ბრძანებამაც არ დააყოვნა და — “ძმებო, არწივებო, არ დაზოგოთ ტყვიებიო” — აჭიხვინდა ძველებურად მხნე და გაუტეხავი — ულაყზე ამხედრებული ულაყი. “მოვდივარ, გამაგრდიო” — ეძახდა ალიხანოვი და ცასა და მიწას მოაბნელებდა. წიფადან ზესტაფონამდე, რკინიგზის ორივე მხარეს, გაპარტახებული, გადამწვარი, გაუპატიურებული სოფლები ბოლავდა. “აღწერაც გვიჭირსო” — წერდა “ცნობის ფურცელი”. მთვრალი კაზაკები დაწიოკებულ ბარიკადებზე ახტუნებდნენ ოფლში გახვითქულ ცხენებს. გვამებს ყაზარმის დროგებით ეზიდებოდნენ. დაჭრილებს კონდახით უჩეჩქვავდნენ თავს. სისხლის გუბეებს მშიერი ძაღლები სვლეპდნენ. მძორის სუნით გაცოფებული კატე-

ბი სახლებში უვარდებოდნენ ხალხს. ხოლო რესტორან “ფრანციაში” თავად პოლიცმეისტერი ხელმძღვანელობდა ალიხანოვის საპატივ-საცემო სუფრის მორთვამოკაზმვას. “ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერ-თმა. ჭიქები. შენ ხარ ჩემი ბატონი. მეტი ჭიქები დააწყვეთო” — დასძა-ხოდა აფუსფუსებულ, თეთრად გაქათქათებულ ოფიციანტებს. საბა ლაფაჩი კი, დედის კალთაში პირჩამხობილი ტიროდა, ზუსტად ისევე, როგორც იმ უხსოვარ დროს, როცა ცხრა წლის ბიჭს სასწავლებლად რუსეთში აგზავნიდნენ და სამუდამოდ ეთხოვებოდა არა მარტო ბავ-შვობას, ცხრა წლის სიცოცხლესაც, რადგან ხვალიდან სრულიად სხვა სიცოცხლე უნდა დაწყებულიყო იმისთვის. ახლაც ცხრა წლის ბიჭივით დაბნეული, დამფრთხალი, უმწეო და დედის კალთაში პირ-ჩამხობილი, მწარედ ქვითინებდა. დედა სიბერისა და სიამაყისგან ათრთოლებული ხელით ეფერებოდა სამხრეებზე და ღიმილგა-რეული ხმით ეუბნებოდა: რაღა გატირებს, სულელო, ხომ გაიმარჯვა ხელმწიფემო. ხელმწიფემ გაიმარჯვა, წელში გაიმართა და პასუხიც მოიკითხა თავაშვებულობისთვის, უწესობისთვის, უმადურობისთვის. ისევ გაიძეძგა ციხეები, საითაც არ უნდა გაგეხედა, ბორკილდადებუ-ლი პატიმრის გადაფითრებული სახე მოგხვდებოდა თვალში. სახ-რჩობელებზე ფეხშიშველი გვამები ირწეოდნენ, ბზრიალებდნენ. მაგ-რამ არც დარბეულები ურიგდებოდნენ დამარცხებას და უკვე მომა-ვალ ბრძოლებზე ფიქრობდნენ. არა მარტო საქართველოში, მთელს იმპერიაში. სისხლი სისხლის წილ. თვალი თვალის წილ. კბილი კბი-ლის წილ. პეტერბურგში პლევე მოკლეს, თბილისში — გრიაზნოვი. “დედავ, ნუ სტირი, მამავ, ნუ ჩივი, მე მოვაშორე ქვეყანას ჭირიო” — ახალგაზრდული გულუბრყვილობით მღეროდა საფლავში არსენ ჯორჯიაშვილი. ჩია ბერიკაცს შავი სატინის ხალათი ნათხოვარივით ეკიდა მხრებზე, ხელისგულზე პატარა, ოფლისგან გადაბინდული სუ-რათი ედო, მკვდარ პეპელასავით, და გამვლელგამომვლელს აჩვე-ნებდა: აი, ასეთი იყო ჩემი ბიჭიო. თეატრებში ცაგარელის “ქართვე-ლი დედა”, “ციმბირელი” და იბსენის “ხალხის მტერი” (იგივე “დოქ-ტორი შტოკმანი”) იდგმებოდა. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავ-

ლეებმა გიმნაზიის სარკმლიდან ყუმბარა ესროლეს პოლიცმეისტერის ეტლს. გიმნაზიის დირექტორს, შიო ჩიტაძეს, იმის გარკვევაც არ დასცალდა, რა ხმაური ატყდა, რა ხდებოდა გიმნაზიაში: კაბინეტში შემოვარდნილმა კაზაკმა შუბლში დაახალა ტყვია და ტვინი კედელზე მიასხმევინა. შიოს ცოლმა, ეს ამბავი რომ გაიგო, საწამლავი დალია; ისე შეეშინდა ამ გამხეცებულ ქვეყანაზე უქმროდ დარჩენისა, იმაზედაც აღარ დაფიქრებულა, მთლად უპატრონოდ, მთლად ბედის ამარა რომ ტოვებდა ორ შვილს. მაგრამ მაინც არავინ ელოდებოდა იმას, რაც ცხრაას შვიდის ოცდაათ აგვისტოს მოხდა. თავზარდამცემი, გამაოგნებელი ცნობა მეხივით გასკდა მთელს საქართველოში, დარუბანდიდან ნიკოფსიამდე, და მთელი საქართველო, ერთხელ კიდევ გადათელილი, ერთხელ კიდევ ნაგვემნაცემი, ერთი კაცივით წამოაგდო ფეხზე.

ცხრაას შვიდის ოცდაათ აგვისტოს ილია ჭავჭავაძე, მეუღლესთან და მსახურთან ერთად, თბილისიდან საგურამოს გამგზავრებულა. “ნუ წავალთ, ქვეყანა არეულია, სახიფათოაო...” — რამდენჯერმე გაუფრთხილებია თურმე მეუღლეს, მაგრამ ილია მეუღლის შიშს არ აჰყოლია და, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ბოლოს მაინც თავისი გაუტანია. ან რატომ არ უნდა გაეტანა? სამოცდაათი წლის მოხუცს იმდენი კი დაემსახურებინა, საითაც სურდა, იქით მიბრუნებულიყო საკუთარ ოჯახში. იმისი ოჯახი კი, სრულიად საქართველო გახლდათ, დიახ, სრულიად საქართველო, და არა რომელიმე სახლი, თბილისში, ყვარელსა თუ საგურამოში. გარდა ამისა, რაც არ უნდა არეული ყოფილიყო მისი ქვეყანა, ვერაფრით ვერ იფიქრებდა, ისე თუ გადასცდებოდა იგი ჭკუიდან, საკუთარ მამაზეც ამართავდა ხელს. ზაფხული იწურებოდა. გაქვავებულ კოცონს ჰგავდა სვეტიცხოველი. ეტლი უკვე მცხეთას გამოსცდენოდა და ჩახურებულ, ჩაყუჩებულ ჭალაში მშვიდად მიბაკუნობდა მტვრიან გზაზე. მთელი გზის გაყოლებაზე ჭრიჭინები თითქოს ერთმანეთს გადასცემდნენ დაუქანცავ, დაულეველ ხმას, რათა ეტლში მსხდომთათვისაც გაეხანგრძლივებინათ მომთენთავი, რულის მომგვრელი სიჩუმე და სიმყუდროვე ლომისფე-

რი ზაფხულის უკანასკნელი დღისა. ილიასაც ედო ჯიბეში რევოლვერი და მის მსახურ იაკობსაც, მაგრამ საფრთხესა და განსაცდელზე აღარავინ ფიქრობდა, უკვე წიწამურთან მოსულიყვნენ, აქედან კი, ხელის ერთი გაწვდენა იყო შინამდე. სადღაც გვრიტი კუთავდა. მტვრიან ჰაერს აქაიქ იელის სუნი დაჰკრავდა; თავადაც გამოაჭყეტდა ხოლმე ყვითლად და ისევ გაქრებოდა, ამოეფარებოდა გაქუცულ ბორცვს, თითქოს ლომმა თვალი დახუჭაო. "დავბერდი, დავჩაჩანაკდი, გამომერია ჭაღარაო" — საკუთარი ლექსივით იმეორებდა ეტლში მისვენებული ილია, თითქოს ეს წუთია, მისი სულიდან დაბადებულიყო პირველად ეს სიტყვები, მისი მჭმუნვარე, დასევდიანებული სულიდან, რადგან, მეუღლისგან განსხვავებით, ქვეყნის არეულობა კი არ აფრთხობდა, სიბერეს გრძნობდა და გული სწყდებოდა, სწორედ ამ დროს, ამ არეულობის დროს რომ უნდა გამოთხოვებოდა იმას, რისკენაც სამოცდაათი წელი შეუჩერებლად ილტვოდა, რისთვისაც მჭედელივით ღვრიდა ოფლს, ექიმივით ფხიზლობდა, და რასაც ასე თუ ისე, მიახლოებოდა კიდეც, თითქოს მხოლოდ იმიტომ, უარესად რომ დასწყვეტოდა გული. "ოციოდე წელს რომ მომაკლებდეს ვინმე, იქნება შემეხედა ჩემი ქვეყნის თავისუფლებისთვისო" — ფიქრობდა მოღუშული, ეტლში მისვენებული, ეტლის რწევას აყოლილი. მანჟეტზე მწერი შესცოცებოდა, მაგრამ ხელის ოდნავი განძრევაც ეზარებოდა, სასიამოვნოდ ჩაყუჟულს, ჩამტკბარს სევდიან ფიქრებში. ეტლი მოულოდნელად შეჩერდა, არაბუნებრივად, ტლანქად; თითქოს კი არ შეჩერდა, მოკვდაო. ცხენებმაც შემზარავად დაიჭიხვინეს. იაკობი ეტლიდან გადახტა და ტყისკენ გაიქცა. მაშინვე თოფმა დაიჭექა. "რა მოხდა? რა მოხდა?" — წამოვარდა ფეხზე ილია. ვიღაცა თოფს უმიზნებდა. იაკობი პირქვე ეგდო მიწაზე. "რა მოხდა? რას სჩადიხართ?!" — ისევ იყვირა ილიამ და უცებ სინათლემ მოიმატა, თითქოს გაიელვაო. იმავე წამს ყველაფერი თავიდან გამეორდა, იმავე თანამიმდევრობით: ჯერ ეტლი შეჩერდა. მერე ცხენებმა დაიჭიხვინეს. მერე იაკობი გადახტა ეტლიდან და ტყისკენ გაიქცა. მერე ვიღაცამ თოფი დაუმიზნა. იაკობი კი, პირქვე ეგდო სისხლის გუბეში. ამ დროს, მეუღლის კი-

ვილი ჩაესმა და მაშინვე ყველაფერს მიხვდა. აღარ უკითხავს, რა მოხდაო. სასწრაფოდ დახუჭა თვალები, ვიდრე სიკვდილი დაეუფლებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ილიას მოურავს ჩამოუვლია საგურამოდან, სამი ჩაფრის თანხლებით. გეგონებოდათ, იქვე, სადღაც, ბუჩქებს იყვნენ ამოფარებულნი და მხოლოდ იმას ელოდებოდნენ, როდის მოამთავრებდნენ მკვლელები თავიანთ ბინძურ საქმეს. სროლის ხმაზე, ცოტათი რომ აეჩქარებინათ ცხენები, შეიძლება აღარ მომხდარიყო ეს უბედურება. მაგრამ, განგება იყო თუ რა, მოურავიცა და ჩაფრებიც ისე დაყრუებულან, არაფერი გაუგიათ. არაფერი გაუგია კაზაკების საგუშაგოსაც, ხოლო როცა გაუგია, უკვე გვიანი ყოფილა. "აქეთაც გავვარდი და იქითაცო" — უთქვამს ურიადნიკს. არაფერი გაუგიათ მეურმეებსაც, ლამის მოურავთან და ჩაფრებთან ერთად რომ მოსულან მკვლელობის ადგილზე. "აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთ, ვითომ ეკლესია აგიშენებიათო" — დაუძახია იმათთვის ილიას მეუღლეს და გონდაკარგული ჩამხობილა სისხლიან მტვერში. არავის არაფერი არ გაუგია. ერთი წუთით მთელი საქართველო დაყრუებულა თითქოს, ეგზარხოსი პავლეს წყევლა რომ ასრულებოდა და დიდიანპატარიანად, ქალიანკაციანად, ერიანბერიანად ჩავარდნილიყო ამ ჯოჯოხეთურ ცოდვაში. "ოთხნი იყვნენ. შავგვრემანები. შავი ტუჟურკები ეცვათო" — ძლივს უთქმევინებიათ მეეტლესთვის, ერთადერთი მოწმისთვის, რომელიც მოურავსა და ჩაფრებს საღსალამათი, ისევ კოფოზე დახვედრიათ. გვამები სისხლის გუბეებში ეყარნენ, ის კი კოფოზე იჯდა თურმე და ცხენების ალაპლაპებულ გავებს დასცქეროდა. სხვამ არავინ არაფერი იცოდა. ილიას მეუღლე ისევ უგონოდ იყო. მთელი სახე კონდახებით ჰქონდა დაჩეჩქვილი. მეორე დღეს, ასე გონდაკარგული წაიყვანეს თბილისში, ექიმი კიმონტის დაჟინებული მოთხოვნით. დილის ხუთ საათზე გამოუხედია ერთი წამით და წამოუბოდებია: ურჩიეთ ილიას, ნუ წავა, საშიშიაო. ილია კი, უკვე ერთი დღის მკვდარია, უფრო სწორედ, ერთი დღის მოკლული, თავის მსახურთან ერთად, გულხელდაკრეფილი ესვენა მეორე ოთახში. იმდროინდელ კაცს სისხლისა და დასახიჩრებული

გვამის ნახვა თითქოს არ უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ დახოცილთა ოთახში გაზეთის კორესპონდენტები რომ შეუყვანია მოურავს, მაშინვე "თოფნაკრავებივით" გამოცვენილან უკანვე: ეს რა ნახეს ჩვენმა თვალებმაო. აივანზე იდგნენ თურმე და ტიროდნენ, ერთმანეთს მიხუტებულნი, დაობლებული ლეკვებივით. მალე მთელი საქართველო ტიროდა ასე. ილია არა მარტო მოეკლათ, გაეძარცვათ კიდეც. "არ ჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოხჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე. აღარც საფულე ქისაა. მხლებელისთვის კი ჩექმებიც გაუხდიათ. აღარ ჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომლებიც ილიასა და მის მსახურს ჰქონდათ თანო" — წერდა გაზეთი. გზის პირას, სისხლის გუბეში, ცალი მანჟეტი უპოვიათ მხოლოდ. "ოთხნი იყვნენ. თეთრი ჩოხები ეცვათ, ოფიცრის ეპოლეტებიანიო" — უთქვამს მეეტლეს. სამაზრო ექიმის აზრით, რომელსაც გვამი გაუკვეთია, გინდათ არ მოეკლათ, დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა თურმე ილია, "გაქონებული გულითა" და "ზადიანი ფილტვებით". მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია გამწარებული ხალხისთვის. სხვაა, როცა პოეტი მოგიკვდება და სხვაა, როცა მოგიკლავენ, ქარდულად, ავაზაკურად, ვერაგულად. არა მარტო შენცა გკლავენ იმასთან ერთად, კიდევ უარესი, შენც მკვლელობის თანამონაწილე გამოდიხარ უნებურად, კაენს უამხანაგდები და შენს სულში აძლევ თავშესაფარს, რაკი არც პოვნა შეგიძლია იმისი და არც ის გამოგეყოფა თავისთავად. ტყიდან კი არ გამოუვარდა იგი პოეტს და ისევ ტყეს კი არ შეაფარა თავი, არამედ — შენში შობილი, შენვე დაგიბრუნდა. "კაენ, გამოჩნდი, აღიარე, მოინანიეო" — გაჰყვიროდნენ გაზეთები და ხალხს უფრო და უფრო ედრიკებოდა ქედი, უფრო და უფრო ეუფლებოდა დანაშაულის გრძნობა, დანაშაულისა და სირცხვილისა, საკუთარი სიბრმავის, გულგრილობის, უყურადღებობის და უმწეობის გამო, რადგან საკუთარი პოეტის მოვლაც არ შეძლებია თურმე, როცა მიბარებულს მგელიც ინახავს. "სამს თეთრი ფიჯაკი ეცვა, ერთს კი, ძველი კურტკა და შავი შარვალიო" — იძახდა მეეტლე, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აზრიც აღარ ჰქონდა "ჩოხოსანთა", "ტუ-

ჟურკოსანთა” და “ფიჯაკოსანთა” შორის ოთხი გატყიურებული სულის გამორჩევას, რომლებიც ციდან კი არ ჩამოვარდნილიყვნენ, ცხოვრებას გაეჩინა, და იმ ოთხის ამოშანთვით მაინც არ განიკურნებოდა ქვეყანა, ვიდრე თავად ქვეყანა არ დაინგრეოდა და, თუკი ღირსი იქნებოდა ახალი სიცოცხლისა, ხელახლა არ დაიბადებოდა საკუთარი ნანგრევებიდან. პოლიტიკური პარტიები ეჭვის თვალით უყურებდნენ ერთმანეთს. ყველა ეჭვით იყო შეპყრობილი. ეკლესიის აშენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეკლესია რომ დანგრეოდათ თავზე, ამას უკვე ყველა ხვდებოდა. არ დარჩენილა საქართველოს კუთხე-კუნჭული, თბილისისკენ არ შემოებრუნებინოს სახე. თბილისი პოეტის ცხედარს ელოდებოდა საგურამოდან. გუგუნებდნენ ზარები, ფრიალებდნენ შავი დროშები, პარპალებდნენ სანთლები. ყველა გადარჩენილი ეკლესია იხდიდა პანაშვიდს. გალობდნენ მგალობლები, გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონთა გუნდი, ბავშვთა გუნდი. გრძელი, მტვრით გადათეთრებული პროცესია წელში იღუნებოდა პოეტის კუბოს სიმძიმის ქვეშ. ძლივს მოჰქონდათ ჩამოხსნილი ზარივით მძიმე, ჩამქრალი ჭაღივით პირქუში კუბო. დაცარიელებულ სოფლებში ელდანაცემი ძაღლები ყეფდნენ და მამლები ყიოდნენ. ხალხი კი მოდიოდა, მოისწრაფოდა თბილისისკენ, ტირილით, ზმუილით, ვაითა და ვიშით, თითქოს ძალით აუყრიათ და თითქოს უცხო ქვეყანაში მიერეკებიანო. ყველა ქალაქში დაიკეტა დუქნები და მაღაზიები. ვინც, პოლიციის შიშით, ვერ გაბედა დაკეტვა, ძალით დააკეტინეს. თბილისი ბორგავდა, ღელავდა, გლოვობდა. ცეცხლივით ამობრიალდებოდა ხოლმე ხალხის ზღვიდან მზემიშუქებული ვერცხლის გვირგვინი. სახლები ძაძით შეემოსათ. ცაში გაბმული ყვავილებიდან პოეტის არშიაშემოვლებული სურათი იმზირებოდა, როგორც ღმერთი ღრუბლებიდან, ნათელი და უბრალო. თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ დროშათა ბუნიკები, ჯვრები, ხატები. და აი, ჯერ პროცესიის წინამორბედი ეტლი მოვარდა — დამტვერილი, გახვითქული — მერე კი, ხალხის აზმუვლებულმა მდინარემ კუბოს თავი, გადაბრუნებული ნავივით, შემოიტანა თბილისში. პოეტის ცხე-

დარი სიონის ტაძარში დაასვენეს. გუგუნებდნენ ზარები. გალობდნენ ბავშვები, მონაზვნები, ვაჟთა და ქალთა გუნდები. გლოვის დღე იდგა საქართველოში. მთელი საქართველო სიონისკენ მოისწრაფოდა, მთიდან, ბარიდან, ზღვისპირეთიდან, რათა უკანასკნელად (თუ პირველად!) მოეყარა მუხლი მოკლული ღმერთის წინაშე. ის კი კუბოში იწვა, ჩვეულებრივად მედიდური, ამაყი, მშვიდი, ყვავილების ბორცვზე ამაღლებული, სიკვდილზე ამაღლებული, და ისევ იმედის, ისევ რწმენის გამომშუქებელი სიკვდილის სიმაღლიდან. ქალებს ძუძუთა ბავშვები მოჰყავდათ, მაღლა სწევდნენ აჩხავლებულ ბავშვებს, იქნება დაამახსოვრდეთ, იქნება იმის მადლი მოეცხოთო. ტაძრის სარკმელში ჩიტი ჟივჟივებდა. ფოტოგრაფები წარამარა უცვლიდნენ ადგილს თავიანთ აპარატებს. და ისევ გუგუნებდნენ ზარები, ისევ გალობდნენ მგალობლები, ისევ ჩხაოდნენ ძუძუთა ბავშვები, ისევ ჟივჟივებდა ჩიტი, ისევ ზმუოდა დაჩოქილი ხალხი, ისევ იხოკდა სახეს, ისევ მიწას ახლიდა თავს და ისევ უბრუნდებოდა სიამაყის გრძნობა, ასეთი დიდებული მიცვალებულის პატრონს, მიცვალებულისა, რომელმაც პირველმა უთხრა: შენი თავი შენადვე უნდა გეყუდნოდესო, რომელმაც ლუკმალუკმა დაჭრილი, შესაჭმელად გამზადებული სამშობლო ხელახლა გამოუგონა, მკვდრეთით აღუდგინა, გაუცოცხლა და განუბანა — პირში სიტყვა ჩაუდო, გულში ცეცხლი, ტვინში აზრი; ვინც კუდით ქვა ასროლინა მის მთათხველებსა და მაგინებლებს, სიბნელით რომ სარგებლობდნენ და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ მისი სარჩოსაბადებელი, მისი სალოცავი და ძვალთშესალაგი; ვინც, ტვირთაკიდებულს, ხელს შეაშველებდა ხოლმე აღმართში; ვინც ბაზალეთის ტბის ფსკერზე ოქროს აკვანი ჩაუდგა და შიგ იმედი ჩაუწვინა, სიჯიუტის, სიმტკიცის, გაუტეხლობის არტახებით გაკრული; ვინც მის პურს კოცნიდა და მის ვაზს ლოცავდა; მის საქონელს შეჰფოფინებდა და მის საბძელბოსელს სიუხვესა და სიმრავლეს ამწყალობებდა; ვინც სიღარიბეს სიმდიდრედ უთვლიდა, უმწეობას კი სიძლიერედ, და ვინც, ბოლოს და ბოლოს, მისი იყო, სისხლიანხორციანად, მისგან შობილი და მისი მშობელი. აი, ვინ მოკვდომოდათ და

ბევრი პირველად მიხვედრილიყო ამას; მაგრამ მით უფრო ერეოდა დაჩოქების სურვილი, მონანიების ჟინი. მით უფრო ერეოდა მწუხარება. ვერავითარი გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა თუ ხანძარი ვერ წაართმევდათ იმდენს, რამდენიც ერთი კაცის, ერთი სამოცდაათი წლის მოხუცის სიკვდილს წაერთმია. აუწონავი, აღურიცხავი, აუნაზღაურებელი ზარალის შემაძრწუნებელი შეგრძნება მოერეკებოდათ. მთელი საქართველო მოისწრაფოდა თბილისისკენ: ბავშვი და ბერი, ქალი და კაცი, სწავლული და უსწავლელი. ხოლო ვისაც წამოსვლა არ შეეძლო, ვისაც ბორკილი ედო, იქიდან, ციხიდან აწვდენდა ხმას საერთო, გამომაფხიზლებელ, გამაღატაკებელ, მაგრამ, ამავე დროს, გამაკეთილშობილებელ გლოვას — ქარს აბარებდა, ჩიტს აბარებდა, მზის სხივს აბარებდა თავის სამძიმარს, თავის გულისტკივილს, თავისი გადარჩენილი ადამიანობის დამადასტურებელ ცრემლს. პოეტის სიკვდილს აღესრულებინა ის, რასაც ამაოდ გადაჰყოლოდნენ და ბოლოს ტახტიც გადაეყოლებინათ საქართველოს უიღბლო მეფეებს. მთელი საქართველო გაერთიანებულიყო პოეტის კუბოს გარშემო, როგორც ოდესღაც, გულადნი და პურადნი, სეფე დროშის გარშემო ერთიანდებოდნენ ხოლმე, კიდევ ერთი სახელოვანი ბრძოლის გადასახდელად. წარბს ქვემოდან გასცქეროდნენ ერთმანეთს, მალულად, შეფარვით, ერთმანეთს გადაჩვეულნი, უმიზეზოდ, მხოლოდ და მხოლოდ საერთო სიძაბუნის გამო შემომწყრალნი ერთმანეთს, მაგრამ მაინც ახლობლები, შინაგანად განუყოფლები, ერთი ხის ანაჭერნი. მთელ საქართველოში გუგუნებდნენ სამრეკლოები, საიდანაც ჯერ კიდევ არ ჩამოეხსნათ ზარები იმპერიის ზარბაზნებისთვის. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. თბილისის შვიდივე კარიბჭეში ხალხის შვიდი უწყვეტი მდინარე შემოდიოდა და ერთმანეთში არეული, ზღვად ქცეული — ღელავდა, ბორგავდა. მოსულები იძახდნენ: ჩვენს უკან კიდევ უფრო მეტნი მოდიანო. დამკრძალავი კომისია იძულებული გახდა, გადაედო დასაფლავების დღე. თბილისი ლტოლვილთა ბანაკს ჰგავდა. მოდიოდნენ ფეხით, ცხენით, ურმით, ტივით, მატარებლით, თავიანთი საკლავსაკურთხით, როგორც ხატობაზე, როგორც წმინდა

ადგილის მოსალოცად. ხალხს გადაეშავებინა ვერეს, მუშტაიდის, ორთაჭალის ბაღები, ქუჩები, მოედნები, ხიდები, ყაბახი და ნარიყალა, მტკვრის ნაპირები და მტკვარზე გაჩერებული ტივები, ბორნები, წისქვილები. ჩაუქრობლად პარპალებდა წმინდა სანთლები ყოჩის რქებზე, ურმის კოფოზე, სარკმლის რაფაზე, დუქნის დარაბაზე, ქვაზე, ხეზე — ყველგან, სადაც კი სანთლის მიწებება შეიძლებოდა. ჩამოსულიცა და ადგილობრივიც ქუჩაში ათევდა ღამეს, თითქოს ცის ქვეშ, კედლებს გარეთ უფრო ახლო იქნებოდა იმასთან, იმისი დაშლილი, დაუძლურებული სხეულიდან ბერდანის ტყვიით გამოდევნილ სულთან. საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ცეცხლი ენთო, ცეცხლის გარშემო ისხდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, რაც კი რამე იცოდნენ განსვენებულისა, მოკლულისა, ტყუილი თუ მართალი. იქვე, ხელდახელ, ცხელ გულზე იგონებდნენ ზღაპრებს, ლეგენდებს და თვითონვე სჯეროდათ თავიანთი გამონაგონისა. “ხელმწიფისთვის შეუთვლია, საქართველო რაც მიწაზეა, ათი იმდენი მიწაშია, და ფრთხილად იყავი, გულზე არ დაგადგესო” — ჰყვებოდა ვიღაცა ვერეს ჯვართან და იმის მონაყოლს, მეორე წუთას, უკვე მეტეხს ქვემოთ იმეორებდნენ, ერთმანეთზე გადაბმულ ტივებზე. ტივებზედაც ენთო ცეცხლი. მეტეხის პიტალო კლდეზე უზარმაზარი ლანდები დაბორიალობდნენ. ცეცხლის ანარეკლი ირიბად ლივლივებდა წყალში, თითქოს წყალს ვერ მიჰქონდა, როგორც ტივზე თოკით გამობმული, გასაციებლად ჩაგდებული ტიკჭორა. ჩაუმქრალი ცეცხლით აფორიაქებული, დაფლეთილი წყვდიადი ძუძუთა ბავშვებს უვარდებოდა სიზმრებში და ბავშვების ჩხავილით თენდებოდა კიდევ ერთი სამგლოვიარო დღე. ასე გაგრძელდა ცხრა სექტემბრამდე, ხოლო ცხრა სექტემბერს დიდებული გვამი სიონიდან გამოასვენეს და ზარითა და გოდებით მთაწმინდაზე აიტანეს, როგორც ჯვარი გოლგოთაზე. თავიანთი ჯვარი, თავიანთ გოლგოთაზე. გუგუნებდნენ ზარები. ფრიალებდნენ შავი დროშები. ტაძრის ღია კარიდან საკმევლის ბოლი გამოდიოდა. გალობდნენ მგალობლები. ხოლო როცა საკმევლის ბოლიდან კუბომ გამოანათა, როგორც მზემ ღრუბლებიდან, ქუჩაში მომლოდინე ხალხს გმინვა აღ-

მოხდა, თითქოს დაჩირქებულ წყლულზე უნებურად ხელი მოუხვდაო. პროცესიას წინ დროშები, ჯვრები და ხატები მიუძღვოდა. მერე კუბოს თავი მიჰქონდათ. კუბოს თავს მგალობელთა გუნდი მიჰყვებოდა, მგალობელთა გუნდს — გვირგვინები, გვირგვინებს — ისევ მგალობელთა გუნდი, მგალობელთა გუნდს — ოთხოთხად დაწყობილი, თავშიშველი მოსწავლეები, და ისევ მგალობელთა გუნდი; მგალობელთა გუნდს — საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებელთა, დაბაქალაქთა, კავშირთა და რედაქციათა ას ოთხმოცდახუთი დეპუტაცია — თავთავიანთი გვირგვინებით; დეპუტაციებს სამღვდელოება მოსდევდა, სამღვდელოებას — ძაძებიან ეტლზე დასვენებული კუბო, ჭირისუფლებით, ცნობილი ლიტერატორებით, საზოგადო მოღვაწეებითა და "ივერიის" ყოფილი თანამშრომლებით გარემოცული. მერე დანარჩენები მოდიოდნენ: თავადაზნაურთა თუ მოხელეთა, ვაჭართა თუ ნაფიც ვექილთა, დრამატული დასის, ფილარმონიისა თუ ოპერის მსახიობთა, გლეხთა თუ მუშათა, ქალთა თუ ვაჟთა გიმნაზიების, ყაზბეგის, წინამძღვრიანთ კარისა თუ ჭრაკერვის სკოლების, ქართველ ოფიცერთა, "კახეთის", "ძმობის", "გეორგიის", ნოქართა საზოგადოებისა თუ ამქართა კორპორაციათა წარმომადგენლები. და, რაც მთავარია, ხალხი, ხალხი, ხალხი, უთვალავი ხალხი, ყველა ჯურისა, ენისა, რწმენისა და სახისა, მკვიდრი თუ სტუმარი კავკასიის ბაბილონისა. გუნდები მონაცვლეობით გალობდნენ. მონაცვლეობით უკრავდნენ სამგლოვიარო მარშს სხვადასხვა სასწავლებელთა ორკესტრებიც. გამოღებული სარკმლები ერთნაირად შემცბარ, ერთნაირად შეწუხებულ სახეებს ამოევსო. ხალხს გადაეშავებინა აივნებიც, სახურავებიც, ბანებიც. ფოტოგრაფებსაც სახურავზე აეტანათ თავიანთი აპარატები, პროცესიის გადასაღებად, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. "ამდენნი თუ ვიყავით, სად ვიყავითო?" — წერდნენ მეორე დღეს გაზეთები. მართალია, პოლიცია განზე იდგა, მაგრამ ამოდენა ზღვა ხალხი თვითონვე აწესრიგებდა და თვითონვე წარმართავდა თავის მდინარებას, როგორც სტიქია. ადგილის სიმცირის გამო, მამადავითის ეკლესიის გალავანში ხალხს ბილეთით უშვებ-

დნენ, მაგრამ ხალხი გალავანზე მიძვრებოდა, ერთხელ კიდევ რომ მოეკრათ თვალი ტყვიით განგმირული შუბლისთვის, მათი სიამაყის, მათი სინდისის შელეწილი ფარისთვის და ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, ერთხელ კიდევ ეღიარებინათ, თუნდაც გუნებაში, რომ გაღმა გასვლის მსურველთ, აქამდე, თურმე უკუღმა მიჰყავდათ ბორანი. მამადავითის აღმართზე გაქვავებული ჩანჩქერივით ეკიდა ხალხი. მამადავითის ჭიშკრიდან სახაზინო თეატრამდე ყველამ ერთდროულად დაიჩოქა, როცა კუბოს სახურავზე მიწის პირველი ბელტები აგრუხუნდა.

მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და რაც არ უნდა ეთრია ხალხს ფეხი მთაწმინდაზე, როგორც არ უნდა გასჭირვებოდა ახლახან პირმოკრულ სამარესთან გამოთხოვება, მაინც უნდა დაშვებულიყო ძირს, მაინც უნდა დაბრუნებოდა ყოველდღიურ საქმესა და საზრუნავს. მსგავსი არაფერი განეცადა მრავალტანჯულ, მრავლისმნახველ თბილისს; ალბათ კარგა ხანს ვეღარაფერი შეძრავდა ასე საქართველოს; და მართლაც, ორი წლის შემდეგ, თბილისელი მსახიობის სიკვდილის ცნობა რომ გამოაქვეყნეს გაზეთებმა, ცრემლის სალარო დაშრეტილი აღმოჩნდა; გულდასაწყვეტად, შემაწუხებლად უმნიშვნელო აღმოჩნდა ეს ახალი ელდაც, ორი წლის წინათ გადატანილი ელდის გვერდით. “დაობლდა ქართველი მელპომენეს ტაძარიო” — წერდნენ გაზეთები, მაგრამ ეს სამწუხარო დანაკლისი “ღმერთის სიკვდილად” აღარ აღუქვამს ხალხს, ალბათ თავად თბილისელი მსახიობის უიღბლობის გამოც, რადგან, სხვა თუ არაფერი, ილიას შემდეგ სიკვდილსაც ფასი ჰქონდა დაკარგული, მით უფრო ჩვეულებრივ სიკვდილს, როგორითაც თბილისელი მსახიობი მომკვდარიყო (იმავე გაზეთების ცნობით, თბილისელი მსახიობი გულის გაგანიერებას შესწირვოდა), საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ საწოლში, ახლობლებითა და ექიმებით გარემოცული. მართალია, საქართველოს ყველა კუთხიდან ამჯერადაც გამოგზავნეს დეპუტაციები, სამძიმრის დეპეშები თუ გვირგვინები, მაგრამ ეს უფრო ადამიანური ვალის მოხდა იყო და არა ცოდვის ტირილი; არა საერთო გლოვა, არამედ საერთო ყუ-

რადღების გამომჟღავნება. რა თქმა უნდა, არც ბათუმს დაუტოვებია უყურადღებოდ ეს სამწუხარო ამბავი. რკინის თეატრში, წარმოდგენის დაწყების წინ, მაყურებელმა ფეხზე ადგომით სცა პატივი თბილისელი მსახიობის ხსოვნას, რომელსაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, აღარ მიეცა მათ წინაშე გამოსვლის საშუალება, რისი სურვილიც სიკვდილამდე არ განელებია თურმე. სიკვდილს კი, მართლაც რომ კაპიკის ფასიც აღარ ედო. სტოლიპინის სახრჩობელების ოჩოფეხებზე შემდგარი იმპერია ერთი წლის სავალს ერთ დღეში გადიოდა — უფსკრულისკენ, აღსასრულისკენ. არავინ არ იცოდა, შინიდან გასულს, რა წუთას დაეძგერებოდა ტყვია, რა წუთას დაედევნებოდა ხმალშემართული ჟანდარმი. ყველა ერთმანეთს დასდევდა დასაჭერად, მოსაკლავად, მოსასპობად. რევოლუციონერებს ვიღა ჩიოდა, მღვდლებსაც აღარ აჭაჭანებდნენ ქუჩაში. ეკლესიებში სანთლის ამნთებიც აღარავინ დარჩა. დამფრთხალი მღვდლები სასწრაფოდ იკრიჭებოდნენ, ანაფორებს იხდიდნენ და ხან რას გადაიცვამდნენ ხოლმე და ხან რას, ფაცაფუცით, მიუზომებლად ნაყიდს შავ ბაზარზე. ქართველ სამღვდელოებას ეგზარხოსი ნიკონის მოკვლა ბრალდებოდა: რაკი ეგზარხოსი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგი იყო, ისინიც ადგნენ და მოკლეს, როგორც ველურებს სჩვევიათო. შავ ანაფორას თუ მოჰკრავდნენ თვალს მთვრალი კაზაკები, როგორც დასაკლავ ქათამს, ისე დაედევნებოდნენ ხოლმე, თვალდაყვლეპილ, კბილდაკრეჭილ ცხენებს ზედ აგდებდნენ და მათრახებით უსისხლიანებდნენ თავპირს. ზურგზე ანაფორაგადაფხრეწილი მღვდელი ქოშინით გარბოდა ქუჩაში. აღარავინ მოსდევდა, მაგრამ მაინც გარბოდა, თავზარდაცემული, ნაცემი, ბეწვზე გადარჩენილი. მათრახით ატკეცილი, აფუებული ზურგი უხურდა. ბოლოს, ალალბედზე, რომელიღაცა ჭიშკარი მხრით შეგლიჯა და ეზოში შევარდა. ცემენტის ნიშაში დატანებული ონკანიდან დედაბერი დოქს ავსებდა. მღვდელმა სიგრილე იგრძნო, თუმცა ხელისგულისტოლა ეზოში არც ხე იდგა, არც საჩრდილობელი. დედაბერს დოქი ხელიდან გაუვარდა და პირჯვარი გადაიწერა. ხოლო მღვდელმა ზურგზე გა-

დამსკდარი ანაფორა მთლიანად შემოიხია და ყელკისერი წყალს შეუშვირა. ახლა ანაფორა კი არ ეცვა, წელზეღა ეკიდა, თითქოს ყასბის ფეშტამალი აუფარებიაო. ტიტველ ზურგზე ნამათრახალი კანი ბებერებად ქცეულიყო. წყალი რომ შეეხო, ერთი კი შეჰყვირა ტკივილისგან, მაგრამ კიდევ უფრო ღრმად შეყო კისერი წყლის ქვეშ. ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, ხელებს ყელკისერზე იტყაპუნებდა და თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა: “ტყუილად ირჯები, დედი, ახლა უკვე გვიანია, დედი. მე რომ მცემდნენ, სად იყავით? რომელ სოროში შეიმალეთ? ალბათ შვილის ნაქურდალს მალავდი მიწაში, ანდა რძალი დაგყავდა საბოზაოდ, უქმად არ მოცდეს, ერთიორი კაპიკი მეტი შემოიტანოს ოჯახშიო, არა, დედი? არ შეგრჩებათ. არ შეგრჩებათ. ოოოოი, რა ყინულივით წყალია. ამ წყეულ ქვეყანაში თავის კარზეც ვერაფერი უთქვამს კაცს. ისრისმასრის სანდლის ქალო, გადმოყარე გიშრის თმანი, ამიყვანე, შენთან დამსვი... შენი ძროხა შხამს მოიწველის, დედი. ჯერ სადა ხართ! შენი ქათამი გველის კვერცხს დადებს. შარდით უნდა ზილო პური შენი არსობისა, დედი, რამეთუ წყაროს გველეშაპი დაეპატრონა. ჭაფურია, ძირხვენა, მაჩიტა და თეროს ძირი იქნება თქვენი საჭმელი, დედი. არა არს შუბლსა თქვენს ზედა ნიშანი უფლისაი, არამედ ნიშანი ეშმაკისაი. ეშმაკმა ნუ მოგიშალოთ ხელმწიფის ცხენის ჩონჩორიკი, დედი. ნაცარტუტა, ნაცარტუტა აქაურობას, რამეთუ იქურდეთო და იქურდეთ; იმრუშეთო და იმრუშეთ; მოკალითო და მოკალით; მოიტყუეთო და მოიტყუეთ; დაასმინეთო და დაასმინეთ... მაგრამ ბოლოს, ისევ თქვენ მოგეკითხებათ პასუხი. უსმინეთ, უსმინეთ, რას ამბობს სული ეკლესიათა. დიდი არს რისხვა კრავისაი. არ შეგრჩებათ კრავის გალახვა. ოოოოი, დაგაქციოს მამაზეციერმა, დედი, დედაღვთისამ, წმინდა გიორგიმ, ანჩისხატმა, ჩემი შეფარებისთვის, ჩემი მორჩენისთვის, ჩემი მადლის მოკიდებისთვის... ოოოოი, მოვედ სატანა, მოვედ, მოვედ, მოვედ”... — ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, ხვნეშოდა წყლის ვერცხლისფერ მტვერში გახვეული, წყლის ქვეშ წაკუზული მღვდელი; ხოლო შიშისაგან ენაჩავარდნილი დედაბერი გამალებული იწერდა პირჯვარს.

ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა. დრო ყველაფერს კურნავდა, ყველაფერს ავიწყებდა ხალხს. ასე იყო ბათუმშიც. ბავშვები იზრდებოდნენ. ცხრაას ხუთში მოთხრილი ხეების ნაცვლად ახალი ხეები შრიალებდნენ. ნატყვიარი კედლები ხელახლა გადაელესათ. ღია სარკმლიდან ქათქათა, გამჭვირვალე ფარდა გამოიბერებოდა უცებ, ფეხმძიმე ქალის მუცელივით, მერე ბოლოებს ჰაერში ააფრიალებდა და ისევ სარკმელში შესრიალდებოდა. ქვიშაზე გაშენებულ ბაღში ორკესტრი გუგუნებდა. მოსეირნეთა ფეხქვეშ ისევ სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა. ანძებივით ჭრიალებდნენ კანდამსკდარი ფიჭვები. მსუყე, ნოტიო სიმწვანიდან ნებიერი ყვავილები იჭყიტებოდნენ. ზღვის ნაპირზე პირველი დამსვენებლები გამოჩნდნენ: თეთრ ზეწრებში გახვეულნი, საუზმით სავსე კალათებით დატვირთულნი. ტიტლიკანა ბავშვი გამალებული ქოქავდა სკამზე შემოდგმულ გრამოფონს. გრამოფონს თავისი ვეება, ლობიოს ყვავილის მაგვარი ყური ქალაქისთვის მიეშვირა: არაფერი გამომრჩესო. თვალუწვდენელი ზღვა თუნუქის ფურცელივით ლაპლაპებდა მზეზე. შიშველი ტერფების კვალი ტილოს ცარიელ სავარძელთან იწყებოდა და ზღვაში იკარგებოდა. ჭილის ქუდში ჩაკბეჩილი მსხალი ეგდო. ბათუმში თბილისელი მსახიობის ცოლი ჩამოვიდა, ვაჟიშვილთან ერთად, და იმავე ოთახში დასახლდა, საიდანაც ათი წლის წინ გაექცა ქმარს. დიახ, ათი წელი გასულიყო უკვე. ნატოს ათი წელი უსრულდებოდა. დიმიტრი და დარია დღეობისთვის ემზადებოდნენ. დიმიტრი დიდ ოთახში, კარადის წინ, სკამზე იდგა და ზედა თაროდან ძველისძველი, მისი მშობლების დროინდელი ფაიფურის ლანგრის გადმოღებას აპირებდა, მეტი ლაზათი რომ მისცემოდა სადღეობო სუფრას. აივანზე გამავალი კარი ღია იყო. კარის ჭრიალი მზის თვალისმომჭრელ სინათლეს ამოევსო. სინათლიდან აბრჭყვიალებული ხოჭო გამოსხლტებოდა ხოლმე დაფეთებული, თითქოს ფრთებზე ცეცხლი წაჰკიდებიაო. ნატოს ოთახიდან ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ბავშვების ხმები კიდევ უფრო ამძაფრებდა მზითა და ხეების სუნით გაჟღენთილი სახლის სიმყუდროვეს. დარიას ხელე-

ბი უკვე გაეშვირა ლანგრის ჩამოსართმევად; სკამზე შემდგარ ქმარს მშვიდი მოლოდინით აჰყურებდა, როგორც ფრესკის ანგელოზი — უხილავსა და იდუმალს. დიმიტრი კი თითის წვერებზე იწეოდა, ცდილობდა, უკეთესად მოეკიდა ხელი ლანგრისათვის. დაძაბულობისგან ფეხები უთრთოდა. გარეთ, ლიმონის ხის კენწეროზე დიდი, ჭრელი ჩიტი იჯდა და გამწარებული უსტვენდა; თითქოს რაღაც შემაშფოთებელი ცნობა მოეტანა სახლის ბინადრებისთვის და თავადაც გადასდებოდა შეშფოთება, რადგან გრძნობდა, ამაოდ ირჯებოდა: არავინ აქცევდა ყურადღებას, არავის ესმოდა მისი ენა. დიმიტრიმ ლანგარი გადმოიღო, ქუსლებზე დაეშვა და სკამზე ფრთხილად შემობრუნდა. სწორედ ამ დროს, აივანზე გამავალი კარის ჭრილში ვიღაცის შავი ლანდი აისვეტა, თითქოს მზის თვალისმომჭრელმა სინათლემ გააჩინა იმ წუთას, რადგან, ავაზაკისა და ავი სულის მეტი ვერავინ შემოვიდოდა შეუმჩნევლად ეზოში — არც ჭიშკარს დაუწკავწკავებია და არც ბილიკზე მოყრილი ხრეში ახრიალებულა მოსულის ფეხქვეშ. არადა, კარის ჭრილში აშკარად ვიღაც იდგა. “ვინ ოხერიაო” — ერთი კი გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ პოლიცმეისტერის ხმა შემოესმა: ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. შენ ხარ ჩემი ბატონი. დაპატიმრებული ბრძანდებით. დიახ. დაპატიმრებული. დიმიტრის უნებურად ხელი შეუთრთოლდა, მერე შეუმსუბუქდა, ხოლო ლანგარი ისეთი ხმით დაიმსხვრა იატაკზე, გეგონებოდათ, ჭერი ჩამოიქცაო. კარის ჭრილში ასვეტილმა ლანდმა გაიცინა (ასე მოეჩვენა დიმიტრის), სინათლის კვადრატიდან გადმოაბიჯა და თბილისელი მსახიობის ვაჟად იქცა. ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალი და ზოლიანი პერანგი ეცვა. საგულდაგულოდ გადავარცხნილი თმა ჯერ ისევ სველი ჰქონდა. “ხომ შეგაშინეთო” — თქვა და ისევ გაიცინა. დიმიტრის ამ ბიჭისა ჯერ კიდევ დილით შეეშინდა, ჯერ კიდევ დილით მიხვდა, შეცდომა რომ ჩაიდინა, ერთხელ უკვე ჩადენილი შეცდომა რომ გაიმეორა, როცა ამ ბიჭის შავად აწოწილ დედას გაუჩერდა და ახლობელივით გაუბა ლაპარაკი. მართალია, ძველი ნაცნობები იყვნენ, მაგრამ მეზობლებთან დაახლოების სურვილი არც ათი წლის წინ გამოუმჟღავნებია ამ

ქალს, როცა ქმარმა პირველად ჩამოიყვანა ბათუმში, და არც ათი წლის მერე, როცა უკვე დაქვრივებული, ყველასათვის მოულოდნელად, დაუბრუნდა ოდესღაც უარყოფილსა და ხელმეორედ დაქირავებულ ბუდეს. კაცია და გუნება. ვინ გაიგებს სხვის ამბავს, ან ვისი რა საქმეა, მაგრამ დიმიტრი ამ ქალის ქმარსა და ამ ქალის ერთადერთი ვაჟიშვილის მამას იმდენად ახლობლად თვლიდა თავის დროზე, მიუხედავად სხვათა შემაწუხებელი თავქარიანობისა და თავქეიფობისა, იმდენად ეცოდებოდა, ცოლისგან მიტოვებული, გულმოკლული, შერცხვენილი, შეურაცხყოფილი, რის დამალვასაც ჯიუტად და ამაოდ ცდილობდა იგი, მოგონილი არხეინობითა და გაუტეხლობით, იმდენად უყვარდა იმასაც, უოჯახოს, ოჯახს დანატრებულს, დიმიტრის ოჯახი, დარიას დამზადებული კერძი თუ, უბრალოდ, იმათთან ყოფნა და საუბარი (თუნდაც უაზრო) — დიმიტრის არაფრით არ შეეძლო ახლა, ათი წლის მერეც, ჩვეულებრივი ნაცნობებივით მოქცეოდა იმის ცოლშვილს, რაც არ უნდა უცხოდ დაეჭირათ იმათ თავი. იმდენად ბუნებრივად მიაჩნდა ეს ამბავი, შინ მობრუნებულს დარიასთვის არც კი უთქვამს, ჩვენი ორგზის მეზობლის შვილი დავპატიჟეო; ხელში ნამცხვრით სავსე კოლოფი მეჭირა და შემრცხვა, გვერდი უბრად ვერ ავუარეო. არც დარია დაძრახავდა და არც ნატო; მაგრამ თვითონ, დილიდანვე, რატომღაც თავს დამნაშავედ გრძნობდა ცოლისა და ქალიშვილის წინაშე და, როგორც მალე გამოირკვა, არც მთლად უსაფუძვლოდ. რა თქმა უნდა, აჯობებდა, როგორმე დაეძლია იმ დილით, უცაბედად გამომტყვრალი სიბრალულის გრძნობა, მარადიული გლოვის ნიშნად შავი პირბადით სახედაფარული ქალისა და მისი დამთხვეული ბიჭის მიმართ; ანდა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ სალმითა და მოკითხვით გამოეხატა თავისი ყურადღება, თუკი საერთოდ რამეში წაადგებოდა ვიღაცის ყურადღება ან ერთსა და ან მეორეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ადვილი შესაძლებელია, მართლა სულ სხვანაირად წარმართულიყო მისი და მისიანების ცხოვრება, მაგრამ კაცს რომ ეშმაკი შეუჩნდება, სწორედ იმას გააკეთებინებს და სწორედ იმას ათქმევინებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა

გააკეთოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას. მართლაც, რა სჯიდა, ვინ ექაჩებოდა ენაზე, ვინ ათქმევინა, თუ არა ეშმაკმა, დღეს ბედნიერი დღე მაქვს და, თუ შეიძლება, თქვენი ბიჭი ჩვენთან გამოუშვითო. თითქოს ბედნიერი ფეხისანი იყვნენ! თითქოს უიმათოდ ვერ გადაიხდიდა ქალიშვილის დღეობას, ანდა ცუდ კაცობაში, ცუდ მეზობლობაში ჩაეთვლებოდა, კალთა რომ არ დაეხია, სადღაც, თავიანთ ბნელ საქმეზე მიმავალი დედაშვილისთვის. მაგრამ დიმიტრის ეშმაკი უკვე ათი წლის წინათ ჰყავდა შეჩენილი, ჯერ კიდევ ამ ბიჭის მამის სახით, და დღეს დილით, მხოლოდ და მხოლოდ სახეშეცვლილი გამოეცხადა, ოდნავ სახეშეცვლილი, მამიდან შვილში გადასახლებული. ქალს ისეთი გაკვირვებული სახე დაედო (პირბადეშიც ჩანდა), თითქოს პირველად ხედავდა დიმიტრის. უკვე ნახევარი წლის ჩამოსულს, თავი ისე ეჭირა, ისე იშვიათად გამოდიოდა შინიდან (სხვათა შორის, ისიც რკინის თეატრში მსახურობდა), აშკარად ეტყობოდა, ამჯერადაც არავისთან აპირებდა დაახლოებასა და დამეგობრებას. ის კი არა, მგონი გამწყრალიც იყო თავის ორგზის მეზობლებზე, თითქოს იმათი მიზეზით გაეუბედურებინა ასე ცხოვრებას. შენ რომ თავს ვალდებულად თვლი, შეამჩნიო, ყურადღება აგრძნობინო სხვას, იმ სხვას, შეიძლება, საერთოდ არაფრად ეპიტნავებოდე შენ, შენი ყურადღებიანად. აკი თავიდან არც მიიღო დაპატიჟება! პირბადეშიც გამოჩნდა, როგორ შეიკრა კოპები, როგორ აწკიპა წარბები, თითქოს ისეთი რამე აკადრეს, რასაც ფიქრშიაც არ დაუშვებდა. მადლობაც ძლივს გამოწირა, ისიც ზრდილობისთვის, თითქოს სხვა მხრივ არაფერია სამადლობელი იმაში, უცხო ქალაქში ჩამოსულს (თუნდაც მეორეჯერ), ჯერ კიდევ მოუწყობელს (ამჯერადაც), ჯერ კიდევ დასამკვიდრებელს (რაღა მაინცდამაინც ბათუმში!), კარს რომ გიღებენ და გულს გიჩვენებენ. დიდი მადლობა, მაგრამ გელა დასჯილია და კარგა ხანს ვერსად გაადგამს ფეხსო. კეთილი და პატიოსანი. თქვენ იცით თქვენი საქმისა. მე მხოლოდ მეზობლური ვალი მოვიხადე და ახლა ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ისე მოიქეცით, როგორც გულმა და გონებამ გიკარნახოთო — აი, რა უნდა ეთქვა დიმიტრის,

გადარჩენა თუ უნდოდა. მაგრამ როცა ასე ფიქრობდა, ურემი უკვე გადაბრუნებული იყო, ერთი კი არა, ათასი გზა ჩანდა უბედურებისგან თავის დასაღწევი; უფრო სწორად, დიმიტრის ეჩვენებოდა ათასი გადამრჩენელი გზა, უარესად რომ გახეთქვოდა გული, უარესად რომ დატანჯულიყო, თორემ, სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ათასი კი არა, ერთიც არ არსებობდა; არსებობდა მხოლოდ ტანჯვისა და უბედურების გზა. გარდა ამისა, იმ საბედისწერო დღეს, ქაფურის ხის ძირას გაჩერებული, ბეჭებზე მზედაცხუნებული, ათი წლის გოგოს მამა, რომელსაც ათასნაირი ნამცხვრით სავსე მუყაოს კოლოფი ორივე ხელით ეჭირა — ასე ვერ იფიქრებდა, რადგან თავად ბედნიერს, უნდოდა, ყველა ბედნიერი ყოფილიყო; ყველა ბავშვისთვის, ნაცნობისთვის თუ უცნობისთვის, ზეიმად ქცეულიყო მისი ქალიშვილის დაბადების დღე; მუყაოს გატკბილული, სულდგმულივით თბილი კოლოფიდან ყველა ბავშვს შეხვედროდა თითო ნაჭერი ნატოს საყვარელი ნამცხვრისა; ყველა ბავშვს ამოებოყინებინა მის ჭერქვეშ ლიმონათის შუშხუნა, ნაპერწკლიანი გაზი... და ამის ბრალიცაა ალბათ, ლამის უცნობი ქალის უცნობ შვილს ვექილად რომ დაუდგა შუა ქუჩაში. იქამდე არ მოეშვა პატიოსან მანდილოსანს, თუნდაც მარტო თავისი გოროზი და ამპარტავნული გარეგნობით უფრო მეტი თავშეკავებულობისკენ რომ მოუწოდებდა სხვებსაც, ვიდრე მოთმინებიდან გამოსულმა, ანდა იმიტომ, ამდენხანს უცხო მამაკაცთან ქუჩაში ლაპარაკი რომ ეუხერხულა, არ შესძახა: გამოვუშვებ, ოღონდ იცოდეთ ჩემი მხრიდან სიკეთე კი არ იქნება ეს, არამედ ბოროტებაო. კი არ თქვა, შესძახა, რამაც, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა დიმიტრი და, მართალია ერთი წუთით, მაგრამ მაინც აგრძნობინა, მოლიპულ გზაზე რომ იდგა, სიკეთის ჩადენის მსურველს, მართლაც რაღაც საწინააღმდეგო გამოსდიოდა, როგორც სასამართლო პროცესებზე ემართებოდა ხოლმე, მაგრამ რაკი უკვე მოლიპულ გზაზე იდგა, აღარც თავის შეკავება შეეძლო და აღარც უკან დახევა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: მუნჯის ენა დედამ იცისო; ხოდა, იმ ქალმაც სხვაზე უკეთ იცოდა, რანაირი ფიქრები ბუდობდნენ მისი ვაჟიშვილის თავში, ისიც იცოდა,

კარგს არაფერს მოუტანდა მისი გაცნობა დიმიტრის ქალიშვილს, და საერთოდ — არავის, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს დიმიტრიმ ჯერ არაფერი იცოდა იმ ბიჭისა, ის ბიჭიც ჩვეულებრივ ბავშვად ჩათვალა და როგორც ჩვეულებრივ ბავშვს, ისე დაუყვავა იმასაც: ხომ მოხვალ ჩვენთან სტუმრადო; ის კი არა, მეტი გულისხმიერების გამოსახატავად, ლოყაზე ხელის მოთათუნებაც დაუპირა, მაგრამ ბიჭი საკბენად წაეტანა ხელზე და კი არ უთხრა, შეუღრინა — მოვალო — თითქოს კი არ დაპირდა, დაემუქრა. აი, სწორედ მაშინ შეეშინდა დიმიტრის: ბავშვის თვალში წამიერად გამკრთალმა მრისხანებამ შეაკრთო; გაუჭირდა ამ მრისხანების მიზეზის ამოცნობა და რაც მერე ილაპარაკა, პირწავარდნილი მლიქვნელობა იყო და მეტი არაფერი; იმდენი და ისე ცხარედ, ისე აღგზნებულად არც ერთ პროცესზე არ ულაპარაკია, თუმცა მოლაპარაკე კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და იმის პროცესებსაც ისევე ესწრებოდა ხალხი, როგორც ლექციებს, ბრალდებულის ბედის გასარკვევად კი არა, მისი მჭევრმეტყველებით დასატკბობად. მზე უკვე შემაწუხებლად აჭერდა კისერში, ზურგი უოფლიანდებოდა, ნამცხვრით სავსე კოლოფი უფრო და უფრო მძიმდებოდა — ლაპარაკისას ხან ერთ მუხლს შეაშველებდა, ხან მეორეს — მაგრამ მაინც ვერ აბამდა სათქმელს თავს, რადგან მოსამართლის და პროკურორის კი არა, ბავშვის გულის მოსაგებად ირჯებოდა, იმ ყოვლად დაუმსახურებელი მრისხანების მოსასპობად, ბავშვის თვალებში რომ გადააწყდა მოულოდნელად, და ალბათ არანაკლებ უბედური იქნებოდა, არანაკლებ დაიტანჯებოდა, იმ "პროცესზეც" რომ დამარცხებულიყო და თავისი ვერ გაეტანა. ის კი არა, ცოტას მორჩა, ბავშვის მამაც მოიშველია; ძლივს შეიკავა უკვე ენაზე მომდგარი სიტყვები: მამაშენსაც უყვარდა ჩვენთან მოსვლაო, რადგან ტანმა უგრძნო, პროფესიულმა ალღომ უკარნახა, უარესად გააფუჭებდა იმ კაცის ხსენება საქმეს; კი არ დააახლოებდა იმათთან, კიდევ უფრო დააშორებდა, როგორც იმათი უაღრესად პირადული საიდუმლოს უნებლიე მცოდნეს. ბავშვის გულის მოსაგებად კი ლაპარაკობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ ტყუოდა, არ თვალთმაქცობდა, რასაც ამ-

ბობდა, გულით ამბობდა და არა მარტო გულით — რწმენითაც, რადგან ნამდვილად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი დასჯისა, მით უფრო — ბავშვის დასჯისა, და იქამდეც მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რაც იმ დღეს ქუჩაში გამოთქვა ხმამაღლა. დიმიტრის აზრით, მშობელი გამოუსწორებელ ბოროტებას სჩადიოდა, როცა ბავშვს სჯიდა. მშობელს, ცხადია, ბავშვისთვის მხოლოდ კარგი უნდოდა, ბავშვის სიყვარული აიძულებდა სიმკაცრესაც, მაგრამ შედეგი სრულებითაც არ შეესაბამებოდა მიზანს, რადგან სასჯელი კი არ "აჯანსაღებდა" ბავშვს, რისი სურვილიც ამოქმედებდა მშობელს, არამედ, კიდევ უფრო "ასნეულებდა", რისთვისაც, პირველ რიგში, მშობელს უნდა ეგო პასუხი. ასეთი ფარული თვისების მატარებელი გახლავთ სასჯელი, ქალბატონო. კაცის გარდაქმნის უნარი კი შესწევს, მაგრამ გამოსწორებისა რა მოგახსენოთ. ბავშვი და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ადამიანი, თუკი ბუნებით ზნედაცემული არ არის — თუმცა, ბოროტმოქმედებისკენ მიდრეკილებაც გარემოებისდა მიხედვით უვითარდება ადამიანს, როგორც მუსიკალური სმენა ანდა კუჭის კატარი — დასჯის შემდეგ, სრულიად სხვა პიროვნება ხდება, რადგან სასჯელის მოსახდელად განკუთვნილი, ანუ გაცდენილი დრო, რომელიც სამუდამოდ რჩება მის შეგნებაში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი არსებობის აუცილებლობის რწმენას უკარგავს, რადგან ცხოვრება, რომელმაც ერთხელ უკვე მოიშორა იგი, თუნდაც დროებით, სრულებითაც არ არის ვალდებული და, მით უფრო, არც მოწოდებული, ერთ ადგილას იდგეს და იცადოს, ვინ როდის მოიხდის სასჯელს. არც იმასა აქვს არავითარი მნიშვნელობა, სად იხდის სასჯელს დასჯილი: ციხის კედლებში თუ ოთახის კუთხეში; დრო მაინც უიმისოდ გადის. ხოლო ცხოვრება, ბუნებისა არ იყოს, სიცარიელეს ვერ იტანს; ასე რომ, დასჯილის კანონიერი ადგილი უკვე დაკავებულია, სხვამ შეავსო იმისი წინდაუხედაობით, სიბრიყვით, ანდა თუნდაც სიცელქით გაჩენილი სიცარიელე, და ახლა იმან, წინდაუხედავმა, ბრიყვმა ანდა ცელქმა, კეთილი უნდა ინებოს და გვერდზე გადგეს, სხვებსაც არ გაებლანდოს ფეხებში, სხვებსაც, რომლებსაც წინდახედულობაც გააჩნიათ,

ჭკუაცა და თავშეკავების უნარიც; მოკლედ, გუდანაბადი უნდა აიკრას, ანდა თავიდან უნდა ჩადგეს რიგში, რაც ისევე შეუძლებელია, როგორც გაცდენილი დროის აღდგენა, მეორედ დაბადება, რადგან ქაჯმაც არ იცის, სად იწყება რიგი; ეს რომ გაიგო, უკანვე უნდა გაიარო მთელი ის გზა, რაც უკვე გამოგივლია გაჩენის დღიდან; უკუსვლით უნდა ჩაათავო ასაკობრივი კიბე, ხორციელი, სულიერი და გონებრივი განვითარების ყველა საფეხური, და თუ ამას მოახერხებ, მერე მობრძანდი, მერე ვილაპარაკოთ, ვნახოთ... ასე რომ, ქალბატონო... ქალბატონო... (დიმიტრის ენა დაება; მისდა სამარცხვინოდ, დავიწყებოდა ქალის სახელი. "ელენე" — შეახსენა ქალმა). ასე რომ, ქალბატონო ელენე, როგორი კეთილშობილი ზრახვებიც არ უნდა გვამოქმედებდეს, სასჯელი, გარკვეული დროით თავისუფლების შეზღუდვას კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ საერთოდ ხაზს გადაუსვამს ხოლმე პიროვნებას, თუნდაც უნებლიეთ, რადგან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ერთსა და იმავე პიროვნებად ჩაითვალოს ადამიანი სასჯელამდე და სასჯელის მოხდის შემდეგ... უუუჰ, — ამოიქშინა დიმიტრიმ, როგორც პორტის მტვირთავებმა იციან სიმძიმის აწევის დროს, ჰაერით დაბერილი ფილტვები რომ არ დაუსკდეთ. ქალს (პირბადეშიც ჩანდა) აშკარად აღიზიანებდა მისი ლაპარაკი, ლაყბობა, მაგრამ ისევ ზრდილობის გამო, თავს იკავებდა. დიმიტრი კი, თან ლაპარაკობდა, თან ნამცხვრით სავსე კოლოფს დასცქეროდა, ქალსაც არიდებდა თვალს და ბიჭსაც, ქალისა რცხვენოდა, ბიჭის ეშინოდა: მთელი ტანით გრძნობდა იმის დამცინავ ღიმილს. მთელი ტანით გრძნობდა ხისფეხა კოსტას დაძაბულ მზერასაც, ქუჩის გადაღმა რომ იჯდა თავის ჯორკოზე და ცნობისმოყვარეობისგან სული მისდიოდა. მაგრამ დიმიტრიმ ღირსეულად აიტანა ყველაფერი და მიზანს მაინც მიაღწია; როგორც იტყვიან — კატა გამოთხარა, და აი, კატა უკვე გამოსულიყო სანადიროდ. მის წინ იდგა და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა. "მე თქვენს სხვენშიც ვარ ნამყოფი, თანაც ბევრჯერ, თქვენ კი არაფერი გაგიგიათო" — თქვა ბოლოს.

— სხვენში?! — უარესად დაფრთხა, გაოცდა დიმიტრი.

— ხო, — მშვიდად დაეთანხმა გელა, — ძველ ჟურნალებს ვათვალიერებ. თქვენ ხომ იქ მთელი ბიბლიოთეკა გაქვთ... — გააგრძელა ღიმილით, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია სხვის სხვენში ძრომიალი და ძველი, დამტვერილი ჟურნალების თვალიერება.

ერთხელ მართლა აზიდა დიმიტრიმ სხვენში, რაც რამე ძველი ჟურნალი და გაზეთი ჰქონდა. დაწვა ან გადაყრა დაენანა. მერე კი, საერთოდ ამოუვარდა თავიდან, როგორც სხვა უვარგისი ხარახურა, სხვენის მტვრითა და აბლაბუდით დაფარული. სხვენში, ათასში ერთხელ, ისიც კრამიტის გასასწორებლად თუ ავიდოდა, ხოლო რაც ერთხელ აეტანა იქ, არასოდეს აღარ დასჭირვებია.

— კი მაგრამ... — ენა დაება დიმიტრის. უნდოდა ეთქვა, უნებართვოდ მარტო თაგვები და ობობები დაშლიგინობენ სხვის სახლშიო, მაგრამ თავი შეიკავა, ბავშვისაც მოერიდა და ბავშვის მამის ხსოვნისაც. — კი მაგრამ, იქ ხომ ბნელა?! — თქვა ბოლოს.

— მით უკეთესი, — დედასავით აჭიმა წარბები ბიჭმა, — მე ბნელში უკეთესად ვხედავ. ბავშვობიდან მივეჩვიე. საბანს წავიფარებდი თავზე, ვითომ მეძინა, და დილამდე ვკითხულობდი არხეინად.

დიმიტრიმ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: მკაცრად, კატეგორიულად აეკრძალა ბიჭისთვის უნებართვოდ სხვენში ასვლა, რასაც, შეიძლება, უარესად გაეღიზიანებინა იგი, თუ აგდებულად, ვითომ სრულებით არ ადარდებდა ეს ამბავი, ეთქვა: რა ჩემი საქმეა, რამდენიც გინდოდეს, იმდენი იქექე ძველ ნაგავშიო, რის შემდეგაც ყველა თავმოყვარე ბავშვს, წესით, უნდა შერცხვენოდა თავისი საქციელისა. ერთი ცხადია: ეს ბიჭი უფრო ადრე შემოსულიყო მის ოჯახში, ვიდრე დაპატიჟებდა (თანაც რანაირად!) და, მამამისის არ იყოს, მომავალშიც მაშინ შემოვიდოდა, როცა მოეპრიანებოდა. ეს კი, რასაკვირველია, ყველაზე მტკივნეული, ყველაზე შემაშფოთებელი აღმოჩენაა სიმყუდროვეს დანატრებული კაცისთვის. შემკრთალი, დაბნეული იდგა სკამზე, თითქოს გელა კი არა, თვითონ იყო დღეობაზე სტუმრად მოსული ბავშვი და სკამზე ლექსის სათქმელად შეეყენებინათ.

იმ დღეს ვერაფრით ვერ დააოკეს გელა. ოიამა, ნოგი, ტოგო და კუროკი ახლოსაც ვერ მოვიდოდა იმასთან. მთელი სახლი ყირაზე დააყენა. ბავშვების გული ხომ ერთბაშად მოინადირა. აღტაცებისგან კიოდნენ. რაც არ უნდა ეთქვა, რაც არ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერი მოსწონდათ. ისიც ზედიზედ იგონებდა ახალახალ ოინბაზობებს. ხან სიარულში ბაძავდა ვიღაცას, ხან ლაპარაკში, და ვისაც ბაძავდა, ბავშვები უშეცდომოდ ცნობდნენ მაშინვე. მერე ნატოს ნაწნავებში ჩაავლო ხელი და ოთახებში დააჯირითებდა, ვითომ ნატო ცხენია, მე კი — მეეტლეო. "გზა მომეცით, ხაბარდა, გუბერნიის მამა მომყავს" — ღრიალებდა ბებერი მეეტლის ჩახრინწული, ნაარყალი ხმით. მერე საიდანღაც ჯოხი გამოაძვრინა, საიდანღაც — დარიას ხილაბანდი, ხელდახელ დროშა შეაკოწიწა, თავს ზემოთ დაატრიალა და დაიყვირა: ბარიკადებზე! ბარიკადებზე! ვისაც გული ერჩის და მონობაში გადიდკაცებას, თავისუფლებისთვის სიკვდილი ურჩევნიაო. მერე ხელებზე იდგა; მობოშებულ, მოსავათებულ ფეხებს უნდილად აქანავებდა ჰაერში და წრიპინებდა: მიშველეთ, მეფე ვარ, თავდაყირა გადმომაგდეს ტახტიდანო. დიმიტრი და დარია კუთხეში მიყუჟულიყვნენ და დაბნეული, დამფრთხალი ღიმილით შესცქეროდნენ ბავშვების ზედახორას. ბავშვები ჟივილხივილით დასდევდნენ გელას; სიცილისგან სულს ვერ ითქვამდნენ; ვერც ნამცხვარი შეჭამეს, ვერც ლიმონათი დალიეს: ნამცხვარი გულზე ადგებოდათ, ლიმონათი ცხვირიდან სდიოდათ. გელაც უფრო და უფრო შედიოდა როლში. ოთახები რომ აღარ ეყო, სახლის სახურავზე აძვრა და იქიდან გადმოხტა. დიმიტრიმ ერთი სიკვდილი გაათავა, ვიდრე აივანზე გავიდოდა, ღრმად დარწმუნებული, დალეწილდაჩეხილი, სისხლში ამოთხვრილი რომ დაუხვდებოდა გელა. მაგრამ გელა უკვე ლეღვის ხეზე გასულიყო, აქანავებულ, აშრიალებულ ტოტზე გადამჯდარი, ვითომ ცხენს მოაცეკვებდა და ზუსტად პოლკოვნიკი ვეზირიშვილის ხმით დაჰყვიროდა ლეღვის ხის ძირას შეგროვილსა და აღტაცებისგან პირდაღებულ ბავშვებს: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო.

იმ დღის მერე დიმიტრის მოსვენება დაეკარგა. უნებურად, სულ ჭიშკრისკენ გაურბოდა თვალი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჭერიდან, რევოლვერის ტყვიებით გაჩენილი ნახვრეტებიდან, ვიღაც უთვალთვალებდა განუწყვეტლივ. სიზმარში კი, ვითომ თვითონ იჯდა სხვენზე; ხან ობობა გადააცოცდებოდა სახეზე, ხან თაგვი ჩასწივლებდა ყურში. შეშფოთებული, სიმწრის ოფლგადამსკდარი წამოჯდებოდა საწოლში და დაძაბული, ჭერს მიშტერებული, რაღაცას უსმენდა. გარეთ წვიმდა, ან ხეები შრიალებდნენ, საათის წიკწიკი ისმოდა, უჩვეულო არაფერი ხდებოდა და მისი საქციელით შეწუხებული, თავადაც შეშინებული დარია რომ ჰკითხავდა, რა იყო, რა მოგელანდაო, დარცხვენილი ჩაიბურდღუნებდა ხოლმე: მგონი, ჭერში ვიღაც დადისო. "ტურა დადის, ტაკუნები უნდა შეგიჭამოს" — ნაძალადევად, და ამიტომ უხეშადაც, ხუმრობდა დარია, მაგრამ ამას აღარ აქცევდა ყურადღებას, ოღონდ ქმრისა და საკუთარი შეშფოთება გაექარწყლებინა როგორმე. დრო კი გადიოდა. ამას საათზე უკეთესად თავად ნატო ადასტურებდა. დღევანდელი ნატო ისევე ჰგავდა გუშინდელს, როგორც ერთი და იგივე ღრუბელი თავის წეღანდელ გამოსახულებას. შესაძლებელი რომ ყოფილიყო გუშინდელი და დღევანდელი ნატოს შეხვედრა, ერთმანეთს უცხოებივით აუვლიდნენ გვერდს. თუკი გუშინდელ ნატოს მამის ლოგინში ჩაგორება და უაზრო, უთავბოლო ზღაპარი, რომელსაც მთქნარებამორეული მამამისი მოყოლისას იგონებდა, ყველაფერს ერჩივნა, დღევანდელი ნატო, მშობლების უჩუმრად, სქელტანიან რომანებს კითხულობდა და თვითონვე იგონებდა ზღაპრებს: კაცი მიუახლოვდა. ქალი გაუჩერდა. კაცმა ხელი მოჰკიდა. ქალი არ გასძალიანებია. შეიყვანა ეზოში და შეიყვარეს ერთმანეთი. რა მოგივიდა, რა გატირებს, გენაცვალე, ავად ხომ არ ხარო — ჰკითხა კაცმა. არაფერია, ოღონდ თავი ამტკივდა შენს მოლოდინშიო — უპასუხა ქალმა. გათავდა, მორჩა, დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, ჩვენი გამთიშავი ძალა არ არსებობს ამ ქვეყანაზეო — უთხრა კაცმა. ჯერ ნათლიასთან წავალ ცაში, იმას შევეკითხები და მერე ისე იყოს, როგორც შენ გსურს და გინდაო — უპასუხა ქალმა.

ნათლიამ რომ ქალი დაინახა, გაიცინა: ამოდენა გზა რაღაზე გამოიარე, შენ რომ დაიბადე, მაშინვე იმისი ბედი იყავიო. ხოლო ერთხელ, შემთხვევით რომ შეიხედა დიმიტრიმ ქალიშვილის ოთახში, ნატოს უცებ ისე შეეშინდა, უნებურად შეჰკივლა კიდეც, ხელები კი მკერდზე აიფარა. შემცბარმა დიმიტრიმ უხმოდ გამოიხურა კარი. საკუთარ სახლში საკუთარი შვილიც ვეღარ სცნობდა, დარია კი ეუბნებოდა, ნუ შფოთავ, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ, როგორც არ უნდა ენუგეშებინა დარიას, როგორც არ უნდა გაებიაბრუებია იმისი შეშფოთება, დიმიტრიმ უკვე იცოდა, ყოველ შემთხვევაში, უკვე გრძნობდა, კარგს არაფერს უქადდა მომავალი. მართალია, ნატო სიცოცხლის განსახიერება იყო, მაგრამ სწორედ ეს ცეცხლივით აბრიალებული, გამომზეურებული, დაუცველი და დაუდგრომელი სიცოცხლე აფრთხობდა დიმიტრის, როგორც თბილისელი მსახიობისა და მისი მეუღლის პირველმა გამოცხადებამ დააფრთხო ამ ათი წლის წინ და როგორც ათი წლის მერე გამოირკვა, არც მთლად უსაფუძვლოდ. არეულსა და დასაღუპად განწირულ ქვეყანაში ყველაფერი უნდა დამალოს კაცმა: სულიც, ნიჭიც, სიცოცხლეც... რაც არ უნდა უჭირდეს დამალვა, მაინც უნდა დამალოს და გამოიზოგოს, როგორც გრძელი გზის მგზავრმა — პური, გამოცდილმა მეომარმა — თოფის წამალი, ღვინის ყადრის მცოდნემ — ღვინო, რადგან მეორე კაცისთვის სწორედ ისაა ყველაზე ძნელი ასატანი და, იმავე დროს, ადვილი მოსასპობი, რაც შენთვის უხვად მოუცია ღმერთს. განა საკუთარი სულის, ნიჭისა და სიცოცხლის უყაირათოდ ხარჯვამ არ დაღუპა მისი ორგზის მეზობლებიც? ათი წლის წინ ვინ იფიქრებდა, ათი წლის მერე ერთი მიწაში რომ იქნებოდა, მეორე კი, ასი წლის დედაბერივით ჩაჟამულჩაშავებული ივლიდა? ასე კი იმიტომ მოხდა, საკუთარ სიცოცხლეს, ჭარბ სიცოცხლეს რომ ვერ მოერივნენ, ვერ დააცხრეს, ვერ ამოსდეს კეთილგონიერების აღვირი, ვერ ააფარეს უძლურობის ნიღაბი; სიცოცხლეს კი არ უნდა მოეკვლევინო, თავად უნდა მოკლა ის, თანდათანობით, ნაწილნაწილ, ნამცეცნამცეც, თუკი მართლა გინდა, რომ გაძლო, გადარჩე, გააღწიო ამ ჯოჯოხეთიდან.

ნატოც იმათ ჰგავდა. ესეც თუ ბედის დაცინვა არ იყო, რატომ უნდა დამსგავსებოდა ნატო იმათ? მაგრამ ნატოც იმათსავით "მფლანგველი" გამოვიდა და არა ნამდვილი, კანონიერი მშობლებივით "ყაირათიანად მხარჯველი". იმიტომ, რომ თავიდანვე, მუცელშივე თავის ჭკუაზე მოაქცია ისიც დამთხვეულმა თბილისელმა მსახიობმა და იმის მაგივრად, დაეცლია, ვიდრე დედის სიმხდალესა და სიფრთხილეს შეიწოვდა, ცხრა თვე ლა, ლა, ლა, ლა აძახა იმასაც. ნატო მართლა არ ჰგავდა თავის მშობლებს. დიმიტრის შინ ყოფნა ყველაფერს ერჩივნა, ნატოს კი სულ გარეთ ეჭირა თვალი; დარიას ზღვისკენ ვერც გაახედებდით, ნატო კი ზღვიდან ვერ ამოჰყავდათ. ხანდახან ისე ღრმად შედიოდა ზღვაში, თავი ლიმონისხელა მოუჩანდა (ესეც ახალ უბედურებათა რიგს განეკუთვნებოდა, ევროპის წამხედურობითა და დიმიტრის ჯიბრით დამკვიდრებულს. დაეყრებოდა ამოდენა დედიშობილა ხალხი მიწაზე და მზეს მიუშვერდა უკანალებს. ზღვის პირას კი არა, შინ არ გაუხდია დარიას კაბა ქმრის თანდასწრებით). სანამ ნატო ზღვიდან ამოვიდოდა, დიმიტრის თავისი ემართებოდა, გიჟივით დარბოდა ნაპირზე წინ და უკან: ვერც ზღვაში შედიოდა, რადგან ზღვაში შესვლა და დახრჩობა ერთი იქნებოდა, და არც შინ წასვლა შეეძლო, ვიდრე ნატო ფეხს არ დაადგამდა მიწაზე. შვილი ბედნიერებააო, მაგრამ ბედნიერებამდე ჯერ კიდევ შორს იყო; ჯერჯერობით, ნატოს ზრდასთან ერთად, დიმიტრის შეშფოთება, საწუხარი, სადარდელი და ავი წინათგრძნობა იზრდებოდა, ნატომდე გაჩენილი, იმ შემზარავი ჩვენებებითა და სიკვდილის სუნით გაჟღენთილ ღამეს. სხვათა შორის, ზუსტად ასევე იტანჯებოდა საბა ლაფაჩიც და ისიც ნატოს მიზეზით, ოღონდ იმას შუასაუკუნეების რაინდის სიშლეგით უყვარდა ნატო და არა მამაშვილურად. საბა ლაფაჩი შეყვარებული გახლდათ, თმის ძირამდე, სულის ფსკერამდე, სისხლიანხორციანად, და მისი სიყვარული, დიმიტრის შიშივით, კიდევ უფრო იზრდებოდა, დღითი დღე, ყოველ წამს, ყოველ ნაბიჯზე, ნებისმიერ ამინდში; ტვინის შემარყეველი სიმშვიდით, გულგრილობით ამოდიოდა განვლილი, ერთფეროვანი, უხალისო, უვნებო ცხოვრების ზღვიდან — ზღაპ-

რული, ჯადოსნური კუნძულივით — ის კი, დაფეთებული, დაბნეული, აგანგაშებული მიისწრაფოდა იმისკენ, როგორც დაღუპული გემის მგზავრი, და თუ ვერ მიაღწევდა იმ კუნძულამდე, ანდა თავალთახედვიდან დაკარგავდა, სამუდამოდ დაიღუპებოდა, "წყალში ჩაეყრებოდა" ამდენი ხნის მეცადინეობა, ამდენი ხნის ტანჯვაწვალება, ამდენი ფიქრი და იმედი, საკუთარი თავის ძებნას რომ შეალია, რადგან ცხრა წლის მერე სხვისი ცხოვრებით ცხოვრობდა სულ, "სხვას თამაშობდა" და მისი ჭეშმარიტი ბუნება მუნდირში იყო ჩამარხული, როგორც გვამი მიწაში, მუნდირში, რომლის მოსაპოვებლადაც მისმა მშობლებმა ნახევარი ქონება აზნაურობის ყალბი სიგელის შეძენას მოახმარეს, ნახევარი კი კომისიას შეაჭამეს, რათა მათი ერთადერთი ვაჟიშვილი "უსტავლელი" არ დარჩენილიყო, სხვებს არ ჩამორჩენოდა, უფრო სწორად, თავად არ ჩამორჩენოდნენ სხვებს, სხვების დასაცინი არ გამხდარიყვნენ, სხვებისთვის არ ეთქმევინებინათ "ბაღანას ყანას ათოხინებენო", და მართლაც, იმდენი ქნეს (თუმცა გაღატაკდნენ და მეზობლების სამოწყალოდ გაიხადეს თავი), კომისიას მაინც ჩაარიცხვინეს თავიანთი ვაჟიშვილი თავადაზნაურთა სხვა ბავშვების სიაში, რომლებსაც უსასყიდლოდ ანათლებდა იმპერია სამხედრო გიმნაზიებში, იმ ერთგულების საპასუხოდ, მათ მშობლებს რომ გამოეჩინათ ტახტის მიმართ (განა მათი მშობლები არ იყვნენ, ხანჯლებით რომ მიიწევდნენ ხოლმე ერთმანეთზე, გინდა თუ არა, მე უნდა დავამშვენო სტუმრად ჩამობრძანებული ხელმწიფის ამალა, და გინდა თუ არა, ჩემმა კნეინამ უნდა იცეკვოს ხელმწიფის წინ ლეკურიო?!). არც კი დაფიქრებულან, ბოროტებას ხომ არ ჩავდივართო, და ცხრა წლის ბავშვი სამუდამოდ მოიგლიჯეს გულიდან, სამუდამოდ, რადგან ცხრა წლის შემდეგ არავითარი განსხვავება აღარ იქნებოდა მათ შვილსა და სამხედრო გიმნაზიის ნებისმიერ კურსდამთავრებულს შორის. პირველად რომ ჩამოვიდა არდადეგებზე, ქუთაისიდან თარჯიმანიც გამოიყოლა, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა, კი არ დალაპარაკებოდა, თარჯიმნის პირით ეთქვა იმათთვის: თქვენს კისერზეა ჩემი ცოდვაო. მოკვდებოდა, ეს რომ არ ეთქვა, თანაც, რაც შეიძლება მა-

ლე, ვიდრე ამის თქმის სურვილიც გაუქრებოდა, ვიდრე დედის ენას ხელახლა ისწავლიდა, ანდა დედამისი ალაპარაკდებოდა შვილის ახალ ენაზე. ბათუმში რომ განამწესეს, ცოტათი დამშვიდდა, იმედი მიეცა, ხელახლა იპოვიდა, აღადგენდა, გადაარჩენდა იმას, რაც ცხრა წლისამ დაკარგა. მისი არ იყოს, ბათუმიც ახლახან დაებრუნებინათ სამშობლოში, იმასაც ბევრი რამე ჰქონდა ხელახლა საპოვნელი, გასახსენებელი, აღსადგენი და, შეიძლება, ამან, მისი პირადი ცხოვრების მსგავსმა, მაგრამ მასთან შედარებით გაცილებით მნიშვნელოვანმა მაგალითმა ჩაუნერგა რწმენა, შეუძლებელს რომ შეძლებდა. ბათუმს ბაძავდა, ბათუმთან ერთად მიისწრაფოდა დაკარგულისკენ, წარსულისკენ, საიდანაც ამოეთხარათ და სადაც სიმწრისაგან დაღვრანჭული მისი ფესვი ჯერ კიდევ ფეთქავდა. ახლა მწარედ ეცინებოდა იმაზე, რაზედაც სასწავლებელში ოცნებობდა. ნელნელა, შეუმჩნევლად გამქრალიყო ძალით ჩანერგილი ერთგულების, მადლიერებისა და სიმამაცის გამოჩენის სურვილი. ადრე, სასწავლებელში, ისე არ დაიძინებდა, ისე ვერ დაიძინებდა, წარმოდგენილი ომის რომელიმე ეპიზოდი, რომელშიაც მთავარ როლს, რა თქმა უნდა, თვითონ ასრულებდა, ბოლომდე არ მიეყვანა, რადგან სწორედ ბოლოს ხდებოდა მთავარი, ბოლოში ირკვეოდა მხოლოდ, ომის ბედი მის პირად საზრიანობასა და გამბედაობას რომ გადაეწყვიტა. თუმცა, ეს მისი კურსანტული პატივმოყვარეობისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი ამბავი, უკვე "უიმისოდ" ირკვეოდა, რადგან თვითონ ნებისმიერი წარმოდგენილი ომის ნებისმიერ ეპიზოდს სიკვდილით ამთავრებდა, ან ქვემეხზე გადამხობილი (ქვემეხის ლულას ჯერ ისევ ასდიოდა ბოლი), ან მტრის პირველ სანგართან მავთულხლართზე დაკიდული, დაფლეთილი დროშით ხელში. "ბატონებო, მე ყოველთვის ვგრძნობდი ამ პატარა სხეულში დიდი სული რომ იდგაო" — ამბობდა მთავარსარდალი ანდა სულაც იმპერატორი და საკუთარ მაზარას აფარებდა სუდარასავით. მაგრამ ასე მხოლოდ ოცნებაში ხდებოდა და ყოველ დილით, როგორც კი წუხანდელი ნალოთარი მედოლე დოლის ბრაგუნით გამოვიდოდა სასწავლებლის ეზოში, ყველაფერი

თავიდან იწყებოდა, იწყებოდა ჩვეულებრივი ჯარისკაცური, ყაზარმული ცხოვრება, ერთი და იგივე სისულელის მეთოდური გამეორება: ეფრეიტორების ღრიალი, აღლუმები და განუწყვეტელი წვრთნა, გაოგნებამდე, გაპირუტყვებამდე, უსაშველო გულგრილობამდე და პირქუშ განურჩევლობამდე — ყველასა და ყველაფრის მიმართ. მაგრამ ბათუმმა ერთბაშად გაახსენა ის, რაც უკვე დაკარგული ეგონა. ქალაქისა და მისი ბედის უცნაურმა მსგავსებამ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაკარგულის საპოვნელად აღაგზნო და რწმენაც ჩაუნერგა, ყველაფრის დაბრუნება, ყველაფრის გამოსწორება რომ შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს. ამ რწმენამ მიიყვანა ჟურულების ოჯახშიც, "ქართველთა კუნძულზე", როგორც ამ ოჯახს ეძახდნენ, რათა ხელახლა ზიარებოდა დაკარგულს, ხელახლა განბანილიყო დაკარგულის ემბაზში. არც მისმა ახალმა ნათლიებმა დააღალატეს და მაშინვე გაუწოდეს დახმარების ხელი. ქალბატონმა ქეთევანმა ოჯახურ წარმოდგენაშიც კი ათამაშა. გაბრიელის როლი მისცა. სავარძელში ჩასვამდა და საათობით აზეპირებინებდა როლს. მაგრამ ხანდახან იმასაც უმტყუნებდა ხოლმე შესაშური მოთმინება და დედაშვილურად უწყრებოდა "უძღებ შვილს", "გზააბნეულ ბატკანს", "აკაკის ღამურას": სირცხვილია, ყმაწვილო, ქართველი ხართ, ისწავლეთ ქართულიო. ისიც სწავლობდა, ზედიზედ ნთქავდა ქართულ წიგნებს, ჟურნალგაზეთებს. კითხულობდა ყველგან: ყაზარმაში, ქუჩაში, ბაღში, ყავახანაში, ზღვის პირას... ზღვის პირას ავდარში გადიოდა, სხვებს რომ არ გაეგოთ, როგორ გაჰყვიროდა "მერანს" ენის გასატეხად. ბოლოს იმდენს მიაღწია, თავადაც დაწერა ლექსი. ჟურულების ოჯახი, თანდათანობით, იგივე გახდა მისთვის, რაც რაინდისთვის სუზერენის კარია. აქ იპოვა ის, რაც ცხრა წლისამ დაკარგა: მშობლიური სითბო, ოჯახური გარემო... და, რაც მთავარია, აქ ირწმუნა პირველად, ჯერ კიდევ რომ არსებობდა ერთგულება, სიყვარული, თანაგრძნობა, ნდობა, სამართლიანობა... ჯერ კიდევ ღირსებად რომ ითვლებოდა დაცემულის დანდობა და გლახაკის განკითხვა. ადამიანობასაც ისევე სწავლობდა, როგორც დავიწყებულ დედაენას.

მართალია, მაინცდამაინც ამ ოჯახში ისეთი მარცხი შეემთხვა, თვითონვე უკვირდა, მაშინვე როგორ არ დაიხალა ტყვია საფეთქელში, და მერეც სიმწრის ოფლი დაასხამდა ხოლმე, მოულოდნელად რომ გაახსენდებოდა ეს ამბავი, მაგრამ მაშინ თვითონაც ბავშვი იყო, სულ რევოლვერზე ედო ხელი, დიდობის დამტკიცებას ცდილობდა, "ოფიცრობას" თამაშობდა, რაც ყველაზე უკეთესად ისევ ბავშვმა შეატყო, მასპინძლის ბავშვმა, რომელმაც ქვეყანას კი არ გააგებინა მისი შერცხვენა, ბავშვური თანაგრძნობა, ბავშვური ერთსულოვნობა გამოუცხადა და საიდუმლო შეუნახა, რაც მარცხზე ნაკლებად მოულოდნელი როდი აღმოჩნდა სამხედრო გიმნაზიაში გაზრდილი, მაბეზღარებით გარშემორტყმული ყმაწვილისთვის. შეიძლება, ამიტომაც აღარ მოიკლა თავი, მასპინძლის ბავშვის ნდობა რომ გაემართლებინა; დაემტკიცებინა, ღირსი რომ იყო ნდობისა, დაზოგვისა, გაგებისა, და ადამიანობით მიეზღო ადამიანობის წილ. თავს არ ზოგავდა, საკუთარ არსებაში უკეთესი, ოდინდელი ბუნების მძებნელი, რადგან სჯეროდა, ასეთად გაზარდეს, ასეთად აქციეს მშობლებმა და სახელმწიფომ, ერთმა სხვათა წამხედურობით, მეორემ კი, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ქალბატონი ქეთევანის წარმოდგენებისთვის აფიშებს ხატავდა, ჯარისკაცებს ტეილორის "ანტროპოლოგიას" უკითხავდა, გალოთებულებს მფარველობდა, მალავდა, მკურნალობდა და თან არყის ფულსაც აძლევდა ჩუმჩუმად. ხორცს არ ჭამდა, ღვინოს არ სვამდა, ქალს არ ეკარებოდა. ნახევარი ხელფასი დეზერტირების დევნაში ეხარჯებოდა: ხან ხულოში ამოყოფდა თავს, ხან ქედაში, ხან ქობულეთში, ხან ოზურგეთში; გაქცეულები ეტლით მოჰყავდა უკანვე, ვიდრე უფროსებიც შეიტყობდნენ იმათ გაქცევას და მოიკითხავდნენ. "ჩემს ენაზე დამელაპარაკოს, ის კრუხის პალო ეფრეიტორი, და მერე ვნახოთ, ვინ გამოვა დურაქიო" — ბურტყუნებდა, თავს იმართლებდა მისი გულისხმიერებით, მისი მზრუნველობით გაკვირვებული, დარცხვენილი დეზერტირი. ტერორის წინააღმდეგი, ტერორისტებს ნაგანის ტყვიებით ამარაგებდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, დაბრუნებულად ჩაეთვალა

თავი და გულდაჯერებულად ეთქვა: ბოლოს და ბოლოს, დავემგვანე ჩემიანებსო. თუმცა, დღითი დღე უღვივდებოდა რწმენა, ეს დღეც მალე დადგებოდა, თუკი, ბათუმივით, სიმტკიცე და სიჯიუტე ეყოფოდა. ბათუმი ჩვეულებრივი ქალაქი კი არ იყო მისთვის, არამედ გაუტეხლობის, ფესვებისკენ ლტოლვის, უკვდავების სიმბოლო, თვალნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ამოდიოდა ძალადობის, ბედისწერის ფერფლიდან მარადიული, გარდუქმნელი სული, როგორ ისხამდა ფერხორცს და როგორ იწყებდა ახალ ცხოვრებას. გარდა ამისა, ბათუმი იყო ერთადერთი ადგილიც, სადაც საერთოდ შეეძლო ცხოვრება, უფრო სწორად, მეტნაკლებად უგულებელყოფა იმ მოვალეობისა, მშობლებმა და სახელმწიფომ რომ მოახვიეს თავზე. ბათუმმა ახალი მოვალეობა გაუჩინა და დაარწმუნა კიდეც, წარსულთან დასაბრუნებლად ისევე რომ სჭირდებოდა იგი ქალაქს, როგორც ქალაქი მას. აგერ უკვე საუკუნის მეოთხედი სრულდებოდა, რაც ბათუმში ცხოვრობდა და თავის სისხლხორციელ საკუთრებად თვლიდა, როგორც შვილი მშობელს ანდა მშობელი შვილს; საკუთარ თავგადასავლად თვლიდა, რაც კი ბათუმს განეცადა, გადაეტანა ამ ხნის განმავლობაში. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მის თვალწინ დაიბადა იგი ხელახლა, როგორც თავად — იმის აფორიაქებულ წიაღში; მეტნაკლებად მისი “აყვანილიც” იყო ბათუმი, როგორც თავად — ბათუმისა; ისიც ერთერთი “ბებიაქალი” იყო ბათუმისთვის, როგორც ბათუმი მისთვის; მოწმეც და მხრის ამბმელიც მისი პირველი დაჩხავლებისა, მისი პირველი გაბაჯბაჯებისა, მისი პირველი აღუსი; მის თვალწინ დაწვეს მეთევზეთა ძველი ფაცხები; მის თვალწინ ეყარა საწყალი მეთევზის მთელი ავლადიდება: თვალჩაგლეჯილი ბადე, გაბზარული ნიჩაბი, გამურული კეცი თუ ძაფზე ასხმული პილპილი; მის თვალწინ გაიჩეხა ტყე, სადაც ახლა რკინიგზის სადგურია და სადაც ადრე ნადირზე მეტი ავაზაკი აფარებდა თავს; მის თვალწინ დაიწრიტა კოღოებით გადაშავებული ტბა, სადაც ახლა ფრანგების ეკლესია დგას; მის თვალწინ წაუკიდეს ცეცხლი გაუვალ ლაქაშებს, სადაც ახალი ყაზარმა აშენდა და საიდანაც ცეცხლწაკიდებული ფრინ-

ველი ყრანტალით, ჩხავილითა და წივილით მიფრინავდა ცისკენ, ღმერთისკენ, საჩივლელად; მის თვალწინ იშლებოდა ძველი მიჯნები, ღობეები, ყორეები. მის თვალწინ იყრებოდა დამფრთხალი, დაშინებული მოსახლეობა ძველი ფუძიდან და მის თვალწინ სახლდებოდნენ პირველი კოლონისტები მიტოვებულ მიწაზე, ქათმის ბუმბულითა და სიმინდის მარცვლით მოფენილ ნასახლარებზე. მართალია, როგორც იმპერიის ოფიცერს, გარკვეული თვალსაზრისით იმასაც წვლილი მიუძღოდა ყველაფერში, რაც მის თვალწინ ხდებოდა, რაც იმ მახვილის სიმტკიცესა და სიძლიერეს ადასტურებდა მხოლოდ, რომლის მტვირთავადაც თავიდანვე, თვალის ახელამდე, ჭკუაში ჩავარდნამდე განამწესა იგი დედამ და სახელმწიფომ, მაგრამ ჯერ კიდევ აქ ჩამოსვლამდე, სასწავლებელშივე, შემთხვევით რომ შეიტყო, ვინ იყო და სადაური, იმის მერე ერთი დღე აღარ უცხოვრია მშვიდად, ერთი ღამე აღარ სძინებია არხეინად, ღრმად, უსიზმროდ, უცრემლოდ; ბალიშის ქვეშ დამალულ "ივერიას" გაშლიდა და ჯიუტად აშტერდებოდა მისთვის უცნობ ასოებს, სილის მარცვლებივით რომ დაშვავებულიყვნენ გაზეთის ფურცლებზე და სილის გულგრილობით, შეუვალობით მალავდნენ მისგან მისივე წარმოშობის, მისივე დანიშნულებისა და მოწოდების საიდუმლოს. მაგრამ იმ დროისთვის ერთი მეფე უკვე "გამოტირებული" ჰყავდა და ზიზღითა და სიბრაზით წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ შეზარა მოკლული მეფის მუნდირის დანახვამ, როგორ აღრიალდა და როგორ დაასკდა მუხლებით იატაკს, როცა დარბაზში, ტირილისგან ჩაბჟირებული მღვდლისა და პუდრით გადაფითრებული ოფიცრების თანხლებით, მოკლული მეფის მუნდირი შემოიტანეს. მუნდირი თავის სიცარიელეს მოაკონწიალებდა ჰაერში, ის კი მდუღარე ცრემლით ტიროდა, მუხლებზე დამხობილი, როგორც გლეხი დასეტყვილი ვენახის ანდა დამწვარი საბძლის წინ. ბავშვურმა მგრძნობიარობამ კი არ დააჩოქა, არამედ არსებობისთვის მებრძოლი და სამუდამოდ წელში გატეხილი კაცის უკიდეგანო სასოწარკვეთამ, რადგან მოკლული მეფის მუნდირმა, უპირველეს ყოვლისა, უბედური, უიღბლო, "ურიის ვალში ჩავარდნილი" მშობ-

ლები გაახსენა, ხელმწიფის მზეს რომ ფიცულობდნენ, ხელმწიფის იმედით რომ ედგათ სული და მოუთმენლად ელოდებოდნენ იმ ბედნიერ დღეს, როცა მათი ერთადერთი შვილი ხელმწიფის სამსახურში ჩადგებოდა და, თუნდაც სიბერეში, იმათაც აზიარებდა ამქვეყნიურ სიამტკბილობას, "ურიის ვალიდან" ამოიყვანდათ და, რაც მთავარია, მეზობლებში თავის მოწონების საშუალებას მისცემდათ. ცხარე ცრემლით ტიროდა, რადგან ხელმწიფე აღარ იყო, რადგან ხელმწიფე პირველ რიგში მის მშობლებს მოკვდომოდა და პირველ რიგში მისი მშობლები გადაჰყვებოდნენ ალბათ ამ საზარელ ამბავს. "დედაჩემი გაგიჟდება. მამა თოკზე დაეკიდებაო" — ფიქრობდა შეძრწუნებული და მდუღარე ცრემლით ტიროდა მოკლულ ხელმწიფესაც, გაწბილებულ მშობლებსაც და საკუთარ თავსაც, რადგან დღეიდან აღარც იმის სწავლასა და მონდომებას ჰქონდა ფასი. ხელმწიფე აღარ იყო, სამყარო ინგრეოდა. და, რაღა თქმა უნდა, აზნაურობის სიგელსაც აღარავინ დაიბრუნებდა უკან, ქუთაისში ნაყიდი კი არა, თავად ხელმწიფის გაცემული რომ ყოფილიყო იგი. მაგრამ მის ცხოვრებაში პირველი მეფის მოკვლის დღე, საბედნიეროდ, მისი ბავშვური გულუბრყვილობის, ბავშვური რწმენისა და იმედის უკანასკნელი დღეც აღმოჩნდა. მოკლული მეფე ახალმა მეფემ შეცვალა და სამყაროს ამით არაფერი დაჰკლებია, არც არაფერი მომატებია. სამაგიეროდ, თვითონ შეიცვალა, ბევრი დაკარგა და ბევრი შეიძინა კიდეც, ოღონდ დანაკარგმაც და შენაძენმაც ერთნაირად გააცამტვერა, რადგან რწმენის ადგილი ურწმუნობამ დაიკავა, სიყვარულისა — სიძულვილმა, მოვალეობისა — იძულებამ. ახლა უკვე სულერთი იყო იმისთვის, ვინ იჯდა ტახტზე: მეორე (ანუ მესამე) თუ მესამე (ანუ მეორე). სიცილით კვდებოდა, ახალი მეფის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებად, ქართველი თავადაზნაურობა ლამის ხანჯლებით რომ დაერია ერთმანეთს, არა მე უნდა ვიყო და არა მე მარშლის ამალაშიო: ლამის ცოლშვილი რომ დაყიდეს ცხენის, ჩოხისა და იარაღის შესაძენად და სექტანტებივით ფეხშიშველნი, დაკონკილნი და მშიერმწყურვალნი ჩამობრუნდნენ უკან, რადგან არავინ მიაფურთხათ ზედ, აღთქმუ-

ლი ჩინმედლები კი არა, ფულიც ვერ იშოვეს სასესხებლად სახელ-მწიფოსხელა ქალაქში და მამასისხლად შეძენილი, მეწვრილმანე ვაჭრებივით დაყიდეს ქუჩაქუჩა, შიმშილით რომ არ ამოსძრომოდათ სული, როგორმე ჩამოეღწიათ შინამდე. მართალია, თავადაც, ასე თუ ისე, თავადაზნაურობას ეკუთვნოდა, მაგრამ აღარაფერი გაეგებოდა იმათი ვნებებისა, აღარაფრად მიაჩნდა იმათი გაწამაწია. ის უკვე სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა, სწორედ იმ ცხოვრებიდან ცდილობდა ამოსვლას, ძალით რომ მოახვია თავზე მშობელმა და სახელმწიფომ, ყალბი სიგელის წყალობით. რა თქმა უნდა, ისევ მეფის სამსახურში იდგა (სხვა რა გზა ჰქონდა? სხვა ვინ შეინახავდა? სხვანაირად რო-გორ ამოვიდოდა ან მეფისა და ან მშობლის ვალიდან?), მაგრამ მისი გული, ყაზარმაში კი არა, ქალაქში ფეთქავდა. ყაზარმაში თავსმოხ-ვეული ვალიდან ამოდიოდა, ქალაქში კი შეგნებულად იგდებდა თავს მეფის სივერაგითა და მშობლის სიბეცით უგულებელყოფილ ვალში. ბევრი სიმწარე აგემა ამ გაორებულმა ცხოვრებამ, მაგრამ ბევრი დიადი, ამაღლებული წამიც განაცდევინა, რაც არათუ უქარწყლებდა ხელახლა დაბადების სურვილს, არამედ კიდევ უფრო უმტკიცებდა რწმენას, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მრავალი გაუთ-ვალისწინებელი მარცხისა, აუცილებელიც რომ იყო მეორედ დაბა-დება, ამჯერად არა დედის საშოდან, არამედ უმეცრების, სიბნელის, გადაგვარების შავი კვერცხიდან. ხოლო იმდენად დიდი იყო ამ შავი კვერცხის გამომტვრევის სურვილი, კიდევ ერთმა, ყოვლად უსულგუ-ლო, ყოვლად უსინდისო მარცხმაც, “ქართველთა კუნძულზე”, ჟურუ-ლების ოჯახში რომ დაატყდა თავს და ლამის საერთოდ გაასწორა მი-წასთან, მაინც ვერ დააყრევინა ფარხმალი, მაინც სჯეროდა — რაკი უკვე სწორ გზაზე იდგა — ამ ახალი უსამართლობის დაძლევასაც შეძ-ლებდა როგორმე, როდისმე, და არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნე-ლოვანი მოვლენა, ბედითა და მრწამსით მისი ტყუპისცალი ქალაქის ცხოვრებაში, მონაწილეობა არ მიეღო, არ ჩარეულიყო, ანდა თუნ-დაც არ გარეულიყო იმ ხალხში, რომლებსაც ესა თუ ის მოვლენა მნიშვნელოვნად მიაჩნდათ კიდევ ერთხელ შობილი ქალაქისთვის.

ისიც სხვებთან ერთად გულისფრიალით ელოდებოდა მატარებელს, რომელსაც ნინოობის საღამოზე მოპატიჟებული აკაკი მოჰყავდა, და იმასაც სიამაყის, სიხარულის ცრემლი მოაწვა ყელში, როცა ბათუმელთა გულისხმიერებით, ცოტა არ იყოს, შემცბარსა და ვაგონის ვიწრო კიბეზე დაბნეულად შეყოვნებულ მგოსანს ქალბატონმა ქეთევანმა უთხრა: თქვენი სახით, ბათუმშიც შემოაღწია განთიადმაო. ისიც დამშვიდდა, იმანაც წინასწარ გამარჯვებულად ჩათვალა თავი, როცა ქალაქისთავის არჩევნების წინ, საბჭოს დარბაზში ილია შემოვიდა მოულოდნელად და დინჯად, მედიდურად ჩაბრძანდა არჩევნების მეთვალყურის სავარძელში. და იმანაც აჭარის დედასამშობლოსთან სამუდამოდ დაბრუნების დამადასტურებელ ნიშნად აღიქვა, როცა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის ეზოში პირველმა ქართველმა მაჰმადიანმა ბავშვმა შემოაბიჯა გაუბედავად და თავისი სიმორცხვის დასაძლევად თუ დასამალავად, მასწავლებლისთვის ძღვნად გამოტანებული, გულში ჩახუტებული დედალი ცაში აისროლა. მაგრამ მაინც არაფერი შეედრებოდა იმ საბედისწერო, იმ თავზარდამცემ წამს, როცა პირველად იგრძნო, შეყვარებული რომ იყო, ნატო რომ უყვარდა, ცამეტი წლის გოგო, მიზეზთა მიზეზი, გრძნობათა გრძნობა, ვნებათა ვნება, სულის სიზმარი, გულის მეორე მხარე, ფიქრთა მწყემსი, ხორცშესხმული ნათელი, შეუვალი სიწმინდე, უხრწნელი სინორჩე, ბრმათა თვალის ამხელი, ყრუთა სმენის გამხსნელი, ღირსების, სისხლის, გვარის, შეგნების აღმდგენელი, ეგვიპტიდან გამომყვანი, გზააბნეულთა შუქურა და, იმავე დროს, ღვთის რისხვა, როკაპის წყევლა, წარღვნა, მეორედ მოსვლა, რადგან, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შვილიშვილად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე გულისსწორად, ანდა თუნდაც მუზად, და ამ სიყვარულის გამომჟღავნება იმაზე ნაკლები სირცხვილი როდი იქნებოდა, ერთხელ უკვე რომ ეჭამა, განეცადა, გადაეტანა (თუკი ამას გადატანა ჰქვია) იმავე სახლში, სადაც ახლა მისი გაუგონარი, გაუგებარი, გაუმართლებელი, დასაძრახი, დასაგმობი, დასაწყევლი, ჩასაქოლი, დასაწველი, ჩამოსახრჩობი სიყვარული ბუდობდა. რასაკვირველია, არა-

ვის, და მათ შორის ნატოსაც, არასოდეს გაუმხელდა თავის გრძნობას, მაგრამ ვეღარც ამ გრძნობის გარეშე იცოცხლებდა, ამ გრძნობაზე ეკიდა, როგორც ნაყოფი ყუნწზე, როგორც საერთოდ, მისი სიცოცხლე — ბეწვზე. ეს გრძნობა ავიწყებდა სამარცხვინო წარსულსაც და ეს გრძნობა უჩენდა იმ ნამცეცა იმედსაც, უკვალოდ რომ არ გაქრებოდა ამ ქვეყნიდან, რადგან, მართალია ცალმხრივად, ცალფა ძაფით, მაგრამ უკვე სამუდამოდ იყო დაკავშირებული ხვალინდელ დღესთან, მომავალთან, რამდენადაც ნატო, ბოლოს და ბოლოს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხვალინდელი დღე იყო, მომავალი, და არა ჩვეულებრივი მიწიერი არსება; ხოლო ნატოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ხვალინდელი დღის, მომავლის სიყვარულს ნიშნავდა და არა ქალისას. ამ სიყვარულით მომავალს უკავშირდებოდა, თუნდაც სიმბოლურად, და არა ქალს, მისი პოეზიის მუზას. ეს იყო და ეს. არა, კიდევ უფრო მეტი — ეს სიყვარული აძლევდა მხოლოდ საიმისო ძალასა და უნარს, ისევ სისხლხორციელ ფოთლად ეგრძნო თავი მშობლიურ ხეზე და არა დეკორატიული ფოთოლივით მიემაგრებინა იმავე ხისთვის საკუთარი არსება, იმედის ჩხირითა და სიჯიუტის მავთულით, როგორც იქამდე იქცეოდა. ეს სიყვარული მშობლიურ ხესთან არათუ დაბრუნების ნებას აძლევდა, ერთბაშად უქარწყლებდა სიუცხოვის შეგრძნებას, ჯერ კიდევ ჩალექილს სულისა და გონების ნაოჭებში. და, რაც მთავარია, ეს სიყვარული ისევ თავის ცხრაწლიან ბავშვობაში აბრუნებდა, ხელახლა განაცდევინებდა დედას, ანუ იმ ერთადერთ ქალს, რომელიც ოდესღაც დედად ეკუთვნოდა, ვიდრე დედობას დაივიწყებდა, ვიდრე, ფეხის ხმას აყოლილი, შვილს კურსანტში გაცვლიდა, თვითონ კი, პუდრით გადათეთრებულსა და ლიქიორით თვალაპრიალებულ "კაროჟნად" გადაიქცეოდა, მხოლოდ და მხოლოდ ანგარებით დაკავშირებული იმასთან, ვინც მხოლოდ და მხოლოდ შვილი უნდა ყოფილიყო მისი და არა "კაი ცხოვრების" საწინდარი. ნატოს სახება, უპირველეს ყოვლისა, ამ "კაროჟნას" აძევებდა მისი ცხოვრებიდან და თავად იკავებდა იმის ადგილს, როგორც სიმბოლო დედისაც და შვილისაც, ერთდროულად,

ერთ სახეში გაერთიანებული მარადიული დედა და მარადიული შვილი, სიცოცხლე და სიყვარული, სათნოება და სიკეთე. აი, რა იყო მისთვის ნატო. მაგრამ ეს მაინც მისი პირადი გრძნობისა და გონების მიერ შექმნილი სიმბოლო გახლდათ და არ არსებობდა მეორე კაცი, ვინც ასევე აღიქვამდა ამ სიმბოლოს, ვინც სიშლეგეში, გარყვნილებაში ანდა ავადმყოფობაში არ ჩაუთვლიდა ამგვარ მკრეხელობას. ნატო ერთი კაცის რელიგია იყო, ის კი, ამ რელიგიის ერთადერთი მიმდევარი. ამიტომაც მალავდა თავის სიყვარულს. კი არ ეშინოდა, კი არ რცხვენოდა, არ უნდოდა, ვინმეს დაეკნინებინა, დაეგმო, წაებილწა, არასწორად დანახული და გაგებული. თავად არავითარი მანკიერი ზრახვა და სურვილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცამეტი წლის გოგოს მიმართ, თუმცა, როცა მორიგ ლექსს წერდა, დროსაც წყდებოდა და სივრცესაც, სადღაც, სულის მიღმა სამყაროში დაფრინავდა და ერთბაშად იშლებოდა მასსა და ნატოს შორის აღმართული ნებისმიერი ჯებირი, რომელიც მრავლად არსებობდა მიწაზე და რომელთა უგულებელყოფაც, სხვა რომ არ ვთქვათ, პირწავარდნილი სიბრიყვე იქნებოდა მისგან და მეტი არაფერი. მაგრამ იქ, სულის მიღმა, ნატოც ბეატრიჩესა და ლაურას შარავანდედით იმოსებოდა და თამამად დგებოდა იმათ გვერდით, დიდებული პოეტების უკეთილშობილესი და უწმინდესი სულიდან ამოზრდილი, ოცნებისა და იმედის ნაშიერი ღვთაებების გვერდით, რომელთაც ასაკი არა აქვთ და ცამეტი წლისანიც ისეთები არიან, როგორიც ას ცამეტის, ათას ცამეტის, ათი ათას ცამეტისა. ასე თვითონ ფიქრობდა, რადგან მხოლოდ ასე შეეძლო თავისი სიყვარულის გამართლება, თუნდაც საკუთარ თავთან. ამართლებდა, რადგან არ შეეძლო იმისი უარყოფა, არ შეეძლო გაქცეოდა გრძნობას, რომლისთვისაც მართლაც რომ არ არსებობს არავითარი წესი და საზღვარი, თავად ადგენს წესს, როგორც გვარის უხუცესი, და თავად იზომავს საზღვრებსაც, როგორც აღზევებული სახელმწიფო. არაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი, ამ სიყვარულის გარდა. თავის ოთახში გამოკეტილს, აღარც ორთქლმავლების განუწყვეტილი კივილი ესმოდა — საბარგო სადგუ-

რის გადაღმა ცხოვრობდა, უფრო სწორად, დაქვრივებულ დედას უქირავა იქ ოთახი, სადაც მხოლოდ დედის სიკვდილის მერე გადაბარგდა სამუდამოდ. იქამდე არსად არ ცხოვრობდა; ხან დედასთან იყო, ხან ყაზარმაში. ვერც დედის გვერდით გაეძლო დიდხანს, ვერც უდედოდ. დედის გვერდით თავისი დაღუპული ბავშვობა ახსენდებოდა და გულზე სკდებოდა; ყაზარმაში კი, თავისი უსინდისობა აწამებდა, წუხდა, მარტო რომ ტოვებდა დედას, თუმცა დედა არც უყვარდა, არც სძულდა, უბრალოდ, "დავალებული" იყო იმისგან, თავს ვალდებულად თვლიდა, მაინც პატივი ეცა იმისთვის, თუნდაც როგორც მამამისის ქვრივისთვის; მაგრამ დედის არსებობა იმასაც უდასტურებდა, ოდესღაც სულ სხვა ადამიანი რომ იყო თვითონ, სულ რაღაც ცხრა წლის განმავლობაში, მაგრამ ესეც კმაროდა იმ იმედის საფუძვლად, როდისმე ისევ რომ მიაკვლევდა იმ ცხრა წლის ბავშვს თავისი სულის სარდაფში და ახლა ისე გაზრდიდა, როგორც თვითონ მიაჩნდა სწორად და არა დედამისს. გარდა ამისა, თუკი ბედავდა, მხოლოდ დედასთან ბედავდა თავის სიყვარულზე ლაპარაკს, მართალია, გადაკრულად, შენიღბულად, მაგრამ გარკვეულ შვებასა და სიამოვნებას ესეც ანიჭებდა. რაც მთავარია, აქ, დედის გვერდით, უფრო თავისუფლად შეეძლო ლექსების წერა, ვიდრე ყაზარმაში, სადაც კალამს თუ დაგინახავდა ვინმე ხელში, სულს ამოგხდიდა, ვიდრე არ გაიგებდა, თხოვნას წერდი, საჩივარსა თუ დასმენას. ხოლო დედა სიტყვის თქმასაც ვერ უბედავდა წერით გართულ შვილს, რადგან მხოლოდ ქაღალდისა სჯეროდა და მხოლოდ ქაღალდს სცემდა თაყვანს. არც მთლად უსაფუძვლოდ: ქაღალდმა აზნაური გახადა, შვილი გაუნათლა და "კაი ცხოვრებას" მოასწრო. სანამ სოფელში ცხოვრობდა, მეზობელთან რომ წაკინკლავდებოდა და დოინჯშემოყრილი დაიძახებდა — ქაღალდი მაქვს მეო — მეზობელი ფარხმალს ყრიდა, ხელებს შლიდა და ამბობდა: თქვენია, ბატონო, ქვეყანაო. ამიტომ, შვილის ნაწერებსაც ისევე სათუთად ინახავდა, როგორც აზნაურობის ყალბ სიგელს. იატაკზე მიმოფანტულ ფურცლებს — ფერფლივით რომ სცვიოდა პოეზიის ცეცხლით დამწვარ ოფიცერს — მოკრძალე-

ბით, მადლიერების გრძნობით აგროვებდა, როგორც ებრაელი — ცის მანანას; ყველაფერს გადააგდებდა (აკი გადააგდო კიდეც), ფურცელს კი არა. ჩითს ფარჩისგან ვერ ასხვავებდა, მაგრამ ღერბიან ქაღალდს მილიონ ქაღალდში გამოარჩევდა მაშინვე. წერაკითხვა არ იცოდა, მაგრამ როგორ დაიჯერებდა, სისულელე თუ ეწერა ქაღალდზე, როგორც შვილი ეუბნებოდა ხოლმე სიცილით. ქაღალდმა არ გააკეთილშობილა თავად? ქაღალდი აიძულებდა, პუდრი წაესვა, სასმელს მიტანებოდა, საათობით მჯდარიყო სარკესთან და შვილის ნაჩუქარი, "თვალის ჩინივით გასაფრთხილებელი" ხილაბანდი ხან წაღმა წაეკრა თავზე, ხან უკუღმა, თუმცა არსად არ ჰქონდა წასასვლელი და გინდაც ჰქონოდა, მაინც თოფით ვერ გაიყვანდნენ ოთახიდან, აკივლებული ორთქლმავლების შიშით. მაინც არ უტყდებოდა თავს, მაინც არ მისტიროდა მოშლილ კერას და შეფერებული ჰქონდა "კაი ცხოვრება". შვილს მწარედ ეღიმებოდა, მაგრამ ამშვიდებდა კიდეც დედის სიბრიყვე, რადგან ერჩივნა, ისევ სიბრიყვის მსხვერპლი ყოფილიყო, ვიდრე სიჭკვიანისა. სიბრიყვე თუ არ ამართლებდა, მეტნაკლებად გასაგებს მაინც ხდიდა იმ დანაშაულს, შვილის მიმართ რომ ჩაედინა დედას. უყაირათო, დაუდევარი ქალი იყო (აზნაური გახლდათ, ბატონო!), მტვერი ჭამდა იქაურობას; იმ ადგილს გადაფერთხავდა ხოლმე ზერელედ, სადაც თვითონ ჯდებოდა, ხოლო გარშემო რა ხდებოდა, ვერც ამჩნევდა და არც აინტერესებდა. ფეხს ფეხზე გადაიდებდა და დასცქეროდა თავის ლამაზ ფლოსტებს (მეზობელმა ქალმა მიჰყიდა — მწვანე, წითელი პომპონებით გაწყობილი. რომ არ შინებოდა, ქუჩაშიც იმ ფლოსტებით გავიდოდა ალბათ). აზნაურის ქალი გახლდათ, ბატონო, კარგი ცხოვრება უყვარდა და იშნოვებდა კიდეც; ჩემი ქმარი ვერ მოესწრო და იმისი წილიც მე უნდა მოვიხმაროო — იტყოდა ხოლმე ხუმრობით, ვითომ ხუმრობით, პაპიროსს აბოლებდა (ჯერ იმას ჰკითხავდა შვილს, პაპიროსის ყიდვა ხომ არ დაგვიწყებიაო, თუმცა ნაფაზს ვერ არტყამდა, ხველა აუტყდებოდა მაშინვე) და ლიქიორს წრუპავდა. განსაკუთრებით ფრანგული "ლიქიორი" უყვარდა: ბენედიქტინი და შარტრეზი. "იმისთანაა რომე, შე-

ნი მოწონებული”, — ამბობდა ტუჩების წკლაპუნით. შვილი გულში ბრაზობდა, ღრმად დარწმუნებული, მამამისიც იმისმა სისულელემ რომ შეიწირა: აღარც შვილი ინდომა, აღარც კარმიდამო, და ფართხაფურთხით ჩაბარდა სიკვდილს, როგორც უაზრო ომით გაბეზრებული ჯარისკაცი — მტერს. მაგრამ, რაკი მაინც დედა ერქვა, ითმენდა, უჩუმდებოდა; სათქმელს წერდა და ამით იოხებდა ცოტათი გულს. კითხვა რომ სცოდნოდა დედამისს, სათუთად კი არ შეინახავდა, ნაკუწებად აქცევდა ალბათ მის ნაწერებს, უსაზღვროდ განრისხებული. “გულზე არ დაგადგეთ ლიქიორი, არ დაგცადოთ, ქალბატონო”. “ამდენ პუდრს ნუ ისვამთ, თორემ რკინის თეატრში წაგიყვანენ და სცენაზე გათამაშებენ”. “ფლოსტები არ დაგეკარგოთ”. — წერდა მისი შვილი და ყაზარმაში გარბოდა, პირში რომ არ შეეცინა დედისთვის, რომელიც გულმოდგინედ კრეფდა იატაკზე მიმოფანტულ ფურცლებს და დიდის ამბით ინახავდა აზნაურობის სიგელთან ერთად. მაგრამ მალე მოტყდა, საწყალი. სულ სიცივეს უჩიოდა. გაგანია ზაფხულშიც გაუქრობლად ენთო ნავთქურა. მიუცუცქდებოდა, გამხდარ, გამოლურჯებულ ლაჯებში მოიქცევდა და იყო ასე, აბუზული, ჩაფიქრებული, როგორც ქათამი წვიმიან ამინდში. “ცოლს რატომ არ ირთავო” — ისე, სხვათა შორის ეკითხებოდა ხოლმე შვილს, მაგრამ ძნელი სათქმელია, შვილის მომავალი ადარდებდა თუ თვითონ სჭირდებოდა მომვლელი. “თუ იცი, რა ხნისა ვარო” — პასუხობდა შვილი. “შენზე რომ ფეხმძიმედ ვიყავი, იმ წელიწადს მამაშენმა ხელი ამოიგდო ტყეში, კესარიას ბაღანა დაეწვა აკვანში — ნაღვერდალი შეაყოლა არტახებს — ბებიაშენმა კიდო, ძროხა გაყიდა და კაკილო მიყიდაო” — ამბობდა დედა, ნავთქურაზე გადამჯდარი, როგორც კრუხი საბუდარზე. “კი მაგრამ, როდის იყო, როდის მოხდა ეს ამბებიო” — იცინოდა შვილი, “როდის და, შენზე რომ ვიყავი ფეხმძიმედო” — პასუხობდა დედა მშვიდად, მობუზული, მოწყენილი, მოახლოებული სიკვდილით შემკრთალი; ტანი უგრძნობდა, ალბათ, მალე უნდა გამოთხოვებოდა “კაი ცხოვრებას”, რომლისთვისაც დაუფიქრებლად გაეწირა ყველაფერი და რომელიც არც ისეთი კარგი აღმოჩნდა ბოლოს, როგორა-

დაც ადრე წარმოედგინა, ადრე, აზნაურობამდე, როცა სხვებს ჰქონდა იგი — “კაი ცხოვრება” — და როცა მოთმინებიდან გამოსული, დოინჯშემოყრილი, დამფრთხალსა და ალღოდაკარგულ ქმარს დაჰყვიროდა: დაგვრჩა ბაღანა უსტავლელიო. მაგრამ ახლა, სისულელით მოწეულის მოთმენა უფრო ეიოლებოდა, ვიდრე სისულელის აღიარება; გლეხის ქალი ხომ არ იყო, ვიღაცა, ნათქვამი გადაეთქვა, გადაფურთხებული აელოკა; თავისი სოფლის ერთი ჩასუნთქვა ჰაერი პომპონებიან ფლოსტებსაც ერჩია, ყვავილებით მოჩითულ ხილაბანდსაც, მაგრამ როგორ გატყდებოდა, მეზობლებს როგორ ათქმევინებდა: არა შეჯდა მწყერი ხესაო. ყალბი იყო თუ ნამდვილი, ახლა მაინც ვეღარ იტყოდა უარს აზნაურობაზე და პატიოსნად უნდა მოეხადა ბოლომდე, როგორც თავისივე დაუდევრობით შეყრილი სენი. მართლაც, რაღა დროს სინანული იყო; თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასაო, მაგრამ ყველაფერი თავიდან რომ დაწყებულიყო, ალბათ ისევ ქვას გახეთქავდა, ისევ დაუფიქრებლად მოიგლეჯდა შვილს გულიდან, ერთი კაცისთვის მაინც რომ ეთქმევინებინა: თქვენია, ბატონო, ქვეყანაო. დიახაც. დიახაც. დიახაც. სხვა რომ შეგნატრის, ისაა სწორედ “კაი ცხოვრება”. ამიტომ, კეთილი უნდა ინებო და შენც მოითმინო ცოტა, შენც გაიღო ცოტა მსხვერპლი. დილიდან საღამომდე ორთქლმავლების კივილს უნდა უსმინო (რამ გადარია მაინც, ეს ოხრები!) და დილიდან საღამომდე უნდა ყლაპო დამწვარი ნავთის ჭვარტლი: შავი მანანა “კაი ცხოვრებისკენ” მიმავალ გზაზე, ახალი ღმერთის წყალობა. არც ძროხა გყავს მოსაწველი, არც ქათმები — დასაბუდებელი. ხარ არხეინად. შენს “ბაღანას” იმდენი პური მოაქვს, ნახევარი გიობდება და ცარიელ ბოთლებთან ერთად მერძევეს ატან. სად ჰქონდათ სოფელში პური?! ჭადს მიაციცქნიდნენ ხოლმე, ყველივით. ხი, ხი, ხი... ჩაის ავადმყოფს ასმევდნენ მხოლოდ. ჩაის გულისთვის განგებ გაიციებდნენ ხოლმე თავს. ხი, ხი, ხი... მკვდარს ვერ ჩააცმევდნენ ამისთანა ფლოსტებს. ხი, ხი, ხი... ხარ შენთვის არხეინად. ცარიელ ბოთლს გადგამ დერეფანში, გადააჯდები ნავთქურას და ახრჩოლებული სითბო თანდათანობით გილღობს გათოშილ

გულმუცელს. ქალობას გახსენებს (ხი, ხი, ხი), დედობას... და გაამაყებული (რა თქმა უნდა, ცოტა ლიქიორის დახმარებითაც) ფიქრობ შენთვის: მე არ გავაჩინე? ხოდა, მეკუთვნის კიდეც. ახრჩოლებული ნავთქურა შვილის მაგიერ. ჰარალალი, ჰარალალი. ნეტარ არიან ბრიყვნი. ხოლო მისი ბაღანა უკვე სიბერის ზღურბლთან იდგა, მართლა ბაღანასავით შეყვარებული მართლა ბაღანაზე. "ნამეტანი პატარაა, თორემ შევირთავდიო" — სიცილით ეუბნებოდა დედას. "მაგი არაფერი. მეც ბაღანა შემირთო მამაშენმაო" — პასუხობდა ქათამივით აბუზული დედა. "მამაჩემიც ბაღანა იქნებოდა მაშინო" — იცინოდა შვილი. "რას ჰქვია, ბაღანა იქნებოდა! ბაღანას როგორ წავყვებოდიო" — სწყინდა დედას. "მაინც, რა ხნისა იყოო" — არ ეშვებოდა შვილი, "კაცი ისეთი ოხერია, რა ხნისაც არ უნდა იყოს, ერთ ბაღანას ყოველთვის დააბერებსო" — ქირქილებდა დედა. ასე იყო, ვიდრე დედა მოუკვდებოდა, ასე იყო შემოდგომის იმ წვიმიან დღემდე, როცა ლექსის წერით გართულს, უცებ ტანი უგრძნობდა, ნავთქურაზე გადამჯდარი დედაბრის სული ჩუმად, უხმაუროდ რომ გაპარულიყო ამ ქვეყნიდან. "რა მიყავი ესო" — შეიცხადა გულწრფელად, რადგან ეგონა, დედა სიკვდილის წინ მაინც აღიარებდა თავის შეცდომას, სიკვდილის წინ მაინც ეტყოდა, მე აგირიე, შვილო, ცხოვრებაო, რაც ჰაერზე მეტადაც სჭირდებოდა შვილს, თუნდაც თავისი ჯოჯოხეთური სიყვარულის გასამართლებლად. გარდა ამისა, დედასთან საუბარი რაღაც სულელურ, გაურკვეველ, უხორცო იმედს უჩენდა, რისთვისაც დიდი მადლობელი იყო დედისა, თუმცა არასოდეს წარმოუდგენია ნატო თავის მეუღლედ, არც მაშინ (მით უფრო მაშინ) და არც მერე, როცა ნატო გაიზარდა, იმდენად გაიზარდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბავშვიც გააჩინა, ერთბაშად გაუბათილა ასაკობრივი უპირატესობა და გადაასწრო კიდეც, რა თქმა უნდა, მდგომარეობით, როგორც ჯარშია მიღებული, სადაც ჩინი განსაზღვრავს ყველაფერს და არა ასაკი. ნატოს მეტი ჩინი ჰქონდა, რადგან უკვე შვილი ჰყავდა, ის კი, ისევ მარტო იდგა თავისი ცოდვის სანგარში; თუმცა, არც ესაა გასაკვირი, ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ნატო ღვთაება იყო, ის კი — რიგითი

მოკვდავი. პეგასზე ამხედრებული, პოეზიის ცისფერ ღრუბლებში დაქროდა და მარადიულ ქალწულსა და უმანკო ჩასახვის სავანეზე წერდა ლექსებს, ვიდრე ყაზარმიდან გამოგზავნილი ჯარისკაცი არ მოუბრახუნებდა კარზე უხეშად, ჯარისკაცურად — გიბარებენო. ხოლო ქუჩაში გამოსულს, გამოფხიზლებულს, თავისი სიყვარულიც ისეთსავე სიბილწედ მიაჩნდა, როგორი ცხოვრებაც დუღდა და გადმოდუღდა ირგვლივ. მაგრამ ასე იმიტომ მიაჩნდა, უარესად რომ დატანჯულიყო, როგორმე ჩაეხშო, ჩაეკლა თავისი სულელური, თავხედური, უმომავლო გრძნობა, თორემ, თუ იცოდა, რასაკვირველია, მხოლოდ თვითონ იცოდა, რომ თუკი რამე შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო სუფთა, ამაღლებული, წმინდა, უცოდველი და უბიწო მის ცხოვრებაში, სწორედ ეს გრძნობა იყო, რაზედაც უფლება არ ჰქონდა და რის გარეშეც არაფერს წარმოადგენდა, არაფერს — სილის მარცვალს სილის ზღვაში. კიდევ კარგი, ქვეყანა აირია, კიდევ კარგი, უკვე კართან იდგა აღსასრულის დღე და სარაევოში დამბაჩის გავარდნაღა აკლდა, ერთმანეთს რომ დარეოდნენ კბილებამდე შეიარაღებული, წერას აყოლილი, გაპირუტყვებული სახელმწიფოები, რათა მოესპოთ და მომსპარიყვნენ, შთაენთქათ და შთანთქმულიყვნენ, ქვა ქვაზე არ დაეტოვებინათ, არაფერი არ დაეტოვებინათ — ნანგრევის, ჩონჩხისა და ლეშით გამძღარი ყვავის ყრანტალის მეტი. მეტს არც არაფერს იმსახურებდნენ, მაგრამ ერცჰერცოგის მკვლელი აგვიანებდა, ყოყმანობდა, აჭიანურებდა, თითქოს საბა ლაფაჩის ჯიბრზე და ისიც ხელახლა ათეთრებდა ჯიბეში დაჭმუჭნულ "თხოვნას", მთავარმართებლის სახელზე დაწერილს, რომელსაც, ომის დაწყებისთანავე, პირველივე კოცონისთვის უნდა შეეკეთებინა იგი, როგორც ძველი, მზეზე გამომშრალი, ქარით გამოფიტული ნაფოტი. გაოგნებული დაბორიალებდა უკაცურ ქუჩებში; მერე ზღვაზე გადიოდა და დაჟინებული ჩასცქეროდა წყვდიადში გაუჩინარებულ სტიქიას, გაუჩინარებულიც განუწყვეტლივ რომ ფეთქავდა, შფოთავდა, ბორგავდა მისი გულივით. "ღამღამობით ნუ დადიხართ მარტო, თორემ შეიძლება, ვინმემ ვერ გიცნოთ და გაუგებრობა მოხდესო" — აფრთხილებდნენ ტე-

რორისტები. “მადლს იზამსო” — სიცილით პასუხობდა საბა ლაფაჩი. ასე კი იმიტომ ამბობდა, მართლა რომ უნდოდა სიკვდილი, სიკვდილი და არა თვითმკვლელობა, რადგან საკუთარი ხელით მკვდარი, არათუ ვეღარ დამალავდა, საქვეყნოდ გამოაჭენებდა თავის სილაჩრეს, ყველას ერთნაირად ათქმევინებდა, ლაჩარი ყოფილაო. არადა, არ იყო ლაჩარი, აღარ იყო; იმ დღის მერე, როცა პირველად აუჯანყდა მუნდირს, როცა, დავით კლდიაშვილთან ერთად, ბრძანება არ შეასრულა, ტყვია არ დაუშინა უიარაღო დემონსტრანტებს, რისთვისაც განრისხებულმა ვეზირიშვილმა ახსნაგანმარტების დაწერა მოსთხოვა ორივეს, მაგრამ ფეხები ვერ მოსჭამა ვერც ერთსა და ვერც მეორეს, რადგან არანაკლებ განრისხებულმა კლდიაშვილმა ტყვიასავით მიახალა მაშინვე პირში — მე ჯერ ჩემს სინდისს ვუსმენ და მერე თქვენს გიჟურ ბრძანებებსო — მთლად გათამამდა, მთლად გაგულადდა და იმ დღის მერე ჯიუტად უმტკიცებდა საკუთარ თავს, მისი გამბედაობა მისი ჭეშმარიტი ბუნების განუყოფელი თვისება რომ იყო და არა წამიერი აღტკინების, ანდა სხვათა წამხედურობის ნაყოფი. უბრალოდ, იქამდე გამბედაობაც ისევე ჰქონდა დაკარგული, როგორც ჭეშმარიტი ბუნება. იმ დღის მერე, რამდენი შეხვდებოდა კლდიაშვილი, ყოველთვის ღიმილით მიულექსავდა ხოლმე: ერთ ბედს ქვეშა ვართ, საბავ, მე და შენ, ერთგულად ვზიდოთ ჭაპანი ჩვენიო, და ისიც ერთგულად ეწეოდა გამბედაობის ჭაპანს. შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო — ეუბნებოდა მასთან ჭკუის საკითხავად მოსულ მუშებს, თუმცა თავად ისევ ორ ცეცხლს შუა გაბმულს, ისევ მუნდირი ეცვა და არა მუშის ბლუზა. ვერ გადაეწყვიტა, ვისი ტყვიით მომკვდარიყო, მუშისა თუ ჯარისკაცისა, თუმცა, სულერთი იყო მისთვის, ვისი ხელით მოკვდებოდა, რადგან მისი სატანჯველი არც მუშის სატანჯველს ესადაგებოდა და არც ჯარისკაცისას, ერთნაირად გაუგებარი ერთისთვისაც და მეორისთვისაც. თვითონ კი, ამ მეორედ მოსვლის ჟამს, ყოფნაარყოფნის მიჯნაზე, რძეშეუმშრალი გოგოს “კდემამოსილებაზე”, “სისპეტაკეზე”, “ღვთაებრივ სიდიადესა” და “გულთა გარდამქმნელ სიბრძნეზე” წერდა ლექსებს. “მე ადამიანის მხარეზე ვა-

რო” — ერთნაირად ეუბნებოდა მუშებსაც და ჯარისკაცებსაც და დარცხვენილი, დაბნეული ამატებდა: თუ კაცს არ გაუგე და არ აპატიე, გინდა აქეთ იყოს, გინდა იქით, მაინც ერთნაირად გაპირუტყვდებაო. მერე მაზარის საყელოს აიწევდა და დახეტიალობდა უკაცურ ქუჩებში. ზღვიდან ცივი, ნესტიანი ქარი უბერავდა. ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. ხალხი თბილ ბინებში ელოდებოდა აღსასრულს, ის კი, მიდიოდა, მიუყვებოდა ქუჩებს, თავის საფიქრალში ჩაკეტილი, როგორც საიდუმლო საბუთი — სეიფში. უცებ სიბნელიდან ქალის ხმამ დაუძახა — ეი, ხვლიკო, საით გაგიწევიაო. საბამ ხმისკენ მიიხედა. ქალი სადარბაზოსთან იდგა, ფეხი კიბეზე შემოედო და წვივსაკრავს ისწორებდა. საბას გაეღიმა და უფრო აუჩქარა ნაბიჯს. მიდიოდა და მეძავის ხრინწიანი, უსიამო ხმა ედგა ყურებში. მერე ნატოს ჭიშკარი დაინახა და გაუკვირდა, გაუხარდა, დაფრთხა, გაჩერდა — ერთდროულად. გაუბედავად შეეხო სახელურს, მაგრამ ჭიშკარი არ შეუღია. არც უფიქრია ჭიშკრის შეღება. უბრალოდ, მხოლოდ მიეფერა გათოშილ რკინას. მერე ჭიშკარს მოშორდა, ფაცაფუცით შეიხსნა მაზარის ღილები და ქვითკირის ღობეს შეახტა. მეორე წუთას უკვე ღობის იქით იდგა ნესტიან წყვდიადში. სახლი არ ჩანდა. არაფერი არ ჩანდა. თვალთან ვერ მიიტანდა თითს. წინწახრილი იდგა და მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხნის მერე უკანვე გადმოევლო ღობეს, მაზარის ღილები შეიბნია და გზა გააგრძელა. “აი, თუ ბებერი ვარო” — ახლა მოუგო ნიშნი მეძავს, თუმცა მეძავს სიტყვა “ბებერი” საერთოდ არ უხსენებია.

დრო კი გადიოდა. დასაღუპად განწირული ქვეყანა დღითი დღე, ნაბიჯნაბიჯ უახლოვდებოდა აღსასრულს. დიმიტრიც უკვე განწირული იყო, უკვე ვეღარაფრით დააღწევდა თავს გარდაუვალ უბედურებას, თუმცა, გელა რომ დაიჭირეს პირველად, მიუხედავად თავისი მრწამსისა, რაც ერთხელ უკვე გამოეთქვა ქუჩაში, თანაც გელას დასაცავად, ბუნებრივ წუხილთან და სინანულთან ერთად, რაღაცნაირი, ძნელად გამოსახატავი, ძნელად გასამართლებელი შვებაც იგრძნო, თითქოს ვიწრო ფეხსაცმელი გაიძრო და ერთმანეთზე მიჭყლეტილი

თითები თავისუფლად გაშალა: არადა, ეს წამიერი შეგრძნება შვებისა, თავისუფლებისა (სულ თავაწეული მაინც აღარ ივლიდა საკუთარ სახლში), სწორედ შვებასთან და თავისუფლებასთან სამუდამოდ გამოთხოვებას ნიშნავდა. ასე მომაკვდავი გამოიხედავს ხოლმე თვალში ცოტა ხნით, ფუჭი იმედი რომ ჩაუსახოს ჭირისუფლებს და, მეორე წუთას, უფრო მეტად დასწყვიტოს იმათ გული. სხვა საკითხია, რა მოხდებოდა, გელას მოთმინების უნარი რომ ჰქონოდა, სასჯელი პირნათლად მოეხადა და, დიმიტრის მრწამსის შესაბამისად, ახლა უკვე სულ სხვა პიროვნება დაბრუნებულიყო უკან. მაგრამ არ შეიძლებოდა, ასე რომ მომხდარიყო, რადგან გელა (როგორც მალე დადასტურდა) არ იყო ამ ქვეყნისთვის გაჩენილი; არ შეეფერებოდა აქაურობას, ანდა აქაურობა არ შეეფერებოდა იმას, როგორც უნაგირი ძროხას, ანდა ძროხა უნაგირს. მართალია, არავინ დაიჯერა გელას ქურდობა (ხალხში ხმა გავრცელდა, პოლიციამ ჩხრეკვისას ქალთა გიმნაზიის გამგის სამკაულები აღმოუჩინაო. ქალთა გიმნაზიის გამგე ერთი წლის წინ გაექურდათ და ის საქმე თითქმის დახურულად ითვლებოდა), მაგრამ მაინც აღმაშფოთებელი იყო მისი საქციელი: არც მშობელს უწევდა ანგარიშს, არც კანონს. დაიჭერდნენ — გაიქცეოდა. ისევ დაიჭერდნენ — ისევ გარბოდა. ხან მატარებლიდან ჩამოათრევდნენ ხოლმე, ხან უცხოური გემიდან. არ შეეძლო შეჰგუებოდა იმას — უსამართლობა ერქვა თუ უსინდისობა — რასაც სხვა, მასზე არაფრით ნაკლები, მილიონობით ბავშვი უმტკივნეულოდ და უდრტვინველად ეგუებოდა. გადამეტებული სიამაყითა და ასევე გადამეტებული უნდობლობით შეპყრობილი, უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველთვის რაღაცას აშავებდა. ყოველ შემთხვევაში, გარედან მაყურებლის თვალში ასე გამოდიოდა, რაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა პოლიციას, თუკი პოლიცია მართლა უგონებდა ქურდობას და რაღაც სხვა მიზეზთა გამო მართლა უპირებდა დაღუპვას. დანაშაულს, ბუნებრივია, სასჯელი მოსდევდა, სასჯელს კი — ახალი დანაშაული, რადგან სწორედ სასჯელთან შეურიგებლობა აბედვინებდა იმას, რაც სეირის მაყურებელთა აღშფოთებას თუ არა, გაოცებას ყოველთვის

იწვევდა, ანუ სეირის მაყურებლებს თანდათან იმ აზრსაც უღვივებდა, გარდაუვალი რომ იყო მისი დაღუპვა, თითქოს სამართლიანიც, რადგან სახელმწიფო კი არა, მამა არ მოგითმენს ამდენს. სხვათა შორის, მამამისივით იყო ისიც ატეხილი. მამამისივით იმანაც ერთბაშად ააფორიაქა, აალაპარაკა მთელი ბათუმი. ზოგი იცინოდა, ზოგი წუხდა, ზოგს ეცოდებოდა, ზოგი კი, სავსებით სერიოზულად მოითხოვდა, სანიმუშოდ დაესაჯათ იგი აზიზეას მოედანზე, რათა სხვა ბავშვებსაც ესწავლათ ჭკუა და უფროსების ხათრი და პატივისცემა ჰქონოდათ; უარესად არ აერიათ ისედაც არეული ქვეყანა. პოლიცია რა შუაშია, პოლიცია წესრიგს იცავდა, მაგრამ ვეღარ ერეოდა ამდენ დამთხვეულს. რა გახდა, ბოლოს და ბოლოსო — იძახდნენ გაგულისებულნი, მსუყედ ნასადილევნი, საქვეყნო საქმეთა განსჯის გუნებაზე მოსულნი. რაც შეეხება ქალბატონ ელენეს (ალბათ ესეც აღიზიანებდა ხალხს), გეგონებოდათ, ყველაზე ნაკლებად ისაა დაინტერესებული ამ ამბითო. ისევ ისე თავაწეული, წელგამართული დადიოდა, გოროზი, ამპარტავანი, თითქოს ასე, უსიტყვოდ, მხოლოდ და მხოლოდ თავისი გარეგნობით არწმუნებდა ქალაქს, არაფრით არ შეიძლება ჩემი შვილი ქურდი იყოსო; სხვა, რაც გნებავთ, ოღონდ ქურდი არაო; ქურდების დედები არც ასე წელგამართულები დადიან და არც ასე მშვიდად დუმანო. მაგრამ ქალაქმა ბევრი რამე არ იცოდა და ამიტომ, ბევრი რამე ეშლებოდა. ყველაზე ნაკლებად ქალაქმა ის იცოდა, თუ რა ცეცხლი ენთო ქალბატონ ელენეს გულში. ვიდრე ქალაქი წუხდა თუ ბრაზობდა, იცავდა თუ კიცხავდა გელას, ქალბატონმა ელენემ უკვე იცოდა, განწირული რომ იყო მისი შვილი, უფრო ადრე იცოდა, ვიდრე ის პირველად გაიქცეოდა ციხიდან, ვიდრე მისი დევნა და დაჭერა ჩვეულებრივ მოვლენად იქცეოდა ქალაქისთვის, ისევე როგორც ზღვის აღელვება და დაწყნარება. როგორც კი გელას დაჭერის ამბავი შეიტყო და ჯერ კიდევ განრისხებულმა, ჯერ კიდევ შეურაცხყოფილმა პოლიცმეისტერის კაბინეტში შედგა ფეხი, მაშინვე მიხვდა, ტყუილუბრალოდ იმცირებდა თავს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, უიმისოდაც გამოუშვებდნენ გელას, ანდა საერთოდ არ

დაიჭერდნენ, თუნდაც ბაბუამისის ხათრით, რადგან თბილისის გუბერნიის მთავარი მოსამართლე აქაური პოლიციისთვის იმდენად დიდი და ანგარიშგასაწევი კაცი გახლდათ, არ შეიძლებოდა, აქაურ პოლიციას არ სცოდნოდა, გელა, უპირველეს ყოვლისა, ვიღაც თვითმკვლელი მსახიობის შვილი კი არა, თბილისის გუბერნიის მთავარი მოსამართლის შვილიშვილი რომ იყო. მაგრამ, ეტყობა, გელას დანაშაულის სიმძიმე აქაურ პოლიციას საშუალებას აძლევდა, მიუდგომელი და შეუვალი ყოფილიყო ზემდგომთათვისაც. მართალია, დიდი დანაშაულია, უმსგავსობაა, ეკლესიაში აბიო მეფის სადიდებლის სიმღერა, მაგრამ არც ისეთი მიუტევებელი, თანაც ბავშვისთვის, მოსწავლისთვის, მაშინვე ციხეში რომ გაექანებინათ, არც მშობლისთვის ეკითხათ და არც მასწავლებლისთვის, თუ რატომ უნდა მოქცეულიყო მოსწავლე ასე, რომელიც ჯერჯერობით არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად ("ეს პოლიტიკური ცელქობაა, ქალბატონო"), თუნდაც მისი არასრულწლოვანების გამო. მაგრამ როცა პოლიცმეისტერისგან ისიც შეიტყო, გელას ქალთა გიმნაზიის გამგის გაძარცვაც რომ უმტკიცდებოდა, თავზარი დაეცა, სუნთქვა შეეკრა, თავში სისხლი აუვარდა და ორივე ხელით ჩააფრინდა იატაკზე დაბჯენილი ქოლგის ტარს, თითქოს სკამი გამოეცლიათ უცებ, თითქოს საწამებლად შემოეყვანათ აქ და წამიწამზე კაბას შემოახევდნენ ტანზე, ძუძუებს დაუშანთავდნენ, თუმცა პოლიცმეისტერი თავაზიანობისა და გულისხმიერების განსახიერება იყო და მეტი არაფერი. "ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო. რომ იცოდეთ, როგორ ვწუხვარ. კიდევ კარგი, მამამისი ვერ მოესწრო ამ ამბავსო" — ამბობდა გაღიმებული, სავარძლის საზურგეზე გადაწოლილი. მაგრამ, როგორც კი მისი ქმარი ახსენა პოლიცმეისტერმა, ერთბაშად ისეთი გამაოგნებელი, სასიამოვნოდ გამოცარიელებული სიმშვიდე დაეუფლა, თითქოს პოლიცმეისტერი მადლობას უხდიდა კარგი შვილის გაზრდისთვის. არათუ ქალთა გიმნაზიის გამგის გაძარცვა, არამედ ეკლესიაში ჩადენილი უმსგავსობაც, "პოლიტიკური ცელქობაც" მონაჭორად მოეჩვენა მაშინ-

ვე. ისევ მყარად დაჯდა სკამზე, ამაყი, გოროზი, ქოლგის ტარზე ხელ-ჩამოდებული. რატომღაც იქით გაუგულისდა პოლიცმეისტერს, აგდებულად, დამცინავად შეხედა, როგორც სიცრუეში გამოჭერილ კაცს, რადგან უკვე ისიც იცოდა, პოლიცმეისტერი რაღაც სხვა, ძნელად ამოსაცნობი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნით ხუჭავდა თვალს გელას "უწესო საქციელზე" და დაბეჯითებით ცდილობდა, მაინცდამაინც ქურდად, მძარცველად გამოეყვანა იგი. ახლა ამან შეაწუხა, ვერ მიხვდა, ვერ ამოხსნა უცებ, რა სჯიდა, რა ამოქმედებდა პოლიცმეისტერს ამგვარი სისაძაგლის ჩასადენად. აი, სად გამოადგებოდა ახლა მამა! მაგრამ უმალ შვილს გაწირავდა, უმალ პოლიცმეისტერს აუბამდა მხარს, უმალ შვილის ქურდობას ირწმუნებდა, ვიდრე მამას გააგებინებდა თავის ახალ უბედურებას და ერთხელ კიდევ ათქმევინებდა: მშობლის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო. "რატომ გინდათ, მაინცდამაინც ჩემი შვილი რომ იყოს ქურდიო" — მოღუშულმა, წარბებაწკეპილმა ჰკითხა პოლიცმეისტერს. პოლიცმეისტერმა სავარძელს ზურგით უბიძგა, წინ წამოვარდა და მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო. ცოტა ხანს ასე იყო, მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილ ხელებს ასავსავებდა. მერე მსხვილი, საგულდაგულოდ გათლილი ფანქარი აიღო, საქაღალდეზე რამდენიმე მკვეთრი ხაზი ჩამოუსვა ზედიზედ და თქვა: დიახ, მართალი ბრძანდებით, მე მინდა, ქურდი იყოს თქვენი შვილი და არა პოლიტიკური დამნაშავე, სხვათა შორის, ისევ თქვენი შვილის სასარგებლოდო. პოლიცმეისტერის მოულოდნელმა გულახდილობამ უარესად დააბნია ქალბატონი ელენე; ეგონა, პასუხს თავს აარიდებდა, ანდა ისე არ უპასუხებდა, როგორც უპასუხა. ერთი წამით ისიც იფიქრა, ხომ შეიძლება, მამა-ჩემს უკვე შეუთანხმდა და იმასთან ერთად შეიმუშავა გელას გადარ-ჩენის გეგმაო. რა გასაკვირია, პოლიცმეისტერს პირველად თბილისის გუბერნიის მთავარი მოსამართლისთვის გაეგებინებინა მისი შვილიშვილის ამბავი და მერე ამისთვის, რადგან გელას რამე თუ უშველიდა, ან ვინმეს გამო თუ უშველიდნენ, უმალ ბაბუა იქნებოდა ის და არა დედა; მით უფრო — მკვდარი მამა. გარდა ამისა, ეტყობა, მარ-

თლა არ არსებობდა სხვა გზა, ეტყობა, გელას გადარჩენა თუ უნდოდათ, აუცილებლად ქურდობა უნდა დაებრალებინათ მისთვის, რაც ბაბუამისს, რა თქმა უნდა, არ შეეშლებოდა და რასაც, თუკი სხვა გზა არ არსებობდა, ალბათ თვითონვე შესთავაზებდა პოლიცმეისტერს. მოკლედ, მამამისიც და პოლიცმეისტერიც ალბათ ისე მოიქცეოდნენ, როგორც გელასთვის იქნებოდა ხელსაყრელი. საწინააღმდეგოს ფიქრშიაც ვერ დაუშვებდა. მაგრამ ისევ პოლიცმეისტერის ხმამ გამოარკვია ამ დაბნეული, ერთდროულად დამაიმედებელი და დამაბნეველი ფიქრებისგან. პოლიცმეისტერი ისევ პარალელურ ხაზებს ავლებდა საქაღალდეზე და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა; კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე იმის ნალაპარაკევს ჩასწვდებოდა, ვიდრე ამოიცნობდა, რისი თქმა სურდა პოლიცმეისტერს. თუმცა ახალი არაფერი უთქვამს, მის ნაფიქრალს იმეორებდა თითქოს ხმამაღლა. როგორც იმის ნალაპარაკევიდან გამოდიოდა, ზოგი ჭირი მარგებელიცაა, რადგან გელასთვის გაცილებით აჯობებდა, სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილიყო და არა პოლიტიკური; პოლიტიკურ დანაშაულს თურმე სიკვდილამდე არ აპატიებდნენ, არ დაუვიწყებდნენ, ლაქად წაყვებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე და გინდაც ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, დღევანდელი, შეიძლება მართლაც ბავშვობით ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად, მაინც ვერ მოიშორებდა, მაინც გაუჭირდებოდა მისი ოჯახისთვის შესაფერისი გავლენისა და პატივის მოპოვება მომავალში, როცა იმისი ქურდობა ხვალ აღარავის ემახსოვრებოდა, ხოლო დღეს ათასნაირად შეიძლებოდა გამართლება, თუნდაც, ჰმ... ხელმოკლეობით. ჰმ... ობლობით. ანდა სულაც სულსწრაფობით და ტოლამხანაგებში თავის გამოჩენის სურვილით. ბავშვი რომ რაღაცას მოიპარავს, კიდევ შეიძლება იმის გაგება, ქალბატონო. ჩვენც ვყოფილვართ ბავშვები, ჩვენც მშობლები ვართ, ბოლოს და ბოლოს... ხომ შეიძლება, უცებ ისე მოსდომებოდა ლიმონათი ან ნამცხვარი, თვითონაც ვერ გაერკვია, ვის ჯიბეში ყოფდა ხელს. შეიძლება, სულაც შეყვარებული ჰყავს, და იფიქრა, ლიმონათზე და ნამცხვარზე დავპატიჟებო... თავი მოაწონა შეყვარებულს. ამ ასაკში

არიან სწორედ ბავშვები მისახედი, ქალბატონო. ყოყლოჩინობენ, დიდობენ, ვაჟკაცობენ. მაგრამ ამის პატიება კიდევ შეიძლება. სიმღერაც კია, შეყვარებული ვის არ ჰყოლიაო... მაგრამ, მაგრამ და კიდევ მაგრამ, ხელმწიფეს რომ აუჯანყდება ბავშვი, სახელმწიფოს რომ აიგდებს აბუჩად (სხვათა შორის, რა ვიცით, ვინ ოხერია, ან ვინ იგულისხმება აბიო მეფეში?), ჩვენ უმწეონი ვართ, ესე იგი, ჩვენ ვერაფრით ვეღარ მივეხმარებით, ქალბატონო. ჩვენ ხელმწიფემ დაგვსვა აქ, მეცა და მამათქვენიც, და რბილად რომ ვთქვათ, ჩვენგან დიდი უმადურობა იქნება, კალთა ვაფაროთ იმის მტრებს, ბოლოს და ბოლოს, აქ პოლიციაა და არა ხელმწიფის მტერთა აღსაზრდელი პანსიონი... ასე რომ, როგორი პატივისმცემელიც არ უნდა ვიყო თქვენი და თქვენი განსვენებული მეუღლისა... ახლაც ყურში მიდგას იმის ხმა, ქალბატონო. ახლაც თვალწინ მიდგას... არა, გათავდა, იმის ბადალი აღარ მოევლინება ჩვენს სცენას, ქალბატონო. მაგრამ მაინც ბედნიერი ყოფილა, ამ დღეს რომ ვერ მოესწრო. ამ ამბავს რომ გაიგებდა, მაინც გაუსკდებოდა გული, ქალბატონო...

— ჩემს ქმარს გული არ გასკდომია. ჩემმა ქმარმა თავი მოიკლა, — თქვა ქალბატონმა ელენემ მშვიდად, აუღელვებლად. წელგამართული იჯდა, ქოლგის ტარზე ხელჩამოდებული და მამაზე ფიქრობდა, ბრაზიანად, ღვარძლიანად: იმანაც გაწირა გელაო.

— რას მეუბნებით?! — შეიცხადა პოლიცმეისტერმა, ისე გულწრფელად, ისე ბუნებრივად, ქალბატონი ელენეც აღელდა, შეწუხდა ანაზდად.

— ჩემს ქმარს გული არ გასკდომია, — გაიმეორა სასწრაფოდ, — გაზეთებმა ყალბი ცნობა გამოაქვეყნეს. მამაჩემის ხათრით.

— ნუ ამბობთ! ნუ იტყვით! — იყვირა პოლიცმეისტერმა. — ვერ დავიჯერებ, ქალბატონო... ფუი. ისა, კი მაგრამ, რატომ უნდა მოეკლა თავი? რა სჭირდა საამისო? ხალხი ხელისგულზე ატარებდა... ჩემს შვილებს ახლაც კედელზე უკიდიათ იმისი სურათი... თუმცა, — უცებ გაიღიმა. გამომცდელად გამოხედა ქალბატონ ელენეს და გააგრძელა, უკვე მშვიდად, უკვე ღიმილგარეული ხმით. — თუმცა... ჰმ. ჰმ. ვინ

რა იცის, რა ხდება ფარდის იქით. კულისებში. თქვენისთანა ლამაზი ქალის ქმრობაც დიდი გმირობაა...

— ერთი თხოვნა შემისრულეთ მხოლოდ, — გააწყვეტინა ქალბატონმა ელენემ, თუმცა ჯერ თვითონაც არ ჰქონდა გარკვეული, ვის შეეხებოდა მისი სათხოვარი: ქმარს თუ შვილს; მკვდარი ქმრის სახელზე ზრუნავდა თუ ცოცხალი შვილის მომავალზე. პოლიცმეისტერს სახე შეეცვალა: ყურადღებად, გულისხმიერად იქცა ისევ. ფანქრიანი ხელი საქაღალდეზე ედო, თითქოს დაწერამდე გუნებაში ერთხელ კიდევ იმეორებდა ფრაზას. — ერთი თხოვნა მხოლოდ, — გააგრძელა ქალბატონმა ელენემ, — იქნებ მაინც, როგორც თქვენვე თქვით, "პოლიტიკური ცელქობისთვის" დაგესაჯათ ჩემი შვილი, ეს ალბათ უფრო შეესაბამება სიმართლეს.

— როგორ გეკადრებათ! როგორ გეკადრებათ! — უარესად შეიცხადა პოლიცმეისტერმა. — ღუპავთ? ციმბირში გინდათ ჩაალპოთ? ვერა! არა! სხვას მიმართეთ. ბოლოს და ბოლოს, მამამისთან ვმეგობრობდი... მეც გამიწიეთ ანგარიში, მეც გამიგეთ, ქალბატონო!.. — ფანქარი ბრაზიანად, უხეშად გაუსვგამოუსვა საქაღალდეზე, თითქოს ადრე გავლებული ხაზების გადასაშლელად. ერთმანეთით გადაკვეთილი ხაზები გისოსებიან სარკმელსა თუ გალიის ბადეს დაემსგავსნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ქალბატონ ელენეს.

— საკმარისია. დამარწმუნეთ, ბრწყინვალე კაზუისტი ყოფილხართ. ვერც ერთი ვექილი ვერ მოვა თქვენთან! — შესძახა სხაპასხუპით, ლაპარაკი რომ არ გაეგრძელებინა პოლიცმეისტერს.

უკვე ფეხზე იდგა: მაღალი, შავად აწოწილი, გოროზი. ფეხი უძაგძაგებდა, მაგრამ არაფერი შეტყობია გარეგნულად. პოლიცმეისტერი კართან დაეწია. სხარტად გაუღო კარი და, გაღიმებულმა, მოწიწებით დაუკრა თავი. თან მუნდირის კალთებს იქაჩავდა ძირს. ისე დაშორდნენ ერთმანეთს, თითქოს აღარაფერი ჰქონდათ გასარკვევი, თითქოს ორივეს ერთი და იგივე საზრუნავი მოეშორებინა თავიდან, თითქოს ორივეს ერთნაირად მიაჩნდა, გელასთვის ქურდობის დაბრალება ერთადერთი გამოსავალი რომ იქნებოდა, თუკი გელასთვის სიკე-

თე უნდოდათ, თუკი იმის მომავალი ადარდებდა და არა ის საჩოთირო, სწრაფწარმავალი უსიამოვნება, რაც პირადად შეხვდებოდათ გელას უწესობის გამო. ქალბატონ ელენეს უბრალოდ შეეშინდა ამ მოღიმარი, თავაზიანი (რამდენადაც შეეძლო) პოლიცმეისტერისა და ტანმა უგრძნო, ნებისმიერი წინააღმდეგობა უფრო უარეს ბოროტებათა მოსაგონებლად აღაგზნებდა იმას. ის მუშაობდა, საქმე ჰქონდა და ვინც ხელს შეუშლიდა, ისევ და ისევ მის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ქუჩაში რომ გამოვიდა, საფუძვლიანად მერე მიხვდა, თვითონაც რომ გაეწირა შვილი, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ეთქვა და მოემოქმედებინა შვილის სასარგებლოდ, რადგან გულის სიღრმეში თვითონაც ყველაფერზე თანახმა იყო, თუკი გელას მართლა ეშველებოდა რამე; თუმცა იმასაც გრძნობდა, სწორედ ახლა, პოლიცმეისტერის კაბინეტში, მისი თანდასწრებით და თანხმობით — რამდენადაც დუმილი თანხმობის ნიშანია — სამუდამოდ გადაეწყვიტათ გელას ბედი, და არა გელას სასარგებლოდ, რის დაჯერებასაც ჯიუტად ცდილობდა, არამედ — საზიანოდ, რისი დაჯერებაც არაფრით არ უნდოდა. “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!” — შეშფოთდა უნებურად. ერთი წამით უკანვე მიბრუნება დააპირა, გარკვევით რომ ეთქვა პოლიცმეისტერისთვის და კატეგორიულად მოეთხოვა: ჩემი შვილი იმისთვის დასაჯეთ, რაც დააშავა, და არა იმისთვის, რაც არ დაუშავებიაო. მაგრამ უკვე თვითონაც არ შეეძლო აერჩია, რა სჯობდა პირადად მისი შვილისთვის: დაღუპვა თუ შერცხვენა. ალბათ მაინც — შერცხვენა, რადგან ფეხიც არ შეუნელებია და ამაყი, გოროზი, შავად აწოწილი მიუყვებოდა ქუჩას.

გელას დაჭერა, სხვათა შორის, არც ნატოს შეუცხადებია მაინცდამაინც. ეგ იყო, რომ გუნებაცა და გარეგნობაც ერთბაშად გამოეცვალა, იმდენად მოულოდნელად, დიმიტრი თავისუფლად გამოლაპარაკებასაც ვეღარ უბედავდა, რაღაცნაირად დაბორკილად გრძნობდა იმასთან თავს. ადვილი შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ასაკის ბრალი ყოფილიყო ნატოს უეცარი გარდაქმნა, მაგრამ დიმიტრის, რატომღაც, ერჩია, გელას დაჭერით ყოფილიყო

გამოწვეული, ვიდრე მისთვის უცხო, მისთვის საიდუმლო ბუნების კანონზომიერებით, რაც თითქოს უფრო სახიფათო იქნებოდა თავად ნატოსთვის, ვიდრე მეზობლისა და თანატოლის უბედურებაზე წუხილი. ნატო კი, არც სიტყვით გამოთქვამდა თავის წუხილს და არც უსიტყვო ცრემლით, ასე უხვად რომ სდიოდა დედამისის თვალს. უბრალოდ — გულგრილი, გულჩათხრობილი და დაუდევარი გახდა. თუ არ გაახსენებდი, ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, თუმცა მაშინაც უნდილად, უგემურად ილოღნებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის წამოდგებოდა სკამიდან. ლოგინს გაუსწორებელს ტოვებდა. თმაგაჩეჩილი, პერანგის ამარა გამოდიოდა თავისი ოთახიდან და მთელი დღე წუწუნით, ბუზღუნით დაეძებდა წიგნს, რომელიც ხელში ეჭირა. ზღვაზე ისევ დადიოდა, მაგრამ ზღვიდან მობრუნებული, ძველებურად, თვითონვე კი არ გაფენდა გასაშრობად თავის საცურაო კოსტუმს, სადაც მოხვდებოდა, იქ მიაგდებდა, და, ლეკვის მოფსმულივით, ყოვლად შეუფერებელ ადგილას გაჩნდებოდა ხოლმე პატარა გუბე. თვითონ კი პიანინოს მიუჯდებოდა და იქამდე უკრავდა (ადრე ყელაწეული ეხვეწებოდა დედამისი, თუ არ დაუკრავ, ან რას სწავლობდი, ან რა ჯანდაბად გვინდა ეს შავი ყუთიო), სანამ თითის წვერები დაუბუჟდებოდა და ზურგი გაუშეშდებოდა. კი არ უკრავდა, აცოდვილებდა კლავიშებს; თითქოს კბილდაკრეჭილ პიანინოს აღიზიანებდა, აძლევდა და არც აძლევდა თავის ხელებს შესაჭმელად. პიანინო წუხდა, კვნესოდა, მოთქვამდა და დიმიტრის, უნებურად, ისევ ძველი დრო ახსენდებოდა, თავისი დამფრთხალი ბავშვობა, სტუმრების ჟრიამულით გაოგნებულს, ვიღაც დამთხვეული ოფიცერი გასისხლიანებული ლეჩაქით გადახვეულ ხელს ცხვირწინ რომ უტრიალებდა და ახარბებდა: აი, მე როგორი ვავა მაქვსო. “შეიკვეხე შენი ვავაო” — ახლა პასუხობდა დიმიტრი, და მართლაც, იმისი ვავა დიმიტრის სატკივართან, საფიქრალთან და სადარდელთან შედარებით მოგონილი იყო, სასაცილო. დიმიტრი ჯერჯერობით მხოლოდ გრძნობდა, ჯერჯერობით კიდევ არ იცოდა, მაგრამ უკვე მოურჩენელი, მშიერი ბარტყივით პირდაბჩენილი “ვავა” სჭირდა გულში და მთელი სიცოც-

ხლე საკუთარი ხორცით უნდა ერჩინა იგი, რადგან სხვას მაინც არაფერს მიირთმევდა — გაუმაძღარი, ღორმუცელა, კაციჭამია. გელა კი, ამასობაში, ზედიზედ გამორბოდა ციხიდან. ქვას აპობდა, ქვითკირს შლიდა, რკინას კვნეტდა და ისევ კანონის შეურყეველ კედელს აწყდებოდა ბოლოს. ხოლო იმ კედელს უფრო მეტი ხელი ესხა, ვიდრე თვითონ, ერთ დარტყმას ასით პასუხობდა და, ბოლობოლო, ისევ თვითონ ინგრეოდა, თვითონ ინაყებოდა და თავპირდასისხლიანებული ციხეს უბრუნდებოდა, რათა ერთხელ კიდევ გამოქცეულიყო იქიდან. ხოლო დიმიტრი, გელას მორიგი გამოქცევიდან მორიგ შეპყრობამდე, ისევ ფშუტი თავთავივით თავაწეული დადიოდა სახლში. გული უგრძნობდა, მის სხვენში აფარებდა თავს გამოქცეული გელა. საეჭვოდ, შემაშფოთებლად ჩაწყნარდებოდა ხოლმე სხვენი, მაგრამ იმას როგორ იკადრებდა, ჯოხი მიეკაკუნებინა ჭერზე და სხვენში გატრუნული ბიჭისთვის დაეყვირა: ვიცი, რომ მანდა ხარ და გირჩევნია, შენი ნებით გამეცალო, ვიდრე პოლიციისთვის დამიძახიაო. ხოლო ერთ დღეს, როცა მისმა ქალიშვილმა ხელსახოცგადაფარებული თეფში ოფიციანტის გულგრილობით ჩაუტარა ცხვირწინ და თავისი დამთხვეული მეზობლის დასაპურებლად სხვენს მიაშურა, ჯერ სიცილი აუვარდა (უკვე შემჯდარი ჰყავდა ეშმაკი), მერე კი თავზარი დაეცა, რადგან მთელი არსებით იგრძნო, ყოველი წამის დაყოვნება გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, დიდი ბოროტება იქნებოდა საკუთარი შვილის წინაშე, რომელიც ისე დაებრმავებინა სიკეთესა და სიყვარულს, ნებისმიერ ხაფანგში შეყოფდა თავს, ისევე გულგრილად, როგორც ხელსახოცგადაფარებული თეფში ჩაატარა წეღან. დაყოვნება ნამდვილად დანაშაული იყო და თანაც ისეთივე ბინძური, როგორც ბრმისთვის — ჯოხის, ანდა კოსტასთვის ხის ფეხის მოპარვა, ხის ფეხისა, რომელიც ღამღამობით ბალიშის მაგივრობას უწევდა და ურომლისოდაც დღისით სარდაფის კიბეზეც ვერ ამოვიდოდა, ქვეყანა რომ დაენახა. ამის ბრალიცაა, ლამის შუაღამისას, თავსხმაში, ფეთიანივით რომ გამოვარდა შინიდან და კი არ აჰყვა ეშმაკს, ზედ ჩამოეკიდა — მიშველეო, რადგან თვითონ თავი სად ება, არ იცოდა,

სად უნდა მისულიყო, ვისთვის უნდა მიემართა. მიდი, მიდი, მართალი ხარ, რომ იცოდე, რა სიკეთეს სჩადიხარო — აქეზებდა ეშმაკი — გელას მაინც დაიჭერენ, მაგრამ რაც უფრო მალე დაიჭერენ, იმისთვისაც აჯობებს და შენთვისაცო, ვექილი კაცი ხარ, ჩემგან რა გესწავლებაო. მარტი იყო, ცა ფეხად ჩამოდიოდა. ქალაქი არ ჩანდა, თითქოს წყალს წაუღიაო. არც ახსოვს, როგორ გარბოდა თავსხმაში, როგორ შევარდა პოლიცმეისტერის კაბინეტში, როგორ მოითხოვა მაშინვე წყალი, თითქოს ამის გულისთვის გამოქცეულიყო შინიდან, წყურვილისთვის ვერ გაეძლო, და ახლა თან წყალს სვამდა, თან წარამარა მადლობას უხდიდა ვიღაც ყბაახვეულ ჟანდარმს, პოლიცმეისტერის ნიშანზე კედლიდან რომ გამოდიოდა თითქოს, ჭიქას უვსებდა და ისევ კედელში შედიოდა. არც ის ახსოვს, რა იბოდიალა, რას მიედმოედო, ვიდრე, თავისი ჭკუით, მეტად მოხერხებულად შეაპარებდა პოლიცმეისტერს, თქვენ რომ პორტსა და სადგურში ეძებთ, რატომ არ შეიძლება, ის კაცი სადმე სხვენში იმალებოდესო. თუ კაცი ხარ, ერთი გამაგებინე, კაზუისტი რას ნიშნავსო — ჰკითხა პოლიცმეისტერმა. შერეკილი მარტი იყო, ცა ფეხად ჩამოდიოდა. ცარიელ ქუჩაში, სარკესავით მოკრიალებულ ასფალტზე, აკონწიალებული ნათურის მბჟუტავ შუქზე, მავთულს გადამწყდარი ჩიტი კვდებოდა. ნავსადგურში გემები ღმუოდნენ. სადგურიდან ორთქლმავლის შეკივლება ისმოდა, თორემ ისე უკაცურს ჰგავდა ქალაქი. მარტი იყო. ყველაზე გიჟი თვე, მტირალაზე თოვლი იდო. ნესტიანი სიცივე ძვალრბილში ატანდა. არაფერი ჯობდა ახლა შინ ყოფნას და ლოგინში წოლას. გინდაც არ დაგძინებოდა, არაფერი დაშავდებოდა, გაუყუჩდებოდი სითბოს, ჩაკიდებდი ხელს რომელიმე ფიქრს, როგორც გლეხი — ურმის ჭალს, და ნელა, ტაატით, შეიძლება სასიამოვნოდაც კი, გაგეყვანა დრო. ის კი პოლიცმეისტერის კაბინეტში იჯდა და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ვერაფრით ვერ იკლავდა წყურვილს. თან დაბნეული იმეორებდა გუნებაში: კაზუისტი, კაზუისტი, კაზუისტიო, როგორც იდუმალებით მოსილ ბიბლიურ სიტყვას, რომელსაც, ხშირი გამეორებისგან, თავისთავად დაეკარგა იდუმალი აზრიცა და მნიშვნე-

ლობაც. ქუჩაში ჩამოვარდნილი ჩიტი უკვე მომკვდარიყო. სველი, აჩეჩილი ბუმბულიდან მხრის გაშიშვლებული ძვალი გამოეყო, წკირივით გადატეხილი. ეგდო ასფალტზე, ელოდებოდა, როდის გაათრევდა მაწანწალა ძაღლი, ანდა ვინმე მადლიანი როდის ჩააგდებდა სანაგვე ყუთში. წვიმა გაშმაგებული ტკეპნიდა მძიმე, ტყვიასავით მძიმე და სწრაფი წვეთებით, თითქოს ასფალტში უპირებდა ჩამარხვას, ჩაგლესვას, ჩაკარგვას, გათენებამდე, მაწანწალა ძაღლის ანდა ვიღაც მადლიანის გამოჩენამდე რომ მოესპო ამ ბრმა სიკვდილის კვალი. დიმიტრი კი პოლიცმეისტერის კაბინეტში იჯდა და ალმური გადასდიოდა სახეზე. კეფაში თითქოს ჩაქუჩს ურტყამდა ვიღაცა და ისიც უნებურად აბრუნებდა თავს, მართლა ხომ არ მიდგას ვინმე უკანო. ყბაახვეული ჟანდარმი მხოლოდ წყლის დასასხმელად გამოდიოდა კედლიდან; გადაუვსებდა ჭიქას და ისევ კედელში უჩინარდებოდა. ოთახში ისა და პოლიცმეისტერი იყვნენ მარტო. ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და უღიმოდნენ ერთმანეთს. დიმიტრის ცეცხლი ეკიდა. კაზუისტი, კაზუისტი, კაზუისტიო — გიჟივით იმეორებდა გუნებაში. ცოტაც და ალი ავარდებოდა ალბათ. გაძლება რომ გაუჭირდა, ზრდილობა ფეხებზე დაიკიდა, ცხვირსახოცს ჭიქიდან წყალი დაასხა და გავარვარებულ კისერზე დაიფინა. “როგორ იცვლება ცხოვრება! მამათქვენს, ჩემს პატივცემულ კოლეგას, თავზე ხელაღებული ავაზაკიც ანგელოზი ეგონა; ჩვენ კი, მის შვილებს, ანუ მე და თქვენ, ანგელოზის ცელქობაც ავაზაკობად გვეჩვენებაო” — ამბობდა პოლიცმეისტერი, ძალიან ნელა, ძალიან დიდხანს, ღეჭვით, ზოზინით. ათასი ყოვლად უსარგებლო, ყოვლად შეუფერებელი სიტყვის მოშველიებით, მაგრამ დიმიტრის მაინც ესმოდა, მაინც პირდაპირ ტვინში ურტყამდა პოლიცმეისტერის ნალაპარაკევი. “არავითარ შემთხვევაში. არავითარ შემთხვევაში. არავითარ შემთხვევაშიო” — ლუღლუღებდა უაზროდ, რადგან თვითონაც არ იცოდა წესიერად, რისი თქმა უნდოდა, რას უარყოფდა: მამის გულუბრყვილობასა თუ საკუთარ გულნამცეცობას. სროლა რომ ატყდა ქალაქში, დაფეთებული წამოვარდა ფეხზე და იყვირა: მოკლავენ, მოკლავენო! “ჩვენ არავის არ

ვკლავთ. ჩვენ თქვენს სიმშვიდეზე ვზრუნავთ!” — რატომღაც გაუბრაზდა პოლიცმეისტერი, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, თავი გადააქნია, ხელით ანიშნა, დაჯექიო, და გააგრძელა: ისა. ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. სპექტაკლია. დიახ, პატარა სპექტაკლიო.

3

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ რომ ეთქვათ იმისთვის, ხუთი წლის მერე ასე და ასე მოხდება და თქვენ როგორ ფიქრობთ, თქვენ როგორ გგონიათ, რამ შეიძლება გადაადგმევინოს თქვენს შვილს ამგვარად სულელური, ყოვლად გაუმართლებელი და, რაც მთავარია, მისთვის ესოდენ საზიანო ნაბიჯიო — სიყვარულმაო — უპასუხებდა დაუფიქრებლად, რადგან ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, ბაზრიდან მობრუნებულმა, იატაკზე, გაქუცულსა და კატის ბალნით მოფენილ ნოხზე, მტაცებელი ნადირის ლეკვებივით, ერთმანეთს ჩაფრენილი, ოფლად გახვითქული, ტანსაცმელშემოჩაჩული, ჯობნის, დაჩაგვრის, ძლევის, გამარჯვების ჟინით თვალგადათეთრებული გელა და ნატო რომ დაინახა, იმის მერე არ განელებია ავი წინათგრძნობა, ერთი წამითაც არ დაუშვია, ეს ჩვეულებრივი ბავშვური თამაში რომ იყო და არა პირველი იდუმალი ნიშანი, პირველი გამოძახილი, სულაც დასაწყისი ბევრად ძლიერი, ბევრად ხანგრძლივი, ბევრად დაუნდობელი და სახიფათო მოვლენისა, ვიდრე ნებისმიერი თამაშია, ანდა თავად ბავშვობა. პირველად რომ გაიქცა გელა, არ გაჰკვირვებია, და იმასაც მაშინვე შეეგუა, ახლა უფრო დიდხანს რომ მოუწევდა ლოდინი, თუკი მისი მოლოდინი საერთოდ უსასრულობაში არ გადაიზრდებოდა, თუკი მისი შვილი როდისმე მაინც მოიხდიდა სასჯელს, ახალს აღარაფერს დააშავებდა, რაც ისეთივე ძნელი წარმოსადგენი, ძნელი დასაჯერებელი იყო მისთვის, როგორც მკვდარი ქმრის გაცოცხლება; მის შვილს ახლა მეტი მიზეზი ჰქონდა დანაშაულის ჩასადენად. ახლა იძულებულიც იყო ჩაედინა დანაშაული, რამდენადაც აღარც დედას ეკუთვნოდა და აღარც საკუთარ თავს, სხვა ჰყავდა მბრძანებელიცა და წარმმართველიც მის გულსა და გონებას, სხვა — უმეცართა, გულუბრყვილოთა, მეოცნებეთა და მოიმედეთა პირსისხლიანი კერპი, ბელადი — ნებისმიერი ნათესაური კავშირის დამარღვეველი, ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობის შემბღალავი — რომლისაც ბრმად სჯერათ და რომელსაც ბრმად ეწირებიან. საკუთარ კისერზე ჰქონდა

ნაწვნევი იმისი დამღუპველი ძალა; კარგად იცნობდა იმის ვერაგულ ბუნებას, ძალაუნებურად რომ გაკეთებინებს და გალაპარაკებს, რისი თქმაცა და გაკეთებაც თავად სურს, და რასაც არასოდეს გააკეთებდი ან იტყოდი, მხოლოდ შენს ნებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ რაკი უკვე იმისი ტყვე ხარ, რაკი უკვე დაგაბრმავა და დაგაყრუა, ვერ ფიქრობ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობ, და ვერ ამბობ იმას, რასაც ფიქრობ. არც სხვისი გეყურება; სხვისი კი არა — შენიანების, შენი სიბრმავითა და შენი სიყრუით შეწუხებული ხალხისა; არავისი არ გჯერა; არავინ არ გინდა; დაუფიქრებლად სპობ, აჩანაგებ ყველაფერს, რითაც იქამდე გიცხოვრია; თუმცა ჯერ საკითხავია, სანაცვლოდ რას მოიპოვებ; ჯერ საკითხავია, რას გააკეთებ, ის რომ არ აკეთო, რასაც აქამდე აკეთებდი. მშობლიური სახლი ციხე გგონია. კი არ გწყინს, გსიამოვნებს, რაღაცნაირად გიხარია, როცა დედაშენი, ქუჩაში არ გავიდეს ხმაო, დარაბებს ხურავს და თმააწეწილი, ხელებასავსავებული დაგყვირის თავზე: მირჩევნია, მომიკვდე, გიტირებ მაინც ჩემს გემოზეო. შენც ასე გირჩევნია, რადგან ცოცხალი თუ ვერ გააღწევ, მკვდარს ხომ ნამდვილად გაგიტანენ აქედან, თანაც სამუდამოდ. დღეებს ითვლი, ტუსაღივით; მოლოდინით გულგაწყალებული, სიგიჟემდე მისული; ყოველღამე, დაძინებამდე (თუკი ძილი გეღირსა), იმ კედელზე, რომელმაც უნდა დაგიცვას შენ და რომელთანაც შენი ქალიშვილობის საწოლია მიდგმული, ფრჩხილით ჩამოფხაჭნილ ხაზებს კიდევ ერთს უმატებ, კიდევ ერთი, გადატანილი, მოშორებული დღის აღსანიშნავად, რადგან სული მიგდის, როდის გააღწევ, როდის მოეღება ბოლო შენს ტყვეობას. სინამდვილეში კი, თურმე, ასაკს უჯანყდები მხოლოდ; გრძნობის ტყვე ხარ და არა ცოდვის მონა; ჯერ ბუნება წარმართავს შენს არსებას და არა საკუთარი ნაფიქრალი და ნამოღვაწარი; შენ კი (უფრო სწორედ, შენც — რადგან, თურმე, არც ამით გამოირჩევი სხვა შენი ასაკის გოგოსაგან) ბუნების ტყვეობას, საკუთარი ნაფიქრალისა და ნამოღვაწარის მონობა გირჩევნია; გაურკვეველს — გარკვეული; შეუცნობელს — შეცნობილი; რამდენადაც პირველი გეჩოთირება, მეორე კი — გხიბლავს, გი-

ზიდავს, საერთო საკნიდან, სადაც მეტნაკლებად გარკვეული დრო უნდა გაგეტარებინა, ვიდრე სახიფათო, მაგრამ ბუნებისგან დადგენილი და ყველასათვის სავალდებულო ასაკი გაგივლიდა, ერთადგილიან საკანში გადაყვანას გპირდება, რაც, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი არსებობის უარყოფაა და მეტი არაფერი. მაგრამ ამდენი ჯერ არ გაგეგება, ჯერ არაფერი არ იცი, ჯერ ბრმა ხარ, ყრუ ხარ, და საათობით, უსასრულოდ იჭყიტები ჯიბის მრგვალ სარკეში, გაზარმაცებული, დასუსტებული, გაოგნებული... საკუთარი სახის ცქერაც დედის წყევლასავით გსიამოვნებს, რადგან მალე იმასაც უნდა გამოეთხოვო სამუდამოდ; მალე ისეთი აღარ იქნები; აღარასოდეს აღარ იქნები ისეთი და როცა დედა, მამა ანდა ლიზა გეძახის, გიხმობს, გახსენებს, ჯერ კიდევ აქა ხარ, ჯერ ისევ ჩვენ გვეკუთვნიო, იმათ კი არ ეპასუხები — იძახონ რამდენიც უნდათ, სანამ არ მობეზრდებათ — სარკეს ელაპარაკები, საკუთარ გამოსახულებას ეჩურჩულები სარკეში: ფაფუ, აღარ არის თქვენი ელენეო. დედის ხმაც კი გაღიზიანებს, რადგან იმას არ გეუბნება, რისი მოსმენაც გინდა, მაინცდამაინც იმისი პირიდან, მაინცდამაინც დედის, შენზე გამოცდილი და შენთვის ყველაზე ახლობელი ქალის პირიდან გინდა გაიგონო: წადი, დაიღუპე, ჩავარდი ტალახშიო; სიგიჟემდე გინდა, ნატრულობ, ოცნებობ, ასე რომ გითხრას დედამ, რადგან წასვლა დაბრუნება გგონია, დაღუპვა — გადარჩენა და ტალახი — ბროლის ციხედარბაზი, არა — თეატრი! — ხავერდის ფარდებითა და სარკეებით მორთული, ლამპიონებით გაჩაღებული, აღთქმული ქვეყნის კარიბჭე, სადაც შენი გმირი (მომავალი მაჩაბელი) ვარსკვლავებს სწყვეტს და შენკენ ისვრის მღელვარებისგან, აღტაცებისგან სუნთქვაშეგუბულ დარბაზში, მთელი საქალეთის გულის გასახეთქად. “გაიგე? გაიგე? — უყვირის დედაშენი მამაშენს. — შენი სანაქებო ქალიშვილი შარვალგამოხეულ მსახიობს მიჰყვება თურმეო”. შენ უკვე სარკეში იყურები, სარკეში ხარ შეხიზნული; შენდა უნებურად, თავისთავად გამოგიმუშავდა თავდაცვის ეს ერთადერთი ხერხი (“გარდასახვის უნარი” — როგორც შენი გმირი იტყოდა) და ამიტომაც არ იშორებ სარკეს: ქუჩაში ჩანთით დაატარებ, შინ ხალა-

თის ჯიბეში გიდევს, ღამით კი — ბალიშის ქვეშ ინახავ, მარტო რომ არ დარჩე შენთვის ყველაზე მძიმე წუთებში, უფრო სწორად, გარდასახვა მოასწრო და შემცბარი, დამფრთხალი, კიკოსავით არ იდგე ბრძოლის ველზე, სადაც შენი ყოფნაარყოფნის საკითხი წყდება; "მტრის" სიმრავლემ არ წაგახდინოს; საცოდავი, უმწეო, უნებისყოფო არ მოეჩვენო მტერს; წარბი არ შეგიკრთეს, ფერი არ დაგეკარგოს, ტუჩი არ აგიცახცახდეს ამაზრზენად (როგორც მსახიობებს ემართებათ თურმე, ვიდრე როლში შესვლას მოასწრებენ); თვალები არ ამოგიქოლოს შებრალების, პატიების მავედრებელმა ცრემლმა. საკმარისია, ჩაიხედო სარკეში, ენა გამოუყო შენს დაბნეულ, დამფრთხალ ორეულს, და გათავდა, ორივენი, შენცა და შენი ორეულიც მზადა ხართ უარესის მოსასმენად, მოსათმენად, გადასატანად. "რა გვჭირდა საამისო, რა გვჭირდა! რა გვჭირდა!" — ყვირის დედა. მამაშენი კი იცინის, სასაცილოდ არ ყოფნის ქალიშვილის "დანაშაული" თბილისის გუბერნიის მთავარ მოსამართლეს, უარეს დანაშაულთა მცოდნეს, მომსწრეს, გამომჩხრეკელს... ანდა არ სჯერა, ვერ დაუჯერებია, არ უნდა დაიჯეროს, მართლა ასეთი სულელი თუა მისი ქალიშვილი — სხვათა, უცხოთა, შემთხვევითთა ბედის წარმმართველის, იმპერიის ბეჭდისა და კვერთხის მპყრობელის ქალიშვილი. ჩვეულებისამებრ, როგორც ყველა სხვა ოჯახური უსიამოვნება, ხუმრობად უნდა აქციოს ესეც და, გაზეთზე თავდახრილი (გაზეთიდანაც არ სწევს თავს, ამდენი ყურადღების ღირსადაც არ თვლის ამ მორიგ უსიამოვნებას), სიცილით პასუხობს დედაშენს: შენ რას ღელავ, შენ რას განიცდი, ეგ მიყვება, შენ ხომ არაო. "დარწმუნებული ვარ, ჩემი ქალიშვილი ცუდს არაფერს ჩაიდენს" — აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, უსიცოცხლოდ, ყრუდ, ყოველგვარი ვნებისაგან, გრძნობისაგან, განცდისაგან განტვირთული ხმით, თითქოს თავის ღრმა რწმენას კი არ გამოთქვამს, გაზეთიდან კითხულობს მოარულსა და გაცვეთილ ფრაზას. მაგრამ ყველაფერი ეს, უშენოდ ხდება, შენი არსების გარეთ; შენ სარკეში იჭყიტები. არა, შენ იქა ხარ, შარვალგამოხეულთან. შარვალგამოხეულთან! გუნებაში ეფერები, ელოლიავები ამ სიტყვას,

ბრაზით, ღვარძლიანად რომ წამოისროლა წეღან დედაშენმა; თითქოს უმიზეზოდ დატუქსულსა და სატირლად გამზადებულ ბავშვს ამშვიდებ, თავზე ხელს უსვამ, ამხნევებ, ათამამებ, აქებ: მოდი, ამათაც დავუმტკიცოთ, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე წესიერი, ყველაზე კარგი ბავშვი რომ ხარ მთელს ქვეყანაზეო, და განუწყვეტლივ ის გიდგას თვალწინ, ვისი მისამართითაც ეს სიტყვა წამოისროლეს წეღან, საერთო საცხოვრებლის ოთახში გამომწყვდეული, უჰაერობისგან, პაპიროსის ბოლისგან გადაფითრებული, ახალი როლით შეპყრობილი, სხვის ცხოვრებაში ჩაფლული, ჩაკარგული, სხვისი ნაკლისა თუ ღირსების შემსისხლხორცებელი, სხვათა ნათქვამისა და ნაფიქრალის გამზუთხველი, ბედნიერი, ნეტარი წამებული, იმდენად მოწყვეტილი ყველასა და ყველაფერს, შენთვისაც კი ვერ მოუცლია — ეს დღეები ვერ გნახავო — რადგან უნდა შეძლოს, უნდა დაძლიოს საკუთარი სისუსტე და სხვათა სისუსტის მამხილებლად, მგმობელად იქცეს, რა თქმა უნდა, სხვისი სახელით, სხვის სახეს ამოფარებული, სხვისი კაბაჯუბით შენიღბული. შენ ვითომ მშობლებს უსმენ, მაგრამ იმის ხმა გიტრიალებს ყურში, შენთვის ბოლომდე გაუგებარი, მაგრამ თავზარდამცემი, შემაწუხებელი, შემაშფოთებელი სიმართლით გაჟღენთილი, როგორც სახვევი სისხლით, რომელსაც, გინდა თუ არა, მაინც უნდა მიაქციო ყურადღება, აუცილებლად უნდა მოიხსნა, მოიშორო, ახლით შეცვალო, ჭრილობაც რომ დაგიმშვიდდეს და გულიც. მაგრამ ახალი სახვევი აღარა გაქვს; უფრო სწორად, იმ ტკივილის გეშინია, ჭრილობაზე მიწებებული სახვევის აძრობას რომ ახლავს, და ჯიუტად ამბობ უარს გამოცვლაზე, რადგან "სახვევის გამოცვლა" იმის დაჯერებასაც ნიშნავს, რასაც შენიანები, შენი "მკურნალები" გეუბნებიან, ესე იგი — შინ დარჩენას, მამის პატივისა და დედის ქარაფშუტობის გაზიარებას, იმის სამუდამოდ დავიწყებას, ვისი დავიწყებაც არ შეგიძლია, რაც შენს ძალღონეს აღემატება, გინდაც იმას როლის დაზუთხვა ერჩივნოს შენთან ყოფნას და სცენაზე, წამიერი აღმაფრენისას განცდილი თავისუფლება — შენს მარადიულ მონობას. შეიძლება, გრძნობ კიდეც "სახვევის გამოცვლის" აუცი-

ლებლობას, შეიძლება, დედის გაუთავებელმა შეგონებებმა შენს გულშიაც აღძრა რაღაც ეჭვის მაგვარი, მაგრამ მშობლის სიმართლეს — მრავალგზის შემოწმებულს, შეურყეველს, შეუვალს — მაინც იმისი ზღაპარი, ოცნება და სიზმარი გირჩევნია, და თუმცა თვითონვე არ გჯერა, გინდა — ყველას სჯეროდეს, შენი რჩეული, შენი გმირი მართლა რომ შესძლებს შეუძლებელს და, ერთხელაც იქნება, ხმალშემართული ისკუპებს სცენიდან, როგორც ნაპირსმომდგარი ხომალდიდან, რათა ნაკუწნაკუწ აქნას, აჩეხოს ცხრათავიანი გველეშაპი, სამშობლოს სულის წყაროს რომ შემოხვევია, კუდი თავზე გადაუგდია და ოხშივრიანი, შხამიანი ამონასუნთქით განუსჯელად წამლავს ყველაფერს, ბანგივით ეკიდება გულს, თვალს, ენას, მახსოვრობას. “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო” — შეშფოთებული იძახი გუნებაში და არა იმიტომ, ასე შემზარავად რომ გიხატავს შენი გმირი სინამდვილეს, არამედ იმიტომ, ძალიან რომ დაგწყდება გული, ძალიან რომ გაწბილდები თუკი ამგვარი გმირობის ჩადენის საშუალება არ მიეცემა იმას, გინდაც მამაშენის საზიანოდ. ვერაგი, დაუნდობელი ძალის კლანჭებში ხარ მოქცეული და იმას არ აკეთებ, რაც უნდა გააკეთო; ნათქვამს არ უფიქრდები და იმას არ ამბობ, რასაც ფიქრობ. “მივდივარ. ერთი დღე აღარ გავჩერდები აქ!” — ყვირი, მოწაფეთა მიუხვედრელობით მოთმინებიდან გამოსული მასწავლებელივით; დედის საერთო რვეულს, რომელიც ჟურნალგაზეთებიდან გადმოწერილი ლექსებითა და მკვდარი ფოთლებითაა სავსე, მაგიდაზე ანარცხებ და ოთახიდან გამორბიხარ; მაგრამ იქამდე მაინც ასწრებ დაინახო, ჰაერშივე როგორ იფშხვნება რვეულიდან გამოვარდნილი ხმელი ფოთოლი, და ერთი წუთით თვითონაც რომ არ იცი — რაზე, გული გწყდება, წამიერი სევდა და სინანულის გრძნობა გეუფლება ოთახიდან გამოსულს (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო) და აი, უკვე ტრამვაიში ხარ; მამისეულ ეტლში კი არა, როგორც მიგაჩვიეს თავიდანვე, არამედ — ტრამვაიში, სადაც ძნელი გასარჩევია ქალბატონი და ქუჩის ქალი. თანაც კი არ ზიხარ, ფეხზე დგახარ, თითქოს პირველსავე გაჩერებაზე აპირებ ჩამოსვლას. “გათავდა. მეყოფა. მართალი ვარ!” — ბრა-

ზიანად, ჯიუტად იმეორებ გუნებაში, თუმცა, მშობლიური ციხიდან თავდაღწეულმა, უკვე საკუთარი თავის ბატონპატრონმა, წესიერად აღარ იცი, რა გათავდა, რა გეყო, რაში ხარ მართალი. ტრამვაი კი მიღრჭიალებს, მიბორძიკობს, მიკანკალებს: აღარ თავდება ნაცრისფრად, ლურჯად, მწვანედ, აგურისფრად გადაღებილი სახლების რიგი, მღვიმეებივით თვალგამოშავებული სადარბაზოები, დარაბებით დაგმანული თუ მძიმე, სქელი ფარდებით ამოქოლილი ფანჯრები — თითქოს იმათ იქით ისეთი რამე ხდება, კაცის თვალს არ ენახვება. ლამის თავით წამოედო ათასნაირი ხარახურით დატვირთულსა და ჩამოსაქცევად გამზადებულ აივნებს. სკლინტშემხმარი გალია ანდა კიდეჩამომტვრეული, ყვავილჩამჭკნარი ქოთანი გხვდება თვალში წარამარა და შენც ტრამვაისთან ერთად მიღრჭიალებ, მიბორძიკომ, მიკანკალებ სინათლის გაუთავებელ გვირაბში, მახეში გაბმული ნადირივით გიძრწის სხეული, თითქოს ტრამვაიში კი არა, სასამართლოს დარბაზში ხარ და თითქოს ვატმანი კი არა, მამაშენი აწკრიალებს ასე შემაწუხებლად ზარს, აყაყანებული ხალხი რომ ჩააწყნაროს და მშრალი, მაგრამ ლითონივით მტკიცე ხმით ერთხელ კიდევ გკითხოს: სად მიდიხარ და რატომო. “სადაც მინდა. ვისთანაც მინდა” — პასუხობ ბავშვური სიჯიუტით, ახლა უფრო ხალხის ჯიბრით, კვიმატურად მოღიმარი, ხან შენ რომ შემოგხედავს, ხან — მამაშენს, ხან ბრალდებულს, ხან ბრალმდებელს, და ერთი სული აქვს, შეიტყოს, როგორ გათავდება ეს უჩვეულო სანახაობა, რა გადასძლევს მართლმსაჯულების სასწორს, ვალდებულება თუ მამაშვილობა. უნებურად, ის შორეული დღე გახსენდება, პატარა გოგო მამამ სამსახურში რომ წაგიყვანა. “აი, აქ წყდება ადამიანის ბედიო” — გითხრა და ხელი ჰაერში მოატარა. შენ მამის ხელს თვალი გააყოლე და ჩიტი დაინახე. ქუჩიდან შემოფრენილი, ცარიელი სკამების ზღვაზე დაფრთხიალებდა. ალბათ ვეღარ მიეკვლია იმ ადგილისთვის, საიდანაც ეს წუთია შემოფრენილიყო. ძლივძლივობით, ფრთების გამალებული ფართხუნით მოიკიდებდა ფეხს დაბღვერილი კარიატიდის თავზე, ერთს დაიჭყივლებდა და ისევ წამოფრინდებოდა. წინ და უკან დაქ-

როდა უზარმაზარ დარბაზში. ვერ ხედავდა პირთამდე მოღებულ, თაღიან სარკმლებს, საიდანაც უხვად იღვრებოდა სივრცე, როგორც ნათურიდან — შუქი (მას მერე, რატომღაც, დარწმუნებული იყავი, სასამართლოს დარბაზში ყოველთვის დაფრინავდა გზააბნეული ჩიტი, როგორც შეცდომილი სულის სიმბოლო, და სულ ასე იფრენდა, ვიდრე გული გაუსკდებოდა, ვიდრე ცარიელი სკამების ზღვაში ჩაინთქმებოდა სამუდამოდ). მკლავებდაკაპიწებულმა, ვედროზე დახრილმა დედაბერმა გაწურული ტილო მკვდარი, ყავისფერი თევზივით ამოიღო ვედროდან და მოგაძახა: "გაიზარდე დიდი გოგოო". "სადაც მინდა. ვისთანაც მინდა" — იმეორებ გუნებაში ამ უჩვეულო, მოულოდნელი ჩვენებით, ცოტა არ იყოს, შემცბარი, ნირწამხდარი, მაგრამ მაინც თავზეხელაღებული კაცის სიმკაცრით, სიუხეშით, მრისხანებით მიისწრაფი შენი ცხოვრებისთვის ყველაზე დიადი წამისკენ, თუმცა ძალით დათრგუნული, შეგნებულად მიჩქმალული, ვინ იცის, რა გზებითა და რა სასწაულებით გადარჩენილი ნასახი შენი ბავშვობისა, გამწარებული გექაჩება უკან, წუხს, წრიალებს, შფოთავს, კენწეროზე შერჩენილი ერთადერთი ფოთოლივით, სადღაც, შენი გაოგნებული არსების სიბნელეში, თითქოს იცის, თითქოს გული უგრძნობს, ეს გზა მომაკვდინებელი იქნება მისთვის, ამ გზის მერე ვეღარ დამალავს, ვეღარ შეინახავს თავს და ისედაც გატიტვლებულ ხეს, ისიც სამუდამოდ მოწყდება. მაგრამ შენ, სწორედ საკუთარ არსებაში საკუთარი ბავშვობის უკანასკნელი ნასახის აღმოსაფხვრელად მიდიხარ, ყოყმანისა და გაურკვევლობისგან გასათავისუფლებლად, და ვეღარაფერი შეგაჩერებს, ვერც გამოფხიზლდები, ვიდრე თავისთავად არ გამოგნელდება სიმთვრალე, ვიდრე ცხვირს არ ჩაყოფ ტალახში, ვიდრე არ დარწმუნდები, გმირები მხოლოდ ზღაპრებში რომ არსებობენ და თვითონვე არ ირწმუნებ იმას, რასაც შენი კეთილისმსურველები იქამდეც გიმტკიცებდნენ. მაგრამ შენ იმას არ აკეთებ, რაც უნდა გააკეთო, ანუ იმას აკეთებ, რის გაკეთებასაც ვერაგი, დამღუპველი ძალა გაიძულებს, და ამიტომ, აღარაფერს შეუძლია, ხელი აგაღებინოს განზრახვაზე, არც საერთო საცხოვრებლის წინ აკაციის

ხეზე აჟივჟივებულ ჩიტს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარ-
თლმსაჯულების ტაძარში გამომწყვდეულ ჩიტთან, წეღან რომ მოგე-
ლანდა ტრამვაიში, და რომელიც მინდვრებიდან სხვებზე ადრე თით-
ქოს მხოლოდ იმიტომ დაბრუნებულა, შენ რომ ჩამოგძახოს ხიდან:
რას სჩადიხარ, გოგო, გონს მოდიო; არც ტრამვაის, შენ რომ მოგიყ-
ვანა და ახლა ნელა, ზარის გაუთავებელი წკრიალით უხვევს პატარა
მოედანზე, თითქოს შენ რომ მოგახედოს, გაგახსენოს გადამრჩენე-
ლი გზის არსებობა; და არც მთვრალს, ორმა მეეზოვემ რომ გადაათ-
რია ლიანდაგზე, თითქოს მხოლოდ იმიტომ, თვალნათელი მაგალი-
თით რომ ეჩვენებინათ შენთვის, თუ რა მოსდევს უგონო სიმთვრა-
ლეს. სირცხვილით შენც გრცხვენია, ფეხები უკან გრჩება, მაგრამ
თავს ძალას ატან და მაინც მიდიხარ (გმირს უნდა მიეხმარო ლაბი-
რინთიდან გამოსვლაში), ისე მტკიცედ აბიჯებ ფეხებს, ლოყები გით-
რთის. ერთ სიკვდილს გაათავებ, ვიდრე საერთო საცხოვრებლის
ეზოს გადაჭრი, მოჩვენებითი გულგრილობით გაივლი ეზოში გამო-
ფენილ კაცებს შორის — ბილწი ცნობისმოყვარეობით რომ გაყოლე-
ბენ თვალს მათ სამფლობელოში შემოფრენილ უცხო ჩიტუნიას —
ვიდრე კიბეს აათავებ, ვიდრე, გარეგნულად მშვიდი, ამაყი, უკარება,
მაგრამ უკვე ფარხმალდაყრილი, დაბნეული შეაბიჯებ მარტოხელა
კაცების სუნით გაჟღენთილ დერეფანში, შენი ფეხის ხმაზე გამოჭყე-
ტილი ბიჭის დაყვლეპილ თვალებში — ჯარისკაცის ძველი მაზარა
რომ მოუგდია შიშველ მხრებზე, ხელში უთო რომ უჭირავს და ისე ძა-
ლიან უნდა იმასთან მიდიოდე, ვითომ ზრდილობისთვისაც ვერ უკით-
ხავს: ვის ეძებთ, ქალიშვილოო. საუკუნე გავა, ვიდრე დერეფნის ბო-
ლოში გახვალ, ვიდრე მისი ოთახის კარს მონახავ, მხოლოდ და მხო-
ლოდ ქალური გუმანისა და ყნოსვის წყალობით, და კი არ შეაღებ,
შეგლეჯ; მაგრამ, მიუხედავად გადატანილი შიშისა და მღელვარები-
სა, შენი უპირველესი მიზანი ერთი წუთითაც არ გავიწყდება. სირ-
ცხვილისგან, გადატანილისგან მოგვრილ სიწითლეს სიცხესა და
ჩქარ სიარულს აბრალებ. ისევ ის ვერაგი და დამღუპველი ძალა
გაიძულებს ითვალთმაქცო და იმას, შენი მოულოდნელი გამოცხადე-

ბით არანაკლებ დაბნეულსა და დამფრთხალს, ჯერ ცივი წყლის ამოსატანად აგზავნი ეზოში — ცოტა დრო რომ მოიგო, დამშვიდდე, დალაგდე, საბრძოლველად მოემზადო, თანაც, ერთხელ კიდევ შეამოწმო, რამდენად უყვარხარ, რამდენად გცემს პატივს და რამდენად იქნება შენი მორჩილი სულ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე — დევთა და გველეშაპთა შემმუსვრელი — მერე კი, პირთან მიტანილ ჭიქას (მაინც ვერ ენდობი აქაურ ჭურჭელს) ისევ მაგიდაზე დგამ და ისე ეუბნები იმას, მკვდარივით გაფითრებულს, მოწიწებით, სურვილით, სიყვარულით სავსე თვალებად ქცეულს, ჯერ შემომფიცე, ხელს რომ არ დამაკარებო, თითქოს ამისთვის არ იყო აქ მოსული.

დიახაც რომ იცოდა გელას დედამ, რა მოსდევს სიყვარულს; იცოდა, რას მოითხოვდა უმეცართა, მეოცნებეთა, მოიმედეთა ტომის ეს გულქვა, გულღრძო, სისხლისმსმელი ბელადი ტომის ყველა წევრისაგან, წამიერი სიმთვრალის, გაწბილებული ოცნებისა და საწინააღმდეგოდ ახდენილი სიზმრის საფასურად. ისიც იცოდა, ყველა ქალი, როგორც კი თავის ნებაზე მიუშვებს ამ გრძნობას, მაშინვე სიკვდილის მატარებელი რომ ხდება, იმ კაცის სიკვდილს ატარებს ნაყოფივით, ვინც უყვარს, ანდა ჰგონია, რომ უყვარს, რადგან მთავარი თვითონაა და არა ის; ის იმდენად სჭირდება, რამდენადაც იალქანს — ქარი, წისქვილის ბორბალს — მდინარე, ანდა ჯალათს — მსხვერპლი, რათა ამოქმედდეს, მოლოდინისგან, ყოყმანისგან, გაურკვევლობისგან გათავისუფლდეს და შეუდგეს თავისი მოვალეობის აღსრულებას: ხომალდი ზღვაში გაიყვანოს, ხორბალი დაფქვას, მსხვერპლი კი — ერთხელ და სამუდამოდ მოასვენოს. ამიტომაც გაფითრდა ალბათ ის — გელას მამა, იმ დღეს, გელას დედის დანახვაზე; თავისი სიკვდილი დაინახა, თავისი აღსასრული იგრძნო, აღსასრული კი არა, უაზრობა ლოდინისა, თმენისა, ოცნებისა. იგრძნო, მისმა ჟამმა დაჰკრა, უფრო დიდსა და უფრო დაუნდობელ სცენაზე მოუხმეს, ვიდრე თეატრის სცენაა, და ამან ააღელვა, ამან ააფორიაქა, როგორც სნეული, დღედათვლილი პატიმარი — ამნისტიამ. საკუთარ სიკვდილს ეხვეოდა ის და არა საყვარელ, სასურველ ქალს, რომელსაც წარმოდ-

გენილი თავისუფლების კალთის ქვეშ მისთვის განკუთვნილი მოოქროვილი ბორკილები უჟღრიალებდა. აღგზნებული, ბედნიერი, საკუთარ სიკვდილს ეჩურჩულებოდა ყურში ლექსებს, რადგან სიკვდილიც თავისებური ბედნიერებაა, როცა ადამიანს სხვა გამოსავალი აღარა აქვს. მუცელი შენი, ვითარცა ხვავი იფქლისაო; ძუძუნი შენნი უმჯობეს ღვინისაო — ჩურჩულებდა, ჩურჩულებდა, აღგზნებული; ეს კი ბედნიერი იყო, რადგან უკვე მტკიცედ იცოდა, საითაც მოესურვებოდა, იქით წაიყვანდა ხომალდს; იმ ხორბალს დაფქვავდა, რომლისგანაც მისი პური გამოცხვებოდა მხოლოდ; ხოლო მზის ქვეშ თავზე საყრელადაა დროცა და ადგილიც სასჯელისა. “ეს გადასაგდებია. ესეც. ესეც. ლიზამ ისეთი რეცხვა იცის, მაინც ხელში შემოეფლითებაო” — იძახდა გამარჯვების სიხარულით ღაწვშეფაკლული და გელას მამის საკეტმოშლილი ჩემოდნიდან, მკვდარი კნუტებივით, ორი თითით ამოჰქონდა ქუსლგამოხეული წინდა, დაჭმუჭნული, წვინტლშემხმარი ცხვირსახოცი თუ საყელოგაცრეცილი პერანგი. არ უკვირდებოდა, ვერ ამჩნევდა, გელას მამა, “საკუთარ ოჯახში”, დაძაბული, დამფრთხალი რომ იჯდა სკამის კიდეზე, არა როგორც გმირი დაპყრობილ მიწაზე, არამედ — სემინარიელი რექტორის მოსაცდელში. გულიანად კისკისებდა, როცა ის, დაბნეული, დარცხვენილი შლიდა ხელებს, სიმამრის გამონაცვალ კოსტუმში გამოწყობილი (მთლად ახალივითააო — იძახდა ლიზა), რადგან სიყვარულით იყო დაბრმავებული, დაყრუებული, გულგაქვავებული; განუსჯელად ასრულებდა ბელადის ყოველ ბრძანებასა და მითითებას — სიყვარულით სიყვარულის დამთრგუნველი — და როცა ლიზა იტყოდა ხოლმე, ეს ბიჭი აქ გამჩერებელი არ არისო, გაკაპასებული ეცემოდა პირში, თითქოს ლიზას ეკითხებოდა მათი პირადი ბედნიერება, თითქოს ისე იქნებოდა, როგორც ლიზა იტყოდა. სხვათა შორის, ასედაც გამოვიდა ბოლოს. რაც არ უნდა ბრიყვი ყოფილიყო ლიზა, მაინც ამაზე საღად აზროვნებდა, რადგან ამას უყვარდა, ლიზას კი — არა. ლიზა იმას ამჩნევდა, რასაც ხედავდა; ეს კი წარმოდგენილს ელოლიავებოდა. ლიზა მართალი აღმოჩნდა, ლიზას ნათქვამი გამართლდა, გაწ-

ვრთნილი კაჭკაჭივით რომ იმეორებდა სულ: ეს ბიჭი აქ გამჩერებელი არ არის, დღეში სამჯერ მესალმება და სტუმარივით ყველაფერზე მადლობას მიხდისო. თანაც როდის ამბობდა! როცა ჯერ კიდევ მოდიოდნენ მომლოცველები; როცა ჯერ კიდევ საქორწილო ერქვა სუფრას; როცა იმას, გელას მამას, ჯერ კიდევ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას სვამდნენ: აი, ეს გახლავთ ჩვენი სიძე, თუმცა ჩვენ უკეთესის ღირსნი ვიყავითო. არა, ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ, დიდიდიდი ერთმანეთში თუ წამოცდებოდათ ოჯახის ნამდვილ წევრებს, როცა ის, გელას მამა, მათი ქალიშვილის სისულელით, დაუფიქრებლობით შენაძენი, შინ არ იყო და ყველას შეეძლო, გულახდილად გამოეთქვა თავისი აზრი. “აბა, მე თუ მკითხავთ, რაც მეტს მოეფერებით, უფრო თავზე დაგაჯდებათ ეგ თქვენი მოწონებული სიძეო” — იძახდა ლიზა. “მდააააო” — გაბზარული ზარივით, ყრუდ გაიჟღრიალებდა გაზეთზე დახრილი მამა, თითქოს ლიზა იმას არ ამბობდა, რასაც თვითონაც ფიქრობდა, ანდა თითქოს ლიზამ იცოდა, რას ამბობდა და თითქოს წინასწარ არ დაესწავლებინათ იმისთვის სათქმელი — კეთილები, გამგებები, მიმტევებლები რომ გამოსულიყვნენ თავად ქალიშვილის თვალში და, იმავე დროს, შეეხსენებინათ კიდეც იმისთვის, აზრთა სხვაობა რომ არსებობდა ოჯახში და საზეიმო და საამაყო არაფერი სჭირდათ, თუკი მათი ქალიშვილის არჩევანი, შეიძლებოდა, არ მოსწონებოდა ვინმეს, თუნდაც იმავე ლიზას. “მოიცა, ლიზა, დაგვალაპარაკეო” — ყასიდად, მაღალფარდოვნად იცინოდა დედა, ვითომ ჩვენც ვიცით ცუდისა და კარგის გარჩევაო, ჩვენც ვიცით, გუბერნატორის ვაჟი რომ სჯობია შარვალგამოხეულ მსახიობსო, მაგრამ როცა შენი სულელი ქალიშვილი, შენივე გადამეტებული სიყვარულითა და მზრუნველობით გარყვნილი, გათავხედებული, ორიდან მაინცდამაინც მეორეს აირჩევს, თავი ისე უნდა დაიჭირო, თითქოს სისულელით, სულსწრაფობითა და სიბეცით კი არ მოსვლია ეს, არამედ — გადამეტებული სიჭკვიანით, მოთმინებითა და შორსმჭვრეტელობითო. “რა ცუდები ვართ, რა ცუდები ვართ. ღმერთო ჩემო, რა ცუდები ვართ ყველანი” — ფიქრობდა გელას დედა; საკუთარი თავიც ეზიზღებოდა,

რადგან ვერც ამ გამომათაყვანებელ ბრჭყვიალებას, მინის კარადებში გამოკეტილ უმაქნისობას — გულგრილობის სარკოფაგში ჩასვენებულ კეთილდღეობის მუმიას — შელეოდა და ვერც ოცნებას. თუმცა ასრულებული ოცნება ოცნება აღარაა; ის უკვე ოცნებიდან გამოჩეკილი სინამდვილეა; გლუვი, სასიამოვნოდ თბილი ბირთვი კი არა, — უსასრულობის, მარადიულობის განსახიერება — არამედ, სველი, გაბურძგნული, მწივანა წიწილი, ერთნაირი სულსწრაფობით, ერთნაირი სიხარბით რომ კენკავს ღვარძლსაც და სიკეთესაც; როცა მოეპრიანება, მაშინ რომ შემოეხეტება შენს ოთახში და სადაც მოესურვება, იქ მოგისკლინტავს. მაგრამ როგორც წიწილის გამოჩეკვას, ისევე ბედნიერებიდან გამორკვევასაც გარკვეული დრო სჭირდება და ისიც ჯერჯერობით ითმენდა ლიზას უტიფრობასაც და მშობლების "გულისხმიერებასაც"; ჯერ კიდევ სჯეროდა, უსამართლოდ ათვალწუნებული და დატუქსული ბიჭი მოლოდინსა და ნდობას გაუმართლებდა და დაუმტკიცებდა, ყველაზე კარგი ბიჭი რომ იყო მთელს ქვეყანაზე. ოღონდ ჯერ დრო უნდა გასულიყო; დრო იყო საჭირო, გადატანილი მღელვარების დასაცხრომად, მოულოდნელი წარმატებისგან მოგვრილი თავბრუსხვევის გადასავლელად, მორიდების, მოკრძალების, სიუცხოვის დასაძლევად და, რაც მთავარია, ოჯახის ნამდვილი, სისხლხორციელი წევრის არა მარტო სახელის, არამედ რწმენის, შეგრძნების მოსაპოვებლად, რის შემდეგაც, არათუ ამ ოჯახში დამკვიდრების, არამედ ამ ოჯახის დანგრევის უფლებაც ექნებოდა; თავისას დაანგრევდა და არა სხვისას; მაგრამ გელას მამა, იმის ნაცვლად, როგორმე მორეოდა თავს, მოეშორებინა უკვე ყოვლად უსაფუძვლო მორიდებისა და სიმორცხვის გრძნობა, დღითი დღე კიდევ უფრო იბორკებოდა, გმირისთვის შეუფერებელი მოწიწებითა და გულისხმიერებით ისმენდა სიდედრისა თუ სიმამრისგან ღიმილით მოწოდებულ შენიშვნას, რჩევას, იმის მაგალითს, თუ როდის როგორ უნდა მოქცეულიყო კაცი, რაც საბრძოლველად კი არ აღაგზნებდა, ისევ და ისევ, აქაურობასთან შეგუების, შეხამების სურვილს უღვიძებდა მხოლოდ, და ესეც, გელას დედა, თავს ძლივს იკავებდა

(თუმცა ღიმილი არ შორდებოდა სახიდან), ქმრისთვის რომ არ დაეცინა, როცა ის, სიმწრის ოფლში გაწურული, ყურებამდე გაწითლებული, სიდედრის საერთო რვეულს ფურცლავდა და იმის შიში კლავდა, ხმელი ფოთოლი არ ჩამეფშხვნას ხელშიო; ანდა როცა სუფრასთან იჯდა და მღელვარებისგან, დაძაბულობისგან, ხან ჭიქა უბრუნდებოდა, ხან სამარილე; ირგვლივ კი სანიმუშო წესრიგი სუფევდა; ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ერთხელ და სამუდამოდ. ლიზა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა; მამა სავარძელში თვლემდა; დედა პატარა კალათიდან საერთო რვეულში ჩასაწყობ ფოთლებს არჩევდა და ხანდახან თავისთვის შესძახებდა ხოლმე: ვიშ, რა ლამაზი ფოთოლიაო; გელას მამა შინ არ იყო, ან, როცა შინ იყო, ფლოსტებში ფეხწაყოფილი, სარკმლიდან გასცქეროდა ქუჩას; თვითონ კი, გელას დედა, წიგნს კითხულობდა, ანდა პატარა, მრგვალ სარკეში იჭყიტებოდა, ტახტზე მიწოლილი; ვერ მოიშალა ეს ჩვეულება, რადგან ბევრი არაფერი შეცვლილა მის ცხოვრებაში: ისევ მშობლიური ციხის ტუსაღი იყო და ახლა ალბათ უფრო მეტადაც, რადგან ახლა ისიც ციხის კედელს აქეთ ჰყავდა, ვისი იმედითაც საერთოდ აპირებდა ტყვეობიდან თავის დახსნას (სარკმლიდან გასცქეროდა ქუჩას, ფლოსტებში ფეხწაყრილი). ეს კი ლიზაზე ბრაზობდა, ლიზას ედგა ჯიბრში. სხვა არაფერზე ფიქრობდა, ოღონდ ლიზასთვის ჩაეწყვეტინებინა ხმა, ლიზას წინასწარმეტყველება გაებათილებინა, ლიზასთვის დაემტკიცებინა, ერთი ჭკუანაკლული დედაკაცი რომ იყო მხოლოდ და ოჯახისა არაფერი გაეგებოდა, ჭურჭლის რეცხვისა და იატაკის ხეხვის მეტი. მაგრამ ლიზა მართალი აღმოჩნდა ბოლომდე, და არა მარტო იმიტომ, ყველაზე ადრე რომ იწინასწარმეტყველა, ეს კაცი აქ გამჩერებელი არ არისო, არამედ იმიტომაც, თავიდანვე რომ შეატყო, როგორი გმირი იყო ის და დაურიდებლად მიუკაკუნებდა ხოლმე საპირფარეშოში მეოცნებეს — იქნება სხვასაც უჭირსო. ამას ცეცხლი ეკიდა გულზე, მაგრამ ლიზასთან ქმრის დაცვა და გამართლებაც ეთაკილებოდა, არ უნდოდა, ასე დაემცირებინა ქმარი, რომელსაც მისი გადარჩენა დაესახა მიზნად

და თუ ითმენდა, ისევ მისი გულისთვის ითმენდა ყველაფერს. “მხოლოდ შენი გულისთვის, მხოლოდ ჩვენი სიყვარულის გულისთვისო” — ეჩურჩულებოდა ლოგინში და ამასაც იმედი ჰქონდა, როდისმე ამოიწურებოდა მისი ქმრის მოთმინება, როდისმე მისცემდა იმის საშუალებას, ლიზასთვის ნიშნი მოეგო და ეთქვა: ახლა რაღას იტყვი, ახლა ხომ დარწმუნდი, ჭკუაც რომ მეტი მაქვს შენზე და გემოვნებაც. მაგრამ ხანდახან თვითონაც ეჭვდებოდა, ერთი წუთით იმის სულშიც წამოყოფდა ხოლმე ბოროტი, შეურაცხმყოფელი ეჭვი თავს და გველივით სისინებდა: ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება, ლიზა კი არ იგონებდეს, მართლა მამაშენის სახელისთვის, გავლენისთვის და ქონებისთვის უნდოდე შენს გმირსო. მზად იყო, ცეცხლისთვის მიეცა ყველაფერი, ქმარიც მოეკლა და თავიც, მაგრამ, საბედნიეროდ, პატივმოყვარეობა არ აძლევდა ნებას, დიდხანს აჰყოლოდა ამ ეჭვს, თავი გაეყადრებინა იმისთვის, ოღონდ ისე მოულოდნელად, ისეთ დროს განუდგებოდა ხოლმე ქმარს, თვითონვე იტანჯებოდა, ქმრის დაბნეულობისა და უმწეობის შემყურე, საკუთარი სიმკაცრით, სიევრაგით, უხამსობით დათრგუნული. ბათუმშიც ლიზას ჯიბრით წაჰყვა ქმარს, თუმცა ბოლოს სამთვიანი გასეირნება გამოუვიდა, დამოუკიდებელი ოჯახის შესაქმნელად აბარგებულს; იმიტომ, რომ ქმარს კი არ წაჰყვა, ლიზას გაექცა; თუმცა, ლიზამ იმათ გამგზავრებამდეც იცოდა, მალე უკანვე რომ მობრუნდებოდა კუდამოძუებული. “წადი, რა გენაღვლება, თვალს წყალს დაალევინებ და ყველაფერს უკეთ გაარკვევ ადგილზეო” — უთხრა ლიზამ სადგურში (ალბათ წინასწარ დარიგებულმა) და მართლაც, პირველი, რაც “ადგილზე” გაარკვია, ის იყო, ვერასოდეს რომ ვერ შეეგუებოდა იქაურობას. გინდაც იმ სახლში ეშოვათ ბინა, რომელიც თვითონ მოეწონა: თუმცა, იმ სახლსაც იმიტომ აქებდა და შენატროდა განუწყვეტლივ, “თავისი” რომ დაეკნინებინა, ქმრისთვის რომ გაეგებინებინა: დაგიჯერე, წამოგყევი, მაგრამ იქ არ ვცხოვრობ, სადაც მინდაო; შენ თუ ჩემი, ნამდვილად ჩემი ფუფუნება ვერ აიტანე, მე სრულებითაც არა ვარ ვალდებული, ნასხვისარ ნივთებს ვეფერო და ველოლიავოო. არადა, იმ საღამოს,

როცა მისი ქმარი უჩვეულოდ აღელვებული, აფორიაქებული მობრუნდა თეატრიდან და განაცხადა: ბათუმში გადავდივარ საცხოვრებლადო, ეს სიხარულით ცას ეწია, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა იმაზე, რამაც მისი მშობლები და, რა თქმა უნდა, ლიზაც შეაშფოთა. ნიცა რომ სჯობდა ბათუმს, თვითონაც იცოდა, მაგრამ "საქმენი საგმირონი" ბათუმში ელოდებოდნენ მის ქარს და არა ნიცაში, რაც არ ესმოდა, ანდა განგებ არ უნდოდა გაეგო დედამისს. არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, რამდენჯერმე რომ გაიმეორა გუბერნიის მთავარმა მოსამართლემ — რომელსაც ამ საკითხში ნამდვილად დაეჯერებოდა — ბათუმი ავაზაკობისა და გარყვნილების ბუდეაო. ბოლოს და ბოლოს, უკვე გათხოვილი ქალი იყო და, ბოლოს და ბოლოს, ქმრის მხარი უნდა დაეჭირა, მით უფრო, რომ თვითონვე ამოერჩია იგი. იმისი გამტყუნება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი უჭკუობისა და უგემოვნობის აღიარება იქნებოდა და მეტი არაფერი, რითაც ლიზას გულს გაახარებდა ისევ, ლიზას შემოაკვრევინებდა ტაშს: აი, ახლა კი კარგი გოგო ხარ, ისე იქცევი, როგორც შენს მშობლებს ეკადრებათ და გაუხარდებათო. ნახევარი არც ესმოდა ქმრის ნალაპარაკევი; მისთვის მთავარი ის კი არ იყო, დიდი მამულიშვილობა რომ იქნებოდა მისი ქმრისგან ბათუმში გადაკარგვა და იქაურ თეატრში სამსახური, რომელიც თურმე ჯერ მხოლოდ იდგამდა ფეხს და ხელის შემშველებელი, გამამხნევებელი სჭირდებოდა, არამედ ისევ მხსნელისა და გადამრჩენელის სახე რომ აღედგინა იმას ცოლის თვალში. "ახლავე უნდა დავსვა ლიზა და ყველა კაბა გადავაკეთებინო, ზღვაზე რომ ჩაიცმეოდესო" — ტიკტიკებდა სულელი ბავშვივით და თან პატარა, მრგვალ სარკეში წარამარა უყოფდა ენას საკუთარ გამოსახულებას. მაგრამ, მართლაც რომ სულელი ბავშვი იყო მაშინ, არ ესმოდა, ვერ ხვდებოდა, მისი ქმრის აღზევება განწირულის უკანასკნელი, საბედისწერო გაბრძოლება რომ იყო და უჩვეულო მღელვარებით იმას კი არ აუწყებდა ცოლოურს, რაც უნდოდა, რაც გადაეწყვიტა — შეფარულად თხოულობდა რჩევას, შველას: გამარკვიეთ, გამაგებინეთ, როგორ მოვიქცეო. ამიტომაც მოაყოლა ალბათ ბოლოს: სჯობია, გინ-

დოდეს და არ შეგეძლოს, ვიდრე შეგეძლოს და არ გინდოდესო. მისთვის შეუფერებელ ტვირთს ეჭიდებოდა, როგორც ჭიანჭველა დამწვარი ასანთის ღერს, და თან გულში იმისი იმედი ჰქონდა, მაინც არ მიმატანინებენ ბოლომდეო, არა იმიტომ, დამწვარი ასანთის ღერს რომ ვერ შეელეოდნენ, ანდა ჭიანჭველას დაზოგავდნენ, გაუფრთხილდებოდნენ, არამედ იმიტომ, ტვირთისა და მტვირთავის შეუსაბამობა მაშინვე თვალში რომ ეცემოდათ და გააოცებდათ (თუ არ გააბრაზებდათ), რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა ტვირთისა და მტვირთავის გასათიშად, როგორც მოხდა კიდეც. “თავისუფლება მონატრებია ჩემს სიძესო” — ჩვეულებისამებრ გაიხუმრა მამამ, გუბერნიის მთავარმა მოსამართლემ; მერე ცხვირსახოცში ცხვირი ხმით მოიხოცა და გააგრძელა: თავისუფლება ლამაზი ქალივითაა, შენთანაა — ვერ აფასებ, სხვასთანაა და გშურსო. მაშინ კი, ცოტა არ იყოს, შეცბა მისი ქალიშვილი, თავის თავზე მიიღო მამის ქარაგმა, რადგან ქმრისთვის ყველაზე ლამაზი ქალიც ის იყო და თავისუფლებაც. თითქოს მამა იმას ეუბნებოდა, შენმა ქმარმა არც შენი ფასი იცის და ვერც ის სიკეთე დაუნახავს, იმისთვის რომ გაიღეო. თავისებურად მამაც მართალი იყო: მადლობის მაგიერ, ედიდგულებოდნენ, გაურბოდნენ; თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, როცა არც ერთისთვის იყვნენ მზად და არც მეორისთვის. ერთი უსაქმურობაში ეშლებოდათ, მეორე კი — უპატრონობაში. ოჯახი ერთ ლოგინში წოლა ეგონათ, ის კი ავიწყდებოდათ, სად იდგა ის ლოგინი, ვის ეკუთვნიდა, ვინ უცვლიდა თეთრეულს ყოველ მესამე დღეს; როგორ დააყვედრიდა რამეს ან ქალიშვილს, ან სიძეს, მაგრამ აღარც ისეთი პატარები იყვნენ ისინი, თეთრი შავისგან ვერ გაერჩიათ, იმდენი არ სცოდნოდათ, დამოუკიდებლად არაფერი რომ არ არსებობს არც ბუნებაში და არც ცხოვრებაში, ლომი იქნება თუ კოღო, კათალიკოსი თუ ტაძრის გლახა. მშობლის სიმართლე ისევ მყარი, შეუვალი იყო, მაგრამ უფრო გამაღიზიანებელიც, სწორედ თავისი სამყაროსა და შეუვალობის გამო. სარკეში იჭყიტებოდა და თან ტიტინებდა: ძალიან მიყვარს ჩემი მამიკო, მაგრამ როგორც ქმარიკო გადაწყვეტს, მეც ისე მოვიქცევიო.

“აღარ გამაგონოთ ბათუმი!” — მუშტი დაჰკრა მაგიდას დედამ. მამამ შუბლი შეიჭმუხნა, არ ესიამოვნა მუშტის დაბრახუნება. “ჩვენ ლექსებს ვათეთრებთ, აქ კი თურმე შეთქმულება მზადდებაო” — დაუძახა ცოლს, მაგრამ მაშინვე გაიღიმა და პროფესიული სიდინჯით, ყურადღების, ნდობის, მორჩილების მომთხოვნი ხმით გააგრძელა: კარგმა ცხოვრებამაც იცის მოყირჭებაო; მე თუ მკითხავთ, ჯობია შევირგოთ ეს კარგი ცხოვრება, ვიდრე იმაზე ვიფიქროთ, თუ რითი შევცვალოთ იგიო. იმ საღამოს სხვაც ბევრი ითქვა: სიტყვამ სიტყვა მოიყოლა, ჯიბრმა — ჯიბრი, წყენამ — წყენა, გაუგებრობამ — გაუგებრობა, და კართან ატუზული ლიზა ხან ერთს შეხედავდა, გაოცებისაგან პირდაღებული, და ხან მეორეს. მარტო იმან არ იცოდა, რა ხდებოდა, რა ეთქვა, რადგან იმდენად მოულოდნელად დაიწყო ყველასათვის ეს ამბავი, უბრალოდ, ვერც მოახერხებდნენ ლიზას დარიგებას და ვერც ლიზა მოასწრებდა სათქმელის დაზეპირებას. დედამ ცოტა წაიტირა კიდეც, თითქოს იმდღევანდელი უსიამოვნება მისი ყოვლად უწყინარი საქმიანობის უდიერად მოხსენებით იყო გამოწვეული და არა სიძის მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამბოხით. ბოლოს, უაზრო სჯაბაასით გაბეზრებულმა მოსამართლემ გაზეთზე დაგდებული სათვალე ისევ მოირგო, გაზეთს ხელისგული გადაუსვა, ნაოჭი გაუსწორა, დააცქერდა და — მდაااააო — ამოიჟღრიალა გაბზარული ზარივით; ეს კი უტყუარი დადასტურება გახლდათ იმისა, ბატონი მოსამართლე საჭიროდ რომ აღარ თვლიდა საუბრის გაგრძელებას და ყველას აფრთხილებდა, არ აჰყოლოდნენ მოუზომავ სიტყვას, დროულად მოეთოკათ თავიანთი ვნებები. ასედაც აღიქვა ყველამ ამ უაზრო ბგერების ჟღერადობა და მაშინვე, თავიანთ ოთახებს მიაშურეს, რათა ახლა იქ ეფიქრათ და ეცადათ, უფრო ღრმად ჩასწვდენოდნენ მოსამართლის “განაჩენის” აზრსა და მნიშვნელობას. ამ ხმით იყვნენ სავსენი, როგორც ნიჟარები ზღვის გუგუნით. მაგრამ ყველაზე ცუდ დღეში მაინც გელას მამა აღმოჩნდა: თუ ცოლოურს დაუთმობდა, ცოლის თვალში გაპამპულდებოდა სამუდამოდ, თუ არა და, ცოლოურს გადაიკიდებდა, რადგან მართლმსაჯულება მორჩილ-

თა და მონანიეთა მიმართ არის მხოლოდ ლმობიერი, ხოლო ურჩთა და განდგომილთ, ადრე თუ გვიან, მაინც აგებინებს პასუხს. ის ღამე თეთრად გაათენეს ორივემ. მართალია, ჩურჩულით, მაგრამ შთაგონებული, აღგზნებული უმტკიცებდა ცოლს, ეს რომ იყო მათი გზა, სხვა გზა რომ არ ჰქონდათ და არც უნდა ეძებნათ, თუკი მართლა უნდოდათ გაეგოთ, რანი იყვნენ, რა შეეძლოთ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თვითონვე იქნებოდნენ თავიანთი თავის პატრონი და იმას შეჭამდნენ, რასაც იშოვიდნენ, იმას გააკეთებდნენ, რაც მოეპრიანებოდათ და იმას იტყოდნენ, რაც ენაზე მოადგებოდათ, რადგან თავისუფლება იმიტომაა თავისუფლება, იმაზე ფიქრით არ აიტკიო თავი, ვისთან რა ვთქვა და როგორ ვთქვაო. იცოდა, განწირული იყო და ამხანაგს ეძებდა, მარტო ეშინოდა თავის გოლგოთაზე ასვლა. თუმცა, ამასაც მოსწონდა ქმრის ნალაპარაკევი, უარს არ ამბობდა ამგვარ ცხოვრებაზე; მეც თეატრში ვიმუშავებ, ბილეთებს გავყიდი და წარმოდგენაზე თუ არა, ჩემს სანახავად მაინც მოვა იმდენი ხალხი, შიმშილით რომ არ გაგვძვრეს სულიო — ტიტინებდა ქმრის მხარზე თავმიდებული, მაგრამ გულში უკვე იცოდა, ცუდად დამთავრდებოდა მათი დამოუკიდებლობა; და უკვე ისიც იცოდა, არასოდეს აპატიებდა ქმარს იმ დამცირებასა და სირცხვილს, რომელიც მისი მიზეზით უნდა გადაეტანა მშობლიურ ციხეში მობრუნებულს. მაგრამ ჯერ მაინც უნდა აჰყოლოდა ქმარს, თუნდაც იმიტომ, ბოლომდე გაერკვია, რა უნდოდა და რა შეეძლო იმას, ბოლომდე, ბოლომდე, რათა თვითონაც მტკიცე და შეურყეველი ყოფილიყო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას; და თუ გამთენიისას მაინც ამოაყოლა მთქნარებას, ვნახოთ ჯერ, რას იტყვიან ჩვენებიო, მხოლოდ იმიტომ, უარესად რომ გაექეზებინა ქმარი; ხოლო როცა ის საწოლიდან გადაუხტა, იმიტომ გადაჰყვა თან, იმიტომ მიეხვია ფეხზე და იმიტომ არ დაანება შარვლის ტოტში ფეხის გაყრა, საერთოდ რომ მოესპო იმისთვის აქ დარჩენის იმედი.

მაგრამ, შეძლებულსა და გავლენიან ოჯახში გაზრდილმა გოგომ, დიდხანს მაინც ვერ გაუძლო დაქირავებულ ოთახში ოჯახობანას თა-

მაშს; ხოლო ფეხმძიმობა რომ იგრძნო, უარესად დაფრთხა, თავზარი დაეცა, როცა საკუთარი შვილი წარმოიდგინა ამ უცხო კედლებსა და საგნებს შორის, ნასხვისარი ცხოვრების ბურანიდან გულგრილად რომ შემოსცქეროდნენ, და არათუ თავიანთ პატრონად თვლიდნენ, საერთოდ არ აგდებდნენ არაფრად, ახლოს არ იკარებდნენ, იმდენი მტვერი ედოთ, ამასაც ძალაუნებურად უკან მიჰქონდა ჩვრიანი ხელი, რადგან მაინც ვერ მოერეოდა, არ ეყოფოდა, ვინ იცის, რამდენი სიცოცხლის დანატოვარ მტვერს. საათიამურიც უკვე გარდასულ, ანდა სხვებისთვის განკუთვნილ დროს აღნიშნავდა და ყოველ თხუთმეტ წუთში იმიტომ წკრიალებდა რომელიღაც მხიარული მელოდიის ნაგლეჯს, ერთხელ კიდევ შეეხსენებინა ამისთვის, შემთხვევითა ხარ აქ მოხვედრილი და ვიდრე კვერცხის დებას დაიწყებ, ის გირჩევნია, ჯერ საკუთარ ბუდეზე იზრუნოო. დაბნეული, დამფრთხალი, დაეჭვებული შესცქეროდა უცხო სახეებს, ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალებს, ჩოხიანსა თუ ქულაჯიან კაცებს, კედლებზე დაკიდებული სურათებიდან რომ შემოსცქეროდნენ, წარბებაწკეპილნი, ღიმილშეკავებულნი, თავგადახრილნი — თითქოს უკვირდათ, ეს ვინ მობრძანებულა აქაო; ანდა თითქოს დამცინავი მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის მიხვდებოდა თვითონვე, არაფერი რომ ესაქმებოდა იმათთან. "მუცელს თუ მოიშლი, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდებაო" — ეუბნებოდა ქმარი, მაგრამ იმ წუთას ქმარიც სძულდა, რადგან ქმრის უაზრო აჩემების ბრალი იყო, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო; ქმარს კი არ გადაერჩინა (რა სჭირდა გადასარჩენი?), როგორც ჰპირდებოდა (როგორც ატყუებდა), გადასარჩენად გაეხადა ამისთვის საქმე, რადგან თვითონ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი არაფერში გაეცვალა, ამას კი ყველაფერზე ააღებინა ხელი, ყველაფერზე, რაც სიკვდილამდე ამის საკუთრება უნდა ყოფილიყო. სისხლი გაეყინებოდა ხოლმე საათის ყოველ დაწკრიალებაზე, თითქოს სხვის დროს ხარჯავდა, სხვის დროს ითვისებდა, როცა საკუთარი უმეთვალყურეოდ დაეგდო თბილისში. ნასხვისარ ტახტზე დაწოლილი, ქმრის მკლავებში მომწყვდეულიც კი, დევის მიზეზიანი ქალივით წუხდა სულ, ადამიანის სუ-

ნი მცემსო, რადგან მართლა განუწყვეტლივ სცემდა მძაღე, მდორე, მტვერწაყრილი სუნი იმათი, მასზე ადრე რომ ეცხოვრათ ამ ოთახში, ამ საათით რომ ითვლიდნენ დროს, ამ ტახტზე რომ წვებოდნენ, მაგრამ მისგან განსხვავებით, ნამდვილად შინ იყვნენ და გაურკვეველი, ძნელად ასახსნელი, მაგრამ ასევე ძნელად დასაოკებელი შიშით არ უფრიალებდათ გული, გახდისას, დაწოლისას — აი, ახლა გაიღება კარი და აი, ახლა შემოვა ვიღაცაო. ეს შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი, გამაბითურებელი, გამაბინძურებელი შეგრძნება ერთხელ უკვე გადაეტანა და სწორედ იმიტომ გადაეტანა, საბოლოო რომ ყოფილიყო იგი, იმის მერე ყოველთვის იქ რომ დაწოლილიყო, სადაც ჭეშმარიტად მისი ადგილი იქნებოდა. ქმარს არ ესმოდა, არ უნდოდა გაგება. ისე იყო მოწადინებული, თავი გამოეჩინა, ვიღაცისთვის რაღაცა დაემტკიცებინა, ჭიანჭველა აქლემად ეჩვენებოდა, მგელი კი — გოშიად. იმპერიას ებრძოდა და ზედსიძობისა ეშინოდა. “ჩვენი ადგილი იქ არის, სადაც ერთად ვართ და ერთ საქმეს ვემსახურებითო” — ერთნაირად იმეორებდა, ჩხუბობდა თუ ხუმრობდა. არ აინტერესებდა, რას პასუხობდნენ, რადგან ალბათ თვითონაც ხვდებოდა, რა იოლი გასანადგურებელია მრწამსი, რომლის მიხედვითაც, თავისუფლად შეიძლებოდა, ასევე ყოფილიყო მათი “ადგილი”, ანუ მათი ბინა, მათი ოჯახი, ნებისმიერი ბნელი ქუჩა, ნებისმიერი ბაღის მიყრუებული კუთხე ანდა იგივე საერთო საცხოვრებლის ოთხსაწოლიანი ოთახი, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, სულ ცოტა, სამი მოწმე მაინც ეყოლებოდა მათ ყოველ გაფაჩუნებას. თუმცა უმალ ასეთ ცხოვრებას აირჩევდა, ვიდრე ცოლს დაუთმობდა, თუნდაც იმიტომ, ცოლისგან ჯერჯერობით მხოლოდ დათმობას რომ იყო მიჩვეული. უმალ მტვირთავად დადგებოდა ნავსადგურში, ვიდრე ცოლოურთან დაბრუნდებოდა. მართალია, მისი ცოლი მამისეულ სახლს გათხოვებამდე “მშობლიურ ციხეს” ეძახდა და წყალსა და შავ პურზეც თანხმდებოდა, თუკი ვინმე გაათავისუფლებდა იქიდან, მაგრამ პაემანზე მოსული გოგო სხვაა, ცოლი კი — სხვა, და გინდაც ის გოგო ცოლობაშიც ერთგული დარჩეს ნეტარი მღელვარების ჟამს წამოცდენილი სიტყვისა,

მისი ოჯახი არავის მისცემს ნებას, წყალსა და შავ პურზე ამყოფოს იგი, თითქოს გათხოვება სასჯელია და არა ბედნიერება, რისი უფლებაც ისევე აქვს გუბერნიის მთავარი მოსამართლის ერთადერთ ქალიშვილსაც, როგორც ნებისმიერ სხვა გოგოს. გარდა ამისა, ქალები გათხოვებამდე არასოდეს არ ფიქრობენ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობენ, ხოლო გათხოვების შემდეგ, არასოდეს არ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. მაგრამ გელას დედას მამისეულ სახლში, "მშობლიურ ციხეში", თუკი მართლა დაღუპვა ელოდებოდა, თუკი დედამისის მსგავსად, თანდათანობით, ისიც ხმელი ფოთლებისა და გაზეთებიდან გადმოწერილი ლექსების მხევლად იქცეოდა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, გელას მამა მართალი იყო; მაშინ ამ ერთი ქალის გადარჩენაც ბევრს ნიშნავდა, რადგან ერთია საფუძველი მრავლისა, ერთით იწყება სათვალავი, და როგორც ხალხი შეიძლება დავიდეს ერთამდე, ასევე შესაძლებელია, ერთი იქცეს ხალხად. ცხადია, გელას მამა აზვიადებდა, მაგრამ ასე იმიტომ ფიქრობდა, დამნაშავედ რომ გრძნობდა თავს ცოლის წინაშე, ვის გადარჩენასაც აპირებდა თავისი ჭკუით, თუმცა ხმამაღლა რომ გამოეთქვა თავისი განზრახვა ათასი კაციდან ათასივე ერთნაირად ეტყოდა ალბათ, არაფერი სჭირს შენი გადასარჩენიო. არა მარტო ეტყოდა, დაუმტკიცებდა კიდეც, რადგან გელას მამის გამოჩენამდე, გელას დედა ეგვიპტელ მონასავით სააგურე თიხას კი არ ზელდა, ოთახის ყვავილივით, განუწყვეტელი ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცულს, ჩიტის რძეს არ აკლებდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. და ვერც ამას გაუმტყუნებდა ვინმე მის მშობლებს, რადგან ყველა დროისა და ყველა ჯურის ადამიანი იმისთვის იღვწოდა და იმისთვის იღვწის ახლაც, ხვალ რომ მეტი ჰქონდეს, ვიდრე დღესა აქვს. ეს უდევს საფუძვლად სულჩამდგარი თიხის მარადიულ ლტოლვას ცოდვისკენ და ცოდვიდან ამოსვლის ასევე მარადიულ ჟინსაც; უფრო მარტივად — მარადიულ ტანჯვას, უსასრულოს, რადგან წარსული ყოფილი მომავალია, ხოლო მომავალი — პოტენციური წარსული, და აქედან გამომდინარე, მომავლისკენ მისწრაფება წარსულში შებრუნებას ნიშნავს, გიჟი მათემატიკოსის სურვილსა

ჰგავს, რომელსაც უცნობის ამოხსნა უცნობისავე მეშვეობით განუზრახავს, რამდენადაც ადამიანი, დედამიწასავით, ორ ყინულოვან პოლუსს შორისაა მოქცეული, წარსულსა და მომავალს შორის, და წინაც ისაა, რაც უკან — გაყინული საიდუმლო, თეთრი, სუსხიანი სიცარიელე. მაგრამ ამის ცოდნა მაინც არ იყო საკმარისი, გელას მამა უაზრო ფაფხურს რომ შეშვებოდა, ისევ სიდედრსიმამრთან მობრუნებულიყო და ეთქვა: მართლები ყოფილხართ, რაც მომივიდა, ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით მომივიდა, მაგრამ უკვე მზადა ვარ, მთელი სიცოცხლე თქვენი თეფშიდან ვჭამო და მთელი სიცოცხლე თქვენი ნაბოძები ხალათი ვატაროო. არავითარ შემთხვევაში. უმალ მოკვდებოდა, ვიდრე ასე დაკნინდებოდა. ზედსიძობას ისევ "დამოუკიდებლობის დამთხვეული მაძიებლის" სახელი ერჩია, სიდედრმა რომ შეარქვა სადგურში, გამოსათხოვარი კოცნის წინ. თუმცა, არც ზედსიძობა იყო ისეთი სათაკილო და საგანგაშო ამბავი, როგორადაც მიაჩნდა; თითქოს ზედსიძედ შედგომას მხოლოდ ანგარება განაპირობებდა და სიყვარული არაფერს ნიშნავდა, როგორც ლაპარაკობდნენ კიდეც მის ზურგს უკან ბოროტი ენები. მაგრამ ეს კი არ ხეთქავდა გულზე გელას მამას, ის ვერ მოენელებინა, იმას ვერ შეჭგუებოდა, ჯერ კიდევ რომ არ იყო მზად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, როგორც სიმამრმა უთხრა, და რომ, ერთადერთ ადგილს, სადაც მეტნაკლებად თავისუფალიც იქნებოდა და დამოუკიდებელიც, სწორედ სიმამრის ოჯახი, მისი მეუღლის "მშობლიური ციხე" წარმოადგენდა, "მშობლიური ციხე", რომელიც კიდევ ერთი კაცის კი არა (თანაც სიძის), მთელი საერთო საცხოვრებლის თეთრეულს დარეცხავდა, სიამოვნებით, ოღონდ გელას დედა თავის ჭკუაზე მოექცია.

(შენ რომ ცხოვრებაში დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად აპირებდი ფეხის მოკიდებას, ჩემო ბატონო ქმარო, საერთოდ ყველაფერზე უნდა გეთქვა უარი, რაც, ასე თუ ისე, მაინც დაგაკავშირებდა იმ სხვებთან. ბოლომდე უნდა გაგეძლო, მოგეთმინა საერთო საცხოვრებლის ბადეჩაგლეჯილ საწოლზე, რომელიც სულის საწვრთნე-

ლადაა გამიზნული და არა საცდუნებლად. შენ კი, ცდუნებას ვერ გაუძელი და ამით თავიდანვე მოიკვეთე უკან დასახევი გზა, უფრო სწორად, გზის არჩევის უფლება; სხვებს მიანდე შენი ბედი და არსებითად იმ დღეს თქვი უარი ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე, როცა შენი მაცდუნებლის მუცელი იხილე, ვითარცა ხვავი იფქლისაი, და იმის მაგივრად, რომ გამოგეპანღურებინა, უპატრონო ძაღლივით აეტორღიალე. თუმცა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც თავისთავად იგულისხმებოდა შენი მაცდუნებლის გადასარჩენად წამოწყებულ ბრძოლაში, რადგან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყვანდი მას "მშობლიური ციხიდან", თუკი ჯერ თვითონაც არ გახდებოდა იმ ციხის ტუსაღი. მაგრამ მოსახდენი დროზე ადრე მოხდა, ჩემო საბრალო ქმარო, რამაც შემდეგი ნაბიჯიც ასევე ადრე გადაგადგმევინა; ხოლო ყველაფერმა ამან დანაშაულის გრძნობა გაგიჩინა, უპირველეს ყოვლისა; ხოლო დამნაშავე, შენც კარგად მოგეხსენება, მეამბოხედ და მეომრად ვერ გამოდგება, მაშინვე თავში ჩაუპარტყუნებენ, ჯერ გულში ჩაიხედე და მერე ისე ესროლე სხვას ქვაო. ის გრძნობა კი, დანაშაულის მტანჯველი გრძნობა, აქეთიქით რომ გახეთქებდა, თავგზას რომ გიბნევდა და ბოლოს სამარეშიც ჩაგიყვანა, დღითი დღე იზრდებოდა, ღონიერდებოდა, სხვა გრძნობებსაც აჩლუნგებდა, ანდა მათ ადგილსაც თვითონ იკავებდა და საერთოდ გიკარგავდა გულწრფელობასა და სითამამეს, არა მარტო ცოლის მიმართ, ცოლის მშობლების მიმართ, არამედ ყველასთან, ნაცნობთანაც და უცნობთანაც, შინ და გარეთ, ლოგინშიც და სცენაზეც. ამ გრძნობამ მიგიყვანა შენთვის საძულველ გუბერნიის მთავარ მოსამართლესთან, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად; ეს გრძნობა გაიძულებდა, კუდი გექიცინებინა ყველა ძაღლისა და მამაძაღლის წინაშე, შენს სანახავად, შენს შესამოწმებლად რომ მოდიოდნენ და ერთნაირი სიყალბით გაიძახოდნენ, მასპინძლის გულის მოსაგებად: რას უწუნებთ, მშვენიერი ბიჭი ყოფილაო. ეს გრძნობა გკარნახობდა, შენი გემოვნების, შეხედულების, მრწამსისა და ცოდნის საწინააღმდეგოდ, მოგწონებოდა ან დაგეწუნა ის, რაც შენს შემწყნარებელს

მოსწონდა ან არ მოსწონდა; ეს გრძნობა გავალდებულებდა, განსაკუთრებული ყურადღება გამოგემჟღავნებინა სიდედრის ხელით გადაწერილი, სააღლუმო ჯარის ნაწილებივით, ლამაზად ჩაწიკწიკებული ლექსებისა თუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი, გამოფიტული ფოთლებისადმი; ამ გრძნობის ბრალია, გული შიშით რომ გისკდებოდა, ფურცელი არ დამეჭმუჭნოს ანდა ფოთოლი არ ჩამეფშხვნას ხელშიო; დაჯარიმებული გლეხივით, დაბნეული, გაოგნებული, დარცხვენილი რომ ისმენდი პოეზიის სიყვარულით ლოყებშეფაკლული სიდედრის შენიშვნებს, შეგონებებს, დაცინვასაც, და იმის მაგივრად, იატაკზე დაგენარცხებინა ერთნაირად მკვდარი ლექსებისა თუ ფოთლების კუბო (როგორც, სხვათა შორის, მე მოვიქეცი ერთხელ), ნებას აძლევდი, უსასრულოდ ეკეკლუცა შენს სიდედრს, ოღონდ არა როგორც ასაკოვან ქალს — ბიჭთან, არამედ მცოდნეს — უვიცთან. სიდედრს კი არა, ლიზასაც თვალებში შესცინებდი, რამე ისე არ ვთქვა, რამე ისე არ გავაკეთო, ლიზას შენიშვნა დავიმსახუროო. დანაშაულის გრძნობა გახუჭვინებდა თვალს, ჩემო სულელო ქმარო, იმის შესამჩნევად, შენს სიდედრსაც სიმდიდრისადმი ჩვეულებრივი, უაღრესად ადამიანური მიდრეკილება რომ დაატარებდა დუქანდუქან — კიდევ ერთი ბროლის თასის, ვერცხლის საშაქრისა თუ ოქროს კოვზის შესაძენად — და არა ხელოვნებისადმი, მშვენიერისადმი განსაკუთრებული სიყვარული. ხალხი ყიდდა, ის კი ყიდულობდა; დედაშენი ყანას თოხნიდა სოფელში, ის კი ძვირფას ნივთებს დაეძებდა ლომბარდში; ძვირფასს კი არა — ძვირს, იმიტომ, რომ შენთვის ძვირფასი ნივთი (თუნდაც გვერდამოჭმული ჭიქა), შეიძლება, სხვისთვის კაპიკიც არ ღირდეს, ხოლო შენთვის ძვირი ნივთი, სხვებისთვისაც ძვირია, თანაც, გაჭირვების გამო გაყიდული ნივთი სინამდვილეში გაცილებით მეტი ღირს და კიდევ უფრო მეტი ეღირება ხვალ. მაგრამ ღმერთმა თუ არა, მე ხომ ვიცი, რომ შენ გელას დედა არც ბროლის თასის, არც ვერცხლის საშაქრისა და არც ოქროს კოვზისთვის შეგირთავს; შენ შენი შემცდენელის გაწბილება მოგერიდა მხოლოდ და აი, სწორედ მაშინ წაიტეხე კისერი. კი, მართალი ხარ, კეთილშობი-

ლებაა შენგან, საერთო საცხოვრებელში გაბახებულ გოგოს ზურგი რომ არ შეაქციე და ცოლად შეირთე, მაგრამ ეს შეუღლება არა მარტო მთელი იმ სამყაროს აღიარებასაც გულისხმობდა, რომელმაც შენი შემცდენელი წარმოქმნა, არამედ გავალდებულებდა კიდეც, კეთილი გენება და, რაკი ასეთი მორიდებული ბრძანდებოდი, თავადაც გაგეზიარებინა იმ სამყაროს ავიცა და კარგიც, დაგევიწყებინა, თუ რამე მტრობა გქონდა იმისი და მშვიდად, უდრტვინველად, მორჩილად და მადლიერების გრძნობითაც კი, სამუდამოდ შერწყმოდი, შეერთებოდი, შემატებოდი გუბერნიის მთავარი მოსამართლის ოჯახს, რომელიც სრულებითაც არ იქნებოდა წინააღმდეგი ამგვარი ნამატისა, პირიქით, ქალიშვილის გაჩენის დღიდან ამის მოლოდინი ჰქონდა სულ, ოღონდ, ცხადია, იმისთვის სულერთი არ იყო, ვინ შეემატებოდა, შენ თუ სხვა. ისე, კაცმა რომ თქვას, ახია თქვენზე, ჩემო ძვირფასო მეუღლევ! ჯერ ერთი... ჯერ ერთი, წინააღმდეგი თუ იყავი ამგვარი შერწყმისა, შემცდენელი ცოლად აღარ უნდა შეგერთო; ვერც ის დაგავალდებულებდა და ვერც იმის მამა მოგთხოვდა პასუხს, რამდენიც არ უნდა ექექა თავისი კოდექსები, ვერავითარ მუხლს ვერ მიუყენებდა შენს “დანაშაულს”, რადგან შენს ადგილას ალბათ თვითონაც ასევე მოიქცეოდა, ასევე მოიქცეოდა ნებისმიერი მამაკაცი თხუთმეტიდან ოთხმოც წლამდე, რაც არ შეიძლება არ ჰქონდეთ გათვალისწინებული კანონმდებლებსა და მართლმსაჯულების მსახურებს, რამდენადაც თავადაც მამაკაცები არიან. მეორეც ერთი, თუ მაინცდამაინც გიყვარდა შენი შემცდენელი და უიმისოდ ცხოვრება ვერც კი წარმოგედგინა (როგორც არაერთგზის გითქვამს სიცოცხლეში), ბატონ მოსამართლეს კი არ უნდა ხლებოდი, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად — მით უფრო, რომ ის ქალიშვილი უკვე შენ გეკუთვნოდა — თავი ისე უნდა დაგეჭირა, აქეთ გხლებოდა ბატონი მოსამართლე საერთო საცხოვრებელში და, მოწმეების თანდასწრებით, ეღიარებინა შენი უფლებები და კიდევ ერთი, ჩემო ძვირფასო, ჩემო საბრალო, ჩემო ტანჯულო ქმარო (გაანათლოს მამაზეციერმა შენი სული), გელას დედის გადარჩენას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუკი დაარწმუ-

ნებდი, მართლა გადასარჩენად რომ ჰქონდა საქმე, თუკი დაარწმუ-ნებდი, საერთოდ რამის გადარჩენა რომ შეგეძლო შენ. დიახ, თუნ-დაც ჭიქის, შენი საცოდავი ხელფასით ნაყიდი ჭიქისა! თუკი აგრძნო-ბინებდი, მამამისზე ძლიერი რომ იყავი, იმის დანგრევა რომ შეგეძ-ლო, რასაც ეჯაჯგურებოდი, რათა ისიც მთლიანად შენს მხარეზე გად-მოსულიყო, ორ ცეცხლს შუა კი არ ყოფილიყო სულ გაბმული, დაუფიქრებლად გაეკეთებინა არჩევანი მამასა და ქმარს შორის, რაც საერთოდ ხვედრია ქალისა; მამისა და ქმრის ბრძოლის მოთვალ-თვალე კი არ ყოფილიყავი, არამედ ქმრის მოკავშირე ამ ბრძოლაში, რაზედაც ყველა ქალი ოცნებობს; თანაც, ისეთი მოკავშირე, შეუძლე-ბელს რომ შეგაძლებინებდა, რადგან მან უკეთ იცოდა საკუთარი მა-მის სისუსტეები და არც არავისზე ნაკლები ქალი იყო: აღარაფერს მოერიდებოდა, აღარაფრის შერცხვებოდა, პირიქით, ვერც კი წარ-მოიდგენ, როგორი ბედნიერი იქნებოდა, როცა მისი მამის მტერს, მაგრამ ღირსეულ მტერს, ჭეშმარიტ გმირს დაუძახებდა: მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსაო. და კიდევ ერთი, — შენ მე მამის გაწირვის საშუალება არ მომეცი და ეს ვერ გაპატიე ვერც ცოცხალს და ვერც მკვდარს. სიმართლე თუ გინდა, ესაა სიმარ-თლე!).

ისიც სიმართლეა, ერთად ცხოვრება რომ უნდოდათ და არ შეეძ-ლოთ; სხვადასხვა მხარეს იყურებოდნენ: ერთი ალთას, მეორე ბალ-თას; ერთი იმას ვერ ელეოდა, რასაც სხვაგან ვერ მოიპოვებდა, ხო-ლო მეორე იმის მოპოვებას ცდილობდა, რაც არასოდეს ჰქონია და არც ექნებოდა. სიყვარულის მეტი არაფერი გააჩნდათ საერთო, არც სიმდიდრე, არც სიღარიბე. სიყვარული კი — ვერაგი, გულღრძო, სის-ხლისმსმელი სიყვარული — სრულებითაც არ არის საკმარისი ერთად ცხოვრებისთვის, პირიქით, სიყვარული ყველაზე დიდი ჯებირია ორ სულელს შორის, რომლებსაც ერთად ცხოვრება განუზრახავთ სიყვა-რულის ანაბარა. პირველ რიგში სიყვარული უნდა დაანგრიო, სახლი რომ აიშენო, ავეჯი რომ შეიძინო, კედლები რომ მოკაზმო, და, მტრე-ბის გულის გასახეთქად, ზიზილპიპილოებით გამოტენო კარადის თა-

როები. მაგრამ იმიტომ კი არ გამოექცა ის ქმარს, სიმდიდრე რომ ერჩია სიყვარულს — როგორც ქმარმა უთხრა ერთხელ, მორიგი კინკლაობის ჟამს — სხვისას საკუთარი ამჯობინა, სიმდიდრე სიღარიბეს კი არა, საკუთარი სხვისას, ისევე როგორც მისმა ქმარმა. საკუთარი ოფლი გაცილებით ძვირი უღირდა, ვიდრე ცოლის ცრემლი. ცოლიც ადგა და საკუთარ ბუდეს დაუბრუნდა, სადაც არც თეფშის გარეცხვას შეახსენებდა ვინმე და არც იმაზე უნდა აეტკივებინა თავი, დღეს რა გავაკეთო სადილადო. არაფერი ჩაუდენია წარმოუდგენელი ანდა გასაკვირი, რადგან ასევე მოიქცეოდა არა მხოლოდ გონიერი, არამედ ნებისმიერი, ცოცხალი არსება. მინდვრის თაგვი რომ მინდვრის თაგვია, ისიც ირჩევს ადგილს, ისიც ცდილობს უკეთესად მოეწყოს, და რა დანაშაულია, ამასაც უკეთესი აერჩია? თუმცა, უკეთესი უკან დარჩა და ლიზას თქმისა არ იყოს, "ადგილზე" მიხვდა ამას. ჯერ კიდევ მატარებელში. მატარებლის სარკმლიდან შავად ახრჩოლებული ქალაქი რომ დაინახა, ნავთის სუნი რომ ეცა ცხვირში, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მკვდარი იყო, თითქოს რკინის ყუთში ჩამწყვდეული მისი სული ჯოჯოხეთში მიჰქონდა მის ქმარს — მარადიულ, გაუნელებელ ცეცხლზე შემოსადგმელად. არაფრის არ შეშინებია ისე, როგორც ბათუმის დანახვამ შეაშინა. და მართლაც, ის სამი თვე, ამ წყეულ ქალაქში რომ გაატარა, ერთი წუთით არ გადაჰყრია გულიდან შიში, ავის, საზარელის წინათგრძნობა. შუაღამისას, თითქოს იმის ჯიბრზე, ხან სროლა ატყდებოდა, პორტსა თუ ბულვარში, ხან კი — ქალი კიოდა, არაადამიანური, სისხლის გამყინავი ხმით. ძილგამკრთალი, აძაგძაგებული ეტმასნებოდა ქმრის გავარვარებულ ზურგს, როგორც გზამოჭრილი — კედელს, და ისეთი ჩვენებები უტრიალებდა თავში, საკვირველია, სული როგორ მიჰყვებოდა ხოლმე დილამდე. ხან ვითომ ყაჩაღები მოსდევდნენ მოსაკლავად, ხან კი — მთვრალი მეზღვაურები აუპატიურებდნენ. ლიზა კი ქირქილებდა: არა უშავს, ასე უკეთ გაარკვევ ყველაფერსაო. რაღა უნდა გაერკვია: ფეხმძიმედ იყო, ახალ სიცოცხლეს დაატარებდა მუცლით და იმ ახალი სიცოცხლისთვის უნდა ეზრუნა პირველ რიგში. ერთხელ, პატარაობისას,

მათ აივანზე, მის თვალწინ, მტრედმა ბუდე გაიკეთა. ნისკარტით ეზიდებოდა ხმელ წკირებს და დანჯღრეული, აივანზე გატანილი, ბოთლებითა და ქილებით გამოვსებული კარადის ქვეშ აწყობდა. ისიც იქვე იდგა, ორ ნაბიჯზე. აივანზე ერთი წუთით გასული, იმდენად გააოცა, გააოგნა, მოხიბლა მტრედის საქმიანობამ, ფეხი ვეღარ მოიცვალა. არც მტრედს შეშინებია მისი; საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, თავისი საქმით გართული. ფაცაფუცით, ღუღუნით შეძვრებოდა ხოლმე კარადის ქვეშ და მეორე წუთას, ფრთების გამალებული ბათქუნით, ახალი წკირის მოსატანად მიფრინავდა. "აღარ დაბრუნდებაო" — შიშობდა, წუხდა ეს, მაგრამ მტრედი ჯიუტად ბრუნდებოდა, კიდევ ერთი წკირი მოჰქონდა მომავალი ბუდისთვის. პირით მოჰქონდა, როგორც ძაღლს — პატრონის გადაგდებული ჯოხი. არაფრად აგდებდა მოთვალთვალე ბავშვს, საქმე ჰქონდა, კვერცხის დასადებად ემზადებოდა და სხვას ვერაფერს ამჩნევდა. მერე, უფრო მოგვიანებით, როცა უფროსებმაც შეიტყვეს მათ აივანზე დაბინავებული მტრედის ამბავი და როცა, რატომღაც აღშფოთებულმა ლიზამ, აწკრიალებული კარადა უხეშად გადასწია, კარადის ქვეშ, ერთმანეთზე მჭიდროდ დალაგებულ წკირებზე, სველი, ყვითელი, უშნოდ გაფარჩხული ბარტყი დაუხვდათ (მტრედის შვილს ხუნდი ჰქვიაო — გაუსწორა დედამ). ეს ამბავი დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ბათუმში ჩამოსვლის პირველსავე დღეს, მისთვისაც მოულოდნელად, სწორედ ის ჯიუტი, უშიშარი და, ცოტა არ იყოს, თავხედი მტრედი გაახსენდა, სხვის აივანზე, სხვისი კარადის ქვეშ ბუდე რომ მოიწყო და თანაც უტიფრად, აშკარად, გამომწვევადაც კი, თითქოს თუკი კვერცხის დადებას მოასწრებდა, თავის მსგავსს შექმნიდა, აღარ დაგიდევდათ, რა შეემთხვეოდა მის ნაშიერს, დააცდიდნენ თუ არა გაზრდას, ბოლომდე დაუთმობდნენ მშობლის სიჯიუტით, მშობლის სითავხედით მოპოვებულ ადგილს, თუ სკლინტშემხმარ წკირებთან ერთად იმასაც ცოცხით გადახვეტავდნენ აივნიდან. იმ მტრედს ჰგავდა მისი ქმარიც. ყოველ დილით ფართხაფურთხით გარბოდა შინიდან, ზეზეურად სვამდა ჩაის, და ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა უკან;

ხან რა მოჰქონდა და ხან რა; ბუდეს აკოწიწებდა სხვის ჭერქვეშ; ბუდესაც არა — კვერცხის დასადებ ადგილს უმზადებდა ცოლს. ხოლო მის ცოლს კი არ უხაროდა, აბრაზებდა, აცოფებდა ყოველი შენაძენი: ყავის საფქვავი, თუ ხორცის საკეპი ფიცარი, მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული, საკმაოდ უგემოვნო და უფერული ნახატი (შადრევანის ფონზე — გრძელთვალება, სანახევროდ შიშველი ქალები და ყურდაცქვეტილი შველი), თუ ყანჩებივით მაღალ ფეხებზე შემდგარი ჭიქები (პოლიცმეისტერმა რომ შეუჭამა ორი კვირის მერე, "ოჯახურ ვახშამზე"). აბრაზებდა, აცოფებდა, რადგან ეს უბრალო, ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები, თავიანთი სიმრავლითა და სიმძიმით, კიდევ უფრო ძირავდნენ ნასხვისარი ცხოვრების მტვერში, სუნში, ხმებში... ნასხვისარი ცხოვრების აშმორებულ წყვდიადში.

— ასე ხომ? ასე ხომ? — გიჟივით იმეორებდა, მრისხანებისგან მართლა სულშეგუბებული.

— ასე, დიახ, ასე! — პასუხობდა ქმარი ჯიბრით.

სხვათა შორის, უფრო ადრე თუ გამოექცა ქმარს, ვიდრე უნდოდა, ანდა აპირებდა, იმ ჭიქაჭამია პოლიცმეისტერსაც მიუძღვის გარკვეული დამსახურება, რომლის მსგავსი არც არაფერი უნახავს იქამდე და არც არაფერი გაუგონია. მთელი საღამო დამფრთხალი, დაბნეული, გაოგნებული, იჯდა სუფრასთან და ზრდილობის გამო, ანდა სტუმართმოყვარეობის გამოსაჩენად კი არა, შიშისგან იღიმებოდა; სულ ელოდებოდა, აი, ახლა წამოუვა პირიდან სისხლი და აი, ახლაო. ის კი, არხეინად ახრამუნებდა შუშას, ორცხობილასავით, და თან გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ბორძიკით, ტკეპნით, უაზროდ და უსასრულოდ, თითქოს მნიშვნელოვანს ამბობდა რამეს, თითქოს მოსასწრებად ჰქონდა საქმე და გაჩუმდებოდა თუ არა, სულსაც განუტევებდა. მაგრამ არ ჩუმდებოდა. წესიერად არც ახსოვს, ბოლოს და ბოლოს, შეწყდა ის გამაღიზიანებელი, გამომათაყვანებელი ხმა იმ საღამოს, თუ თვითონ გამოითიშა, თვითონ დაკარგა სინამდვილის აღქმის უნარი, სინამდვილის, რომელსაც აღარ ეკუთვნოდა, აღარ უნდოდა და იმიტომ. კბილებით დაფშხვნილი, დაღეჭილი შუშის ხმა

კანზე ეკალს აყრიდა, და თუ მაინც იღიმებოდა, მხოლოდ იმიტომ, საკუთარ არსებასთანაც რომ ვეღარ ამყარებდა კავშირს; არც ღიმილთან ესაქმებოდა რამე; უბრალოდ, სახეზე დარჩენოდა — შეძრწუნებამდე — და დავიწყებოდა. სახე იღიმებოდა მხოლოდ, როგორც კედელზე მიკიდული ნიღაბი, რომელიც იდუმალს, შეუღწეველს, უხილავს კი არ გამოხატავს, არამედ იმას აჩვენებს, რაც ზედ ახატია, თანაც სხვისი ხელით. "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო", — ფიქრობდა გაღიმებული. ჭიქაჭამია კი, ისევ ისე ბორძიკობდა, იტკეპნებოდა, ხრაშუნობდა და ღრჭიალებდა. სავსე ჭიქას ხელს ამოუდებდა ხოლმე, ვითომ უნებლიეთ ღვინო არ დამეწვეთოს სუფრაზეო, ვითომ ნამეტანი თავაზიანი და ზრდილი გახლდათ, მაგრამ დაცლიდა თუ არა ჭიქას, მაშინვე ჩაკბეჩდა და ბაგაზე დაბმულ ძროხასავით იცოხნებოდა; იმდენი ხნით ჩუმდებოდა მხოლოდ, ჭიქის დაცლას რომ სჭირდებოდა; მაგრამ მისი ხმა მაშინაც ჟღერდა ჰაერში, მძიმე, ტლანქი, ყოვლისმომცველი, ჰაერსაც დევნიდა ოთახიდან და იმ ხმაში იყვნენ ყველანი ჩაფლულები, ჩაკარგულები, იმ ხმას სუნთქავდნენ, იმ ხმით ჰქონდათ ფილტვები ამოვსებული. თუმცა სხვები ყურადღებას არ აქცევდნენ ამ ამბავს, ეტყობა, უკვე შეჩვეოდნენ, როგორც იაპონელები მიწისძვრას, და თვითონაც ჭამდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ და ესაუბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს. "არა. ისა. შენ ხარ ჩემი ბატონი. ფუი. ეტალონი. დიახ. ეტალონი", — ბუყბუყებდა, ბუტბუტებდა, ლუღლუღებდა და გზადაგზა ყველაფერს შუშის სილაში მარხავდა უაზრობის მდინარე. ხრრრრშშშ და ხრრრრშშშ და ხრრრრშშშ. "ეს უკვე სიგიჟეა. ეს უკვე სიგიჟეა", — ფიქრობდა მოღიმარი ნიღაბი. ხოლო მის ძვირფას მეუღლეს ისე ჰქონდა შეფერებული ოჯახის უფროსობა და მასპინძლობა, უმსგავსობას, გაუგებრობას, სისულელეს, აღტაცებული, რაღაცნაირი მოწიწებითაც კი, უდგამდა წინ შეჭმული ჭიქის მაგიერს. "ლაქია. ლაქია. ლაქია. — ფიქრობდა მოღიმარი ნიღაბი. — მამაჩემს ეს ამჯობინა. ამას მიანდო თავისი ბედი. ამან უნდა მისცეს ნანატრი თავისუფლება. საკუთარი ოჯახის შექმნის ნება". ასეთი ფიქრებით შეპყრობილს, ხანდახან თვითო-

ნაც უჭირდა გაერკვია, უყვარდა თუ სძულდა ქმარი, მაგრამ იმასაც გრძნობდა, არსებობისთვის მარტო სიყვარული, ანდა მარტო სიძულვილი საკმარისი არ იყო; სულ გამწარებული იქნებოდა, დღენაკლული ბავშვის პატრონივით, ვიდრე სიყვარულს სიძულვილის ტალახში არ გადაზელდა და ვიდრე ამ ორი გრძნობიდან ერთ ახალ გრძნობას არ მიიღებდა, ერთ ახალ ძალას, რომელიც, თავისი ორბუნებიანობის მიუხედავად, ყოველთვის ერთი და იმავე საგნისკენ, მოვლენისკენ, ცნებისკენ ანდა მიზნისკენ იქნებოდა მიმართული და, რაც მთავარია, მისი დაძვრაც, მისი ტარებაც შეეძლებოდა, როგორც საზიდარში შებმულ ჯორს... ცხენს კი არა, ანდა ვირს, არამედ სწორედ ჯორს, რადგან ჯორისა არ იყოს, არც ეს ძალა იბადება თავისთავად ბუნებაში; როგორც ჯორის შესაქმნელად ცხენისა და ვირის შეჯვარებაა საჭირო, ასევე უნდა შეაჯვარო სიყვარული და სიძულვილი, ამგვარი ძალა რომ მოიპოვო; ხოლო ვინც ამას ვერ შეძლებს, ვინც "უჯოროდ" დარჩება (როგორც მის ქმარს დაემართა), ის თავიდანვე დასაღუპადაა განწირული და კიდეც უნდა შეეგუოს ამას (როგორც მისი ქმარი შეეგუა). ჯერ უნდა მიხვდე და მერე შეეგუო. მაგრამ ამას რომ მიხვდე, დიდი გზა უნდა გაიარო საერთო საცხოვრებლის ბადეჩაგლეჯილი საწოლიდან ჭიქაჭამიების ქალაქამდე; გუბერნიის მთავარ მოსამართლეს ცხვირი უნდა აუბზუო, თავისიანად რომ არ ჩაგთვალოს იმან, და მეძავებისა და კონტრაბანდისტების პოლიცმეისტერს კვერცხი უნდა უგორო, იატაკი რომ არ აგიყაროს თეატრში. ამასთანავე, კეთილშობილება უნდა დაუმტკიცო ქალს, რომელსაც ეს "კეთილშობილება" წინასწარვე გათვალისწინებული ჰქონდა, როცა საერთო საცხოვრებელში მოდიოდა, რათა, სიქალწულის საფასურად, ლაბირინთიდან გამოეყვანა თავისი ოცნების გმირი. დაბოლოს, "სულგრძელად" უარი უნდა თქვა "კეთილშობილებით" მოპოვებულზე, მაგრამ ვერაფერი ვერ უნდა ჩაიდინო ისეთი, რაც შენს "კეთილშობილებასა" და "სულგრძელობას" ბრჭყალებს მოხსნიდა. გმირი რომ არ იყო მისი ქმარი, უკვე მშვენივრად იცოდა; ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ: ჯობია, გინდოდეს და არ შეგეძლოს, ვიდრე შეგეძლოს და არ გინდო-

დესო, რადგან ხელს აძლევდა ასეთი ცხოვრება, ვიდრე მისი პირადი თავისუფლება აღმოჩნდებოდა საფრთხეში, ვიდრე ჩამოაძუნძულებდნენ ბათუმიდან, ჩამოიტყუებდნენ, ვითომ თავის ნებაზე გაშვებულს. ადამიანს ხომ, ნებისმიერი ცხოველივით, დატყვევების უფრო ეშინია, ვიდრე თავად ტყვეობისა! აივანზე გასულ კაცს კარი რომ გადაუკეტო ხუმრობით, მაშინვე აწრიალდება, მუშტებით ჩამოიღებს კარს, თითქოს კიდევ ერთი წუთით თუ შეყოვნდა აივანზე, ქვეყანა დაიქცევა, თუმცა, კარი რომ არ გადაეკეტათ იმისთვის, ვინ იცის, როდის გაუჩნდებოდა ოთახში შემობრუნების სურვილი. მოკლედ, ისეთივე გმირი იყო გელას მამა, როგორი ლაბირინთიდანაც გამოიყვანა იგი გელას დედამ. რადგან ნამდვილი ლაბირინთიდან თავდაღწეული ნამდვილი გმირები არასოდეს ირთავდნენ ცოლებად იმ სულელ გოგოებს, დაუფიქრებლად რომ ღალატობდნენ მშობლებს, გიჟებივით რომ გამორბოდნენ მშვიდი, უზრუნველი ბავშვობიდან, როგორც ცეცხლწაკიდებული სახლიდან, რათა გადაერჩინათ და დაღუპულიყვნენ — მათი ბავშვობის სარკმლის წინ შემთხვევით ჩავლილი, მაჩაბელივით ახოვანი, ლომის ფაფრიანი უცხო კაცი გადაერჩინათ, თავად კი დაღუპულიყვნენ, ბედნიერნი, ცხოვრებით გულსავსენი იმ ერთი ღამის გამო, სიკვდილამდე სათუთად გადანახული იმ პერანგების გამო, რომელთაც ლოგინში, გადიების უჩუმრად შეჭმული ალუბლის წვენით დალაქვა უფრო შეეფერებოდათ, ვიდრე უბიწოების სისხლით. გელას მამისთვის კი, ყველაფერი პირიქით მოხდა: დაიღუპა, რათა გადაერჩინა(!), რადგან თვითონ კი არა, გელას დედა იყო გმირი. თვითონ არც იცოდა, რას სჩადიოდა, გელას დედამ კი იცოდა. თვითონ გული შიშით უსკდებოდა, გელას დედას კი ფეხებზე ეკიდა დერეფნიდან შემომავალი, გაურკვეველი, ერთმანეთში თითქოს საჩხუბრად არეული ხმებიც, მინებჩალეწილი კარადის თავზე შემოდგმული, ქუდჩამოფხატული გლობუსიც და სამი ცარიელი, ნაუცბათევად გასწორებული საწოლიც, ციხესა თუ საავადმყოფოს რომ ამსგავსებდა იქაურობას.

სიყვარული სჭირდა ორივეს და თუ დროზე არ მოეგებოდნენ გონს, სამუდამოდ დაღუპავდნენ ერთმანეთს. სიახლოვე მხოლოდ ხელს უშლიდათ, საღად ეაზროვნათ, თავფეხიანად დაენახათ ერთმანეთი და მშვიდად გაერკვიათ, რამდენად გამართლებული იქნებოდა მათი ერთად ცხოვრება. ისიც ამიტომ გაიქცა მხოლოდ. დიახ, ამიტომ! რა თქმა უნდა, ჭორი სიმართლეზე მომხიბვლელია, მაგრამ სიმართლე თუ გაინტერესებთ, სიმართლე ესაა. დარწმუნებული იყო, ასე აჯობებდა ორივესთვის. "ცას ეწევა სიხარულითო", — ფიქრობდა ლიზაზე, ქმარზე რომ არ ეფიქრა, ქმრისთვის დატოვებულ წერილზე (გიყვარდეს შენი ბათუმი. მშვიდობით). არაფერი რომ არ ეფიქრა საერთოდ. "თუ შეიძლება, ერთი ბილეთი თბილისამდეო", — შესძახა სალაროს სარკმელს; არც შეუხედავს შიგ; გამწარებული იქექებოდა ხელჩანთაში, ნაუცბათევად ჩაყრილ ნივთებში პატარა საფულეს დაეძებდა.

— ერთი?! — გაიკვირვა სალარომ.

— დიახ, ერთი... ერთი! — თქვა თავის აუწევლად, გაღიზიანებულმა.

ჯერ ისევ საფულეს ეძებდა ხელჩანთის ფსკერზე. თითქოს საფულე დაჰკარგოდა მხოლოდ. თითქოს არაფერი ადარდებდა საფულეზე მეტად — რატომ გაგიკვირდათ? — ახლა მიაქცია ყურადღება სალაროს შეკითხვას და უნებურად თავი ასწია. თბილმა, კეთილმა, გულისხმიერმა ღიმილმა მოუთათუნა სახეზე, მზის სხივივით, და ისევ დახარა თავი. ისევ საფულეს დაუწყო ძებნა. უარესად დააბნია, დააფრთხო, რკინის დაცხაული სარკმლიდან მზის სხივივით გამოსხლეტილმა ღიმილმა, აღსარების, მონანიების ჟინის ამღძვრელმა, თავისი უბრალოებით, სისუფთავით, უანგარობით. "მეც ყველა მიცნობს, იმიტომ, რომ ჩემი ქმრის ცოლი ვარო", — გაიფიქრა ბრაზიანი სიამაყით. ჯერ სიამაყით, მერე სიბრაზით. მიხვდა, რამაც გააკვირვა სალარო — უქმროდ არავის წარმოედგინა იგი, უქმროდ არავისთვის არ არსებობდა. ცოტას მორჩა, დაუყვირა: ნუ მიყურებთ ასე, თქვენ ხომ არაფერი იცითო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ან რა ავალდებულებდა, ანგარიში ჩაებარებინა ვიღაც მოლარისთვის, რომელიც აქ მხოლოდ იმიტომ იჯდა, ბილეთი მიეცა ყველა მსურველისთვის, თუკი ბი-

ლეთის მსურველს ბილეთის ფულიც აღმოაჩნდებოდა. — სად დაიკარგა, ღმერთო ჩემო, — ამოიკნავლა საცოდავად და ხელი ბრაზიანად ამოუსვა ჩანთაში. “ბოლოს და ბოლოს, ვისი რა საქმეა”, — შეუღრინა ვიღაცას გუნებაში. “იმედია, მალე დაგვიბრუნდებითო”, — ჩაესმა ღიმილივით თბილი, ღიმილივით კეთილი ხმა. — ხო... არ ვიცი. ვნახოთ. — ბუზანკალით შეწუხებული ცხენივით აიქნია თავი და რატომღაც პოლკოვნიკი ვეზირიშვილი მოელანდა — თეთრ ხელთათმანს ხელის ზურგზე იტყაპუნებდა და მუსუსი კაცის ლორწოვანი ღიმილით ეუბნებოდა: იმედია, როდისმე თქვენც მოისურვებთ ჩვენი ყაზარმის დათვალიერებასო (მაქვს პატივი. მაქვს პატივი. მაქვს პატივი). ისევ აიქნია თავი და სალაროსთან დაბრუნდა. “მე მე ვარ, ჩემი ქმარი კი ჩემი ქმარია”, — განუმარტა ვიღაცას გუნებაში. — აი! — შესძახა გახარებულმა. როგორც იქნა, მიაგნო საფულეს. ახლა მალე მოეღებოდა ბოლო მის გაწამაწიას, ყოვლად უაზრო, ყოვლად უსაფუძვლო ძრწოლასა და კანკალს, უფრო სწორად, სინდისის ქენჯნას, მოლარის ღიმილმა რომ აღუძრა, თითქოს სააღსარებო საკანში იდგა და ცხაურს იქით თავად ღმერთი დაბრძანებულიყო. ფეხებთან ხურდა ფულმა გაიწკრიალა; ქაღალდის ფულს ამოაყოლა ალბათ. მაგრამ არც დაუხედავს ძირს, ერთი სული ჰქონდა, როდის მოშორდებოდა სალაროს.

წესიერად არც იყო შესული შინ, ხელჩანთა ისევ მკლავზე ეკიდა, ჯერ ისევ მატარებლის სუნი ასდიოდა, ჯერ ისევ უბჟუოდა ყურები ლიანდაგისა და ბორბლების დგანდგარით, ლიზამ რომ მიახარა: დედაშენმა ისეთი ექიმი იპოვა, მუცელს კი არ მოგიშლის მარტო, ქალიშვილობასაც დაგიბრუნებსო. თავისი ფეხმძიმობის ამბავი იქამდე მოსწერა დედას ბათუმიდან, ვიდრე საბოლოოდ დარწმუნდებოდა თვითონ. “მგონი, მალე მეც დედიკო გავხდებიო”, — ვითომ ხუმრობით სწერდა დედას, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე იდუმალი მოვლენის მოახლოებით შეძრული, მაგრამ მუცელს მოიშლიდა თუ დაიტოვებდა, ამ საკითხზე, ჯერჯერობით, ქმრის გარდა, არავისთან ჰქონია საუბარი; მხოლოდ ქმარს განუცხადა, ისიც გაბ-

რაზებულმა, არ იფიქრო, დაქირავებულ ოთახში გავაჩენ შვილსო; მტრედი ხომ არა ვარ, არც დავინტერესდე, სად დაიბადება ჩემი შვილიო, გაზრდას დააცდიან თუ ცოცხით გადახვეტავენო. მაგრამ ეს მხოლოდ მას და მის ქმარს უნდა გადაეწყვიტა და სხვა ვერავინ ჩაერეოდა. ამიტომაც გააცეცხლა ალბათ ასე ლიზას ნათქვამმა. ჩანთის დაგდებაც დაავიწყდა. მეეზოვე ქალივით გაჰყვიროდა, უძინარი, ბინძური, მატარებლის სუნით გაჟღენთილი... მაწანწალა. აღარაფერი არ უნდოდა, ოღონდ როგორმე ჩაეხშო, ჩაექოლა, გაესრისა, მოესპო ლიზას ნათქვამი. ვერ ამჩნევდა, თავს ზემოთ აწეულ ხელებში რომ ეჭირა ჩანთა, ლიზასკენ რომ მიდიოდა, ხოლო ყურებზე ხელებაფარებული, თვალებგადმოკარკლული ლიზა უკანუკან იხევდა უნებურად. მარტო იმის ნათქვამს ხედავდა, ცივსისხლიანი ცხოველივით სლიპინასა და მოუხელთებელს. არასოდეს არ ყოფილა ასე უმწეო, ასე შეურაცხყოფილი, ასე მარტო და, რაც მთავარია, არასოდეს არ უგრძვნია ასე ცხადად, ასე გამოკვეთილად მისი ფარული კეთილისმყოფელებისა თუ მისი ბედის ფარულად წარმმართველთა სიძლიერე, რომლებიც ლიზას მეშვეობით აცნობდნენ ხოლმე თავიანთ მოსაზრებებსა და გადაწყვეტილებებს და რომლებსაც არა მარტო მისი შენახვა, მისი ყოველმხრივ უზრუნველყოფა, არამედ, ყველა სიკეთესთან ერთად, თურმე მისი სიქალწულის ამოკემსვაც შეეძლოთ, თვალწასული წინდასავით, თითქოს სიქალწულეც წინდა იყო და სხვას არაფერს ნიშნავდა — გაიხდიდი და გადააგდებდი, ანდა დაკემსავდი და ახალივით იქნებოდა. “არაფრად არ მჭირდება თქვენი ექიმი და არც იმის დაბრუნებას ვაპირებ, რაც ჩემი სურვილით, თქვენი ნებართვის გარეშე გავეცი; რასაც ზოგიერთები, ძალიანაც რომ მოინდომონ, მაინც ვერ დაკარგავენო”, — ყვიროდა საკუთარი უსირცხვილობით შეწუხებული, საკუთარი უსამართლობით აღგზნებული, რადგან საბრალო, სულელი, გულუბრყვილო ლიზა ბურთი იყო და არა ჩოგანი, ისარი იყო და არა მშვილდი, საყვირი იყო და არა მესაყვირე. მაგრამ დედაკაცური გუმანი, ალღო, რომელიც უმალ მის პატივმოყვარეობაზე იზრუნებდა, ვიდრე მის სიცოცხლეზე, ისევ დაყ-

რუებას, დაბრმავებას, თავის გაბრიყვებას აიძულებდა და ისიც ვერ ბედავდა, უფრო ზუსტი მისამართი მიეცა რისხვისთვის, გულისწყრომისთვის, რადგან ახლა, ქმრისგან გამოქცეულს, მართლა აღარ ჰქონდა სხვა გზა, მშობლიური ციხის იქით. ასე რომ, შვილიც ლიზას ჯიბრით გააჩინა თითქოს, რადგან მხოლოდ ასე შეძლებდა იმის, გელას მამის, უკვე სამშვიდობოზე გასულის, უკვე თავდაღწეულის — უკანვე შემოტყუებას, ლიზასთვის რომ დაემტკიცებინა, არაფერი მჭირს საექიმო და საჩხირკედელაოო. თუმცა, სინამდვილეში, შვილი კი არ გააჩნია, განაჩენი აღასრულა, "სისრულეში მოიყვანა განაჩენი", როგორც მამამისი ამბობს და როგორც გაზეთები წერენ ხოლმე; რადგან ცოლი კი არ იყო თავისი შვილის მამისა, არამედ ჯალათი. მის აჩხავლებულ შვილს ლიზა დაატარებდა მეზობელ ოთახში, ის კი, თვალდაჭყეტილი იწვა და წუთებს ითვლიდა, საათებს, დღეებს — ცდილობდა, ზუსტად გამოეანგარიშებინა, როდის ჩააღწევდა წერილი ბათუმამდე; ცდილობდა, ზუსტად წარმოედგინა, როგორ აღმოჩნდებოდა წერილი მისი ქმრის ხელში. ალბათ თეატრში მიუტანდნენ წერილს, რადგან ვერაფრით ვერ დაიჭერდნენ შინ (რა გააჩერებდა შინ მარტოხელა კაცს, თანაც მსახიობს!) და ალბათ ფოსტის მოხელეს, თეთრწვერა იასონს, კარებშივე მიესეოდნენ მსახიობი ქალები: ნუ მოგვკალი, გაგვაგებინე, ვის სახელზეა წერილიო. ხოლო როცა შეიტყობდნენ, ვის სახელზეც იყო წერილი, ახლა იმაზე ატეხავდნენ წიოკობას, არა, მე უნდა გადავცე და არა, მეო (საერთოდ, მის ქმარს დიდი მოწონება ჰქონდა ბათუმელ ქალებში. რომელიმე მორიგ წვეულებაზე, სუფრაზე რომ შედგებოდა საცეკვაოდ, უკვე შეზარხოშებული, ლამის ერთი კედლიდან მეორემდე რომ გადაშლიდა თავის ტორებს, მაჩაბელივით ახოვანი, ფაფარაშლილი, ქალებს გული მისდიოდათ, ბნედა ემართებოდათ და ამას შემოეხვეოდნენ ხოლმე, როგორც ბავშვები ტკბილეულობის გამყიდველს, ოხვრითა და ვიშით შენატროდნენ: რა ბედნიერი ქალი ხარ და რა ბედნიერი ქალი ხარო). ბოლოს, რომელიმე მათგანი — ამალია, ფლორა, ელიკო თუ სიდონია — მოიხელთებდა წერილს და ქათამივით აკაკანებული გავარდე-

ბოდა სამახარობლო კოცნის გამოსატყუებლად. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, ეს სრულებითაც არ აღელვებდა; არასოდეს არ ყოფილა ეჭვიანი; პირიქით, სიამოვნებდა კიდეც, ასე რომ მოსწონდათ მისი ქმარი ქალებს. სხვანაირად ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ ის უკეთესად იცნობდა თავის ქმარს, ვიდრე სხვა ქალები, და ახლა, საწოლზე გულაღმა გაშოტილი, იმის წარმოდგენას კი არ ცდილობდა, მის ქმარს როგორ მიუშვერდა ლოყას ამალია, ფლორა, ელიკო თუ სიდონია, — ის სიფითრე არ უნდოდა გამოჰპარვოდა, მის ქმარს რომ გადაჰკრავდა სახეზე, როგორც კი წერილს დაინახავდა (აჰ, წერილი! ვის გავახსენდი, ნეტავი!). მაშინვე მიხვდებოდა, ვის "გაახსენდა", მაგრამ წერილს უდარდელად ჩამოართმევდა ამალიას, ფლორას, ელიკოს ანდა სიდონიას და უდარდელად ჩაიკუჭავდა ჯიბეში, ვითომ, არაფერია ყურადღების მისაქცევიო, ახლა ამისთვის არ მცალიაო. ისევ მოჰყვებოდა წინ და უკან წრიალს სცენაზე და მღელვარებისგან ჩახერგილი ყელის ჩასაწმენდად, "ხმის მოსანახად", რამდენჯერმე ამოიძახებდა: მადლობეეელიიი ვააარ, ჩეეემო ამაააალიაო (ანდა — ჩემო ფლორა, ჩემო ელიკო, ჩემო სიდონიაო — ვისაც წერილის გადაცემის პატივს არგუნებდა ბედი). მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი წინ ელოდებოდა და ამასაც დაძაბულობისგან თვალები სტკიოდა, თავი უსკდებოდა, ცდილობდა, იმდენი მოეხერხებინა, აქედან, თბილისიდან, ქმრის გულში გადასახლებულიყო უცებ, საკუთარი თვალით ეხილა, რა ხდებოდა იქ, რა ფიქრები, რა მოსაზრებები, რა ვარაუდები ენაცვლებოდნენ და სპობდნენ ერთმანეთს. და აი, ბოლოს და ბოლოს, დგებოდა გადამწყვეტი წუთიც, მისი ქმარი ვეღარ უძლებდა გაურკვევლობის კლანჭებს, და საპირფარეშოში შეკეტილი... ("არა. არა. არა", — უყვიროდა საკუთარ თავს, არ უნდოდა, საპირფარეშოში წაეკითხა მის ქმარს გაქცეული ცოლის ხელითა და მისთვის ჯერ კიდევ არარსებული შვილის სახელით დაწერილი წერილი) ... და თავის ოთახში შეკეტილი, ათრთოლებული თითებით ხსნიდა კონვერტს, გაუბედავად შლიდა ოთხად გაკეცილ ფურცელს, თითქოს იქიდან მორიელი გამოუხტებოდა, და მართლაც, იმავე წუთას, მო-

რიელის რქებივით დაეძგერებოდა გულზე წერილის პირველივე ორი სიტყვა: გამარჯობა, მამიკო! (ხა, ხა). გამარჯობა, მამიკო! ასე ალყაში მომწყვდეულებს დაუძახებენ ხოლმე: დაჰყარეთ იარაღიო!

მერე მისი ქმარი ისევ სარკმელთან იდგა, ისევ სიმამრის სახლში, ისევ ფლოსტებში ფეხწაყრილი და ქუჩას გაჰყურებდა. მსახიობობას საერთოდ დაანება თავი. იშვიათად გადიოდა შინიდან: შვილს თუ გაასეირნებდა, ანდა, ათასში ერთხელ, ძველ ნაცნობმეგობრებს გადაეყრებოდა. იმ პატიმარს ჰგავდა, სანიმუშო მორჩილებისთვის, სანიმუშო წესიერებისთვის მძიმე სამუშაოდან რომ გაუთავისუფლებია ციხის ადმინისტრაციას და, უსაქმობისგან, აღარ იცის, როგორ გაიყვანოს დრო. მაგრამ რასაც ციხის ადმინისტრაცია მორჩილებასა და წესიერებას ეძახის, იმას პატიმრების ენაზე სულ სხვა სახელი ჰქვია. ამდენი თვითონაც იცოდა ალბათ და იმიტომაც დაბორიალობდა გაოგნებული გუბერნიის მთავარი მოსამართლის ბინაში, როგორც ალიბაბა ყაჩაღების გამოქვაბულში. ანდა სარკმელთან იდგა, ფლოსტებში ფეხწაყრილი, და ქუჩას გასცქეროდა. საღამოობით ფანჯრების წინ ისევ ჟივჟივებდნენ ბეღურებით გადაშავებული ჭადრები. უფრო შორს, ჭადრებს იქით, მთაწმინდის ხრიოკ ფერდობზე, ისევ ტაატით, ისევ კუს ნაბიჯით დაცოცავდნენ ფუნიკულიორის პატარა, ღია ვაგონები, ფერადი ფარნებით დახუნძლულნი, როგორც ბუჩქები ნაყოფით. ისევ გუგუნებდნენ სიონისა და ქაშუეთის სამრეკლოები და, რაც მთავარია, ქუჩები ისევ მხიარული, ხმაურიანი ხალხით ივსებოდა, თითქოს ბოროტება, ვერაგობა, დაუნდობლობა, ძალადობა, სიმარტოვე და ტყვეობა — გამოგონილი, ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ, ძილში ჩასმენილი, სიზმრად მოლანდებული, და სინამდვილეში მსგავსიც არაფერი განეცადათ. არასოდეს. ის კი, გელას მამა, გაუვალ ფიქრს აწყდებოდა, როგორც სარკმლის მინას — ბუზი, რომელსაც ვერ დაუჯერებია, ეს ჰაერივით გამჭვირვალე, მაგრამ მკვრივი საგანი, არაფრით რომ არ არის ჰაერი, სივრცე... მაგრამ ის სულ სხვა სივრცეებზე ფიქრობდა უკვე, უკვე ხალათის ჯიბეში, მღელვარებისგან გაოფლილი ხელით, ბღუჯავდა სამართებელს და თუკი მაინც

აყოვნებდა, არა იმიტომ, კიდევ რომ ჰქონდა იმედი შეწყნარებისა, უბრალოდ ელოდებოდა, ყველანაირად მზად რომ ყოფილიყო და აღარაფერს შეეფერხებინა მისი ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად გმირული ნაბიჯის გადადგმა. "ჩემმა ქმარმა თავი მოიკლაო" — პირველად რომ აღიქვა ამ სიტყვებში ჩაბუდებული აზრის საშინელება, ხელფეხი წაერთვა, მაგრამ ერთი წამითაც არ დაუშვია, თვითონვე რომ იყო ჯალათი საკუთარი ქმრისა. საუბედუროდ, გვიან მიხვდა ამას. თანაც, მისმა მსხვერპლმა კი არ მიახვედრა, რომელმაც საამისოდ ყველაფერი იღონა, არამედ მისი მსხვერპლის დანატოვარმა, შვილმა — სწორედ იმ კედლებში, იმ ჭერქვეშ აღმოცენებულმა თესლმა, საიდანაც მთესველი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, უფრო სწორედ, ამაოდ ცდილობდა გაქცევას, რადგან უყვარდა, უყვარდა, უყვარდა და ირგვლივ უგულოთა, ბრმათა, ყრუმუნჯთა ბრბო ეხვია. შვილის თვალებში დაინახა ამან საკუთარი სიბრმავე, სიყრუე, სიმკაცრე და დაუნდობლობა, შვილის პირიდან გაიგონა ის, რისი თქმაც მისმა ქმარმა ვერ გაბედა, ანდა ვერ მოასწრო. "მეზიზღება აქაურობაო" — უთხრა შვილმა და ამასაც მხოლოდ მაშინ აეხილა თვალი ოჯახური სიამტკბილობის, კეთილდღეობის და, რა თქმა უნდა, სიყვარულის სახელით ატეხილი ომის მონაპოვართა სახილველად. მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ეზოში რომ იბანდა მისი შვილი ხელპირს, ბაბუამისის მეეტლეს რომ დაჰყვებოდა აბანოში, რათა აბაზანაში არ შესულიყო, სადაც მამის ტიტველი აჩრდილი ეგულებოდა; თავზე საბანწაფარებულს ეძინა, ანდა თვალდაჭყეტილი იწვა სიბნელეში, როცა ეს, თავად ძილგამკრთალი, აწრიალებული, აბორიალებული — შემთხვევით დახედავდა ხოლმე. "არ გძინავს? რატომ არ გძინავს?" — ეკითხებოდა ყალბი გულგრილობით, ყალბი მზრუნველობით, ხმა რომ ამოეღო შვილს, ანდა განძრეულიყო მაინც, არ წოლილიყო ასე თვალდაჭყეტილი, ასე გაქვავებული... იმასავით. "ხმა ამოიღე. ხმა ამოიღე!" — დასისინებდა ბნელში ჩაკარგულ საწოლს, და ცივ რკინას, ორივე ხელით ჩაფრენილი, გამწარებული აჯანჯღარებდა, თითქოს გამიზეზებულ ჩვილს აძინებდა. არა, თითქოს მათ გამთიშველ

ღობეს ანგრევდა, თითქოს ასე გამოდენიდა შვილს მამის პირქუში სახლიდან, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოეპოვებინა, მაინც აეშენებინა იმას, ოღონდ, მხოლოდ შვილის სამყოფი. "ხმა ამოიღე. ხმა ამოიღე!" — ჩურჩულებდა, თუმცა დაძაბულობისგან ძარღვები აწყდებოდა ყელზე; გული შიშით უსკდებოდა, მშობლები არ გავაღვიძო, ანდა ლიზამ არ შემოიხედოს შემთხვევითო. მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა, არ ჩუმდებოდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა, სანამ ერთხელ კიდევ არ გაიგონებდა შვილის პირიდან, ნებისმიერ ბრალდებაზე, ნებისმიერ მსჯავრზე, ნებისმიერ საყვედურზე, ნებისმიერ საწამლავზე შემზარავ შეკითხვას: რატომ მოიკლა მამაჩემმა თავიო. "იმიტომ, რომ ვუყვარდიო" — ვინ იცის, მერამდენედ აკავებდა პირზე მომდგარ სიტყვებს; ვინ იცის, მერამდენედ იბრუნებდა უკანვე მათი სიმძიმით, მათი სიმკაცრით, სიდიადითა და საზარელი სიმართლით დალილავებულ სულში, რადგან კი არ ეთაკილებოდა, მისი მიზეზით რომ დაობლებულიყო მისი შვილი, არამედ — ღმერთო მაპატიე, ეს მაინც მაპატიეო — ლოცულობდა გულში მხურვალედ — ეამაყებოდა, მისი შვილის მამას ასე რომ ყვარებია თურმე იგი. ეს სიამაყე თრგუნავდა, აკნინებდა და აუბედურებდა სწორედ. ეს სიამაყე უკარგავდა მოსვენებას, უფრთხობდა ძილს. ეს სიამაყე აბორიალებდა ქუჩებში, ოთახიდან ოთახში; ალენჩებდა, არინდებდა, სარკმლის მინაზე ცხვირმიჭყლეტილს, სარკმელს იქით მოგუგუნე წყვდიადს მიშტერებულს, ჯიუტად, შიშითა და მღელვარებით, როგორც ჯერ კიდევ ცარიელ სცენას — თეატრში პირველად მოხვედრილი ბავშვი, რომლისთვისაც სულერთია, რა გამოჩნდება სცენაზე, ოღონდ გამოჩნდეს, ოღონდ აუცილებლად გამოჩნდეს რამე. ეს სიამაყე აფრთხობდა, აბნევდა, აეჭვებდა მისიანებსაც და ამ სიამაყის გამო ელაქუცებოდნენ, ეფერებოდნენ, ევედრებოდნენ, "ისე", "სხვათა შორის" მაინც ჩვენებოდა ექიმს, "გასაუბრებოდა მხოლოდ", რათა, ბოლოს და ბოლოს, ყველანი დამშვიდებულიყვნენ ("კუნძულზე ხომ არ ვცხოვრობთ, ათასი გზა, ათასი საშუალება არსებობსო" — ამბობდა დედა). და ეს სიამაყე აიძულებდა, თვითონაც დამფრთხალიყო, თვითონაც დაეჭ-

ვებულიყო, სნეულად, გიჟად ჩაეთვალა თავი. “ვთქვათ, მართლა გიჟი ვარ, — ფიქრობდა და თან ცდილობდა, უშეცდომოდ დაეთვალა თუნდაც ათამდე, ასე რომ არ ეფიქრა, ეს მტანჯველი, შემაძრწუნებელი ფიქრი რომ მოეშორებინა როგორმე. — ერთი. ორი. სამი, — ითვლიდა ტუჩების ცმაცუნით. დაძაბული. დაძაბულობისგან ათრთოლებული. საკუთარ გონებას მიყურადებული. — მაშინ, სრულებითაც არ უნდა იყოს ჩემთვის საშიში საგიჟეთში მოხვედრა... სამი... სამი... პირიქით, გიჟისთვის ისევე აუცილებელია საგიჟეთი, როგორც ქათმისთვის — საქათმე. ანდა ღორისთვის — საღორე. სამი. ოთხი. ხუთი. ფუნთუშისთვის — საფუნთუშე. და ასე შემდეგ. ასე შემდეგ. გელა ალბათ ისევ თვალდაჭყეტილი წევს. მე რომ გიჟი ვიყო, კი არ უნდა მეშინოდეს, უნდა მიხაროდეს საგიჟეთში მოხვედრა. ხუთი. დედაჩემი მართალია. ექიმს უნდა ვეჩვენო. ხუთი, არა, ექვსი. მთავარია, ამ აზრს შევეჩვიო. როგორმე დავძლიო, როგორც დედაჩემი ამბობს, ეს ყოვლად უსაფუძვლო და არაბუნებრივი შიში, როგორი არაბუნებრივიც იქნებოდა, მაგალითად, თევზის შიში წყლისადმი. რამდენად ბედნიერია თევზი. რამდენად ბედნიერია თევზი. რამდენად... თევზი... მაგრამ ნავთის ზღვაში თუ აღმოჩნდა უცებ? ხუთი უკვე ვთქვი, ხუთი უკვე თქვი, შე კრეტინო. გიჟები ისინი არიან, ვისაც ჩემი გაგიჟება უნდათ. თავად ეჩვენონ ექიმს. დაანახონ ჭიპები. მე თუ ჩემს სახლში ვარ, თუ ჩემი ფლოსტები მაცვია, თუკი როდის რა მომეპრიანება, იმას ვაკეთებ, გიჟი კი არა, სავსებით ნორმალური ადამიანი ვყოფილვარ. როგორ გაუხურებია ლიზას ღუმელი! იმიტომ, რომ ზამთარია. ჯერ კიდევ ზამთარია. რამდენი ქალი ზის ახლა მატარებელში. სადღაც მიიჩქარიან. იმათი თეთრი, ქათქათა ხელები თოვლივით მიაქვს მატარებელს სადღაც. სადღაც. ერთი. ორი. სამი” — და ასე გადიოდა დრო. ერთმანეთს ნთქავდნენ სათვალავივით არეული დღეები, თვეები, წლები — უკვალოდ, უიმედოდ, უიმისოდ. მაგრამ ექიმს მაინც ეჩვენა, უჩუმრა, სხვისი სახელით, არავის რომ არ გაეგო, თითქოს ვენერიული სენი სჭირდა; თითქოს სიგიჟე სირცხვილი იყო, ანდა დანაშაული. “ესე იგი, თანდათანობით, ყველაფერი

მოსაწყენი, ერთფეროვანი და სულერთი გახდა თქვენთვის. ასეა, არა?” — ჰკითხა ექიმმა და უშნო, ბანჯგვლიანი, კოტიტა თითები მაგიდაზე აათამაშა. “დიიიახ?!” — ცივი, პირქუში გაკვირვებით უპასუხა ამან, თითქოს მისი საიდუმლო ამოეცნო ექიმს, თითქოს იგივე არ ეთქვა თვითონაც, თანაც ექიმზე ადრე. წელგამართული, მედიდურად იჯდა სკამზე, თუმცა მთელი მისი არსება თრთოლვით, ცახცახით, მოუთმენლად ელოდებოდა შველას, გადარჩენას; უკიდურეს შემთხვევაში, თანაგრძნობას, გამხნევებას, დაიმედებას; უხერხულობის იმ შეგრძნების მოშორებას მაინც, ექიმის კაბინეტში რომ დაუფლებოდა. “თქვენ გიჟი არა ხართ — თქვა უცებ ექიმმა და ისევ აათამაშა თითები. თან დაბნეულად, დარცხვენილად იღიმებოდა, თითქოს საკუთარი თითების რცხვენოდა, ერთი ჯილაგის, ერთნაირად გაბანჯგვლულ ნადირებს რომ ჰგავდნენ და ასე თამამად, ასე თავისუფლად გამოფენილიყვნენ ამ ლამაზი ქალის წინ. — თქვენი ფსიქიური მდგომარეობა ახლო მომავალში არათუ ნორმალური, შეიძლება, სანიმუშოც გახდეს, — ისევ აათამაშა თითები, ისევ დაბნეულად, დარცხვენილად მოღიმარმა, თითქოს საჩოთიროს ამბობდა რამეს, ანდა თითქოს თითებს ვერ იმორჩილებდა, თუმცა იცოდა, მისი ასაკისა და მდგომარეობის კაცს მეტი თავდაჭერილობა და სერიოზულობა მართებდა. — თქვენ, უბრალოდ, დროს გაასწარით. ეგ არის და ეგ. რადგან... — შეყოვნდა, თითქოს შეყოყმანდა რაღაცაზე. თითქოს შესაფერი, უფრო ზუსტი სიტყვა ვერ იპოვა უცებ. ეს უნებურად დაიძაბა. თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, თანაც ისე, ექიმი რომ ვერ მიმხვდარიყო, დანდობას სთხოვდა თუ გულახდილობისკენ უბიძგებდა, ავალდებულებდა ყველაფრის დაუფარავად თქმას. — რადგან გიყვარდათ. — თქვა ექიმმა. — და ახლაც გიყვართ. — გააგრძელა მაშინვე. — სიყვარულმა მოგწყვიტათ დროსა და სინამდვილეს. შეყვარებული ადამიანი ყოველთვის მთელი თავით მაღლა დგას თავის თანამედროვეობაზე, როგორც... როგორც პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი, ანდა მეცნიერი. სიყვარულიც ერთგვარი ნიჭია...” “საკმარისია. გასაგებია ყველაფერი. — არ აცალა ამან სიტყვის დამთავრება ექიმს; უხეშად,

დაუდევრად გააწყვეტინა სიტყვა, როგორც ქათინაურებს მიჩვეულმა და ქათინაურებით განებივრებულმა ქალმა ყველაზე ნაკლებად სასურველ თაყვანისმცემელს. — მაგრამ მაინც უნდა გაგაწბილოთ, — გააგრძელა კოპებშეკრულმა, მკაცრად. — მაინც უნდა გავაბათილო თქვენი დიაგნოზი. სამწუხაროდ, მაინცდამაინც მე არ აღმომაჩნდა ამგვარი ნიჭი. მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. კი არ მიყვარდა, მინდოდა, რომ მყვარებოდა. მეგონა". "თქვენ ახლაც გიყვართ, — ლამის დაუყვირა ექიმმა. ამან წარბი აწკიპა, ყელი გოროზად მოიღერა ("ვით კლეოპატრა, ვნებიანად გრეხ ამაყ კისერს"), შეიმართა, ვითომ, როგორ მიბედავთ, ამდენის ნებას როგორ აძლევთ თავსო, თუმცა გული შიშით უსკდებოდა, ეშინოდა, არ გადაეთქვა ექიმს, არ მოებოდიშებინა, უკან არ წაეღო თავისი სიტყვა, კიდევ გაემეორებინა, კიდევ კი არა, მრავალჯერ, უსასრულოდ, სანამ ამასაც არ გატეხავდა, სანამ ამასაც არ დაარწმუნებდა, სანამ ამასაც არ ჩაუდებდა ტვინში ძალათი. — თქვენ ახლაც გიყვართ!" — ისევ იყვირა ექიმმა, თითქოს მიუხვდა, თითქოს ამის გულში იჯდა, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, ამოიცნო ამისი სენის მიზეზი. მაგრამ ეს მაშინვე სწრაფად წამოდგა და ოდნავ, ძლივს შესამჩნევად დაუკრა ექიმს თავი, გულისწყრომაც რომ გამოეხატა და თავაზიანობისთვისაც მოეხადა ვალი.

"დროს გაასწარიო" — კი მაგრამ, რატომ? სად მიეჩქარებოდა მაინც ასე? ქმრის სიკვდილისკენ? შვილის რისხვისკენ? უბედურებისკენ? სიმარტოვისკენ? არავითარ შემთხვევაში. ასე კი არ უნდოდა, ასე გამოვიდა. რადგან სულელი იყო, უგნური, უგულო, მშობლებისგან განებივრებული თოჯინა, რომელსაც ბედნიერების მოსაპოვებლად თითის განძრევაც არ შეუძლია. მაგრამ, იმავე დროს, მხოლოდ ბედნიერებას მოითხოვს ცხოვრებისგან, ყველასგან, ვინც გარს ახვევია, ვინც თავიდანვე მოთხოვნას მიაჩვია და არა მოპოვებას. და ასე, ფერებფერებითა და ქებაქებით ბოლოს დაღუპა კიდეც, რადგან კი არ ზრდიდა, უფრთხილდებოდა, როგორც უგრძნობელ, მაგრამ ძვირფასსა და ლამაზ ნივთს. განა შეიძლება თოჯინა ნიჭიერი იყოს? განა თოჯინას სიყვარული შეუძლია? დროს კი არ გაასწრო, ერთი წუთით

დაივიწყა თავისი თოჯინობა და თაროდან ისკუპა. ისკუპა და ისე დაიჩეჩქვა დროის ფილაქანზე, ვერავითარი ძალა, წამალი და ჯადოქრობა ვეღარ შეაკოწიწებს. სამაგიეროდ, თვალი აეხილა, სმენა გაეხსნა, ცრემლის გემოც გაიგო და ტკივილისაც. აღარაფერი გააჩნდა, აღარაფერი ეგულებოდა ცრემლსა და ტკივილზე ძვირფასი, რადგან ერთიცა და მეორეც, თავისით, დამოუკიდებლად, სხვათა კარნახისა და დახმარების გარეშე მოეპოვებინა; კი არ მიეღო — მოეპოვებინა! თანაც სწორედ ის, რაც ყველაზე ძალიან სჭირდებოდა ახლა, რაც აუცილებელი იყო მისთვის, როგორც მყვინთავისთვის სიმძიმე, რათა ჩაშვებულიყო ჩამორჩენილ დროში, ჩაკარგულიყო დროის ბნელ ჯურღმულებში, მოეძია, მოექუჩებინა ჩაძირული, დაღუპული ცხოვრების ნარჩენები და მონად, მხევლად დასდგომოდა იმას, რაც დროს არ ემორჩილება, რასაც იდუმალი განაპირობებს და რასაც მარადისობის დაღი აზის. ასე მონაზვნებად შედგებოდნენ ხოლმე ადრე ქალები, რათა წამიერის, წარმავალის გამო, ქედი მოედრიკათ მარადიულის წინაშე. იმანაც უკვე იცოდა, სად წაიყვანდა ეს ფიქრი, ეს განზრახვა, ეს ენით აუწერელი სურვილი, ჟინი, მისწრაფება თვითგვემისა. მისი სული უკვე იმ ნასხვისარ ტახტზე იწვა; იმ ნასხვისარი საათის წკრიალი აღვიძებდა, ერთი წამით ჩათვლემილს, და კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, იქ რომ იყო ადგილი მისი სასჯელისა, მისი მღვიმე, მისი სენაკი, მისი საკანი — სადაც შეუგნებლად ჩადენილი ცოდვა შეგნებულად უნდა მოენანიებინა, თუკი მონანიებაც ჩვეულებრივი თვალთმაქცობა არ არის — სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ჩვეულებრივი საშუალება, ისეთივე, როგორიც, დავუშვათ, მეძავობაა. მაინც ეუბნებოდა ხოლმე ქმარი ხუმრობით, დიდი მეძავი იმალება შენშიო, ბაბილონელ მეძავთა ღირსეული შთამომავალიო (“მარინეს პროსპექტი... გარყვნილების რეზერვუარი. გამოგედევნე, დაცინვითა მითხარ უარი”). და ისიც, რაკი სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა გასულიყო თავისი ცოდვის ქუჩაში და სინანულის, მორჩილების, სიმარტოვის მეძავი გამხდარიყო, არა მარინეს პროსპექტზე, ანდა პორტის სასტუმროების წინ ატუზული — მარად ძილნაკ-

ლულს, მთქნარებისგან ყბები რომ სტკივა (“ხშირად ამთქნარებ, ვნებით იზმორება შენი ტანი”) — არამედ მკვდარი ღმერთის ტაძარში დაყუდებული. მის ქმარს თითქოს გული უგრძნობდა, ასე რომ მოხდებოდა, ამას მიანიშნებდა თავის პირველსა და უკანასკნელ ლექსში, ხშირხშირად რომ უკითხავდა, ამაყად თავგადახრილი, ეშმაკურად მოღიმარი (“ვით კლეოპატრა, ვნებიანად გრეხ მაღალ კისერს. გამოგედევნე, მაგრამ შენს თავს მე ვინ მაღირსებს. კახაბერში თვლემს ხოჯას ნახირი. დაეცა ლირა. “დეტროიტის” ისმის საყვირი”). შეშფოთებული უსმენდა შვილის პატარა გულში დაგზნებული ხანძრის გუგუნს. მძინარე შვილის პირიდან წამობოდებულ სახელს — გალიიდან თავდაღწეული, მაგრამ ხანგრძლივ ტყვეობაში ფრენას გადაჩვეული, რომელიღაც გადაშენებული, უშნო ფრინველივით რომ აწყდებოდა ღამის წყვდიადში ჩაკარგული ოთახის კედლებს. “ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო!” — წუხდა, საბოლოოდ გამოფხიზლებული, საწოლში წამომჯდარი, გადალურჯებულ სარკმელს მიშტერებული, ცივ კედელს აკრული, თითქოს ის უცნაური, გაჩეჩილი, საცოდავი, მაგრამ მაინც რაღაცნაირად საშიში ფრინველი თვალების ამოკორტნას უპირებდა, ამას დაეძებდა ბნელში, ამისთვის უნდა ეგებინებინა პასუხი უსამართლო ტყვეობისთვის, შეჭრილი ფრთებისთვის, უმწეობისთვის... უნდა აჩქარებულიყო, უარეს ცოდვაში რომ არ ჩაეგდო თავი, შვილიც რომ არ დაეკარგა, როგორც მისი მამა დაკარგა; შვილიც რომ არ დაეღუპა, როგორც მისი მამა დაღუპა. მკვდარ ქმარს კი არ უნდა ჩასდგომოდა ჯიბრში, მკვდარ ქმარს კი არ უნდა გაბუტვოდა, იმისი ხსოვნის ამოძირკვა კი არ უნდა ეცადა შვილის გონებიდან, როგორც აქამდე იქცეოდა, უსინდისოდ, უტიფრად და უშედეგოდ, პატიება უნდა ეთხოვა მკვდარი ქმრის შიშველი აჩრდილისთვის, შუქის ანთებით, წიგნის კითხვით, ანდა ოთახში უაზრო ბორიალით რომ იგერიებდა, და ამჯერად, ყურმოჭრილ მონასავით, სიტყვის შეუბრუნებლად, შეუკამათებლად შეესრულებინა მისი ერთადერთი სათხოვარი, საწადელი, სისხლთან ერთად შვილში გადასული, შვილში გადასახლებული, შვილის თვალებით, შვილის პირით

რომ იმეორებდა: გამიშვი, გამარიდე აქაურობასო. რაც არ უნდა გულდასაწყვეტი ყოფილიყო, მაინც საბოლოოდ უნდა შეეგნო ამას, რომ გალიაში, გინდაც ოქროს გალიაში დამწყვდეული ჩიტის ხმა ჭიკჭიკად იმას ეყურება, ვისაც წყევლის გაგონება არ უნდა, არ სიამოვნებს. გალია უნდა გაეხსნა და ჩიტი გაეთავისუფლებინა, და არა მარტო გალიიდან, არამედ საერთოდ, მამამისის ტაძრიდან გამოსასვლელი გზა უნდა დაენახვებინა ჩიტისთვის. ცარიელი სკამების გაქვავებულ ზღვაზე რომ დაფრთხიალებდა გულგახეთქილი და საცოდავად ჭყიოდა. ვიდრე მონანიებას შეუდგებოდა, ჯერ მონანიების უფლება უნდა მოეპოვებინა, ღირსი უნდა ყოფილიყო მონანიებისა. ჯერ დანაშაული უნდა ეღიარებინა, დაძვრა რომ შეძლებოდა იმისი, ზურგზე მოკიდება, ტარება. ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, ისევ ლიზას ჯიბრით უნდა მოქცეულიყო ასე, წარამარა რომ უმეორებდა მისი ბედის ფარულად წარმმართველთა ნაჩიჩინებს: ჯერ ცხოვრება წინა გაქვს, ან რატომ უნდა შეეწირო იმას, ვინც შენ არ დაგაფასაო (როგორ თქვა მამამ? ლამაზი ქალი თავისუფლებასავითააო, თუ თავისუფლება ლამაზი ქალივითააო; როცა შენთან არის, ვერ აფასებო!). მაგრამ ლიზას სიბრიყვეთა აღარც მოსმენა შეეძლო და აღარც მოთმენა, უკვე საბოლოოდ, მტკივნეულად, თავზარდამცემად ახელოდა დაკარგული დროის დასანახი თვალი და დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, რადგან დაყოვნება მკვლელობის თანამონაწილეობას ნიშნავდა ისევ, თანაც ახლა შვილის მკვლელობისა, მისი ქალობის, ცოლობის, დედობის და საერთოდ მისი არსებობის ერთადერთი დამადასტურებლის მკვლელობისა, და ამიტომაც იყო, ოდინდელმა სიშმაგემ რომ შეუბრუნა, ოდინდელმა მოუთმენლობამ რომ შეიპყრო და ერთ მშვენიერ დღეს, ისე დასტაცა შვილს ხელი, როგორც კუდიანმა დედაბერმა — ტყეში გზააბნეულ ბიჭს, რათა ახლა უკვე სამუდამოდ მიეტოვებინა მშობლიური ციხე, თუმცა, ის “მშვენიერი დღეც” ტყუპისცალივით ჰგავდა პირველ “მშვენიერ დღეს”, პირველ გასვლას, მაგრამ ახლა მეტ მოთმინებას, მეტ სიმტკიცეს, მეტ სიჯიუტეს და, რაც მთავარია, მეტ ჭკუას გამოიჩენდა, რადგან ახლა შვი-

ლის გადასარჩენად მიდიოდა და არა საკუთარი თავისა, არა შესაცოდად, არამედ მოსანანიებლად. არადა, ყველაფერი მართლა ისე ჰგავდა ერთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე დღე მეორდებოდა, თითქოს ესენი, ოჯახის ნამდვილი წევრები, ერთხელ უკვე ნათამაშებ, მაგრამ დავიწყებულ როლებს იმეორებდნენ მორიგი წარმოდგენის წინ. “მივდივარ. მივდივართ. ერთი დღე აღარ გავჩერდებით აქაო” — იყვირა იმდღევანდელივით. მამამისი გაზეთს კითხულობდა. დედა ახალ ლექსს იწერდა საერთო რვეულში. ლიზა სამზარეულოში ქვაბებს ხეხავდა და სახეხი მიწის გამყიდველ გლეხს წყევლიდა, ჩვეულებრივი მიწა შემომაპარა, იმ დასამიწებელმაო. “მივდივარ. მივდივართ! — იყვირა ამან და ცოტა ხნის მერე მშვიდად გააგრძელა, მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა ნათქვამისთვის, ისტერიის მორიგ შემოტევად რომ არ ჩაეთვალათ მისიანებს მისი გამოხდომა. — ჩემი და ჩემი შვილის სიცოცხლე თუ გინდათ, ძებნა არ დაგვიწყოთ და, საერთოდ, არასოდეს არ იკითხოთ ჩვენი ამბავიო”. მართლაც, ვერავინ გაუბედა სიტყვის შებრუნება. კრინტი არ დაუძრავთ მის მშობლებს, თუმცა ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან დუმილი და წაყრუება ძველთაძველი, მრავალგზის წარმატებით ნაცადი მეთოდი იყო ამ ოჯახში და იმავე დანიშნულებით იყენებდნენ, რა დანიშნულებითაც წყალსა და მიწას იყენებენ მეხანძრეები. უპასუხოდ დარჩენილი, შეუმჩნეველი, უგულებელყოფილი ნებისმიერი გაუგებრობა, უთანხმოება და გაბრძოლება — სამუდამოდ, უკვალოდ ქრებოდა დუმილის მდორე წყლისა და წაყრუების მძიმე მიწის ქვეშ, რადგან იმათთვის, ოჯახის უფროსებისთვის, ის კი არ იყო მთავარი, რას ფიქრობდნენ, რას განიცდიდნენ, რა ტანჯავდათ და აგიჟებდათ ოჯახის დანარჩენ წევრებს, არამედ სხვებს, გარეშეებს რომ არ შესცვლოდათ ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული წარმოდგენა და დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, მარადიული, შეურყეველი სიმშვიდე და თანხმობა რომ სუფევდა იქ, გუბერნიის მთავარი მოსამართლის ჭერქვეშ. მაგრამ ამას ახლა არც თავისიანები აინტერესებდა და არც სხვები, ერთი ცოდვა უკვე ედო კისერზე, მეორის ჩასადენად კი აღარ

ვარგოდა. მამას დამწყვდეული ტურებივით დაუდიოდა თვალები აქეთიქით. დედას ერთ ხელში კალმისტარი ეჭირა, მეორეში — სათვალე, თითქოს შვილს აჩვენებდა, თითქოს ასე უნდოდა ეთქვა შვილისთვის, ჩემზე ცუდი როგორ იფიქრე, როცა ამ ორი უწყინარი ნივთის მეტი ხელში არაფერი მჭერიაო. მარტო ლიზა არ იყო ბაიბურში, ქვაბებს ხეხავდა და ვიღაც წყნეთელ გლეხს წყევლიდა. შეიძლება, არც იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ დროს, ან რა უნდა ეთქვა, რადგან არც მისი დამრიგებლები ელოდებოდნენ, არც მის დამრიგებლებს ეგონათ, აქამდე თუ მივიდოდა საქმე. ერთი საათის მერე ისა და მისი შვილი უკვე მატარებელში ისხდნენ. ბილეთი არ აუღიათ. შეგნებულად არ იყიდა ბილეთი; უნდოდა, რაღაცნაირად განესხვავებინა ეს გზა სხვა გზებისაგან; ჩვეულებრივი მგზავრები კი არ ყოფილიყვნენ — ადგილის, ყურადღების, პატივისცემის მოთხოვნის უფლებასაც რომ აძლევთ ბილეთი — არამედ უუფლებონი, დაჯარიმებულნი, დატუქსვის, დაგმობის, აბუჩად აგდების ღირსნი. “კი მაგრამ, სადამდე აპირებთ ასე უბილეთოდ მგზავრობასო” — გაუკვირდა კონდუქტორს. “ბოლომდე!” — ისე მტკიცედ, ისე ნირშეუცვლელად და გამომწვევად უპასუხა ამან, ცოტა არ იყოს, შემცბარმა კონდუქტორმა ერთხელ კიდევ დახედა სათვალის ზემოდან ამ უცნაურ დედაშვილს და ვიდრე ჯარიმის ქვითარს ამოიღებდა ტყავის ჩანთიდან, ერთხელ კიდევ გაიფიქრა: აქ რაღაც სხვა ამბავიაო. მატარებელი კი მიქროდა. სარკმელში ხრიოკმა ბორცვებმა და გარეუბნის ქოხმახებმა გაიელვა — თითქოს დედაბუდიანად მოთხრილი სოფელი ჩაატარა ადიდებულმა მდინარემ. კუთხეში მიყუჟული შვილი მადლიერი, ბედნიერი თვალებით გამოხედავდა ხოლმე და ამას მისი და მისი ქმრის პირველი და უკანასკნელი მგზავრობა ახსენდებოდა რატომღაც. მისი ქმარიც ასევე მადლიერი და ბედნიერი იყო მაშინ. ყოველ სადგურზე ჩადიოდა და ხორაგით ხელებდატვირთული ბრუნდებოდა, უკვე დაძრულ მატარებელს ამოახტებოდა ხოლმე, ფაფარგაშლილი, თავი რომ მოეწონებინა ცოლისთვის, ესიამოვნებინა, პატივი ეცა, გაეადვილებინა იმისთვის მგზავრობა. იმდენ რამეს ამოიტანდა, ეს ფანჯრი-

დან ყრიდა უკანვე, პირდაუკარებელ დედლებს, კეცის ჭადებს, მხალის ფოთოლში გახვეულ ყველსა თუ ხილს. “აი, ნახავ, ყველაფერი კარგად თუ არ იქნებაო” — ხშირხშირად უმეორებდა ქმარი. ამას კი, მისთვისაც მოულოდნელად, მისთვისაც შეუმჩნევლად დაბადებული სურვილის ცხელი, ხავერდოვანი ზვირთები გადასდიოდა თავზე, სურვილის ზვირთებში ჩაძირული, ბაგეგაპობილი, თვალდაბინდული ასცქეროდა ქმარს და ასე არასოდეს არ სდომებია, დანებებოდა, დამორჩილებოდა იმას, ეგრძნო იმისი სიმძიმე, სიძლიერე, სიუხეშე, მაინცდამაინც აქ, კუპეში, ბორბლებზე შემდგარ სახლში, უსაძირკვლო სახლში, ყოველ წამს რომ იცვლიდა ადგილს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაბრუნდებოდა იქ, სადაც წამის წინ იყო; ასე — არსად და, იმავე დროს, ყველგან — უნდოდა ყოფილიყო თავისი ქმრისა. მაგრამ ქმარმა რომ ჰკითხა უცებ: გულწრფელად მითხარი, თუ გჯერა ჩემიო, სურვილიც უკვალოდ გაქრა, ჩაიკარგა, ჩაიწრიტა ვაგონის აძაგძაგებულ იატაკში. ფიქრიდან რომ გამოერკვა, მატარებელი იდგა. შვილი ზედა საწოლზე ამძვრალიყო და უკვე ეძინა. სარკმელში არაფერი ჩანდა, თითქოს გარეთ არც არაფერი იყო, უკაცური მიწის მარადიული, დამაეჭვებელი, შემაშფოთებელი დუმილისა და ბაყაყების ყიყინის მეტი. მერე ვიღაცამ ჩაირბინა ვაგონის გასწვრივ და ქვიშა ააჩხრიალა. მერე თვითონაც ვეღარ არკვევდა, როდის ეძინა და როდის ეღვიძა. “ხეს ფოთოლი. ხეს ფოთოლი. ცვიოდა. ცვიოდა”. — დგანდგარებდნენ ბორბლები. თეთრი, გახამებული ფარდები ხან გემის ბაირაღებივით ფრიალებდნენ, ტკრციალებდნენ, ხან კი, ნანადირევი ფრინველის ფრთებივით უსიცოცხლოდ ეკიდნენ. შვილს ეძინა. მოკუნტული იწვა, კედლისკენ გადაბრუნებული. პერანგი ასჩაჩვოდა და შიშველი ზურგი მოუჩანდა. “უნდა დავაფარო. გაცივდებაო” — ფიქრობდა ეს, მაგრამ ისევ ისე წელგამართული, სახეგამეხებული იჯდა. “იცოდე, ეს ღამე არასოდეს აღარ განმეორდებაო”, — უთხრა მისი მიუკარებლობით, სიკერპით განაწყენებულმა ქმარმა. ამან თავი აიქნია და შვილის მადლიერ, ბედნიერ თვალებს წააწყდა ისევ. გათენებულიყო. “სადა ვართო”, — იკითხა უნებურად. შვილმა მხრები

აიჩეჩა და ისევ სარკმელში გაყო თავი. ამანაც გაიხედა სარკმელში. რომელიღაც პატარა სადგურში იდგნენ. ფიცრის გრძელი, შეუღებავი მესერის გასწვრივ ერთნაირად გადაყვითლებული ალვები ასვეტილიყვნენ. ალვების წინ, დამყაყებულ თხრილში აბურძგნული ვირთხა მისუნსულებდა. ესეც აიბურძგნა უნებურად; უსიამო, გულისამრევი გემო გაუჩნდა პირში და მაშინვე თვალი აარიდა ვირთხას. შვილი სარკმელზე ეკიდა, მუხლით მაგიდას ეყრდნობოდა. მატარებელი რომ დაიძრა, ისიც შეჯანჯღარდა, ზამბარასავით მოირკალა იმისი ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი სხეული. გაახსენდა, საბანი რომ ვერ გაუსწორა წუხელ და შერცხვა. შეფარვით უყურებდა, არ უნდოდა შვილს შეემჩნია. "ერთნი არიანო", — ფიქრობდა სასიამოვნო სინანულით, სევდიანი სიამაყით. მერე ბათუმიც გამოჩნდა, ზღვაში შეჭრილი, ნიანგივით გალურსული აბრჭყვიალებული წყლის ზედაპირზე. კუპეში ნავთის სუნი დატრიალდა. მაგრამ ჯარიმით დაწყებულ გზას ბოლო არ უჩანდა. მის შვილს, რომლის პატრონიც ახლა უკვე მარტო თვითონ იყო, პოლიცია დაეძებდა და ღმერთმა იცის, როდის დაიღწევდა თავს, ან დაიღწევდა თუ არა საერთოდ, თუკი სასჯელს პირნათლად არ მოიხდიდა და ციხეში ჯდომის ნაცვლად, ყოველ წუთას გამოიქცეოდა ნატოს სანახავად. პირველად რომ შეატყობინეს, თქვენი შვილი გაიქცა და გაქცევისთვის სასჯელი მოემატებაო, მაშინვე, რატომღაც, ნატოს პატარა, მკვრივი მუცელი დაუდგა თვალწინ, ოქროსფერი ღინღლით მოფენილი, ჭიდაობისას, ერთი წამით, შემთხვევით მოშიშვლებული — იატაკზე, გაქუცულ ნოხზე რომ იხილა, ბაზრიდან მობრუნებულმა, და იმის მერე, ყოველთვის მოულოდნელად ამოუტივტივდებოდა ხოლმე მახსოვრობის უძირო ჭიდან, რადგან ეშინოდა იმისი, რადგან თავიდანვე უგრძნო ტანმა, სწორედ ამ პატარა მუცლიდან უნდა დაბადებულიყო ის ახალი სიცოცხლე, რომელსაც ისევე უნდა დაეღუპა მისი შვილი, როგორც მისი მუცლიდან დაბადებულმა — მისი ქმარი დაღუპა. ეჭვიც არ ეპარებოდა, ასე მოხდებოდა. სხვანაირად არ შეეძლო ეფიქრა, სხვანაირად ვერ წარმოედგინა და, ერთადერთი, რაზეც ხელი მიუწვდებოდა, რისი გაკე-

თებაც კიდევ შეეძლო, შვილის საერთოდ გადარჩენას კი არ გულისხმობდა, არამედ შვილის დაღუპვის დაყოვნებას, უფრო ადრე რომ არ მომხდარიყო ის, რაც, ბოლობოლო, მაინც მოხდებოდა.

ახლა სკამზე იჯდა, თავაწეული, წელგამართული და გაშლილი ხელისგულები მიტყუპებულ ბარძაყებზე დაეწყო. ეგვიპტელ ფარაონს ჰგავდა, ქვაში გამოკვეთილს. არა — ბებერ კლეოპატრას ("ვით კლეოპატრა..."), ვითომ დედოფალს, სინამდვილეში კი — რომის ხასას. და აი, უკვე ყავლგასული, დაობებული, ცხოვრებისგან გაწბილებული და გამოპანღურებული, იმის გეგმებს აწყობდა, სხვებისთვისაც როგორ წაერთმია, მოესპო და ჩაემწარებინა ის, რაც თავად დაჰკარგვოდა, დაჰღუპვოდა, ჩამწარებოდა. "ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო!" შვილისა შურდა. ის ხეთქავდა გულზე, მეზობლის გოგომ რომ აჯობა, მეზობლის გოგოს რომ არგუნა ღმერთმა, რასაც თავად მთელი სიცოცხლე ნატრობდა; რის მოსაპოვებლადაც არაფრის და არავის წინაშე არ იხევდა უკან; უკანასკნელი მეძავივით დაუწვა კაცს, სიყვარული რომ გამოეძალა მისთვის. მეზობელ გოგოს კი ციხიდან აკითხავდნენ, არც სასჯელის მომატებას ეპუებოდნენ, არც ტყვიას, ვერც ბორკილი აფერხებდათ, ვერც რკინის კარი. შვილის ბედი კი არ ადარდებდა, იმას კი არ წუხდა, დროულად მოიხადოს ჩემმა შვილმა სასჯელი და დროულად დაავიწყოს ხალხს ბავშვობით ჩადენილიო — არა! თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს — თავისი ბინძური, ბებრული ეჭვიანობისა და შურის შესანიღბად ფიქრობდა ასე. მზად იყო, პოლიციას დასდგომოდა მსახურად და მართლა რომ მოსდგომოდა კარზე შვილი, რომ ეთხოვა — დამმალეო, ბანგს შეაპარებდა საჭმელში, მძინარეს ზურგზე მოიკიდებდა და თავისი ფეხით მიარბენინებდა ციხეში, რადგან შვილი, ვიდრე ციხეში იჯდა, ისევ მას ეკუთვნოდა, ხოლო ციხიდან გამოქცეული, მხოლოდ იმას, ვისი გულისთვისაც იქიდან გამორბოდა. საინტერესოა, რა სასჯელს იმსახურებდა ასეთი ფიქრებისთვის? ერთი ადამიანი მაინც თუ აღმოჩნდებოდა მთელს ქვეყანაზე, მისი გამგები და გამმართლებელი? ამის გაგება მხოლოდ მამისაგან შეეძლო. მამამისია ამის ოსტატი, მამამისის საყ-

ვარელი თამაშია, “დანაშაულის წინასწარ ამოცნობა”. დასვამდა ხოლმე ოჯახის წევრებს და უშეცდომოდ იგებდა, ვის როგორი დანაშაულისკენ ჰქონდა მიდრეკილება, რას ჩაიდენდა მომავალში და კოდექსის რომელი მუხლი შეესაბამებოდა ჯერ კიდევ ჩაუდენელ დანაშაულს, თუკი ამ თამაშის მონაწილე, ანუ “საკუთარი თავის შეცნობის მსურველი”, გულახდილად მოჰყვებოდა, რაზე ფიქრობდა ძილის წინ, რაზე ოცნებობდა, რას ნატრობდა. ერთერთი ამგვარი “თამაშის” დროს, ამან რომ უთხრა მამას, სიყვარულით მინდა გავთხოვდეო, მამამ გაიცინა და უპასუხა: ამის ჩამდენი მთელი სიცოცხლე ნაწყალობევ პურსა ჭამდეს და ზედ სირცხვილის ცრემლს აყოლებდესო. ასე აგისრულდეთ ყველაფერი! მაგრამ საინტერესოა, რას იმსახურებდა კიდევ, ამ ბებრული, ამ ბინძური ეჭვიანობისა და შურისთვის. ალბათ ჩამოხრჩობას, ცოცხლად გატყავებას, კუპრში ჩახარშვას. “იცი, რას ვაპირებ, მამაჩემო? მეზობლის გოგოს უნდა ვუთხრა, ჩემი შვილი ნუ გიყვარს, ანდა ჩემს შვილს ნუ უყვარხარმეთქი; მთელი სიცოცხლე დამადლებულ პურს შეჭამ და ზედ სიმწრის ცრემლს დააყოლებმეთქი. აი, როგორ იხარა შენი სიბრძნისა და სიკეთის თესლმა. მოიმარჯვე კოდექსი და გამომიტანე განაჩენი. ორი წუთის მერე მათხოვარივით მივადგები კარზე. უკანასკნელ ლუკმას ნუ მართმევთ, გეთაყვა. სიბერის პურს ნუ მიმწარებთ, გეთაყვა. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... მეც არავის ვუყვარვარ. ხოლო ვინც მე მიყვარდა, ზოგმა ჩემს სიყვარულს სიკვდილი ამჯობინა, ზოგმა კი — მარადიული მიუსაფრობა, გატყიურება... გიხაროდეთ! გიხაროდეთ! გამართლდა თქვენი სიტყვა. მაგრამ მე მაინც ბოლომდე უნდა ვცადო ჩემი საცდელი, ბოლომდე უნდა ჩავიწიხლო სული, არაფერი რომ დამრჩეს თქვენთან, აქ, სიცოცხლის ღირსი. სიყვარულის ღირსი. ნათელი. სუფთა. შესაცოდი. წყეულიმც იყავით ყველანი!” წუხელ მის შვილს მთელი ქალაქი გამოედევნა დასაჭერად. მოსაკლავად. თურმე აქვე, ყურის ძირში იყო, დედა კი არც გახსენებია. იმას ენდო, დედას კი არა. რამდენადაც იცის, გუშინ ვერ დაიჭირეს, ვერ მოკლეს მისი შვილი, მაგრამ ის იმიტომ კი არ გაექცა ტყვიას, რათა დაფიქრდეს და ჭკუა ისწავლოს,

არამედ — ისევ უკან რომ მობრუნდეს, იმასთან. და ასე იქნება სულ, ვიდრე... “ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! განა ესეც იგივე თვითმკვლელობა არ არის? მე და მამაი ჩემი ერთ ვართ”. შვილს მამა წაართვა, თან სიყვარულსა და პატივისცემას მოითხოვდა იმისგან. კიდევ ერთხელ შეცდა და აი, ბოლომდე ჩარჩა კიდეც ამ ვერაგ, ბოროტ, დამცინავ შეცდომაში. ამოსვლა კი არ სცადა იქიდან, უარესად ჩაიძირა შიგ, დანებდა მის ყინულოვან წიაღს. სამაგიეროდ, იმასაც მიხვდა, აღარაფერი შეიცვლებოდა მისთვის, აღარავის აღარ სჭირდებოდა იგი და ყველგან, ყოველთვის მარტო იქნებოდა; გელა და მამამისი ერთად, ის კი — მარტო, ცალკე. ერთადერთი, რაც კიდევ აკავშირებდა იმათთან და რითაც შეეძლო “ეამაყა”, იმის შეგრძნება იყო, მხოლოდ თვითონ რომ უნდა ეგო პასუხი, არა მარტო საკუთარი, არამედ ქმრისა და შვილის უბედურებისთვისაც. განა მისი არსებობა თავისთავად არ განაპირობებდა სამეულის დანარჩენი ორი წევრის დაღუპვას? თვითონ თუ არ იქნებოდა, ისინიც არ იქნებოდნენ; ყოველ შემთხვევაში, იქ არ იქნებოდნენ, სადაც ახლა იყვნენ: ერთი მიწაში, მეორე ცაში. ასე კი იმიტომ მოხდა, ეს რომ არსებობდა და რაკი არსებობდა, ისინიც უკვე მოწოდებულნი, ვალდებულნი, თუნდაც იძულებულნი იყვნენ, დამორჩილებოდნენ მის ნებასურვილს, მისი განრიგით ეცხოვრათ, უფრო სწორად, მისი განრიგით გასულიყვნენ ცხოვრებიდან, როგორც სადგურიდან მატარებლები. აი, სიმართლის როგორი მარცვალი იპოვა ფიქრის ნაგავში. ტყუილად ხომ არ ქექავდა ამდენ ხანს ნაგავს? “იცი, რას გეტყვი, მამაჩემო? თქვენი კანონი იმათ კი არ უნდა დევნიდეს, ვინც თავს იკლავს, ანდა ციხეში არ გიჩერდებათ, არამედ იმას, ვინც თავის მოკვლასა და გაქცევას აიძულებს მათ”. რანაირი საკენკიც არ უნდა დაეყარათ ახლა მისთვის, ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ შეელეოდა საკუთარი ნისკარტით გამოქექილსა და მოპოვებულს; მთელი სიცოცხლე უნდა ემყოფინა ფეტვის ის ერთი მარცვალი, ფიქრის ნაგავში გამორჩეული, გულზე დამდგარი, ჩაუყლაპავი, მოუნელებელი და, ამავე დროს, აუცილებელი მისთვის, თუნდაც იმიტომ, ნაგვის ქექვას რომ შეშვებოდა სამუ-

დამოდ. “არ გაუხარდებათ ჩემი დანახვაო” — როგორც იქნა, თავი მოაბა ფიქრს და წამოდგა. კისერზე კაბის ღილი შეიხსნა. “არც მე მსიამოვნებს ბევრი რამეო” — გააგრძელა თითქოს მოთავებული ფიქრი ბრაზიანად. კაბა გადაიძრო და ტიხარზე გადაკიდა. მერე პერანგიც მიაყოლა. ნელა იხდიდა; თითქოს სხვას ხდიდა, მძინარეს, და ეშინოდა, არ გავაღვიძოო. გამხდარმა, უშნოდ აწოწილმა ქალმა შემოხედა სარკიდან. უნებურად შეკრთა, თითქოს უცხო უთვალთვალებდა, თითქოს უცხოს უნდოდა, ეხილა მისი გამხდარი, აწოწილი სიშიშვლე, სამუდამოდ დამარხული ყველასათვის. კანი აებურძგნა. თან გამალებული ფიქრობდა, უფრო დიდხანს რომ გაეჩერებინა ტიტველი ორეული სარკეში, დაესაჯა, გაემწარებინა. “ჩემი შვილი, თურმე, აქვე იყო, ორ ნაბიჯზე, მე კი ერთი წუთითაც არ გავახსენდი, არც იმასთან მისვლამდე და არც იმის მერეო”. თამამად, უტიფრად გაუსწორა თვალი ორეულს: ეს გინდოდა? ამისკენ მიბიძგებდი? მარტოხელა ქალის ეჭვი და დაბნეულობა აღბეჭდვოდა სახეზე, უნუგეშოდ დაკარგული წარსული... და მაინც დაულეველი სურვილი ცხოვრებისა, ქალური ცბიერებით, არა, ბებრული ეშმაკობით, ბებერი კლეოპატრას სივერაგით ღრმად შენიღბული. სარკეს თვალი მოარიდა და ოთახი მოათვალიერა — ძველი, უვარგისი, თანაც ნასხვისარი ავეჯით გავსებული, გახუნებული ფარდით ორად გატიხრული (მაშინ არ იყო ტიხარი. ოთახი შვილმა გაატიხრინა და არა ქმარმა. შვილი გამოეყო და არა ქმარი. ქმარმა შვილი აჩუქა. შვილმა ქმარი წაართვა). სიძველის სუნი ეცა ცხვირში, უცხო, მისთვის სამუდამოდ უცხო ადამიანების დანატოვარი. რამდენიც არ უნდა წმინდოს, მაინც ვერ ამოშლის ამ სუნს, რადგან აქ სუნი კი არ არის ზედმეტი, არამედ — თვითონ. ამას გულისხმობს სწორედ მონანიება: ზედმეტი ხარ, მაგრამ კი არ გარბიხარ, ითმენ, უძლებ, უჩუმდები, უჩერდები. მარმარილოს ცალფეხა მაგიდაზე დასკუპებული საათიამური, ხანდაზმულობის მიუხედავად, ყოველ თხუთმეტ წუთში რომელიღაც მხიარული მელოდიის ნაგლეჯს უკრავს. ყოველ თხუთმეტ წუთში ერთსა და იმავეს იმეორებს ჯიუტად, თითქოს შენი ჯიბრით, შენს გასაღიზიანებლად;

მონანიებისთვის განკუთვნილი დროის უსასრულობას გახსენებს, არ დაგავიწყდეს შემთხვევით, არ გამოგეპაროს, ანდა კიდევ რომ არ გაასწრო დროს, გიქუცმაცებს და ძალით გატენის პირში, როგორც მზრუნველი დედა, ჯერ კიდევ უკბილო და უგნურ შვილს მისთვის საძულველს, მაგრამ აუცილებელ საჭმელს. კარადის თაროზე სხვადასხვა სერვიზის ნარჩენები ალაგია, მუზეუმის ექსპონატებივით, შენამდე, უშენოდ და არა შენს გამო შეძენილი; მაგრამ მათ შორის ერთი გვერდამოჭმული ჭიქაც დგას და რამდენჯერაც არ უნდა შეხედო, ყოველთვის სულელური სიამაყით, სულელური სიხარულით ამბობ: ეს ჩემია, ეს კი ნამდვილად ჩემიაო. დახნულ მიწასავით ოღროჩოღრო ტახტზე შავი, ბინძური კატა თვლემს. ისიც სხვისია, ისიც სხვამ შემოიჩვია აქ. გეზიზღება, მაგრამ იძულებული ხარ მოითმინო (მაინც რა საშინელი სუნი აქვს კატის ფსელს!). მაინცდამაინც შენს ფეხებთან უყვარს წოლა. თუ გაუწყერი, აიწურება, ბალანს აიშლის, კბილებს დაკრეჭს, წითელ ხახას დაგანახვებს — შენ ვინ მოგცა ნება ჩემი გაწყრომისაო. მართლაც, ვინ მოგცა ნება? შენ მხოლოდ ნამდვილად შენიანების გაძევება შეგიძლია და, ამიტომაც, კეთილი ინებე და პატივი ეცი სხვისას, დილით რძე დაუდგი ლამბაქით, ღამით კი, გინდაც ფეხები დაგიბუჟდეს, მორჩილად მოითმინე იმისი აქოთებული სიმძიმე და სიმხურვალე. არცა ხარ მეტის ღირსი. მეტი ვერ შეიშნოვე. აი, ამას ჰქვია სწორედ "შენი კუთხე". ამისთვის იკლავს ხალხი თავს და ამისთვის ინანიებს ცოდვებს. შენც აქ ამოგხდება სული, რადგან არავის მოუვა აზრად, აქ, ამ ნასხვისარ ნივთებში დაგიწყოს ძებნა, არც სურვილი გაუჩნდება ვინმეს, სიმარტოვის, დავიწყების, უგულებელყოფის ჭაობიდან ამოათრიოს უბედური ქალი, რომელიც სიმარტოვის, დავიწყებისა და უგულებელყოფის მეტს არც არაფერს იმსახურებს, რადგან უყვარდა, უყვარდა, უყვარდა! დიახ, უყვარდა, მაგრამ არაფერი გაეგებოდა სიყვარულისა, პატივს არ სცემდა, არ ეშინოდა სიყვარულის. ამაზრზენად უცახცახებს კოცნას გადაჩვეული ტუჩები, ორი მშიერი წურბელა. "ძუძუნი შენნი უმჯობეს ღვინისა; მუცელი შენი ვითარცა ხვავი იფქლისაი". — შიშველ მკერდზე ჩამოისვა ხელი, უნე-

ბურად, სინანულით. ტანჯული ცოლი. ტანჯული დედა. უდროოდ დაბერებული, უდროოდ დამახინჯებული, მაინც რომ არ უტყდება თავს, მაინც რომ არ ყრის ფარხმალს და ყოველ დილით, დარბაისელი ქალის ხაზგასმული მედიდურობით (ხა, ხა!), მიირთმევს გამხმარ ნამცხვარსა და ყავას. "ასე გავალ ქუჩაშიო" — გაიღიმა მწარედ. ნავსადგურში გემმა დაიყვირა. ბაირამობა დაუდგათ მეძავებს. ...დაცინვითა მითხარ უარი. უარი. უარი. უარი. გემმა ისევ დაიყვირა, გაბმულად, გამომწვევად, თითქოს იმის შესახსენებლად, ცხოვრება რომ გრძელდებოდა, ყველაფერს რომ კისრულობდა, წელებზე რომ ფეხს იდგამდა ხალხი, ოღონდ რამე წაეგლიჯა ცხოვრებისთვის. ამას კი არაფერი არ უნახავს, არსად არ ყოფილა. თბილისი და ბათუმი. ბათუმი — თბილისი. აი, მისი ცხოვრების ორი უკიდურესი წერტილი, რკინისგზით, რკინის ხაზით დაკავშირებული ორი ბუდე, ერთნაირად უცხო, თუმცა ერთში გამოჩეკეს, მეორეში კი თვითონ გამოჩეკა სიმწრის კვერცხი. ერთიდან ამოფრენა შეეძლო მხოლოდ, მეორეში კი — ჩაფრენა. მაინც მეორე ჯობდა, რადგან აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი ფრენისა. გინდაც თმით ამოეთრიათ აქედან, აღარ უნდა დაეთმო აქაურობა, უნდა შედუღებოდა, შერწყმოდა ამ ნასხვისარი ბუდის კედლებს, რადგან ჭეშმარიტად შენი სახლი ის არის, სადაც ყველაზე მძაფრად, ყველაზე მტკივნეულად გრძნობ, რა დაგიკარგავს და რა შეიძლება დაკარგო კიდევ. "რას მიყურებ? არ მოგწონვარ?" — უთხრა სარკეში ასვეტილ ორეულს. დამცინავად, აგდებულად უთხრა, რადგან უცებ შეეცოდა იგი: ტიტველი, გამხდარი, უშნოდ აწოწილი, ფიქრის უნარს მოკლებული, მისგან განსხვავებით. "შენ მხოლოდ ნება მომეცი, მე თვითონ გამოვასწორებ შენს შეცდომასო" — ეუბნებოდა გუბერნატორის ვაჟი, დედამისის სანატრელი, საოცნებო სასიძო. კი მაგრამ, განა შეიძლება შეცდომის გამოსწორება? განა საჭიროა შეცდომის გამოსწორება? განა შეიძლება სიქალწულის ამოკემსვა? ვისაც შეცდომის გამოსწორება შეუძლია, ის არც ჩაიდენს შეცდომას, უშეცდომოდ ცხოვრობს, მაგრამ ისეთი უხამსი აზრები უტრიალებს თავში, პორტის მეძავი გაწითლდება. ამისთვის კი ყველაფერი გა-

თავდა. შეცდომა ჩადენილია და არავითარი იმედი აღარ არსებობს; უმალ შენ დაგივიწყებენ, ვიდრე შენ მიერ ჩადენილ შეცდომას. შვილმაც, როგორც კი სამშვიდობოს იგრძნო თავი, იმავე წუთას დაივიწყა, ქუჩიდანაც არ შემოსძახა, მიშველე, დედაო, რადგან ამის შეცდომასთანა აქვს საქმე და არა ამასთან. საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ. ერთადერთი (ნეტავი, შეამჩნია თუ არა მისმა ქმარმა), ვისაც ის ნამდვილად სჭირდებოდა, თუნდაც ერთი წუთით, როგორც ყელში ძვალგაჩხერილ მელიას — ყანჩა, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი იყო. იმიტომ პატიჟებდა წარამარა ყაზარმაში, პოლკის სარეცხის ფუთებზე რომ გადაექცია და თავისი პირუტყვული ჟინი ამოენთხია. მაგრამ ეს ამისთვისაც არ ვარგოდა. წამიერი შვებაც არ შეეძლო მიენიჭებინა სხვისთვის, თუნდაც იმავე ვეზირიშვილისთვის. განა მთავარი ისაა, ვის სჭირდები? მთავარია, შენ რამდენად შეგიძლია, გამოადგე სხვას, ნებისმიერი გაგებით, ნებისმიერი თვალსაზრისით. ქალიც ხომ თავისებური ექიმია და არც ავადმყოფის ამორჩევის უფლება აქვს, არც ავადმყოფის შეზიზღებისა. “შენი დიდი წინაპარი, ბაბილონელი მეძავი გალაპარაკებს ასეო” — ეუბნებოდა ქმარი. როგორც ყველა მამაკაცს, იმასაც იოლი ეგონა მეძავობა; გარყვნილებად თვლიდა და არა იძულებად, მიწიერ სიამტკბილობათა ერთერთ სახეობად და არა გადარჩენის ერთადერთ გზად. საათმაამურმა მელოდიის ნაგლეჯი დაიწკრიალა. “მე კი ჯერ არც ჩამიცვამსო” — გაიფიქრა შეშფოთებულმა, თითქოს კონსულთან ელოდებოდნენ წვეულებაზე, თითქოს აქვე, ორ ნაბიჯზე არ უნდა გადასულიყო მეზობელთან, რომელიც სრულებითაც არ ელოდებოდა და რომელსაც სრულებითაც არ გაუხარდებოდა მისი დანახვა.

ცოტა ხნის მერე, მშვიდად, აუჩქარებლად ჩადიოდა კიბეზე. პირბადიანი შლიაპა ეხურა. ხელში ქოლგა ეჭირა (უქოლგოდ საერთოდ არ გამოდიოდა შინიდან; ხელჯოხადაც ხმარობდა, უფრო ხნიერი რომ გამოჩენილიყო). სადარბაზოსთან ოდნავ შეყოვნდა, ჩვეულებისამებრ ახედა ცას და მშვიდად, აუჩქარებლად გამოვიდა ქუჩაში, რათა თითქმის მაშინვე, მწვანედ შეღებილ ჭიშკარში შესულიყო. იგრძნო,

როგორ აწრიალდა ხისფეხა კოსტა ჯორკოზე, როგორ მოემზადა სალმისთვის, მაგრამ არც კი გაუხედავს იქითკენ. ჭიშკარი ქოლგის წვერით შეაღო, ხოლო ჭიშკარმა ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავა, მეორე ხელიც მიაშველა, თითქოს მისი გაჩუმება სცადაო. შეაკრთო ამ უსიამო ხმამ, თითქოს თავის ოთახშიც არ ესმოდა ყოველდღე და თითქოს არაფერი აკავშირებდა ამ ხმასთან, არაფერს ახსენებდა იგი, არც ცუდსა და არც კარგს. "თხუთმეტი წლის მერე ისევ მომიწია აქ მოსვლა და ალბათ ახლაც უარით გამომისტუმრებენო" — ფიქრობდა, მოულოდნელად შემკრთალი. მაგრამ გარეგნულად არაფერი შესტყობია. მშვიდად, აუჩქარებლად მიდიოდა ხრეშმოყრილ ბილიკზე, მწვანედ ახასხასებულ ხეებს შორის. გუშინ წარღვნა იყო, გუშინ ქვეყანა იქცეოდა, მაგრამ არ დაიქცა, ამის ჯიბრზე არ დაიქცა და ისევ გამოანათა მზემ, თითქოს რაც დღემდე მოხდა, არ ითვლებოდა, ანდა არ განმეორდებოდა აღარასოდეს. ხშირხშირად ხრიდა თავს, პირბადიანი შლიაპით რომ არ წამოსდებოდა ჰაერში გალურსულ ტოტებს. მიდიოდა და ფიქრობდა: ალბათ უკვე მხედავენ, ალბათ უკვე იციან, რისთვისაც მივდივარო. ხრეში სველი იყო. სისველეს გაეშავებინა. ხეები წუხანდელი წვიმის დანატოვარ გუბეებში იდგნენ, კენწეროები კი მზეზე უბრწყინავდათ. მშვიდად, აუჩქარებლად მიდიოდა და ფიქრობდა: ჩემი შვილისთვის ასე ჯობიაო. ერთი წამით შეჩერდა მხოლოდ, ქოლგის წვერისთვის დამპალი ფოთოლი რომ მოეშორებინა. გამობრუნებაც შეეძლო, მაგრამ მაშინვე გააგრძელა გზა. გზაცა და ფიქრიც. "ასე ჯობიაო" — ირწმუნებდა თავს, რადგან თვითონვე ეჩოთირებოდა იმის თქმა, რის სათქმელადაც მიდიოდა. სხვისა რომ გაეგო, გაამტყუნებდა; გუნებაში მაინც. მაგრამ იმას რა ესაქმებოდა სხვასთან, ან სხვას იმასთან. ის დედა იყო და როგორც შეეძლო, ისე იბრძოდა შვილის გადასარჩენად, რომელსაც მთელი ქალაქი დასდევდა დასაჭერად და რომელსაც (გინდაც დაეჭირათ) ვერავითარი ციხე ვერ დააკავებდა, ვიდრე ნატოც არ მიუხურავდა კარს. ასე მოსდგამდა, ასე მოსდევდა დედისგანაც და მამისგანაც. "ისიც მშობელია და გამიგებსო" — იმშვიდებდა თავს, თითქოს ნატოს

დედასთან ჰქონდა საქმე და არა ნატოსთან; თითქოს ნატოს დედის დარწმუნება უნდოდა და არა ნატოსი. ასე განგებ ფიქრობდა, დამალული შიშის კიდევ უფრო მისაჩქმალად, რადგან გადაწყვეტილების მიღებამდე, აქ მოსვლამდეც იცოდა, ნატოს დედა გაუგებდა, ნატო კი არა.

ნატოს დედა აივნის ორსაფეხურიან კიბესთან იდგა და ელოდებოდა. სრულებითაც არ უკვირდა მისი დანახვა. "ქალბატონო ელენე, ქალბატონო ელენეო" — ამოილუღლუღა რამდენჯერმე, სამძიმარივით. დიდ ოთახში რომ შევიდნენ, ამან შეფარვით, უნებლიე ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა იქაურობა, თითქოს ისევ ბინის დასაქირავებლად მოსულიყო. "კარგია თქვენთანო" — თქვა ზრდილობისთვის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინათ, თუმცა ახლაც მართლა მოეწონა იქაურობა; რაღაცნაირად დაამშვიდა თითქოს ბუნებრივმა, თავისთავად გაჩენილმა სისუფთავემ, ნივთების სიმყარემ და წესრიგმა. ოქროსფერი შანდლებით გაწყობილი პიანინოც იცნო, კარადაც, მაგიდაც, და რუსთაველის სურათისკენაც ისევ გაექცა თვალი, ისევ მოულოდნელი, უჩვეულოდ ცოცხალი ფერების გამო. მაგრამ უცებ რაღაცამ შეაშფოთა, შეაწუხა, როგორც ტაძრისა თუ მუზეუმის დარაჯი — მოულოდნელად გაჩენილმა ანდა მოულოდნელად ამოვსებულმა სიცარიელემ. რაღაცამ კი არა, კარადაზე შემოდგმულმა კიტრიანმა ბოთლმა. "ეს ადრე არ ყოფილაო" — ისე გაუკვირდა, ისე შეიცხადა გუნებაში, თითქოს უიმისოდ, მისი ნებართვის გარეშე, არაფერი არ უნდა შეცვლილიყო ამ სახლში, არც უნდა მიმატებოდა რამე, არც უნდა მოკლებოდა. ვერ დამალა გაკვირვება. მაგრამ ის კი არ უთქვამს, აქ საიდან გაჩნდა ეს ბოთლიო, დიასახლისისთვის სასიამოვნო ქათინაურით შენიღბა თავისი გაკვირვება, შეშფოთება, ვითომ მარტო ის აინტერესებდა, როგორ, რანაირად, რა ჯადოქრობით აღმოჩენილიყო ბოთლში ლამის ბოთლისხელა კიტრი (ექიმის კაბინეტი გაახსენდა ერთი წამით. იქ მოჰკრა თვალი თაროზე დალაგებულ მინის ქილებს, რომლებშიაც ამაზრზენად დაკრუნჩხული არსებები ცურავდნენ). ასე ბავშვებს ემართებათ ხოლმე, გამოცანის სი-

მარტივეს რომ გრძნობენ, მაგრამ ამოსახსნელად მოთმინება არ ყოფნით და უფროსებისგან უნდათ გაიგონ, თანაც, რაც შეიძლება მალე, ამ მარტივი გამოცანის პასუხი.

— ძალიან იოლია, — გაიღიმა დარიამ. — სანამ ნაყოფი პატარაა, ბოთლში შეაყოფინებენ თავს და თავიდანვე ბოთლში იზრდება.

"თავიდანვე ბოთლში იზრდება", — გაიმეორა ამან გუნებაში. "ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო!" — აღელდა, შეძრწუნდა ისევ. თითქოს გადაკრულად მიანიშნეს რაღაცაზე, რაღაცაზე კი არა, ყველაზე დიდ განსაცდელზე, საფრთხეზე, შეცდომაზე — რაც კი შეიძლებოდა შემთხვეოდა ცხოვრებაში. ამჯერად, უკვე არაუსაფუძვლო შეშფოთება რომ დაემალა, თვითონაც გაიღიმა და თქვა: რა ლამაზი ბოთლიაო.

— დიახ, ძველებურია, — აჰყვა დარიაც.

თუმცა კიტრიანი ბოთლი იმდენად აინტერესებდა ახლა, რამდენადაც ჩინეთის იმპერატორი. დამნაშავედ თვლიდა თავს ამ ქალის წინაშე და დანაშაულის გრძნობა აიძულებდა, ყველაფერში აჰყოლოდა იმას; დაეცლია, ისე წარემართა საუბარი, როგორც თვითონ უნდოდა, როგორც მოფიქრებული ჰქონდა აქ მოსვლამდე, რადგან ის ბრალმდებელი იყო, თავად კი — ბრალდებული. მისი ქმარი ამბობდა, კიტრი თავისებურ გემოს აძლევს არაყსო, მაგრამ თვითონ არც კიტრიანი არყის გაეგებოდა რამე, არც უკიტროსი. მას ნაკლული ბოთლის დროულად გადავსება ევალებოდა, ქმრისთვისაც რომ ესიამოვნებინა და კიტრიც შენახულიყო, არ დამპალიყო უარყოთ. მაგრამ ამდენს თუ ლაპარაკობდა ამ უმნიშვნელო წვრილმანზე, სტუმრის ყოვლად მოულოდნელი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას კი არ ცდილობდა მხოლოდ, დროს აძლევდა, უკეთესად რომ მომზადებულიყო იგი, ყოვლად მოსალოდნელი და სამართლიანი რისხვის გადმოსაფრქვევად. ასე რომ, ორივენი თვალთმაქცობდნენ, სტუმარიცა და მასპინძელიც; ორივენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება გვიან გაეშიშვლებინათ თავიანთი გულები და დაუფარავად ეთქვათ ერთმანეთისთვის: აჰა, შეხედე, რა დღეში ვარ ჩავარდნილიო. ნატო

საუბარში არ ერეოდა. კართან იდგა, გულხელდაკრეფილი, და აღტაცებული შესცქეროდა სტუმარს. დღეს განსაკუთრებულად მოსწონდა და ნეტარებით ფიქრობდა გულში, მეც ასეთი ქუდი მეხურება, მეც ასეთი ქოლგით ვივლი, მეც ასეთი ლამაზი, ასეთი მომხიბვლელი ქალი ვიქნებიო. გუშინდელ ამბავს მაინცდამაინც არ შეუშფოთებია, გელას მოულოდნელ გაქრობასაც შესჩვეოდა უკვე და გელას მოულოდნელ გამოცხადებასაც. დარიას კი სულ სხვა ცეცხლი სწვავდა. იმ ცეცხლის ფასიც იცოდა, ამ ამაყი და გოროზი ქალის გულში რომ გუგუნებდა და, რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, მისი მიზეზითაც იტანჯებოდა იგი, რადგან, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერ მოიგონებდა უფრო დიდ ბოროტებას, რაც ამ ქალის მიმართ ჩაიდინა გუშინ. მართალია, ჯერ მხოლოდ ეჭვით იცოდა (შიშისგან ვერც კი ჰკითხა), მისმა ქმარმა რომ გააფრთხილა წუხელ პოლიცია, მაგრამ ეჭვიც კმაროდა, დამნაშავედ ეგრძნო თავი. მათ ჭერქვეშ თავშეფარებულ ბავშვს ქვა ესროლეს, აუქშიეს, სულის მოთქმა არ აცალეს, გაგვერიდე, არ გვინდა, შენი მიზეზით რამე უბედურებაში გავეხვიოთო, და თუკი მართლა ასე მოხდა, მაშინ თვითონაც სულწაწყმედილი დამსმენელი გამოდიოდა და მეტი არაფერი, რადგან რაც ქმარია, ცოლიც ისაა: ერთ ხორც და ერთ სულ. მაგრამ გინდაც გაბათილებულიყო მისი ეჭვი, მაინც არ არსებობდა მისთვის გამართლება. დედას შუილი დაუმალა! დედას არ გააგებინა შვილის ადგილსამყოფელი, დედას, რომელიც ორ ნაბიჯზე იყო და ალბათ ადგილს ვერ პოულობდა, რადგან დედაკაცის წყეული ტანი უგრძნობდა, სადღაც, ახლოს, მის სისხლსა და ხორცს უჭირდა, უპატრონოდ ეგდო მტვერსა და აბლაბუდაში. ამან კი ყური დაიყრუა, თვალი დაიბრმავა, გვერდზე გადგა, ხელი დაიბანა — რაც მოხდება, უჩემოდ მოხდესო. მაგრამ გინდაც დედის მაგივრობა გაეწია გელასთვის, სხვენიდან ჩამოეყვანა, განებანა, დაეპურებინა, სუფთა ლოგინში ჩაეწვინა, მაინც დამნაშავე იქნებოდა გელას დედის წინაშე, რადგან თვითონ მიითვისებდა, მხოლოდ და მხოლოდ გელას დედისთვის განკუთვნილსა და, ალბათ, მის ერთადერთ სიამოვნებას. არ არსებობდა, არ არსებობ-

და, არავითარი გამართლება არ არსებობდა დარიასთვის და ერთნაირად უნდა ეგო პასუხი ბოროტებით ჩადენილ სიკეთეზეც და სიკეთით ჩადენილ ბოროტებაზეც. პატიების თხოვნის უფლებაც არ ჰქონდა და ახიც იქნებოდა, ამ ქალს ქოლგა გადაემტვრია თავზე: რატომ დააბეზღე ჩემი შვილიო, ანდა — რატომ არ მიხედეო, ანდა — ვინ მიგდიხარ, რა გესაქმება, ვინ მოგცა უფლება, ერთადერთ, უკანასკნელ ბედნიერებასაც რომ მაცლი ხელიდანო; შენ რა იცი, მე რომელი საპნით ვბან ჩემს შვილს ან რამდენ შაქარს ვუყრი ჩაიშიო. დარია კი ვერაფრით იმართლებდა თავს, სამივე ბრალდება უნდა მიეღო, სამივე ბრალდება შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუ რომელიმე იმ სამიდან. ამიტომ ვეღარ მოეშვა ბოთლში ჩამწყვდეულ კიტრს და იმისთვისაც, ბრალმდებლისთვისაც რომ დაევიწყებინა მთავარი სათქმელი, დროებით მაინც, ისიც კი უთხრა, ხომ არ გავსინჯოთ, ვნახოთ ერთი კაცების გემოვნებაო.

სტუმარიც ისევ კიტრზე ფიქრობდა. სანამ დარია ლაპარაკობდა, კიტრის ბუსუსებიან ყუნწზე ჭინჭით მიბმული ბოთლი ედგა თვალწინ: ბოთლის ვიწრო ყელში პატარა, ხორკლიანი ნაყოფი შეყუჟულიყო და თანდათანობით იზრდებოდა, იზრდებოდა, სულ უფრო და უფრო ავსებდა ბოთლის სიცარიელეს. “ვერაფრით ვეღარ გამოეტევა, სანამ შიგვე არ გამოლპება. არაყში ინახავენ. გვამივით”, — ფიქრობდა შეძრწუნებული, ამრეზილი. დარიამ რომ ჰკითხა, ხომ არ გაგვესინჯაო, ლამის შეჰყვირა; მაგიდაზე დასვენებული, გრძელი, გამხდარი, ლამაზი ხელი, უარის ნიშნად, ჰაერში აასავსავა, თითქოს ეს კეთილი, გულისხმიერი მასპინძელი შხამს აძალებდა. მეორე ხელი ისევ იატაკზე დაბჯენილი ქოლგის ტარზე ედო. კი არ ედო, ქოლგის ტარს ბღუჯავდა მეორე ხელით და დაძაბულობისგან ხელის ზურგზე ლურჯი ძარღვები ასხდებოდა.

— ძალიან გთხოვთ, ცუდად არ გამიგოთ, — მოაყოლა უცებ. თუმცა ჯერ არ აპირებდა ამის თქმას. შეიძლება, საერთოდ ვერ გაებედა, რადგან სახლში გამეფებულმა სიმყუდროვემ, სიმყუდროვემ კი არა, რაღაცნაირმა, ტაძრისებურმა სიწმინდემ, დიასახლისისა და მისი ქა-

ლიშვილის სახეებზე ამოკითხულმა პატივისცემამ, მოკრძალებამ, კიდევ უფრო დაარწმუნა, რა შეურაცხმყოფელი, რა მტკივნეული იქნებოდა იმათთვის იმის მოსმენა, რაც თავად შვილის გადარჩენის ერთადერთ გზად მიაჩნდა, აქ მოსვლამდე, უფრო ზუსტად, ვიდრე ბოთლში ჩამწყვდეულ კიტრს დაინახავდა; კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე თავის სულელურ, ყოვლად გაუმართლებელ ცნობისმოყვარეობას გამოამჟღავნებდა და დიასახლისი ბოთლში კიტრის დამწყვდევის წესს განუმარტავდა. იმის მერე, ვერ იქნა და ვეღარ დამშვიდდა, ვეღარ დაიმორჩილა თავი. მაგრამ დედაშვილის სახეზე ამოკითხული პატივისცემა და მოკრძალება, შეიძლებოდა, სიბრალულითა და დამცინავი ღიმილითაც შეცვლილიყო მალე, თუკი კიტრზე საუბრით ამოწურავდა თავის დაუპატიჟებელ სტუმრობას, რადგან ის ჯერ დედა იყო და მერე სტუმარი, დედის უფლებები უნდა დაეცვა ჯერ და მერე თავაზიანობის წესები. — ძალიან გთხოვთ, ცუდად ნუ გამიგებთ... — გაიმეორა და ნატოს გაუღიმა, თითქოს პირველად ახლა შეამჩნია იგი.

ნატოს განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ამ ღიმილისთვის. მართალია, იმდენი გაეგებოდა, გელას დედის მოულოდნელი გამოცხადება, ჩვეულებრივ, მეზობლურ სტუმრობას, ნავსის გატეხვასა და დაახლოების სურვილის გამომჟღავნებას რომ არ ნიშნავდა, მაგრამ იმდენად მოსწონდა, იმდენად უყვარდა გელას დედა, მაინც უფრო სიამოვნებდა, ვიდრე აკრთობდა და აწუხებდა ეს ამბავი. ჯერ ბავშვი იყო და არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თავად, არა მარტო იმდღევანდელ შეხვედრაში, არამედ საერთოდ, იმ დღით დაწყებულ ცხოვრებაში, სამი ქალის სურვილით, რწმენით, იმედით შექმნილ ცხოვრებაში, რომელიც ისეთივე გულუბრყვილო, მაგრამ ჯიუტი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ბოლოს, როგორც ძველი ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე. ხოლო დარია ისე ააფორიაქა სტუმრის ღიმილმა, როგორც გამოცდილი მეზღვაური ქარიშხლის მაუწყებელმა ღრუბელმა. იგრძნო, როგორ გაეთოშა ხელფეხი; დაინახა, როგორ გადაუარა ავმა წინათგრძნობამ გულზე.

მძიმედ, ნელა, ღრჭიალით, როგორც გუთანმა მინდორზე და როგორ შეატოვა ზედ შავი, მკვეთრი ანაბეჭდი: მეამაზეარცკიმიფიქრია.

— ნატო. ნატო! — დაიძახა ნირწამხდარი, დამარცხებული კაცის ხმით.

— არა, იყოს. მოისმინოს, დასამალი არაფერია... — თქვა ამან.

“იცის, რომ შეყვარებული ვარ. — მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა ნატო. — შეყვარებული ვარ. — თითქოს შიგნიდან უბიძგა გულმა და წინ წამოაგდო, გულხელდაკრეფილი, მატრაკვეცულად მოღიმარი. შორეულმა, ჯერ ბოლომდე დაუბადებელმა, გაურკვეველმა სიამაყემ ბალერინასავით, თითის წვერებზე გაირბინა მის პატარა არსებაში, ქათქათამ, ჰაეროვანმა. — დიდი ამბავი!” — ცხვირი აუბზუა საკუთარ თავს, როგორც შურიანმა დამ — იღბლიანს.

— არც გამტყუნებთ, არც გსაყვედურობთ, — თქვა ამან და უფრო მაგრად ჩაბღუჯა ქოლგის ტარი. გამხდარ ხელისზურგზე უარესად დაებერა ძარღვები. — გელას თქვენ უყვარხართ და დარწმუნებული ვარ, თქვენც გიყვართ გელა. — ერთდროულად მიმართავდა ორივეს, დედასაც და შვილსაც. არ უნდოდა, გამოეყო რომელიმე, რომელიმე კი არა, ნატოს გამოცალკევება არ უნდოდა, რადგან ეს ნატოს უფლებამოსილების აღიარებასაც ნიშნავდა, ანუ ომის გამოცხადებას ნატოსთან, რადგან მერე მესამისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა; ორნი — ისა და ნატო — უნდა დარჩენილიყვნენ პირისპირ და ჩაბმულიყვნენ ყველაზე ვერაგულ, ყველაზე ამაზრზენ, ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე უსამართლო ომში, რადგან ორივე მხარეს ერთი და იგივე დროშა უნდა აღემართა, კაცთმოყვარეობის, მშვიდობის დროშა, და ორივე მხარე სიკეთის, მიმტევებლობის, ურთიერთგაგების, ურთიერთდანდობის მქადაგებლად უნდა ქცეულიყო, არა თავიანთი სიცუდის, სიმხდალის ანდა სიმდაბლის გამო, არამედ გრძნობათა, მრწამსთა, ვალდებულებათა და, რაც მთავარია, ბუნების ერთნაირობის გამო; ეს ერთნაირობა იძულებულს გახდიდათ, ჭრილობებიც კი შეეხვიათ ერთმანეთისთვის, მოეკითხათ, მოენახულებინათ ერთმანეთი, პური, წყალი, წამალი მიეწოდებინათ და გაემხნევებინათ კიდეც; ტყვიით,

დანით ანდა შხამით კი არ უნდა ეომათ, არამედ იმით, რისთვისაც ომობდნენ: სიყვარულით უნდა დაეთრგუნათ სიყვარული, სათნოებით — სათნოება, კეთილშობილებით — კეთილშობილება. აი, როგორ ომში ჩაითრევდა ეს პატარა გოგო, როგორც კი მეტოქედ აღიარებდა მას, საკუთარ ძალასა და უფლებამოსილებას აღმოაჩენინებდა დაუფიქრებელი, მოუზომავი სიტყვით, გამოხედვით ანდა ღიმილით. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მაინც ასე მოხდებოდა, რადგან ასე უნდა მომხდარიყო, და თუ ეს პატარა გოგო ჯერ აღტაცებული თვალებით შემოსცქეროდა, არც ეს ნიშნავდა არაფერს; ესეც ასე უნდა ყოფილიყო; ჩვენ ხომ იმას ვბაძავთ, ვინც ჩვენი ყველაზე დიდი მტერია და სწორედ იმიტომაა ჩვენი ყველაზე დიდი მტერი, ჩვენნაირი რომ აღარ არის უკვე, ანდა ჯერ ჩვენც რომ არა ვართ იმისნაირი. ამ პატარა გოგოსაც ჯერ ამისთვის უნდა მიებაძა, ჯერ ამისგან უნდა ესწავლა და, პირველ რიგში, ამასვე უნდა დაპირისპირებოდა, როგორც კი სწავლას მორჩებოდა, როგორც კი მიხვდებოდა, მთელი სიცოცხლე იმის შესანარჩუნებლად რომ უნდა ებრძოლა, რაც უკვე მოეპოვებინა უბრძოლველად, რადგან ქალი (და საერთოდ, ადამიანი) იმისთვის იბრძვის და იმას ეწირება, რაც თავისთავად, ხელის გაუნძრევლად ეძლევა. ხოლო დარია ზედმეტი იყო, უმნიშვნელო დანამატი; იმას, დიდიდიდი, ომის დროებით შეფერხება შეეძლო მხოლოდ, რამდენადაც არც ერთ ბანაკს არ ეკუთვნოდა, ანდა რამდენადაც ორივე ბანაკს ერთნაირად თანაუგრძნობდა: სტუმარს — როგორც დედა და შვილს — როგორც ქალი. — მაგრამ მეორეჯერ ნუღარ გაუღებთ კარს, — გააგრძელა ცოტა ხნის მერე, — ნუ გაუღებთ კარს... — უნებურად აუწია ხმას, მუდარა რომ არ გამოსვლოდა. — მე გელას ველოდები. ვალდებული ვარ, დაველოდო. ხოლო თქვენი სიკეთის, თქვენი კეთილშობილების გამო, ჩემი მოლოდინი, შეიძლება, კიდევ უფრო გაგრძელდეს... უსასრულოდ. როცა დარწმუნდება, აღარსად მიმესვლებაო, მოიხდის სასჯელს, აბა, რა იქნება! — შავი კაბის მაჯიდან სასწრაფოდ გამოაძრო ისეთივე შავი, ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი; თითქოს ტკივილის შესამცირებლად სახვევი აიგლიჯა ჭრი-

ლობიდან. ცხვირსახოცი ტუჩებზე მიიდო, ქვითინი რომ შეეკავებინა და ისევ გაუღიმა ნატოს, მაგრამ ახლა ისე საცოდავად, დედაშვილს ერთდროულად დაუარა ტანში ჟრუანტელმა. დარიას კი თვალები მაშინვე ცრემლით აევსო.

— თქვენთანაც ყოფილა, მაგრამ თქვენ არ დახვედრიხართ შინ. — თქვა უცებ ნატომ და გაშრა, ყაყაჩოსავით წამოუბრიალდა სახე. მაშინვე იგრძნო, რაღაცა დააშავა, ის არა თქვა, რაც უნდა ეთქვა, ის არ გამოუვიდა, რასაც აპირებდა, კი არ დაამშვიდა, უარესად ატკინა გული სტუმარს. უნებურად დედას შეხედა, დაბნეულად მოღიმარმა, როგორც პატარაობისას იცოდა, როცა მისი არსება ჯერ კიდევ იმუშავებდა ჩვევებს და იქამდე მოიხოცავდა ხოლმე ფაფით მოთხუპნულ პირს, ვიდრე გულზე აფარებული ხელსახოცი გაახსენდებოდა.

— ჩემთანაც ყოფილა? ღმერთო ჩემო... ჩემთანაც? — შეცბა, აღელდა, გაბრაზდა, გამწარდა ეს. "დაიწყოო" — უიმისოდ გაირბინა ფიქრმა გონებაში, ელვის სისწრაფით, როგორც განგაშის მაუწყებელმა ხმამ — ჰაერში. მაგრამ მაინც როგორმე უნდა მორეოდა თავს, არ აჰყოლოდა ამ პატარა გოგოს, რომელსაც უნებლიეთ, რა თქმა უნდა, უნებლიეთ (ამდენის მიხვედრა კიდევ შეეძლო, რაც არ უნდა გაბრაზებული, შეურაცხყოფილი ყოფილიყო), უკვე გადმოუცდა საზღვარზე ფეხი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ომი; ეს ჯერ კიდევ ჩვეულებრივი, სასაზღვრო შეტაკება იყო მხოლოდ, ძალების მოსასინჯი, ერთმანეთის გასაღიზიანებლად, გამოსაწვევად გამიზნული. განა ყოველთვის უნებლიეთ არ მჟღავნდება ის, რასაც შეგნებულად, საგულდაგულოდ ვმალავთ? — ღმერთო ჩემო, — გაიმეორა ნაძალადევი და ამიტომაც ორაზროვანი გაკვირვებით, ვერ გაიგებდით, ნანობდა, შვილს რომ არ დახვედროდა შინ, თუ შვილის საქციელს გმობდა — დროზე ადრე, სასჯელის მოხდამდე, უკანონოდ რომ გაებედა შინ დაბრუნება. ერთი წამით წარმოიდგინა, როგორ ჩაცუცქდებოდა გელა კარის წინ, როგორ გადასწევდა ფეხსაწმენდ ტილოს და, როცა ტილოს ქვეშ, გასაღების ნაცვლად, სისველისგან გამოშავებული სიცარიელე დაუხვდებოდა, როგორ ჩაწყდებოდა გული. თუმცა თვითონ სწორედ თავქა-

რიანი, უპასუხისმგებლო შვილის ჯიბრით აღარ ტოვებდა გასაღებს, ასედაც რომ ეთქვა იმისთვის (თუკი დროზე ადრე მოუცდებოდა ფეხი), არც გელოდები და არც მინდიხარ, ვიდრე პირნათლად არ მოიხდი მოსახდელსო. მაგიდაზე დასვენებული ხელი უცახცახებდა, თითქოს დენი გადიოდა შიგ, როგორც ქარის ჩამოგლეჯილ მავთულში. — არ მოიქეცით... არ მოიქცა სწორედ. მხოლოდ მტერი თუ ურჩევს... მხოლოდ მტერი თუ მოუწონებს... ის ხომ ჯერ ბავშვია! — წამოიყვირა ქვითინგარეული ხმით, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, შიშნაჭამსა და ენაჩავარდნილ დედაშვილს ღიმილით მოუხადა ბოდიში; უფრო დედას, უფროსს, თანატოლს — ვითომ, რაც იქამდე ითქვა, რაც იქამდე წამოცდა, დარიას ეხებოდა და არა დარიას ქალიშვილს. — არავის სიამოვნებს ჭკუის დარიგება. — გააგრძელა უკვე მშვიდად. — ვისაც როგორ სურს, ისე მოიქცევა. მაგრამ მე ჭკუას კი არ გარიგებთ, გთხოვთ! — დარიას მიმართავდა. — გთხოვთ... როგორც მშობელი. როგორც გელას დედა! — ნელა წამოდგა, მაღალი, გოროზი, შავად აწოწილი. ქოლგის წვერი ოდნავ მოუსხლტა გაპრიალებულ იატაკზე, მაგრამ დროულად შეიკავა, გააშეშა. მშვიდად, აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან.

დარია და ნატო აივანზე იდგნენ და უყურებდნენ, როგორ მიდიოდა ხრეშმოყრილ ბილიკზე; როგორ ტოვებდა მისი ქოლგის წვერი წუხანდელი თავსხმისგან ჯერ კიდევ სველ ხრეშზე პატარა, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულ ღრმულებს; როგორ იხრებოდა, თავი რომ აერიდებინა ტოტებისთვის — გარეგნულად მშვიდი, ამაყი, ამპარტავანი, სინამდვილეში კი, მარტოსული, უმწეო, დამარცხებული. მიდიოდა და ფიქრობდა: ჯერ კიდევ ყვავილიან თავს ბოთლში შეაყოფინებენ მაშინვეო. ფიქრობდა გაგულისებული, გაწბილებული, ზრდილობიანად გამოპანღურებული.

ის დღეც ძალიან ჰგავდა იმ დღეს, როცა ვითომ საკუთარი ბედნიერების, თავისუფლების მოსაპოვებლად, გელას მამას ეახლა საერთო საცხოვრებელში. ახლა კი, ჯერ ისევ მოკლეკაბიან გოგოს ხლებოდა, შვილის ბედნიერების, შვილის თავისუფლების გამოსათ-

ხოვად. ამ ორ დღეზე, როგორც ორ საყრდენ ბოძზე, იდგა მთელი მისი ცხოვრება. ერთი ბოძი უკვე გამოსცლოდა და, დროულად თუ არ იღონებდა რამეს (რას?), მეორეც მალე გამოეცლებოდა. ასეც მოხდა. პირველი გაქცევის შემდეგ მისმა შვილმა მთელი სიცოცხლე სულ დევნაში გაატარა; სულ გარბოდა; სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი. იჭერდნენ, უკან აბრუნებდნენ, სასჯელს უმატებდნენ, ის კი, მაინც გარბოდა, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, მოუმზადებლად, როგორც ნადირი გარბის ხოლმე გალიიდან, როცა გალიის კარი შემთხვევით ღია აღმოჩნდება.

4

აქოშინებული მიუყვებოდა გაუთავებელ ფერდობებს. მერე თოვლში შეაბიჯა და თითქოს არარსებულ, თითქოს გამონაგონ დროსა და გარემოში აღმოჩნდა უცებ. თოვლს გადაეყრუებინა იქაურობა. ხანდახან ბებერი, პირქუში ფიჭვი გაიჭრიალებდა მოულოდნელად და ისიც უფრო აუჩქარებდა ფეხს, თუმცა არ იცოდა, სად მიდიოდა, ანდა რატომ. აღარ სჯეროდა, როდისმე თუ გააღწევდა აქედან, მაგრამ მაინც მიდიოდა, თანდათან იკარგებოდა არარსებულ დროსა და გარემოში. "ნეტავი, ყველაფერი სიზმარი იყოს და ციხეში გამომეღვიძოსო" — ლოცულობდა გუნებაში. გათოშილი, გაშეშებული ხელები იღლიებში ამოეწყო. ხან გველივით გალურსულ ფესვს გადააწყდებოდა, ხან მიწის ღრმულში უვარდებოდა ფეხი და მთვრალივით დაბარბაცებდა აქეთიქით. თუ არ ეცემოდა, ესეც შიშის წყალობა იყო. შიშის ტლანქი, უხორცო სიმძიმე უნარჩუნებდა წონასწორობას. შიშს ჩაფრენოდა, როგორც ბრმა — ჯოხს, რომლისთვისაც ერთნაირად უცხოა, ერთნაირია ყველა გზა, სწორედ სიბრმავის გამო. სულის მოსათქმელადაც ვერ ჩერდებოდა, თითქოს კუბო მიჰქონდა, შემცვლელი, ხელის შემშველებელი კი არავინ ჰყავდა. ხოლო კუბო უფრო და უფრო მძიმდებოდა და აღარ სჯეროდა, როდისმე თუ გათავდებოდა ეს მტანჯველი, გამაბითურებელი, ძალღონის გამომცლელი და, რაც მთავარია, უხილავი, არარსებული გზა, მაგრამ მაინც გზა, ერთადერთი გზა, რომელზედაც გავლა შეეძლო და მიდიოდა კიდეც. სიმწრის ცრემლიც ვერ მოეწმინდა. სიმწრის ცრემლი ჩასდიოდა პირში და საცოდავად აქსუტუნებდა ცხვირს. არც მკვდარი იყო, არც ცოცხალი. უფრო სწორად, მკვდარიც იყო და ცოცხალიც ერთდროულად. ცოცხალი კუბოში იწვა, მკვდარი კი იმ კუბოს მიათრევდა ზურგით. ქვადქცეული, ტლანქი, უგრძნობელი კუბო ქვევით ექაჩებოდა, მიწისკენ, საფლავისკენ, უფრო დიდი სიბნელისკენ, მარადიული სიბნელისკენ, სამარადისოდ რომ დაეღწია თავი ცოცხალი ნახევრისგან. მაგრამ არც მკვდარ ნახევარს შეეძლო გაეტანა თავისი და არც ცოცხალს,

რადგან ორივე ერთად, არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი. და ისიც მიდიოდა, მიდიოდა მიდიოდა, მიილტვოდა უფსკრულთა და წყალთა ზედა. იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, იქამდე იცოდა, ვიდრე პირველად გამოიქცეოდა ციხიდან; ვიდრე პირველად დაიჭერდნენ, ვიდრე ბათუმში ჩამოვიდოდა; იქამდეც, ვიდრე ლიზა შემოვარდებოდა ოთახში და, როგორც იცის ხოლმე, ფაცაფუცით იტყოდა: მგონი რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავსო. მკვდარი მამის დანახვაზე სიცილი აუვარდა, რადგან ესეც წინასწარ იცოდა, ესეც იქამდე წარმოიდგინა, ვიდრე დაინახავდა. ვერაფრით ვერ გააჩერეს, იდგა და გიჟივით იცინოდა, ვიდრე სასულე არ გადაეკეტა სიცილისგან. ხოლო გონს რომ მოეგო, უკვე ერთი წლის ობოლი იყო. თუმცა ერთი წლის წინ, ლიზა რომ შემოვარდა ოთახში და, როგორც იცის ხოლმე, ფაცაფუცით, სულმოუთქმელად, პირზე დორბლმომდგარმა თქვა: მგონი რაღაცა უბედურებაა იმ კაცის თავსო, როცა ყველანი — ბებიაც, ბაბუაც, დედაც და ლიზაც — ნახევრად ბნელ დერეფანში იდგნენ და ერთად აბრახუნებდნენ სააბაზანოს კარზე, ამან უკვე იცოდა, ობოლი რომ იყო. ხოლო როცა კარი შეამტვრიეს და აჩოჩქოლებულ სხეულებს შორის ერთი წამით მოჰკრა თვალი წითელი წყლიდან ამოყოფილ ხელებს, სიცილი აუვარდა; ნახევრად ბნელ დერეფანში იდგა და სიცილისგან იგუდებოდა. “მოაშორეთ ეგ ოხერი აქედანო” — დაიყვირა ბაბუამ სააბაზანოდან. დედამ სველი ხელი შემოჰკრა ლოყაზე. ის კი მაინც იცინოდა, იმიტომ, რომ უფრო ადრე წარმოიდგინა ის, რაც იმ წუთას დაინახა; იმიტომ, რომ რცხვენოდა, ასეთ დღეში რომ ხედავდა მამას; და კიდევ იმიტომ, მართლა სასაცილოები რომ იყვნენ ყველანი, აბაზანაზე დახრილები, აქოთქოთებულები, საქმიანები, საქმის მცოდნენი, თუმცა ერთმანეთს ხელს უშლიდნენ მხოლოდ და წარამარა უსხლტებოდათ სველი, შიშველი გვამი.

სწორედ ამ დროს, ხეზე მხრით მიყრდნობილი კაცი დაინახა. კაცს აირწინაღის ჩანთა ეკიდა მხარიღლივ. “საით გაგიწევიაო” — დაუძახა შორიდანვე. “საით?” — დაიბნა, გაოცდა ეს. თითქოს ისეთი რამე ჰკითხეს, რაზედაც არასოდეს არ ეფიქრა, რისი ცოდნაც არასოდეს

ჩაუთვლია საჭიროდ. კაცმა გაიცინა. “გზა ამებნაო” — შეჰყვირა ამან, იმედმიცემულმა, გამხნევებულმა, გადარჩენილმა. კაცმა ისევ გაიცინა, ხეს მოშორდა და თქვა: შენ, ეტყობა, დიდი ხნის წინ დაგიკარგავს გზა, რადგან აქ გზა არ არის, აქ უგზოობის ქვეყანააო. მერე ხელი ჩაჰკიდა და ქოხისკენ წაიყვანა. ქოხიც ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც თავად ის აირწინაღიანი კაცი. ქოხში კიდევ ორი კაცი დაუხვდათ: სათვალიანი და ბრტყელსახიანი. ისე მიესივნენ, თითქოს მთელი სიცოცხლე იმის მოლოდინში გაეტარებინათ. “წყალი თუ გიდუღთო” — იკითხა აირწინაღიანმა. “გვიდუღს კი არა, ძლივს ვაბამთ ჯაჭვითო” — უპასუხა ბრტყელსახიანმა. სათვალიანი იღიმებოდა. ჯაჭვზე მართლა ეკიდა შავად გაჭვარტლული კარდალი. კარდალი ნარბენი ცხენის მუცელივით ბუყბუყებდა: “თოვლი შემოიტაო” — უბრძანა აირწინაღიანმა სათვალიანს. თვითონ, ცეცხლის წინ, ორი უზურგო სკამი დადგა, ზედ ფიცარი გადო და ფიცარს ორივე ხელით დააწვა, შეამოწმა, ხომ სანდოაო. სათვალიანმა ტარგადატეხილი ნიჩაბი აიღო, ჯვალოს ტომარა იღლიაში ამოიდო და ქოხიდან გავიდა. გასვლამდე რამდენჯერმე გამოხედა სიცივისგან აძაგძაგებულ სტუმარს. ღიმილი არ მოშორებია სახიდან. “ცოტა მოშორდი ქოხს, სუფთა თოვლი მოიტანეო” — მიაძახა აირწინაღიანმა. “ჯერ ტომარას გავავსებ და მერე ვიზამ”, — დაიძახა სათვალიანმა გარედან. “გაიხადეო” — უბრძანა აირწინაღიანმა გელას. გელას განძრევის თავიც აღარ ჰქონდა, სული კბილით ეჭირა, მაგრამ მაინც უსიტყვოდ დამორჩილდა ბრძანებას, თუმცა, ვერაფრით ვერ შეიხსნა ღილი, გათოშილი თითები თავისთავად ეკრუნჩხებოდა. კი არ იხდიდა, ცოდვილობდა. აირწინაღიანს გაეღიმა. მერე გელასთან მივიდა და გახდაში მიეშველა. სველსა და ტანზე მიწებებულ პერანგს ნელნელა, თანდათანობით ხდიდა, თითქოს პერანგს კი არ ხდიდა, ატყავებდა. გელამ მოსავათებული ხელები შიშველ მკერდზე გადაიჯვარედინა უნებურად. კიდევ უფრო შესცივდა. ცინგლი ჩამოსდიოდა ცხვირიდან. აირწინაღიანი წინ ჩაუცუცქდა და ფეხსაცმელიც გაიხადა. ახლა ფეხშიშველი იდგა მიწის იატაკზე და ფეხის თითებიც ეკრუნჩხებოდა. აირწინაღი-

ანმა ქამარი შეუხსნა და როცა შარვალი ჩასძვრა, წვივზე შემოჰკრა, ამოიღე ფეხიო. მეორე წუთას გელა უკვე დედიშობილა იდგა ქოხში და სიცივისგან, დაბნეულობისგან, სირცხვილისგან, უმწეობისგან — ერთიანად ძაგძაგებდა. სათვალიანმა თოვლით პირმობმული ტომარა შემოიტანა ზურგით. ტომრიდან წამოცვენილი თოვლის პატარა ბოლქვები თავზე ეყარა. "თბილი დავაქციე, ცივი წამოვიღეო" — თქვა და გაიცინა. ვერაფრით ვერ მოსწყვიტა ტიტველ გელას თვალი. გელა სკამებზე გადებულ ფიცარზე იჯდა და მხოლოდ ქუსლებითღა ეხებოდა მიწას. გულმკერდზე ხელებგადაჯვარედინებული შესცქეროდა, როგორ ანელებდნენ წყალს სათვალიანი და ბრტყელსახიანი. ერთი — ტომრიდან პეშვებით ყრიდა თოვლს ვედროში; მეორე კი, თიხის ვეება ჯამით, იმავე ვედროში მდუღარეს ასხამდა კარდალიდან. "პირქვე დაწექიო" — უბრძანა აირწინაღიანმა გელას. გელა მაშინვე დაემორჩილა, პირქვე გაწვა გაურანდავ ფიცარზე. ფიცარი ვიწრო იყო, მოსავათებული ხელები მიწაზე ჩამოუცვივდა. უცებ ცხელი წყალი გადაევლო ზურგზე და უარესად შეიკუმშა, თითქოს შოლტი გადაუჭირესო. სამივე მასპინძელმა ერთდროულად გაიცინა. ფიცრის ქვეშ გუბე დადგა. გუბის დაბუშტულ ზედაპირზე ხიზვები ბზრიალებდნენ. ისევ გადაევლო ცხელი წყალი. მასპინძლებმაც ისევ გაიცინეს. თვითონ მკვდარივით გაშოტილიყო ფიცარზე. აირწინაღიანი ფარდაგის ნაკუწით უხეხავდა ზურგს, კანს აბღორტნიდა, კისრის ძირიდან კუდუსუნამდე. ბრტყელსახიანი თიხის ჯამით ასხამდა წყალს. სათვალიანს კი გაშლილი ზეწარი აეფარებინა წინ, მარტო თავიღა მოუჩანდა, ზეწარზე ნიკაპით ჩამოდებული, და უღიმოდა, თითქოს ზეწრით ფოკუსის გაკეთებას აპირებდა და ფოკუსის გაკეთებამდე აჩვენებდა — აი, შეხედე, ჩვეულებრივი ზეწარიაო. ქოხში ბუღი დადგა. იგრძნო, როგორ აუმოძრავდა სისხლი. ქოხის შორეული კუთხიდან ცხვრებმა გამოხედეს, უაზრო, გაშეშებული თვალებით. მყრალი სუნი ეცა ცხვირში. "გადაბრუნდიო" — უბრძანა აირწინაღიანმა. გადაბრუნებისას, ცოტას მორჩა, საკუთარ ნაბანში მოადინა ტყაპანი. მასპინძლებმა ამაზეც გაიცინეს. მადლიერების, ნდობის, სიახლოვის გრძნობის-

მაგვარი რაღაც გაუჩნდა იმათ მიმართ. აღარც ეშინოდა და აღარც რცხვენოდა. ცხელმა წყალმა ახლა მის მუცელზე გაიტყლაშუნა. ხორცი აეწვა და გაუწითლდა, როგორც ნაშოლტარი. მერე, ზეწარში გახვეული, ცეცხლის წინ იდგა და შრებოდა. მერე ყაჩაღივით ნაბადმოხურული იჯდა მაგიდასთან. მაგიდაზე სველი გაზეთის ნაფლეთები და მოხარშული ხორცის ნაჭრები ეყარა. "შენ როგორ გგონია, რომელი პარტია გაიმარჯვებს და რომელი იქნება ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელიო" — ეკითხებოდა აირწინაღიანი. "ვიღაცა გაიმარჯვებს", — თქვა გელამ, რამე რომ ეთქვა, და უცებ ისე მოშივდა, ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი. "აი, ჩვენი ხსნა, — თითი მიუშვირა აირწინაღიანმა. — ერთი ბაბუა მოსამართლე ჰყავს, მეორე ვექილი". "ეგ ხსნა კი არ არის, მახვილია უფლისა, — გაიცინა სათვალიანმა. — რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, რათა აცხოვნოს სოფელი, არამედ რაითა სასჯოს სოფელი მის მიერ". "ნუ ყრანტალებ ყვავივით — შეუწყრა აირწინაღიანი, — ის გირჩევნია, გულახდილად მოუყვე შენი დანაშაული". "მე არაფერი დამიშავებია, მე თვითონ დამიშავეს, ბატონო მოსამართლევ, ბატონო პროკურორო, ბატონო მსაჯულებო. მერე როგორ დამიშავეს... — გაიცინა სათვალიანმა. თან სათვალეზე ეკიდა ხელი, თითქოს ვინმე ართმევდა. — არ მინდოდა და მაინც აღმომაცენეს, ბატონებო, მოაზროვნე ლერწამი, რომელიც, ჩვეულებრივი ლერწამივით, იქით იხრება, საითაც ქარი ხრის და ჩვეულებრივი ლერწმისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, იცის, რატომ იხრება. მე თუ რამე დავაშავე, ჩემს თავს დავუშავე, ზედმეტად და ტყუილუბრალოდ გავიმწარე თავი, რადგან მამისაგან გატყორცნილმა მუცელსა დედისა თვისას შიგან მოვადინე ტყაპანი და არა მიწაზე, მაშინვე მიწად რომ ვქცეულიყავი, ყოველგვარი შიშისა და მოლოდინის გარეშე, რაც მიწად ქცევას უსწრებს წინ და რასაც თქვენ სიცოცხლეს ეძახით". "მაშინ ხომ ერთი ანგელოზი მოაკლდებოდა ჯოჯოხეთს?!" — გაიღიმა აირწინაღიანმა. "ანგელოზი! — გამოაჯავრა სათვალიანმა. — როგორ არა! გუშინ რაღაცის ასაღებად დავიხარე და თითი მატაკა უკნიდან". — მიუბრუნდა გელას. "ჯერ სადა ხარ?" — უთხრა აირწინა-

ღიანმა. “გესმის? მემუქრება კიდეც”. — ისევ გელას მიუბრუნდა სათვალიანი. “მოუყევიმეთქი! დრო ნუ გაგყავს. ხომ ხედავ, ზეზეურად სძინავს”. — დაუყვირა აირწინაღიანმა. “მაშ ასე, — სწრაფად დაიწყო სათვალიანმა, — სემინარიიდან რომ გამომაგდეს, სამშობლოში დავბრუნდი”. “ისიცა თქვი, რისთვის გამოგაგდეს”. — შეახსენა აირწინაღიანმა. “ხელმრუშობისთვის, — თქვა სათვალიანმა. — მაგრამ ეს ჩემი მრწამსია და არა მიდრეკილება, — გააგრძელა ცხარედ. — ონანი თავის მკვდარ ძმას ჩაუდგა ჯიბრში, მე კი — მთელ კაცობრიობას. რატომ უნდა მივცე საზრდო იმას, რაც უნდა დაიღუპოს? იმის მერე, რაც კაცობრიობამ ქრისტესა და ავაზაკს შორის არჩევანი გააკეთა, სიცოცხლის ღირსი აღარ არის. იღუპება კიდეც. იღუპება. სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ამინ! მაშ ასე — სამშობლოში დავბრუნდი და თვითგანათლებას შევუდექი, წიგნში მივძვრებოდი, როგორც მატლი დამპალ ნაყოფში, ვიდრე ფსკერამდე არ დავედი და ერთხელ კიდევ არ დავრწმუნდი იმაში, რაც იქამდეც ვიცოდი. ამაოება ამაოთა. ყოველივე ამაო. ამას ამბობს ყველა წიგნი, ეკლესიასტე იქნება, მეფეთა, ნეშტთა, რიცხვთა თუ რჯულთა, და განვუდექ ქვეყანასა. ეს არის და ეს ჩემი დანაშაული. — უცებ ხელი აირწინაღიანისკენ გაიშვირა და იყვირა: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მეგობარი მეძავთა და ცოდვილთა, მაგათია ქვეყანა”. გელა უნებურად ხორცის ნაჭერს წაეტანა; ნებართვაც არ უკითხავს, ისე ჩაიდო პირში ქონშეყინული ხორცის ნაჭერი, ზედდაკრული გაზეთის ნაკუწებიანად. თან თითებს აშველებდა, უკანვე რომ არ გადმოვარდნოდა. “ჭამს!” — რატომღაც გაუკვირდა ბრტყელსახიანს, რომელიც ისევ გულხელდაკრეფილი იდგა კარდალთან. “ყველანი ვჭამთ!” — ღვარძლიანად გაიცინა სათვალიანმა. გელა კი ტყუილად აცოდვილებდა ლუკმას, ყელში არ გადასდიოდა უმარილო ხორცი; შიმშილს კი არ უკლავდა, სამი უცხო კაცის ვალში აგდებდა მხოლოდ, უარესად აკავშირებდა იმათთან; არა მარტო იმათი ლუკმის — იმათი ბედის მოზიარედაც ხდიდა, თუმცა ისინი გულიანად იცინოდნენ, ერთობოდნენ, თავს იქცევდნენ გაყინულ ხორცთან შეჭიდებული ბავშვის ცქე-

რით და არც აინტერესებდათ, შეძლებდა თუ არა მათი უნებლიე სტუ-მარი უნებლიე ვალიდან ამოსვლას, აიღებდა თუ არა ამგვარ ვალს, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. ვალი, რომლის ანაზღაურე-ბასაც წინასწარ არავინ გავალდებულებს, იგივე მოწყალებაა და სი-ცოცხლეს თუ გინარჩუნებს, სამაგიეროდ, საკუთარი თავის რწმენას გიკარგავს და ყველანაირი ბრძოლის სურვილს გისპობს. ასე დაემართა გელასაც. ერთხელ კიდევ აჯობა ბედისწერამ, ლამის გაჩე-ნის დღიდანვე კრიჭაში რომ ედგა და მაინც თავისი გაჰქონდა, რო-გორც არ უნდა გასძალიანებოდა ეს: მაინც იმას აჩეჩებდა, რისი მო-შორებაც უნდოდა და მაინც იმას ააცლიდა ხოლმე ცხვირწინ, რის შე-ნარჩუნებასაც შეეცდებოდა, რადგან ყოველთვის უშეცდომოდ იცო-და, რა უნდოდა და რა არ უნდოდა გელას, ყველაზე ძალიან რისი მი-მატება დააკნინებდა და რისი დაკარგვა ატკენდა გულს. გელამ თვითმკვლელი მამისგან იცოდა, ძალას ძალით რომ უნდა დაპირის-პირებოდა, მოქმედებას — მოქმედებით, მაგრამ მისი ყოველი გაბ-რძოლება კიდევ უფრო დაუნდობელსა და კიდევ უფრო ენერგიულს ხდიდა მის მოწინააღმდეგეს. გელაც მხოლოდ იმაში რწმუნდებოდა, აზრი რომ არ ჰქონდა ბრძოლას, წინააღმდეგობის გაწევას და, საერ-თოდ, დაბადებასაც, რასაც, მამის შეგონებების საწინააღმდეგოდ, მა-მის საქციელიც უდასტურებდა. შეგონებები შეგონებებად რჩებოდა და გელაც ამაოდ ელოდებოდა, რადგან არც მის გარეთ და არც მის სულში არ იხსნებოდა მამისგან აღთქმული ქვეყანა, ყველა ადა-მიანისთვის ერთნაირად განკუთვნილი, სადაც იგი, ადამიანი, საბო-ლოოდ იძენს, თურმე, სულიერ სიმშვიდეს, სადაც სამუდამოდ ეუფ-ლება, თურმე, რწმენა საკუთარი თავისა, მისი არსების ყოველი უჯ-რედი აზრით იტვირთება და მას, ადამიანს, არათუ შეუძლია ჩაწვდეს იმ აზრს, არამედ დაინახოს კიდეც, როგორც სარკეში საკუთარი გა-მოსახულება, რადგან ადამიანი, თურმე, თვითონვეა აზრი, ყოველ-თვის — ჩასახვამდეც, გაჩენამდეც რაღაც მნიშვნელოვან აზრს მოიცავს თურმე, მაგრამ ვერასოდეს ვერ ეზიარება იმის სიდიადეს, ვიდრე არ ამოქმედდება, ვიდრე არ დაუპირისპირდება უმეცრებას,

გაურკვევლობას, სიბნელეს, რაც, თურმე, არსებობისთვისაა ხელსაყრელი და არა ცხოვრებისთვის, რადგან აღმოჩენილით დაკმაყოფილებასა და არსებულთან შეგუებას გავალდებულებს და არა ახლის აღმოჩენას ანდა არსებულის გარდაქმნას. მაგრამ გელაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იმ "აღმოჩენილსა" და "არსებულს" აირჩევდა დაუფიქრებლად, რითაც მისი სიცოცხლის პირველი წლები გამოირჩეოდა და რაც მის არსებას განუმეორებელი, დასიზმრებული, ზღაპრული ბედნიერების ბურუსში ხვევდა. მაშინ ყოველი დღე ერთნაირად იწყებოდა და ერთნაირად მთავრდებოდა; ყველანი ერთად იყვნენ და არავის მოუვიდოდა აზრად, როდისმე შეუძლებელი, აუტანელი თუ გახდებოდა მათი ერთად ყოფნა. ასე სჯეროდა გელასაც, ვიდრე... ვიდრე წითელი წყლიდან ამოყოფილ ხელებს დაინახავდა და მარტო აღმოჩნდებოდა უხილავი ძალის, იდუმალი ძალაუფლების წინაშე, რამაც ერთფეროვანი და ჩვეულებრივი ბედნიერება ერთფეროვან და ჩვეულებრივ უბედურებად გადაუქცია. მას მერე, ერთნაირად საშიში და სახიფათო იყო გელასთვის, რაც უნდოდა და რაც არ უნდოდა, რადგან ერთიცა და მეორეც საწინააღმდეგოდ უსრულდებოდა ყოველთვის. ცდილობდა, არავისთან არ გამოეთქვა თავისი სურვილი, ნატვრა, ოცნება... გამოეთქვა კი არა, თავსაც არ გამოტყდომოდა, მაგრამ ეს იმდენად ძნელი შესასრულებელი იყო, იმდენ არაადამიანურ სირთულეს უკავშირდებოდა, ალბათ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ დათრგუნავდა და დატანჯავდა ისე, როგორც თავად, შეგნებულად, შეუწყნარებლად ითრგუნავდა და იტანჯავდა თავს, მოლოდინად, ყურადღებად ქცეული, საკუთარ არსებაში ჩაყურყუმალავებული, რათა მონადირის მღელვარებით, მოუთმენლობით, აზარტში გადაზრდილი სიშმაგით, სიბრმავით, სისასტიკით — ადგილზევე ჩაეკლა ნებისმიერი სურვილი, ნატვრა, ოცნება, რომელიც მის არსებაში გაფაჩუნებასა და თავის წამოწევას გაბედავდა. დაშინებულ, გაწამებულ ხორცს ფარხმალის დაყრა უნდოდა, მაგრამ სული ზღვის გადასაცურად, ცაში ასაფრენად აქეზებდა მაინც. სულს მარტო დარჩენისა ეშინოდა; გრძნობდა, სიმარტოვე იგივე ბორკილი

იყო, და ყოველგვარ ტკივილს, ყოველგვარ შეურაცხყოფას აიტანდა, ოღონდ ტოლი და მსგავსი ჰყოლოდა გვერდით. მაგრამ თავად გელა იმდენივე იყო სულისა, რამდენიც ხორცისა, და ამ ორ სტიქიას შორის გაყოფილი, შეუმჩნევლად, საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ, გულქვა და გულჩათხრობილი ხდებოდა. თუმცა, რა ფხიზელი მეთვალყურეც არ უნდა ყოფილიყო საკუთარი გრძნობებისა, მაინც ბოლომდე ვერ იმორჩილებდა ცეცხლივით უცებ აბრიალებულ რისხვას, შურისძიების სურვილს, მაგრამ არავის არ ესმოდა მისი, არავინ არ უწვდიდა დახმარების ხელს — ჭეშმარიტების, სინათლის, სიმართლის გზაზე რომ გამოეყვანა იგი. "რატომ მოიკლა მამაჩემმა თავი-ო" — ეკითხებოდა, ევედრებოდა, ეჩხუბებოდა თავისიანებს, მაგრამ რაც თავისიანებისგან ესმოდა, კი არ ეხმარებოდა ამ შემზარავი საიდუმლოს ამოხსნაში, კიდევ უფრო აბნევდა, თრგუნავდა და აღიზიანებდა. დედა საერთოდ თავს არიდებდა, ბაბუა და ბებია იმაზე წუხდნენ, ყველას რომ ვერ ააფარებდნენ პირზე ხელს, უფრო სწორად, ყველას ვერ აუხსნიდნენ, რამდენად კარგები იყვნენ თვითონ და რამდენად უმადური აღმოჩნდა მათი სიძე, რომელმაც სიკეთის, სიყვარულისა და პატივისცემის წილ, ამოდენა ცოდვა აჰკიდათ ზურგზე. ლიზაც ერთსა და იმავეს გაიძახოდა სულ: მე თავიდანვე ვიცოდი, ეგ კაცი აქ გამჩერებელი არ იყოო. ეს კი გაურკვევლობის მერხზე დაებათ გულგრილობის თოკით, პირში დუმილის ჩვარი ჩაეჩარათ და საცოდავად, ამაზრზენად ზმუოდა, უკვე სამუდამოდ მოწყვეტილი ბავშვობას, მშობლიურ კერას, ნათესაურ გრძნობებს, როგორც მატარებელს — ბოლო ვაგონი, მხოლოდ ქანითღა რომ მიდის და ქანის დაკარგვის შემდეგ ტრიალ მინდორში გაჩერებული, თვითონაც ვეღარ გაარკვევს, საიდან წამოსული საით მიდიოდა. თავისი არსებობით კი არ აკავშირებდა, კიდევ უფრო თიშავდა მკვდარ მამასა და, მამის სიკვდილის შემდეგ გაუცხოებულ, გაგარეულებულ დედას, თითქოს იმათ არაფერი ესაქმებოდათ ერთმანეთთან და ამდენად, გელასთანაც. და მართლაც, ვის რაში სჭირდებოდა გელა, თუკი ვერც მამის სიკვდილში შეაღწევდა და ვერც დედის სიმარტოვეში; თუკი მა-

თი გამთიშველი იქნებოდა მხოლოდ და არა მათი განუყოფლობის, ერთიანობის დასტური. ვერც ბათუმში გადასახლებამ უშველა რამე. ბათუმში ისიც კი არ იცოდნენ, თავი რომ მოეკლა მამამისს. ბათუმში უარესი სიბნელე სუფევდა და იმ სიბნელეში კიდევ უფრო ეკარგებოდნენ ერთმანეთს ისა და დედამისი, კი არ ეკარგებოდნენ, ემალებოდნენ, ერთმანეთსაც და სხვებსაც. მაგრამ აქ უფრო ძნელი ასატანი გახდა უმამობაც. აქ არავის არ ენახა იმისი სიკვდილი; ყველას მხოლოდ ცოცხალი ახსოვდა; თანაც ისეთი, როგორიც თავად ვეღარც კი წარმოედგინა. მკაცრად, ბრაზიანად ფიქრობდა მამაზე, აფორიაქებული, შეძრწუნებული, ამ უსამართლო სიმკაცრითა და სიბრაზით. მკვდარი მამა ყოველთვის უფრო ეცოდებოდა, ვიდრე უყვარდა, ხოლო ცოცხალი — დღითი დღე შორეული, მიუღწეველი, ძნელად წარმოსადგენი და ძნელად დასაჯერებელი ხდებოდა. დრო სწორედ იმას ავიწყებდა, რაც სიყვარულისთვისაა აუცილებელი: ხმა, ფერი, სურნელი... გარეგნობის, ხასიათის თუ ქცევის განსაკუთრებულობის დამადასტურებელი ათასი წვრილმანი; ხოლო, რისი წაშლაც არც დროს შეეძლო (წითელი წყლიდან ამოყოფილი ხელები), ის მხოლოდ სიბრალულსა და რისხვას ბადებდა. სიბრალულს, რისხვასა და შიშს, რაც ყველაზე მეტად შეურაცხყოფდა გელას, არ უნდოდა, მშიშარა ყოფილიყო, არადა, სწორედ შიში ედო საფუძვლად დანარჩენ გრძნობებსაც, შიშის გათოშილი წიაღიდან ამოდიოდა მისი სიბრალულიცა და მრისხანებაც, ისეთივე უნაყოფო, როგორც ჭაობის მცენარე, მხოლოდ და მხოლოდ ვერაგი, წებოვანი, გაუვალი და დამღუპველი ჭაობის შესანიღბად გამიზნული. “არ მინდა, მშიშარა ვიყო. არ მინდა. არ მინდა. არ მინდა!” — უყვიროდა გამოხმობილ მამას და ამაოდ ცდილობდა, არ ესუნთქა, იქამდე შეეკავებინა სუნთქვა, სანამ გაიგუდებოდა, თავზე საბანწაფარებული. მაგრამ საამისოდაც არ ვარგოდა; უკანასკნელ წამს მაინც ამოისუნთქავდა ხოლმე და ისევ უბრუნდებოდა სინამდვილეს. ესმოდა, როგორ წკრიალებდა საათი რომელიღაც სულელურ, მხიარულ მელოდიას, ყოველ თხუთმეტ წუთში, გამაღიზიანებელი ერთფეროვნებით, რაც, იმავე დროს, სა-

ოცრად შეესაბამებოდა კიდეც მის სასაცილო, უაზრო შფოთვასა და გაწამაწიას. ისეთი ფიქრები უტრიალებდა თავში, ისეთი წვრილმანები ახსენდებოდა, თავის დროზე ყურადღების ღირსადაც რომ არ თვლიდა, ვერც კი წარმოიდგენდა, როდისმე თუ გაიხსენებდა ისევ და არა მარტო გაიხსენებდა, მღელვარებითაც დაუწყებდა კვლევასა და კირკიტს. ახლა თითქმის ყველა სიტყვა ახსოვდა, რაც ოდესმე მისი თანდასწრებით უთქვამს მამისთვის დედას, ბებიას, ბაბუასა თუ ლიზას. ახლა სულ სხვა მნიშვნელობა შეეძინათ იმ სიტყვებს, უფრო სწორად, ახლა იმას ამბობდნენ, რასაც მაშინ გულისხმობდნენ და რისი გაგებაც მაშინ არ შეეძლო, თუნდაც იმიტომ, მაშინ მამამისი ცოცხალი რომ იყო და რაც მის გარშემო ხდებოდა, ერთ განუწყვეტელ დღესასწაულს ჰგავდა: მაშხალებით, ყვავილებით, სიმღერითა და ტაშით მოაცილებდნენ მამამისს თეატრიდან და ისიც, შინ შემოსვლისთანავე, აივანზე გამავალ კარს გააღებდა ხოლმე, რათა მისიანებსაც გაეგონათ, რას ყვიროდა ქუჩაში მისი თაყვანისმცემელი ხალხი. ცერებს ჟილეტის ვიწრო ჯიბეებში ჩაიწყობდა, თავს გვერდზე გადაადებდა და ამაყად იღიმებოდა. მაგრამ ის დღესასწაული, უკვე გადავლილი, უკვე გახსენებული, მკვდრეთით აღმდგარი, ახლა უსამართლო და დაუნდობელი ბრძოლის სახეს იღებდა, რომელშიაც თვითონაც მონაწილეობდა უკვე, როგორც მამის ერთადერთი თანამზრახველი, ერთადერთი ჯარისკაცი, ერთადერთი გამგრძელებელი უკვე წაგებული ბრძოლისა, რადგან ისიც არ იცოდა, რა ევალებოდა, რის დასაცავად დაეტოვებინა უფროსს ბრძოლის ველზე. ამიტომ ბრაზობდა სწორედ მამაზე, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებიდან გასაქცევი გზა ასწავლა და არა ცხოვრებაში დასარჩენი. თვითონ აქაურობას გაერიდა, შვილი კი პირში შეატოვა ცხოვრებას — მოუმზადებელი, გაუწვრთნელი, და ამიტომაც ადვილად დასამარცხებელიც. პოლიცმეისტერმა ამის თვალწინ ამოიღო უჯრიდან ქალთა გიმნაზიის გამგის სამკაულები და უსინდისოდ, უტიფრად მიახალა: აი, რა გიპოვეთ ჩხრეკისასო. ამას კი, ისევ და ისევ, შიშისმიერი, უნაყოფო რისხვისაგან ისე აებნა თავგზა, სახეში კი არ მიაფურთხა

პოლიცმეისტერს, ჯამბაზობას მოჰყვა შიშისა და რისხვის შესანიღ-ბად: რა გასაკვირია, ბატონო პოლიცმეისტერო, ჩემი საყვარელი გახლავთო. თან თვალს ჭუტავდა და ქალთა გიმნაზიის გამგესავით, ენის წვერს წარამარა ისვამდა ტუჩებზე. მოსალოდნელმა სასჯელმა კი არ შეაშფოთა, იმის წარმოდგენამ დასცა თავზარი, მართლა ქურ-დი რომ ეგონებოდათ იგი იმ ადამიანებსაც, რომლებსაც, მამამისის არ იყოს, სიკეთისა და პატიოსნების განსახიერებად თვლიდა, რომ-ლებთანაც, მამამისის არ იყოს, ჩვეულებრივ მშობლიურ ურთიერ-თობაზე ბევრად ძლიერი, რთული, ძნელად ასახსნელი და ძნელად დასამორჩილებელი გრძნობა, სურვილი თუ მისწრაფება აკავშირებ-და და რომელთა სისუფთავეს, გულკეთილობასა და გულისხმიერე-ბას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე დედის ღირსებასა და მამის ხსოვ-ნას. პირველ რიგში, იმათთვის უნდა დაემტკიცებინა თავისი უდანა-შაულობა. ამ განზრახვით გამორბოდა ციხიდან, ამის გამო არ ეპუებოდა არაფერს, მაგრამ ბედისწერამ ისევ დასცინა, ისევ საწინა-აღმდეგოდ აუსრულა სურვილი: სწორედ იმათი სისუფთავის, სიკეთი-სა და პატიოსნების წამბილწავად აქცია ბოლოს და აღარც თავის მართლების საშუალება დაუტოვა, სადღაც, "უგზოობის ქვეყანაში" გადაისროლა, საიდანაც ვეღარც უჩინმაჩინის ქუდი, ვეღარც მფრინა-ვი ხალიჩა და ვეღარც ნატვრის ბეჭედი გამოიყვანდა. შეაბიჯა თუ არა ქოხში, მაშინვე მიხვდა, სწორედ ახლა ჰქონდა საქმე გასაქცევად და გადასარჩენად, მაგრამ ისე იყო ყინწმოწყვეტილი, გაბითურებული, ვიღაცის გაზინთულ ნაბადში ჩაკარგული, ფეხსაც ვერ მოიცვლიდა, გინდაც ძალით გაეგდოთ აქედან. უცებ ვიღაცამ ხელი წაჰკრა ნიკაპ-ზე, ხელი კი არა — რევოლვერის ტუჩი, და როცა თვალი გაახილა, მე-რე მიხვდა, ძილი მორეოდა, სკამზე ჩამოსძინებოდა ბავშვივით. სათ-ვალიანი მისკენ გადმოხრილიყო, უღიმოდა და ეუბნებოდა: ჩემგან გქონდეს სახსოვრადო. აირწინაღიანი და ბრტყელსახიანი ქოხში აღარ იყვნენ. დაბნეულმა მოათვალიერა ქოხი. "გამომართვი, სანამ შემოსულანო" — ისევ წაჰკრა სათვალიანმა რევოლვერი და ამანაც სასწრაფოდ ჩამოართვა, თითქოს დიდი უბედურება დატრიალდებო-

და, იმათ რომ შემოესწროთ უცებ. “რაკი აიღე, მოიხმარ კიდევაცო” — გაიცინა სათვალიანმა და თავის ადგილას დაჯდა. “გავიდნენ თოვლის წასაბილწად”, — თქვა ცოტა ხნის მერე. “შენღა დარჩი ამქვეყნად წაუბილწავი, — თქვა ისევ სათვალიანმა. — მაგრამ შენი დროც მოვა”... — გააგრძელა ღიმილით და, რატომღაც, თვალი ჩაუკრა გელას. გელას ძილის მეტი არაფერი არ უნდოდა; თავისთავად ეხუჭებოდა თვალები, მაგრამ სათვალიანის ერიდებოდა და ვაჟკაცურად უძალიანდებოდა ძილს. “ჩამიქრე სანთელი გვამისა” — წაიმღერა სათვალიანმა. გელას კანი აებურძგნა, თითქოს გველმა წამოუყო უცებ თავი. ჭრაქის ალი მოულოდნელად გატკაცუნდებოდა ხოლმე. ქოხის ბნელ კუთხეში გაუჩინარებული ცხვრები შფოთავდნენ. სათვალიანი ისევ გადმოიხარა გელასკენ. სათვალის შუშები უსიამოდ აბრჭყვიალდნენ. “რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვიქნები შენი... რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვიქნები შენი”... — დაისისინა მართლა გველივით დაგრძელებულმა, ასავსავებულმა. გელას ისევ აებურძგნა კანი, მაგრამ სწორედ ამ დროს, ქოხის კარი გაიღო და აირწინაღიანი შემოვიდა. ბრტყელსახიანიც ფეხდაფეხ შემოჰყვა. “აჰა, ისინიც! — შესძახა სათვალიანმა. — თქვენ ხართ მარილი ქვეყნისაი. ვაი, შენდა ქორაზინ და ვაი, შენდა ბეთსაიდა!” “გეყოფა ამდენი ლაქლაქი. დავიძინოთ ახლა”, — თქვა აირწინაღიანმა და ჭრაქის ალი მუჭში მოიმწყვდია, თითქოს ყვავილზე აფარფატებული პეპელა დაიჭირაო.

იმ დღიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ წუხდა, ადგილს ვერ პოულობდა კედლებგამომპალ კუბოში, სადაც მისი შემფარებელი, მისი კუბოს მოზიარე ხალხის გარდა, ცხვრებიც ცხოვრობდნენ, ბინძური თოკით გამიჯნულ კუთხეში; მაგრამ ეს სიუცხოვით მოგვრილი წუხილი კი არ იყო, რაც ალბათ უფრო ბუნებრივი და უფრო ადვილად ასატანიც იქნებოდა მისთვის, არამედ ყოვლად მოულოდნელი, აუხსნელი, აუთვისებელი ერთიანობის, ერთნაირობის შეგრძნებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, აქ დარჩენას ავალდებულებდა და არა აქედან გაქცევას; უკეთესზე, თუნდაც დაკარგულზე ფიქრით კი არ ატკივებდა თავს, მისთვის იდუმალი ცხოვრების მშფოთვარე სიფხიზ-

ლესა და ასევე მშფოთვარე ძილთან შეგუებას უადვილებდა. სხვა ყველაფერი, რაც აქ მოსვლამდე ენახა, გაეგო, განეცადა — თანდათანობით ავიწყდებოდა და უფრო უსაფუძვლოდ, უფრო უაზროდ ეჩვენებოდა, ვიდრე კედლებგამომპალი ქოხის, ქოხის ბინადრებისა და თავად მისი საკუთარი არსებობა. ღამღამობით თოვლით დაძლეული ტყე ავის მაუწყებლად ჭრაჭუნობდა; ყოველ წუთას შეიძლებოდა, ერთი დაეჭექა, კედელივით გამსკდარიყო და ძლივს შეკავებული თოვლის ზვავით გადაელეკა ყველაფერი. ტყის სულივით ყმუოდა მგელი — გაუთავებლად, შემაძრწუნებლად — მიუსაფრობით, შიმშილით, სიცივით გამწარებული, და ქოხში ჩაბუდებული წყვდიადიც წრიალებდა, წვალობდა, აწუხებდა ცოცხლად გადაყლაპული ცხვრებიცა და ადამიანებიც. ხოლო ის ქვეყანა, საიდანაც ტყვიით გამოდევნეს, აქაურობასთან შედარებით, სამოთხეს ჰგავდა; ისეთივე ბუნდოვანი და ყალბი წარმოდგენა ჰქონდა იმ ქვეყანაზე, როგორიც სამოთხეზე, სადაც ყოველ ნაბიჯზე ათასნაირი ყვავილი იფურჩქნება, ათასნაირი ჩიტი გალობს, დაკუნტრუშობენ თიკნები და ბატკნები, და ადამიანებიც (როგორც სათვალიანი იტყოდა) უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობენ, ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი; არც შიმშილი აწუხებთ, არც სიმაძღრე; არც შიში და არც დარდი; არც ქორწინდებიან და არც იყრებიან. ღამეული ხმები უარესად ძაბავდა, უარესად აგანგაშებდა გელას დამფრთხალსა და დაბნეულ არსებას. ერთი ცხადი იყო: აჭრიალებული ტყეც, აყმუვლებული მგელიცა და აფორიაქებული წყვდიადიც, რაღაცას, მისთვის ძნელად გასაგებს აუწყებდა, მაგრამ გულიცა და გონებაც ერთნაირად გამოსთიშვოდა, ვეღარაფერში ეხმარებოდნენ, ვეღარაფერს კარნახობდნენ, რაც გაოგნებიდან გამოიყვანდა, მახსოვრობას აღუდგენდა, ჭკვიანურს ანდა სულელურ ნაბიჯს გადაადგმევინებდა და ისევ დააკავშირებდა იმ ქვეყანასთან, საიდანაც აქ მოხვედრილიყო. ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ქურდად ჩათვლიდნენ იმ ქვეყნის ბინადრები, თუ სიტყვაზე დაუჯერებდნენ უდანაშაულობასა და კეთილშობილებას. სამი უცხო მამაკაცის მშფოთვარე ძილს, სამი გატყიურებული მამაკაცის სუნს

ერთბაშად და უკვალოდ გამოედევნა მისი არსებიდან ყველაფერი, რაც იქაურობასთან აკავშირებდა, რაც მაინცდამაინც იქ ცხოვრებას ავალდებულებდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, შეეძლო თუ არ შეეძლო თვითონ. აქაური ვალი კი დღითი დღე იზრდებოდა და მოხარშული ხორცის ნაჭერიც დღითი დღე უფრო შემზარავ მნიშვნელობას იძენდა, ვიდრე შიმშილის მოკვლაა, და უფრო მძიმე სასჯელსაც იმსახურებდა, ვიდრე ბრიყვი პოლიცმეისტერის გაპამპულება. გელაც განუსჯელად ეფლობოდა ვალში. სხვას ვერაფერს იღონებდა, რადგან ასე უნდოდა ბედისწერას, ლამის გაჩენის დღიდანვე რომ აეთვალწუნებინა იგი; სულ იმის ცდაში რომ იყო, კიდევ რა მოეგონებინა, რითი მოეკლა იმისთვის გული, როგორ წაერთმია, როგორ მოესპო, რაც გულში ჩაუვარდებოდა, რაზედაც თვალი მიუვიდოდა, რისკენაც ხელი გაექცეოდა იმას, და აი, ამ კედლებგამომპალ ქოხშიც შემოაგდო ბოლოს, როგორც ქარმა ხმელი ფოთოლი.

მაგრამ სამი უცხო მამაკაცის გაუთავებელ კინკლაობას, ცუდად შენიღბულ შიშსა თუ უიმედო მოლოდინს, როგორც არ უნდა გამოეცარიელებინა იგი, როგორც არ უნდა შეერიგებინა ბედთან, ბედისწერასთან, როგორც არ უნდა დაეჩლუნგებინა იმისთვის განსჯის, აღქმის, განცდის უნარი — იმ ქვეყანას მაინც ვერ ივიწყებდა ბოლომდე; ელდა ეცემოდა ხოლმე, როცა წარმოიდგენდა, როგორ დაეძებდნენ იქ, როგორ გაიძახოდა მისი მტარვალი: თუ მოვკალი, გვამი სად არის და თუ გამექცა, კვალი სად გაქრაო; როგორ იჭმუხნიდა დედამისი წარბებს, განგებ როგორ იმკაცრებდა სახესა და ხმას, უნებლიე სისუსტით, უნებლიე ცრემლით თავი რომ არ დაემცირებინა, მსმენელის კი არა, შვილის წინაშე, მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ მის გასამწარებლად, მის დასაკნინებლად რომ იქცეოდა ასე, “მამის ჯავრის ამოსაყრელად” — როგორც მრისხანების ჟამს წამოსცდებოდა ხოლმე, შვილის მორიგი “ცელქობით” აღშფოთებულს. როგორ უკვირდა ნატოს, აქამდე რომ არ ჩანდა იგი, თუკი ისევ ედგა პირში სული. როგორ არ სჯეროდა, როგორ არ უნდოდა დაეჯერებინა, როდისმე თუ დაივიწყებდა მისი მეგობარი იმას, რაც მათ შორის

უკვე მომხდარიყო და რისი მსგავსიც აღარაფერი შეემთხვეოდათ ცხოვრებაში, აღარაფერი დაამდაბლებდათ და აღამაღლებდათ, დააფრთხობდათ და აღაფრთოვანებდათ ასე ერთდროულად, არა იმიტომ, თანაგრძნობის, გაგების, ნდობის ღირსად რომ ჩათვალეს ერთმანეთი, არამედ, მართლა რომ არსებობდა თურმე თანაგრძნობაც, გაგებაცა და ნდობაც და არა მარტო არსებობდა, მართლა შეიძლებოდა იმათი გაღება, გულუხვად, განუსჯელად, განუსაზღვრელად, როგორც თავად გაიღეს ერთმანეთის მიმართ, რამდენადაც იგივე თანაგრძნობა, გაგება და ნდობა, საერთოდ, ცარიელი სიტყვებია, არარაობაა საპასუხო თანაგრძნობის, გაგებისა და ნდობის გარეშე და, შეიძლება, კი არ იხსნას, უარესად გააცამტვეროს ის, ვისაც საპასუხო თანაგრძნობის, გაგებისა და ნდობის გამომჟღავნების უნარი არ აღმოაჩნდება.

მთელი არსებით გრძნობდა, კიდევ ერთი უბედურება იბადებოდა მისთვის და ალბათ უფრო შემზარავი, ვიდრე ყველა დანარჩენი, რადგან მხოლოდ იმ უბედურების გადავლის შემდეგ ეცოდინებოდა — რა თქმა უნდა, თუკი ცოცხალი დარჩებოდა — რას წარმოადგენდა საერთოდ, რისი უფლება ჰქონდა, რას უნდა შეჰგუებოდა და რაზე აეღო ხელი სამუდამოდ. მაგრამ ვერ ამოეხსნა, რა აკავშირებდა ამ უცხო კაცებს მის უბედურებასთან, რატომ გადაედებოდა ხოლმე იმათი მღელვარება, იმათი მოლოდინი ვიღაც "პირძაღლი" მეგზურისა, რომელიც ვითომ ათგზის უნდა გამოჩენილიყო აქამდე და ათგზის უნდა გადაეყვანა ისინი მთების გადაღმა. მართლაც რომ საკვირველია, რადგან კიდევ სადმე თუ შეიძლებოდა აქედან წასვლა, ის მხოლოდ და მხოლოდ ციხეში დაბრუნდებოდა, სასჯელს მოიხდიდა და ნატოსთვისღა იცხოვრებდა; სხვა, უკეთესი ქვეყნის არსებობა არც იცოდა და არც აინტერესებდა. თავისი სიმართლის, თავისი უდანაშაულობის დამტკიცება აინტერესებდა მხოლოდ და თუკი როდისმე გააღწევდა აქედან, თუკი სიმართლისა და უდანაშაულობის დასამტკიცებელი გზა მაინცდამაინც ციხესა და სასჯელზე გადიოდა, ისიც აუცილებლად იმ გზას დაადგებოდა, რადგან თავიდანვე დააშავა, და ეს იყო მისი

ერთადერთი დანაშაული, სხვა გზას რომ დაუწყო ძებნა, უფრო სწორად, თავად რომ მოინდომა ახალი, იქამდე არარსებული გზის გაკვალვა. ახლა თვითონაც ხვდებოდა, ცუდად რომ მოიქცა, სისულელე რომ ჩაიდინა (თუ პოლიცმეისტერის მოწყობილი არ იყო ესეც), რადგან, ბოლოს და ბოლოს, მთავარი უდანაშაულობაა და არა — უდანაშაულობის დამტკიცება, მით უფრო, მაინცდამაინც დღეს და არა, დავუშვათ, სამი, ხუთი, ანდა ათი წლის მერე. ასე რომ, თავისივე სისულელის გამო, ახლა ვეღარასოდეს შეძლებდა იმას, რაც სამი, ხუთი თუ ათი წლის მერე, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, ისევ აქ ყოფნა ერჩივნა. რაკი იქ არ იყო, სადაც უნდოდა, ანდა იქ წასვლას თუ აიძულებდნენ, სადაც საერთოდ არაფერი ესაქმებოდა. ბოლომდე თვითონაც არ სჯეროდა, სინამდვილეში თუ არსებობდა ეს კედლებგამომპალი ქოხი და მისი ბინადრები. ჯერჯერობით უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. გარდა ამისა, აქედან ამოსვლა ხელმეორედ დაბადებას ნიშნავდა და ამასაც უნდა მოეთმინა ბოლომდე, უფრო ამტანი, უფრო გამძლე, სიცოცხლისთვის უფრო შესაფერი რომ შობილიყო ხელახლა. პირველი სირთულეები, რაც უცხო გარემოსთან შეგუებას ახლავს, უკვე დაეძლია. ქოხის ბინადრებიც უკვე თავისიანად თვლიდნენ (სათვალიანმა რევოლვერიც კი აჩუქა, დაძმობილების ნიშნად), აღარაფერს უმალავდნენ, პირიქით, რაღაცნაირი, ბავშვური სიხარულითაც უყვებოდნენ, თუკი რამე დასაგმობი, დასაკნინებელი, დასაძრახი და დასაცინი იცოდნენ ერთმანეთისა, თითქოს თავიანთი ბნელი ცხოვრების ანგარიშს აბარებდნენ, როგორც ყველაზე სუფთასა და უცოდველს, თუმცა ამას იმდენივე გაეგებოდა იმათი და იმათი ნალაპარაკევისა, რამდენიც — გაბინძურებული თოკით გამიჯნულ კუთხეში მიყუჟული ცხვრების პეტელისა, თოვლით დაძლეული ფიჭვნარის ჭრიალისა თუ მგლის ყმუილისა. ისინი კი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, დასცინოდნენ, ეკინკლავებოდნენ, ექილიკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს გრძნობდნენ, მოსასწრებად ჰქონდათ საქმე და ლტოლვილთა ფაცაფუცით, ლტოლვილთა დაუდევრობით იბერტყავდნენ გულებს. მაგ-

რამ გელა მაინც ამაოდ ძაბავდა სმენასა და ყურადღებას, ვერ გრძნობდა იმათ სატკივარს, თვითონვე რომ აბიაბრუებდნენ და ამასხარავებდნენ ერთმანეთის ჯიბრით. ვერ ამოეცნო, რას მოეყვანა ისინი ამ კედლებგამომპალ ქოხში და რას მიელტვოდნენ მთების გადაღმა, თუკი, როგორც თვითონვე ამბობდნენ, მათი ერთ ნავში ყოფნა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც თივისა, თხისა და მგლისა. ექიმთან მოყვანილი ბავშვივით, მოთმინებით ისმენდა გაუთავებელ აბდაუბდას. განძრევაც ერიდებოდა, რადგან გრძნობდა, ყველაფერზე მეტად მსმენელი სჭირდებოდათ ახლა მის მასპინძლებს; უცხო, გარეშე და, რაც მთავარია, არა მათი მსგავსი ადამიანი სჭირდებოდათ, რათა იმის სახეზე ამოეკითხათ, რანაირ გრძნობებს აღძრავდა მათ მიმართ მათივე ნალაპარაკები, რას იმსახურებდნენ წარსულისთვის, მხოლოდ დაგმობას, შეჩვენებას, ზიზღსა და სიძულვილს, თუ თანაგრძნობასაც და სიბრალულსაც. “შენ რა, მართლა “ოხრანკა” ხომ არა ხარ, სულ რომ ჩვენ გვალაპარაკებო” — შეუძახებდნენ ხოლმე ხუმრობით. თავს იქცევდნენ უცხო ბავშვთან ლაყბობით, ვითომ მართლა ის უცხო ბავშვი აიძულებდათ სულის გაშიშვლებას და არა აღსარების, მონანიების დაუოკებელი ჟინი, განწირულთა ერთადერთი სიამოვნება, ერთადერთი შეღავათი, აღსასრულის მაუწყებელი მერცხალი. მაგრამ გელა ამდენს ვერ ხვდებოდა. საკუთარი მიუხვედრელობა აღიზიანებდა, რადგან პერანგის ქვეშ, შარვალში გაჩრილ რევოლვერს გრძნობდა სულ და თუმცა ბოლომდე არ სჯეროდა, მართლა მას რომ ეკუთვნოდა, მაინც მეტი ცოდნის გამომჟღავნება მოეთხოვებოდა კაცურ საქმეებში. ისიც უკვე კაცი იყო, რაკი იარაღი ჰქონდა, და იმასაც კაცივით უნდა დაეჭირა თავი, თუნდაც დროებით, ვიდრე უკანვე წაართმევდნენ ნაჩუქარს, თუკი, უბრალოდ ატყუებდნენ, აბრიყვებდნენ, უფრო დამჯერი და მომთმენი რომ ყოფილიყო იგი, ვიდრე თავიდან მოიშორებდნენ, ანდა თან წაიყოლებდნენ მთების გადაღმა. და ისიც ცდილობდა, დაეძლია, ჩაეკლა უკვე ყოვლად გაუმართლებელი სიმორცხვისა და მორიდებულობის გრძნობა, დაცინვაზე დაცინვით ეპასუხა, გინებაზე — გინებით, რაც კი არ სწყინდა,

კიდევ უფრო ამხიარულებდა მის მასპინძლებს და რაც მაინცდამაინც არ სიამოვნებდა თვითონ. მაგრამ ახლა შიშველი მუცლით იარაღის სასიამოვნოდ ამაფორიაქებელ სიცივეს გრძნობდა და მთვრალივით აღგზნებული, აღარც კი უკვირდებოდა, რას ლაპარაკობდა, როცა მისი მთავარი, ჭეშმარიტი ბუნება, დაეჭვებული, უკვე რაღაცას მიხვედრილი — შფოთავდა, ოფლში იწურებოდა, არ სჯეროდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, შემთხვევითი, დროებითი, არაბუნებრივი გზით შობილი სითამამე, უტიფრობა და აღტკინება თუ გადასძლევდა, დაჯაბნიდა, დაამხობდა. მაგრამ, ჯერჯერობით, დამარცხებულად უნდა ჩაეთვალა თავი, თავი უნდა მოემკვდარუნებინა, გვერდზე გამდგარიყო, დამალულიყო, საერთოდ რომ არ გამქრალიყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, რადგან ნაჩუქარმა რევოლვერმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ბუნებას დაუპირისპირა გელა, როგორც მოსისხლე მტერს, დამაკნინებელს, დამთრგუნველს, მისი ოცნებებისა და მისწრაფებების სატუსაღოს; და აი, ბოლოს და ბოლოს, გარედან მოვლენილი ძალის მეშვეობით, ტლანქად, დაუდევრად იმორჩილებდა და იმონებდა საკუთარ არსებას; დაუნანებლად, დაუფიქრებლად სპობდა ყველაფერს, რაც კი რამ შერჩენოდა თავისი, განსაკუთრებული, გამომრჩეველი, წმინდა და სათუთი, რითაც კედლებგამომპალი ქოხის ბინადრებისგან განსხვავდებოდა და რისი მოსპობის შემდეგაც თავადაც იმათნაირი გახდებოდა. და მართლაც, ისე იყო დაბრმავებული, ისე მაცდუნებლად აკრთობდა რევოლვერის მიმზიდველი სიცივე და სიმძიმე, სხვა აღარაფერი აღარ უნდოდა, ოღონდ სათვალიანის, აირწინაღიანისა და ბრტყელსახიანის მსგავსი, ღირსი, თანაბარი ყოფილიყო; აღარაფერი აღარ აინტერესებდა ისე, როგორც იმათი ასავალდასავალი. თუმცა, როგორც არ უნდა მოენდომებინა, ბევრი არაფერი გაეგებოდა არც მოსესი და არც იესოსი; არც ქალების მკურნალობისა და არც ჩონჩხით ვაჭრობისა. ვიღაც მოსეს თავისი ხალხი სულ კინწისკვრით დაუფრენია ეგვიპტიდან: მირჩევნია, საერთოდ არ მყავდეთ, ვიდრე სხვას ემატებოდეთ სათვალავშიო. იესოს კი მოსეს გამოცალკევებული ფარა ისევ სხვა ფარებში შეურევია: სხვას თუ

სათვალავში მიემატებით, იმის ძალა და გავლენა თქვენ მოგემატებათო. “აი, კაცობრიობის მთელი ისტორია. ამ ორ გზაზე დაძრწის იგი, წინ და უკან. ან შოვინიზმი, ან კოსმოპოლიტიზმი. თუმცა, მეტს არც იმსახურებს, რადგან ადამიანი ბუნების გვირგვინი კი არ არის, როგორც თავად ადამიანს მიაჩნია, არამედ ყველაზე დიდი სენია ბუნებისა, და იმიტომ კი არ შეჰქმნა ღმერთმა იგი ლოკოკინას, მორიელის ანდა ბაყაყის მერე, სიცოცხლის საუკეთესო მოდელს რომ მიაკვლია, ბოლოს და ბოლოს, არამედ, იმის მეშვეობით, თავისი ნამოღვაწარის გამძლეობა რომ შეემოწმებინა, რადგან წარღვნა, ქარიშხალი, მიწისძვრა თუ ხანძარი — მოგონილია ადამიანთან, რამდენადაც ისინი ბუნებისთვის აუცილებელი, სწრაფწარმავალი რევოლუციებია და, მხოლოდ და მხოლოდ ბუნების აღზევებას ემსახურებიან, ხოლო ადამიანი ის მეთოდური, განუწყვეტელი და შეუვალი სიბრიყვეა, რომელიც გაჩენისთანავე იმ ტოტს ჭრის, რომელზედაც ზისო” — ამბობდა სათვალიანი. “აბა, მე — შენს მოსესაც და იესოსაც — ერთი კარგად ჩაკურტუმებული დედაკაცი მირჩევნია, გინდაც ფეხშიშველი დაშლაპუნობდეს ტალახშიო; ამძუვნებული დედაკაცის ბიძგები წარმართავს კაცობრიობას და არა რელიგიური, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური ტრაქტატებიო” — იცინოდა აირწინაღიანი და სინანულით იგონებდა იმ დროს, როცა მისი სახელი მთელ ქვეყანაზე ქუხდა, როცა მის სენაკში იყრიდა თავს და მოწიწებით იჩოქებდა მისი ყოვლისშემძლე წამლის წინაშე, თუკი სადმე ჭკუასუსტი, მახინჯი, ქვრივი, ქმარგანაშვები და საყვარლის ათვალწუნებული ქალი მოიძებნებოდა. ზოგი დაჭკვიანებას სთხოვდა, ზოგი გალამაზებას, ზოგი მკვდარი ქმრის გაცოცხლებას, ზოგი გაგარეულებული ქმრის სიკვდილსა თუ საყვარლის მორჯულებას. და ისიც ყველას განურჩევლად მკურნალობდა. ერთს, მართლა სულელს, მართლა ბატისტვინას, თირკმლის წამალი უთხოვია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც მოურჩენია, თირკმელიც დაუვიწყებია იმისთვის და თავიც. “იმას რატომ არ ყვები, უპატრონო ბავშვს მამაში როგორ შეეშალეო” — ეძახდა სათვალიანი და თან სათვალეზე ივლებდა ხელს, რადგან როცა მისი ლაპარაკი ბეზრდე-

ბოდათ ან არ მოსწონდათ, სათვალეს ართმევდნენ ხოლმე; უსათვალოდ საძრაობას კარგავდა და იძულებული ხდებოდა, დამცხრალიყო. "იცოდე, შენც არაფერი შეგეშალოსო" — თითს უქნევდა აირწინაღიანი, მშვიდი, მოღიმარი, მაგრამ გელა უნებურად იძაბებოდა, როგორც ჩხუბის წინ; გრძნობდა, ხედავდა მისი მასპინძლების მოჩვენებით გულგრილობას, არხეინობას და იმასაც გრძნობდა, მის მასპინძლებს, საერთო ბედზე მეტად, ერთმანეთის სიძულვილი უნარჩუნებდათ, უძლიერებდათ სიცოცხლის, გადარჩენის სურვილს, ჟინს... და ამ სიძულვილის გახანგრძლივებას ცდილობდნენ მხოლოდ, როცა წამქეზებლური, ლამის მადლიერი ღიმილითაც ეპასუხებოდნენ ნებისმიერ დაცინვას, უხამსობას, რისთვისაც დაუფიქრებლად შეაკვდებოდნენ ალბათ ერთმანეთს სხვა დროსა და სხვა გარემოში. მესამე, ბრტყელსახიანი, ქურდობას თვლიდა თავის ერთადერთ ხელობად, თავის საქმედ და "კამათში" არ ერეოდა, შორს იდგა "პოლიტიკისაგან"; იმას სხვა, განსაკუთრებული ანგარიშები ჰქონდა სახელმწიფოსთან და მხოლოდ ის ხეთქავდა გულზე, ვაჟკაცურად გატაცებულს, უკანვე რომ ადებინებდა სახელმწიფო; იმის მაგივრად, წილში მაინც გაეყვანა, ისევ ციხეში უკრავდა ხოლმე თავს, სადაც მისი ნიჭი და უნარი უქმად ცდებოდა; იმას კი ცოლი ჰყავდა შესანახი და ბავშვები გზაზე დასაყენებელი. ფული კი არ უყვარდა, სჭირდებოდა. ისიც არ იცოდა, რა ეწერა ზედ, მაგრამ თვალს თუ მოჰკრავდა, ანდა სუნს აიღებდა, მერე ვეღარაფერი შეაკავებდა. ერთხელ გამომძიებლის ოთახიდანაც გაქცეულა, რადგან სწორედ იმ დროს ქუჩაში ბანკის ოთხთვალას ჩაუვლია. განა მწყემსებისა და ქოფაკების შიშით მგელი პირჯვარს გადაიწერს ფარეხის დანახვაზე? ისიც თავისებური მგელი იყო, არსებობისთვის იბრძოდა და, მგელისა არ იყოს, არც იმას ჰქონდა სხვა გზა; წინასწარ იცოდა, რაც ელოდებოდა ქურდობისთვის, მაგრამ მაინც ყველაფერზე მიდიოდა, კაცი რომ რქმეოდა, ცოლი რომ არ გაბოზებოდა, შვილი რომ არ ჩავარდნოდა ქუჩაში. მთელი სიცოცხლე დანის პირზე დაძუნძულებდა და სულს იქით მაინც არაფერი ებადა. საკუთარი ჩონჩხიც კი გაეყიდა, თუმცა, ერთადერ-

თი, რაც კიდევ აკავშირებდა იმ ქვეყანასთან, რაც ადამიანურ სევდასა და ადამიანურ სიამაყეს უჩენდა, ისევ გაყიდული ჩონჩხი იყო, რომელსაც მისი გულუბრყვილო, მაგრამ გამაადამიანებელი რწმენით, როდისმე სკოლაში დადგამდნენ, ძეგლივით. მაინცდამაინც სკოლაში, საიდანაც მგლის ბილეთით გამოეძევებინათ თავის დროზე და სადაც, მომავალში, მისთვის უცნობი ათასი ბავშვი ძალაუნებურად სულ მის ხსენებაში იქნებოდა: ამ ხვრელში ძია დომენტის თვალი იყო (დომენტი ერქვა), აქ — ძია დომენტის ენა, აქ — ძია დომენტის გული, აქ — ძია დომენტის ჭიპი, აქ კი — ძია დომენტის საოხროო. თვითონვე იცინოდა, მაგრამ სწამდა, მართლა ასე მოხდებოდა; სადაც არ უნდა მომკვდარიყო, სახელმწიფო მაინც მოიკითხავდა იმის ძვლებს, რაკი ფული წინასწარვე ჰქონდა გადახდილი; ხოლო ათასი მანეთი, სახელმწიფოსთვისაც კი, საშოვნელადაა ძნელი და არა გადასაყრელად. სხვა არაფერი ედარდებოდა, არც დანაშაული და არც სასჯელი. იმაზე წუხდა მხოლოდ, გარემოების გამო, პირნათლად რომ ვერ ასრულებდა მგლის მოვალეობას, რისთვისაც, მისი მეგობრების თქმით, სასჯელს კი არა, ჯილდოს იმსახურებდა მხოლოდ, სამართალი რომ ყოფილიყო, რადგან ცხოვრებისთვისაც ისევე აუცილებელია მგელი, როგორც ბუნებისთვის, თუნდაც იმიტომ, ბატონი ირემი რომ არ დაუძლურდეს, არ დაბეჩავდეს და, ბოლოს და ბოლოს, წინა ფეხების ჩამოწყობაც არ დაეზაროს ქალბატონი ირმის გავაზე. და ასე, ნაძალადევი ხახახათი, ხიხიხითი და ხოხოხოთი მალავდნენ ერთმანეთის სიძულვილს, ებრძოდნენ სიკვდილის შიშს, იიოლებდნენ გარდაუვალი აღსასრულის მოლოდინს — ერთ ბედ ქვეშ მყოფი წიგნის ჭია, მიწიერ სიამეთა ტრფიალი და მგელი, ჩვეულებრივი მგელი, რომელიც ხანდახან "ქვემეხის" მოვალეობასაც ასრულებდა, როცა საჭმელი მეტი მოუვიდოდათ და მოწყენილობისგან აღარ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. "რაც იყოს, იყოს, ერთხელაც დავაქუხოთ ჩვენი სულების მოსახსენებლადო" — იტყოდა აირწინაღიანი და შარვალ-ჩახდილი, მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ბრტყელსახიანიც ისეთი ხმით უშვებდა გაზს, მართლა ქვემეხი გეგონებოდათ. აირწინაღიანი

გვერდით ედგა, ბრძოლით აღგზნებულ მეზარბაზნესავით, და ჯურღმულიდან თავდაღწეულ გაზს ანთებულ კვარს ახვედრებდა. გაზიც ერთბაშად ინთებოდა და შხუილით, გრუხუნით, ღველფის ფრქვევით მიჰქროდა ჭერისკენ. "ერთიც! ერთიც! ერთიც!" — ყვიროდნენ "მაყურებლები". ქოხს კი გრიალი გაუდიოდა.

ასე გადიოდა დრო. საღამოობით კვალში ჩაუდგებოდნენ ერთმანეთს და ქოხის ირგვლივ დადიოდნენ, მუხლი რომ გაეშალათ, სუფთა ჰაერი ჩაესუნთქათ ძილის წინ. "მეტი კი არაფერია ციხეო" — იძახდა ბრტყელსახიანი. ტყიდან ბოლქვაბოლქვა გამოდიოდა ნისლი — თითქოს ტყეში ნეშოს წვავდნენ — და კიდევ ერთი დღე ითქვიფებოდა მოლოდინის, იმედის, გაურკვევლობის, არარაობის ბურუსში. მერე ბინძურ, აქოთებულ ტყავებზე მიეყრებოდნენ და ახლა ძილში აგრძელებდნენ ლაპარაკს, კამათს, კინკლაობას, წყევლასა და ვედრებას. გელა თვალდაჭყეტილი იწვა სიბნელეში და სუნთქვაშეკრული, თავგამოცარიელებული უსმენდა, როგორ სლუკუნებდა, როგორ წრიალებდა, როგორ იწურებოდა შიშით მისი არსება. ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია, არ აჰყოლოდა, თავი არ გაეყადრებინა საკუთარი არსებისთვის. ნაჩუქარი რევოლვერის მომნუსხველ სიმძიმეს, სასიამოვნოდ შემაშფოთებელ სიცივეს იყო ჩაფრენილი, საკუთარ არსებაზე რომ ამაღლებულიყო როგორმე. აღტაცებული, აგანგაშებული შესცქეროდა ვიწრო, ამოშავებულ თვალში, საიდანაც ყოველ წუთას შეიძლებოდა გამოვარდნილიყო სიკვდილი, თუკი უდიერად მოეპყრობოდი, დაივიწყებდი, რა მკაცრი და დაუნდობელი იყო ეს ვითომ უსულო, უგრძნობელი საგანი, რომელსაც ერთ წამში შეეძლო დაესვა წერტილი ნებისმიერი გაურკვევლობისთვის, ეჭვისთვის, შიშისთვის, ყოყმანისთვის, და რომლისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ დაუფრთხობდა ძილს, ვის დაეძგერებოდა გაღვიძებისთანავე. სამაგიეროდ, ყურადღებისა და პატივისცემის წილ, სხვა ვერავინ გაგიწევდა უფრო ერთგულ, უფრო საიმედო მეგობრობას; სხვა ვერავინ და ვერაფერი განგაცდევინებდა ასეთ სასიამოვნო ძრწოლას, ამგვარად ამმაღლებელი, ამგვარად გამაამაყე-

ბელი მორჩილებისა და მოკრძალების შეგრძნებას. მთლად ასეთი თუ არა, მსგავსი შეგრძნება მხოლოდ მამის სიახლოვეს განეცადა გელას, ისიც ოდესღაც, და ახლა, იარაღისა და მამის ეს უცნაური, მოულოდნელი მსგავსება, ერთდროულად, ბავშვობაშიც აბრუნებდა და ბავშვობიდანაც აძევებდა სამუდამოდ. ის, რაც მარტო მამამ ვერ შეძლო, ან რაც მამამ დაიწყო და ვერ მოასწრო, იარაღმა დაამთავრა. აი, რას ნიშნავდა გელასთვის ნაჩუქარი რევოლვერი — უმამობით გაჩენილი სიცარიელის ამოვსებას! რკინის სიცივე და სიმძიმე ეღვრებოდა სულში, ისევე დამაიმედებლად, როგორც ოდესღაც მამის უხეში და ღონიერი ხელის სითბო; და როგორც ოდესღაც, მამის სიახლოვეს, ახლაც ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიდენდა ისეთ რამეს, ყველა რომ გაეოცებინა თავისი საზრიანობით, მოხერხებულობით, სიმარდითა და გულადობით. ირგვლივ კი არაფერი იცვლებოდა, ისევ მოულოდნელად გაიჭრიალებდა ხოლმე ფიჭვნარი, როგორც ძველი, ნაპირს მიბმული ხომალდი; ისევ ყმუოდა მგელი; ისევ შფოთავდნენ ქოხის კუთხეში მიყუჟული ცხვრები; ხოლო გელა — ორი, უკიდურესად განსხვავებული ქვეყნის საზღვარზე იდგა: ბავშვობისა და კაცობისა; ბავშვობა უკვე გამოევლო, კაცობას კი ახლა უნდა შესდგომოდა მხოლოდ; ამიტომ თანაბრად უჭირდა იმ ერთი — როგორც ბავშვობისთვის უკანასკნელი, ისევე კაცობისთვის პირველი ნაბიჯის გადადგმა; არადა, აუცილებლად უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან მერე გაარკვევდა საბოლოოდ, ღირსი იქნებოდა გადარჩენისა თუ მადლი იქნებოდა მისი დაღუპვა. რევოლვერი აიძულებდა ამ ნაბიჯის გადადგმას; რევოლვერი კი არა, მკვდარი მამა, რკინის მეშვეობით, ხელმეორედ შეცნობილი, არარაობიდან გამოღწეული სული მამისა, რომელიც, თავისი ბუნების, დანიშნულებისა და მოწოდების გამო, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო რკინასავით მტკიცე, მკაცრი და პირდაპირი, თუნდაც დედისაგან განსხვავებით, რადგან დედა მორჩილების, მოთმენის, გაძლების, მიტევების ამჟავებულ რძეს აწოვებდა აქამდე, მამა კი — მოქმედების, თუნდაც წინასწარ განწირულის, მაგრამ მაინც მოქმედების, ამბოხის, ბრძოლის მაგალითს აძლევდა.

მაგრამ მაგალითი მიბაძვას, განმეორებას კი არ ავალდებულებდა, არამედ — მესამე, საკუთარი გზის ძიებას, რადგან მისმა მშობლებმა, დედამაც და მამამაც, თავიანთი გზა იცოდნენ მხოლოდ, ისე ცხოვრობდნენ, როგორც ის გზა აიძულებდა, როგორც იმ გზას შეეფერებოდა, ხოლო ვიღაცის, თუნდაც მშობლის მიერ ერთხელ უკვე განვლილ გზას, ძალიანაც რომ მოინდომოს, ძალაც რომ მოსდევდეს საამისოდ, ვეღარავინ გაივლის ხელმეორედ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ამქვეყნიდან ყველა თავის გზიანად რომ ქრება. ერთსა და იმავე გზაზე მარტო პატიმრები დადიან ციხის ეზოში! გელამაც ერთი რამე იცოდა მხოლოდ საფუძვლიანად, უფრო სწორად, მთელი სხეულით გრძნობდა, მის დღეში ჩავარდნილ კაცს, ოცნებაზე მეტად რკინა სჭირდებოდა, დედაზე მეტად — მამა, რათა საკუთარი სიპატარავე, უმწეობა, უმეცრება ჯიუტად კი არ დაეცვა — მნიშვნელოვანი გაეხადა, თავისთვის მაინც; იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ვინც არ უნდა გაეხადა თავისი ცხოვრების მაგალითად, მაინც გელად დარჩებოდა ბოლომდე. და აი, ისიც მადლიერების გრძნობით იხუტებდა გულში შავად მბზინავ რკინას, შიშითა და მოწიწებით კოცნიდა ცივსა და მძიმეს, როგორც მკვდარი მამის ხელს. გარეთ კი ტყე ჭრიალებდა, მგელი ყმუოდა, ბნელ კუთხეში მიყუჟული ცხვრები ფაჩუნობდნენ. ხოლო ტყის ჭრიალით, მგლის ყმუილითა და ცხვრების ფაჩუნით უარესად გაიდუმალებულ წყვდიადში სამ ლტოლვილ სულს ეძინა, მეოთხის თანდასწრებით. რიგრიგობით, ან სამივენი ერთად წამოჯდებოდნენ ხოლმე, ჩაწითლებული, ამღვრეული თვალებით მიაჩერდებოდნენ გელას და ისევ მკვდრებივით მიეყრებოდნენ ბინძურ, გაფშეკილ ტყავებზე. გელამ უკვე იცოდა, წიგნები რომ ეწყო აირწინაღის ჩანთაში, თანაც მისთვისაც ნაცნობი წიგნები: “სამი მუშკეტერი”, “ქალბატონი ბოვარი” და “როსკიპი” — მაგრამ მაინც საშიში, მაინც შემაწუხებელი იყო ამ სამი უცხო კაცის ძილი. ხან ერთს დაუმიზნებდა რევოლვერს, ხან მეორესა და ხან მესამეს, მაგრამ იმიტომ კი არა, მათი მოკვლა რომ უნდოდა, ანდა შეეძლო, არამედ — სიუცხოვის გრძნობა რომ მოეშორებინა სამუდამოდ, სანამ იმათ ეძინათ, უფრო

დაახლოვებოდა, უფრო გაშინაურებოდა იმათაც და რევოლვერსაც. ისინი კი ძველებურად კვნესოდნენ, ოხრავდნენ, ყვიროდნენ, იცინოდნენ, ტიროდნენ; დაღებული პირებიდან დორბლი და ლორწო ჩამოსდიოდათ; ოფლი ეყარათ წამოჭარხლებულ სახეებზე; საყელოები ახრჩობდათ; მოჩაჩული, უხეში ტანსაცმელი აწუხებდათ და ისევ კვნესოდნენ, ოხრავდნენ, ყვიროდნენ, იცინოდნენ, ტიროდნენ. იქნება, მადლიც ყოფილიყო, მართლა რომ ამოეხოცა ისინი თავიანთ ლაჩრულ, შემზარავ სიზმრებში, მაგრამ საამისოდ ზედმეტად უცხოები იყვნენ ისინი; კი აფრთხობდნენ, კი აწუხებდნენ, მაგრამ მაინც გულგარეთ იყვნენ და, ამიტომაც, არც მათი მოკვლის უფლება ჰქონდა. თანაც დავალებულად თვლიდა თავს იმათგან, ვერ იშორებდა, ვერ ივიწყებდა მოხარშული ხორცის გემოს, გაზეთის სველი ნაკუწებიანად რომ შეჭამა მათი შეხვედრის პირველ დღეს. გალურსული, გაოცებული ათვალიერებდა მისთვის ბოლომდე უცხოდ დარჩენილ სახეებს, ცარიელი ბოთლებივით რომ ტივტივებდნენ აშმორებული წყვდიადის ზვირთებში. მაგრამ ყველაზე უცხო, ყველაზე ზედმეტი, ყველაზე შეუფერებელი ამ გარემოსთვის მაინც თვითონ გამოდიოდა, ეს მისი წყვდიადი არ იყო და არც კი გაუკვირდებოდა, რომელიმე მათგანს, ან სამივეს ერთდროულად, მორიგი წამიერი გამოფხიზლებისას, ვეღარ ეცნო იგი, კინწისკვრით გაეგდო, ყურით გაეთრია აქედან, ანდა სულაც მოეკლა. არც ეს იყო გამორიცხული. მაგრამ იმის მაგივრად, იმათი ძილით ესარგებლა, თავქუდმოგლეჯილი გასცლოდა აქაურობას, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაბრუნებულიყო თავის საკუთარ წყვდიადში — სუნთქვაშეკრული იწვა და ელოდებოდა, მოუთმენლად, მღელვარებით, განგაშით, იმედით... თუმცა, წესიერად არც იცოდა, რას ელოდებოდა. სამაგიეროდ, ახლა უკვე მტკიცედ იცოდა, უფრო ადრე რომ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, ვიდრე "უგზოობის ქვეყანაში" მოხვდებოდა; ვიდრე ციხის საზღვრებს გამოსცდებოდა; უფრო ადრე, ვიდრე საკანიდან ამ განზრახვით გამოვიდოდა; ვიდრე ეზოს გადაჭრიდა; ვიდრე — მუხლებაკანკალებული, გულაფრიალებული — გალავნამდე მიაღწევდა; ვიდრე გა-

ლავანში ჩატანებული ფეხსადგილის მოყანყალებულ კარს კატასავით შეახტებოდა, იქიდან სახურავზე აძვრებოდა, წელში მოკუზული გადაირბენდა სახურავს და, თვალდახუჭული, ალალბედზე გადაეშვებოდა თავისუფლების წყვდიადში, სადაც, ვითომ, ნატო უნდა დახვედროდა, როგორც სხვენის აშმორებულ, მტვრიან, აბლაბუდებით გასქელებულ ბინდბუნდში ხვდებოდა ხოლმე მერე, პირზე ხელაფარებული, აფხუკუნებული, დამფრთხალი და აღტაცებული საკუთარი გამბედაობით, მათი საერთო საიდუმლოთი.

ყოველღამე ხედავდა ასეთ ნატოს. ყოველღამე მოულოდნელად გამოიკვეთებოდა ხოლმე ნატოს ბაფთებიანი კაბის სითეთრე, აბლაბუდის ნაკუწებით მოფენილი ნატოს თავი, ნატოს მკლავები. ყოველღამე სცემდა მისი თბილი, გაყუჩებული სხეულის სუნი, მიმზიდველი, ამაფორიაქებელი და დამამშვიდებელი ერთდროულად, მათი გამთიშველიცა და მათი დამაკავშირებელიც. არა მარტო ესმოდა, ხედავდა კიდეც, როგორ ფეთქავდა ნატოს გული. თითქოს ღამესაც ნატოს გული ჩაედგა და საათივით განუწყვეტლივ ახსენებდა, დრო რომ გადიოდა, ყოველი მომდევნო წამი კიდევ უფრო შორეულს, კიდევ უფრო მიუღწეველს რომ ხდიდა იმისთვის ნატოს. ერთი წლის მერე ნატოს, შეიძლება, ვეღარც კი ეცნო, ანდა აღარ გაეყადრებინა თავი ვიღაც ნაცხარი ბიჭისთვის; რაც მთავარია, აღარ დაეჯერებინა, აღარ დაინტერესებულიყო, უდანაშაულო იყო ის, თუ დამნაშავე. ნატოს გულივით გაუდიოდა ბაგაბუგი ღამეს, მაგრამ გელამ ჯერ არ იცოდა, ნატო რომ უყვარდა, თუმცა მხოლოდ ნატოზე ფიქრობდა, ნატოზე წუხდა, ნატო ედგა თვალწინ — ნეტავი, როგორ არის, ნეტავი, რას ამბობს ჩემზეო. ძლივს შეიკავა თავი, ძლივს დააჭირა ენას კბილი, დედისთვის რომ არ ეკითხა, როცა იმან, გამოთხოვებისას, შუბლზე აკოცა და უთხრა: შეიძლება, კარგიც იყოს, ასე რომ მოხდაო; ერთ წელიწადში ბევრ რამეს მიხვდები, ბევრ რამეზე აგეხილება თვალი და უკვე კაცი დაბრუნდებიო. “ხო, ხო, ხო” — იმეორებდა ყეყეჩივით — გაღიზიანებული, გაბრაზებული, დაბნეული, დარცხვენილი, რადგან სრულებითაც არ ადარდებდა დედა; არც თავისი თავი; ნა-

ტოს დაკარგვისა ეშინოდა; გრძნობდა, უკვე დაეკარგა, ისევე არ არსებობდა ნატოსთვის, როგორც ბათუმში ჩამოსვლამდე. დედა ერთი წლის მერეც დედა იქნებოდა, ნატო კი, ერთი წლის მერე, სხვა ნატო იქნებოდა უკვე. შეიძლებოდა, საერთოდ ვეღარ ენახა ნატო, მშობლებს წაეყვანათ აქედან, გაერიდებინათ, გადაკარგულიყვნენ სახლიანად, ბაღიანად. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო ერთ წელიწადში. ერთ წელიწადში ის უკვე კაცი დაბრუნდებოდა, როგორც დედამ უთხრა, ბევრ რამეს მიხვდებოდა, ბევრ რამეზე აეხილებოდა თვალი და, ძალაუნებურად, ნატოსაც ისევე უნდა გამოთხოვებოდა სამუდამოდ, როგორც ბავშვობას. საითაც არ უნდა გადაბრუნებულიყო, ჩაუდენელი დანაშაულის სარეცელზე გაშოტილი, ნატო შემოხედავდა ხოლმე გაოცებული, გამწყრალი თვალებით, და ისიც შფოთავდა, წრიალებდა, სიცოცხლით გაფუებული, აღმოსაცენებლად გამზადებული, როგორც თესლი — ხნულში. ნატოზე ფიქრი უღვივებდა სიცოცხლის ჟინსა და სურვილს. მაგრამ ნატომ სიმართლე არ იცოდა. უფრო სწორად, არ იცოდა და არც აინტერესებდა, ვის აძლევდა სიცოცხლეს, ვის აქეზებდა სასიცოცხლოდ. ეს უნდა მისულიყო ნატოსთან და, რაც შეიძლება მალე, სასჯელის მოხდამდე, სანამ სიმართლე აზრსა და მნიშვნელობას დაკარგავდა და აღარაფრის გამოსწორება აღარ შეეძლებოდა. ვალდებულიც იყო, ასე მოქცეულიყო; სხვას რომ თავი გავანებოთ, თუ ნატო არა, ამისთვისაც სულ ერთი იქნებოდა: მართალი იყო თუ მტყუანი, ციხეში იყო თუ გარეთ. მაგრამ, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა ციხიდან გაპარვა, როგორც კი თავისუფლების ცივი ჰაერი ეცა სახეში, უკვე იცოდა, უსინდისოდ იქცეოდა, უნებლიე სიკეთეს შეგნებული ბოროტებით პასუხობდა — ნატოსაც თავზე ახვევდა საკუთარ უბედურებას, უბრალოდ, იძულებულს ხდიდა, თანაზიარი გამხდარიყო მისი ცხოვრებისა, თითქოს ნატო დედა იყო, ის კი — შვილი, და მადლობას კი არ ეუბნებოდა გაჩენისთვის, ედიდგულებოდა — რაკი გამაჩინე, დამარჩინე კიდეცო. მაგრამ აღარც გაჩერება შეეძლო; კი არ მიდიოდა, აჩემებულ განზრახვას, სურვილს, ოცნებას, იმედს მიჰქონდა, როგორც დინებას — ნაფო-

ტი. არც უცდია, შეუმჩნევლად გაევლო მოტიტვლებული ეზო, უხილავ ძალას, დაუოკებელ ჟინს მიჰყავდა, როგორც მთვარეული — სენს. თითქოს საკუთარ ეზოში მიდიოდა და არავის გაუკვირდებოდა, არავის გააბრაზებდა მისი დანახვა. სადღაც, ნატოს ქვეყანაში მატარებელმა ჩაიარა და ფეხქვეშ მიწა ააძაგძაგა. მაინც არ აჩქარებულა, თითქოს არაფერი სჭირდა ასაჩქარებელი, თითქოს იმ მატარებელში იჯდა თვითონაც, თანაც ნატოსთან ერთად. ეზოში ვიღაცა პირს იბანდა; ბოლომდე მოშვებული ონკანიდან შხუილით იღვრებოდა წყალი. მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, თავაწეული მიდიოდა, ბრმასავით, ყრუსავით. "თუ არასწორად ვიქცევი, გამაჩერონო" — ფიქრობდა აღგზნებული. არ იცოდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, აჯობებდა თუ არ აჯობებდა, მართლა გაეჩერებინა ვინმეს. სახეზე წყლის წვრილი წვეთები შეესხურა. ონკანზე დახრილი ლანდი ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, როგორც რომელიღაც დიდი ცხოველი ზოოპარკის აუზში. ცოტა უფრო იქით უკვე ჩანდა საპირფარეშოს ბრტყელსახურავიანი, ექვსკარიანი შენობა, გალავანში ჩატანებული, რომლის იქითაც სხვა ქვეყანა იწყებოდა, ნატოს ქვეყანა, სადაც, ეს წუთია, მატარებელმა ჩაიქროლა, მაგრამ უიმისოდ. ისა და მისი სიმართლე ჯერ ისევ ღობის აქეთ იყვნენ და ჯერ საკითხავია, გააღწევდნენ თუ არა აქედან. თუმცა, მისი გამოცხადებით დიდი არაფერი შეემატებოდა იმ ქვეყანას, როგორც დიდი არაფერი დაჰკლებია უიმისოდ (შეიძლება, ჯობდეს კიდეც, ასე რომ მოხდაო, — უთხრა დედამ). მაგრამ რაკი გაებედა, რაკი დაძრულიყო, ბოლომდე უნდა ეცადა საცდელი; თავად თუ ვერ გააღწევდა, სიმართლე მაინც უნდა მოეშორებინა აქაურობისთვის, სიმართლით უსაშველოდ დამძიმებული გული უნდა გაეცალა, და რაკი დაეგვიანებინა, რაკი ერთი წამის მერე კიდევ უფრო დაგვიანდებოდა, სულერთია, ვის ააწვდიდა ჩაქროლილი მატარებლის სარკმელში თავის სიმართლეს. ჩაქროლილი მატარებლით აღძრული ჰაერის ტალღები აქამდეც აღწევდნენ. ონკანზე დახრილი კაცი კი, სიამოვნებისგან ოხრავდა, კუთავდა, ხელისგულებს იტყაპუნებდა ყელკისერზე. "რატომ არ მაჩერებსო" — უკვირდა და მიდიოდა. მი-

დიოდა და იცოდა, აღარაფერი აღარ შეიცვლებოდა მაინც, გააჩერებდა თუ არ გააჩერებდა ონკანზე დახრილი კაცი, რომელიც ორ ნაბიჯზე იდგა, მაგრამ ისევე შორს იყო მისგან, როგორც ნატოს ქვეყნისგან მისი სიმართლე. მიდიოდა და გრძნობდა, ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო შორეულსა და შეუღწეველს ხდიდა ნატოს ქვეყანას, საერთოდ ვეღარ მოახერხებდა იმ ქვეყანაში შეღწევას, თუკი ხელს არ აიღებდა თავის სულელურ განზრახვაზე, თუკი დროულად არ გადაიფიქრებდა და თუკი ახლავე, ისევე შეუმჩნევლად არ შებრუნდებოდა ციხეში, როგორც, ეს წუთია, გამოპარულიყო იქიდან. მერე წელში მოხრილი გარბოდა და წარმოდგენილი სროლის ხმა ედგა ყურებში; წარმოდგენილი სროლის ხმა მიერეკებოდა და ისიც გარბოდა. იმ დღიდან მოყოლებული, ასე გარბოდა სულ, ვიდრე მართლა დაუშენდნენ ტყვიას, ვიდრე იგრძნობდა, სირბილი რომ აღარ შეეძლო; ვიდრე ტყეში შეაბიჯებდა, როგორც სიზმარში ანდა ზღაპარში, და ვიდრე ხეზე მხრით მიყრდნობილ კაცს დაინახავდა და დამშვიდდებოდა, თითქოს თავიდანვე იმ კაცის სანახავად გამოქცეულიყო ციხიდან; თითქოს თავიდანვე იცოდა, მაინცდამაინც იმ კაცს რომ გადაეყრებოდა უღრან ტყეში. კი დამშვიდდა, მაგრამ ამგვარი, მკვდარი და უსულგულო სიმშვიდე, გონების დაკარგვას მოსდევს და არა მოულოდნელად გაჩენილ იმედს. არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია, არც კი დაფიქრებულა, ვინ შეიძლებოდა და ვინ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის კაცი, ერთდროულად უცხოცა და ნაცნობიც, არაჩვეულებრივიცა და ჩვეულებრივიც, როგორც ნებისმიერი ხე, რომლის დანახვისას ასევე არავითარ შემთხვევაში არ გაიფიქრებდა — პირველად ვხედავ ამ ხესო — და რომლის აღსაქმელადაც სავსებით საკმარისია ის ცოდნა, ის წარმოდგენა, რაც საერთოდ ხეზე გააჩნდა.

და აი, იმის მერე თოვლის ხაფანგშია გამომწყვდეული. საკუთარმა სისულელემ მოიყვანა აქ და უკვე თვითონაც ეჭვი ეპარება, მართლა თუ არსებობს ნატოს ქვეყანა; საერთოდ თუ არსებობს რამე, ამ კედლებგამომპალი ქოხის, ავად აჭრიალებული ტყის, მგლის ყმუილის, ცხვრების შფოთვისა და მისი ახალი მეგობრების გარდა. აქ მოს-

ვლამდე, ციხეში გასატარებელი დრო უსასრულობად, მარადისობად ეჩვენებოდა, ხსოვნის, გრძნობის, სინდისის გადამლეკავ არარაობად — მტვრის, ფერფლის, სილის მდინარედ — მაგრამ აქ მოსვლამდე, თურმე, არც დროზე ჰქონდა წარმოდგენა და არც ხსოვნის, გრძნობისა და სინდისისა გაეგებოდა რამე. აქ მოსვლამდე კიდევ ბავშვი იყო და უმეცრების უჰაერო საკანში გამომწყვდეული, ბრმად, ალალბედზე ცდილობდა იქიდან თავის დაღწევას; ანუ — დროს ედიდგულებოდა, ხსოვნას არ სცემდა პატივს, გრძნობას არ აცდიდა საბოლოო სახის მიღებას და სინდისს ედგა ჯიბრში. ახლა აღარც დრო არსებობდა, აღარც ხსოვნა. აღარც გრძნობა და აღარც სინდისი. არსებობდა მხოლოდ უგზოობის ქვეყანა, სადაც ხელმოცარულნი, განწირულნი, უფესვონი და უმომავლონი საკუთარი ფეხით შედიან, რათა ცოცხლად ჩაიმარხონ თავი ძველ ცოდვებში, ამაზრზენ, შემზარავ მოგონებებში, ჩვენებებში, კოშმარებში. სიცოცხლეც ისეთივე უაზრობაა იმათთვის, როგორც სიკვდილი, სიცოცხლისაც ისევე ეშინიათ, როგორც სიკვდილისა. ამიტომ, აღარაფერს აღარ ელოდება, აღარაფრის აღარ სჯერა, გარდა აღსასრულისა, რომელიც დღითი დღე ახლოვდება, დღითი დღე გარდაუვალი და ბუნებრივი ხდება, იმიტომ კი არა, მეგზური რომ არ ჩანს, მეგზურმა რომ დააღალატათ, ანდა ვერ ამოაღწია აქამდე, დიდი თოვლის გამო, არამედ იმიტომ, თვითონვე რომ მოიჭრა ერთადერთი გზა, მისი, მისთვის განკუთვნილი, რომლის არსებობაც ყველაზე ცხადად, ყველაზე მტკივნეულად, საერთოდ გზამოჭრილმა, კედლებგამომპალ ქოხში გამომწყვდეულმა იგრძნო, და რომელიც მთებს გადაღმა კი არ მიდიოდა, არამედ ბათუმისკენ, ნატოსკენ. “ფული ჯანდაბას, თქვენ ისა თქვით, სხვაგანაც თუ არ არის ღმერთიო” — იძახის ხოლმე ბრტყელსახიანი. მაგრამ გელამ უკვე ისიც იცის, მისი ღმერთი მხოლოდ ნატოს სახლში ბუდობს, ნატოს სახლის სხვენში, რადგან ღმერთი ალბათ ისაა, რაც გიზიდავს, გიყვარს, სიკეთის ჩადენის სურვილს გიჩენს, სამართლიანობის გრძნობას გიღვიძებს, რაც აუცილებელია და არა სასურველი, როგორც სიმძიმე, რომელიც კი არ ძირავს, წყალზე აჩერებს გემს, თუკი

ზუსტად შეესაბამება გემის მოცულობას, როცა მეტი ანდა ნაკლები თანაბრად დამღუპველი იქნებოდა იმავე გემისთვის. გელასთვისაც აუცილებელი იყო და არა სასურველი უცხო სახლის სხვენში ჯდომა, რადგან სხვა სახლი, სადაც ცოცხალი მამის წარმოდგენა შეეძლო, არ არსებობს; იმდენადაა დატვირთული იმ სახლის სიმყუდროვით, ხმებით, ფერებითა თუ სურნელით, რამდენადაც მის ასაკს, სულსა და გონებას შეესაბამება. მაგრამ ცხოვრების ზღვამ მაინც არ გაიჩერა, მაინც ჩაძირა, რადგან, ბატონი პოლიცმეისტერის აზრით, მამამისიც საკმარისი იყო ბათუმისთვის, საკმარისი კი არა, ზედმეტი. ის ძლივს მოეშორებინა თავიდან, და სანამ პირში სული ედგა, სანამ პოლიცმეისტერის მუნდირი ეცვა, სანამ ძალა შესწევდა — არ გაახარებდა იმის ნათესლარს, ამოძირკვავდა, ამოშანთავდა ტაკიმასხარებისა და ოინბაზების მოდგმას (ისა. ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. შენ ხარ ჩემი ბატონი. რა მჭირს, ბიჭო, თქვენი დასაცინი!). და მართლაც, ასე თუ ისე, მაინც მიაღწია თავისას — მაინც ჩაუნერგა გელას დანაშაულის გრძნობა — დაარწმუნა კიდეც, ღირსი რომ არ არის მიტევებისა და გაგებისა, რადგან აღარც თვითონ შეუძლია სხვათა მიტევება და გაგება. ოდესღაც, მამის საფლავიდან ველური იასამანივით თავისთავად ამოსული რწმენა საკუთარი თავისა, საკუთარი დანიშნულებისა და მოვალეობისა, სადაცაა ხელში ჩააჭკნება და მერე აღარავითარი აზრი აღარ ექნება მის არსებობას, აღარც ნატოსთვის და აღარც სხვისთვის.

გარეთ კი იმოდენა თოვლი დევს, ტყეს ჭახანი გაუდის. ძველი, ჭაღარა ფიჭვები ძლივსღა აკავებენ ზვავებს. ლამის ქოხში შემოუვარდეთ სულის შემძვრელად, სისხლის გამყინავად აყმუვლებული მგელი უკაცრიობისა, უსასოობისა, მიუსაფრობისა... ოთხივემ იცის, ეს მწყემსების სადგომი უკანასკნელი თავშესაფარია მათთვის და თუ იქამდე არ დაჭამეს ერთმანეთი, როგორც კი თოვლი დნობას დაიწყებს (როდის დაიწყებს თოვლი დნობას?), როგორც კი გზები გამოჩნდება (განა როდისმე გამოჩნდება გზები?!), ამათთვისაც მოიცლიან, ალბათ ამ ქოხთან ერთად დაწვავენ, ჭირიანებივით. ერთ ჭერქვეშ

ცხოვრობენ, ერთ ბედქვეშ არიან, მაგრამ არაფერი აღიზიანებთ ისე, როგორც ერთმანეთი. თითქოს ყოველი მათგანი, განგებ, დანარჩენი სამის ჯიბრზე, აწკლაპუნებს პირს ჭამისას; დანარჩენი სამის ჯიბრზე მოჰყვება ხოლმე წრიალს, წინ და უკან, დატყვევებული ნადირივით, ისედაც ვიწრო ქოხში, სადაც, მათ გარდა, ცხვრებიც ცხოვრობენ, დამპალი, გაბინძურებული თოკით გამიჯნულ კუთხეში. თუმცა, ორი ცხვარიღა დარჩათ, უფრო სწორად, ერთი, რადგან მეორე, ეს წუთია, გაათრიეს დასაკლავად აირწინაღიანმა და ბრტყელსახიანმა. გამურულ ჯაჭვზე თოვლით სავსე კარდალი კიდია. დასვრეტილსა და გაჭვარტლულ თოვლს ორთქლი ასდის. ობლად დარჩენილი ცხვარი თანამოძმეების ჩლიქებით დაჭყლეტილ კურკლში წევს; დაბნეული, მავედრებელი თვალები აქვს და სათვალიანს ჰგავს, ოღონდ უსათვალოდ. საერთოდ, სათვალიანს ორი სახე აქვს, ორნაირი სათვალიანი არსებობს: “სათვალიანი” და “უსათვალო”. სათვალე არა მარტო იერს, ხასიათსაც უცვლის. “სათვალიანი” ანჩხლია, ბობოქარი, ადგილს ვერ პოულობს... მზადაა, მთელი ქვეყანა გადაბუგოს სიბეცისთვის, სიბრიყვისთვის, სიხარბისთვის, უგულობისთვის, უნდობლობისთვის, ურწმუნობისთვის. “უსათვალო” — შედარებით მშვიდია, რადგან უმწეოცაა, საძრაობა ეკარგება; “სათვალიანის” ცოდვების მონანიე, “სათვალიანის” შეცდომების გულმოდგინე და კეთილსინდისიერი მკვლევარია. როცა მისი სიანჩხლე და ბობოქრობა მოსწყინდებათ ხოლმე, სათვალეს ართმევენ და ისიც მაშინვე მშვიდდება. ოდნავ მოჭუტულ თვალებს აქეთიქით დაატარებს. თითქოს უკვირს — ეს სად მოვხვდიო, და კი არ ლაპარაკობს, ვინმეს კი არ მიმართავს, ხმამაღლა ფიქრობს თავისთვის. ახლა მისი სათვალე აირწინაღიანს უდევს აირწინაღის ჩანთაში და ბრტყელსახიანთან ერთად ცხვარს ატყავებს გარეთ.

— შეჩემამეთქი, ვეუბნები, განა გისმენს?! — ამბობს უცებ სათვალიანი.

— ვინ? — უნებლიეთ ეკითხება გელა. ცეცხლის ცქერითაა გართული.

— ვინა და, შენი მამობილი. ქალების მექისე. სუსუნაკი. ათაშანგი. მაგას თუ ჰგონია...

— მამობილი?! — აწყვეტინებს გაკვირვებული გელა. თან ისევ ცეცხლსაა მიჩერებული.

— ... მაგას თუ ჰგონია, სულ ასე გავუჩუმდები, ძალიან ეშლება! — აგრძელებს სათვალიანი.

— მამობილი? — იმეორებს გელა.

— მამობილია, აბა რა ჩემი ფეხებია! მაგან არ გიპოვა ტყეში?! — უმარტავს სათვალიანი.

— მიპოვა? განა მე მეძებდა?! — უარესად უკვირს გელას და ცეცხლს თვალს აშორებს.

— რა მნიშვნელობა აქვს, შენ იქნებოდი თუ სხვა. — იღიმება სათვალიანი. — მაგას ისეთი ცოდვა ადევს, შენ კი არა, მთელი ქვეყნის უპატრონო ბავშვებს რომ ბანოს ფეხი, მაინც ვერ მოინანიებს.

— რატომ ვარ უპატრონო?! — სწყინს გელას.

— ყველანი უპატრონოები ვართ. — იღიმება სათვალიანი. — ყველანი! — ამბობს ცოტა ხნის მერე. — შენ იცი, რატომ მოიკლა მამაშენმა თავი? — ეკითხება უცებ. გელას არ სიამოვნებს მამის ხსენება. მაგრამ აინტერესებს, რას ეტყვის სათვალიანი, მართლა იცის თუ არა სათვალიანმა ის, რის გაგებასაც ამდენი ხანია ამაოდ ცდილობს. ისევ ცეცხლს უყურებს, სათვალიანს რომ არ შეუშალოს ხელი, თავისი მღელვარების, ანდა ცნობისმოყვარეობის გამომჟღავნებით, არ შეარბილებინოს, ანდა არ გააზვიადებინოს სათქმელი, უბრალოდ და პირდაპირ ათქმევინოს ის, რასაც ფიქრობს, უბრალოდ და პირდაპირ, და არა მიკიბულმოკიბულად, დედასავით, ბებიასავით, ბაბუასავით, ანდა ლიზასავით. — იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენ არ გეთქვა იმისთვის, რატომ იკისრე ჩემი პატრონობა, თუკი თვითონ უპატრონო იყავიო. უპატრონო პატრონი. როგორია?! — იცინის სათვალიანი.

გელა გაშტერებული შესცქერის სახეში. ყველაფერს ელოდებოდა, ამას კი არა. რამდენადაც ახსოვს, მამის სიკვდილში ყოველთვის

თვითონ ადანაშაულებდა სხვებს და არა სხვები — იმას. როგორც დამნაშავეებს სჩვევიათ, სხვები ცდილობდნენ ყოველთვის იმის შემორიგებას და არა ის — სხვებისას, დედა იყო, ბებია, ბაბუა თუ ლიზა. ის ეკითხებოდა სხვებს, რატომ მოიკლა მამაჩემმა თავიო, რადგან არ იცოდა; სხვებმა კი იცოდნენ და, ამიტომ, მეტნაკლებად დამნაშავეებიც იყვნენ, რაკი არაფერი იღონეს, ასე რომ არ მომხდარიყო; თუმცა, როგორც სხვების ნალაპარაკევიდან გამოდიოდა, თვითონ გელას მამა ყოფილა "ასეთი" და ადრე თუ გვიან, მოსახდენი მაინც მოხდებოდა. "პოეტების არ იყოს, ასეთებადაც იბადებიანო" — უთხრა ერთხელ ბებიამ და იმის მერე გელასთვის წყლის ნაყვა იქნებოდა და მეტი არაფერი, თავისიანებისგან, ანუ სხვებისგან სიმართლის გამოძალვა; მაგრამ არც განზრახვაზე აუღია ხელი და სჯეროდა კიდეც, როდისმე, დამოუკიდებლად, თვითონვე ამოხსნიდა მამის სიკვდილის საიდუმლოს. და აი, გაშტერებული შესცქერის ახლა სათვალიანს სახეში და შემცბარი, აღგზნებული, აღელვებული ფიქრობს: ხომ შეიძლება, მართალს ამბობდესო. სხვები თუ მზოგავდნენ და მიმალავდნენ, ამან რატომ უნდა დამზოგოს, ან რატომ უნდა დამიმალოს სიმართლეო. რაღა არ დასწამეს, მაგრამ მამის მკვლელობა, თუნდაც ხუმრობით (ხომ შეიძლება, ხუმრობდეს?), ჯერ არავის დაუბრალებია მისთვის. იღიმება და ვერც იღიმება. კი არ იღიმება, თავისთავად ეჭიმება ტუჩები და დაჭმუჭნული ნიკაპი უცახცახებს, თითქოს მამის კუბოსთან დგას ისევ და ჯიუტად იკავებს, ჯიუტად უძალიანდება ცრემლს, რადგან ცრემლი, რაც არ უნდა ძნელი მოსათმენი იყოს, მხოლოდ და მხოლოდ მოღალატედ აქცევს მკვდარი მამის თვალში, იმასაც, იმავე წუთას, სხვების ბანაკში გადაისვრის, სხვების, რომლებმაც მამის სიკვდილის მიზეზი იციან და ცრემლით ცდილობენ თავიანთი დანაშაულის დამალვას. იმას კი არაფერი აქვს დასამალი, რადგან არაფერი არ იცის. ტუჩები ეჭიმება და ნიკაპი უცახცახებს. "არასოდეს არ ვიტყოდი... რატომ ვიტყოდი? — ფიქრობს დაძაბული, დაეჭვებული, გაღიზიანებული. — არა. ტყუილია. არ შეიძლება".

— არ შეიძლება. — ამბობს ხმამაღლა. — არ შეიძლება! — ყვირის, შინაგანი ხმის ჩასახშობად.

— რა? რა არ შეიძლება? — ეკითხება წინ გადმოხრილი, მისი მოულოდნელი გაცხარებით, ცოტა არ იყოს, დაბნეული სათვალიანი.

— თქვენ რა იცით... თქვენ რა იცით... — ლუღლუღებს გელა. სიტყვები არ ყოფნის, თუმცა არც არაფრად სჭირდება სიტყვები, რადგან არც არაფერი აქვს სათქმელი. — თქვენ რა იცით... — იმეორებს უაზროდ, უმისამართოდ, ყოვლად მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი, ვინ იცის, რამდენი ხნის ნათმენი ცრემლი რომ შეიკავოს როგორმე. არადა, არასოდეს არ სდომებია ასე ტირილი; არასოდეს არ ყოფილა ასე განწყობილი, ასე გამზადებული სატირლად; არც მამის კუბოსთან. გრძნობს, შვებას მისცემს ცრემლი, მაგრამ შეარცხვენს კიდეც: წყალში ჩაეყრება ამდენი ხნის "ვაჟკაცობა", ამდენი ხნის "ყაჩაღობა", ამდენი ხნის განმავლობაში ნათვალთმაქცევი გულგრილობა და არხეინობა. რა მემართებაო — უკვირს თვითონვე. უნებურად, მუცელზე ისვამს ხელს, რევოლვერის სიმკვრივეს დაეძებს აცახცახებული თითებით და უკანასკნელ წამს ისევ მკვდარი მამა ევლინება მხსნელად; უფრო სწორად, ამ ათითორმეტი წლის წინანდელი ჩვენება ცოცხლდება თავზარდამცემი სიცხადით. დაჩოქილი მამა გამალებული წმენდს საკუთარ ნაფეხურებს, თეთრად რომ დატყლაპნილან სარკესავით მოკრიალებულ იატაკზე. "ვიღაცას კირი დაუყრია შემოსასვლელშიო" — ამბობს მორცხვად მომღიმარი და, როგორც მაშინ, ახლაც ერთბაშად ეუფლება გელას, ლამის სიძულვილში გადაზრდილი, ლამის ზიზღის აღმძვრელი, სინდისის მქენჯნავი, ძნელად მოსათმენი, ძნელად გადასატანი სიბრალულის გრძნობა; როგორც მაშინ, ახლაც უჩნდება მამის გვერდით დაჩოქების სურვილი; ხვდება, მიხმარება სჭირდება მამას, დროზე უნდა მოისპოს კვალი, ვიდრე დედა, ბებია, ბაბუა ანდა ლიზა შემოიხედავს ოთახში; მაგრამ, იმის მაგივრად, მართლა ასე მოიქცეს, მამას მიეხმაროს, ახლაც გამომწვევად, დამცინავად, გამაღიზიანებლად დაჰყვირის მამის დაჩოქილ აჩრდილს: ნახე, რას გიზამენ, ნახე, რას გიზამენო. — ჩჩუ!

— ტუჩებთან ხელს ასავსავებს სათვალიანი და თავით კარისკენ ანიშნებს გელას, ვითომ გარეთაც გაიგებენ ჩვენს ლაპარაკსო. — ვერაფერსაც ვერ მიზამენ, — ჩურჩულებს გელასკენ გადახრილი. — ეგენი, არც ჩემი ძმები არიან, არც ჩემი მოწაფეები... ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში! — ქირქილებს ღვარძლიანად, ისევ სახეგაშეშებული. — მე ერთი ხელმოცარული კაცი ვარ. შენთან რა მაქვს დასამალი. ან რა აზრი აქვს დამალვას. — ჩურჩულებს გამალებული. — არაფრისგან არაფერში ჩასახული. არარსებული ტაძრის გლახა. არარსებული აკლდამის დარაჯი. არარსებული ცხოვრების მაჩანჩალა... პანღური და დაობებული პურის ყუა! აი, დიდიდიდი, რასაც მე ვიმსახურებ, რადგან არც არაფერს ვაკეთებ და არც არაფერს ვაშავებ. მაგათ კი ჰგონიათ, მართლა ქვეყნის დამაქცევარი ვარ. ანარქისტი. მადლობას ეტყვის სახელმწიფო, რაღაი ეგ მომაშორეთ, ყველაფერი მიპატიებია თქვენთვისო, თქვენს ნებაზე იბოგინეთ ჩემს სალაროშიც და ობლის ლოგინშიცო. ისე, რომ იცოდე, მართლა მაგათია ქვეყანა. მაგათ შეეწირა მოსეცა და იესოც... ეგენი რომ გამოეყვანათ სიბნელიდან, ეგენი რომ დაესახლებინათ აღთქმულ ქვეყანაში. აბა, მოსე არც კი შეუშვა ღმერთმა აღთქმულ ქვეყანაში. შორიდან დაანახვა, თითქოს შეახარბა, შეშვებით კი, ნურას უკაცრავად, ციც! თვალთა შენთა იხილეს, ხოლო ვერ შეხვიდე შენ მუნ. — კარისკენ იყურება, თუმცა, ვერაფერს ვერ ხედავს უსათვალოდ. კიდევ უფრო იხრება წინ, გელასკენ, და ისევ ჩურჩულით აგრძელებს, დორბლის ბრჭყვიალა შხეფები სცვივა პირიდან. — ქრისტეც მაგათ აცვეს ჯვარს. სახელმწიფომ ხელი დაიბანა, გვერდზე გადგა, თქვენ იცით და თქვენმა მეუფემო. მაგათ კი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ჯვარს აცვით, ეგ მამაძაღლიო; სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო; ოღონდ ჩვენს კაცს ნუ დაგვასვამთ თავზე და ვისაც გინდათ, იმას დავემონებითო; ჩვენსას უცხო გვირჩევნიაო. იცი, რატომ? შენიანი ცუდს არ მოგიწონებს, არც გაპატიებს; სხვას კი, მხოლოდ შენი ცუდი გაუხარდება; მიდი, მიდიო, გაგაქეზებს კიდევაც, რადგან ცუდის დამონება გაცილებით ადვილია, ვიდრე კარგისა. ცუდს სინდისი ჭუჭყიანი აქვს და, ბო-

დიში მომითხოვია, თავზე რომ დაასკორო, სიტყვას ვერ შეგიბრუ-ნებს; არც შეგიბრუნებს, თუკი ამას დასჯერდები, თუკი ერთორ კაპიკს კიდევ მოაპარვინებ, ერთორ ობოლს კიდევ წააბილწვინებ და ერთი-ორჯერ კიდევ დააცდი მუცლის ამოყორვას. ასეა, ძმაო, ქვეყანა მოწ-ყობილი. ვერ შევიდა შენს ტვინში. კაცს სიკარგე არ უნდა, აღი-ზიანებს, რადგან ძნელია, მწარეა, მტკივნეულია, როგორც დამპალი კბილის ამოღება. სიგლახე კი, დაბოყინებასავით, ადვილიცაა და სა-სიამოვნოც, მით უფრო, თუ გამძღარიცა ხარ. ქვეყანა მაშინ დაიღუპა, როცა არჩევანამდე მივიდა საქმე, ქრისტე თუ ავაზაკიო, და იმის მერე სულერთია, ქრისტე იქნება თუ ავაზაკი, არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე, რადგან არც ერთი არ არის შეუცვლელი. ქვეყანას თუ გადა-არჩენს, მხოლოდ ბავშვი გადაარჩენს, ოღონდ — ჭკვიანი და გამბე-დავი. ასე რომ, ტყუილად ყოყმანობ და ტყუილად გეშინია.

— მეშინია?! — უკვირს გელას და უცებ მართლა იბურძგნება შიში-საგან.

— გეშინია. — იცინის სათვალიანი. დიახაც, რომ გეშინია.

— რისი უნდა მეშინოდეს?! — მხრებს იჩეჩავს გელა და აბაგუნებუ-ლი გული ლამის ამოუხტეს საგულედან.

— შე დედალო შენა. — იცინის სათვალიანი.

აირწინაღიანმა პირველად რომ შემოიყვანა გელა ქოხში, სათვა-ლიანი ისე აღელდა, ისე დაიბნა და ისე დაფრთხა, როგორც საყვა-რელ ბიჭთან მარტო დარჩენილი გოგო. “აი, ვისი ხელით უნდა მოვ-კვდე მეო” — ფიქრობდა აღგზნებული, როგორც გოგო ფიქრობს საყ-ვარელ ბიჭზე — თუ ვიქნები, მხოლოდ იმისი ვიქნებიო. მაგრამ, შეყ-ვარებული გოგოსაგან განსხვავებით, გელას გულში საპასუხო სიყვა-რულის გაღვივებას კი არ ცდილობდა, არამედ — სიძულვილის, ზიზ-ღის, რადგან მხოლოდ სიძულვილი და ზიზღი თუ აიძულებდა გელას, დაჰყოლოდა სათვალიანის ნებას, სათვალიანის გიჟური სურვილის-თვის შეეწირა თავისი სისუფთავე, უცოდველობა, უმანკოება. თვი-თონვე უკვირდა, საიდან ამოსდიოდა ამდენი გესლი, ამდენი ღვარ-ძლი, ამდენი სიბინძურე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მღელვარებით,

მეტი ვნებით, მეტი ჟინით სვრიდა და თათხავდა ყველაფერს, რაც კი, ჯერ კიდევ შეიძლებოდა, ძვირფასი ყოფილიყო გელასთვის, რის გამოც, ჯერ კიდევ შეიძლებოდა, თავი შეეკავებინა იმას ცოდვისაგან. სხვა არაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი, მის სისხლში ამოსვრილი გელა ედგა თვალწინ, ელდისაგან ენაჩავარდნილი, შეძრწუნებული, მაგრამ უკვე სამუდამოდ მიჯაჭვული მის გვამს, მის სახელს, მისი მკვლელი და, ამიტომაც, მისი ერთადერთი მემკვიდრე, მისი ერთადერთი გამხსენებელი, თუნდაც ზიზღით, სიძულვილით, წყევლით. მოუთმენლად, შფოთვით, წუხილით და, ამავე დროს, ენით უთქმელი ნეტარებით ელოდებოდა სიკვდილს, როგორც გოგო პირველ ღამეს, და თავზე ტყავწაფარებულს, გალურსულს, სუნთქვაშეკრულს, ერთი სული ჰქონდა, როდის მიეახლებოდა შლეგი მიჯნური, ქმარი, მეუფე, და როდის შეეუღლებოდა სამუდამოდ. რევოლვერს კი უმიზნებდა ის (თანაც მის ნაჩუქარს), მაგრამ, ეგ იყო და ეგ. მეტს ვერ ბედავდა. ან თავს უფრთხილდებოდა, ან თავის იმედი არ ჰქონდა, მეტისთვის არ ვარგოდა ჯერ. რევოლვერს მიუშვერდა "მძინარეს" და ამით იკლავდა ჟინს, ამით კმაყოფილდებოდა. ერთ სიკვდილს გაათავებდა ხოლმე, სიმწრისა და მრისხანების ოფლით გახვითქული, ფუჭი მოლოდინით გაბითურებული, დაუკმაყოფილებელი ვნებით გაკაპასებული, და შეშლილივით იმეორებდა გუნებაში: ონანისტო, ონანისტო, ონანისტოო. მერე, თანდათან გაიცრიცებოდა ცხოველისა და ადამიანის ნასუნთქით გასქელებული წყვდიადი და ერთხელ კიდევ ამოდიოდნენ არარაობის წუმპედან, არარაობის შლამიდან მისი მეგობრების გადაფითრებული სახეები, ამაზრზენნი, აუტანელნი, საშიშნი, გამორიყული დამხრჩვლებივით. და ისიც, ერთხელ კიდევ გაწბილებული, ისევ ანთხევდა გესლს, ისევ წყევლიდა და აგინებდა ყველასა და ყველაფერს, ანჩხლი, ავყია, მძვინვარე, როგორც ცვედანის ცოლი, ანდა ტყუილუბრალოდ, გასაპამპულებლად გატიტვლებული მეძავი. სიკვდილი კი არ უნდოდა, ამ სიცოცხლეს ვერ იტანდა და მეორე სიცოცხლის იმედიღა ჰქონდა, მეორე სიცოცხლისა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის მერე მოიპოვებდა. სიკვდილი გარდაუვალი იყო, ისევ

რომ მოვლენოდა ქვეყანას, თუნდაც ყვავად გარდაქმნილი, მაგრამ ის აბოროტებდა, სიკვდილიც რომ არ შეეძლო თავის ჭკუაზე. უცოდველი ბავშვის ხელით სიკვდილი უკვე რაღაცას ნიშნავდა, უკვე აზრი იყო, თანაც მნიშვნელოვანი აზრი, დამამშვიდებელიც და დამაკმაყოფილებელიც, რამდენადაც მხოლოდ ამ გზით დარწმუნდებოდა, იმანაც რომ შეძლო რაღაცის გაკეთება, თუნდაც ერთი უმწიკვლო სულის წაბილწვა. ამ სიცოცხლემ არ გაუმართლა. წარწერიან ქვასაც არ დაადებდნენ საფლავზე, ესა და ეს გვამი, ნეშტი ანდა სულაც ლეში განისვენებს აქაო. ხოლო უწარწერო საფლავის ბინადარი არარაობაა, გინდაც არ გაჩენილიყოს საერთოდ, არ ეცხოვროს, არ ეღელვოს, არ ეტიროს, არ ეშფოთოს, არ ეწკავწკავოს, ვიდრე გვამად, ნეშტად ანდა სულაც ლეშად იქცეოდა. ეს კი იგივეა, პატიმარს სასჯელის მოხდა არ ჩაუთვალონ, ციხის ჟურნალში გამოგვრჩა შენი გვარიო. როგორია? არც იმას ჩაეთვლებოდა ეს ცხოვრება, ანუ ყველაფერი ის, რისი გულისთვისაც, რის გამოც, რითაც უნდა მომკვდარიყო. ასე კი იმიტომ მოხდა, სხვანაირად რომ წარმოიდგინა რაღაცა, ანდა ეგონა, სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო რაღაცა მაინც. მისი ამხანაგები ქალებს დასდევდნენ, იცვამდნენ, იხურავდნენ, ხვალემ იდარდოს ხვალისაო, და რესტორნიდან რესტორანში გადადიოდნენ, როგორც ასაკიდან ასაკში, უფრო სწორად, დროც ფეხებზე ეკიდათ და გარემოც! ეს კი წიგნში მიძვრებოდა, წიგნში ფუტფუტებდა მატლივით, ვიდრე ფსკერამდე არ ჩააღწია, საკუთარი უვიცობა რომ აღმოეჩინა იქ. ასედაც უთხრა წიგნმა: ბრიყვი ხარო, მონა ხარო, მიწა ხარ და მიწად იქცევიო.

— ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას... — ჩურჩულებს სათვალიანი. — აი, რა არის ქრისტე! აი, რატომ აცვეს ჯვარს შენმა მამობილმა და მისმა ერთგულმა ლაქიამ. გესმის? ხომ გესმის? — კი არ ეკითხება, ევედრება გელას.

— არა, არ მესმის! — ბრაზიანად, მაგრამ გულწრფელად პასუხობს გელა.

ჯერ ისიც ვერ მოუნელებია, დედალი რომ დაუძახა წეღან სათვალიანმა, უპასუხოდ რომ დატოვა იგი; მაგრამ მართლა დედლობით კი არ მოუვიდა ეს, უბრალოდ, სათვალიანთან ლაპარაკის ყოველგვარი ხალისი დაეკარგა უცებ. ლაპარაკში რომ აჰყვეს, თვითონაც უნდა ჩაერიოს იმ თამაშში, სადაც ყველა ერთის წინააღმდეგია, ერთი კი — ყველასი. ამ ქოხში თუ ზის, სწორედ იმიტომ ზის, ამგვარი "თამაშიდან" რომ გამოსულიყო, ამგვარი არითმეტიკისთვის რომ დაეღწია თავი, მაგრამ, ეტყობა, აქაც, "უგზოობის ქვეყანაშიც", ამ ყოვლისმომცველი თამაშის წესი წარმართავს ყველაფერს და არა სურვილი; სურვილი ექვემდებარება წესს და არა წესი სურვილს. კარდალში კი ნელა დნება თოვლი. რკინის მძიმე კარდალი თითქოს ცეცხლს აწვება და კარდალის ქვეშ მომწყვდეული ცეცხლი საცოდავად ასავსავებს კიდურებს, რომელიღაც მრავალფეხა არსებასავით; ცდილობს, გამოუძვრეს კარდალის სიმძიმეს. "გაჭყლეტილი ცეცხლი" — ფიქრობს გელა. შიშინებს, ტკაცუნობს, იკლაკნება სახსრებდამსხვრეული ცეცხლი. თოვლით სავსე კარდალს ორთქლი ასდის. წეღან მოლანდებული მამა ახლა ცრემლიან ორთქლში ასვეტილა. გულხელდაკრეფილი დგას. მოღუშული, მოწყენილი თუ გამწყრალი იყურება გელასკენ. გელას რცხვენია, წეღან რომ დაუყვირა, დასცინა, მაგრამ მაინც ჯიუტად უსწორებს თვალს. ჯიუტად კი არა — უტიფრად, რადგან თავს ძლივს იკავებს, ბოდიში რომ არ მოუხადოს ათითორმეტი წლის წინანდელი და, რაც მთავარია, წეღანდელი სიმკაცრისთვის, დაუნდობლობისთვის. ბოდიშის მოხდის სურვილი აიძულებს უტიფრობას. ბოდიში კი არ დააახლოებს, უარესად დააშორებს მამაშვილს; არც მამას გამოადგება რამეში და არც შვილს, რადგან მამამ უკვე დაიჩოქა, ათი წლის წინ ნასვამი დაბრუნდა შინ და გვიან შეამჩნია, შემოსვლისას ცუდად რომ გაეწმინდა ფეხები; ხოლო სხვათა სისუფთავის, სხვათა წესრიგის პატივისცემამ და საკუთარმა მორიდებულობამ, ხათრიანობამ საკუთარი კვალის მოსასპობად დააჩოქა. ალბათ ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული მამობას; ანდა, უნებლიე დანაშაულმა ერთი წამით დაავიწყა, უკვე მამა რომ იყო, ბიჭი რომ ეზრდებოდა, რომე-

ლიც არა მარტო უთვალთვალებდა მის ყოველ ნაბიჯს, სულში იბეჭ-დავდა სამუდამოდ, დაივიწყა და დაიღუპა, რადგან ისეთი ეჩვენა შვილს, როგორიც არ უნდა სჩვენებოდა: დაჩოქილი, საკუთარი კვა-ლის მომსპობი! დაივიწყა და შვილიც დაღუპა, რადგან მისი შვილის სულს კირში ამოთხვრილი მისი ფეხების ანაბეჭდები შერჩა მხო-ლოდ, რისი გადაშლაც აღარც ტილოს შეუძლია, აღარც პარაფინსა და აღარც საღებავს. "ეგდე აქ და ჭამე ნაწყალობევი ხორცი!" — ამ-ბობს ცრემლიან ორთქლში ასვეტილი მამა. შეიძლება, როგორც მა-თი ბოლო გასეირნების დროს, ახლაც თბილისის ზოოპარკში ჩაბე-რებულ ლომს მიმართავს, მაგრამ გელა მაინც თავის თავზე იღებს; ჯერ ერთი, აგერ უკვე რამდენი ხანია, ისიც ნაწყალობევ ხორცს ჭამს; მეორეც ერთი, ძალიან უნდა, მას მიმართავდეს მამა, მისი ბედით იყოს დაინტერესებული, გაღიზიანებული, თუნდაც აღშფოთებული, და არა ლომის, რომელსაც არაფერი სჭირს არც შესაცოდი და არც დასაძრახი, რადგან დაპატიმრებული კი არ არის, შეპყრობილია, და არა სისუსტისა და უმეცრების, არამედ საკუთარი სიძლიერისა და სი-დიადის გამო. "აბა, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?" — პასუხობს მაშინვე, ლაპარაკში რომ ჩაითრიოს, დაატუქსვინოს ანდა დაამშვიდებინოს თავი, რაც, ბოლოს და ბოლოს, ევალება კიდეც იმას, ცოცხალი იქნე-ბა თუ მკვდარი.

— ჩუუუ! — ისევ ასავსავებს ტუჩებთან ხელს სათვალიანი და ისევ კარისკენ ანიშნებს გელას. — რა გახდა? რით ვეღარ მიხვდი? აბა, რისთვის გაჩუქე რევოლვერი? ოღონდ, მარტო მე კი არა, ისინიც, სა-მივენი ერთად... ძილში... რამეთუ უმჯობესი არს, სამი კაცი მოკვდეს ერთისთვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს. შენც ხომ ასე გინ-და? განა ვერ ვხედავ?! შენ გგონია, მართლა მძინავს? საუკუნეა, არ მძინებია. რაც გინდა, უნდა გააკეთო კიდეც, რადგან რაც გინდა, ღმერთისგან გინდა, აღასრულე ნება ღვთისა, შე დედალო, შენა... არა თქვა ახლა, არ მინდაო. აბა, რატომ გვიმიზნებ რევოლვერს? გინდა, მაგრამ ვერ ბედავ. ხომ გინდა? — უარესად იხრება წინ, დაწ-ვრილებული, დაგრძელებული, გაღიმებული, გაფაციცებული.

გელას შიშისაგან კანი ებურძგნება, ყურები უწივის. არ იცის, რა უპასუხოს. ხომ ვერ ეტყვის: ღამღამობით ვთამაშობ, თავს ვიქცევო. ანდა იმას ხომ არ ეტყვის, მოგჩვენებიათ, დაგსიზმრებიათ, არასოდეს მომიშვერია თქვენთვის იარაღიო. გრძნობს, როგორ უხურდება სახე, როგორ წითლდება სირცხვილისაგან, მაგრამ, საბედნიეროდ, სათვალიანი არ ელოდება იმის პასუხს და თვითონვე აგრძელებს:

— არადა, მადლს იზამ. მადლსაც იზამ და კაციც გახდები. ოსანა, რომელი ხარ მღილთა შინა! ასე ხომ არ აპირებ ცხოვრებას? ცხოვრება თუ გინდა, უნდა დაამტკიცო კიდეც, ღირსი რომ ხარ ცხოვრებისა. — სისინებს წინგადმოხრილი, სახედაძაბული. — იცი, რა ქნა შენმა მამობილმა? ხუთი წლის გოგო გააუპატიურა. ხუთი წლის ობოლი. იმედია, გესმის, რას ნიშნავს გაუპატიურება. — ქირქილებს გესლიანად, დამცინავად. თან კარისკენ იყურება. — ხუთი წლის გოგო. ჯერ არც კი ეტყობოდა გოგოობა. ობოლი. შენსავით უპატრონო. იქნება, შვილიც კი იყო, რომელიღაც ბრმა ორმოში ბრმად ჩათესილი. შენ უნდა იძიო იმ ბავშვის შურიც. ასე ინება უფალმა, რადგან ჯერ შენც ბავშვი ხარ, უცოდველი, სუფთა და, ამიტომაც, უფლებამოსილი ჩვენისთანების მოსასპობად, ვიდრე თავად გახდები ჩვენისთანა. გინდაც არ გინდოდეს, ცხოვრება გაგხდის. ჯერ კი უფლებამოსილი ხარ. მხოლოდ შენ და სხვა არავინ. გესმის? მხოლოდ შენ და სხვა არავინ. გამოკარი ეგ ოხერი ჩახმახი. რისი გეშინია? პირველ მოწაფედ დაგსვამენ სკოლაში, სანიმუშო მოწაფედ. უფულოდ გასწავლიან. მადლობასაც გეტყვიან და, შეიძლება, წმინდა გიორგის ორდენიც კი მოგცენ. როგორია? ორდენოსანი მოწაფე. მაჩვენე, რა, მაჩვენე რა... გაწიეთ თქვენი ტურტლიანი ხელები. თუ ასე გინდათ, უნდა ჩახმახის გამოკვრაც შეგეძლოთ. როგორია? შურით დააღებინებ ყველას პირს. ოსანა, ძესა არტისტისასა — ისევ ქირქილებს, პირზე ხელაფარებული. თითქოს წინ კბილები აკლია და უსიამო სიცარიელეს მალავს. — არადა, ჩვენთან ერთად ჩალპები ამ ქოხში. ცოცხლად აქოთდები ჩვენსავით. მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გაგიბედია; ვერ გაგიბედია ის, რაც გინდა, რაც გევალება კიდეც. შენ გგონია, შემ-

თხვევით აგერია გზა? შემთხვევით მოხვედი, მაინცდამაინც, ჩვენთან? შემთხვევით გიპოვა მამობილმა? ღმერთმა მოგიყვანა, ღმერთმა! — ხელს მაღლა სწევს, თავად კი კარისკენ იყურება. — დაგინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, მაშინვე ისა ვთქვი: აჰა, მახვილი უფლისაიმეთქი.

— არაფერიც, — აწყვეტინებს გელა. — არაფერიც! — იმეორებს გაღიზიანებული, თუმცა სრულებითაც არ აინტერესებს, რა თქვა სათვალიანმა, როცა პირველად იხილა იგი, გათოშილი, მშიერმწყურვალი, ყინწმოწყვეტილი. — "ოხრანკა" გეგონეთ. მოვიდა ოხრანკაო, ასე თქვით. მე არც "ოხრანკა" ვარ და არც თქვენი მოკვლა მიფიქრია როდისმე, უბრალოდ...

— მართლა ასე ვთქვი? არ აცლის სათვალიანი. — კარგად მითქვამს. მახვილი ერთია: ერთი და იგივეა. მხოლოდ სახელს გადაარქმევენ ხოლმე. მაგრამ არც ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი, ღმერთის ვალიდან ამოსვლაა, ანუ ნამდვილი, კაცური დანაშაულის ჩადენა. შენც ადექი და დააყენე საშველი. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს. როგორი გასაძლებია, ყოველღამე ყურებზე ხელაფარებული იწვე და ელოდებოდე, აი, ახლა, აი, ახლა, აი, ახლაო...

— მოგშივდათ, ბიჭებო? — ამბობს ბრტყელსახიანი.

ვერც ერთმა ვერ გაიგო, როდის შემოვიდა ქოხში. გასისხლიანებული ხელებით ცხვრის თავი უჭირავს. ცხვრის თავს მაგიდაზე დებს, სათვალიანის წინ, და ცეცხლთან მიდის. "ერიჰა! ჯერ არც გამდნარა ეს ოხერი: როდისღა უნდა ადუღდესო" — დასძახის თოვლით სავსე კარდალს. მერე ნაფოტს იღებს და თოვლში ურევს. დასვრეტილი, ძირგაწყალებული თოვლი დაბლა იწევს და მძიმედ ბრუნავს; ხრაშახრუში გაუდის. "რას შვრები, გაბინძურდა თოვლიო" — უყვირის გელა, გახალისებული, გათავისუფლებული სათვალიანის ხმის ტყეობიდან.

— გაბინძურდაო?! სისხლზე სუფთა რა არის? — იკრიჭება ბრტყელსახიანი. — ორორი პეშვი დავლიეთ წეღან. ჯანში წავიდა. — კბილები მართლაც ჩაწითლებული აქვს ცხვრის სისხლით. — სისხლი დიდი ძა-

ლაა. მე ისეთ ციხეებშიც მოვხვედრილვარ, სადაც მარტო სისხლი ფასობს; მარტო სისხლზე თამაშობენ ერთმანეთში. გვერდზე ქილა გიდგას. წააგებ, გადაიხსნი ძარღვს და გადაუვსებ მოგებულს. არც ფული გადის, არც ოქრო და ბრილიანტი. მოიგებ — გასძლებ. წააგებ და კარგად მეყოლე, მოიკითხე ჩვენიანები. იცოდით, ჩვენს პირისზიარებას ცოლშვილი რომ ჰყოლია? — თავს იქნევს კარისკენ. — მააააშ. — აგრძელებს თვითონვე, რაკი არავინ პასუხობს, გასისხლიანებულ ნაფოტს ცეცხლში აგდებს და ქოხიდან გადის.

ცხვრის თავი მაგიდაზე დევს. დაკრეჭილ კბილებში ენის წვერი მოუქცევია და თეთრი, გაშეშებული თვალებით იყურება. სისხლიანსა და ბინძურ ბეწვზე აქაიქ, თოვლის ბრჭყვიალა, ქვადქცეული ბოლქვები აჰკვრია. ცოცხალი ცხვარი წამომდგარა და კუთხეში მიყუჟულა. "ბეეე, ბეეე, ბეეე"... — ხავის კიდევ ერთი თანამოძმის სიკვდილით თავზარდაცემული. სათვალიანი ცხვრის თავს მისჩერებია და მაგიდის კიდეზე ჩამოწყობილ თითებს მოუსვენრად ათამაშებს, თითქოს კლავიშებზე ერთი და იგივე ბგერა გამოჰყავს ჯიუტად, გელას ჯიბრით, რადგან გელა დაძაბული ელოდება, როდის დაილაპარაკებს ისევ; ელოდება, რადგან აღარ უნდა იმისი ხმის გაგონება, აღარ შეუძლია; შეიძლება, ვეღარ შეიკავოს თავი და მართლა გაუხვრიტოს შუბლი; თუმცა, ასე იმიტომ ფიქრობს, ასე რომ ვერ მოიქცევა; საერთოდ რომ არ იცის, როგორ მოიქცეს, როგორ ილაპარაკოს ამ კაცთან. საკუთარი უმწეობა აღიზიანებს, რაც, კი არ აშორებს, უფრო აახლოვებს იმასთან, მაგრამ, ამავე დროს, პატივისცემის, მოკრძალების გრძნობასაც უსპობს, ყველა უმცროსს რომ უნდა ჰქონდეს ყველა უფროსის მიმართ; უნდა ჰქონდეს, მაგრამ უმცროსის ბრალია თუ უფროსისა, ჯერჯერობით, მხოლოდ პირიქით ხდება. "ვეღარასოდეს ვეღარ გავაღწევ აქედანო" — ფიქრობს დამფრთხალი, დაბნეული, შეურაცხყოფილი და ისევ ეჭიმება ტუჩები, ისევ უცახცახებს დანაოჭებული ნიკაპი. "მე რომ თქვენი მოკვლა მინდოდეს, მოგკლავდით კიდევაცო" — ამბობს უცებ და თვითონაც წინ იხრება, სათვალიანისკენ,

თითქოს თვალიც უნდა მიადევნოს საკუთარ ნათქვამს, ნახოს, როგორ იმოქმედებს იგი სათვალიანის სახეზეც.

— ერთი იცოდე, — ამბობს სათვალიანი. — შენ ჯერ არაფერი დაგიშავებია ისეთი, რისი პატიებაც არ შეიძლებოდეს, მაგრამ ყველა თავზე დაგაჯდება, ის შენი ბატონი პოლიცმეისტერი იქნება თუ სხვა, ვიდრე მართლა ისეთ რამეს არ ჩაიდენ, რისი მიტევებაც ძნელია. არ შეიძლება. მე ჩემი გითხარი. დანარჩენი შენ იცი. შენს სინდისზე იყოს. — კბილს კბილზე აჭერს და ყბებზე კუნთები ებერება. ისეთი საცოდავი, ისეთი შეწუხებული სახე ადევს, გელა უნებურად თვალს არიდებს. წესიერად არც გაეგება, რას ეუბნება სათვალიანი, მაგრამ მაინც აძრწუნებს იმისი ლაპარაკი. "თვითონაა დედალიო" — ფიქრობს საკუთარი შიშის მისაჩქმალად. "თქვენ თვითონა ხართ დედალი" — ამბობს ხმამაღლა და უკვირს, რადგან სრულებითაც არ აპირებდა ხმამაღლა ამის თქმას. მაგრამ, იმავე წამს, მისთვისაც მოულოდნელად, იქამდე განუცდელი სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა ეუფლება უცებ: პირველად ეუბნება თავის სიცოცხლეში, არა საკუთარ თავს, მეორე კაცს, თანაც მასზე უფროსს, მშიშარა ხარო, და არა ჯიბრით, იმ მეორე კაცის აბუჩად აგდების მიზნით, არამედ იმიტომ, ასევე პირველად თავის სიცოცხლეში, თვალები რომ ეხილება ნამდვილი შიშის, შიშის კი არა, ნამდვილი სილაჩრის დასანახად. — ლაჩარი ხართ — რაღაცნაირად გახალისებული, არ აგვიანებს ამ ახალი აღმოჩენის გამომჟღავნებასაც.

— ვარ. — მაშინვე ეთანხმება სათვალიანი. ყველაფერზე თანახმაა, რაც კიდევ უფრო ამაზრზენს გახდის ბავშვის თვალში, რომელსაც აშკარად ფეხებზე ჰკიდია იგი, არც მისი მსაჯულია და არც მისი გამკითხავი. — ვარ. — იმეორებს სხარტად, როგორც მოსწავლე ანდა პატიმარი სიის ამოკითხვისას. — ამასაც მოვითმენ, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა. მაგრამ შენ რაღა გამოდიხარ? აბა, დაუკვირდი. უსინდისო. პატარა უსინდისო. ჩემთვის მოკვდიმეთქი, რომ მეთხოვა, მაშინ რაღას იზამდი? სიმართლე თუ გინდა, შენ ჩვენზე უარესი გველი იზრდები. კაცს ან თავის მოკვლა უნდა შეეძლოს, ან სხვისი მოკ-

ვლა, ან სხვისთვის სიკვდილი. შენ კი სუფთა გინდა დარჩე, დედიკოს ბიჭუნა... ყურის აწევა არ გსიამოვნებს, მაგრამ სხვას რომ ლაყუჩები აქვს ახეული, არაფრად მიგაჩნია, ტყვიაც არ გემეტება იმისთვის. ჩახმახის გამოკვრაც გეზარება, ბოლო რომ მოუღო იმის ტანჯვაწვალებას. დიახაც რომ ლაჩარი ვარ, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამდი. მაგრამ არა მგონია, ისინიც ჩემსავით გაგიჩუმდენ. — თავს იქნევს კარისკენ. — როცა გაიგებენ, რევოლვერს რომ უმიზნებ მძინარეებს. არა მგონია, ღმერთირჯული, არა მგონია. — ქირქილებს კამათში გამარჯვებული კაცივით.

— თოვლი გადნა, — ამბობს გელა. — თოვლი გადნა.

სათვალიანი გაოცებული უყურებს. უარესად დაძაბვია სახე. უარესად დანაოჭებია თვალებს ირგვლივ გაფერმკრთალებული კანი. გელა გრძნობს მის მზერას. მაგრამ ჯიუტად არ იყურება მისკენ. მოსწყინდა. აღარ უნდა საუბრის გაგრძელება, თითქოს სილაჩრე გადამდები სენი იყოს, და თითქოს ხმითაც შეიძლება გადაედოს. კარდალის შავი მუცლით გაჭყლეტილი ცეცხლი გამწარებული იბრძვის — უაზროდ, ალალბედზე, გელასავით. დაძაბულობისგან ერთიანად ცახცახებს. კარდალი კი აინუნშიც არ აგდებს იმის გაწამაწიას — მკვრივი, მყარი, პირქუში, ორთქლიანი, მსუყე წვეთები შეფრქვევია, თითქოს რკინაში გამოუჟონავს თოვლის ცრემლს. გელა ცეცხლს უყურებს და მოუთმენლად ელოდება სათვალიანის ხმის გაგონებას, რადგან ტანი უგრძნობს, სწორედ ახლა ეტყვის სათვალიანი იმას, რისიც ყველაზე მეტად ეშინია, და რისი მოსმენაც ყველაზე ნაკლებად ამ კაცისგან უნდა. ისევ თავისთავად ეჭიმება ტუჩები. ისევ უცახცახებს ნიკაპი. ისევ შფოთავს, წრიალებს მისი ჭეშმარიტი, ძალით მიჩქმალული, ძალით უარყოფილი ბუნება და უფრო ადრე უვარდება ნერვიული სიცილი, ვიდრე ბოლომდე აღიქვამდეს სათვალიანის ნათქვამს. “ჩვენს შორის მაინც შენა ხარ ყველაზე უბედურიო” — ეუბნება სათვალიანი; ის კი იცინის, იცინის, თითქოს სიცილით ჩაახშობს დაუნდობელ სიმართლეს, თანაგრძნობის ნიღაბი რომ აუფარებია, რათა უფრო თავისუფლად ჩამოადოს მხარზე თავისი მძიმე, დამ-

თრგუნველი მარჯვენა, უფრო იოლად დააჩოქოს საკუთარი თავმოყვარეობის, სიმტკიცის, სიჯიუტის კუბოსთან.

— შენ ჯერ დასაკარგიც არაფერი გაქვს, — აგრძელებს სათვალიანი ცხარედ, თითქოს ანეკდოტს ყვება და კი არ უშლის, უარესად აქეზებს მსმენელის სიცილი. — შენ ჯერ თვალიც არ აგხელია. ორმოცი წელი ბრმად უნდა იხეტიალო უდაბნოში. ჯერ არაფერი გაგეგება, რადგან რაც იცი, მხოლოდ უფროსების ნაამბობით იცი. შენთვის ჯერ კიდევ საკითხავია, არსებობს თუ არა აღთქმული ქვეყანა. უდაბნოს კი გაჩენის დღიდანვე იცნობ. საკუთარ თავზე გიწვნევია იმისი სულისშემხუთავი სიცხეცა და ძვლების დამბზარავი სიცივეც. მრავალგზის გაგბერვია მუცელი შხამიანი წყლით და მრავალგზის ამოგირწყევია უვარგისი საჭმელი. შენ ხომ ნამდვილი პურისა და წყლის არსებობაც ზღაპრად გაგიგონია?! ამიტომ, სულერთია, საით წაგიყვანენ, წინ თუ უკან; თავის დასაცავად გიჭირავს მახვილი თუ თავის მოსასპობად. იცინე, იცინე, იცინე, საბრალო მონავ.

— რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამოდგა. — ამბობს აირწინაღიანი. გატყავებული ცხვრის ნახევარი თვითონ უჭირავს, ნახევარი — ბრტყელსახიანს. ორივეს ერთნაირად დასწითლებია თოვლით დაბანილი ხელები. — რაღას უყურებ, დაკეპე. — ეუბნება ბრტყელსახიანს. თავის ნახევარ ცხვარს კი ჭერში კიდებს კაუჭზე, მუხლში გადაჭრილი უკანა ფეხით. — ციხეში ერთი ნამინისტრალი იჯდა ჩემთან, დილიდან საღამომდე გაუთავებლად ლაპარაკობდა, შენსავით. პირს თუ არ ავუკრავდით, ისე არ გაჩუმდებოდა. სანამ ქრთამს არ ვიღებდი, დამცინოდნენ, ავიღე და დამიჭირესო. არც დღე გვქონდა მოსვენება, არც ღამე. სულერთი იყო, ვუსმენდით თუ არ ვუსმენდით. მე რომ ინგლისელების აგენტი ვიყო, თქვენთან როგორ გამაჩერებდნენო. აგენტობისა რა მოგახსენო და, ფუშიანი კი ნამდვილად იყო. შენც ფუშიანი ხომ არა ხარ, ჰა? — ეუბნება სათვალიანს და იმის გვერდით ჯდება. ტუჩებზე შეკავებული ღიმილი დასთამაშებს. თან დაწითლებულ ხელებს ისრესავს, ითბობს. — ჩემს წამალს ჯერ ძალა არ დაუკარგავს და არც მარტო ქალებს უხდება, რომ იცოდე. —

ახლა ერთმანეთზე უპარტყუნებს გაშლილ ხელებს, თითქოს ტაშით აჯილდოებს საკუთარ ხუმრობას. ფეხით დაკიდული ნახევარი ცხვარი კაუჭზე ტრიალებს. ალაგ ვარდისფერსა და ალაგ ჩალურჯებულ ხორცს თეთრი, სიფრიფანა, ქაფივით დაბუშტული აპკი გადაჰკვრია. სიგრძეზე გაჩეხილ ხერხემალს ძვლის წვრილი ნამსხვრევები და შედედებული სისხლის ნაფლეთები შერჩენია. ქოხი ხორცის სუნით იჟღინთება. ნახევარი კისრიდან ჯერ ისევ წვეთავს სისხლი. ერთი წვეთი მაგიდის კიდეზე ეცემა, მომდევნო — იატაკზე. — რაო? რა მინდაო? — ეკითხება გელას.

გელა არ პასუხობს, თითქოს შეკითხვა არც გაუგია. საბედნიეროდ, აღარც აირწინაღიანი აცივდება. კარდალში წყალი უკვე ბუყბუყებს, ხორცის ნაჭრებს ატრიალებს. კუთხეში მიყუჟული ცხვარი დაძაბული, დაეჭვებული იყურება კაცებისკენ. ბრტყელსახიანს ობით გამომწვანებული, მწყემსების დანატოვარი ქაფქირი უჭირავს ხელში. მაგიდის კიდეზე სისხლის პატარა გუბე ბზინავს. ზუსტად ისეთივე გუბეა იატაკზეც, მაგიდის ფეხთან. გათიშული ტყუპები სევდიანად ბზინავენ უერთმანეთოდ. კაუჭზე დაკიდული ნახევარი ცხვარი აღარ ტრიალებს. დაამთავრა, ბოლომდე ამოწურა ცხოვრება. კარდალიდან ამომავალ ორთქლს სასიამოვნო, მადისაღმძვრელი სუნი დაჰკრავს. რაღაცნაირად ჩამყუდროვებულა, ჩაწყნარებულა, დამშვიდებულა ყველაფერი. კარდალის ოხშივარში, ერთი წამით, ისევ კრთება მამა; შეუკრავ ზონარს მიითრევს. აირწინაღიანს წიგნები წინ დაულაგებია, მაგიდაზე. აირწინაღის მოფუშული ჩანთა ისევ მხარიღლივ ჰკიდია. “წავიკითხო თუ წაიკითხავ?” — ეკითხება სათვალიანს. “ჯერ სათვალე დამიბრუნე”, — გაბუტული ბავშვივით ბურდღუნებს სათვალიანი. “უი, სათვალე! კიდევ კარგი გამახსენე. შენ ისა თქვი, თოვლში თუ წამომვარდა. — გახუნებულ ტილოს ჩანთაში იქექება. — არა. აქ არის. ბედი გქონია! — ჩანთიდან სათვალე ამოაქვს, მაგრამ თითქმის მაშინვე უკანვე აბრუნებს. თითქოს თავისი საკუთრება მოიძია და დამშვიდდა. — მოიცა, ჯერ პური ვჭამოთ და მერე. ჭამის დროს რომ ყბედობენ, კუჭი მიპატარავდება. ისევ მე წავიკითხავ”. სათვალიანს სათვალის

ჩამოსართმევად გაშვერილი ხელი ჰაერში უშეშდება. აირწინაღიანი იცინის და თვალს არიდებს. “სადილის წინ ვინ გესიამოვნებათ, მილედი, ემმა თუ... სულ მავიწყდება, რა ჰქვია იმ შობელძაღლს. რა ჰქვია იმ გოგოს, დომენტი? შენ გეხსომება, წუწკი კაცი ხარ”, — ეძახის ბრტყელსახიანს. “აბა, რომელს?!” — იღრიჭება ბრტყელსახიანი, კარდალთან დაყუდებული, სურნელოვან ორთქლში გახვეული, ქაფქირმომარჯვებული. მშვენივრად იცის, ვისზედაც ეკითხებიან, ყოველდღე ასეა, მაგრამ აირწინაღიანს იწვევს ბილწსიტყვაობაში, მოსწონს იმისი უხამსი ლაპარაკი; გემრიელად, მარილიანად იტყვის რამეს. “აი, მამამ რომ გადააყუდა ტყეში”... — ახსენებს აირწინაღიანი. “ჯანდაბას იმის თავი!” — უარესად იღრიჭება ბრტყელსახიანი.

— შენ ბიჭი გყავს თუ გოგო? — ეკითხება სათვალიანი აირწინაღიანს.

მოულოდნელი შეკითხვა აირწინაღიანს ერთი წუთით აბნევს, აოგნებს. რამდენჯერმე იფურთხებს ცერა თითის მსუქან ბალიშზე, წიგნის გადაფურცვლა კი ავიწყდება. ხან სათვალიანს ამოხედავს, ხან ბრტყელსახიანისკენ აპარებს თვალს, თითქოს იმ გზას ადგენს, აზუსტებს, მისმა საიდუმლომ რომ გაიარა უიმისოდ; თითქოს არ იცის, რა სჯობია: მოუყრუოს შეკითხვას, არ ჩათვალოს სათვალიანი პასუხის ღირსად, თუ გამოამჟღავნოს კიდევ ერთი საიდუმლო, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ყველაზე მტკივნეულ, ყველაზე დამალულ, ჩირქით გაძიძგულ მუწუკზე რომ დაადგეს ფეხი. “შენ რა იცი, მე რომ შვილი მყავს?” — ამბობს ბოლოს, ფრთხილად, შემპარავად, გაუბედავადაც. იძულებულია, ჩაახველოს, ათრთოლებული, ძალმილეული ხმა დაიმორჩილოს. სათვალიანს მიმართავს, თუმცა ბრტყელსახიანს უყურებს, ბრტყელსახიანს ბურღავს ჯერ კიდევ მომღიმარი თვალებით: ჯერ კიდევ იმედი აქვს, ბრტყელსახიანი ანიშნებს რამენაირად — არ გამიყიდიხარ, არ წამოეგო ანკესზე, შენი გამოტეხა უნდა სათვალიანსო; ნირწამხდარი, შემცბარი ბრტყელსახიანი გამალებული ურევს ქაფქირს აბუყბუყებულ კარდალში, ვითომ თავისი საქმითაა გართული და სხვა არაფერი ეყურება. “რა ენა ჩაგივარდა! ბიჭია თუ

გოგო? — არ ეშვება სათვალიანი აირწინაღიანს, სასაცილოდ, ყვინჩილასავით აფოფრილი, ატაცებული, ტუჩებათრთოლებული. სათვალე გინდაც დაუბრუნონ, მაინც ვერაფერს დაინახავს ალბათ, ისეა საკუთარი სითამამით შეპყრობილი, დაბრმავებული. საერთოდ აღარ ადევს ფერი. მხოლოდ ყურები უბრიალებს წითლად. “ბიჭია თუ გოგო. ბიჭია თუ გოგო. ბიჭია თუ გოგო?” — იმეორებს გიჟივით. “რამდენი მოგცეს, ბიჭო?” — ღვარძლიანად ცრის კბილებში აირწინაღიანი. ბრტყელსახიანს მიმართავს, მაგრამ იმდენი სიძულვილი, იმდენი ღვარძლი და რისხვაა მის ხმაში ჩატეული, უნებურად, გელასაც ებურძგნება ხორცი. განძრევისაც კი ეშინია; კი არ ეშინია — არ შეუძლია, თითქოს თოკით დაუბამთ სკამზე, პირში კი ჩვარი ჩაუჩრიათ. და ზის ასე: უსუსური, უმწეო, უმნიშვნელო; არაფრის შემძლე; არაფრის მაქნისი. “მე დღეს მოვკვდები”, — მოულოდნელად იბადება მის გონებაში ცივი, ხორკლიანი, მაგრამ გადამრჩენელი, სასიამოვნოდ შემაძრწუნებელი ფიქრი. “მედღესმოვკვდებიმედღესმოვკვდებიმედღესმოვკვდები”, — ზედიზედ იმეორებს გუნებაში, ერთსა და იმავეს, როგორც გვირაბი — მატარებლის ბორბლების დგანდგარს. ჯიუტად, გაუაზრებლად ებღაუჭება ამ ფიქრს, ამ ფიქრში ზის, როგორც მატარებელში და ბათუმისკენ მიქრის, ნატოსკენ! სარკმელში განვლილი ცხოვრების ნაფლეთები ელავენ და ქრებიან მატარებლის საწინააღმდეგო მიმართულებით. ჩაიქროლა მამის კუბომ, დედის გამეხებულმა სახემ, შავად გაზინთულმა რეზერვუარებმა, ნურიის აყაყანებულმა ბაზარმა, ფრანგების ეკლესიამ... ნატო კი არ ჩანს, არ ჩანს, რადგან მატარებელი ბათუმის სადგურში კი არ ჩერდება, ისევ აქ დგანდგარებს, კედლებგამომპალ ქოხში, გელას გონებაში, კარდალის ოხშივარში, მოხარშული ხორცის, მოხარშული სისხლის, მოხარშული ძვლის სუნში, ნელნელა რომ იზრდება, ღონიერდება და საგუბარიდან თავდაღწეული წყალივით შლის და არღვევს ყველაფერს; ამ სუნის ზვირთებში ბრუნავენ უთავბოლოდ: სახეები, საგნები, ხმები, როგორც ხორცის ნაჭრები მდუღარეში, წონადაკარგულნი, წონასწოროობიდან გამოსულნი, ჩასახარშად, ჩასანთქმელად განწირულნი. ცალ-

კეული, ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი სიტყვები იბურცებიან, ბუყბუყებენ და სკდებიან ამ უცნაური მდინარის ზედაპირზე, დამხრჩვალთა უკანასკნელი ამონასუნთქივით, უკანასკნელი სულივით. მამაც აქ არის; ოღონდ მდინარიდან მარტო ხელებიღა მოუჩანს, მაჯებს ზემოთ; სანახევროდ მოღუნულ თითებს თითქოს რაღაც მრგვალი, უჩინარი საგანი უჭირავთ. გელა თავს არატრატებს, ეს შემზარავი ჩვენება რომ მოიშოროს, და მაშინვე უბრუნდება მხედველობა. სათვალიანი ფეხზე წამომდგარა. გაფითრებული, თვალებგადმოკარკლული, სასულეში ლუკმაგაჩხერილივით აბჩენს პირს; მაცოცხლებელ, არარსებულ ჰაერს დაეძებს პირით. აირწინაღიანი რქებში ჩაფრენია ცხვრის თავს, ისიც გაფითრებული, ისიც თვალებგადმოკარკლული, ისიც არარსებული ჰაერის მაძიებელი. თითქოს იმათაც, ეს წუთია, ამოუყურყუმალავებიათ ბნელი, უძირო მორევიდან. ცხვრის თავი გალურჯებულ ენას უყოფს გელას და მაგიდაზე სისხლის ფართო, მბზინავ ზოლს ტოვებს; მერე მძიმედ, ზანტად მიფრინავს, როგორც ბუ დღისით, და რქებით გულმკერდში ეხეთქება სათვალიანს, ცხვრის სადგომისკენ მიდენის, სადაც თვითონაც იდგა ამ ერთი საათის წინ და სადაც მისი ერთადერთი თანამოძმე გამწარებული არახუნებს თავს ქოხის გამომპალ მორებზე. სათვალიანი ბინძურ თოკს აწყდება და თოკს იქით, ცხვრების დანატოვარ წუმპეში ვარდება. ერთი ფეხი თოკზე აქვს ჩამოდებული, ხელებით კი გაგიჟებულ ცხვარს ებღაუჭება. ბეეე, ბეეე, ბეეე, — ბღავის თავზარდაცემული ცხვარი. სათვალიანი ფართხალებს. ციგურებზე პირველად შემდგარი კაცივით, ვერაფრით ვერ მოუყრია თავი საკუთარი ფეხებისთვის. ბოლოს ნელა, გაუბედავად იმართება ფეხებზე. აქოთებულ წუმპეში ამოთხვრილი ხელები განზე უჭირავს. პატარა, მაგრამ ბრაზიანი ნადირივით აბურძგნულა, ჩიხში მიმწყვდეული, გზამოჭრილი, აღსასრულის შეგრძნებით გამძვინვარებული, გაძლიერებული. უსაშველოდ გადიდებული თვალებიდან ცეცხლს აკვესებს; კბილები დაუკრეჭია. ცხვარი კი შფოთავს, წრიალებს; შარდში აზელილ კურკლზე იმასაც უსხლტება ფეხი და ქოხის დამპალ მორებზე არახუნებს თავს.

“გააჩუმეთ. გააჩუმეთ. თორემ მოვკლავ!” — ღრიალებს ქალთა მკურნალი და გელას სმენაც ეხსნება; მხოლოდ მაშინ სწვდება სათვალიანის ხმა. სათვალიანი ჩქარჩქარა, სულის მოუთქმელად ლაპარაკობს, მაგრამ ყოველ სიტყვას გარკვევით, მკაფიოდ გამოთქვამს: წარღვნა, მიწისძვრა, ხანძარი მხოლოდ იმას ანგრევს, რისი აღდგენაც კიდევ შეიძლება. შენ კი მატლი ხარ რწმენისა, იმედისა, აზრისა, ოცნებისა... და მაშინ გამოდიხარ ჭუპრიდან, როცა ქვეყანა ნანგრევებშია ჩამარხული, როცა ქვეყანა უპატრონო ბავშვთა თავშესაფრადაა ქცეული და შენს მატლურ ჟინს გამკითხავი არა ჰყავს, თავისუფლად დაბოგინობს ობლის საწოლში, პირზე ბალიშდაფარებული ობლის სხეულზე, რათა ტლანქად, დაუფიქრებლად, დაუნანებლად მიასრისოს იგი საწოლზე, ტალახიანი ფეხის ანაბეჭდივით შეატოვოს იმისი ჯერ კიდევ კვირტგაუშლელი სიცოცხლე ნაცრისფერსა და ნესტიან ზეწარს, ჯერ კიდევ ბრმა, გულუბრყვილო, რომელმაც სიკვდილის წინ მამა დაგიძახა და რომელიც ნებისმიერ უცხო კაცს უმალ მამად ჩათვლიდა, ვიდრე... უცებ სათვალიანი მთელი ძალით აწყდება კედელს და აქოთებულ წუმპეში ამოსვრილ ხელებს, იქამდე განზე რომ ეჭირა, სახეზე იფარებს. სროლის ხმა მერე ესმის გელას, როცა სათვალიანი უკვე მუხლებზე დგას, სახეზე ხელებაფარებული. სროლის ხმა თითქმის მაშინვე მეორდება და ამჯერად, არათუ შიში, არათუ გაკვირვება, ყველაფრისგან გამათავისუფლებელი, ყველაფრისგან გამომთიშველი სიმშვიდე ეუფლება გელას. გულგრილად უყურებს, როგორ უშეშდება თანდათანობით თვალები აირწინაღიანს, როგორ ამაოდ ცდილობს, მოებღაუჭოს მაგიდას, თავი შეიმაგროს სკამზე, რადგან ჯერ კიდევ არ იცის, რომ მკვდარია, ჯერ მხოლოდ სათვალიანი ჰგონია მკვდარი და არაფერი არ არის ამაში გასაკვირი, რადგან თვითონვე ესროლა სათვალიანს, იგრძნო კიდეც, როგორ დაეძგერა სათვალიანს მისი რევოლვერიდან გამოვარდნილი ტყვია, მაგრამ ამას რატომღა ექაჩება მიწისკენ სხეული? რა მოხდა? “გამაგებინეთ, რა მოხდა?” — ჰკივიან მისი გაშეშებული თვალები. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: თივა შეჭამა თხამ, თხა შეჭამა მგელმა,

რომელიც ახლა გელასაც შეახრამუნებს და ტყეს მიაშურებს, თუკი გელამ არ დაასწრო და სათვალიანის ნაჩუქარი რევოლვერით თავი არ დაიცვა, ანუ იმას არ გაუხვრიტა თავი. მაგრამ გელას არც ახსოვს, რევოლვერი რომ უდევს შარვლის სარტყელში, გინდაც ახსოვდეს, მაინც არ ჩაერევა ამ სისხლიან თამაშში, რომელიც უიმისოდ დაიწყო და უიმისოდ უნდა დამთავრდეს. ის მხოლოდ მაყურებელია, თანაც გულგრილი; არც პიესა მოსწონს, არც მსახიობთა თამაში; მშვიდად ელოდება სპექტაკლის დამთავრებას და მისთვის სულერთია, როგორ დამთავრდება იგი. აირწინაღიანი უკვე სანახევროდ გადავარდნილა სკამიდან. აირწინაღის ცარიელი ჩანთა ჰაერში კონწიალობს; ხოლო მისი რევოლვერი ცხვრის სისხლის გუბეში აგდია, მაგიდის ფეხთან; დაუსწრია პატრონისთვის და პატრონს ჯერ კიდევ ჰგონია, კი არ ვკვდები, რევოლვერის ასაღებად ვიხრებიო. მაგრამ უკვე გაქვავებული, უკვე გამოთიშული გონება ისევ უნათებდა ერთი წამით; მაინც ასწრებს მკვლელისკენ გახედვას, გაკვირვებისგან პირის გაღებას და ასე — გაკვირვებული, პირდაღებული, ბრტყელსახიანისკენ კისერმოღრეცილი — ეზანყება მიწაზე. ბრტყელსახიანი კარდალთან დგას; ერთ ხელში ქაფქირი უჭირავს, მეორეში — რევოლვერი, და გელას მისჩერებია გაღიმებული, თითქოს იმის გაუბედაობაზე ანდა გულმავიწყობაზე ეღიმება და კი არ ახსენებს, ელოდება, როდის გაიხსენებს თვითონ, მისი ჯერი რომაა ახლა, იმან რომ უნდა დაუსვას ყველაფერს წერტილი. მაგრამ გელა განა იმათი მსაჯულია? “მე რა შუაში ვარ? რა ჩემი საქმეა? — ფიქრობს მშვიდად, აუღელვებლად. — შემიძლია, მაგრამ არ მინდა. განა, რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს კაცმა?” — ახლა ეკითხება წეღან მოლანდებულ მამას, მაგრამ კარდალის ოხშივარში ბრტყელსახიანი დგას მხოლოდ — მოღიმარი, მომლოდინე. ბეეე, ბეეე, ბეეე... — ხავის თოკზე ყელჩამოდებული ცხვარი.

5

ყველა გოგოსავით, რა თქმა უნდა, ისიც ფიქრობდა ბიჭებზე, სიყვარულზე, გათხოვებაზე... მაგრამ ეს ფიქრები ისევე მოულოდნელად ქრებოდნენ, როგორც იბადებოდნენ, უხორცონი იყვნენ, გაუბედავნი; არც ძალა შესწევდათ, არც უნარი, უფრო მტკიცედ, უფრო საფუძვლიანად მოეკიდათ ფეხი პატარა გოგოს სულსა და გონებაში; თუმცა, მაინცდამაინც არც გოგო ცდილობდა იმათ შემოჩვევას, რადგან არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, ისევე ეცხოვრა, როგორც ცხოვრობდა, ვერაფერს ხედავდა განსაკუთრებულად საინტერესოს, რაღაცის, ახლისა და უცნაურის მაუწყებელს, იმ წამიერსა და ჰაერივით გამჭვირვალე ფიქრებში, რომლებსაც ასევე წამიერი, ასეთივე გამჭვირვალე შეგრძნებების გაჩენა შეეძლოთ მხოლოდ. მაგრამ ეს ფიქრები თავის საქმეს მაინც აკეთებდნენ. უნდოდა თუ არ უნდოდა, ამჩნევდა თუ ვერ ამჩნევდა, გარშემო ყველაფერი იცვლებოდა, უფრო სწორად — იხსნებოდა, ნამდვილ სახეს აჩენდა, რომლის აღსაქმელადაც მარტო თვალი აღარ კმაროდა; კიდევ სხვა რაღაცა იყო საჭირო ჩასაწვდომად, ამოსახსნელად, გასაგებად, უკვე არა ბავშვური, არა გონებისმიერი, არამედ სულისმიერი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად; თუმცა არავინ აძალებდა — ჩაწვდი, ამოხსენი, გაიგეო; იმის სურვილსა და ცოდნაზე იყო დამოკიდებული, უფრო მეტად კი, გამბედაობაზე, რადგან სურვილი თავისთავად არაფერს ნიშნავდა, ხოლო ცოდნას ვერ შეიძენდა, თუკი არ გაბედავდა, თუკი ისევე თამამად არ ჩაყურყუმალავდებოდა მიმზიდველ იდუმალებაში, როგორც ზღვაში; წყალზე მალაყების გადასვლა, ციბრუტივით ტრიალი ანდა უხელოდ ცურვა — ბავშვური თამაშობანი იყო და მეტი არაფერი; ის კი, უკვე სევდიანი სიამაყით, უკვე გაუცხოვებული, უკვე მონატრებული ხალისით ჩაუცუცქდებოდა ხოლმე წინ ბაღში მოთამაშე ბავშვს — ხმელი ფოთლების გვირგვინს გაუსწორებდა, ისეთივე ფოთლების სარტყელს უკეთესად მოარგებდა წელზე და გამომშვიდობებისას ხელსაც მოუთათუნებდა ლოყაზე, როგორც ნამდვილად დიდი ქალე-

ბი იქცეოდნენ. ხოლო იმ დღეს, როცა თავს გამოუტყდა: გელა მიყვარსო, ისიც აღიარა, უფრო ადრე რომ უყვარდა გელა, ვიდრე გაბედავდა... უფრო ადრე, ვიდრე დედამისი გამოეცხადებოდა და ქარაგმულად ეტყოდა, გელა ჩემია, შენ კი არა, მე ველოდები გელასო; უფრო ადრე, ვიდრე პირველად გამოიქცეოდა ციხიდან გელა; უფრო ადრე, ვიდრე პირველად დაიჭერდნენ; უფრო ადრე, ვიდრე ხავერდის ლურჯ შარვალსა და ზოლებიან პერანგში გამოწყობილი მოულოდნელად დაადგებოდა თავზე; უფრო მეტიც: გელა იქამდე უყვარდა, ვიდრე ის თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდოდა და, თუ გნებავთ, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე საერთოდ მოევლინებოდა ქვეყანას. მაგრამ სანამ ამას აღიარებდა, სანამ აქამდე მივიდოდა საქმე, გელა არაფრით გამოირჩეოდა სხვა ბიჭებისგან; ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებდა თავს, რადგან გუმანით გრძნობდა, მთელი მისი მომავალი ცხოვრება გელასთან იქნებოდა დაკავშირებული, როგორც ფოთოლი ხესთან, და მისი ბუნებისთვის დამახასიათებელი, მოჩვენებითი გულგრილობით ცდილობდა, აერიდებინა თავი იმ განსაცდელისთვის, იმ რთული და მძიმე მოვალეობისათვის, რაც თავისთავად დაიბადებოდა და ამოქმედდებოდა კიდეც, როგორც კი ზედმეტად დაინტერესდებოდა გელათი, როგორც კი მის განსაკუთრებულობას იწამებდა, როგორც კი მეტ ყურადღებას გამოიჩენდა მის მიმართ, ვიდრე ათი წლის გოგო ათი წლის ბიჭისადმი იჩენს და არაფერია ამაში არც გასაკვირი და არც საგანგაშო. ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალსა და ზოლიან პერანგში გამოწყობილი გელა, პირველად რომ გამოეცხადა დღეობაზე, თანაც დაუპატიჟებლად (მერე უთხრა მამამ, მე დავპატიჟე, შენი გაფრთხილება კი დამავიწყდაო), ცოტა გაბრაზდა კიდეც; გოგოების შერცხვა, გოგოების მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვისა; მხრების აჩეჩვითა და თვალების გადატრიალებით, როგორც შეძლო, გამოხატა კიდეც, იმათზე ნაკლებად თვითონაც რომ არ იყო გაკვირვებული, მაგრამ, როცა გოგოებს ბიჭებისადმი თანდაყოლილი "მტრობა" დაავიწყდათ და აქეთიქიდან მიესივნენ ისედაც დამფრთხალსა და დაბნეულ გელას (მართლა დი-

დი ქალაქია თბილისი? მართლა დადის თბილისში ტრამვაი?), არც ეს ესიამოვნა, რადგან გელა, ბოლოს და ბოლოს, მისი სტუმარი იყო და არა იმათი, თვითონ იყო აქ მთავარი და არა ისინი; ამიტომაც შემოჰ-კრა პირველმა ტაში, როცა გელამ, ყველასათვის მოულოდნელად — ალბათ მათი კლანჭებიდან თავის დასაღწევად და არა თავის გამოსა-ჩენად, როგორც ზოგიერთებს მოეჩვენათ — განაცხადა: თუ გინდათ, სახურავიდან გადმოვხტებიო; თითქოს გელა მარტო იმისთვის უნდა გადმომხტარიყო სახურავიდან, ანდა ჯერ იმისთვის, როგორც მას-პინძლისთვის, და მერე დანარჩენებისთვის; ამიტომაც შეჰკივლა მარტო იმან, როცა გელას კრამიტი მოუცურდა ფეხქვეშ, და მარტო იმან აიფარა ყურებზე ხელი (ყურებზე და არა თვალებზე), სანამ და-ცურებული კრამიტი უვნებლად, უხმაუროდ ჩაეფლობოდა მიწაში; და, რაღა თქმა უნდა, ამის ბრალია ისიც, გელას ფეხებით გაჩენილ ღრმულებთან რომ მიირბინა, ვიდრე სხვები მოეგებოდნენ გონს, და მაშინვე შიგ ჩადგა, როგორც პატარაობისას დედის სრულსა და მა-ღალყელიან ბოტებში ჩადგებოდა ხოლმე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სიყვარული, თუმცა მისი ტოლი გოგოები უკვე მარტო სიყვა-რულზე ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით გიმნაზიის საპირფარეშო-ში, თითქოს სიყვარულზე საუბრის მოთხოვნილებაც ისეთივე სამარ-ცხვინო და დასამალი მოთხოვნილებაა, რისთვისაც საერთოდ შემო-დიან აქ. “გოგოებო, გოგოებო, რა მოგიყვეთ!” — და ფაცაფუცით, ფხუკუნით, სიცილითა და გადამდები მღელვარებით ყვებოდნენ ოჯახში გაგებულ ჭორებს, არკვევდნენ ცოლქმრულ საიდუმლოებებს, ანდა ახალი სატრფიალო სიმღერის სიტყვებს აზეპირებდნენ ერთმა-ნეთს: დედავ, გამიშვი, ბაზარში წავალ, წამალს ვიყიდი, თავს მოვი-წამლავ; ანდა — ბიჭმა გოგო დაპატიჟა, ჩიტის ბუდე ვიციო... “ასე მღე-როდა, ა! კისერგადაგდებული, თვალდახუჭული. ბიიიჭმა გოგო დაააააპატიჟა... იმსიგრძე თითები ჰქონდა, გიტარაზე კი არ უკრავდა, გულზე მიხიცინებდა თითქოს”. “მერე? მერე როგორ არის? თქვი, დააყენე საშველი!..” — წიოკობდნენ დანარჩენები. “ვეეეერ წამოვალ ბიიიიჭო ტყეეეეში, რაც მომივაااა ვიიიციო... დედაჩემის მეგობრის

საყვარელია. ყველამ იცის, იმის ცოლის გარდა. იმის ცოლს ჰგონია...” “რა მომივაო მაინც? რა მოუვა, გოგოებო, ტყეში?” — იკითხავდა რომელიმე მათგანი და ახლა იმას მიესეოდნენ ყველანი ერთხმად: თავს ნუ იკატუნებ, ბებიაშენი მოატყუეო. თან ცალი ყური კარისკენ ჰქონდათ, დამლაგებელი ქალი არ დაგვადგეს თავზეო: კუდიანი დედაბერი, ულვაშა ალქაჯი. ჯოხზე ჩამოცმულ ტილოს დაათრევდა. ტილო სველ კვალს ტოვებდა ფილაქანზე. გოგოები ტანსაცმლის სწორებას მოჰყვებოდნენ ხოლმე მაშინვე, ის კი, ტილოჩამოცმულ ჯოხს ნახერხის პატარა ბორცვსა და ვედროს შუა ააყუდებდა, ერთს გამოხედავდა კაბების სწორებით გართულ გოგოებს და უხმოდ გადიოდა საპირფარეშოდან. დროც გადიოდა და ყველაფერი იცვლებოდა, ფერმკრთალდებოდა, ანდა ახალ იერსა და მნიშვნელობას იძენდა ისიც კი, რაც უკვე წარსულს ეკუთვნოდა და რასაც თითქოს აღარაფერი ესაქმებოდა დღევანდელთან. პირიქით, დღევანდელი იმდენად იყო აუცილებელიცა და მნიშვნელოვანიც, რამდენადაც ყოფილთან, გარდასულთან აბრუნებდა ჩაწვდომის, ამოხსნის, გაგების ჟინით შეპყრობილი სულის თვალს. დღევანდელი გუშინდლიდან ამოდიოდა, როგორც ბალახი მიწიდან, და სულის თვალსაც, ძალაუნებურად, ხილულზე მეტად უხილავი აინტერესებდა, ის აინტერესებდა, რაც ქმნიდა, წარმოშობდა და განაპირობებდა იმას, რაც დღეს, ამ წუთას, ამშვიდებდა ან აღელვებდა, აშინებდა ან აიმედებდა. “რა იფიქრე, პირველად რომ დამინახეო” — ჩააცივდებოდა ხოლმე გელას, იმიტომ კი არა, უკვე სხვანაირად რომ ფიქრობდა თავად გელაზე, არამედ — ჯერ რომ არაფერი გაეგებოდა სიყვარულისა, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა, დღითი დღე აჩენდა თავის უკიდეგანო სივრცეს, და ისიც, ცუდ მოცურავესავით, წარამარა უკან იყურებოდა, საიმედო, მყარი და, რაც მთავარია, ნაცნობი ნაპირისკენ, საიდანაც ბრმად, ალალბედზე შეეცურა იდუმალი, უძირო და მშფოთვარე გრძნობის ზღვაში. მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვი იყო და უკან მოხედვის ნება ჰქონდა, ჯერ გაუბედაობას შეჰყავდა ზღვაში და არა გამბედაობას, გუმანსა და არა გადაწყვეტილებას. “რა ვიფიქრე? მე რა ვი-

ცი, რა ვიფიქრე". — პასუხობდა გელა, მაგრამ ნატოს კი არ სწყინდა, უკვირდა მეგობრის გულმავიწყობა, და გარეგნულად მშვიდი, ფაციფუცით, მღელვარებით, ჟინიანად დაეძებდა გონებაში ყველაზე მწარე, ყველაზე გესლიან, ყველაზე შეურაცხმყოფელ სიტყვას, გულმავიწყობისთვის, უყურადღებობისთვის რომ დაესაჯა მეგობარი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბავშვობა იყო, ორი ველურის შუღლი, სირეგვნისა და გულუბრყვილობის გამო, ღირსების, პატივმოყვარეობის საქმედ რომ თვლის მწარე, ბანგივით მათრობელა თაფლის ამოღებას დაუნდობელი ფუტკრებით სავსე ფუღუროდან, თანაც სახეზე ბადის აუფარებლად, შიშველი ხელებით. სიყვარული, ჯერჯერობით, გელას დაჩაგვრის, ჯობნის სურვილს უჩენდა მხოლოდ, თვითონაც დამსახურებულად, სამართლიანად, ბუნებრივად რომ ჩაეთვალა მერე ნებისმიერი მარცხი, ტკივილი, როცა სიყვარული სხვის გულში ჩახედვას კი აღარ მოსთხოვდა, არამედ იმისი გულიდან ამოიხედავდა თავად, გამოცარიელებული, სევდიანი, გამაოგნებელი თვალებით, როგორც დილეგიდან — ტუსაღი, აუზიდან — ლომთევზა, თასიდან — შხამი. მოკლედ, როცა სიყვარული, ბრჭყვიალა და სათუთი სათამაშოდან, ისეთსავე ტლანქ, გაუცვეთელ იარაღად იქცეოდა, რომლითაც ქვას ამტვრევენ, ანდა ორმოებს თხრიან.

ბავშვი იყო, მაგრამ გოგო. თანდაყოლილი, მემკვიდრეობით მიღებული დედაკაცური ალღო, გუმანი გაცილებით მალე ზრდიდა, ვიდრე ოჯახი ანდა გიმნაზია. გველივით ბრძენი სხეულით, ჯერ კიდევ გელას დაჭერამდე გრძნობდა, გელას რომ დაკარგავდა. გელას პირველი დაჭერის დღესვე იცოდა, შემთხვევითი, დროებითი რომ არ იყო მათი გათიშვა, განწირული რომ იყო გელა და, აქედან გამომდინარე, თვითონაც — იქამდე, ვიდრე თვალს დაადგამდა გელას, ვიდრე თავისთვის ამოირჩევდა და ვიდრე თავს გამოუტყდებოდა — მიყვარსო, ჯერ თავს და მერე მთელ ქალაქს, რადგან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, ეგონა, რაკი მთელ ქალაქს ეცოდინება ჩემი სიყვარულის ამბავი, ისიც დამითმობს, ისიც ხელს აიღებს გელაზეო. მაგრამ იმან ხელი კი არ აიღო, უარესად ჩააფრინდა; "უყურეთ, ამ კახპასო!" —

მუშტი მოუღერა ქვემოდან, გელას ფეხდაფეხ სახურავზე გასულს, გელას თავით ანგრეულ კრამიტებში გამძვრალს. იქამდეც იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, რადგან იქამდე, არც გელა და არც თვითონ, არაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, ასე რომ არ მომხდარიყო. გელა ისევ გამორბოდა ციხიდან და ესეც ისევ იპარავდა შინ საჭმელს, კიდევ ერთხელ გამოქცეულ გელას დასაპურებლად. გულხელდაკრეფილი, გაბედნიერებული, რაღაცნაირი, გამომწვევი სიამაყითაც დაჰყურებდა ზემოდან, სანამ ის, სკივრზე ჩამომჯდარი, შიმშილს იკლავდა, სულს იბრუნებდა, მშვიდდებოდა და ისევ ადამიანს ემსგავსებოდა. "ვითომ შენი დედიკო ვარო" — ეუბნებოდა ხუმრობით და მაშინვე ქალბატონ ელენეს მომხიბვლელად პირქუში, მომხიბვლელად გოროზი სახე დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ. იმის ჯიბრზე ეუბნებოდა სწორედ, ვითომ შენი დედიკო ვარო, თანაც შემცვლელის მორიდებულობით კი არა, არამედ ახლის, განუმეორებლის ღირსებით, რომელიც ძველს მხოლოდ იმიტომ იშველიებს, თავისი სიუცხოვით, თავისი მოულოდნელობით რომ არ დააფრთხოს ის, ვინც მისი სიახლე და განუმეორებლობა, ადრე თუ გვიან, უნდა იწამოს და აღიაროს კიდეც. არ შეიძლებოდა, არ ეგრძნო საკუთარი უპირატესობა ყველა ქალთან შედარებით. არ მიმხვდარიყო, დედაზე მეტად ის რომ სჭირდებოდა თუნდაც ასეთ გელას, მაგრამ ამის შეგრძნება, ამის მიხვედრა კი არ აკრთობდა, კი არ ადანაშაულებდა უფროსი ქალის წინაშე, რომელსაც გულწრფელად სცემდა პატივს, არამედ კიდევ უფრო აღაგზნებდა თავისი უპირატესობის განსამტკიცებლად და გამოსამჟღავნებლად, როგორც ბავშვებს ემართებათ ხოლმე უფროსებთან თამაშისას, უფროსებზე გაცილებით სუსტად რომ ერკვევიან თამაშის წესებსა და ფანდებში, მაგრამ მაინც უგებენ უფროსებს, რადგან შემთხვევითობისა თუ ბავშვური იღბლიანობის წყალობით უკეთესი კარტი მოსდით. მაგრამ, ჯერჯერობით, მაინც ვერ ჩათვლიდა ნატო თავს მოგებულად; უფროსები ბევრნი იყვნენ და ვიღაცას თუ უგებდა, ვიღაცასთან აგებდა კიდეც. მართალია, მოგება წაგებაზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ წაგება გულში ხინჯს სტოვებდა და თუ ვერ აქრობდა, ყო-

ველ შემთხვევაში, საგრძნობლად ანელებდა საზეიმო განწყობას. რა თქმა უნდა, გელა მხოლოდ თავშესაფარს არ დაეძებდა ნატოს სხვენში; არც მხოლოდ პურისთვის მოდიოდა და არც მხოლოდ გახეული პერანგის ანდა აწყვეტილი ღილის დასაკერებლად — ამას სხვაგანაც მოახერხებდა ალბათ — მაგრამ, სამწუხაროდ, სიყვარულზე არანაკლებ ძლიერი მიზეზიც არსებობდა, ასე, უპატრონო ძაღლივით რომ დაარბენინებდა იმას წინ და უკან, ნატოს სხვენსა და ციხეს შორის. ნატოსაც ვერ გაერკვია, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო გელასთვის; სიყვარული თუ სიმართლე; "სატრფოს" ხილვისა თუ შურისძიების სურვილი. ხოლო გელა ჯერ საერთოდ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან სიყვარულსა და სიმართლეს, "სატრფოსთან" ყოფნისა და შურისძიების სურვილს; ანდა ორივე ერთნაირად სჭირდებოდა ციხიდან გამოსაქცევად, როგორც ორი ფეხი, ორი ფრთა; თითქოს იმიტომ უყვარდა, შური რომ ეძია და იმიტომ ცდილობდა შურისძიებას, რათა ყვარებოდა. დაახლოებით ასე გამოდიოდა მისი ლაპარაკიდან, თუმცა სიყვარულს არც ახსენებდა, სიყვარული მხოლოდ იგულისხმებოდა და ისევ ქალური გუმანის წყალობით ამჩნევდა ნატო, როდის ალაპარაკებდა გელას სიყვარული და როდის შურისძიების ჟინი; ამჩნევდა, მაგრამ სრულებითაც არ მოსწონდა, არ სიამოვნებდა მეგობრის გულის ამგვარი გაორება. შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა თავს, მოტყუებულად, გაწბილებულად, თუმცა გელას არასოდეს შეუფიცია მისთვის სიყვარული, როგორც წიგნებში ხდებოდა და როგორც გიმნაზიელი გოგოები ყვებოდნენ ხოლმე ვიღაცებზე. არასოდეს უთქვამს, შენი გულისთვის ანდა შენი გულისთვისაც გამოვრბივარ ციხიდანო. "მგონი, ის უფრო სძულს, ვიდრე მე ვუყვარვარო" — ფიქრობდა ნატო და, მოთმინებიდან გამოსული, დაუდევრად, უხეშად გლეჯდა ხელიდან თეფშს, თავისი თავი რომ შეეხსენებინა, მაგრამ გელა ვერც იმის სიუხეშეს ამჩნევდა და ვერც იმის მოთმინებას, ერთსა და იმავეს იმეორებდა, ერთსა და იმავეს: ახლა თუ დავთმე, ვერასოდეს ვეღარ დავამტკიცებ ჩემს სიმართლესო. ნატო უკვე სიყვარულის ტყვე იყო და საღად განსჯის უნარი აღარ ჰქონდა; თავკერძა

გაეხადა სიყვარულს და ვეღარავინ დააჯერებდა, ვინმე თუ წუხდა, ვინმე თუ იტანჯებოდა, ვინმეს თუ სტკიოდა მასზე მეტად და ვინმე თუ ერკვეოდა მასზე უკეთესად ამ წუხილში, ტანჯვასა და ტკივილში; ანდა ვინმე თუ იმსახურებდა უფრო მეტ ყურადღებასა და თანაგრძნობას, ვიდრე თვითონ. ბოლოს და ბოლოს, ამდენ ლაპარაკსა და სირბილს, მოეკლა გელას თავისი მტარვალი და ერთხელ და სამუდამოდ გათავდებოდა ყველაფერი, თვითონაც მოისვენებდა და ნატოც. აი, სადამდე იყო უკვე მისული, უფრო სწორად, რისთვის იყო უკვე მზად, თუმცა თვითონ ჯერ არ იცოდა, ჯერ ცოდნად არ ქცეულიყო ის უსახელო, უჩვეულო შეგრძნებები, ის ბუნდოვანი, ბნელი, სინდისის მქენჯნავი მოთხოვნილებები, ოთხივე მხრიდან თავს რომ ესხმოდნენ, როგორც აღელვებული ზღვის ტალღები კუნძულს, და ჯერ მხოლოდ ნედლ მასალას წარმოადგენდნენ ფიქრის იმ უზარმაზარი ქარხნისთვის, რომელსაც ერთადერთ მუშად უნდა დასდგომოდა თავად და რომელშიაც თანდათანობით უნდა აწყობილიყო, თანდათანობით უნდა მიეღო თავისი შემზარავი სახე თვითსაგვემ, თვითსაწამებელ მანქანას, იმასაც სიყვარული რომ ჰქვია სახელად, მაგრამ არა ზოგადად სიყვარული — საერთო, საყოველთაო გრძნობა, ყველა ერთნაირი აღტაცებით რომ ელტვის, როგორც ზღვას დამსვენებელი — არამედ შენი, პირადად შენი სიყვარული, ანუ ის უმცირესი ნაწილი ზღვისა, რომელიც მხოლოდ ერთი კაცის დასახრჩობადაა საკმარისი. მაგრამ, ჯერჯერობით, იმდენივე გაეგებოდა სიყვარულისა, რამდენიც ჩიტს — კაკანათისა. უბედური ვარო, ჯიუტად უმეორებდა თავს, რადგან ბედნიერი იყო; უბედურად მოჰქონდა თავი, რათა ბედნიერება დაემალა და გამწარებული სცემდა კლავიშებს, აკვნესებდა, აკივლებდა, აღრიალებდა. იმის წარმოდგენა ზარავდა, ხომ შეიძლება, გვერდი აევლო ჩემთვის ამ უბედურებასო; მხოლოდ იმაზე სწყდებოდა გული, მის სიყვარულს არც აღმწერელი ეყოლებოდა და არც წამკითხველი, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა, არავინ რომ არ ყოფილა მასავით შეყვარებული, მასავით უბედური, მასავით ბედნიერი, მასავით უბედურბედნიერი ერთდროულად. და რაკი სხვანაირად ვერ გა-

მოეხატა თავისი განსაკუთრებულობა, იჯდა და უკრავდა, აგუგუნებდა პიანინოს მშობლების ჯიბრით, ქალბატონი ელენეს ჯიბრით, წიგნებში აღწერილი ქალების ჯიბრით, მთელი ქვეყნის ჯიბრით. საკუთარი ბედნიერების შეგრძნება აუბედურებდა და საკუთარი უბედურების წარმოდგენა აბედნიერებდა. თუმცა ირგვლივ არაფერი არ იცვლებოდა, ყოველი დღე ერთნაირად თენდებოდა და ერთნაირად ღამდებოდა. გელას მოულოდნელი გამოცხადებებიც იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, საფრთხისა და შეშფოთების ნაცვლად, გარდუვალობისა და აუცილებლობის შეგრძნებას უჩენდნენ; როგორც ზამთარს ყოველთვის გაზაფხული მოსდევს, ასევე მისი მოლოდინიც ყოველთვის გელას გამოცხადებით მთავრდებოდა, მაგრამ ბუნებისგან განსხვავებით, ნატოს წელიწადში ეს ორი დრო იყო მხოლოდ: ზამთარი და გაზაფხული, ანუ — მოლოდინი და გამოცხადება. ერთს ყოველთვის მეორე ენაცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის განსხვავებული შუალედით, რადგან მათი მონაცვლეობა მხოლოდ და მხოლოდ ბრმა შემთხვევაზე იყო დამოკიდებული და არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა, არც ბუნებისგან დადგენილს და არც კაცისგან. კალენდრის მაგივრობას გუმანი უწევდა და ყოველთვის უშეცდომოდ გრძნობდა გაზაფხულის — გამოცხადების — მოახლოებას, რათა ერთხელ კიდევ გამოსულიყო მოლოდინის ბურუსიდან, როგორც ზამთრის ძილიდან — დათვი. “მოდისო” — ამ ფიქრით გაიღვიძებდა ხოლმე, და იმავე დღეს თუ არა, იმ დღეებში უსათუოდ გამოეცხადებოდა გელა: გახვითქული, დაბღორტნილი, დამშეული და კვლავინდებურად აღგზნებული შურისძიების წყურვილით. ის დღეები სულ სხვენს იყო მიყურადებული, როდის დადუმდებოდა სხვენი უარესად, უფრო სწორად, როდის გადაიზრდებოდა სიცარიელის დუმილი სისავსის დუმილში, რისი შეტყობაც იმ იდუმალი თვისებისა, ნიჭისა თუ უნარის წყალობით შეეძლო, ყვავილს ფურცლებს რომ აშლევინებს მზის შესახვედრად. მერე თვითონაც აღარ იცოდა, რას აკეთებდა: არც აინტერესებდა, ამჩნევდნენ თუ ვერ ამჩნევდნენ მისი მშობლები, როგორ იპარავდა პურს, ყველს, კარაქსა თუ შაქარს, და, უკვე საკმა-

ოდ გაწაფული, ცალი ხელით (მეორეში თეფში ეჭირა), როგორ მიძვრებოდა მისაყუდებელ კიბეზე; მიძვრებოდა და ფიქრობდა, მთავარია, სიხარული არ შემამჩნიოს, არ მიხვდეს, უიმისოდ სიცოცხლე რომ არ შემიძლიაო. მიძვრებოდა, როგორც მცენარე მზისკენ. მაგრამ მზე მოღუშული ხვდებოდა, იმისთვის არ ეცალა, ისევ თავის სიმართლეს ჩაფრენოდა, როგორც ლეშს სვავი, "შენი სიმართლე გიყვარდეს, მე კი თავი გამანებეო" — დაჰყვიროდა გაბრაზებული და ცარიელი თეფში ორივე ხელით ეჭირა, როგორც თეატრში ბატონის წინ სარკე უჭირავს ხოლმე მოახლეს. "თუ კიდევ გიხსენებია შენი სიმართლე, ამ თეფშს თავზე დაგამტვრევო" — აგრძელებდა უკვე მომღიმარი, დამცხრალი, დამშვიდებული. "დამამტვრევ და კარგ პასუხსაც მიიღებო" — ღვარძლიანად ცრიდა კბილებში გელა, ის კი მხრებს იჩეჩავდა და ტუჩს იბზუებდა მხოლოდ, რადგან არ იცოდა, რა მოყვებოდა მეგობრის თავზე თეფშის დამტვრევას, რა შეიცვლებოდა ამით, და ამის არცოდნა ტანჯავდა სწორედ. ამასობაში კი, მის კალენდარზე წელიწადის ახალი დრო დგებოდა: ცივი, მკაცრი, გულქვა ზამთარი, რომელსაც აუცილებლად გაზაფხული მოჰყვებოდა, მაგრამ, ღმერთმა იცის, როდის. და ისიც, ძალაუნებურად, გაზაფხულამდე როგორმე რომ გაეტანა თავი, ფიქრს უბრუნდებოდა, როგორც მუშა მარჩენალ ქარხანას; ფიქრში იყუჟებოდა, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში; ფიქრს ეძლეოდა, როგორც დათვი ზამთრის ძილს; ფიქრში ათენდებოდა და აღამდებოდა; ერთადერთი მუშა ფიქრის უზარმაზარი ქარხნისა — გაუნძრევლად იჯდა მარად მოგუგუნე, უსასრულო, შარაგზასავით გაჭიმული კონვეიერის წინ, ბრტყელი და მთრთოლვარე ზურგით განუწყვეტლივ რომ მოეზიდებოდა ნანახის, მოსმენილის, განცდილის, გარდახდენილის ცალკეულ ნაკუწებს, რითაც თავისი რწმენა, იმედი, თავისი გამბედაობა უნდა შეეკოწიწებინა, როგორც მანქანა, რომელიც, გელასთან ერთად, საითაც მოეპრიანებოდა, იქით გააქროლებდა; ანდა მაღვიძარა საათი მაინც, რომელიც თუნდაც მარტო მას გამოაღვიძებდა, მარტო მას გამოიყვანდა გაურკვევლობის, მოლოდინის სულისშემხუთავი ღამიდან. ნაადრევად აქალებდა ფიქ-

რი, როგორც ფიზიკური შრომა, და, რა თქმა უნდა, ბავშვობით არ მოსვლია, როცა გელას მორიგი (ჯერჯერობით უკანასკნელი) გამოქცევის ჟამს, ძველისძველ ჟურნალებზე, რომლებიც წინასწარვე დააფინა თავისივე ხელით სხვენის ატალახებულ იატაკზე, ისე დაწვა, როგორც იქამდე არასოდეს დაწოლილა; ხოლო როცა გელას გაკვირვებული, დაბნეული, დამფრთხალი თვალები დაინახა, უნებურად გაეცინა კიდეც, რადგან გელა ისევ ბავშვი იყო, თვითონ კი — აღარ. მოულოდნელობისგან გაშტერებულ გელას კრამიტებში გამოჟონილი მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით ეცემოდა თავზე, იმდენიც ვერ მოესაზრებინა, თავი გაეწია, ფეხი მოეცვალა, მას კი ბავშვობიდან გამოჰყავდა იგი, წვიმის წვეთებისთვის კი არა, ბედის კლანჭებისთვის უნდა გაერიდებინა თავისი მეგობარი, რომლისთვისაც ცოლიც უნდა ყოფილიყო დღეიდან, დედაც და დაც, რადგან მხოლოდ ასე შეეძლო მისი გადარჩენა, მისი დანარჩუნება, თუმცა, ერთი წუთის მერე, სახურავზე იდგა და გამწარებული მიჰყვიროდა: არ გაჩერდე, გაიქეცი, არ გაჩერდეო. ერთი სული ჰქონდა, როდის მიეფარებოდა გელა თვალს, როდის გაეცლებოდა აქაურობას, და გელაც, მისი ხმით წაქეზებული, ავაზასავით მიხტოდა სახურავზე; ხელით მიაფრიალებდა პერანგს და მიხტოდა წელზემოთ ტიტველი (უკვე სახურავზე ამძვრალს ააწოდა ამან პერანგი, ერთად რომ გაწურეს იქამდე, ვიდრე ერთმანეთის დასანახი თვალი საბოლოოდ აეხილებოდათ, მოულოდნელად, თოფის დაჭექებამდე): მიხტოდა, მიფრინავდა სახლიდან სახლზე, ქუჩიდან ქუჩაზე, სეირის საყურებლად გამოფენილი ხალხის თავზე. აწივლებულ ტყვიებს შორის. “არ გაჩერდე. არ გაჩერდე. არ გაჩერდეო” — მისძახოდა ეს, თავფეხიანად სველი, ფეხებაძაგძაგებული, თვალებზე თმამიწებებული, კრამიტებზე იდაყვგადატყაული, მაგრამ მაინც ამაყი, ბედნიერი, უშიშარი. ქვემოდან ვიღაცები აგინებდნენ, მუშტებს უღერებდნენ, თოფს უმიზნებდნენ, მაგრამ ამისთვის ყველაფერი სულერთი იყო, ოღონდ გელას გაეღწია აქედან, ოღონდ გელას როგორმე გაეღწია აქედან. არ შეეპყროთ მისი ჭეშმარიტი თავისუფლების პირველსავე დღეს. ერთი წუთის წინ

იმდენად ბედნიერები იყვნენ ორივენი, სიკვდილამდე ეყოფოდათ ის ბედნიერება და, ამიტომაც, არ ანაღვლებდა, რას იტყოდა ქალაქი, რას იტყოდნენ მშობლები, როგორ შეხედავდა ამ ამბავს გიმნაზია და როდის ნახავდა კიდევ გელას, ოღონდ გაეღწია იმას, სამშვიდობოს გაეტანა თავისი თავისუფლება, სამშვიდობოს ყოფილიყო თავის თავისუფლებიანად, რომელიც ნატომ მიანიჭა და რომელსაც ვეღარავინ წაართმევდა, ისევ ნატოს მეტი. “არ გაჩერდე. არ გაჩერდე, ნუ გეშინია”... — ყვიროდა, მეხამრიდივით აღმართული სახურავზე; თავფეხიანად გალუმპული, ძლივს ჩერდებოდა სლიპინა ხავსით დაფარულ კრამიტებზე და ყვიროდა, ტყვიების წივილი რომ ჩაეხშო, თავისთვის კი არა, გელასთვის, რადგან თვითონაც გელა იყო იმ წუთას, საკუთარ არსებაში ჯერ კიდევ ცხოვლად გრძნობდა გელას სიცოცხლეს, და არა მარტო გელას, იმასაც ესროდნენ ტყვიას, რადგან გელას თუ მოკლავდნენ, ისიც მოკვდებოდა, ისიც გელასთან ერთად დაენარცხებოდა მიწაზე. ხოლო გელას გადარჩენა იმის გადარჩენასაც ნიშნავდა. გადარჩენის ცხოველური ჟინი ავიწყებდა ყველაფერს. სხვა არაფერი არ არსებობდა. სახურავზე იდგა და გაჰყვიროდა. თავის ბავშვობას მიჰყვიროდა, ისიც გელასთან ერთად რომ მიხტოდა ახლა სახურავიდან სახურავზე. სამუდამოდ. სამუდამოდ. სამუდამოდ. ორი ბავშვობის გადასარჩენად გარბოდა გელა; თავისი სიმართლის დასამტკიცებლად კი არა, ორი ბავშვობის გადასარჩენად; თავისი და ნატოს ბავშვობა უნდა გადაერჩინა, აზრი რომ შეენარჩუნებინა საერთოდ სიმართლეს, საერთოდ სიცოცხლეს. სახურავზე იდგა და მიჰყვიროდა, აქეზებდა, ამხნევებდა, გზას ასწავლიდა, რადგან თავად აღარ იყო ბავშვი და აღარც იქნებოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა. სახურავზე იდგა და ყვიროდა, მაგრამ ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა, რაც მომხდარიყო, რაც უკვე მომხდარიყო, რის გამოც, იმას მაინც იმსახურებდა, ქალაქის სასაცილოდ, ქალაქის თავშესაქცევ სანახაობად არ გადაექციათ მისი ცხოვრების ყველაზე დიადი, ყველაზე დიდებული წამი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნდა, ასე სჯეროდა, მაგრამ რაკი ასე არ იყო, ასე არ გამოვიდა, რაღა მნიშვნელო-

ბა ჰქონდა, რას დაარქმევდა ქალაქი: კახპასა თუ გიჟს. კი არ რცხვენოდა, უხაროდა, სადღაც ქვემოთ, მიწაზე, ვიღაცებს ასე რომ აფრთხობდა და აღიზიანებდა მისი საქციელი. თუმცა სიხარულიც ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მიწაზე დაბრუნებისთანავე იგრძნო, ძვირი დაუჯდებოდა ეს წამიერი აღტკინება, გაცილებით მკაცრი და დაუნდობელი იქნებოდა ცხოვრება, ვიდრე სახურავიდან ჩანდა. ერთბაშად იმდენი რამე შეიცვალა მის გარშემო, სამი სიცოცხლე არ ეყოფოდა ჩასაწვდომად, ამოსახსნელად, მისახვდომად მაინც. გიმნაზიიდან გამორიცხეს. მშობელთა კომიტეტმა გაკიცხვის წერილი გამოუგზავნა. ამხანაგებმა სამუდამოდ მოიკვეთეს. მაგრამ მოულოდნელი და შემაძრწუნებელი ის უფრო იყო, იმათაც რომ გამოიდეს თავი, ვისაც საერთოდ არაფერი აკავშირებდათ ნატოსთან, საერთოდ არ იცოდნენ აქამდე, არსებობდა თუ არა იგი. თითქოს მთელი ქალაქი მხოლოდ იმას ელოდებოდა, როდის მიეცემოდა ნატოს დაცინვის, დაკნინებისა და, თუ გნებავთ, გადათელვის საშუალება. ზოგი აგინებდა, ზოგი წყევლიდა, ზოგი კი, დიდ ფულს სთავაზობდა და თავის ლოგინში ეპატიჟებოდა. ნატო იღიმებოდა, მხრებს იჩეჩავდა და ნელა, თითქოს უხალისოდ ხევდა წერილებს, მერე ნაკუწებს მაღლა ისროდა და ისევ ღიმილით, ისევ მშვიდად შესცქეროდა, როგორ ეფინებოდა იატაკზე ქაღალდის ნაკუწები, როგორც ნაადრევად მოსული თოვლის ფართო და მეჩხერი ფიფქები. დედა ტიროდა. მამა ამოგანგლული დადიოდა: ყოველდღე ხელახლა ღებავდა ჭიშკარს, უწმაწური სიტყვები და ნახატები რომ დაემალა საღებავის სქელი ფენის ქვეშ. ნატოსთვის კი ყველაფერი სულერთი იყო, ან პიანინოზე უკრავდა, ან სხვენში იჯდა, გელას დანატოვარ სიცარიელეში შეყუჟული, როგორც ნადირი მღვიმეში, რომელიც თითქოს, მაინცდამაინც იმისთვის შეუქმნია ბუნებას, მაინცდამაინც ის რომ მოკალათებულიყო შიგ, სხვების გამოჩენამდე გაეჟღინთა იქაურობა თავისი სუნითა და სითბოთი. მაგრამ სხვენში ასვლისთანავე ისევ წიგნის რომელიმე გმირად იქცეოდა ხოლმე. ისევ წიგნის გმირებს ასახიერებდა, ალბათ მიუხვედრელი, გულქვა თანამოქალაქეთა ჯიბრით, და არც კი უკვირდებოდა,

მისგან განსახიერებული გმირები, გარეგნულად, ყველანი ერთნაირად გელას დედას რომ ჰგავდნენ რატომღაც (ალბათ იმიტომ, გელას დედის იმედი რომ ჰქონდა ყველაზე მეტად, ქვეცნობიერად თავის ქომაგად რომ თვლიდა მას) და ყველას ერთნაირად, რატომღაც, გელა უყვარდა. ხან ვითომ საწამლავი დაელია და, სკივრზე გადასვენებული, ეთხოვებოდა სიცოცხლეს; გულწრფელად, მხურვალე ცრემლით დამდუღრული, ებოდიშებოდა ყველას, ვისთვისაც რაიმე ტკივილი მიეყენებინა უნებურად, სიყვარულით დაბრმავებულს, და სულგრძელად პატიებდა ყველას, ვისაც ვერ გაეგო მისთვის, ვისაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, "სასიკვდილო სარეცელამდე" მიეყვანა იგი. "ნეტავი ქალბატონი ელენე მხედავდესო" — ნატრობდა თან გუნებაში. ხოლო მეორე წუთას, იქვე, სკივრის გვერდით, მტვერში დაჩოქილს, თავჩაქინდრულს, მკერდზე ხელებგადაჯვარედინებულს, თავი ტაძარში ეგონა და მოუთმენელი ნეტარებით, შიშით, მღელვარებით ელოდებოდა, როდის დაიჭექებდა სატრფოს ანუ გელას დამბაჩა, რათა ლამაზად, მოხდენილად, ჰაეროვნად, სულის შემძვრელად, მთელი ქვეყნის დასანამუსებლად წამხობილიყო პირქვე "ტაძრის" ფილაქანზე. მაგრამ ესეც დროზე ადრე გაქცეული ბავშვობის გამოძახილი იყო ჯერ, თამაში და არა ცხოვრება, რადგან იმიტომ კი არ "კვდებოდა" სხვენში, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა — უთვალავი, უხილავი, იდუმალი, მაგრამ ნამდვილად არსებული გზები ეძახდნენ უკვე და სიცოცხლე სწყუროდა. ისე სწყუროდა, ყველაფერი მომხიბვლელად ეჩვენებოდა, სიკვდილიც კი. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ფეხმძიმობას იგრძნობდა და ვიდრე იძულებული გახდებოდა, თუნდაც ბრმად, ალალბედზე ეძებნა გადასარჩენი გზები, უფრო სწორად, სხვათა გულის ასაჩუყებლად გამიზნულ თამაშს შეშვებოდა და ახლა უკვე ნამდვილად სამკვდროსასიცოცხლოდ შესჭიდებოდა ცხოვრებას. ფეხმძიმობა ზღვაში იგრძნო, ზღვაში შეამჩნია პირველად, როგორ შეცვლილიყო, როგორ გარდაქმნილიყო ძირფესვიანად და როგორ აღარ შეეფერებოდა იმ სულელურ ფიქრებს, რომლებითაც იქამდე, ასე თუ ისე, კიდევ იტყუებდა თავს. ზღვის თბილი წყალი რომ

მიეშხეფა სახეზე, უნებურად წამოაზიდა და, რაც მთავარია, იქამდე განუცდელი, იქამდე წარმოუდგენელი შიში და ზიზღი დაეუფლა უცებ ზღვისა, მისი ყველაზე დიდი მესაიდუმლისა, მისი ყველაზე კარგი მკურნალისა, რადგან იქამდე, საკმარისია, ზღვას თავისი მარილიანი ენა აესვა მისთვის სახეზე, თავისი გრილი, ხაოიანი დრუნჩი შეეყო იღლიაში — რაც არ უნდა უგუნებოდ ყოფილიყო, მაშინვე გახალისდებოდა ხოლმე; რაც არ უნდა დიდი სადარდელი ჰქონოდა, მაშინვე გაუბითურებდა ხოლმე ზღვა, თავისი უკიდეგანო სიდიადითა და სიძლიერით. ახლა კი ზღვა ეზიზღებოდა და ეშინოდა კიდეც მისი. "რა მემართებაო" — ფიქრობდა გაოცებული და კიდევ უფრო ღიზიანდებოდა, კიდევ უფრო ეუფლებოდა საფრთხის, სიმარტოვის, განწირულობის შეგრძნება, რასაც სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ ახალი სიცოცხლის აღზევება იწვევდა, მის არსებაში შეჭრილი, დაუდევრად, მოურიდებლად რომ იწყობდა თავშესაფარს, როგორც ჯარი — დაპყრობილ მიწაზე. ახალ სიცოცხლეს, მართალია, ჯერ მხოლოდ უმცირესი ნაწილი დაეპყრო მისი არსებისა, მაგრამ ესეც კმაროდა, ზიზღნარევი ეჭვით, უნდობლობითა და შიშით გამსჭვალულიყო არა მარტო საკუთარი არსების, არამედ ყველაფრის მიმართ, რაც კი მის გარშემო იმ წუთას არსებობდა; უპირველეს ყოვლისა კი — ზღვის მიმართ, რამდენადაც, ზღვაში ჩაკარგული, ზღვას ეკუთვნოდა სულიანხორციანად. "მომწყინდა. აღარ მინდა. დავიღალეო" — ფიქრობდა ამ მოულოდნელი გარდაქმნით შეშფოთებული, თუმცა, წესიერად არც იცოდა, რა მოსწყენოდა, რა აღარ უნდოდა, რას დაეღალა. მისი მკვრივი და მოქნილი სხეული თამამად, თავისუფლად, ხალისიანადაც კი მიაპობდა ლამის გაჩენის დღიდან ნაცნობსა და შეთვისებულ წყალს, ხოლო თვითონ სხეულს გამოთიშვოდა, გადმოღვრილიყო საკუთარი სხეულიდან, როგორც სითხე ბოთლიდან, და თანდათან იხსნებოდა, ითქვიფებოდა უკიდეგანო სტიქიაში. ის იყო, უნდა დანებებოდა ამ ვერაგულად სასიამოვნო შეგრძნებას, მაგრამ მეორე წუთას, დაფეთებული წაეტანა საკუთარ სხეულს და ისე ტლანქად, ისე უხეშად შემოაბრუნა ნაპირისკენ, ცოტას მორჩა, მართლა დაიხ-

რჩვნენ ორივენი, ისიცა და მისი სხეულიც. გული გამალებით უცემდა, როგორც მოტივტივე ფიცარზე ერთი წამით, სულის მოსათქმელად ჩამომჯდარ ჩიტს. როგორც კი ფეხქვეშ მიწა იგრძნო, ფართხაფურთხით გაიქცა ნაპირისკენ, აქოთქოთებულ, აშიშინებულ ქაფში, და თავისი ტანსაცმელი რომ დაინახა, მხოლოდ მაშინ დამშვიდდა ცოტათი, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, არაფერი არ ეჩვენებოდა და ნამდვილად თვითონ იყო ის უჟმური, ჭირვეული და მხდალი არსება, ეს წუთია, მისი ფეხებით რომ ამოსულიყო ზღვიდან. გაბრაზებულმა, ფეხები დაუშინა სილას, გაშმაგებული თხრიდა ორმოს სილაში, თითქოს საკუთარ თავს დაეძებდა, იმას დაეძებდა, აქ რომ დაეტოვებინა ზღვაში ჩასვლამდე. გაშმაგებული დაეძებდა, როგორც რაიმე ნივთს, შეიძლება სხვებისთვის უმნიშვნელოს, იმდენად უმნიშვნელოს, ასაღებად დახრაც რომ დაეზარებოდათ, მაგრამ მისთვის უაღრესად საჭიროს, აუცილებელს, თმის სამაგრივით, ანდა ქინძისთავივით, თუნდაც იმიტომ, თმაჩამოშლილს არ ევლო ქუჩაში და ქვედაკაბა ხელით არ სჭეროდა. არავის მიუქცევია ყურადღება. ვიღაცებმა სიცილით ჩაურბინეს გვერდით და ერთმანეთი ძალით შეყარეს ზღვაში. მის წინ მსუქანი, ზონზროხა ქალი იწვა, კი არ იწვა, რაღაცნაირად უხერხულად ეგდო, გვამივით, სახეზე გაზეთწაფარებული; დიდი, შიგნიდან ოფლით გამოშავებული ფეხსაცმელები აქეთიქით გადაყირავებულიყვნენ, წყლიდან ამოთრეული ნავებივით; ერთ ფეხსაცმელში სავარცხელი ეგდო; მძინარე ქალს თავთით ჩია, მოწყენილი კაცი დასკუპებოდა და ისე ნელა, ისე ფრთხილად ფცქვნიდა მაგრად მოხარშულ კვერცხს, თითქოს ფეხდამწვარ ბავშვს წინდას ხდიდა. აპარატში ლამის წელამდე შემძვრალი ფოტოგრაფი, თავის აპარატიანად, რომელიღაც არარსებულ, გამოგონილ, ძალით შეთითხნილ, მაგრამ გარემოსთან საოცრად შეხმატკბილებულ ცხოველს ჰგავდა. შაოსანმა გლეხის ქალმა ჭინჭში გამოკრული ფული დინჯად შეინახა უბეში, ერთი წამით გამოაჭყიტა უბიდან ავადმყოფურად თეთრი მკერდი, ძალადაკარგული, გაუფასურებული კდემამოსილების საბრალო ტუსაღი, და ასევე დინჯად გააგრძელა გზა თავის კალათიანად. სილის

ბორცვზე გაღიმებული დედაბერი მოფოფხავდა, წყალი წურწურით გასდიოდა დამჭკნარ ლაჯებში, ბავშვივით შეჰხაროდა ზღვითა და მზით გახანგრძლივებულ სიბერეს, სიბეჩავეს, სიმახინჯეს. ნატო კი, ფეხის ქუსლებით ორმოს თხრიდა, თითქოს თამაშობდა, თითქოს თავს იქცევდა და მართლაც არაფერს აკეთებდა ისეთს, ყურადღება მიექცია, სხვებსაც გადასდებოდა იმისი შეშფოთება. ორმოს ფსკერმა შავად ამოანათა და სისველის, სიბნელის, სიღრმის სუნი ამოუშვა. ნატოს ისევ წამოაზიდა, ორმო სასწრაფოდ ამოავსო სილით, თითქოს რაღაც სათაკილო, სხვებისთვის დასამალი ჩამარხა შიგ, და თვალდახუჭული გულაღმა გადაწვა. მაშინვე თავბრუ დაეხვა. ათრთოლებული ქუთუთოების ქვეშ შავი ბურთულები დაუბზრიალდნენ. ისევ აუფრიალდა გული. უკან, თითქმის მის თავთან, ვიღაცები ბურთს თამაშობდნენ. ბურთი შხუილით ფხრეწდა ჰაერს და ყუმბარასავით სკდებოდა ყურებში, საფეთქლებში, გულში. მოთამაშეების დაძაგრული ფეხები მიწას არყევდნენ და უნებურად თვითონაც იძაბებოდა, ეგონა, ბურთი მოხვდებოდა ანდა რომელიმე მოთამაშე გადააწყდებოდა ზედ, პატარას, შეუმჩნეველს, დაუცველს. მხოლოდ მაშინ გაახსენდა გელა და თვითონვე შეცბა, იმდენად შორეული, გადაჩვეული და გადავიწყებული მოეჩვენა იგი. თითქოს არაფერი აკავშირებდა იმასთან, თითქოს საერთოდ აღარ არსებობდა გელა. ნეტავი, ამ წუთას სად არისო, გაიფიქრა ყალბი, ნაძალადევი სევდით, რათა კიდევ უფრო არ გაეღრმავებინა ეს უნებლიე გულგრილობა მეგობრის მიმართ. “ომი გარდაუვალია. ქვაქვაზე არ დარჩებაო” — ჩაესმა უცებ და სასწრაფოდ წამოჯდა, ამის მთქმელს დაუწყო ძებნა, რადგან უცებ სიგიჟემდე მოუნდა, რამე ისეთი მომხდარიყო მართლა, ქვაქვაზე არ დარჩენილიყო, ერთბაშად და ერთიანად წალეკილიყო ქვეყანა, მისიანად. “ავადა ვარ. სიცხე მაქვსო” — ფიქრობდა აღრენილი, გაღიზიანებული, გამოცარიელებული, მაგრამ ადგომაც ეზარებოდა, შინ რომ წასულიყო და მიეხედა თავისთვის. მზეზე აბრჭყვიალებული ნაპირი გვამებით მოფენილ ბრძოლის ველს ჰგავდა და ნატოს უნდოდა, თავადაც მკვდარი ყოფილიყო და ასე გდებულიყო, სანამ ჩალპე-

ბოდა, ჩაიშლებოდა, ჩაიმარხებოდა სილაში. მაგრამ მეორე წუთას, უკვე თეატრისკენ მიდიოდა, თუმცა, წესიერად არც იცოდა, რას ეტყოდა ქალბატონ ელენეს, თუკი თეატრში დაუხვდებოდა იგი და თუკი მისი აბდაუბდისთვის მოიცლიდა. ქალაქი ერთიანად გამოცარიელებულიყო, უკაცურსა ჰგავდა. "კიდევ კარგი, კიდევ კარგიო" — იმეორებდა გუნებაში და მიაშლაპუნებდა ფლოსტებს. მართალია, ჯერ კიდევ ბრაზობდა ქალაქზე, ჯერ კიდევ ვერ ეპატიებინა, მხარდაჭერის, გამოქომაგების ნაცვლად, ტყვია და ხარხარი რომ დააყარა, მაგრამ ახლა უფრო ეშინოდა ქალაქისა, ვიდრე მაშინ, სახურავზე გასულს, რადგან თუკი მისი მოულოდნელი ეჭვი და ვარაუდი გამართლდებოდა, ქალაქსაც მეტი მიზეზი ექნებოდა, კახპად ჩაეთვალა იგი. ამიტომ დროულად უნდა ეზრუნა, ასე რომ არ მომხდარიყო. თავიდანვე ხელთ უნდა ჰქონოდა თავისი უწესობის, თავისი თავაშვებულობის გამაბათილებელი საბუთი, თვალებზე რომ აეფარებინა ქალაქისთვის, როცა საჭირო გახდებოდა. ნელა, მშვიდად, გამომწვევადაც კი, მიაბიჯებდა, თუმცა სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, ბინძური წყალი გადმოესხა ვინმეს აივნიდან. მზე მთელი ძალით აცხუნებდა, მაგრამ ღია სარკმლებში ისეთი შეუვალი წყვდიადი ჩამდგარიყო, თითქოს კი არ გაუღიათ, შავი, გაუმჭვირვალე ქაღალდები გადაუკრავთ ზედო, რის გამოც, სარკმლებში ჩამდგარი წყვდიადი რაღაც ბუნდოვან, ძალზე შორეულ მოგონებას აღძრავდა, არა თავად რენტგენის კაბინეტისას, არამედ რენტგენის კაბინეტში უნებლიეთ გაჩენილი უმწეობისა და დაუცველობის შეგრძნებისა. მხნედ, არხეინად მიდიოდა, მაგრამ სულ იმის მოლოდინი ჰქონდა, ამ შავსა და გაუმჭვირვალე ქაღალდებს როდის გამოფხრეწდნენ თავებით მისი თანამოქალაქეები და როდის დაუყვირებდნენ: როგორ გაძლევს სინდისი ნებას, როგორ გაბედე ქუჩაში გამოჩენაო. გული შიშით ეწურებოდა, მაგრამ არც სხვა გზა ჰქონდა. სწორედ იმიტომ მიდიოდა რკინის თეატრისკენ, ქალაქში გამოჩენისა რომ აღარ შეშინებოდა. თუკი გუმანი არ ატყუებდა და თუკი მართლა ფეხმძიმედ იყო (რაც აქამდე ფიქრშიაც არ დაუშვია), დედობის უფლება იქამდე უნდა მიეღო, ვიდრე გელა

გამოჩნდებოდა, ვიდრე აზრი ექნებოდა ამ უფლებას, ვიდრე ამ უფლებას კიდევ შეეძლებოდა, ნატოს ნაბიჯი გმირობად ექცია და არა ჩვეულებრივ გარყვნილებად, რადგან მერე, როცა ბავშვი აღნავლდებოდა, არათუ გელასი, ანდა თავად ნატოს სიმართლე, არამედ უკვე ეს ყოვლად უდანაშაულო სიცოცხლე გახდებოდა დასაცავი არარსებული მამისა და უუფლებო დედისთვის, რაც გაცილებით ძნელი გახდებოდა მომავალში, რამდენადაც მის დასაცავად მოტანილი ნებისმიერი საბუთი, თანაც დაგვიანებული, თანაც უუფლებო დედის პირიდან ამოსული, მართლაც რომ კახპის ფიცილს დაემსგავსებოდა და კიდევ ახალ გასართობად იქცეოდა ქალაქისთვის, თუკი, რა თქმა უნდა, იქამდე ომი არ დაიწყებოდა და იქამდე კიდევ იარსებებდა ეს წყეული ქალაქი. მაგრამ არც მარტო ომის იმედზე შეიძლებოდა დარჩენა. ასე რომ, ერთადერთი, ვისაც ნატოს შველა შეეძლო, ვისი იმედიც ნატოს ჰქონდა და ვისგანაც "დედობის უფლება" უნდა მიეღო, გელა კი არ იყო, არამედ გელას დედა: გელას დედას უნდა ჩაეთვალა იგი დედობის ღირსად და თავადაც, მხოლოდ და მხოლოდ გელას დედისთვის უნდა დაემტკიცებინა, ღირსი რომ იყო დედობისა; უფრო მეტიც, იმისთვის უნდა დაემტკიცებინა სწორედ და არა ქალაქისთვის, პირადად მისი, მისგან შექმნილი, მისი იმედით, რწმენით, მიზნებითა და მისწრაფებებით დასახლებული ქვეყანა, არათუ არსებობის უფლებას, არამედ პატივისცემას, გულისხმიერებასა და დახმარებასაც რომ იმსახურებდა. ასე ფიქრობდა ნატო და ამ ფიქრით ცდილობდა შიშის დაძლევას. შიშიც ახალი გრძნობა იყო მისთვის და ყველაზე მეტად შემაწუხებელიც. შიშის გრძნობა დანარჩენ გრძნობებსაც უჩლუნგებდა და მთლად რომ არ წამხდარიყო, უნებურად ქალბატონ ელენეს ბაძავდა გუნებაში, იმისი ხმით ლაპარაკობდა და იმასავით მიდიოდა: ამაყი, გორობი, წელგამართული... ოღონდ გუნებაში. სინამდვილეში კი, ჩვეულებრივ ბათუმელ გოგოსავით მიაშლაპუნებდა ფლოსტებს, თითქოს ისიც ჩვეულებრივი ამბავია, უფროს ქალს რომ დაადგები და ეტყვი: მგონი თქვენმა შვილმა დამაორსულა და ვიდრე ჩემი ეჭვი გამართლდება, კეთილი ინებეთ და მა-

ღიარეთ თქვენს რძლადო. მიდიოდა, მიაშლაპუნებდა ფლოსტებს. ქალბატონ ელენეს ბაძავდა, მაგრამ ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, როგორებიც აქაური, მისი ტოლი გოგოები იყვნენ, ზღვის სიახლოვის გამო, ყოველთვის ხალვათად, შინაურულად ჩაცმულები, რაც მათ დაუდევრობაზე კი არ მეტყველებდა, არამედ ბუნებრივ სისადავესა და სილაღეზე. ჩაიარა საპარიკმახეროს წინ, ისევე მშვიდად, როგორც მისმა ორეულმა საპარიკმახეროს გრძელ სარკეში, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით, იქითკენ, საიდანაც თავად მოდიოდა, თავისი სულელური ეჭვითა და განზრახვით. ჩაუარა თურქეთის საკონსულოს; რკინის დაწნულ ღობეს, რომლის ღრიჭოებშიც გაფშეკილი, დამტვერილი ტოტები გამოეყოთ დეკორატიულ ბუჩქებს; ჩაუარა ბებერი, გოლიათი მაგნოლიის ნესტიან ჩრდილში შეყუჟულ ფოტოატელიეს, საიდანაც მისი თანამოქალაქეების სურათებმა გამოხედეს ერთი წამით: იცოდე, ასე იოლად ვერ გაგვაცურებო; ჩაუარა აფთიაქს, რომლის კიბის საფეხურზეც ცარიელი ბოთლი შემოედგა ვიღაცას; ჩაუარა ფოსტას, სადაც ოდესღაც შვილის გაჩენით აფორიაქებული გელას მამა ამაოდ ცდილობდა მისალოცი თუ სამადლობელი დეპეშის ტექსტის შედგენას; ჩაუარა საშაქარლამოს, რომლის პირველი სტუმრებიდან სწორედ გელას მშობლებს ერგო სარეკლამო სურათის გადაღების პატივი და პირველი ნამცხვრის დაჭრის უფლება, როგორც ყველაზე მომხიბვლელსა და შეხმატკბილებულ წყვილს. მაგრამ ნატოს ჯერჯერობით არაფერი აკავშირებდა აქაურობასთან და ალბათ ასევე ბრმად ჩაუვლიდა ნებისმიერ სიცარიელეს, ნებისმიერ ყრუ კედელს, ვიდრე იქ არ მივიდოდა, სადაც უნდა მისულიყო, საიდანაც უნდა აეღო სათავე მის მომავალ ცხოვრებას, საიდანაც მისი ახალი წელთაღრიცხვა უნდა დაწყებულიყო. მიდიოდა და ქალბატონი ელენეს ხმით იმეორებდა გუნებაში: ჭკუას კი არ გარიგებთ, გთხოვთ, როგორც დედა, როგორც მშობელიო. არც კი უკვირდებოდა (სად ეცალა საამისოდ), გაცილებით მეტი, შემზარავად მეტი მსგავსება რომ არსებობდა მათ შორის, ვიდრე ერთნაირად სიარული ანდა ერთნაირად ლაპარაკია; ვიდრე ეგონა ანდა უნდოდა;

რაც თანდაყოლილია და არა შეძენილი; ბედისმიერია და არა სურვილით აღძრული; უხილავი და არა თვალში საცემი; არა ზღვის ზედაპირივით ღია, არამედ ზღვის ფსკერივით ბნელი, ღრმა, იდუმალი; და, რაც უმალ სულიერ დებად აქცევდა იმათ მომავალში, ვიდრე რძალდედამთილად. არ შეეძლო შეემჩნია, თორემ ალბათ თავზარი დაეცემოდა, ისე ჰგავდა თექვსმეტი წლის წინანდელ ქალბატონ ელენეს, არა იმით, რითაც ბაძავდა (რაც, უპირველეს ყოვლისა, მათ სხვადასხვაობას ადასტურებდა სწორედ), არამედ თვითშობილი, თვითმყოფადი მიზნებისა და მისწრაფებების ერთნაირობით, რომელთა მხოლოდ განმეორება შეიძლება და არა მიბაძვა. თექვსმეტი წლის წინ ქალბატონი ელენეც ფეხმძიმედ იყო და ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა აქედან, რადგან ჩვეულებრიობის კალაპოტიდან ამოვარდნილი, გარდაუვალი, იდუმალი ცვლილებების მოახლოებით შეძრული, დაბნეული, დაშინებული, ისიც ბრმად, ალალბედზე დაეძებდა გამოსავალს, ხსნას, საშველს: რაც მთავარია, თექვსმეტი წლის წინათ იგივე თესლი ღვიოდა ქალბატონ ელენეს წიაღში, რომლის განმეორებით აღმოცენებაც, თექვსმეტი წლის მერე, მაინცდამაინც ნატოს დაავალა ბუნებამ; მამაშვილის წარმომქმნელები იყვნენ ისინი და თექვსმეტი წლის მერე შვილიც იმავე მიზნით უნდა დაბადებულიყო, რა მიზნითაც მამამისი დაიბადა თექვსმეტი წლის წინ: ორივეს ქმრები უნდა გადაერჩინათ, ქმრები უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი დედებისთვის. მაგრამ ახლა ნატო ამდენს არ ფიქრობდა. მიდიოდა, მიისწრაფოდა ბობოქარი ცხოვრებისკენ, როგორც ზღვის კუს წიწილა — ზღვისკენ, ეს წუთია გამოჩეკილი, ეს წუთია ამომძვრალი სილის ინკუბატორიდან, ჯერ ისევ ბრმა, ჯერ ისევ უვიცი, ჯერ ისევ უმწეო, გუმანის ქვეშევრდომი — მართალია, თავიდანვე ზღვისთვის განკუთვნილი, ზღვისთვის ჩაფიქრებული, მაგრამ ჯერჯერობით გათიშული ზღვისგან ცხელი, ფხვიერი უდაბნოთი, რომლის იქითაც იწყება მხოლოდ ჭეშმარიტი ცხოვრება და რომლის გადალახვაც მხოლოდ სიბრმავით, უვიცობითა და უმწეობით შეიძლება, შესაძლებელია, თუკი იქამდე, შუა გზაში არ აეხილა საკუთარი სიბრმავის, უვი-

ცობისა და უმწეობის დასანახი თვალი, და აი, მისი მოდგმისთვის და განსაკუთრებით ახალშობილისთვის ყოვლად შეუფერებელი დაუდგრომლობით, ჟინიანობით, სიმარდითა და სიხალისითაც კი, მიაფართხუნებს ჯერ კიდევ ძლივს დამჩნეულ ფარფლებს, რათა დროულად გააღწიოს აქედან, გამჩენი, მშობლიური, დედის სუნით გაჟღენთილი უდაბნოდან და სამუდამოდ გადაეშვას ცივსა და უძირო სტიქიაში, ზღვაში, ცხოვრებაში.

— ნატო?! — გაუკვირდა ქალბატონ ელენეს.

— რა სიწყნარეა თქვენთან! — თქვა ნატომ.

თეატრი იქამდე, ბნელში ჩანთქმული, მაყურებლით სავსე დარბაზითა და იდუმალი, ზღაპრული ქვეყნის კარიბჭესავით მოღებული სცენით ამოიწურებოდა იმისთვის. ეს ოთახი კი არაფრით განსხვავდებოდა ნებისმიერი დაწესებულებისაგან. ოთახში საწერი მაგიდა, ორი სკამი (ერთზე თვითონ იჯდა, მეორეზე — ქალბატონი ელენე), სქელი, დანომრილი დავთრებით სავსე კარადა და შავი, თეთრად დამსკდარი ტყავის დივანი იდგა, ისეთივე ტყავის მუთაქებით. ერთერთ მუთაქაზე ნიჟარის საფერფლე იდო. ჭერიდან პირაშვებული შპალერი ჩამოკონწიალებულიყო.

— რა სიწყნარეა თქვენთან! — გაიმეორა ნირწამხდარმა.

ქალბატონმა ელენემ გაიღიმა: ნაჩქარევად, პასუხის მაგიერ. არც ის ღელავდა ნატოზე ნაკლებად, მაგრამ რაკი შემოუშვა, რაკი სკამი დაუდგა და რაკი, ყურადღების ნიშნად, მაგიდაზე გადაშლილი საქაღალდე დახურა, ფანქარი კი ზემოდან დაადო, ახლა კეთილი უნდა ენება და ბოლომდე ყურადღებიანი, ბოლომდე თავაზიანი ყოფილიყო. ნატო კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და თვითონვე უკვირდა საკუთარი ნალაპარაკევი, რადგან რასაც ამბობდა, გულწრფელად კი ამბობდა, მაგრამ სრულებითაც არ იყო იმის სათქმელად მოსული, თეატრის პატრონიცა და რეჟისორიც ბრიყვები რომ იყვნენ, არაფერი რომ არ გაეგებოდათ, რაკი ამალიას, ფლორასა თუ ელიკოს ათამაშებდნენ ლამაზი ქალების როლებს და არა ქალბატონ ელენეს, რომელიც უგრიმოდაც მათზე ლამაზი იყო და გაცილებით მეტი თაყვა-

ნისმცემელიც ჰყავდა, თუმცა იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩაში, თანაც შავი პირბადით სახედამალული, როცა ისინი, ამალიები, ფლორები თუ ელიკოები, ყოველ საღამოს ეპრანჭებოდნენ მაყურებელს სცენიდან.

ქალბატონმა ელენემ ათამდე დათვლა სცადა, მაგრამ რაკი არ გამოუვიდა, სასწრაფოდ სარკმელში გაიხედა, მღელვარების დასაფარავად. სარკმლიდან მოასფალტებული ეზოს კუთხე და აგურის ყრუ კედელი მოჩანდა. კედელზე ძველი, საღებავგადაცრეცილი დეკორაციები მიეყუდებინათ. ქალბატონი ელენე ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა იმ აზრს, ახლა ვალდებულიც რომ იყო ბოლომდე მოეთმინა ნატოს მოულოდნელი სტუმრობა. რასაკვირველია, თავიდანვე უნდა გაებრუნებინა, თავიდანვე უნდა ეთქვა, თუ საქმე გაქვს, შინ მობრძანდი, აქ სამსახურში ვარ და არ მცალია შენი აბდაუბდის მოსასმენადო. ყველაზე ნაკლებად ნატოს დანახვას ელოდებოდა, თანაც აქ, თეატრში; თანაც ამ დროს; ყველაზე ნაკლებად ალბათ ნატოს დანახვა გაუხარდებოდა საერთოდ; ნატოს დამფრთხალი, გაცრეცილი სახე რომ დაინახა, ცოტას მორჩა, ჩაიკეცა და მოსაბრუნებელი გახდა, რასაც ვეღარასოდეს აპატიებდა თავს. მაგრამ, საბედნიეროდ, შიში სიბრაზეში გადაეზარდა მაშინვე, რადგან იმასაც მიხვდა უცებ, რა თავხედური განზრახვით მოსულიყო ნატო: კიდევ ერთი წვეთი შხამი მოერბენინებინა იმისთვის: შენი შვილი, წესით, ჩემთან უნდა იყოს და შენთან ხომ არ არის შემთხვევითო. თავისი საკუთრება მოიკითხა, როგორც დაკარგულ ქათამს მოიკითხავს ხოლმე მეზობელი მეზობელთან. ეს კი, ცოტას მორჩა, ფეხებში ჩაუვარდა, ცოტას მორჩა, შეევედრა: მითხარი, რამე თუ გაიგე გელასიო. მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე მოერია თავს, სიამაყემ, თავმოყვარეობამ უშველა და, რაც მთავარია, იმის რწმენამ, გელა ჯერ კიდევ მას რომ ეკუთვნოდა, მკვდარიცა და ცოცხალიც. “მკვდარსაც ვიპოვი და ცოცხალსაცო” — უთხრა პოლიცმეისტერმა, იმიტომ, რომ არც იმან იცოდა, მკვდარი ეძებნა თუ ცოცხალი. არავინ არ იცოდა. მაგრამ მაინც წასძლია სულმა, მაინც ვერ მოერია ცნობისმოყვარეობას, მაინც დახარბდა ზედმეტ

სიტყვას, რადგან მხოლოდ ნატომ იცოდა ის, მხოლოდ ნატოსგან შეეძლო იმის გაგება, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც პოლიციისთვის და არც მართლმსაჯულებისთვის; ნატოსგან შეეძლო გაეგო, როგორი იყო გელა უკანასკნელ დღეს, როგორ გამოიყურებოდა, როგორი ხმა ჰქონდა, როგორი ფერი ედო, ახსენა თუ არა დედა, ვიდრე გადაიკარგებოდა, გაქრებოდა, დედასაც მოიკვეთდა და ნატოსაც. მაგრამ ნატომ ამის ღირსიც არ გახადა, გელასავით იყოო, უპასუხა მოკლედ, სხვათა შორის, და თავისი აბდაუბდა გააგრძელა. ამას უხსნიდა სიყვარულს, ამას ასხამდა ხოტბას და ესეც იძულებული ხდებოდა, მოეთმინა, აჰყოლოდა კიდეც. ხოლო, როცა ნატომ სრულიად მოულოდნელად მოაყოლა რაღაცას: ნეტავი მართლა დაიწყებოდეს ომი და ნეტავი მართლა დაინგრეოდეს ეს ქვეყანაო, უნებურად, თავი დაუქნია, თითქოს დაეთანხმა და გააქეზა კიდევაც, როგორც მასწავლებელმა მოწაფე, რომელიც ახალს არაფერს არ ამბობს, მაგრამ ვერც შეედავები, რადგან იმას ამბობს, რაც წიგნში წერია. ამიტომ, იძულებული ხარ, უსმინო და დაეთანხმო კიდეც. ასე სიზმარში ემართება ადამიანს, რადგან ყველაფერს, რითაც სიზმარში ცხოვრობს, სიზმრისეული აუცილებლობა, სიზმრისეული დამაჯერებლობა განაპირობებს და ეჭვიც აღარ ეპარება, ეს სიზმრისეული აუცილებლობა და დამაჯერებლობა ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც შეუცვლელი დარჩება. ნატო მისი სიზმარი იყო. ცუდი სიზმარი. მაგრამ სიზმარი იმის სიზმარია, ადრე თუ გვიან უნდა გათავდეს. თავდება კიდეც. ადამიანი იღვიძებს და გაღვიძებისთანავე ავიწყდება, ანდა უაზრო აბდაუბდად ეჩვენება ის, რაც სიზმარმა მოახვია თავს. ამას, ეტყობა, ნატოც გრძნობდა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ღობეყორეს ედებოდა, ოღონდ, ზემოქმედების ძალა არ დაეკარგა, გაგრძელებულიყო, გაეხანგრძლივებინა თავისი უსაფუძვლო, უსინდისო ძალაუფლება — სითავხედით, ბანგით, შხამით მოპოვებული, ობობასავით შეცოცებული გამოთიშულ გონებაზე, წამიერი ელდის, წამიერი შეცდომის მახვილით გზაგაკაფული. ლაქუცით, ქათინაურებით უპირებდა ისევ სიზმარში შებრუნებას. აქებდა და ადიდებდა, რათა უფრო იოლად

დაემხო განდიდებული, არარსებულ კვარცხლბეკზე აყვანილი, ქებით გაბრუებული, გაბითურებული, მლიქვნელობის ქსელში გახვეული, სულელი ბუზივით. “თქვენ რომ უფრო ხშირად ეჩვენოთ ხოლმე ხალხს, ასეთი ველური, ასეთი გულქვა, ასეთი დაუნდობელი აღარ იქნებოდა ადამიანიო” — ამბობდა ნატო (იმ დღეს, თურმე, ვიღაც მთვრალებს ფეხმძიმე ქალის მუცელზე ფიცარი გაუდიათ და აიწონა-დაიწონა უთამაშიათ. ძალით მოამშობიარეს, თურმე. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რას არ გაიგონებ თეატრში!). ნატო კი ლაპარაკობდა: თქვენისთანა ქალს ხალხი თაყვანს უნდა სცემდეს, როგორც ღვთაებასო; თქვენ კი პურის რიგში დგებით და ჩაისაც თვითონ იდუღებთო; ის კი არა, ნავთიც თქვენ თვითონ მოგაქვთო; იმ დღეს დაგინახეთ, ღვთიშობელს გავდით, ოღონდ ყრმით კი არა, ნავთის ბოთლითო; მე რომ კაცად დავბადებულიყავი, ბროლის კოშკში ჩაგსვამდით და ცივ ნიავსაც არ მოგაკარებდითო; (სიცილით) მილიონერი გავხდებოდი, რადგან უფულოდ არავის მივცემდი თქვენი ნახვის ნებასო (ასეთი ელენე უკვე იყო, ჩემო ნატო, დახატულიც მეძაობდა)... თქვენ ხომ არ იცით, თქვენ ხომ ვერც წარმოიდგენთ, როგორ მიყვარხართო; უფლება რომ მქონდეს, პურსაც მე მოგიტანდით და ნავთსაცო... (რა თქმა უნდა, შაქრის უკანასკნელ ნატეხსაც მოპარავს დედას, მე რომ მომირბენინოს. ერთხელ კიდევ ნახოს, როგორ ვიტანჯები. ოღონდ დამენახვე და აჰა, შენ შაქარი. შენ შაქარი, მე სიამოვნება. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. რა ბოროტი ვარ. რა სისულელეები მომდის თავში).

— რა სულელი ხარ, ნატო! — გაიცინა ქალბატონმა ელენემ.

— დედას გეფიცებით, ქალბატონო ელენე! — უარესად აღეგზნო ნატო.

დერეფანში ვიღაცამ ჩაირბინა. სადღაც კარი გაჯახუნდა. წამიერად გამოღებული კარიდან ფრაზის ნაგლეჯი გამოსხლტა და ტყვეობიდან თავდაღწეული ნადირივით გაშლიგინდა თეატრის აკლდამისებურ სიჩუმეში: კეისრები ერთხელ კვდებიან! გზადაგზა იმშვიდებდა აბურძგნულ ბეწვს, დარღვეულ სუნთქვას, და ბოლოს, როგორც იქნა, გა-

აღწია თეატრიდან. ქალბატონი ელენესთვის კი, თეატრი ერთადერთი ადგილია, ერთადერთი თავშესაფარი, კუნძული, სადაც მისი სიმარტოვე, ტკივილი, ტანჯვა, მოლოდინი — არა მარტო იერს იცვლის, არამედ მაცდურად მომხიბვლელი აზრითაც იტვირთება, დიადის, ამაღლებულის, მარადიულის ნათელში ეხვევა, როგორც კეისარი ტოგაში, და ხანდახან იმასაც კი ფიქრობს, სხვებისთვისაც არანაკლებ თავზარდამცემი, არანაკლებ სულისშემძვრელი რომ იქნებოდა მისი ცხოვრება სცენაზე გატანილი. აქ შეიძლებოდა მხოლოდ ტაში და ყვავილები დაემსახურებინა იმისთვის, რისთვისაც სასჯელს იხდის სხვაგან, ნებისმიერ ადგილას, ქუჩაში თუ შინ. სხვაგან სინდისის ქენჯნის, სირცხვილისა და უაზრობის მეტს ვერაფერს ხედავს საკუთარ წარსულში. ნასხვისარი ოთახიც სასჯელია, წარსულით დამსახურებული, და ისიც ყოველღამე იშლის სიმარტოვის ლოგინს, რომელზედაც კატაც ზიზღით წვება. იძულებულია, ყოველ თხუთმეტ წუთში გამოერკვას უხორცო, უმომავლო, თავის მოსატყუებლად გამოგონილი ოცნებიდან და საათიამურის ისრით განგმირული, ჩაეხვიოს აქოთებულ კატას, ისევ ყელამდე ჩაფლული სხვათა ცხოვრების დანატოვარ მტვერში. ხოლო თეატრი იმედის ის კუნძულია, სადაც შეიძლება იმის ცხოვრებაც სხვა თვალის დაინახოს ვიღაცამ. აქ ითქვამს სულს, სასჯელის ზღვიდან ამოყურყუმალავებული, რათა ისევ სასჯელის ზღვაში ჩაეშვას, უფრო ღრმად, ფსკერამდე, საკუთარ გვამამდე, შავ ნიჟარაში ჩამარხულ გვამამდე; ქოლგის წვერი შეუჩიჩხინოს, გამოაფხიზლოს სიკვდილიდან, დაურღვიოს ნეტარი სიკვდილი; დაბოლოს, თეატრი ერთადერთი ადგილია, სადაც ქმარზე ვერ ფიქრობს, ქმარს ვერ გრძნობს, ქმარს ვერ ამჩნევს, როგორც ლომის სტომაქში მოხვედრილი — ლომს. მაგრამ ნატომ ეს სულისმოსათქმელი თავშესაფარიც დაურღვია; აქაც შემოიჭრა, ქალური ძღვენით — შხამში ამოვლებული ქათინაურებით ხელდამშვენებული. უფრო მეტიც — მკვდარი ქმარი გაახსენა მაშინვე: ქმარივით ელაპარაკებოდა, ქმარივით აქებდა და ადიდებდა, ქმარივით ეფიცებოდა სიყვარულს, თითქოს მისი ქმრის ღამეული, საწოლისთვის გამიზნული მონოლო-

გების არარსებული სტენოგრამა გაეზეპირებინა და ზუსტად იმასავით წარმოთქვამდა: აღგზნებული, გაფითრებული და, იმავე დროს, მისი ქმრისთვის ეგზომ დამახასიათებელი პათეტიკური გულწრფელობით, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეყენებინა საკუთარ გულწრფელობას, სანახევროდ ხუმრობად რომ ჩაეთვალა მისი ნალაპარაკევი მსმენელს, მაგრამ გულწრფელად ეთქვა ის, რასაც იმწუთას განიცდიდა, რასაც სხვანაირად ვერ გამოთქვამდა, იმიტომ კი არა, იძულებით რომ ამბობდა იმას, რისი თქმაც არ უნდოდა, არამედ, იძულებით რომ ამბობდა იმას, რისი თქმაც უნდოდა; კი არ ამბობდა, აღიარებდა, როგორც საკუთარ ნაკლს, სისუსტეს, დანაშაულს. ამიტომაც იყო, ალბათ, მკვდარი ქმარი რომ ედგა თვალწინ. ნატოს უსმენდა და მკვდარ ქმარს ხედავდა — კეისრის ტოგაში გამოწყობილს, ოცდასამჯერ დაჭრილს და ერთხელ მკვდარს. ბოლო ჭრილობამ კი არ მოკლა, ოცდასამივემ ერთად, ერთდროულად, ერთხელ. ასეთი ცოცხალი არასოდეს გამოცხადებია. უფრო ცოცხალიც კი იყო, ვიდრე იქამდე, იმ საზარელ დღემდე. ნატოსავით შემცბარი, დაბნეული იდგა და იღიმებოდა; ხელი კი ამაყად ჩამოედო მახვილის ტარზე, როგორც სახელოვანს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ჩაფლავებულ მსახიობს, ღირსეულად რომ უჭირავს თავი მისთვის ამ უსიამო დღესაც, თუმცა ერთი სული აქვს, როდის გავა აქედან, წყეული, უმადური, არაფრის მპატიებელი, მისი ნიჭისა და ძალღონის მწოველი სცენიდან, რათა კულისებში, ცრემლში აზელილი გრიმით სახემოთხუპნული, დეკორაციის სვეტს ჩაეხვიოს, დაცემული, დამხობილი, მარად მისი მოშურნე, მარად მისი დაცემის, დამხობის მომლოდინე სხვა მსახიობების თვალში, გელას დედების, გელას დედის დედების, გელას დედის მამებისა თუ ლიზების თვალში, მის ზურგს უკან რომ შექუჩებულან ახლა, სხვათა გვირგვინებით, სხვათა მანტიებითა და სხვათა სამკაულებით მორთულმოკაზმულნი, მაგრამ მაინც გაოცებულნი, ნირწამხდარნი, იმის ხილვით, რაც იხილეს, რასაც არათუ კეისრისგან, კეისრის განმასახიერებელი მსახიობისგანაც არ ელოდებოდნენ. თავი აიქნია, ეს უცნაური, ყოვლად მოულოდნელი ჩვენება

რომ დაეფრთხო. მაგიდაზე მიმოზის ყვავილი დაედო ვიღაცას. დაედო თუ დარჩენოდა? ახლა შეამჩნია პირველად. ოთახში მიმოზის მძაფრი სუნი დადგა. უნებურად შეშფოთდა. ვინ იყო ამ ოთახში ნატომდე? ნატოს ყვავილი არ მოუტანია. არც მკვდარი ქმარი მოიტანდა. კი მაგრამ, რატომ არ შეიძლებოდა, მკვდარ ქმარს მოერთმია ყვავილი? მიმოზა გაუბედავად აიღო მაგიდიდან და მაშინვე დამშვიდდა, ბავშვივით გაუხარდა, ნამდვილი რომ აღმოჩნდა იგი. ხომ შეიძლებოდა, სიცარიელეს წაწყდომოდა მისი ხელი? ყვავილი დაყნოსა და ღია სარკმელში გადააგდო. სადღაც ზევით ქალმა გადაიკისკისა. ნატო გაკვირვებული მიაჩერდა, სახეზე ღიმილშეყინული.

— რეპეტიციაა. — თქვა ქალბატონმა ელენემ.

“უარესად ვაჯავრებ თავსო” — გაიფიქრა ნატომ. მართალიც იყო. ჯერ არც იმდენი ცოდნა ჰქონდა და არც იმდენი გამოცდილება, ლაპარაკისას დროულად დაეხია უკან. ანდა დროულად წაედგა წინ ფეხი. იჯდა და ჭიკჭიკებდა ჩიტივით; ჩიტივით კი არა, მეტიჩარა ბავშვივით, ლექსს რომ გააზუთხვინებენ მშობლები და ისიც ჭიკჭიკებს, ჭიკჭიკებს დაზეპირებულ სიტყვებს, ლექსისა კი არაფერი გაეგება. არ ეგონა, ამდენი ლაპარაკი თუ დასჭირდებოდა; დარწმუნებული იყო, როგორც კი დაინახავდა, მაშინვე ყველაფერს მიუხვდებოდა ქალბატონი ელენე და შუბლს კი არ შეიჭმუხნიდა, გულში ჩაიხუტებდა, სიყვარულიც ამას ჰქვია, მადლობელი ვარ, შვილი რომ გამიცოც... შვილი რომ დამიბრუნეო. მსგავსიც არაფერი მომხდარა. ან უბღვერდა, ან სარკმელში იყურებოდა. და ესეც, ძალაუნებურად, უფრო მეტს ლაპარაკობდა, უფრო უაზროდ, უფრო დაბნეულად. ქალბატონი ელენეს მიუხვედრელობა აბნევდა, ანდა — ასე ოსტატურად გათამაშებული მიუხვედრელობა. ამასაც იყოლიებდა თამაშში, ტყუილუბრალოდ ალაქლაქებდა, იძულებულს ხდიდა, ღობეყორეს მოსდებოდა და ისე დაეჭირა თავი, თითქოს სხვა არც არაფერი ჰქონდა სათქმელი, თითქოს სხვა არცა ღირდა სალაპარაკოდ და თითქოს თავადაც იმ “სხვის” მისაჩქმალად ლაპარაკობდა ამდენს და არა იმიტომ, სწორედ იმ “სხვისთვის” როგორმე მოება თავი. “არ უნდა მოვსულიყავი,

არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მოვსულიყავიო” — ფიქრობდა განაწყენებული. სადღაც ისევ გაჯახუნდა კარი. ნატო შეკრთა, ხოლო ქალბატონმა ელენემ შემაწუხებლად იგრძნო უცებ, რა ღრმად შემოჭრილიყო უკვე მის სამფლობელოში ეს პატარა დამპყრობელი, რომელიც ბრმად, ალალბედზე კი არ ეპოტინებოდა სხვათა საკუთრებას, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გააზრებული, გაანგარიშებული, რა უნდა დაემხო, ანდა რა უნდა გადაებირებინა მაინც “სხვათა საკუთრებისკენ” მიმავალ გზაზე. შემწყნარებლური ღიმილითა და წარბების აქაჩვით ვეღარაფერს დააკლებდა ამ დაუდგრომელ სითავხედეს, არც უფროსუმცროსობას რომ დაგიდევდათ და არც ქალთა ომის წესებს. “მოიშალა, წაიბილწა ყველაფერი, მართლა უნდა დაინგრეს ქვეყანაო” — ფიქრობდა გაგულისებული. მაგრამ რატომ უნდა გაჰკვირვებოდა, ან რატომ უნდა სწყენოდა ნატოსგან? განა თვითონაც ასეთი არ იყო ნატოზე ადრე? უფრო სწორად, განა თვითონ არ იყო პირველი, ვინც საუკუნეობით დადგენილ წესსა და რიგს აუჯანყდა? მართალია, დაისაჯა კიდეც, მაგრამ ნატოსა და ნატოსნაირი გოგოებისთვის მაგალითად იქცა, რადგან იმათთვის მთავარი ის კი არ არის, რა მოსდევს ამგვარ ნაბიჯს, არამედ — ამგვარი ნაბიჯის გადადგმაც რომ შეიძლება. მაგრამ, როცა ქალბატონი ელენე, საერთო საცხოვრებლისაკენ მიმავალი, ჯიუტად, ბრაზიანად იმეორებდა: გათავდა. მეყოფა. მართალი ვარო — იმიტომ კი არ იქცეოდა ასე, ვიღაცებისთვის მაგალითად ქცეულიყო (ეს სრულებითაც არ აინტერესებდა, არც მაშინ და არც მერე), არამედ გამორჩეულობის, განსაკუთრებულობის, ერთადერთობის შეგრძნებით შეპყრობილი, ამ შეგრძნების გამოხატვას, როგორც მალე გამოირკვა, თურმე, ყოვლად გაცვეთილი, ყველა ქალისთვის თითქმის ერთნაირად სავალდებულო გზით აპირებდა, რაც ვერც საკუთარ თავს აპატია ბოლომდე და ვერც იმას, ვინც მისი გამორჩეულობა, განსაკუთრებულობა, ერთადერთობა ვნებით შეძრული, ვნებას აყოლილი ქალის სხეულად აღიქვა და ერთბაშად გააჩვეულებრივა, რადგან ქაჯეთის ციხესავით კი არ ააღებინეს იგი, არამედ საკარმიდამო მიწასავით მიუზომეს, გამოუყვეს

ასათვისებლად. ამის ბრალია, ყოველი შეუღლება კიდევ უფრო რომ აშორებდა ქმარს, კიდევ უფრო დაუმორჩილებელს, მიუღწეველს რომ ხდიდა ქმრისთვის, ყრუს, უგრძნობელს, ცარიელს — მიტოვებულ ციხესავით, რომელიც გამარჯვების შეგრძნებას კი არ გიჩენს, საგონებელში გაგდებს, რადგან ციხის მიმტოვებლის მორჩილებას კი არ გიდასტურებს, ციხის მიმტოვებლის ვერაგობაზე გაეჭვებს უნებურად. "არ მესმის, მომკალი და არ მესმისო" — იძახდა მისი ქმარი; ის კი, კედლისკენ გადაბრუნებული, ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ გათამაშებული გულცივობითა და უგრძნობლობით დათრგუნული, ღვარძლიანი ნეტარებით ფიქრობდა: რაკი ჩემი ფეხით გეახლე, არ გეგონოს ქუჩაში რომ ყრია "ძუძუნი უმჯობეს ღვინისა" და "მუცელი ვითარცა ხვავი იფქლისაო". ცოლობას ამადლიდა ქმარს, რომელმაც მხოლოდ ის დააშავა, მარადიულ მონობაში რომ ჩაიგდო თავი, ცოლის წამიერი სითამამისა და წამიერი სისუსტის გასამართლებლად. ასე კი იმიტომ მოხდა, სიყვარულის სიყვარულით დამთრგუნველად რომ გააჩინა იგი ღმერთმა, სიყვარულით სიყვარულის დათრგუნვის უნარი მისცა მხოლოდ, როგორც ჩიტს — ფრენისა, თევზს — ცურვისა, გველს — ხოხვისა, და თუ გამოარჩია, ამით გამოარჩია სხვებისაგან. მხოლოდ და მხოლოდ ამით. ესაა მისი გამოსარჩევი ნიშანი, მისი გამორჩეულობის, განსაკუთრებულობის, ერთადერთობის ღერბი: ქოლგა და შავი პირბადე — უსახლკარობისა და სიმარტოვის სიმბოლო და არა ქოლგისა და პირბადის რეკლამა, ნებისმიერმა ნატომ რომ გადაიღოს და გაიმეოროს. თანაც იმდენი მსხვერპლის გაღება დასჭირდა, იმის გამოჩენისა და ტარების უფლება რომ მოეპოვებინა, ვერავის ჩაიზიარებდა, ვერავის ამოიყენებდა გვერდში, გამორჩეული, განსაკუთრებული, ერთადერთი უბედურების კვარცხლბეკზე შემდგარი, და ვერავის უწილადებდა იმ სისხლის გამყინავ, ტირანული სიამაყის აღმძვრელ გრძნობას, ქუჩაში რომ განიცდიდა, როცა მის დანახვაზე შეჩოჩქოლებული, შემცბარი გამვლელები ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ ხოლმე: ამისმა ქმარმა თავი მოიკლაო. ახლა კი, ვიღაც რძეშეუმშრალი გოგო დასდგომოდა თავზე და ეუბნე-

ბოდა: ნება მომეცი, მეც ისე მოვექცე შენს შვილს, როგორც შენ შენს ქმარს მოექეციო. ქმარი სხვაა, სულელო, შვილი კი სხვა. და როცა ამას გაიგებ, მერე იწყება ცხოვრება. იქამდე გძინავს, ღრმად, უსიზმროდ. იქამდე ისიც არ გაინტერესებს, შენს ქმარსაც ჰყავს თუ არა დედა და თუ ჰყავს, რას ფიქრობს შენზე, გაქებს თუ გაძაგებს, გწყევლის თუ გლოცავს. შენ ჯერ გძინავს, გძინავს, გძინავს, მაგრამ ის მაინც შემოაღწევს შენს ძილში — დედამთილი — და მხოლოდ იმიტომ გაგაღვიძებს, შენი უსინდისობა, შენი სულმდაბლობა, შენი უსამართლობა რომ დაგანახვოს. მეტი არაფერი. გაგაღვიძებს და წავა. გაქრება. საფუძვლიანად ვერც გაარკვევ, მართლა მოვიდა, თუ მოგელანდა, დაგესიზმრა. საიდანღაც მოვიდა, თუ შენი არსებიდან ამოიზარდა, როგორც რძიდან ყველი. აი, რატომ ცდილობდა ქალბატონი ელენე, ბოლომდე გულგრილი და შეურყეველი დარჩენილიყო ნატოს გამონაგონი (შეიძლება, მისი ჯიბრითაც), თითიდან გამოწოვილი სადარდელის მიმართ; თავი არ გაეყადრებინა იმისთვის, როგორც ქოფაკს — გოშიასთვის, როგორც ღირსეულ დედამთილს — უღირსი რძლისთვის, რითაც ნატოს თვალში იმ უპირატესობას მაინც ინარჩუნებდა, რასაც თუნდაც ასაკი აძლევდა და რისი დაკარგვის შემდეგ, აღარც თვითონ შეეძლებოდა ასე შემწყნარებლურად გაღიმება, ასე მოჩვენებითი, სავალდებულო ყურადღებით მოსმენა და მოთმენა ამ ძალადმაცხონე გოგოსი, რომელიც, მართალია, ჯერ არ ეჯავრებოდა, მაგრამ ყოველთვის აღიზიანებდა, როგორც პოეტს მიმბაძველი, რომელსაც ერთი სული აქვს, როდის აღიარებს "კერპი", როდის ჩათვლის პოეტად, და შენიშვნებს კი არ უსმენს, იმას კი არ უკვირდება, რა სასაცილოა თვითონ და რა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს თავის "კერპს" — უტიფრად უღიმის, ვითომ თქვენისთანა ადამიანს, როგორ ეკადრება, მე ნაკლად ჩამითვალოს ის, რითაც თავად სახელი მოიხვეჭაო. იჯდა და უსმენდა. იჯდა და ითმენდა გაუთავებელ აბდაუბდას, რითაც ნატო მხოლოდ და მხოლოდ მასთან გათანასწორებას, მასთან გაშინაურებას ცდილობდა და გულახდილობის, გულწრფელობის წილ, მისგანაც იმავეს მოითხოვდა. ან მარ-

თლა ჩვეულებრივი თავხედი იყო, ან სულელი. მაგრამ, საბედნიეროდ, ამას ჯერ კიდევ შეეძლო თავის შეკავება, უფრო სწორად, ნამდვილი სახის დამალვა. ნიღაბი ჰქონდა სახეზე აფარებული, ყურადღების, ცნობისმოყვარეობის მკვდარი, გაშეშებული ანაბეჭდი — უფერული, უსისხლო. განა ტყუილად მსახურობდა თეატრში? თუმცა თეატრი იმდენს რას ასწავლიდა, დედამთილმა რომ ასწავლა, თანაც არა წლების, არამედ ნახევარი საათის განმავლობაში, რადგან მხოლოდ ერთხელ და ისიც ნახევარი საათით იხილა იგი, სულ სხვა საქმეზე ჩამოსული თბილისში, მეზობელს გამოყოლილი მოწმედ, სასამართლოში, მაგრამ ნახევარ საათშიც შეძლო იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა გეჭიროს თავი შენთვის ყველაზე მძიმე წუთებში, შენთვის (ალბათ!) ყველაზე საძულველ ხალხთან, რათა ისინი საპასუხო სიძულვილით კი არ განიმსჭვალონ შენდამი, არამედ საკუთარი არარაობა იგრძნონ და შენმა სიდიადემ, შენმა ღირსებამ, შენმა ღვთაებრივმა დაუნდობლობამ და ასევე ღვთაებრივმა მიმტევებლობამ ხელები დააჭამინოს იმათ, ერთმანეთი დააგესლინოს, ერთმანეთზე ამოაყრევინოს წყალწყალა, უმწეო, უმაქნისი ჯავრი. იმიტომ კი არ დაადგათ თავზე — მოულოდნელად, გაუფრთხილებლად, ნახევარი საათით — დაკარგული რომ მოიძია — იმისთვის უნდოდა ერთხელ მაინც შეევლო თვალი, ვინც მის მოლოდინსა და იმედს წერტილი დაუსვა; მიზეზი აინტერესებდა მოლოდინისა და იმედის სიკვდილისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ისევ იმათ სიკვდილთან შეგუებას აიძულებდა, როგორც ჭირისუფალს — გვამის გაკვეთის შემდეგ დადგენილი დიაგნოზი. მაგრამ რძლისგან განსხვავებით, არა მარტო გარეგნულად ეჭირა თავი ღირსეულად, არამედ მისი უთქმელი, ღრმად შენიღბული ნებასურვილი წარმართავდა ყველაფერს, რაც კი ირგვლივ არსებობდა, ხდებოდა, ანდა შეიძლებოდა მომხდარიყო იმ ნახევარი საათის განმავლობაში. თუმცა, არაფერზე და არავისზე შეუჩერებია დიდხანს თვალი; არავისთვის არაფერი უკითხავს და არავინ დაუტოვებია უპასუხოდ. წელგამართული იჯდა სკამზე, დიდ ოთახში — არც ისე ახლოს მაგიდასთან, დანარჩენებში რომ გარეულიყო, და არც ისე შორს,

მთლად რომ გამოცალკევებოდა დანარჩენებს. თითქოს იყო და არც იყო იმათთან. იყო, როგორც სტუმარი, და არ იყო, როგორც ნათესავი. მშვიდად, მაგრამ გამომწვევად იჯდა, როგორც წმინდანი კეთროვნებში, როგორც დედოფალი ტახტზე, როგორც დედა უღირსი შვილის კუბოსთან. სადა, უბრალო, მაგრამ თვალშისაცემი, ადვილად გამოსარჩევი თავისი ყვავილიანი ბამბაზიის კაბითა და პრიალა, წვეტიანი, თეთრ წინდებზე ამოცმული კალოშებით. მშვიდად, სხვათა შორის მოჰყვა, როგორ მოეჭრა ვიღაცას ვიღაცისთვის ბლის ხე; როგორ მოეკლა ბლის ხის პატრონს ბლის ხის მომჭრელისთვის მაკე ძროხა და ბოლოს, როგორ დარეოდნენ ერთმანეთს ბლის ხის პატრონი და ბლის ხის მომჭრელი; სისულელის, სიბრიყვის გამო, საციხოდ გაეხადათ საქმე, პირში ჩავარდნოდნენ ქალაქს, სადაც უფულოდ სალამსაც აღარ ეუბნება ხალხი ერთმანეთს და სადაც ფულის გულისთვის ქალს ქალობა აღარ ახსოვს, კაცს კი — კაცობა. მაგრამ მის რძალს სრულებითაც არ აინტერესებდა სოფლური ვნებანი; იმაზე ბრაზობდა, მისი დედამთილი, მოწმე იყო თუ მონაწილე მეზობლების ჩხუბისა ("წახდომისა" — როგორც თავად ბრძანა), იმის თქმას რომ ცდილობდა, ხაზგასმულად, თქვენთან კი არ ჩამოვედი, ვისარგებლე ქალაქში ყოფნით და ბარემ თქვენთანაც შემოვიარეო — თითქოს სათაკილო იყო, თითქოს ძალიან დამცირდებოდა, ანდა თითქოს ფულს გადაახდევინებდნენ, თავიდანვე მხოლოდ ამ მიზნით რომ ჩამოსულიყო ქალაქში და იმისთვის არ ეცადა, ქალაქის სიგლახე როდის მისწვდებოდა სოფელსაც და ხის გამო დაწყებული კინკლაობა როდის გადაიზრდებოდა სისხლისღვრაში. "არ მოვეწონე, არ მოვწონვარო" — ფიქრობდა ეს, გაბრაზებული, რადგან არასოდეს არ უფიქრია, ასე მტანჯველად, ასე უსაშველოდ თუ მოუნდებოდა როდისმე, მაინცდამაინც ამ უბრალო, ამ სოფლელ ქალს მოსწონებოდა იგი. "რაღა მაშინდელი მე და რაღა ახლანდელი ნატო" — გაეღიმა მწარედ. გაახსენდა, როგორ უქიცინებდა დედამთილს კუდს, როგორ ცდილობდა, თავიდანვე გაუთვალისწინებლის, უგულებელყოფილის, გამორჩენილის აღდგენას, თანაც ნახევარი საათის განმავლობაში;

როგორ ცდილობდა, წარამარა მოხვედროდა იმას თვალში, იქნება რამე მკითხოს, იქნება რამე დამავალოსო, მაგრამ იმისთვის, სოფლელისთვის, ყველანი ერთნაირები იყვნენ, როგორც სხვა რასის წარმომადგენლები, და ნახევარსაათიანი დედამთილობა, უფრო სწორად, დამარცხების შეგრძნება, უფლებას აძლევდა, არ გამოერჩია არავინ, ყველა ერთნაირად დაეგმო, ან ყველასთვის ერთნაირად მიეტევებინა. ესენი კი, გამარჯვებულები, ერთმანეთს იხმობდნენ სამზარეულოში და ჩურჩულით, ფაცაფუცით ბჭობდნენ, სად მოესვენებინათ, რა პატივი ეცათ, როგორ მოეგოთ დამარცხებულის გული. მაგრამ ის უკვე ფეხზე იდგა, წასასვლელად გამზადებული, და ბამბაზიის კაბის სახელოებს ძირს იქაჩავდა, ბოლომდე რომ დაეფარა მზემოკიდებული მაჯები. როცა უთხრეს, რატომ მიბრძანდებით, დარჩით, მოისვენეთო, გაიღიმა და თქვა, დასარჩენად სად მცალია, ჩემს სულელ თხას თვალები გაუწყალდა ალბათ, ჩემს მოლოდინშიო. მატარებელი დილამდე არ იყო; ყველამ იცოდა, სადგურის მოსაცდელ დარბაზში უნდა მჯდარიყო დილამდე, მაგრამ მაინც ვერავინ გაუბედა სიტყვის შებრუნება ანდა გაცილება (ვერც შვილმა და ვერც რძალმა, ვერც მძახლებმა და ვერც ლიზამ); გამარჯვებულებმა ვერ გაუბედეს დამარცხებით მოპოვებულის წართმევაც, დამარცხების გადასატანი სიამაყის ხელყოფა და, მათდა სანაქებოდ, მაშინვე იგრძნეს, კიდევ უფრო დიდი უსამართლობა რომ იქნებოდა იმათგან, ენახათ, როგორ შევიდოდა იგი სადგურის მოსაცდელ დარბაზში, უპატრონო, სოფლელი ქალი, დამფრთხალი, დაბნეული მისთვის უჩვეულო გარემოთი და მისთვის უცხო ადათწესებით; მოჩვენებითი და, ამიტომაც, უაღრესად თვალშისაცემი გულგრილობით, როგორ მიაშურებდა დარბაზის ყველაზე შორეულ, ყველაზე ცარიელ კუთხეს; დაჯდომამდე როგორ დაიფენდა გაზინთულ სკამზე ცხვირსახოცს და პრიალა, წვეტიან კალოშებზე როგორ დააწყობდა ზემოდან გადატანილი მღელვარებით აკანკალებულ ფეხებს — უბრალო, ჩვეულებრივი სოფლელი დედაკაცი, ბედის უკუღმართობისა და ბედთან მარადიული ჭიდილის გამო, მოლოდინისა და სიმარტოვის ღვთაებად

გარდაქმნილი, თხის ანაბარა დარჩენილი. “რაღა მაშინდელი ჩემი დედამთილი და რაღა ახლანდელი მეო” — ისევ გაეღიმა მწარედ, ისევ დაეზარა ამ, მისთვის მტკივნეული მოგონებიდან გამოსვლა. “დედაჩემი სადგურის მოსაცდელში ზის... მე მივუსაჯე დედაჩემს სადგურის მოსაცდელში ჯდომაო” — შფოთავდა მისი ქმარი, მაგრამ იმის ნაცვლად, თვითონაც სადგურში გაქცეულიყო, ფეხებში ჩავარდნოდა დედას, უკან დაებრუნებინა, ანდა მასთან ერთად დაეცადა მატარებლისთვის, რომელიც სამშვიდობოს გაიყვანდა ორივეს — მშობლიურ მიწაზე, მშობლიური ცის ქვეშ, მშობლიურ კერასთან, რომლის გარშემოც ჯერ კიდევ გაურყვნელი ხალხი იკრიბებოდა, ყანიდან, ვენახიდან, წისქვილიდან, ტყიდან, წვიმიდან შემოსული, ჯერ კიდევ მორწმუნე ღმერთისა და ეშმაკისა, ჯერ კიდევ სისხლხორციელად განუყრელი ზღაპრის გმირებისგან — მაინც ცოლს ებღაუჭებოდა რბილსა და ქათქათა საწოლში, როგორც წყალწაღებული ხავსს, როგორც ჭაობში ჩაფლული — ჰაერს. თითქოს ცოლს და არა დედას ჩამოსტეხოდა და ცდილობდა, ისევ სამუდამოდ მისწეპებოდა იმის სხეულს. მაგრამ კაცს, როგორი სუსტიც არ უნდა იყოს იგი, რაკი თავად ბუნებისგანაა იძულებული, დედასა და ცოლს შორის ყოველთვის უკანასკნელი აირჩიოს, ცოლის დედად გარდაქმნის უნარიც შესწევს, რაც, თავისთავად, შურისძიების ერთგვარი საშუალებაცაა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეუძლია, იოლი, ლამის მზამზარეული, წინასწარვე განაღდებული გამარჯვებით დაბრმავებულ ცოლს თვალი აუხილოს და მხოლოდ ამ გზით შეუძლია, იმასაც განაცდევინოს შვილის განდგომისა და დაკარგვის სიმწარე. ისევ აიქნია თავი, ამჯერად დედამთილის დაძაბული, გამომცდელი მზერა რომ მოეშორებინა, მკაცრი, მაგრამ წმინდა, გასაფრთხილებელი, სახელმძღვანელო, როგორც მატიანეს ფურცელი, რომელიც სასახლის საზეიმო ცერემონიალებს კი არ აღწერს, არამედ დამხობილ, იავარქმნილ, გაუკაცრიელებულ პალატებსა და სენაკებს, ქვეყნის გულისა და გონების ოდინდელ სამალავებს. “დამშვიდდი. ყველაფერი შემომიბრუნა ღმერთმა. ყველაფერი წინ დამახვედრა”, — უთხრა დედამთილს გუნებაში. სადღაც

ისევ გაჯახუნდა კარი. ისევ გადაიკისკისა ქალმა. მაგრამ კი არ დააფრთხო, კიდევ უფრო გაამძაფრა თეატრის შენობაში გამეფებული მყუდროება. “რეპეტიცია მალე დამთავრდებაო” — გაიფიქრა და ნატოს შეხედა.

— თქვენ მე არ გიყვარვართ, — თქვა ნატომ.

— ოხ, ნატო, ნატო... — გაიცინა ქალბატონმა ელენემ.

— არც მე მინდა, ჩემი მიზეზით სხვები რომ გაუბედურდნენ, — თქვა ნატომ.

— ეგ რაღაა? შენ რა შუაში ხარ? — შეკრთა, დაიბნა ქალბატონი ელენე და სასწრაფოდ გამოაღო უჯრა; მაგრამ ბოლო წამს მაინც მოერიდა პაპიროსის ამოღება. ქმრისა არ ერიდებოდა, ნატოსი კი მოერიდა. ამანაც გააღიზიანა. გაწბილებული, გაკვირვებული ხელი თითებით ეკიდა გამოღებულ უჯრაზე.

— მოხდეს, რაც მოსახდენია! — თქვა უცებ ნატომ.

— რა უნდა მოხდეს, ნატო? — უარესად დაიბნა ქალბატონი ელენე.

— რაც მოსახდენია! — ჯიუტად გაიმეორა ნატომ.

— არაფერი არ უნდა მოხდეს, არაფერი! რაც მოხდა, ისიც საკმარისია. ისიც მეტია! — ხმას აუწია ქალბატონმა ელენემ და ფაცაფუცით მოიძია უჯრის სიღრმეში პაპიროსისა და ასანთის კოლოფი. უკვე მიხვედრილი იყო (ალბათ თავიდანვე), აქ მოსასვლელად უფრო დიდი მიზეზი რომ ჰქონდა მის მეტოქეს, ვიდრე პატივისცემისა და სიყვარულის გამომჟღავნებაა. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდობდა — ისიც კი გამორჩა, როდის გაუჩნდა, ან რამ გაუჩინა ამგვარი ვარაუდი — მაგრამ ვარაუდი მალე სინამდვილედ იქცეოდა და აზრი აღარ ექნებოდა ბრძოლის გაგრძელებას, მისი დედამთილის არ იყოს, სადგურის მოსაცდელ დარბაზამდე თუღა მიჰყვებოდა გარეგნული სიკერპე და გაუტეხლობა. აღელდა, აჩქარდა უნებურად; თითქოს მეორე ქალაქში ელაპარაკებოდა ვიღაცას ტელეფონით და დრო განსაზღვრული ჰქონდა — შენ ჯერ კიდევ ბევრი რამე არ იცი, ნატო. ჯერ კიდევ სამოთხის მკვიდრი ხარ. ჯერ არ გამოუგდიხარ მამაშენს იქიდან. — ცოტას მორჩა, ენაზე იკბინა. შეშფოთებულმა

ამოიღო პაპიროსი კოლოფიდან. ხელები უკანკალებდა. ამაოდ აჩხაკუნებდა ასანთს. ზედიზედ ემტვრეოდა ღერები. პაპიროსი ტუჩების ცმაცუნით გადაჰქონდა პირის ერთი კუთხიდან მეორისკენ, როგორც კურდღელს კომბოსტოს ფოთოლი. ასანთის დამტვრეული ღერები რომელიღაც საიდუმლო დამწერლობის ნიშნებივით ჩნდებოდნენ მაგიდაზე. ნატო წამოდგა, ასანთი ჩამოართვა და თვითონ აუნთო. "მადლობთო" — უთხრა თავის აუწევლად, თითქოს მოუბოდიშა. თვალები დახუჭა და ბოლი ღრმად შეისრუტა. ნატომ ნიჟარის საფერფლე ტახტის მუთაქიდან მაგიდაზე გადმოდგა. ისე ირჯებოდა, თითქოს მიჩვეული იყო ამგვარ საქმიანობას. თითქოს ისიც აქ მსახურობდა, ქალბატონ ელენესთან ერთად, ოღონდ იმასაც პიესების კითხვა კი არ ევალებოდა, არამედ ქალბატონ ელენესთვის ცეცხლისა და საფერფლის მიწოდება. სრულებითაც არ უკვირდა, ქალბატონი ელენე პაპიროსს რომ ეწეოდა, თუმცა იმის ხელში იქამდე არასოდეს არ უნახავს პაპიროსი. ანთებული ასანთის ღერი ჯერ ისევ ორი თითით ეჭირა და მშვიდად უყურებდა, თანდათანობით როგორ შავდებოდა, როგორ იკრუნჩხებოდა ცეცხლში გახვეული ღერი, ღერის შავი ჩონჩხი. "ომი გარდაუვალია. ქვა ქვაზე არ დარჩებაო" — იმეორებდა გუნებაში ზღვის პირას ჩასმენილ ფრაზას. თითები რომ აეწვა, ღერი საფერფლეში ჩააგდო. ალანძული თითები ერთმანეთს გაუსვა; მაგრამ აღარ დამჯდარა, თითქოს დაენანა ბედნიერი შემთხვევის წყალობით დაპყრობილი სივრცის დათმობა, უკან დახევა. მის ზურგს უკან ბოლი დაფეთებული მიაწყდა სარკმელს, მაგრამ სარკმელთან შეყოვნდა, შეტბორდა, თითქოს უფრო დიდი სივრცის შეეშინდა და რაკი უკან მაინც ვეღარ დაბრუნდებოდა, ნელა, გაუბედავად, ნაწილნაწილ გაიძურწა გარეთ. "თუ ვინმეს ეკუთვნის, თქვენ გეკუთვნით სწორედ, გვირგვინიო" — თქვა უცებ ნატომ და თამამად გაუსწორა თვალი ქალბატონ ელენეს.

— მე ჩემი უბედურებაც მეყოფა, — თქვა ქალბატონმა ელენემ, — თითქოს თავისთვის, მაგრამ ისეთი ბებრული ხმით, ნატო უნებურად აიწურა; პირველად მაშინ შეამჩნია თითქოს და გული მოერღვა: მის

წინ დაღლილი, სუსტი, ცხოვრებისგან ნაადრევად მოტეხილი ქალი იჯდა — გაჭაღარავებული, ტუჩებგადათეთრებული, ყელდანაოჭებული — მოწყალებისა და დანდობის მავედრებელი: ხმით, თვალებით, მთელი არსებით. "დღეს სრულებითაც არ არის ლამაზიო" — გაიფიქრა ნირწამხდარმა, თითქოს ლამაზი ქალბატონი ელენე უფრო გულისხმიერი იქნებოდა, ვიდრე ულამაზო. მაგრამ, თითქოს შეშფოთების მიზეზს მიუხვდაო, ქალბატონმა ელენემ ისე ხალისიანად, ისე გულიანად გაიცინა, ალბათ უფრო ნაკლებად გაუკვირდებოდა ნატოს, სარკმელში რომ გაფრენილიყო ის, თავის სკამიანად და პაპიროსიანად. თვითონაც გაეღიმა, ოღონდ გაბრიყვებული ბავშვივით, ჯერ რომ არ იცის ვის გაუბრაზდეს, გამბრიყვებელსა თუ საკუთარ თავს.

— ჯერ ძილი, მერე სიზმარი, — მოაყოლა სიცილს ქალბატონმა ელენემ.

— რა თქვით? — ვერ გაიგო ნატომ. ვერ მიუხვდა.

— ჩვენ, ქალებს, იმდენად გვიყვარს სიზმარი, დაძინებამდე გვინდა ვნახოთ. შენ ჯერ უნდა გეძინოს, ნატო. უნდა გეძინოს. ტკბილად. ღრმად. უზრუნველად. სიზმარი კი თავის დროზე მოვა, — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— არ ვიცი, უკვე გითხარით თუ არა, — რატომღაც გაბრაზდა ნატო, — მაგრამ მე და გელამ...

— ეგ უკვე მითხარი, — გააწყვეტინა ქალბატონმა ელენემ.

— მე და გელა აუცილებლად დავქორწინდებით, — გააგრძელა ნატომ, — ჩვენ უკვე ყველაფერი გადავწყვიტეთ.

— ძალიან კარგი! — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— შვილიც გვეყოლება, — ხმა აუთრთოლდა ნატოს.

— მაგას რა სჯობია!.. — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— მე ასე მინდა... ჩვენ ასე გვინდა. ვისაც რა უნდა, ისა თქვას. ჩემთვის სულერთია! — გაცხარდა ნატო.

— მით უკეთესი... — თქვა ქალბატონმა ელენემ.

— ქალბატონო ელენე! — იყვირა ნატომ.

— ქალბატონო ელენე! — იყვირა ქალბატონმა ელენემაც. — ქალბატონო ელენე! — გაიმეორა ცოტა ხნის მერე, ახლა უკვე მშვიდად, დამცინავად, აგდებულად. — თავი გაანებეთ ქალბატონ ელენეს. თავი გაანებეთ... ყველამ.

დაძაბულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ორივეს ერთნაირად უჭირდა ამ გამაბითურებელი, ყველაფრის ამომწურავი დუმილის ატანა. დარღვევაც. აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი. სხვას, ამ დუმილთან არაფრით დაკავშირებულ ძალას, შემთხვევას უნდა დაერღვია იგი, ორივენი რომ გადარჩენილიყვნენ, ორივეს რომ გადაერჩინა თავისი პატივმოყვარეობა. ერთს თავისი სულელური გულახდილობისა რცხვენოდა, მეორეს — თავისი ყალბი გულგრილობისა. რაღაც უნდა მომხდარიყო, იმ რაღაცას რომ ჩასჭიდებოდნენ ორივენი და გასცლოდნენ, დამალვოდნენ ერთმანეთს. და მართლაც, მათ ბედზე, სადღაც ზემოთ ისევ გაჯახუნდა კარი, ისევ გადაიკისკისა ქალმა, გახრაგუნდა სკამები და ლაპარაკის, სიცილის, ნაბიჯების ხმები ტლანქად, დაუდევრად, მოურიდებლად აირია ერთმანეთში. კიბეზე ვიღაცები ჩამოდიოდნენ. “მაკოცნინე ამალია, ერთხელ მაკოცნინე, გოგო!” — დაიძახა კაცის ხმამ. “თუ კარგია, შენს ცოლს აკოცეო” — უპასუხა ქალისამ. “ახლა კი ნამდვილად დამთავრებულა რეპეტიციაო” — გაიფიქრა ქალბატონმა ელენემ, პაპიროსი ნიჟარის საფერფლეში ჩააგდო და ისე სწრაფად წამოვარდა სკამიდან, ნატო, უნებურად, უკან გადაიხარა. კი არ წამოდგა, წამოვარდა. “თუ გინდა დამიცადე. ახლავე მოვბრუნდებიო” — უთხრა ნატოს და კარისკენ გაიქცა. კი არ წავიდა, გაიქცა. “რაჟდენ, ბატონო რაჟდენ!” — დაიძახა ოთახშივე, თითქოს საკუთარი თავისთვის კი არა, ნატოსთვის რომ დაემტკიცებინა, შენ კი არ გაგირბივარ, მართლა საქმე მაქვსო. ნატომ მაშინვე სარკმელში გაიხედა, თითქოს იმანაც გასაქცევი გზა დაიგულა; თითქოს აქამდე სულ იმის ნატვრაში იყო, როდის გავიდოდა ქალბატონი ელენე ოთახიდან, სარკმელში რომ გაეხედა; თითქოს ქალბატონი ელენეს თანდასწრებით უხერხული იქნებოდა სარკმელში გახედვა. სარკმელში აგურის ყრუ კედელი და მოასფალტებული ეზოს

კუთხე გამოჩნდა მხოლოდ. ნიჟარიდან ლურჯი, ძაფივით წვრილი ბოლი ამოდიოდა — ნიჟარის სულივით. კიბეზე კი, ლაპარაკლაპარაკითა და სიცილსიცილით, ვიღაცები ჩამოდიოდნენ.

მართალია, ქალბატონმა ელენემ ცივი წყალი გადაასხა ნატოს, არც გულში ჩაუხუტებია და არც დახმარებას დაჰპირებია — არადა, ყველაზე მეტად ქალბატონი ელენეს იმედი ჰქონდა სწორედ — მაგრამ რაც მისგან შეიტყო, ჯერჯერობით, ისიც კმაროდა, ცოტათი რომ დამშვიდებულიყო და უფრო საღად ეფიქრა იმ ცვლილებებზე, რაც მის ფეხმძიმობას უნდა მოჰყოლოდა საერთოდ, მისთვისაც და სხვებისთვისაც. ნატო, უპირველეს ყოვლისა, იმაში დარწმუნდა, არავითარი წარმოუდგენელი საოცრება რომ არ იქნებოდა მისგან ბავშვის გაჩენა. ქალბატონმა ელენემ ის კი არ შეიცხადა, რა დროს შენი შვილიაო — არა, სრულებითაც არა! — ჩემი იმედი ნუ გექნება, რადგან მე ჩემი უბედურებაც მეყოფაო. აი, რა უთხრა ქალბატონმა ელენემ, სიტყვითაც და უსიტყვოდაც, და ალბათ იმავეს ეტყოდნენ მშობლებიც, რადგან ბავშვის გაჩენის უნარი, თავისთავად, ბავშვის გაჩენის უფლებასაც ნიშნავს, ხოლო სხვები, თუნდაც მშობლები, ვერც აუკრძალავდნენ და ვერც დაავალებდნენ საკუთარი უფლებით სარგებლობას. მაგრამ ნატო ბოროტად კი არ სარგებლობდა თავისი უფლებით, ვალდებული იყო, ესარგებლა, ადამიანის გადასარჩენად გამოეყენებინა იგი, უფრო სწორად, სიმართლისა და სიყვარულის გადასარჩენად, რადგან მათი — სიმართლისა და სიყვარულის — შეუღლებით გაჩენილი ბავშვი, არათუ სიმართლისა და სიყვარულის არსებობასაც დაადასტურებდა საერთოდ, არამედ სხვებსაც იძულებულს გახდიდა, მეტი გულისხმიერებით, მეტი პატივისცემით მოჰკიდებოდნენ, როგორც გელას სიმართლეს, ისევე ნატოს სიყვარულსაც. ასე ფიქრობდა ნატო და ფიქრის ქარხანაში დაყურსული, თვალის დაუხამხამებლად შესცქეროდა მარად ჩართული კონვეიერის ბრტყელსა და მოცახცახე ზურგს, რომელიც ახლა მხოლოდ და მხოლოდ სამ სიტყვას ეზიდებოდა განუწყვეტლივ და როგორც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, ისევე არ იცვლებოდა იმ სამ სიტყვაში განაწი-

ლებული აზრი, როგორი თანამიმდევრობითაც არ უნდა ჩამოევლოთ ნატოს თვალწინ. “მე შვილი მეყოლება. მე შვილი მეყოლება. მე შვილი მეყოლება!..” — ფიქრობდა აღგზნებული, ატაცებული, გაამაყებული; შემცბარიც და დაბნეულიც იმავე დროს. უკვე რულმორეული, დასაძინებლად გამზადებული, ფეთიანივით წამოვარდებოდა ხოლმე საწოლიდან, სარკესთან მიირბენდა, ღამის პერანგს აიწევდა და გაფაციცებული ათვალიერებდა სარკეში საკუთარ მუცელს, თითქოს ასე ერთბაშად, მის თვალწინ უნდა გაზრდილიყო იგი, პატარა, მკვრივი, შეკუმშული, ოქროსფერი ბუსუსით მოფენილი, მაგრამ უძრავი (ალბათ სუნთქვას რომ იკავებდა, იმიტომ), უცვლელი, როგორც გამოქანდაკებული ღმერთქალის მუცელი. ოღონდ, გამოქანდაკებული ღმერთქალისგან განსხვავებით, მის მუცელში ახალი სიცოცხლე იკიდებდა ფეხს, ჩუმად, საიდუმლოდ, შეუმჩნევლად. და თუ ახლა ნატოსთვისაც ძნელი დასანახი იყო, მალე, ძალიან მალე, ასევე ძნელი იქნებოდა იმისი არდანახვა, არა მარტო ნატოსთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ფეხმძიმედ რომ იყო, ეჭვიც აღარ ეპარებოდა, მაგრამ გელასაც უნდა სცოდნოდა ეს, მათთვის, ორივესთვის მნიშვნელოვანი ამბავი, თუნდაც იმიტომ, ტყუილუბრალოდ რომ არ ედარდა, მარტო დავტოვე ნატოო, და ამ დარდს რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადაედგმევინებინა იმისთვის; უნდა სცოდნოდა, მარტო რომ აღარ იყო ეს, მარტო რომ არ ეომებოდა ქვეყანას, რომელსაც ლუკმადაც არ ეყოფოდა, ყურადღებასაც არ მიაქცევდა ალბათ ამის წკავწკავსა და ყმუილს, მარტო რომ ყოფილიყო, და თუ არ მოკლავდა, არც დაარჩენდა, საკუთარ ხორცს შეაჭმევინებდა და საკუთარ სისხლს შეახვრეპინებდა; მაგრამ ახლა ასე იოლად ვეღარ ჩაუპარტყუნებდა თავში, რადგან აღარასოდეს აღარ იქნებოდა მარტო, არც გელას მორიგ გამოქცევამდე და არც გელას მორიგი შეპყრობის შემდეგ, და ეს გელასაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა, რადგან ესეც გაეთვალისწინებინა გამოქცევამდე, რა თქმა უნდა, ისე, როგორც თვითონ უნდოდა, როგორც მისი სიმართლისთვის აჯობებდა, მაგრამ გაეთვალისწინებინა, სცოდნოდა, გამოქცეულს, ახლა ერთის ნაცვლად ორნი

დახვდებოდნენ, და ერთის ნაცვლად ორნი დაელოდებოდნენ მორიგ გამოქცევამდე, თუკი სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა და ვერც ორი ადამიანის სიცოცხლე გადასწონიდა იმის სიმართლეს, თუკი ისევ სიმართლეს დააყენებდა მაღლა, არა მარტო ცოლზე, არამედ შვილზედაც. გარდა ამისა, იმიტომაც უნდა სცოდნოდა ეს ამბავი გელას, "ეს ამბავი", ერთგვარად, მისი გამართლებაც რომ იქნებოდა, მისი ამნისტია, რეაბილიტაცია, რადგან, ნატოს ღრმა რწმენით, გელას შვილის დაბადება გელას ხელმეორედ დაბადებასაც ნიშნავდა, რის შემდეგაც ქალაქსაც უნდა შეცვლოდა იმაზე აზრი და პოლიციასაც; "შვილი" არა მარტო შვილის მამას აიძულებდა, რაც შეიძლება მალე მოეხადა ბავშვობით დამსახურებული სასჯელი, საერთოდ გააუქმებდა, გააქარწყლებდა სასჯელს, რამდენადაც "შვილის" მამა ბავშვად აღარ ჩაითვლებოდა და, აქედან გამომდინარე, "შვილის" დედასა და "შვილის" მამის ცოლსაც აღარაფერი ექნებოდა სადარდელი, დასამალი; პირიქით, ისევე ამაყად და თავისუფლად შეეძლებოდა ქუჩაში გავლა, როგორც ქალბატონ ელენეს: მანდილოსანს, დედას... ასე რომ, "შვილში" ახალ, სრულიად ახალ სიცოცხლეს კი არ გულისხმობდა ნატო, არამედ თავისას, განახლებულს, თითქოს "შვილი" საპატიო წოდება, მაღალი ჩინი ანდა უფლებამოსილების სიგელი იყო, რომლის გამოჩენაც საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი დაბრკოლების გადასალახავად, რომლის ხსენებაზეც ყველას მისი მანდილოსნობა, დედობა და ქალბატონობა უნდა დასდგომოდა თვალწინ და არა უსუსური, უენო, უსახო და უსახელო არსება. მაგრამ, როგორც ნებისმიერ მოვლენას, "შვილსაც" ჰქონდა თავისი მეორე მხარე, ნაკლებად მომხიბვლელი და ნაკლებად მომგებიანი მხარე, და ადვილი შესაძლებელია, სწორედ იმ მხრიდან შეეხედა "შვილისთვის" მამას, რომელიც გიჟი იყო თუ ჭკვიანი, არავის მისცემდა ნებას, უიმისოდ გადაეწყვიტათ მისი მომავალი, რადგან ჯერ წარსული ჰქონდა გასარკვევი, უფრო სწორად, ჯერ თავისი უდანაშაულობა უნდა დაემტკიცებინა, რის უფლებასაც, როგორც თვითონვე ამბობდა, მხოლოდ სასჯელთან შეურიგებლობა უნარჩუნებდა და

რის უფლებასაც თავისთავად დაკარგავდა მაშინვე, როგორც კი, ერთხელ მაინც, ბოლომდე მოიხდიდა სასჯელს. იმას მხოლოდ სიმართლის დამტკიცების უფლება ჰქონდა და არა ბავშვის გაჩენისა, მაგრამ, როგორც ყველა მამაკაცი, ისიც იქ ეძებდა ხსნას, სადაც ხსნა არ არსებობდა; ამიტომ, ნატოსთვის უნდა დაეცლია, ნატოსთვის უნდა მიეცა დედობის უფლება, რადგან ეს იყო ახლა ერთადერთი ხსნა, არა მარტო იმისი, არამედ ნატოს სიმართლისთვისაც. მაგრამ გელა სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებდა, არც პოლიციამ იცოდა და არც დედამისმა იმისი ასავალდასავალი; არავინ არ იცოდა, ცამ უყო პირი თუ მიწამ. ხოლო ნატო ჯერ ფიქრის ქარხნის მუშა იყო მხოლოდ, კონვეიერის გუგუნი ედგა ყურებში და კონვეიერის ბრტყელი, მოცახცახე ზურგი ედგა თვალწინ განუწყვეტლივ, შარაგზასავით გაჭიმული, ერთფეროვანი, რომელზედაც, თითქოს ერთფეროვნების დასაფრთხობად, თითქოს მის გამოსაფხიზლებლად, ბატების მწკრივივით ჩაივლიდა ხოლმე სამი სიტყვა: მე შვილი მეყოლება. სულ ძილი უნდოდა, ძილად იყო მივარდნილი, მაგრამ ძილშიაც ვერ ითიშებოდა მთლიანად, როგორც ბატონის მომლოდინე, კოფოზე ჩამოძინებული მეეტლე, და როცა დედა, არ შევაშინოო, ფრთხილად, გაუბედავად გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს, მისი ჭკუით, წიგნზე ჩამოძინებულს, თვალდახუჭული იღიმებოდა და ქაჯიც ვერ გაიგებდა, ტკბილ სიზმარს ხედავდა, დედის მოფერება სიამოვნებდა თუ რცხვენოდა, ამხელა გოგოს, ასე დამჯდარს რომ დასძინებოდა. უბრალოდ, იჯდა და ელოდებოდა. ასე უნდა მჯდარიყო და დალოდებოდა იმ იდუმალ წამს, როცა ირგვლივ გარინდული, გაჩენის დღიდან ნაცნობი საგნები, ერთმანეთის მიყოლებით, თანდათანობით გაქრებოდნენ, გაითქვიფებოდნენ ვარდისფერ ბურუსში; როცა ის ვარდისფერი ბურუსი, კედლებიდან გამომავალი, ამაფორიაქებელი, სულის შემხუთავი და, იმავე დროს, ენით უთქმელი ნეტარების მომნიჭებელი, მთლიანად ამოავსებდა ოთახს და მისი აჩურჩულებული, აფუტფუტებული წიაღიდან ერთხელ კიდევ დაიბადებოდა ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალსა და ზოლიან პერანგში გამოწყობილი ბიჭი, დამ-

ფრთხალი, დაბნეული, მაგრამ უსაზღვროდ მადლიერი თავისი გამომხმობელისა, რომელსაც ყოველთვის ერთნაირად უკვირს და უხარია იმისი დანახვა, იმის გამოჩენისთანავე ყოველთვის უკვალოდ უქრება უიმისოდ გადატანილი სევდა, წუხილი, უადგილობის, უმწეობის, საკუთარი უსარგებლობის შეგრძნება და იმის მაგივრად, რჩევა ჰკითხოს, დახმარება სთხოვოს, ანდა სულაც მასთან ერთად გაერკვეს თავსდამტყდარ უბედურებაში, რომელსაც დიადი გარდაქმნის გზაზე დამდგარი მისი არსება განუწყვეტლივ გრძნობს, მაგრამ არ აღიარებს, ისევე როგორც ის — თავის დანაშაულს, ჯიუტად ეწინააღმდეგება, უძალიანდება, არ ნებდება, რადგან ვერ დაუჯერებია, არ შეუძლია დაიჯეროს, ნამდვილად რომ იმსახურებს, ნამდვილად რომ ღირსია უბედურებისა — ზის და იღიმება, როგორც ბედნიერი, თავისი ბედით უსაზღვროდ კმაყოფილი დედა, რომელსაც მეზობელი გოგოს დღეობაზე პირველად მიმავალი შვილი თავის გემოზე გამოუწყვია და ახლა ერთხელ კიდევ ამოწმებს, კი არ ამოწმებს, ხარობს, ნეტარებს, ასეთი კარგი შვილი რომ აჩუქა ღმერთმა, ასეთი დაუდგრომელი სიცოცხლე რომ გამოსტაცა არარაობას თავისი სითამამისა და გამბედაობის წყალობით. ნატო არ უკვირდებოდა, ასეთი ხილვები უფრო ქალბატონ ელენეს რომ შეეფერებოდა, ვიდრე თვითონ, რადგან ასეთი გელა მარტო ქალბატონ ელენეს ეკუთვნოდა და არაფერი ესაქმებოდა ნატოს გელასთან, რომელთანაც, თავის მხრივ, არაფერი ესაქმებოდა ქალბატონ ელენეს, ისიც არ იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი. მაგრამ ნატო ისევ თავისი უტყუარი ალღოთი გრძნობდა, ამ ორი გელადან, სწორედ მისი გელა გაეწირათ და, ძალაუნებურად, თვითონაც ქალბატონ ელენეს გელას ებღაუჭებოდა, იმიტომ კი არა, ვერაფერს რომ ვერ უშველიდა განწირულს, იმიტომ, რომ ხელი არ აეღო განზრახვაზე, საერთოდ უაზრობად არ ჩაეთვალა ახალი სიცოცხლის დაბადება. ნატოს შვილი უნდა გაეჩინა და ეს იყო მისთვის მთავარი. ვერც ასაკი შეაფერხებდა, ვერც ოჯახი და ვერც ქალაქი, რადგან სიყვარული მისთვის ვალდებულება იყო და არა მოლოდინი, როგორც ქალბატონმა ელენემ უთხრა ერთხელ გა-

დაკრულად, რასაც ნატო მერე მიხვდებოდა თურმე, როცა კარგად გამოიძინებდა და როცა ნამდვილად შეუყვარდებოდა ვიღაცა, გელა კი არა — სხვა, რადგან ახლა ნატოს გელა კი არ უყვარდა თურმე (წარმოგიდგენიათ?), არამედ სიყვარულობანას თამაშობდა, მომავლისთვის, ნამდვილი სიყვარულისთვის იწაფებოდა (კი მაგრამ, მუცელს რას უშვრებოდა?!) და ხვალ, ადვილი შესაძლებელია, ვეღარც გაეხსენებინა გელა (კი აბა! თქვენ თუ იტყვით!). მაგრამ ნატო სწორედ მოლოდინს თვლიდა სიყვარულის ყველაზე დიდ მტრად; მოლოდინი იგივე უარყოფა იყო სიყვარულისა, დავიწყებასთან შეგუება და მეტი არაფერი; უმოქმედობას გავალდებულებდა და არა ბრძოლას, რადგან უმოქმედობის წილ ქალბატონობას გპირდებოდა, ბრძოლისთვის კი კახპად მოგნათლავდა. მაგრამ ნატო სიყვარულობანას კი არ თამაშობდა, როგორც ქალბატონ ელენეს ეგონა ალბათ, სიყვარულის გადასარჩენად იბრძოდა, თუნდაც კახპის სახელით, რადგან სახელი კი არ აინტერესებდა, არამედ შედეგი, რასაც საქმითაც მალე დაუმტკიცებდა იმავე ქალბატონ ელენეს, როცა გელას შვილის დედა გახდებოდა, თუნდაც იმიტომ, მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონ ელენეს შვილად რომ არ დარჩენილიყო გელა, თავადაც ჰყოლოდა შვილი, გაგრძელება, გამართლება და, რაც მთავარია, უტყუარი, შეუვალი საბუთი იმისა, ნამდვილად რომ არსებობდა, სული ედგა, სუნთქავდა, დადიოდა, ლაპარაკობდა... მაგრამ, ეტყობა, ნატოს ბოლომდე მაინც არ სჯეროდა, სწორად რომ იქცეოდა, სხვაც რომ გაიგებდა და დააფასებდა მის სიყვარულს, მის თავგანწირვას, რადგან იქამდე არ აპირებდა თავისი განზრახვის გამომჟღავნებას, ვიდრე თავისთავად არ გამომჟღავნდებოდა იგი. სხვა მხრივ, ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა: დღეს ღამე ცვლიდა, ღამეს დღე; ღამით დაწოლა უჭირდა, დღისით ადგომა. მაგრამ იმასაც ატყობდა, დღითი დღე იცვლებოდა და დღითი დღე მეტი ეჭვი და დაბნეულობა იბუდებდა მშობლების თვალებში. ნატოს მშობლები ეცოდებოდა, მაგრამ ჯიუტად დუმდა, ყრუმუნჯივით უღიმოდა სადღაც, მისი ცხოვრების მიღმა დარჩენილ მშობლებს, ღიმილით ებოდიშებოდა, ახლო

მომავალში გადასატანი კიდევ უფრო დიდი ტკივილისთვის, კიდევ უფრო დიდი სირცხვილისთვის, გამოგონილ სიყრუესა და სიმუნჯეში ჩაკარგული თავად, როგორც მის არსებაში მისი სიყვარულის ნაყოფი. თუ დაიბადებოდნენ, ერთად დაიბადებოდნენ ორივენი, ისიცა და მისი ნაყოფიც, არადა, ორივე ერთად მიაფურთხებდა ამ ქვეყანას, სადაც მთელი ხალხების დაპყრობა და განადგურება უფრო გამართლებულად მიაჩნდათ, ვიდრე ამგვარი თავნებური დაბადება, ერთი მხრივ, უკანონო ბავშვისა და, მეორე მხრივ, უკანონო დედისა. არაფერი აღარ უნდოდა, არაფერი აღარ აინტერესებდა. ან პიანინოზე უკრავდა, ან სხვენში იჯდა, ან უთავბოლოდ დაბორიალობდა ხრეშმოყრილ ბილიკზე, აივნის ორსაფეხურიან კიბესა და ჭიშკარს შორის, თითქოს მოსალოგინებლად კი არ ემზადებოდა, საწამებლად უნდა გაეყვანათ და თითქოს დროზე კი არა, პირადად მის ამტანობაზე, პირადად მის სიკერპეზე იყო დამოკიდებული, გასცემდა თუ არა იგი თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს, სხვებისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელს, ღრმად, საიმედოდ ჩამალულს მის არსებაში. წუხდა, შფოთავდა, როგორც ბავშვი სიზმარში, რადგან ბავშვივით სწორედ იმისი ეშინოდა, რაც სინამდვილეში არ ხდება, არ შეიძლება მოხდეს. იმისი ეშინოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მართლა სიზმარი არ აღმოჩენილიყო მისი ახლანდელი შფოთვა და წუხილი. დროსაც მისი შიში გადასდებოდა თითქოს, არ გადიოდა, ერთ ადგილზე იტკეპნებოდა. ხოლო ერთი და იგივე გარემო კიდევ უფრო შეუმჩნეველს ხდიდა დროის დინებას. ხანდახან ქალბატონი ელენეს სარკმლისკენ გაექცეოდა თვალი და ძალიან უნდოდა, ქალბატონ ელენეს დაენახა ასეთი, პატიმარივით გამომწყვდეული, ყველასგან შერისხული; ოღონდ არ იცოდა, რა ერჩია, შესცოდებოდა თუ კიდევ უფრო აეთვალწუნებინა იმას. ალბათ ერთიცა და მეორეც, მაგრამ არ აინტერესებდა, თავი არ ჰქონდა, ბოლომდე ჩასძიებოდა საკუთარ ფიქრებსა და შეგრძნებებს, სურვილი მიზეზიანობისაგან განესხვავებინა, მიზეზიანობა — სურვილისგან. მოთმინებადაკარგული, გულგადაწურული, ჭიშკარს აეკვრებოდა და გამხმარი საღებავით სანახევროდ ამოვსებული ჭუჭრუ-

ტანიდან იყურებოდა ქუჩაში, თუმცა ვერც იქ ხედავდა ვერაფერს, დროის დინების დამადასტურებელს, გარდაქმნათა, ცვლილებათა მაუწყებელს. თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა ასფალტი, ათასში ერთხელ, შემთხვევითი გამვლელის ჩრდილი თუ გადაუვლიდა, ხოლო მოპირდაპირე სახლის კედელთან კოსტა იჯდა ჯორკოზე და წინ გაბზეკილი ხის ფეხით შლაგბაუმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. მარტო თვითონ იცვლებოდა, მარტო მისი საკუთარი დრო მოქმედებდა და აიძულებდა, როგორმე დაეძლია, როგორმე დაერღვია მოლოდინი, შიშის, გაურკვევლობის, სილენჩისა და სიზარმაცის შლამში რომ მარხავდა თანდათანობით სიყვარულს. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის აწუხებდა, არაფერს რომ არ ეკითხებოდნენ მშობლები. ყველაზე მეტად ის უკვირდა, რატომ არ აგდებდნენ შინიდან, რატომ აჩერებდნენ "სამოთხეში" ("შენ ჯერ კიდევ სამოთხის მკვიდრი ხარ, ნატო. ჯერ არ გამოუგდიხარ მამაშენს იქიდან"). მაგრამ მამასაც და დედასაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს თავად დაეშავებინათ რაღაცა და მონური მორჩილებით, მონური გულისხმიერებით ცდილობდნენ თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვას. "შეჭამე რამე. უჭმელობა არ შეიძლება შენთვისო" — ეხვეწებოდა დედა და ისეთი სიფრთხილით, ისეთი დაძაბული სიფრთხილით მოჰქონდა ჩაის ფინჯანი, თითქოს ეპარებოდა, ზედ რომ გადაესხა მდუღარე. მამა დაბნეული უღიმოდა, დედის ზურგს ამოფარებული. ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ოდესღაც, ბავშვობაში, როცა გაცივდებოდა, ანდა რამე საყმაწვილო სენი შეხვდებოდა ხოლმე და მისი ნებისმიერი სურვილი სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა. მშობლების საქციელი ასევდიანებდა და აღიზიანებდა კიდეც; გამოგონილი სიბრმავისა და სიყრუის ჯავშანშიც ატანდა იმათი ღრმად შენიღბული წუხილი, შეშფოთება, და ღამღამობით, რისხვაში გადაზრდილი სიბრალულით უსმენდა, როგორ კვნესოდნენ და ოხრავდნენ, ქურდებივით როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს საკუთარ სახლში. ნატოს ერჩივნა შერისხული ყოფილიყო, ვიდრე შეწყნარებული, რადგან შეწყნარება სიდიადისა და სიმშვენიერის იერს უკარგავდა მის გამბე-

დაობას და ჩვეულებრივ შეცდომამდე ანდა ჩვეულებრივ დანაშაულამდე ამდაბლებდა. მაგრამ, იმავე დროს, მთელი მისი არსება მხოლოდ ყურადღებასა და პატივისცემას მოითხოვდა სხვებისგან, ოღონდ ზიზღითა და ბუზღუნით იღებდა სხვათა სამსახურს, როგორც გაზულუქებული დედოფალი, და ამიტომაც, ყველაზე მეტად, სწორედ საკუთარი არსება ეჯავრებოდა: ზარმაცი, ხარბი, უმადური ცხოველი, რომელსაც იმდენი კეთილშობილებაც აღარ შერჩენოდა, გულისხმიერება, დანდობა, გაგება დაეფასებინა და კიდევ იქით ებუტებოდა, კიდევ იქით ედიდგულებოდა მშობლებს, თანაც ქალბატონი ელენეს ჯიბრით, ვიღაცის ჯიბრით, რომელიც სრულებითაც არ არის ვალდებული, ყველა კახპის მზე იფიცოს, ვინც კი მის შვილს დაუწვება. დღითი დღე მეტი სიძულვილით, მძვინვარებით შესცქეროდა სარკეში საკუთარ გამოსახულებას და სულელური, უსაფუძვლო სიხარული ეუფლებოდა, რაც უფრო მახინჯდებოდა ის. “ეგრე გინდა, გაბერილო გომბეშოო” — ღვარძლიანად ცრიდა კბილებში, თითქოს ისევ პატარა იყო და მეზობელ გოგოს წაჰკიდებოდა რაღაცაზე. მაგრამ უსაფუძვლო სიხარულს საფუძვლიანი შეშფოთება მოსდევდა და, მეორე წუთას, გაუბედავად ისვამდა თითებს შეშუპებულ, დამსკდარ ტუჩებზე, ჭორფლიან ლოყებზე, და ძლივს იკავებდა თავს, დედისთვის არ შეეჩივლა, დედისთვის არ ეკითხა, რა არის, რა მჭირს ესო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთხელ უკვე ეცხოვრა, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, და გარდაცვალების შემდეგ, მისი სული ამ ახალ სხეულში გადასახლებულიყო; ეუცხოვებოდა, ეჩოთირებოდა საკუთარი სხეული და სარკის წინ პერანგაჩაჩული ამაოდ ძაბავდა გონებას, ამაოდ იტკივებდა თავს, რადგან ვერაფრით გაეხსენებინა, როგორ გამოიყურებოდა თავის პირველ სიცოცხლეში, გარდაცვალებამდე. იმისკენ მიისწრაფოდა, იმის აღდგენას ცდილობდა, იმის, გარდასულის, გარდაცვლილის, ოდესღაც არსებულის, რადგან ყოველგვარი საბუთის გარეშეც დარწმუნებული იყო, ის რომ ჯობნიდა სითამამითაც, სიძლიერითაც, უფლებამოსილებითაც. იმასაც შესჩვეოდა უკვე, კარგი რომ არაფერი ელოდებოდა წინ, აღარაფერი შეიცვლებოდა

მისთვის, აღარაფერი, არასოდეს. მაგრამ ჩვილის ჩხავილი რომ ჩაესმა, ისე გამგელებული წამოვარდა სიმწრის ოფლით გაჟღენთილი საწოლიდან, თითქოს ბებიაქალი მის შვილს განგებ აწვალებდა, ანდა თითქოს ბებიაქალი შვილს მოსტაცებდა. ძალით დააწვინეს, ძლივს დაარწმუნეს, არავითარი საფრთხე არ ელოდებოდა ახალშობილს, ზღვიდან ამოთრეულივით რომ ფართხალებდა და ჩხაოდა, წყალნაყლაპი, დახრჩობას გადარჩენილი, დედაზე არანაკლებ შეშინებული ახალი გარემოთი. “ბიჭია? მართლა ბიჭია?” — სულელივით იმეორებდა ნატო და გაშმაგებული კოცნიდა დედის ხელს, დასუსტებული, ყინწმოწყვეტილი, აგანგაშებული და ბედნიერი.

ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა. მსოფლიო საომრად ემზადებოდა, ჩახმახივით წკიპზე შემდგარი. “ჩვენთან არს უფალიო” — გალობდნენ ტაძრები. “ძირს მეფე და მაღლა მუშაო” — გაჰყვიროდნენ ქუჩები. იმპერია ზანზარებდა. დიდი ჭკუა და ეშმაკობა მართებდა, ამჯერადაც რომ გადაერჩინა თავი. რა თქმა უნდა, ზანზარებდა ბათუმიც; მიწა აქეთიქით დაუდიოდა ფეხქვეშ კაცსაც და ცხენსაც, ღელვაში მოხვედრილი ხომალდის გემბანივით. ახლა მხოლოდ იმაზე მსჯელობდნენ, თუ სად გადაისვრიდათ ომის ტალღა, ისევ თურქეთში, თუ კიდევ უფრო შორს. არც ნატო ახსოვდა ვინმეს და არც მისი უკანონო შვილი. ისევ გახშირდა აღლუმები. ცხენზე ამხედრებული პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ცხენივით ჭიხვინებდა: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო. ხისფეხა კოსტა მეორედ მოსვლას წინასწარმეტყველებდა. მკვდრები საფლავებიდან ამოვლენ და ცოცხლებს დაერევიანო — აშინებდა დიმიტრის. დიმიტრიც იძულებით უსმენდა. თავჩაქინდრული იდგა და უსმენდა ამ უდარდელ, არხეინ ყბედს, რომელსაც თავისი უკვე გაენაღდებინა, დასაკარგი დაეკარგა და ახლა სხვათა უბედურებათა თვალთვალით ახარებდა თავის ჭიას. “ერთხელაც იქნებ, გადავაბიჯებ ხის ფეხზე და ამით გათავდება ყველაფერიო” — იმუქრებოდა გუნებაში, მაგრამ, მაინც მორჩილად იდგა და უსმენდა. კი არ იდგა, სირცხვილის თოკზე ეკიდა გვამივით; შინ თავლაფდასხმული ქალიშვილი ეჯდა და, კაცმა რომ თქვას, რა კოსტას ბრალი იყო, ასე უკუღ-

მართად თუ წარიმართა მისი ცხოვრება; პირიქით, ახლა მეტი მოთმინება და მორჩილება მართებდა ყველასი, კოსტა იქნებოდა თუ სხვა; პირში წყალი უნდა ჩაეგუბებინა და კვერცხი ეგორებინა ყველასთვის, თუკი დაუვიწყებდნენ, აპატიებდნენ ამ უბედურებას და ქვებით არ მოუვარდებოდნენ შინ. სახელმწიფოს ყურამდეც თუ მიაღწევდა, ვისი ნაშიერის ბაბუობა დაეკისრებინა ბედისწერას, რა თქმა უნდა, ყვავილების თაიგულს არ გამოუგზავნიდა საბა ლაფაჩივით; არც ხისფეხა კოსტასავით შეაქებდა: ჯარისკაცს უზრდი ქვეყანასო, რადგან სახელმწიფოსთვის, შეიძლება, ერთნაირად ხელსაყრელია, კანონიერად შეემატება ჯარისკაცი თუ უკანონოდ, მაგრამ სრულებითაც არ არის სულერთი, ვინ შემატებს ჯარისკაცს უკანონოდ: მუსუსი თუ მეამბოხე; ჩვეულებრივი თავშეუკავებულობის, ანდა ჩვეულებრივი გარყვნილების ნაყოფი იქნება ის, თუ მისი მოწინააღმდეგე, მისი დამხობის მოწადინე სულისა. მაგრამ კოსტას ამდენი არ ესმოდა, ანდა მშვენივრად ესმოდა და ამის მოლოდინში ათენაღამებდა, რადგან მისთვის ესეც ახალი სეირი იქნებოდა და მეტი არაფერი. “იღუპება ქვეყანა, დიმიტრი. მაგრამ, მე თუ მკითხავ, ახია. აბაზიანი რომ დაანახო ქალს, ქუჩაში აგიწევს ფეხს. ხომ ვარ მართალი?” — ამბობდა თავისი ცოდნით, შორსმჭვრეტელობითა და მიხვედრილობით აღგზნებული კოსტა და ეშმაკურად უჭუტავდა დიმიტრის თვალს. “მე ქვეყანაზე ადრე დავიღუპე და ახლა, რაც უნდა, ის მოხდესო” — პასუხობდა დიმიტრი გუნებაში და თავჩაღუნული იდგა, მოთმინებით ელოდებოდა, როდის მისცემდა ხისფეხა მეზობელი გზას, შინამდე რომ მიეღწია, შვილიშვილისთვის დაეხედა და იმასთან ტიტინითა და თამაშით დროებით მაინც ჩაეყუჩებინა ავი წინათგრძნობა. მერე ომი დაიწყო და სულზე და სინდისზე საფიქრებლად დროც აღარ რჩებოდა დიმიტრის, მუცელზე უნდა ეფიქრა პირველ რიგში და ისიც წელში წყდებოდა, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ვიდრე კანონი, ანდა თავად უზნეო, მაგრამ სხვათა ზნეობაზე მზრუნველი ხალხი მოუღებდათ ბოლოს. მაგრამ, საბედნიეროდ, ომი დღითი დღე ძალას იკრებდა, დღითი დღე მეტ სივრცეს იპყრობდა და ყველგან თავის წესებს

ამკვიდრებდა. მართლაც, ვიღას ეცალა ერთი გზასამცდარი გოგოს სადევნელად? სანგრებში მუხლებამდე წყალი იდგა. წყალზე მუზარადი ტივტივებდა. გაგლეჯილ მავთულხლართზე სისხლიანი ჩექმა კონწიალობდა. სიკვდილს სიქა ჰქონდა გაცლილი, მკვდრების მოგროვებას ვერ აუდიოდა. სიცოცხლეზე ბრაზობდა, უფროს ძმაზე, მე რომ გამამწაროს, საკუთარ თავსაც აღარ ინდომებსო, ჩემი ჯიბრით აკეთებს ყველაფერსო.

ტრიალ მინდორზე მხედარი კვდებოდა. ხელში პირჩამტვრეული ხმალი ეჭირა. თავზე ზურგწამხდარი ცხენი დახვიხვინებდა, თითქოს სიმწრისგან იცინოდა, ეს რა დღეში ჩავცვივდითო. სიკვდილსაც უნებურად გაეღიმა: მოკითხე ქართველებს ჭკუაო. ახლა ამ მომაკვდავი მხედრის გულუბრყვილობამ გააბრაზა, პირჩამტვრეული ხმლითა და ჯაგლაგი ცხენით რომ გამოსულიყო ბრძოლის ველზე. თანაც, წესიერად არც იცოდა ალბათ, სად იყო, სად კვდებოდა. ყოველთვის დამახინჯებულად წერდა წერილში იმ ქვეყნის სახელს, სადაც ომი გარიყავდა, არადა, ისევ სიკვდილს გაამტყუნებდნენ, რად მოკალი ასე უდროოდ, თავისიანებისგან ასე შორსო. მაგრამ მხედარი არავის არ ამტყუნებდა; თითქოს ამაყად, გამომწვევად იწვა, შუბლგახვრეტილი, თითქოს კი არ კვდებოდა, სცენიდან აჩვენებდა მსოფლიოს, როგორ უნდა მომკვდარიყო უკანასკნელი ნაშიერი იმ სახელოვანი მხედრებისა, რომლებსაც მარადიულ ქალაქშიც უდგამდნენ ძეგლს, წმინდა ქალაქშიც აძლევდნენ ცხენდაცხენ შესვლის უფლებას. და აი, მათი უკანასკნელი ნაშიერიც ტრიალ მინდორზე კვდებოდა, როგორც ნამდვილ მეომარს შეჰფერის. ხელში დაჩლუნგებული ხმალი ეჭირა და ბებერი, ბეხრეკი, ზურგწამხდარი ცხენი დახვიხვინებდა თავზე. არც არაფერზე დარდობდა, არც არაფრის ეშინოდა, არც არაფრის რცხვენოდა. მისი ხორცი მიჩვეული იყო უცხო ცის ქვეშ სიკვდილს, მისი სისხლი — უცხო მიწაში ჩაწრეტას. ცხენისა და ხმლის დარდი მიჰყვებოდა მხოლოდ; მხოლოდ ის ეთაკილებოდა, ცხენს მგელი რომ შეუჭამდა, ხმალს კი — ჟანგი. მაგრამ ომი გრძელდებოდა და დღითი დღე მეტი საზარბაზნე ხორცი იგზავნებოდა ფრონტებზე. სატვირთო

ვაგონის კარიდან ცხენებსა და ჯარისკაცებს გამოეყოთ თავები. ერთნაირად მოწყენილები, ერთნაირად გულგრილები იმზირებოდნენ. იწელებოდა, იწეწებოდა ორთქლმავლის ჭვარტლიანი ბოლი. ტელეგრაფის გადაბრეცილ ბოძზე ღრმად ჩაფიქრებული ყვავი იჯდა. "პირჯვარი გადაიწერე, ნენა. თუ ძალიან გაგიჭირდეს, ნენა. ჩემი ხათრით, ნენა"... — ტირილით მისდევდა მატარებელს თავშალგადამძვრალი ქალი, მისდევდა, სანამ შეეძლო, მისდევდა, სანამ მატარებელი თვალს მიეფარებოდა, თავად კი, ღონემიხდილი, მტვერში ჩაიჩოქებდა.

მაგრამ სახელმწიფომ მაინც მოიცალა დიმიტრისთვის. ერთხელ, სასამართლოში მიმავალ დიმიტრის პოლიცმეისტერმა ეტლი გაუჩერა და თუმცა დიდხანს იუარა დიმიტრიმ, არ ღირს თქვენი შეწუხება, აგერ მივდივარ, ორ ნაბიჯზეო, მაინც არ მოეშვა, ვიდრე ეტლში არ ჩაისვა. დიმიტრის თავიდანვე ცუდი უგრძნო ტანმა, მაგრამ რას გააწყობდა, პატივს სცემდნენ და უნდა დაეფასებინა პატივისცემა. პოლიცმეისტერმა შინაურულად, მეგობრულად მოიკითხა, როგორც მამამისის კოლეგამ, და მერე ქვეყნის ამბებს გადასწვდა, ისე, სხვათა შორის, ზერელედ, თითქოს მხოლოდ თავაზიანობის გამო ლაპარაკობდა, უბრად რომ არ მჯდარიყო, ვიდრე დიმიტრის სასამართლომდე მიაცილებდა. მაგრამ როცა დიმიტრიც აღარ ელოდებოდა, სწორედ მაშინ შემოირტყა შუბლში ხელი: როგორ გამოვშტერდი, ბაბუობა რომ ვერ მოგილოცე აქამდეო. დიმიტრიმ მადლობა ძლივს ამოილუღლუღა და ერთიანად გაიოფლა. პოლიცმეისტერი კი ისევ ღობეყორეს მოედო. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და თან გამალებული უქნევდა თავს გამვლელებს, ქუდის მოხდით რომ ესალმებოდნენ ქუჩის ორივე მხრიდან. ეტლი მშვიდად, არხეინად მიბაკუნობდა, მაგრამ დიმიტრი უკვე დაძაბული იჯდა და მოუთმენლად ელოდებოდა, როდის მიუბრუნდებოდა პოლიცმეისტერი თავის მთავარ სათქმელს. დარწმუნებული იყო, შემთხვევით არ გახსენებია პოლიცმეისტერს მისი ბაბუობა და უფრო ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი "მილოცვა", ვიდრე ეტლში ჩაისვამდა. თუმცა, პოლიცმეისტერს თავი

ისე ეჭირა, თითქოს აღარც ახსოვდა მისი ბაბუობა, ანდა რაკი თავაზიანობისთვის ხარკი გადაეხადა, სხვა აღარაფერი აინტერესებდა ამ საკითხთან დაკავშირებული. ეტლი რომ გაჩერდა, პოლიცმეისტერმა ღიმილით გამოუწოდა ხელი და დიმიტრის ცოტა გაუკვირდა კიდეც, ასე მშვიდობიანად რომ შორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩასულიც არ იყო ეტლიდან, ჯერ კიდევ ეტლის საფეხურზე ედგა ფეხი, პოლიცმეისტერმა ღიმილგარეული ხმით რომ უთხრა მის ზურგს: თუ არ შეწუხდება და თუ დრო ექნება, ერთი წუთით გამოიაროს შენმა ქალიშვილმაო. “ისა. შენ ხარ ჩემი ბატონი. ფორმალობა. ჩვეულებრივი ფორმალობა”... — ჩაიხითხითასავით პოლიცმეისტერმა და დიმიტრის საძრაობა წაერთვა, გაშეშებული, უხერხულად გადახრილი იდგა ეტლის საფეხურზე ცალი ფეხით, მეორე კი, ვერაფრით მიეწვდინა მიწისთვის. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა ეტლიდან და ვიდრე ეტლისკენ შემობრუნდებოდა, უკვე იცოდა, მხოლოდ და მხოლოდ თავს გაიბრიყვებდა, გაკვირვებული ანდა შეშფოთებული სახე რომ მიეღო და გულუბრყვილოდ ეკითხა: რა დაგიშავათ ჩემმა ქალიშვილმაო. თვითონაც აღარ იცოდა, რას ლაპარაკობდა, ან როდემდე იდგა ასე, ვიდრე მხედველობა დაუბრუნდებოდა და საბოლოოდ დარწმუნდებოდა, ეტლი რომ აღარ იდგა მის წინ, უფრო სწორად, თვითონ რომ აღარ იდგა ეტლის წინ, სასტუმროს ლაქიასავით. ის დღე მთვრალივით დაბორიალობდა, ხან პორტში ჩამომდგარ გემებს ათვალიერებდა, ხან ზღვისპირა ბაღში იჯდა, მაგრამ როგორც არ უნდა აეთრია ფეხი, ბოლოს მაინც იქ უნდა მისულიყო, სადაც მისიანები იყვნენ, სადაც მისი რწმენითა და მრწამსით შექმნილი ქვეყანა ჯერ კიდევ არსებობდა. პოლიცმეისტერი არც ახსოვდა, ახსოვდა მხოლოდ, ახალი უბედურება რომ უნდა დასტყდომოდა თავზე და თბილისელ მსახიობზე ბრაზობდა ისევე, როგორც ამ თექვსმეტი წლის წინათ. მთელი დღე იმისი აჩრდილი მოყვებოდა გვერდით, გაწვრთნილი, მოთვინიერებული ლომივით, და მხოლოდ მაშინ ქრებოდა, ვინმე ნაცნობი თუ გააჩერებდა დიმიტრის, რათა იმასაც, ადრე შეხვედრილი ნაცნობებივით, სულელურად ეკითხა: როგორ ფიქრობ, რომელი კოალიცი-

ის გამარჯვება აჯობებს ჩვენთვისო. “ნეტავი თქვენო” — ფიქრობდა დიმიტრი გულში და თან წარამარა იყურებოდა უკან, გაფაციცებული დაეძებდა თბილისელი მსახიობის აჩრდილს. მერე ისევ ერთად მიდიოდნენ, ერთად იდგნენ თევზის სუნით აქოთებულ პორტში, ერთად ისხდნენ ზღვისპირა ბაღში და ერთად დახეტიალობდნენ ქუჩაში. “აი, რა დღეში ჩაგვყარა შენმა ქარაფშუტობამო” — ეუბნებოდა დიმიტრი, კი არ ეუბნებოდა, უყვიროდა, სიბრაზისგან გულგაბერილი, მაგრამ თბილისელი მსახიობი ერთნაირი გულგრილობით იმეორებდა: მოთმინება. მოთმინება. მოთმინებაო. “თქვენ ტაში და ყვავილები, მე კი — მოთმინება... კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!” — უარესად ბრაზდებოდა დიმიტრი. მაგრამ თბილისელი მსახიობის გულგრილობა კი არ აბრაზებდა, საკუთარი უმწეობის შეგრძნება ხეთქავდა გულზე. საკუთარ თავზე ბრაზობდა, რადგან ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში, მართალია, განუწყვეტლივ ეკამათებოდა, განუწყვეტლივ გმობდა და ამტყუნებდა თბილისელ მსახიობს, მაგრამ გულის სიღრმეში შემაწუხებლად, დამანამუსებლად ყოველთვის გრძნობდა თბილისელი მსახიობის უპირატესობასაც და სიძლიერესაც. თუმცა ამის აღიარება სამართლიანობის გზაზე კი არ შეაყენებდა, ჩვეულებრივ გარეწრად აქცევდა მაშინვე, ბავშვის დამსმენელად, საკუთარი შვილის გამწირავად, რისი გამართლებაც მხოლოდ იქამდე შეეძლო, ვიდრე მოთმინებისა და მორჩილების დროშით იბრძოდა, თუნდაც იმის გადასარჩენად, რაც მოთმინებასა და მორჩილებას, ანუ რაც დროს გაუძლებდა. მაგრამ არც იმის უარყოფა შეეძლო, ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში თბილისელი მსახიობი რომ წარმართავდა მის ცხოვრებას; ცუდი უნდოდა მისთვის თუ კარგი, აცდუნებდა თუ აფხიზლებდა, ერთი ცხადია — ნებისმიერ მის საქციელს თბილისელი მსახიობის ნებასურვილი განაპირობებდა, და არა მარტო მაშინ, როცა მეზობლად ცხოვრობდა და ყოველ წუთას შეეძლო დასდგომოდა თავზე, არამედ მერეც, თბილისიდანაც და, თუ გნებავთ, საფლავიდანაც. არც დრო მოქმედებდა იმაზე, არც სივრცე და არც სიკვდილი. ან ღმერთი იყო ან ეშმაკი. დიახ, დიახ, ან ღმერთი ან ეშმაკი! სხვანაირად ვერ იფიქ-

რებდა დიმიტრი, რაც არ უნდა განსწავლული ყოფილიყო, რაც არ უნდა გულუბრყვილობად მოსჩვენებოდა დარიას მორწმუნეობა, დარიას გიშრის ჯვრისა და აბრეშუმის ზონარის ძლევამოსილება. თბილისელი მსახიობი ან ღმერთივით ცდიდა, ან ეშმაკივით აცდუნებდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში დიმიტრიზე ძლიერი იყო და ორივე შემთხვევაში დიმიტრი იმის მსახური გამოდიოდა მხოლოდ, იმის ყურმოჭრილი მონა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, განა შვილიც მან არ გააჩენინა? იქამდე რას უცდიდა? ვის უმალავდა თავის ბედაურობას? იმან გააჩენინა და, რაც მთავარია — თავისთვის, საიმედო თავშესაფარი გაუნაღდა თავის შთამომავალს, რასაც სხვაგან და სხვანაირად ვერაფრით მოიპოვებდა, გინდაც ყოველ საღამოს ეხადა ბენეფისები. თბილისელმა მსახიობმა აღაგზნო, თბილისელმა მსახიობმა ააცუნდრუკა დიმიტრი და, ისა და მისი მშვენიერი ელენე ჯერ გასულებიც არ იყვნენ "სამოთხიდან", გიმნაზიელი ბიჭის სიშლეგით რომ დაეძგერა ცოლს, როგორც ავაზაკი — სამკურნალო ბალახების მოსაკრეფად ტყეში გამოსულ მონაზონს, როგორც აჯანყებული გლეხი კნეინას... არა, თითქოს დარიაც მშვენიერი ელენე იყო და მოსასწრებად ჰქონდა საქმე, ვიდრე მოსტაცებდნენ, უკანვე წაართმევდნენ, ანდა ვიდრე ჯადო ძალას დაკარგავდა და დარია ისევ საბრალო დარიად იქცეოდა, მისი ცხოვრების ერთგულ ამხანაგად, ქმართან დაწოლამდეც ისევე რომ იწერს პირჯვარს, როგორც ეკლესიაში შესვლის წინ. თბილისელმა მსახიობმა მონუსხა, მოაჯადოვა ორივენი, ისიცა და დარიაც, და ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში დღე არ დაღამებულა ისე, ერთხელ მაინც არ გაეხსენებინოთ ის, მომნუსხველი, მომაჯადოებელი; ღამე არ გათენებულა ისე, საწოლში არ წამომჯდარიყვნენ, ხან ის, ხან დარია, და ჯერ კიდევ მძინარეებს, ჯერ კიდევ სიზმრიდან გამოურკვევლებს, არ დაეყვიროთ: ადექი, მგონი, მოვიდაო. თუმცა თვითონ ერთხელაც აღარ უკითხავს ამათი ამბავი. აღარ სჭირდებოდა და იმიტომ. უკვე განაღდებული ჰქონდა თავისი: ეკლის გვირგვინიცა და სამუდამო თავშესაფარიც. რაც მთავარია, დიმიტრის მეშვეობით დაიბევა დიმიტრის შვილიც. დედის მუცელშივე, გა-

ჩენამდე გააწირინა მამას, არათუ გაწყრომის, არამედ ჭკუის დარიგების უფლებაც რომ წაერთმია მისთვის. აქაც აჯობა თბილისელმა მსახიობმა და თუკი თავის დროზე ოთახიც არ მიაქირავა დიმიტრიმ, ახლა დიმიტრიზე მეტ ადგილს იკავებდა დიმიტრის სახლში, მისი თესლი ღვიოდა იქ და დიმიტრისაც მისი თესლის გადასარჩენად უნდა ეზრუნა მხოლოდ. იმისგან კი არ უნდა დაეცვა "სამოთხე", მის სულს უნდა დასდგომოდა მცველად "სამოთხეში". ესღა ევალებოდა, ესღა ამართლებდა საერთოდ დიმიტრის არსებობას და ესღა უტოვებდა ცოტაოდენ იმედს, როგორმე რომ ამოვიდოდა გაჩენამდე განწირული ქალიშვილის ცოდვიდან. "კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა... კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!" — იმეორებდა გაგულისებული. მოთმინება მოთმინებად, მაგრამ გაეფრთხილებინათ მაინც, რას უპირებდნენ. ზურგს უკან დაუნათესავდნენ, ვირივით ჩასვეს აეროსტატში, თვითონ კი, გულხელი დაიკრიფეს, მშვიდად მოკალათდნენ სამარეში — ახლა შენ იცი და შენმა მოთმინებამო, ვნახოთ ერთი, ქვეყნის კი არა, ერთი, ჯერ კიდევ თვალაუხელელი ბავშვის გადარჩენა თუ შეგიძლიაო. "ლა, ლა, ლა, ლა"... — გამოაჯავრა უცებ თბილისელ მსახიობს. თბილისელმა მსახიობმა უაზრო, გამოცარიელებული თვალებით გამოხედა, მაგრამ დიმიტრიმ ხელი აუქნია, არ აცალა სიტყვის თქმა, რადგან ისედაც იცოდა, რას იტყოდა იგი. "მოთმინება. მოთმინება. მოთმინება. რისი თქმა გინდა ვითომ? შენი ჭკუით, დამცინი არა? თუ ახლაც თამაშობ? თამაში ადვილია, ცხოვრებაა ძნელი... — გააგრძელა ღვარძლიანად, გაწიწმატებულმა, გამწარებულმა. საყელო მოიღეღა და გაოფლილ შუბლზე გადაისვა ხელი. — ბაბუა! — მოაყოლა სიცილით. — ბაბუა ხარ უკვე და ისიც ვერ შეიგნე, თავისუფლება იგივე ბრძოლის უფლება რომაა და მეტი არაფერი. ვითომ ამხელ ბოროტებას, ვითომ არ ურიგდები, ვითომ ებრძვი და... ეწირები. ვითომ კი არა, ნამდვილად. ესაა და ეს. სხვანაირად რომ ვთქვათ... სალამი, ჩემო ბატონო! — სხარტად უპასუხა ვიღაცას სალამზე; არც კი დაინტერესებულა, ვინ იყო. თბილისელ მსახიობს მოხედა, შეამოწმა, მოსდევდა თუ არა, და გააგრძელა: — სხვანაირად რომ ვთქვათ, შენს სიბ-

რიყვეს ადასტურებ ერთხელ კიდევ, რადგან... გაიცინე, გაიცინე... რადგან, მოგწონს თუ არა, ხელს გაძლევს თუ გეჩოთირება, მხოლოდ და მხოლოდ მოთმინებითა შენითა უნდა მოიპოვო სული შენი და, მხოლოდ და მხოლოდ ოფლითა პირისა შენსათა უნდა ჭამდე პურსა შენსა. ასეა, ჩემო ძმაო. ესაა მთელი ავანჩავანი ადამიანის ცხოვრებისა, დანიშნულებისა, გზისა, ნათლად და მარტივად დაფორმულებული თავად ღმერთის მიერ. ხოლო ვინც ამ ფორმულას უგულებელყოფს, შენი ჭკუისაა და შენსავით იღუპება ბოლოს. ბოლოს კი არა, დროზე ადრე, უაზროდ, უშედეგოდ. სხვასაც ღუპავს. სხვებსაც. ჩემნაირებს, რომლებიც გონებით ზომავენ და არა გულით, რომლებიც სახელისთვის კი არ იბრძვიან, პურისთვის მსახურობენ და რომელთა მხრებზეც გადადის საერთოდ ცხოვრება, კი არ გადადის, დგას, როგორც შენობა ბალავარზე, რადგან ჩვენ მომთმენნი ვართ და უბრალონი, არც ჩუქურთმა გვამშვენებს, არც რამე წარწერა. არცა ვჩანვართ. მიწაში ვართ. ღრმად. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა მეტი გვაქვს, როგორც სხვათა, ისევე საკუთარი თავის მიმართ. ვიცით, რატომ არ ვჩანვართ, რატომა ვართ მიწაში, რა გვევალება. დიახ, მეოცნებეთათვის ესოდენ საძულველი და შეურაცხმყოფელი მონობა, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის შეგრძნებაა, მოთმენასა და გაძლებას გვავალდებულებს, თუნდაც ბალავარის ნესტსა და წყვდიადში, და არა ტაშისთვის, ანდა გვირგვინისთვის დაღუპვას, თუნდაც არტისტულად, მომხიბვლელად, სულისშემძვრელად. ისიც ნუ დაგავიწყდება, სცენა და ცხოვრება ძალიან რომ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სცენაზე ადვილია ყოფნაარყოფნას შორის არჩევანის გაკეთება, მაგრამ შენ რომ ერთხელ მაინც შეგეხედა ნამდვილ ციხეში, ერთხელ მაინც რომ მოგესმინა, როგორ ბღავის "დასაკითხად" გაყვანილი პატიმარი, მაშინ შენც დაგეკარგებოდა თამაშის ხალისი, ანუ შენც ცოცხალი იქნებოდი ახლა და ჩემთან ერთად იმაზე იფიქრებდი, რა გზა გამოგვენახა, ვის ჩავვარდნოდით ფეხებში, ვისი მზე გვეფიცა, შენი შვილიშვილი რომ გადაგვერჩინა როგორმე. მოთმინება, მოთმინება. მოთმინება. დიახ. დიახ. დიახ". — უცებ ვიტ-

რინაში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი და ელდა ეცა, ენა ჩაუვარდა: გიჟივით, ხელების ქნევით მიდიოდა ქუჩაში. ნირწამხდარმა მოხედა თბილისელ მსახიობს, მაგრამ იმას არც ახლა შესცვლია გამომეტყველება, ისევ უაზრო, გამოცარიელებული თვალებით შემოსცქეროდა. ნაბიჯი შეანელა და ათრთოლებული ხელები ზურგს უკან დაიწყო, უბრად მიდიოდნენ. "მთელი ქალაქის პამპულა გამხადაო" — ფიქრობდა დიმიტრი და უნდოდა, კიდევ რამე ეთქვა თბილისელი მსახიობისთვის, უფრო მწარე, უფრო დაუნდობელი, მაგრამ დალაპარაკებისაც ეშინოდა, იმის წარმოდგენაც აფრთხობდა, ამდენი ხანი, ხელების ქნევით რომ დადიოდა თურმე ქუჩებში. მწვანედ შეღებილ ჭიშკრამდე ისე მივიდა, აღარც მოუხედავს თბილისელი მსახიობისთვის. ხისფეხა კოსტა რომ დაინახა, ერთი წამით შეყოვნდა, ბრაზიანად ჩაიბურდღუნა, სულ არა მაქვს ახლა კოსტასთან საუბრის თავიო, და მხოლოდ მაშინ შეამჩნია თბილისელი მსახიობის გაქრობა. გაკვირვებულმა მოათვალიერა ქუჩა. ხოლო ხისფეხა კოსტამ რომ დაუძახა: ვის ეძებ, დიმიტრიო?! — ხელი ჩაიქნია და სასწრაფოდ შეაღო ჭიშკარი. მაგრამ იმის მაგივრად, შინ შესულიყო, ლეღვის ძირას დაჯდა. შინ შესვლა არ უნდოდა. წესით, უკვე უკანა ოთახში უნდა მჯდარიყო, მუხლებამდე შარვალდაკაპიწებული, ცხელი წყლით სავსე ტაშტში ფეხებჩაყრილი, მაგრამ აღარ იზიდავდა ოჯახური, მიჩვეული სიამენი; უცებ გაოჩნებულიყო, სახედარივით, პატრონის გულის გასახეთქად, არაფრით რომ აღარ მოიცვლის ხოლმე ფეხს, იქამდე დამჯერი და თვინიერი, პატიოსნად აღმსრულებელი თავისი სახედრული მოვალეობისა. "წყალს წაუღია ყველაფერიო" — ფიქრობდა და შინ შესვლა არ უნდოდა, ლეღვის ძირას იჯდა, თუმცა ფეხები ჯიუტად ახსენებდნენ, უკვე დრო იყო, დამსახურებული, დაკანონებული ნახევარსაათიანი შვება მიეცა მათთვის. ლეღვის ძირას იჯდა და ფიქრობდა: წყალს წაუღია ყველაფერი, ვისზე რა ნაკლები ვარ, მეც თავი უნდა მოვიკლაო. საღამოს ბინდში მამისეულმა ხეებმა გაიშრიალეს, თითქოს შეიცხადეს, შენ რომ თავი მოიკლა, ჩვენ ვიღამ უნდა გვიპატრონოსო. გული აუჩუყდა. ცრემლიც კი მოადგა თვალზე.

ხეები უყვარდა. რაღაცნაირად ეამაყებოდა და ეიმედებოდა, ამდენი ხე რომ იდგა მის ეზოში. ხე სიცოცხლის განსახიერება იყო მისთვის, სიკვდილსიცოცხლისა. ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ, წლიდან წლამდე, და თუ კარგად დააკვირდებოდი, ბევრ რამესაც გასწავლიდა, ბრძენი, კეთილი, მომთმენი, უსასრულოდ, დაუზარებლად იმეორებდა ერთსა და იმავე გზას — გაჩენიდან სიკვდილამდე და პირიქით — სიკვდილიდან გაჩენამდე, და არა მხოლოდ იმიტომ, სიცოცხლე უსაზღვროდ რომ უყვარდა თავად, არამედ იმიტომაც, მისი შემყურე ადამიანი რომ ეცოდებოდა და ჯიუტად ცდილობდა იმისთვისაც ჩაენერგა გულში აღდგენის, განახლების, აღორძინების იმედი. ხეები შავად ბზინავდნენ, კენწეროებით ისხლეტდნენ სახლიდან გამოსულ სინათლეს. დაძაბულები იდგნენ, რაღაცას უსმენდნენ თითქოს და მართლაც, იმავე წუთას დიმიტრიმაც გაიგონა პიანინოს ხმა. გაოცებული გადაიხარა წინ, მუხლებზე ხელებდაბჯენილი. “მოკითხეთ ახლა ჩემს ქალიშვილს ჭკუაო” — უთხრა ხეებს და მწარედ გაეღიმა, გზამოჭრილი კაცივით. მერე კიდევ უფრო გადაიხარა წინ, ხომ არ მომეყურაო, და პოლიცმეისტერის მოღიმარი სახე დაინახა. “რა იყო, შე კაცო, ხალხს კი არ ვჭამთ ჩვენო” — უთხრა პოლიცმეისტერმა. ერთი წამით, პოლიცმეისტერის ეტლის სუნიც ეცა ცხვირში და ისევ დაასხა ცივმა ოფლმა. დიმიტრის თავიდანვე არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, თუ რაზე იბარებდნენ, რაზე უნდა გასაუბრებოდნენ მის ქალიშვილს; ხოლო თავად მას თუ არაფერი ჰკითხეს ამის თაობაზე, მხოლოდ იმიტომ, ძველი დამსახურება რომ გაითვალისწინეს ალბათ და შესაძლებლად ჩათვალეს, თვითონაც არ სცოდნოდა, ვისი ბაბუა იყო, თორემ სხვას რას უნდა შეეკავებინა, მეორეჯერაც რატომ არ უნდა დაესმინა ის, ვისი დასმენაც არც პირველად დაუძალებია ვინმეს. მისი ქალიშვილი კი, პიანინოზე უკრავს, თითქოს სხვას არავის ღირსებია უქმროდ დაორსულება და უმამო შვილის დედობა. მართალს ამბობს ხისფეხა კოსტა, ქვეყანა ინგრევა და ახიცაა, დალპა, გაიხრწნა, გაპირუტყვდა. შვილმა დედა მოკლა და თითიდან ქორწინების ბეჭედი წააძრო. ლა. ლა. ლა. ლა. მღვდელს მიუსწრეს დიაკ-

ვანთან. ლა. ლა. ლა. ლა. პოლიციელმა სახაზინო ფული გაიტაცა და ყაჩაღად გავარდა. ლა. ლა. ლა. ლა. ქმარმა ცოლი კარტში წააგო. ლა. ლა. ლა. ლა. კაცის ხორცს ყიდდნენ ბაზარზე. ლა. ლა. ლა. ლა. მაგრამ პიანინოს ხმამ ცოტათი მაინც დაამშვიდა დიმიტრი, იმასაც გადაედო პიანინოს ხმის ყალბი, მოჩვენებითი არხეინობა, მოეშვა, მოდუნდა, როგორც ბედთან შეგუებული კაცი, თითქოს სასიამოვნოდ თბილი ტბის ფსკერზე იჯდა, წყალმცენარეების ნაზი, დრეკადი ჩრდილებით დაბურული, ხოლო პიანინოს სიმებს მომწყდარი ბგერები ხან მარტოხელა, მხდალი თევზებივით უტრიალებდნენ გარშემო, ხან კი, მთელი ქარავანივით, ერთიანი ძალით მოარღვევდნენ, მოატორტმანებდნენ ტბის ხავერდოვან წიაღს და ფარფლების შხუილით გადასდიოდნენ თავზე. დიმიტრი თითქოს დიმიტრი კი არ იყო — დარიას ქმარი, ნატოს მამა, ანდროს ბაბუა — არამედ, რომელიღაც წყლის ბინადარი, დიდი, უწყინარი ცხოველი, გარიდებული ადამიანის სამყოფელს, საიმედოდ ჩამალული შლამიან ფსკერზე, დაცლილი, გათავისუფლებული ამქვეყნიური ვნებებისგან, მაგრამ მაინც მოკლებული მარადიულ სიმშვიდეს, რადგან ბუნებას, შეცდომით, შემთხვევით თუ განგებ, ადამიანის მახსოვრობით დაეჯილდოებინა იგი, და ისიც, წყლის ბინადარი, წყალმცენარეებში ჩაკარგული, მაინც წუხდა, წვალობდა, იტანჯებოდა თავისთვის, უთქმელად, უამხანაგოდ, უნუგეშოდ; მახსოვრობა აფრთხობდა, მახსოვრობა აიძულებდა, იმაზედაც ეფიქრა, ადრე თუ გვიან მაინც რომ მოუწევდა ამ თითქოსდა დაურღვეველი რინდიდან გამოსვლა; იმ კეთილსინდისიერ მოსწავლესავით შფოთავდა, გაღვიძებამდე რომ იწყებს ფიქრს, უნდა ავდგე, თორემ სკოლაში დამაგვიანდებაო. ახლა გრძნობდა, როგორ დაღლილიყო მთელი დღის უაზრო წანწალით. სიამოვნებით დაიძინებდა აქვე, ლეღვის ძირას, უსახლკარო მწირივით, მაგრამ არც ამის უფლება ჰქონდა, ესეც დიდი ფუფუნება იყო მისთვის, რადგან შინ სამი გულუბრყვილო სიცოცხლე ელოდებოდა და ერთხელ კიდევ უნდა მორეოდა თავს, ერთხელ კიდევ უნდა დაეთმო საიმედო, სასიამოვნო ფსკერი და ერთხელ კიდევ ამოტივტივებულიყო მისთვის დამღუპვე-

ლი ჰაერის ჩასასუნთქად, მისთვის ეგზომ სახიფათო ზედაპირზე, სადაც ამჯერად არა მხოლოდ მისი სიმშვიდის, არამედ მთელი მისი ოჯახის ყოფნაარყოფნის საკითხი წყდებოდა. მაგრამ დარიამ რომ უთხრა, რას უზიხარ ამ სიბნელეშიო, ისე შეკრთა, თითქოს აღარ ელოდებოდა, დარიას თუ ნახავდა როდისმე. ფეთიანივით წაეტანა მკლავზე და თითები ხაფანგის კბილებივით მოუჭირა. "მტკივა, გამიშვიო" — გაუკვირდა დარიას. "აღარ შემიძლია, დარია, თავი უნდა მოვიკლაო" — წაიჩურჩულა დიმიტრიმ, ხეები ყურდაცქვეტილები იდგნენ. სახლიდან პიანინოს ხმა გამოდიოდა. ქვითკირის ღობის იქით, გოდორში დამწყვდეულმა მამალმა დაიყივლა, ხრინწიანად. დარია ქმრის ხმაში ჩაბუდულმა სევდამ და უმწეობამ შეაძრწუნა. კანი აებურძგნა. დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ, მართლა ხაფანგში ჩავარდნილივით. გული გამალებით უცემდა, თითქოს ისა და მისი ქმარი სხვის ეზოში შეპარულიყვნენ, სხვისი ლეღვის ძირას შეყუჟულიყვნენ, პირველი ცოდვის ჩასადენად. "რა ქნას ამ უბედურმაცო" — გაიფიქრა თანაგრძნობით. "შენს თავს მიხედე, თუ ჭკუა გაქვს. ყველანი კარგად იქნებიანო" — თქვა უზრუნველი, აგდებული ხმით, ვითომ სასაცილოდაც არ მყოფნის შენი სადარდელიო. მართალია, ქალები პირველები გრძნობენ და უკანასკნელები ურიგდებიან უბედურებას, მაგრამ შერიგებამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლიდა; ახლა ქმრის გამხნევება, ქმრის გამობრუნება ევალებოდა და არა დარდზე დარდის, შიშზე შიშის მიმატება. ამიტომ, არც ის შეუცხადებია, მის ქალიშვილს პოლიციაში რომ იბარებდნენ, რომ არ დაებარებინათ, ის იქნებოდა საკვირველი, რადგან მისი ქალიშვილი უკვე ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო გელასი და, თავისთავად ცხადია, პოლიცია იმითაც დაინტერესდებოდა, ვიდრე გელასთან ექნებოდა საქმე. გარდა ამისა, დარიას ჯერ კიდევ სჯეროდა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა: გელას დაიჭერდნენ, გელა სასჯელს მოიხდიდა (ციხე იმიტომაა მოგონილი, ვიღაცა რომ იჯდეს იქ, ხან სხვა, ხან შენიანი), ქალაქი ლაპარაკით დაიღლებოდა და მათი ცხოვრებაც თანდათანობით ისევ ჩადგებოდა კალაპოტში. ბოლოს და ბოლოს,

პირველები ხომ არ იყვნენ, ანდა უკანასკნელები, მთელი ქვეყანა იყო გაუბედურებული, ყველას თავისი სადარდელი ჰქონდა. არც უკანონო და უპატრონო ბავშვი გაუკვირდებოდა ვინმეს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, დარია, თუნდაც, თავისი ბუნების გამო, უბრალოდ, ვერც წარმოიდგენდა, ბავშვის გაჩენა დანაშაულად თუ ჩაითვლებოდა როდისმე, როგორც არ უნდა გადამცდარიყო ქვეყანა ჭკუიდან. მისი ღრმა რწმენით, ისინი უბედურები იყვნენ და არა დამნაშავეები, და, საცა სამართალია, მხოლოდ თანაგრძნობას იმსახურებდნენ და არა სასჯელს. მაგრამ დარიას, ასევე ქალური სიჯიუტით, არ უნდოდა იმის დაჯერება, განსაკუთრებულად უკანონო თუ იყო მისი შვილიშვილი, რამდენადაც სახელმწიფო, ჯერჯერობით, იმის მამასაც არ თვლიდა ცოცხლების სიაში, ჯერ ის ჰყავდა მოსათვინიერებელი, ანდა საერთოდ ამოსაძირკვი და, რაღა თქმა უნდა, არც იმის დანატოვარს გაახარებდა, იმასაც ძირფესვიანად მოთხრიდა, სარეველა ბალახივით, სადაც არ უნდა ამოეყო იმას მიწიდან თავი. ამის მეტი რა იცოდა დიმიტრიმ, ანდა დიმიტრიზე უკეთ ვინ იცოდა, რა მყარი და შეუვალია კანონი, როცა სახელმწიფოს ნებასურვილსა და გუნებაგანწყობილებას შეესაბამება, და რა იოლად ირღვევა იგი, როცა რაიმე დათმობაზე წასვლას ავალდებულებს იმავე სახელმწიფოს, სახელმწიფოს, სადაც სინდისის თავისუფლება უსინდისობად ითვლება, ხოლო ნებისმიერი შეპასუხება — ღალატად. “კანონი ცირკის ქალივითაა. თუ საჭირო გახდა, საკუთარ ლაჯებში გაიტარებს თავს და საკუთარ უკანალზე ჩამოიდებს ნიკაპსო” — ამბობდა დიმიტრი. “მაგრამ ღმერთის სამართალიც ხომ არსებობსო” — არ ტყდებოდა დარია. “იცი, რა მითხრა? ჩვენ ვიცით, შენ რომ არ იცი, მაგრამ ჩვენ რომ ეს არ ვიცოდეთ, არ ვიცი, როგორ იქნებოდა შენი საქმეო. ბრიყვი ეძახე!” — ამბობდა დიმიტრი. “შენ თუ ასეთი ბრძენი ხარ, რატომ გაჩუმდი? რატომ არაფერი უთხარი, ჩემთან რომ გაქვს დიდი გული!” — უცებ გაბრაზდა დარია. “შეაყარე კედელს ცერცვი”... — თქვა დიმიტრიმ, გულგრილად, უხალისოდ, რადგან ერთბაშად მოსწყინდა დარიასთან ლაპარაკი, მოსწყინდა იმის მტკიცება, ბრალდებულის გამოქომაგება

უარესად რომ არისხებს სახელმწიფოს, რის შედეგადაც, ისევ და ისევ, ბრალდებული იჩაგრება, რადგან სახელმწიფო იმას კი არ იფიქრებს, მე შემშლიაო, ეტყობა, უფრო დამნაშავე ყოფილა, ვიდრე მე მეგონა, რაკი ასე თავგამოდებული იცავს ვექილიო. გინდა სიმართლე გითქვამს სახელმწიფოსთვის და გინდა ფიზიკურ ნაკლზე მიგითითებია. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ცარიელი წყლის ნაყვა იქნებოდა და მეტი არაფერი. "ღმერთი განგვსჯის ყველას!" — თქვა დარიამ. დიმიტრის სიცილი აუვარდა. თან პირზე ხელს იფარებდა, სიცილი რომ ჩაეხშო და თან თვითონვე უკვირდა, რა მაცინებს, რა ამბავია ჩემს თავსო. "ღმერთი, ღმერთი... — ამოაყოლა ბოლოს სიცილს, სასულეში გადამცდარი ფინჩხივით. — როგორ არა. აგე, ჭიტაო, გეძახის ღრუბლებიდან". "ნუ სცოდავ. ნუ სცოდავ!" — დაუყვირა დარიამ. დიმიტრი კი იცინოდა. საკუთარ ეზოში, საკუთარ ლეღვის ძირას, პირზე ხელაფარებული იჯდა და იცინოდა. ახლა უკვე იცოდა, რაზედაც იცინოდა. უჩვეულო, ენით უთქმელი სიამოვნება დაუფლებოდა უცებ. ცოლის გულუბრყვილობა სიამოვნებდა, როგორც მომაკვდავს — ზიარება, უკანასკნელი რიტუალი სიკვდილსიცოცხლის მიჯნაზე. ცოლის გულუბრყვილობა სულელურ რწმენას, სულელურ იმედს უღვივებდა გულში და როცა დარია პირზე აფარებულ ხელში სწვდა და რამდენჯერმე ძალით გადააწერინა პირჯვარი, არ გასძალიანებია.

მეორე დღეს ნატო პოლიციაში წავიდა. "მიყურონ, რამდენიც უნდათ, ჩემთვის სულერთიაო" — იმშვიდებდა თავს, რადგან დარწმუნებული იყო, ყველანი მას უყურებდნენ, ყველამ იცოდა, პოლიციაში რომ მიდიოდა. ნასახიც აღარ შერჩენოდა წუხანდელი, წარმოდგენილ პოლიცმეისტერთან მეომარი ნატოსი. მამამ რომ შეაპარა ლაპარაკში, ასე და ასეა საქმეო, არ ეგონა, დილამდე თუ გაატანდა და მხოლოდ მშობლების ხათრით შეიკავა თავი, წუხელვე თუ არ მიუხტა პოლიცმეისტერს. ანდრომაც შეუშალა ხელი, გაჯიუტდა, არაფრით არ დაიძინა, ხოლო იმის რწევარწევაში, ვერც კი შეამჩნია, თავადაც როგორ მოერია ძილი. სამაგიეროდ, ძილში ისეთი დღე აყარა პოლიცმეისტერს, იმასაც კი ფიქრობდა, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო,

რაც არ უნდა იყოს, უფროსი ადამიანიაო. მაგრამ გამოღვიძებულს აღარც თავისი ნალაპარაკევი ახსოვდა და აღარც პოლიცმეისტერის დანახვა უნდოდა, როგორც ნამთვრალევს ღვინისა, მაგრამ წუხანდელი ბაქიბუქის შემდეგ უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა. სხვა თუ არაფერი, მშობლებისა რცხვენოდა და, მართალია, წუხანდელივით, წინასწარ მოგებულად აღარ თვლიდა ჯერ კიდევ გადასატან ბრძოლას, მაგრამ ბრძოლისთვის თავის არიდებაც არ ეკადრებოდა, ახლა უნდა გამოჩენილიყო, რა შეეძლო, რა ღირდა მისი გამბედაობა. ქალბატონ ელენესავით ამაყი, გოროზი, მედიდური მიაბიჯებდა ქუჩაში, თუმცა ფეხები უკან რჩებოდა და როგორც მხდალი მოსწავლე — საზეპირო გაკვეთილს, ფაცაფუცით, ცხარედ იმეორებდა გუნებაში: ბრძოლა შეიქმს სულის ძალსა, სულის ძალა — სიყვარულსა, სიყვარული — სამართალსა, სამართალი — სიხარულსაო. იმეორებდა, მაგრამ სიტყვებს აზრიც დაჰკარგვოდათ და ელვარებაც, მკვდარი ჩიტებივით ცვიოდნენ წუხანდელი მრისხანების ნაცარში, საიდანაც თითოოროლა ნაპერწკალი თუღა გამოსხლტებოდა ხოლმე მოულოდნელად, რაც საბრძოლველად კი არ აღაგზნებდა ნატოს, კიდევ უფრო არწმუნებდა ბრძოლის უაზრობაში. და მართლაც, რა ესაქმებოდა ნატოს პოლიცმეისტერთან, ანდა პოლიცმეისტერს ნატოსთან? ის თუ ვაჟკაცი იყო, გელა დაეჭირა, ხოლო ნატო, როგორმე, თვითონვე მოუვლიდა თავსაც და შვილსაც. ბოლოს და ბოლოს, გელასავით, ისიც სულ გადაიკარგებოდა ამ წყეული ქალაქიდან, თავის შვილიანად, და აღარავის დაუფრთხობდა სიმშვიდეს. ისიც კი წარმოიდგინა, როგორ ცხოვრობდნენ სადღაც, უკაცურ კუნძულზე, ლერწმის ქოხში, ისა და ანდრო; ყოველღამე როგორ ანთებდნენ ნაპირზე უზარმაზარ კოცონს, ყოველ შემთხვევისთვის, გელას რომ მიეკვლია იმათთვის, თუკი მოუნდებოდა იმათი ნახვა, თუკი სული ედგა და კიდევ ახსოვდა ნატო. თუმცა, უიმისოდაც არაფერი გაუჭირდებოდათ, კუნძულის ცხოველებსა და ფრინველებს მოაშინაურებდნენ, ითევზავებდნენ, ტყეში ათასნაირ ხილს დაკრეფდნენ და იცხოვრებდნენ მშვიდად, უზრუნველად. რაც მთავარია, აღარც უკანონოები ერქმეოდათ, რადგან

ბუნების ქვეშევრდომები იქნებოდნენ და არა კაცისა. ისე გაიტაცა ამ სულელურმა, მაგრამ ზღაპრულად მომხიბვლელმა ფიქრმა, ცოტას მორჩა, ეტლს ჩაუვარდა. უცებ ცხენმა დაუბრიალა დიდი, ჩასისხლიანებული თვალი. ცხენის ვეება თავი ამოუტივტივდა ცხვირწინ, ისე ახლოს, ლურჯი, დატოტვილი ძარღვებიც კი გაარჩია გუგაზე. "გაიღვიძე, ბარიშნაო" — დაუძახა მეეტლემ და მათრახი თავს ზემოთ გაიტკაცუნა, თითქოს დამბაჩა გაისროლა. ნატომ უნებურად ყურებზე აიფარა ხელი. იმავე წამს ეტლმა თქარათქურით ჩაუქროლა წინ და ოფლის, ტყავისა და ღვინის სუნი შეაფრქვია სახეში. ეტლში მსხდომნი ლამის გადმოცვივდნენ ეტლიდან: კისერმოღრეცილნი იღრიჭებოდნენ და ხელებს უქნევდნენ. "ჭირი თქვენ!" — მიაწყევლა ნატომ ეტლს, მაგრამ ეს უნებური შეკრთომა ბოლომდე აღარ გამონელებია: შემკრთალმა აათავა პოლიციის ჭრაჭუნა კიბე, შემკრთალი შეიძურწა პოლიცმეისტერის კაბინეტში და გრძელი მაგიდის თავში, ჩუქურთმიან სავარძელზე შედედებულ წყვდიადს მიაშტერდა. "ააა" — თქვა წყვდიადმა და შეინძრა. ჯერ ადამიანის ხელი გამოიბა, რომელმაც თავისუფალი სკამისკენ მიუთითა ნატოს, მერე — ადამიანის სახე, რომელიც კეთილად იღიმებოდა, მაგრამ ნატო მაინც გაუბედავად ჩამოჯდა სკამის კიდეზე. აქ შემოსვლამდე, არც აპირებდა დაჯდომას, ჩემს სათქმელს ვეტყვი და გამოვიჯახუნებ კარსო, იმუქრებოდა გუნებაში, მაგრამ ახლა სათქმელიც აღარაფერი ჰქონდა. "ქალიშვილო... ჰმ. ქალბატონო, — გააგრძელა ადამიანად გარდაქმნილმა წყვდიადმა, — ბოდიშს კი გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ, ისა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ფორმალობა, დიახ, ჩვეულებრივი ფორმალობა. ასაღელვებელი არაფერია. დამშვიდდით". და ნატოც "დამშვიდდა". იგრძნო, რა გამალებით აუძგერდა გული, როგორ აუცახცახდა მუხლები, როგორ გაეოფლა ხელისგულები. ასაფრენად გამზადებული ჩიტივით იჯდა სკამის კიდეზე, მაგრამ ფრთებს ვეღარ გრძნობდა. საერთოდ გამოცარიელებულიყო, თუმცა მონდომებული, მოწადინებული უსმენდა პოლიცმეისტერს, როგორც მოსწავლე ახალ მასწავლებელს, პირველად შემოსულს კლასში, მაგრამ მოსწავლეებში იქამდეც ცნო-

ბილს თავისი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით. პოლიცმეისტერი კი ღიმილად იღვრებოდა, უსასრულოდ ებოდიშებოდა შეწუხებისთვის და ასევე უსასრულოდ სთხოვდა, აფრთხილებდა, ამ ოთახშივე "მომკვდარიყო" მათი საუბარი, არ გასცდენოდა ამ ოთახის კედლებს, თითქოს ნატოს კი არ უპირებდა გამოტეხვას, თავად უნდა გაემხილა ნატოსთვის რაღაც, უაღრესად მნიშვნელოვანი საიდუმლო. სხვათა შორის, ნატოს, ერთი პირობა, მართლა ისე მოეჩვენა, თითქოს პოლიცმეისტერი თავის გასაჭირს შესჩიოდა, თანაგრძნობასა და გულისხმიერებას მოითხოვდა მისგან და წინასწარვე უნდოდა დარწმუნებულიყო, ნატო მესაიდუმლედ რომ გაუხდებოდა. მოურიდებლად, უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა ხელისუფლებას, ყალთაბანდებს, მუქთახორებსა და მექრთამეებს ეძახდა სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც აღარაფერი გააჩნდათ თურმე წმინდა, არც სინდისი, არც ოჯახი, არც სამშობლო; მეფესაც ატყუებდნენ, ხალხსაც და ერთმანეთსაც; სიყალბის, გულგრილობის, განუკითხაობის შეუვალი კედელი ჰქონდათ აღმართული მეფესა და ხალხს შორის, და ამიტომაც, აღარც მეფის ხმა აღწევდა ხალხამდე და აღარც ხალხისა — მეფემდე. "მეფეს ისე უყვარს ჩვენი კუთხე, აქაური ამბები რომ გაიგოს, არ ვიცი, რა მოუვაო" — წუხდა პოლიცმეისტერი და ნატო უნებურად ყურებზე იფარებდა ხელებს, თუმცა პოლიცმეისტერი ისე უშუალოდ, ისე გულწრფელად და შინაურულად ელაპარაკებოდა, ერთი წუთით, თავადაც გაუჩნდა გულახდილობის სურვილი, თავი ვალდებულად ჩათვალა, თავადაც ეთქვა რამე, ხელისუფალთა სიხარბის, სისასტიკის, გარყვნილების დამადასტურებელი, მაგრამ მაშინვე უგრძნო ტანმა, სწორედ მისი გულის გასახსნელად, მისი ნდობის მოსაპოვებლად, მისი ყურადღებისა და ნებისყოფის მოსადუნებლად რომ ირჯებოდა პოლიცმეისტერი ასე. უარესად დაფრთხა და დაიძაბა. მოეჩვენა, თითქოს ვიღაცა ედგა ზურგს უკან, მაგრამ მიხედვა ვერ გაბედა. მართალია, აქ მოსვლამდე დაეყარა ფარხმალი, მაგრამ მაინც სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი პოლიცმეისტერთან "გასაუბრება". ეგონა უყვირებდა, გაკიცხავდა, ძალით ათქმევინებდა ის სიმარ-

თლეს, რაც ძალაუნებურად თავადაც აიძულებდა წინააღმდეგობის გაწევას, თავისი უფლებების დაცვასა და თავისი საქციელის გამართლებას. მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. ქალბატონივით მიიღეს და ბრალი კი არ დასდეს, სახელმწიფოსთვის საჭირბოროტო საკითხებზე გაუმართეს საუბარი, თითქოს ისიც იმათი იყო, იმათნაირი და იმათსავით ვალდებული ხელმწიფის წინაშე, ხელმწიფისა, რომელიც, თურმე, ძალიან განიცდიდა აქაურ ამბებს, თურმე, არ იცოდა, მის ჯარს ჩექმის ძირად რომ ჰქონდა აქაურობა გამხდარი და მისი მოხელეები სვავებივით რომ გლეჯდნენ, რისი გაგლეჯაც შეიძლებოდა. წარმოგიდგენიათ? საბრალო, სულელი, კეთილი ხელმწიფე. "მთავარია, არ ავყვე. მთავარია, ხმა არ ამოვიღოო" — ფიქრობდა ნატო და მუხლებს ერთმანეთზე აჭერდა, როგორმე რომ შეეკავებინა კანკალი. პოლიცმეისტერი კი თავბედს იწყევლიდა, თავის მონურ კეთილსინდისიერებას დასცინოდა, სამსახურებრივ მოვალეობას აგინებდა, რაც, თურმე, არა მარტო საკუთარი მრწამსისა და ბუნების დათრგუნვას აიძულებდა, არამედ იმის ცოდნასაც, თუ რაზე ფიქრობდა ნატო ძილის წინ და სიზმარში ვინ ესიზმრებოდა. წარმოგიდგენიათ? წარმოგიდგენიათ? "კი მაგრამ, ვის რა ესაქმება ჩემს პირად ცხოვრებასთანო" — წამოიყვირა, წამოსცდა უნებურად. მაგრამ პოლიცმეისტერმა არ აცალა, მაშინვე ჩამოართვა სიტყვა და ისევ დინჯად, აუჩქარებლად, ენის ბორძიკითა და სიტყვების ღეჭვაღეჭვით განუმარტა, საფუძველშივე რომ ეშლებოდა ნატოს, როცა პირად ცხოვრებას სახელმწიფოსგან გამოყოფდა, რადგან იმპერია ერთიანი ორგანიზმი ყოფილა, უამრავი ნატოსა და პოლიცმეისტერისგან შემდგარი, რომლებიც, თავის მხრივ, უმცირეს ნაწილაკებს წარმოადგენენ მთელისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება რომელიმე მათგანის გამოცალკევება, თუკი "დასნეულდება" და ამდენად, სახიფათო შეიქმნება მომავლისთვის. აქედან გამომდინარე, ნატოს ასევე ღრმად ეშლებოდა თურმე, როცა თავის შვილს, უპირველეს ყოვლისა, თავის შვილად თვლიდა და არა იმპერიის კიდევ ერთ ჯარისკაცად, კიდევ ერთ მოხელედ, ანდა სულაც, კიდევ ერთ მეამბოხედ. დი-

ახ, მეამბოხედ! რადგან იმპერიას, გარკვეული თვალსაზრისით, მეამბოხეც სჭირდება თურმე. თურმე, იმპერიამაც იცის, შეუძლებელი რომაა, ყველანი ერთნაირად ფიქრობდნენ და ისიც იცის, იმპერიით უკმაყოფილოებს უკმაყოფილებისთვის საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზები რომ გააჩნიათ. კიდევ უფრო მეტი, ზოგჯერ იმპერია თურმე თანაუგრძნობს კიდეც უკმაყოფილოებს, მაგრამ თანაგრძნობა ერთია, სამსახური კი მეორე; მეორე კი არა — მთავარი ("წყალი ხომ არ გნებავთ?" "არა. გმადლობთ"), რადგან სამსახურისადმი ერთგულებასა და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ისევ მეამბოხეთა არსებობა განაპირობებს, ოღონდ ღირსეული, ბოლომდე თავიანთი მრწამსის ერთგული მეამბოხეებისა და არა ფეხის ხმას აყოლილი ვიგინდარებისა, რომლებიც პირველსავე დატატანებაზე არათუ თავს ანებებენ იმპერიის ღრიჭოების ძებნას, თავგამოდებული დამცველები ხდებიან იმპერიისა, "პოეტობით იწყებენ და ოხრანკის აგენტობით ამთავრებენ", რაც იმპერიის ჭეშმარიტ მსახურებს კიდევ უფრო ურთულებს საქმეს, იძულებულს ხდის, ისეთი უმსგავსო მეთოდებიც გამოიყენოს საბრძოლველად, როგორიცაა პროვოკაცია, დემაგოგია, მოსყიდვა, წამება — რათა უშეცდომოდ დაადგინოს, ვისთან აქვს საქმე, სერიოზულ, პატიოსან მოწინააღმდეგესთან, თუ მერყევ, იოლად გადმოსაბირებელ ნაძირალასთან. იმპერიამ თავიდანვე უნდა იცოდეს თურმე, ვინ რას წარმოადგენს, ვისთან როგორ მოიქცეს, რადგან ხომ შეიძლება ბატის ჭუკი გეგონოს და გედად გაიზარდოს? ანდა... თუმცა, მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება... ისა. ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. წინასწარ როგორ გაიგებ, რა გამოიჩეკება კვერცხიდან. ყველა კვერცხი მრგვალია. ჰა. ჰა. ჰა. ჰა. იქნებ მაინც დაგელიათ წყალი? თუ გნებავთ, ლიმონათს მოვატანინებ. ნატომ, უარის ნიშნად, სასწრაფოდ გაიქნია თავი, თითქოს, რა დროს წყალია, გააგრძელეთ, გულისყურით გისმენთო. მართლაც დაძაბული უსმენდა, სუნთქვაშეკრული იჯდა, თუმცა სხეულით უფრო აღიქვამდა საფრთხეს, ვიდრე სმენით. პოლიცმეისტერის სიტყვით, განაწყენებული ხალხი აუცილებელიც იყო იმპერიის არსებობისათვის, იმპერია გა-

ნუწყვეტლივ ავლენდა, თურმე, ასეთ ხალხს და ამრავლებდა კიდევაც, თუნდაც იმიტომ, იმპერიის ერთგული მსახურნი, ერთ მშვენიერ დღეს, უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენ საერთოდ და უსაქმურობისაგან ერთმანეთს არ დარეოდნენ. ჰა. ჰა. ჰა... იმპერია იმდენად რთული ორგანიზმი ყოფილა, თვითონვე იმართებდა თურმე სენს და თვითონვე იკურნებოდა. ხოლო ვიდრე თვითდასნეულებისა და თვითგანკურნების ეს უნარი გააჩნდა, შეეძლო არხეინად ყოფილიყო. ოღონდ ყოველთვის უშეცდომოდ უნდა სცოდნოდა უკმაყოფილოთა, მღელვარეთა, მეამბოხეთა რაოდენობა, რათა "წამალიც" საჭირო რაოდენობით დაემზადებინა, არ დაერღვია წონასწორობა სენისა და წამლისა, რაც, სხვათა შორის, ერთადერთი საფუძველია, თურმე, მისი მარადიულობისა. მოკლედ, ბატს ყოველთვის ბატის ჭუკი უნდა გამოეჩეკა კვერცხიდან, თუკი შემთხვევით — მიაქციეთ ამ სიტყვას ყურადღება, რამდენადაც თქვენს სასარგებლოდაა ნათქვამი; შემთხვევითობას ნებისმიერი ადამიანი ექვემდებარება (ხომ შეიძლება, აქედან გავიდე და აგური დამეცეს თავში?!), ანუ ნებისმიერი ადამიანის გაბრიყვება შეუძლია — თუკი შემთხვევით, საბრალო ბატს გედის კვერცხი არ შეაპარა ვიღაცამ. ჰა. ჰა. ჰა. ნატო გაოგნებული უსმენდა, მაგრამ არაფერი ესმოდა, გარდა იმისა, მისი შვილი გაჩენისთანავე უფრო დიდ განსაცდელში რომ იყო ჩავარდნილი, ვიდრე თვითონ ეგონა, ანდა ვიდრე მამა მიანიშნებდა გუშინ, ვითომ ხუმრობითა და ქარაგმული ლაპარაკით. მის შვილს იმპერიისთვის სახიფათო პიროვნებად თვლიდნენ უკვე, თუმცა ჯერ თვალიც არ ახელოდა წესიერად. იმ ხელმწიფესაც აფრთხობდა უკვე მისი ჩხავილი, თურქეთისაც რომ არ ეშინოდა და კონსტანტინეპოლშიც აპირებდა შესვლას, ქრისტესა და ქრისტიანობის სახელით. პოლიცმეისტერმა მინის გრაფინს მინისავე მრგვალი ხუფი მოხადა, წყალი ჭიქაში დაასხა, და ნატოს გამოხედა. ნატომ ისევ გაიქნია თავი, თუმცა მღელვარებისგან ერთიანად გამოშრობოდა პირი. არ მიიღო მოწყალება. გუშინ რამდენჯერმე გააფრთხილა მამამ, ცოტა ხნით დაივიწყე შენი სიამაყეო, მაგრამ სიამაყე არც ახსოვდა ახლა, უბრალოდ, ეცოტავა მოწყა-

ლება, უფრო დიდ მოწყალებას ელოდებოდა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, ჭიქა წყლის გარდა, სხვა არავითარი მოწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდა. დაძაბულობისგან თავი უსკდებოდა. თან ერთი სული ჰქონდა, როდის გაიგებდა, რა ეწერა იმ ქაღალდებში, ასე გამაღიზიანებლად, შემაშფოთებლად, დამაეჭვებლად რომ ფურცლავდა პოლიცმეისტერი. ერთ ხელში ჭიქა ეჭირა, საიდანაც წყალს მოწრუპავდა ხოლმე, მეორეთი კი ფურცლებს აშრიალებდა. ერთი პირობა, აშრიალებულ ფურცლებში თითქოს გელას სურათს მოჰკრა თვალი. ამან კიდევ უფრო დააფრთხო და ააღელვა, თითქოს სურათი გასცემდა მის საიდუმლოს, დაილაპარაკებდა, უსაყვედურებდა, რამ გაგაჩუმა, ეგ ხომ იგივე უარყოფაა ჩემიო. იმ წუთს აღარ უყვარდა გელა. გელასი უფრო ეშინოდა, ვიდრე პოლიცმეისტერისა. პოლიცმეისტერი იღიმებოდა, წყალს წრუპავდა, ფურცლებს აშრიალებდა და ფურცლებიდან გამოცცებულ სურათს მაშინვე უკან აბრუნებდა, თითქოს ნატოს ანიშნებდა, ვინ იყო მისი დამღუპველი და ვინ უშლიდა თავად ხელს, უფრო მოწყალე და ლმობიერი ყოფილიყო ნატოს მიმართ. ნატო იტანჯებოდა, თუმცა წესიერად ვერც არჩევდა, ვინ აღებეჭდათ იმ სურათზე: გელა თუ გელას ბედის მოზიარე, გელასავით გზასამცდარი სული. მაგრამ გელა კი არ ენაღვლებოდა, გელას აღიარება ან უარყოფა კი არ უჭირდა, შვილის გადარჩენას ცდილობდა, გონებადაბნეული, ენაჩავარდნილი, ხელფეხწართმეული, და არა თავისი სიყვარულის დაცვასა და გამართლებას, რა განზრახვითაც მოსულიყო თითქოს აქ. მისი სიყვარული არავის არ აინტერესებდა, არც ახსოვდა, არც არაფრად მიაჩნდა. იმის დადგენა აინტერესებდათ მხოლოდ, თავად ნატომ იცოდა თუ არა, ვისგან ჰყავდა შვილი: ჯარისკაცისგან, მოხელისგან თუ მეამბოხისგან; შეგნებულად გაეჩინა თუ შემთხვევით, უყურადღებობის, გაუფრთხილებლობის გამო; მნიშვნელობას აძლევდა, ვის უწვებოდა, თუ ყველა გამვლელგამომვლელს განურჩევლად იგორებდა ლოგინში. ცოტაც და, სისხლი ტვინში აუვარდებოდა. მუშტს ჩააფრინდა კბილებით, სადღაც, მისი სულის უფსკრულიდან გამძვინვარებული ნადირივით დაძრული

ღმუილი რომ შეეკავებინა როგორმე. ახლა ყველაფერი უნდა მოეთმინა; სიამაყეც, ღირსებაც, პატიოსნებაც უნდა დაევიწყებინა ცოტა ხნით, როგორც მამამ გააფრთხილა გუშინ, ცოტა ხნით კი არა, სამუდამოდ, რადგან ახლა მართლა ყველაფერი სულერთი იყო იმისთვის, ოღონდ ანდროს ეცოცხლა, ოღონდ ანდროს თავისუფლება გამოეთხოვა ამ გაწკეპილი, თავაზიანი ჟანდარმისთვის, ოღონდ ანდრო ბატის ჭუკად ჩაეთვალა იმას. ისა და გელა აღარ ითვლებოდნენ სათვალავში, მათთვის ყველაფერი დამთავრებულიყო. მეტი არც არაფერი ეკუთვნოდათ და არც არაფერი ევალებოდათ ალბათ. მაგრამ ანდროს რატომ უნდა ეგო პასუხი სხვათა სიყვარულისთვის, სხვათა სისულელისთვის? ანდროს არაფერი დაეშავებინა ჯერ, გარდა იმისა, რომ დაიბადა, უდროოდ, უკანონოდ, მაგრამ ესეც ხომ მისი მშობლების სიბრმავის, მიუხვედრელობისა და უაზრო სიჯიუტის ბრალია და არა ანდროსი. მამამისმა სიმართლეში გაცვალა ის, ხოლო დედამ უბედურებაში; იმიტომ გააჩინა, არავისზე ნაკლებად უბედური რომ არ ყოფილიყო. ქალბატონ ელენეს ეჯიბრებოდა, წიგნებში აღწერილ ქალებს ბაძავდა, მათი გამონაცვალი, ყავლგასული ფრთებით დაფრინავდა არარსებულ ცაში, მართლა ბატი, ბატისტვინა, რადგან იმასაც არ უკვირდებოდა, მის სიყვარულს არც აღმწერელი რომ ეყოლებოდა და არც წამკითხავი, ამ ოთახში, ამ კედლებში მოკვდებოდა, როგორც ჩვეულებრივი ბოროტმოქმედება, დანაშაული, და აი, აკი საკუთარი ფეხით მოიყვანა კიდეც პოლიციაში, როგორც ქურდბაცაცა, ანდა ქუჩის ქალი. “შენ რა გენაღვლება, გააღწიე აქედანო” — შეუღრინა სლიპინა, სრიალა, ცოცხალივით მოუსვენარ სურათს გუნებაში და უცებ, საქაღალდის ნაცვლად, აღნავლებული, ხელფეხასავსავებული ანდრო დაინახა პოლიცმეისტერის მაგიდაზე. ერთი წუთიც და პოლიცმეისტერი უჯრაში ჩაკეტავდა მის შვილს და ეტყოდა: რაკი არც თქვენ იცით, დავიცადოთ, ვნახოთ, ბატად გაიზრდება თუ გედადო. თვალები დახუჭა და ახლა გელა დაინახა: წელსზემოთ შიშველი, დაფეთებული მიხტოდა სახურავიდან სახურავზე. “სანამ ასე ვზივარ, ხომ შეიძლება, მართლა წაიყვანონ, მართლა წამართვან ანდროო” —

გაუელვა შემზარავმა ფიქრმა. ეტყობა, პოლიცმეისტერმაც შეატყო შეშფოთება, უცებ გაიღიმა, საქაღალდეს ხელი დაადო და თქვა: ოო, ეს ნამდვილად საინტერესო საქმეაო. “შეიძლება, ჩემი მოღვაწეობის გვირგვინადაც ჩაითვალოს, ჩემი შესაძლებლობების საუკეთესო გამოხატულებად... — გააგრძელა ხალისიანად. — ისა. დიახ. შენ ხარ ჩემი ბატონი. აუცილებლად არსებობს რაღაც კავშირი ჩვენს საქმიანობასა და ხელოვნებას შორის. შთაგონება და შრომა, შრომა... განუწყვეტელი, თითქმის კატორღული. არ დაგიმალავთ, თვითონვე ვარ აღტაცებული. მართალია, ხელოვანს მეტი თავმდაბლობა მართებს, მაგრამ ამგვარი სისუსტე მისატევებელია. მით უმეტეს ჩვენთვის. ჩვენ ხომ სიბნელეში ვმოღვაწეობთ?! არავინა გვყავს ტაშის დამკვრელი. აი, შეხედეთ, — ქაღალდებიდან ოთხი სურათი წამოჰყარა, ერთმანეთის გვერდით დააწყო მაგიდაზე და ნატოსკენ მიაჩოჩა. — ესენი, ოთხივენი, თავისებურად საინტერესო, საკუთარი ხელწერის ბოროტმოქმედნი არიან. მე კი ოთხივეს ერთად მოვუყარე თავი, ერთ ხაფანგში. საცოდავები. ჰგონიათ, გავიქეცითო. მეგზურს ელოდებიან. თურქეთში აპირებენ გადასვლას, თავიანთი ჭკუით. იმათი მეგზური კი აგერ მიზის, მეორე ოთახში, ჩაის მიირთმევს, ჰა. ჰა. ჰა. ჰა... კანონი კი არ კლავს, ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს. საცოდავები. საცოდავები”. ნატომ ჯერ ვერაფერი გაარჩია სურათებზე. დაძაბულობისგან თვალები სტკიოდა. მერე თანდათან გამოიკვეთნენ სახეები; ზოზინით, ნაძალადევად გამოვიდნენ მისი წამიერი სიბრმავიდან, როგორც დასაკითხად გამოხმობილი პატიმრები — საკნიდან. ერთ სურათზე მართლა გელა იყო აღბეჭდილი, მაგრამ, ამავე დროს, არც ჰგავდა გელას. არაბუნებრივად დამფრთხალი, დაეჭვებული იყურებოდა. დანარჩენ სამს უფრო ჰგავდა, ვიდრე გელას, თითქოს ერთი და იგივე სახე იყო გადაღებული ოთხჯერ, ოთხნაირად, ხან ანფასში, ხან პროფილში. მართალია, ერთს სათვალე ეკეთა, მაგრამ არც ეს არღვევდა მსგავსებას. საერთო ბედის დამღას გადაეშალა ნებისმიერი გამოსარჩევი ნიშანი. ოთხივენი უპატრონო მგლებს ჰგავდნენ, თუკი შეიძლება, საერთოდ პატრონი ჰყავდეს მგელს. ნატოს

გალიის სუნი ეცა რატომღაც, და გამაოცებელი, გამაოგნებელი სიცხადით იგრძნო, აღარაფერი ეშველებოდა გელას. უცებ სკამიდან წამოვარდა, ქაღალდებს წაეტანა და იყვირა: არა, არა, არაო. პოლიცმეისტერი უნებურად უკან გადაიწია, საქაღალდეს ახლა ორივე ხელი დააფარა და გაკვირვებულმა ამოხედა. მერე ისევ გაიღიმა და წვრილი, შავად მბზინავი ულვაშები უარესად დაუვიწროვდა, დაუგრძელდა. მაგიდაზე გადაჭიმული მაუდი აქაიქ დამსკდარიყო, აქერცლილიყო, ეგზემით დაავადებული კანივით. უაბაჟურო ნათურა ოდნავ ბჟუტავდა დამდგარ, დამყაყებულ ჰაერში. “მაშინ, ვინ? — თქვა პოლიცმეისტერმა და უცებ თვალები გაუდიდდა, ტუჩები ცალ მხარეს ამაზრზენად ჩაუნაოჭდა. ნატომ უკან მიიხედა, თითქოს რაცა თქვა, ვიღაცის კარნახითა თქვა, მაგრამ უკან არავინ არ იყო. — რას მეუბნები?! ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. ვერ უყურებ?!” — ვერაფრით ვერ დამალა გაკვირვება პოლიცმეისტერმა. “დიახ! — გზამოჭრილივით იყვირა ნატომ. — დიახ, — გაიმეორა შემცბარმა, უკვე გამოფხიზლებულმა. — დიახ, დიახ”, — გაიმეორა ზედიზედ, უკვე იმედმიცემულმა, რადგან მაშინვე მიხვდა, მის გონებას, უიმისოდ, სწორი გადაწყვეტილება მიეღო, რაღაც ისეთი მოემოქმედებინა, რაც სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც აარიდებდა საფრთხეს მის უკანონოდ შობილ შვილს. “აი, ხომ ხედავთ?” — გაიცინა პოლიცმეისტერმა. “დიახ”, — თქვა ნატომ, დარცხვენილმა, გაბითურებულმა. “ვერ უყურებ?!” — ისევ გაიკვირვა პოლიცმეისტერმა. “დიახ”, — გაიმეორა ნატომ. მერე შინისკენ მირბოდა და ცდილობდა გაეხსენებინა, რა მოხდა პოლიცმეისტერის კაბინეტში, რითი დამთავრდა მათი საუბარი, გამოიქცა თუ გამოუშვეს, და თუ გამოუშვეს, სამუდამოდ თუ დროებით. მირბოდა და ცდილობდა, როგორმე მოეშორებინა საბა ლაფაჩის სევდიანი, მამაშვილურად მოღიმარი სახე, თუმცა, იმ წუთას, იმაზე ძვირფასი ადამიანი არავინ არსებობდა მისთვის, იმაზე ახლობელი, იმაზე გულისხმიერი, იმაზე გამგები. ისე შეგლიჯა ჭიშკარი, დაწკავწკავებაც ვერ მოასწრო ჭიშკარმა. ანდრო რომ დაინახა, გიჟივით ეცა, გულში ჩაიხუტა და წინ და უკან წრიალს მოჰყვა ოთახში. წინ და უკან და-

დიოდა. ანდროს კოცნიდა და იცინოდა. “რამ გადაგრია, პალტო მაინც გაიხადეო” — ეძახდა დარია. ის კი, უფრო და უფრო იხუტებდა მისი საქციელით, ცოტა არ იყოს, შემკრთალსა და შეწუხებულ ანდროს და წინ და უკან დაძრწოდა, გალიაში დამწყვდეული ძუ მგელივით. მერე ანდრო ატირდა და ვიდრე დარიამ არ ჩამოართვა, დააყრუა იქაურობა. თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, თვალცრემლიანმა, დაბღვერილმა, დაეჭვებულმა გამოხედა დედას. გაოფლილი თმა შუბლზე მისწეპებოდა. “უყურეთ ამ საძაგელს. ბებია გირჩევნია ხომ?!” — მიესიყვარულა ნატო. თან პალტოს ღილებს იხსნიდა. ანდრომ გაიღიმა, თავი სასწრაფოდ შეატრიალა და ბებიის კისერში ჩამალა სახე.

ერთადერთი, ვისაც ჯერ კიდევ არ ესმოდა და არც აინტერესებდა ამქვეყნიური ვნებები, ანდრო იყო. ჯერ ისიც არ იცოდა, გადასარჩენად რომ ჰქონდა საქმე. მიუღებელი, გაუმართლებელი და არასასურველი რომ იყო მისი სიცოცხლე ამ ქვეყნისთვის; არ იცოდა, კონტრაბანდასავით რომ უპირებდნენ მისიანები უკეთეს ქვეყანაში გადაპარებას, ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო, ჯერ კიდევ უხილავი და მოუწყობელი, ქაოსის საშოში ფეთქავდა გაუბედავად და ჯერ კიდევ საკითხავია, შეძლებდა თუ არა დაბადებას. ჯერ არაფერი არ იცოდა. არც აინტერესებდა. ჯერ ყველაზე დიდი საოცრება, ყველაზე საიმედო მიწა, ყველაზე ნათელი ცა, ყველაზე სურნელოვანი ბაღი გვერდით ეწვა და ყურში ჩასჩურჩულებდა: ახლა უნდა დავიძინოთ, კარგ ბიჭებს ამ დროს უკვე სძინავთო. და ისიც ტკბილად, უდარდელად იძინებდა, დედის სურნელით გაჟღენთილი, საკუთარი უვიცობითა და უმწეობით გაბღენძილი, გამედიდურებული. ასე გადიოდა დრო. ხოლო როცა ისევ გაიღვიძა, დედამ აივანზე გაიყვანა, ხელში ატატებული, და უთხრა: აგე, ლიმონი ყვავისო. ისე აფორიაქდა, ისე აბუქნავდა დედის მკლავებზე, თითქოს იცოდა, რა იყო ლიმონი, ანდა რას ნიშნავდა — აყვავება. დედის თითს თვალი გააყოლა და უსასრულო, ხასხასა, მსუყე სიმწვანე დაეძგერა თვალებში, თითქოს აფოფრილი ტალღა ამოვარდა აივანზე, დედაშვილის გასატაცებ-

ლად. შეეშინდა და დედას მოეხვია კისერზე. დედამ გაიცინა და ნიკაპი ძალით მიუტრიალა ბაღისკენ. ბაღში ლიმონის ხე ცეცხლწაკიდებულივით ბუბუნებდა, ნაპერწკლებივით აფრქვევდა სიფრიფანა, გამჭვირვალე ყვავილსა და ოქროსფერ ბუსუსებს; ყვავილი პეპლების ქარავანივით დაფარფატებდა ჰაერში და ნელა, ნაწილნაწილ, თითქოს სულის მოსათქმელად, თითქოს ფრთების დასასვენებლად, ეფინებოდა ბაღის მწვანე ზედაპირზე. ხოლო მეორედ რომ გაიყვანა დედამ აივანზე, იქაურობა თოვლს გადაეთეთრებინა. მარადმწვანე ხეებსაც თეთრი ნარმის შალითები ეცვათ; მაგრამ ჰაერში მოფარფატე ფიფქებმა ისევ ლიმონის ყვავილობა გაახსენა და გაუხარდა, სიამაყით გაებერა გული, უკვე რაღაცა რომ იცოდა, უკვე რაღაცა რომ ახსოვდა, რაც მისთვის კიდევ მრავალ, წარუშლელ მოგონებას უნდა დასდებოდა საფუძვლად და სიკვდილამდე გაჰყოლოდა; თუმცა მაშინ, რა თქმა უნდა, ამდენს ვერ ხვდებოდა; ფეხებზე წითელი თექის ჩექმები ეცვა, ხელებზე — თოვლივით ქათქათა ხელთათმანები (ბებოს მოქსოვილი): ოთხი თითი ცალკე, ერთი — ცალკე; იმიტომ, რომ ის ერთი — თავკერძა იყო: რაკი თქვენზე მსუქანი ვარ, ყველაფერი მეტი მეკუთვნისო, ებუზღუნებოდა ძმებს, მაგრამ ძმებმა შინიდან გამოაბრძანეს: ერთი ვნახოთ, როგორ იცხოვრებ, ან როდემდე გაძლებ უჩვენოთო; და მართლაც, ის თავკერძა თითი სულ იმის ფიქრში იყო, როდის დაუბრუნდებოდა ძმებს; ეხამუშებოდა მარტო ყოფნა და მხოლოდ მაშინ მოისვენებდა ხოლმე, როცა ღუნღულა სიმარტოვეს თავს დააღწევდა. ჩაცუცქულ დედას კალთაში ქუდი, პალტო და ხელთათმანები ეწყო, ახლა თექის ჩექმებს ხდიდა და სიცილით ეუბნებოდა: თხა ხომ არა ხარ, გააჩერე ერთ ადგილას ფეხებიო. მაგრამ ანდროს შიოდა, ვეღარ ითმენდა, მაგიდაზე ჩიტივით დასკუპებული, ჩიტივით ნისკარტა სარძევესკენ გაურბოდა თვალი და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოუყოფდა სარძევე თეთრსა და ორთქლიან ენას. სუფრაზეც უცნაური ჩიტები იყო ამოქარგული (ბებოს ჩიტები), უცნაურად გრძელკისერა, უცნაურად ბოლოგაფოფრილი. ხელზე დაწვეთებულ რძეს დედა კატასავით მადიანად აულოკავდა და პიანინოს მიუჯდე-

ბოდა. გრიალებდა პიანინო. წკრიალებდა ჭურჭელი. თრთოდა, ხტოდა, თახთახებდა პიანინოზე შემოდებული, უშნო, მეჭეჭებიანი ნარინჯი, რომელზედაც ისარგაყრილი გული ამოეჭრა ვიღაცას. ეს იყო პირველი დღე ანდროს ცხოვრებისა და ალბათ ყველაზე ბედნიერიც. ჯადოსნურ ხალიჩაზე იჯდა, ჯადოსნურ სარკეში იყურებოდა, ბალიშის ქვეშ ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა ამოდებული და რასაც ინატრებდა, უსრულდებოდა: უფრო სწორად, იმას ნატრობდა, რაც უკვე ჰქონდა, რადგან სხვა არაფერი არ უნდოდა; ის კი არ იყო მისთვის მთავარი, რაც არ იცოდა, არამედ — რაც იცოდა. რაც სურდა — ჰქონდა და რაც ჰქონდა, ის სურდა მხოლოდ. ვისაც ყოველდღიურად ხედავდა, ის უყვარდა, ის სჭირდებოდა და არავითარი სურვილი არ უჩნდებოდა იმისი ნახვისა, ვინც არასოდეს არ ენახა. კი არ აინტერესებდა, უბრალოდ, ხათრით უჩუმდებოდა დედას, როცა ის თანატოლივით ელაპარაკებოდა და ჭკუასაც ეკითხებოდა ხოლმე: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ორივე რომ დაბრუნდეს, ანდა ის არ დაბრუნდეს, რომელსაც ჩვენ ველოდებით და რომელიც ნამდვილად ჩვენი მამაო. თვითონ არც ერთს არ ელოდებოდა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის, რომელი დაბრუნდებოდა: ნამდვილი თუ ყალბი, თუ ორივე ერთად, ერთი ციხიდან, მეორე ომიდან. ერჩივნა, იქ დარჩენილიყვნენ, სადაც იყვნენ. არც ციხისა გაეგებოდა რამე, არც ომისა; ნამდვილი მამაც ის იყო მისთვის, რაც ყალბი: უცხო, ზედმეტი, დედაში შემცილებელი. არავინ არ უნდოდა, არაფერს არ ნატრობდა, გარდა ერთისა: სულ ასე გვერდით ჰყოლოდა დედა. დედა ბნელში იხდიდა. მაგრამ უჩინარიც ყველაზე ლამაზი იყო. “დედა” — ეძახდა ლოგინში ჩათბუნებული, ლოყის ქვეშ ხელებამოწყობილი, ვითომ მაინც გხედავ, ვითომ ვერსად ვერ დამემალებიო. “ხო. ხო. ხო. აქა ვარ. დაიძინე”, — პასუხობდა დედა სიბნელიდან, მაგრამ დედას ხმაც ისეთი ცხადი, ისეთი ცოცხალი, ისეთი ნამდვილი ჰქონდა, არა მარტო ესმოდა, ხედავდა კიდეც, აყვავებული ლიმონივით მობუბუნეს, სურნელოვანს; კოცნიდა, ეფერებოდა; ცდილობდა — საბნის ქვეშ შეეტყუა, თავისთან ჰყოლოდა, ვიდრე დედა გაიღვიძებდა და მოიკითხავდა. ასეთი ხმა

მხოლოდ დედას ჰქონდა, არც ბებიას, არც ბაბუას, მხოლოდ დედას, და მის სულში ჩაღწეული, მის სულთან შეუღლებული, რაღაც სრულიად ახალ გრძნობას აჩენდა კიდევ: იდუმალს, შემაკრთობელს, ამაფორიაქებელს, მაგრამ აუცილებელს, არა მარტო იმ წუთას, არამედ საერთოდ, სამუდამოდ, რადგან იმ გრძნობის გარეშე (მაშინ, რა თქმა უნდა, ამასაც ვერ ხვდებოდა), ჰაერის თავისუფლად ჩასუნთქვაც გაუჭირდებოდა, ის არ იქნებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო, ის არ ეცოდინებოდა, რაც უნდა სცოდნოდა, იმას არ გააკეთებდა, რისი გაკეთებაც ევალებოდა. დედა ბნელში იხდიდა, მაგრამ მაინც ხედავდა, კეფაზე დაგრაგნილი თმიდან სათითაოდ როგორ იძრობდა რკინის ჩხირებს, როგორ ჩამოეღვრებოდა ხოლმე გათავისუფლებული თმა შიშველ ზურგზე, როგორც თაფლი — ქილაზე, და როგორ მოისვამდა მხრებზე ხელებს, თითქოს ზღვაში აპირებს შესვლასო. მერე ოდნავ, საიდუმლოდ გაიჭრაჭუნებდა დედის საწოლის ბადე და ეს უნებურად თვალებს ხუჭავდა, ვითომ უკვე ეძინა, თითქოს დანაშაული იქნებოდა იმის გამომჟღავნება, რასაც იმ წუთას განიცდიდა. “გძინავს?” — ჩაეკითხებოდა იდაყვზე დაყრდნობილი, მისკენ გადმოხრილი დედა და უცებ ისე აუფრიალდებოდა გული, ისე ამაფორიაქებლად მოუთათუნებდა სახეზე დედის ნაზი, სურნელოვანი ამონასუნთქი, მისთვისაც მოულოდნელად, ლამის ერთმანეთზე მიწებებული ქუთუთოებიდან, მაინც დაუსხლტებოდა ხოლმე გამყიდველი, ბრმად შობილი, მაგრამ ერთბაშად დამამშვიდებელი ცრემლი; ჭიამაიასავით ჩამოაცოცდებოდა ლოყაზე და სასიამოვნოდ დაუსუსხავდა კანს. დედა ერთხელ კიდევ აკოცებდა და მისი ხავერდოვანი ტუჩების თითქოს ფრთხილი, მაგრამ ძირფესვიანად შემარყეველი, თითქოს გაუბედავი, მაგრამ სულის ამომბრუნებელი შეხება მთელ მის გატრუნულ არსებას ერთბაშად ანგრევდა და იმავე წამს კიდევ უფრო მყარად აშენებდა; კლავდა, მაგრამ უფრო დიდ სულს უდგამდა მაშინვე. თვალდახუჭული იწვა სიბნელეში, მაგრამ ამას არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა, რადგან რაც ეკუთვნოდა, იმაზე მეტს მაინც ვერ დაინახავდა, მთლიანად მაინც არ შეიძლებოდა დედის და-

ნახვა, როგორც ჰაერისა, რომლითაც სუნთქავდა, რომლითაც იწმინდებოდა და რომელშიაც თავფეხიანად იყო ჩაკარგული. და ისიც, თავფეხიანად ჩაკარგული დედის სურნელში, ნესტოებით, პირით, კანის ნასვრეტებით, მთელი არსებით იწოვდა მაცოცხლებელ სურნელს; ხედავდა, გრძნობდა, ესმოდა, რადგან მას ეკუთვნოდა, მხოლოდ მას, და არც საბანს, არც ზეწარს, არც ბალიშს უფლება არ ჰქონდა შესცილებოდა, წილში ჩასდგომოდა, დაენარჩუნებინა თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი ამ სურნელისა. თითქოს გული უგრძნობდა, მოსასწრებად რომ ჰქონდა საქმე, ვერაფრით რომ ვეღარ მოიკლავდა მერე თავის დროზე მოუკვლელ შიმშილს; სულ ეშიებოდა, რადგან, ჭკუაში ჩავარდნილს, სუფრა უკვე დიდი ხნის ალაგებული დახვდებოდა, ხოლო მოშიშვლებულ მაგიდაზე საცოდავი ნაფხვენებიღა ეყრებოდა მხოლოდ, რითაც ერთი ბეღურაც ვერ ამოივსებდა ჩიჩახვს. დრო კი გადიოდა, ვერაგულად, დაუნდობლად, შეუპოვრად, და დღითი დღე იმასაც უფრო მეტად აღიზიანებდა მამის (თუ მამების?) არსებობა; ვერც მამას (მით უფრო — მამებს) ჩაიზიარებდა დედის სურნელში, როგორც არ უნდა დაერწმუნებინა დედას, მათი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ იმის (იმათ) დაბრუნებაზე რომ იყო დამოკიდებული, რადგან თვითონ მეტოქის მეტს ვერაფერს ხედავდა მამასა თუ მამებში, და არავითარი გრძნობა არ ჰქონდა, გარდა სიცარიელისა, რომლის არსებობაც უმალ ბუნების კანონს არღვევდა, ვიდრე მის ბედნიერებას. მამის ცნება მისთვის ყოველთვის იდუმალი, შორეული, მიუღწეველი დარჩებოდა, რადგან გაშინაურება, დაახლოება, მიწვდენა იმისა, რამაც შეგქმნა, ყოვლად შეუძლებელია, თუკი იქამდე არ იხილე და არ იგრძენი იგი, ვიდრე ფიქრს დაიწყებ იმაზე, ვიდრე საერთოდ დაიწყებ ფიქრს. ამასაც მერე მიხვდებოდა ანდრო, მერე მიხვდებოდა, როცა დედასაც დაკარგავდა; მერე მიხვდებოდა, როცა დედის დაკარგვით მამას დაიბრუნებდა: ერთადერთს, ნამდვილს, შეუცვლელს, აუცილებელს; როცა შემაძრწუნებლად იგრძნობდა, ვალდებული რომ იყო ეცოცხლა, ერთადერთი დამამკვიდრებელი რომ იყო დედმამისა ამ ქვეყანაზე, ერთადერთი გამმარ-

თლებელი იმათი ცხოვრებისა, რაც არ უნდა უკანონოდ შობილი ყოფილიყო თავად; მერე მიხვდებოდა, როცა ენით უთქმელი შვებითა და ტკივილით, ერთადერთ სახლად აღიქვამდა საკუთარ არსებას, სადაც მის მშობლებს ერთად ყოფნა შეეძლებოდათ, სადაც ყველაზე წმინდა კავშირით შეეუღლებოდნენ ერთმანეთს, რადგან თვითონვე გადასწერდა იმათ ჯვარს, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე, უკვე ჩაწვდენილი სიბრძნეს სიცრუისას, სიმარტივეს სირთულისას, სიტკბოს სიმწარისას, სინათლეს სიბნელისას; უკვე მიხვედრილი, მისთვის განკუთვნილი დროის ციფერბლატზე ისრებივით სულ ერთ ადგილზე რომ იქნებოდნენ გალურსული მისი მშობლების აჩრდილები, ვიდრე ბავშვური მრისხანებით, ბავშვური ეჭვითა და უნდობლობით სავსე თვალებს არ მოაშორებდა იმათ, უფრო სწორად, ვიდრე საბოლოოდ არ აეხილებოდა, არა იმათი სახის, არამედ იმათი სულის დასანახი თვალი; კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე იმათი ბედი შეძრავდა და არა საკუთარი სიობლე. მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო იქამდე. ერ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. პორტი და სადგური ჯარისკაცებითა და ლტოლვილებით იყო სავსე. ბათუმი ზანზარებდა, დგანდგარებდა. ზღვაში გერმანული წყალქვეშა ნავები დაძრწოდნენ. ხან სად გამოირიყებოდა და ხან სად ჩაძირული გემის ნარჩენები. რესტორნებში კი მუსიკა ქუხდა. კისკისებდნენ დაპეპლილი ქათმებივით გაჩეჩილი, სახეწამოჭარხლებული ქალები. კაცები ძაბრით ისხამდნენ პირში ღვინოს, გასისინებულ მუცლებზე ხელებს იტყაპუნებდნენ და მერე, საკუთარ ნარწყევში თავჩარგულნი, მკვდრებივით იძინებდნენ. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. “ჩამიმატე ცხელი წყალი, დარია, გამეთოშა ფეხებიო” — იძახდა შარვალდაკაპიწებული, ტაშტში ფეხებჩაყრილი დიმიტრი. “გეყოფა, ადამიანო, ჩაი უნდა დავალევინო ბავშვებსო” — პასუხობდა დარია. ხოლო ბავშვები — ნატო და ანდრო — თავიანთ ოთახში იყვნენ შეკეტილნი, ერთმანეთს სულში უძვრებოდნენ და არაფერი არ უნდოდათ, თუკი საერთოდ გაანებებდათ ქვეყანა თავს. გელასი არაფერი არ ისმოდა, არც მისი შემცვლელი ჩანდა, და ნატოს იმედი ჰქონდა, ისევე რომ შეიძლებო-

და, არ დაბრუნებულიყო საბა ლაფაჩი, როგორც გელა. არც ერთის დაბრუნება არ უნდოდა, რადგან ორივესი ერთნაირად რცხვენოდა: ერთისთვის მამობა წაერთმია, მეორისთვის კი, ძალით დაეკისრებინა. ამიტომ, თავისთავად, ერთ არსებად ქცეულიყვნენ ისინი, რამდენადაც ერთზე ფიქრი, ძალაუნებურად, მეორეზე ფიქრსაც ავალდებულებდა და ისიც ერთნაირად იტანჯებოდა, ერთნაირად შფოთავდა, როგორც წარმოდგენილი გელასი, ისევე წარმოდგენილი საბა ლაფაჩის წინაშე. მართალია, ერთთან გულით იყო დაკავშირებული, მეორესთან კი — გონებით, მაგრამ გრძნობაცა და აზრიც სინდისის ქენჯნას უჩენდა მხოლოდ, როგორც ერთის, ისევე მეორის მიმართ; ორივესთან დამნაშავედ თვლიდა თავს, რადგან უკვე ანგარება ედო საფუძვლად მის გრძნობასაც და აზრსაც, ანგარება წარმართავდა, და ამიტომ, ძველი გულწრფელობისა, ძველი სიმტკიცისა ნასახიც აღარ შერჩენოდა. ერთსაც და მეორესაც ერთი და იმავე სიტყვებით უფიცავდა, სხვა გზა არ მქონდა, იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავიო. ორივესთან თავის მართლება სჭირდებოდა და ორივე ერთნაირად აღიზიანებდა, რადგან ფიქრშიც არ დაუშვებდა, სწორედ იმათთან თუ დასჭირდებოდა თავის მართლება; ყველაზე ნაკლებად იმათგან ელოდებოდა განსჯას, რამდენადაც ერთი უყვარდა, მეორესთან კი, საერთოდ არაფერი აკავშირებდა, ჩვეულებრივი თავაზიანობის მეტი. მაგრამ იმათი დარწმუნება კი არ იყო მთავარი, არამედ საკუთარი თავისა; საკუთარი თავის წინაშე ცდილობდა, ისევე გაემართლებინა პოლიცმეისტერის კაბინეტში მოულოდნელად დაბადებული განზრახვა, როგორც ადრე, ჩახუთულსა და მტვრიან სხვენში, არანაკლებ მოულოდნელად დაბადებულ გრძნობას ამართლებდა. მაგრამ განსხვავება მაინც არსებობდა მათ შორის, რაც, თავისთავად, არჩევანის აუცილებლობასაც ნიშნავდა. გრძნობა მოწყალების გაღებას ავალდებულებდა, ხოლო განზრახვა — მოწყალების მიღებას; გრძნობას თავად დასდგომოდა მსახურად, განზრახვა კი იძულება იყო, ცხოვრებისგან თავსმოხვეული; გრძნობა ოცნების არარსებულ გზაზე დაატარებდა, განზრახვა კი გამოსავალი იყო, არა

მარტო ფუჭი, გამაბითურებელი ოცნებიდან, არამედ გაუთავებელი შიშისა და გაურკვევლობის ბურუსიდანაც, რაც მთავარია, შეურაცხყოფისა და დამცირების იმ მტანჯველი შეგრძნებიდანაც, ყულფივით რომ ჩამოაცვა კისერზე ქალბატონმა ელენემ. თუ ვინმე სძულდა, ქალბატონი ელენე სძულდა, ხოლო მისი სიძულვილი საბა ლაფაჩისა და გელას მიმართ, თავისი სიმარტოვის გამო, სიძულვილად არც ჩაითვლებოდა, სიბრაზისა და უმწეობის ნაშიერი, მეურმის სიძულვილს ჰგავდა, გამეტებით რომ სცემს, უკანასკნელი სიტყვებით რომ აგინებს მარჩენალ ხარებს და, იმავე დროს, მხოლოდ მათი მეშვეობით აპირებს ტალახიდან ურმის ამოთრევას. ასე რომ, ეტყობა, არჩევანი უფრო ადრე ჰქონდა ნატოს გაკეთებული, ვიდრე პოლიციაში დაიბარებდნენ; ყოველ შემთხვევაში, ქვეცნობიერად უკვე მზად იყო ამგვარი ნაბიჯის გადასადგმელად, რადგან საამისოდ სხვა, შიშზე არანაკლებ ძლიერი მიზეზიც გააჩნდა: ქალური პატივმოყვარეობა და შურისძიების სურვილი. პოლიციასთან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ ქალბატონ ელენესთან, რადგან პოლიცია, ბოლოს და ბოლოს, ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, ის გააკეთა, რისი გაკეთებაც ევალებოდა, ხოლო ქალბატონი ელენეს გულგრილობასა და სიმკაცრეს არავითარი გამართლება არ ჰქონდა, თუ არა პირადი შური და სიძულვილი. ეს აბნევდა ყველაზე მეტად ნატოს, ეს ხეთქავდა გულზე და ეს ვერ მოენელებინა, თუმცა ქალბატონი ელენეს გულგრილობა და სიმკაცრე, გარკვეული თვალსაზრისით, ბიძგსაც აძლევდა, უარესად აღაგზნებდა საბრძოლველად და, რაც მთავარია, პოლიციაში, წამიერი გამოთიშვის ჟამს მიღებული გადაწყვეტილების სისწორეშიც არწმუნებდა. იმისი ჯიბრით ეჩურჩულებოდა ჯერ კიდევ უგნურ შვილს: სწორად მოვიქეცით, ვისაც ჩვენ არ ვუნდივართ, ჩვენ რატომ უნდა დავაგლიჯოთ კალთებიო. სხვათა შორის, თეატრში ჩაფლავებული სტუმრობის შემდეგ, ნატომ ერთხელ კიდევ სცადა უკარება დედამთილის გულის მოგება, ერთხელ კიდევ სცადა იმის ქვადქცეული სიჯიუტის გატეხვა, ერთხელ კიდევ მიაფურთხა ეშმაკს და, ამჯერად, შვილიანად ეახლა შინ. ეგონა, შვილიშვილის დანახვა მაინც შეს-

ძრავდა, დაანამუსებდა, მიახვედრებდა თავის უსამართლობას, ნატოსაც გულში ჩაიხუტებდა და ეტყოდა: რა გაეწყობა, რაკი მაინც შენი გაიტანე, ახლა უფრო მაგრად ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი და ერთად დაველოდოთ გელასო. მაგრამ ქალბატონ ელენეს წარბიც არ შეუხრია, პირგამეხებული იჯდა, სკამიდანაც არ წამომდგარა, თითქოს მევალეები დასდგომოდნენ თავზე. მხოლოდ იმას ელოდებოდა, როდის მოიფიქრებდნენ წასვლას მისი ძალადმაცხონე სტუმრები. ნატომ კი, აღარ იცოდა, როგორ მოეგო იმისი უგრძნობი, უსისხლო გული. ნახე, რა ლამაზი კატაა, ნახე, რა ლამაზი საათია, ნახე, რა ლამაზი ჭიქებიაო — აღტაცებული ეტიტინებოდა აჩხავლებულ ანდროს და ოთახში დაატარებდა, თითქოს აქაურობის დასათვალიერებლად მოეყვანა მხოლოდ და არა სამათხოვროდ, როგორც ბოშა ქალს, ცალ ძუძუსაც რომ მოიშიშვლებს ხოლმე განგებ, რათა კიდევ უფრო თვალნათელი, უტყუარი გახადოს თავისი დედობა და მეტი გამოსცანცლოს მწყალობელს. რამდენადაც ბავშვიან ქალს მეტი სჭირდება, ბავშვიანი ქალის უარით გასტუმრება ცოდვად ითვლება, სირცხვილია, უსინდისობაა, და როგორც არ უნდა გეძნელებოდეს, მაინც უნდა დაძლიო შენი სიწუწკე და მაინც უნდა გაიღო მოწყალება, თუნდაც სხვების დასანახად, აი, როგორი კეთილი, როგორი ღვთისნიერი ვარო. ანდროს კი ჯერ არაფერი გაეგებოდა, არც კატისა, არც საათისა და არც ჭიქებისა; რა თქმა უნდა, არც ის იცოდა, საზარელი, დაუნდობელი ორთაბრძოლის მოწმე რომ იყო, ერთსა და იმავე კაცში შეყვარებული, მაგრამ ამ სიყვარულით სხვადასხვანაირად გაუბედურებული ორი ქალის ორთაბრძოლისა, რომელიც არასოდეს დამთავრდებოდა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, სიცარიელე, გაუთავებელი სიცარიელე, გაუთავებელი არაფერი იქნებოდა მისი ბოლო, რადგან გაუთავებელი არაფერი იყო ისიც, რისი გულისთვისაც იბრძოდნენ, და იმიტომ იბრძოდნენ, თავადაც რომ არ ეღიარებინათ ეს, რადგან ვიდრე იბრძოდნენ, გარკვეული თვალსაზრისით, ისიც ინარჩუნებდა არსებობის უფლებას, ისიც, გაუთავებელი სიცარიელე, გაუთავებელი არაფერი, ერთის შვილი და მეორის ქმარი, ორი ქა-

ლის სამუდამოდ დამაკავშირებელი ცოდვა, საერთო, მაგრამ, ამავე დროს, განუყოფელი, რადგან იმისი გაყოფა იმისი სიკვდილის აღიარებაც იქნებოდა, იმის სიკვდილთან შეგუება, რასაც არც ერთი არ დაუშვებდა, თუნდაც იმიტომ, არარსებულისკენ, იდუმალისკენ ლტოლვის ჟინს უკვე აუცილებელი რომ გაეხადა ისინი ერთმანეთისთვის, უფრო სწორად, თავის მოსატყუებლად სჭირდებოდათ ერთმანეთი, უპირველეს ყოვლისა, და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი ურთიერთობა ექნებოდათ ერთმანეთში: დედაშვილური, რძალდედამთილური თუ დანასისხლური, რამდენადაც ნებისმიერი ურთიერთობა თანაბრად ვარგოდა, არსებულის ნიღაბი რომ აეფარებინათ არარსებულისთვის, ერთს დედობის უფლება შეენარჩუნებინა, მეორეს კი ცოლობისა. ქალბატონი ელენე კოპებშეკრული იჯდა მაგიდასთან: ერთი ხელი კალთაში ჩაედო, მეორე მაგიდაზე დაესვენებინა. ნატო კი ლამის ყირაზე დამდგარიყო ამ პირქუში ქალის წინ, ლაქუცა ფინიასავით ექიცინებინა კუდი, ოღონდ იმას, ერთი წამით, ზრდილობისთვის მაინც გაეხსნა შუბლი; ერთხელ მაინც აეყვანა ხელში ანდრო, თუნდაც როგორც მეზობლის ბავშვი და არა როგორც საკუთარი შვილიშვილი; ცალი ყბით მაინც დაემშვიდებინა ნატო; რაიმეთი, რამენაირად მაინც გამოეხატა თავისი მხარდაჭერა, თანაგრძნობა, არა როგორც რძლის, არამედ როგორც მეორე ქალის მიმართ, მაგრამ, ქალბატონი ელენე ამის ღირსადაც არ თვლიდა ნატოს, რადგან საკუთარი უბედურებაც ჰყოფნიდა, საკუთარი უბედურებით ისე იყო გაამაყებული, ისე ავარდნოდა თავში, არც არაფრის დანახვა უნდოდა, არც არაფრის გაგონება. ნატო ჯერ კიდევ ერეოდა თავს, მაგრამ უკვე აღარ იცოდა, როგორ მოიქცეოდა მეორე წუთას, ისევ კუდის ქიცინსა და თვალთმაქცობას გააგრძელებდა, თუ ფრჩხილებით ჩააფრინდებოდა თავკერძა მეტოქეს, პირში მიახლიდა, რასაც იმაზე ფიქრობდა, რასაც ის იმსახურებდა, სისასტიკეში გადაზრდილი სამართლიანობითა და ბოროტებაში გადაზრდილი გულგრილობით. შავი კატაც მკვდარივით ეგდო ტახტზე. ერთი არ განძრეულა. თვალი არ გაუხელია. თითქოს იმასაც ფეხებზე ეკიდა ან-

დროს ჩხავილი და ნატოს გაწამაწია. ნატოს უნდოდა, კატა გადმოეგდო ტახტიდან, რამე გაეტეხა, მაგრამ შვილი აკავებდა, როგორც ცხენს — აღვირი, ანდა არსებობდა კიდევ რაღაც უხილავი ძალა, რომელსაც მისი შეკავება შეეძლო იმ წუთას, კიდევ არსებობდა რაღაც, ასევე უხილავი ჯებირი, სიყვარულსა და მოკრძალებაზე უფრო ძნელად გადასალახავი. და უცებ, თვითონაც რომ არ ელოდებოდა, თავზარდამცემი სიცხადით იგრძნო — ეს ჯებირი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი უპირატესობა იყო და მეტი არაფერი. "იმის მაგივრად, რომ... იმის მაგივრად, რომ..." — ამოილუღლუღა ნირწამხდარმა, რადგან იმასაც მიხვდა მაშინვე, თვითონ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე მისი მეტოქე: არარსებულს მისთვის შვილი დაეტოვებინა, მეტოქისთვის კი — ფუყე, უაზრო, უიმედო მოლოდინი. ახლა თავისმა უმადურობამ და სიხარბემ შეაწუხა, მაგრამ ამ ორმა უაღრესად ადამიანურმა გრძნობამ კი არ შეუსუსტა, კიდევ უფრო გაუძლიერა უპირატესობის შეგრძნება, რადგან სიყვარულის მთელი ავანჩავანიც მხოლოდ იმ წუთას გახდა მისთვის ნათელი; იქამდე, თურმე, საერთოდ არაფერი გაეგებოდა სიყვარულისა, ანდა იმდენივე გაეგებოდა, რამდენიც სხვებს, რომლებსაც არაფერი ესაქმებოდათ მის სიყვარულთან; ეს კი, სწორედ იმ სხვების გულის მოსაგებად ირჯებოდა იქამდე; ის ადარდებდა, რაზედაც უნდა გასცინებოდა მხოლოდ, რადგან მიტოვებული კი არ იყო თურმე, არამედ საქმისთვის დატოვებული, მშრომელივით განმარტოებული; სიყვარულის თაკარა მზის ქვეშ, სიყვარულის უკაცურ მინდორზე სიყვარულის პური მოჰყავდა თურმე, შეიძლება ცოტა, ერთი პეშვი, მაგრამ მაინც საკმარისი, სხვებს, მასზე უბედურებს, უსიყვარულოდ დარჩენილებს, სიყვარულზე ეფიქრათ, თუნდაც შურით, ღვარძლით, უსამართლოდ, ოღონდ არ დავიწყებოდათ მისი არსებობა, ყოველთვის თვალში ჰყოლოდათ გაჩხერილი მარტოხელა მუშაკი, რომელსაც ჯიუტად, ოფლითა და ტანჯვით მოჰყავდა ერთი პეშვი ხორბალი გრძნობისა, რომლისაც აღარაფერი გაეგებოდათ, მაგრამ იმ ხორბლისგან გამომცხვარი პურით მოწამლულთა ცქერა მაინც აღიზიანებდათ, მაინც

ანიჭებდათ გარკვეულ სიამოვნებას, ცვედანთათვის განკუთვნილს, და ამიტომაც, სათაკილოს, ღრმად, საიმედოდ შენიღბულს შავი პირბადითა და ბებრული გულგრილობით. აი, რისი მპყრობელი იყო თურმე ნატო და არ იცოდა; უსაფუძვლო, უსაფუძვლო კი არა, დასაცინი, დასაგმობი ეჭვით, შიშითა და სირცხვილით გაჩენილი ბავშვის სიცოცხლე ეკიდა კისერზე, როგორც ძროხას ეჟვანი, პატრონს არ დავეკარგოო, სხვა ძროხებში არ ავერიოო, დროზე გამომხედოს, დროზე გამიღოს ჭიშკარიო — როცა, თურმე, სიყვარულს ჰყავდა თავის ხატად, თავის მუშაკად არჩეული, სიყვარულს, რომელიც სხვათა აღიარების შემდეგ, ქალისა და კაცის ჩვეულებრივ, ბუნებრივ ურთიერთობად, ხორციელ კავშირად იქცევა მხოლოდ, მაგრამ უარყოფილი, ღვთაებასავით მიუღწეველი, ხელშეუხებელი, შესაშური და სანატრელი რჩება ბოლომდე, იმავე უარმყოფელის თვალში. მაგრამ ამას რომ მიხვედრილიყო ნატო, მთლიანად რომ ეგრძნო იგი — მტკივნეული, მტანჯველი, სულის შემხუთავი, გულის გამტყავებელი და, ამავე დროს, ენით უთქმელი ნეტარების, შვების, სიმშვიდისა და სიამაყის აღმძვრელი გრძნობა — საამისოდ უფრო მეტი იყო საჭირო, ვიდრე იქამდე განეცადა, ვიდრე პირველი გაბედვა, მოულოდნელად დაძლეული სიმორცხვე და საკუთარი სიშიშვლით მოგვრილი, წამიერი, სასიამოვნოდ შემაშფოთებელი გაოცებაა. ეს რომ გაეგო, ამას რომ ჩაწვდენოდა ნატო, გელა უნდა გამქრალიყო საერთოდ და თავადაც უნდა მომკვდარიყო გელას ოთახში, გელას დედის თვალწინ, რადგან იმ ნატოს, რომელიც ამდენს ვერ ხვდებოდა, არც სიცოცხლის უფლება ჰქონდა. სამაგიეროდ, იმავე ოთახში, იმავე ქალის თვალწინ, ახალი ნატო უნდა დაბადებულიყო, კი არ დაბადებულიყო, გელას გამჩენს, სიკვდილით ჩაშავებულსა და სიკვდილივით უხორცო ქალს უნდა შეექმნა, შეეკოწიწებინა ახალი ნატო, ოთახის ბინდით, გვერდამოჭმული ჭიქით, შავი კატითა და, რაც მთავარია, საკუთარი სიგიჟით, სისასტიკით, სიმარტოვითა და სიბეჩავით; სულელი, გულუბრყვილო, სხვების ხელის შემყურე გოგო თავისნაირ ურჩხულად უნდა ექცია, ოღონდ ცოტა უარესად, უფრო ძლიერად, უფრო

სიცოცხლისუნარიანად, რადგან თავად აღარაფერი გააჩნდა სიყვარულის სამსხვერპლოზე მისატანი, მისი შვილის დანატოვარიც სხვას ეჭირა ხელში და არა თავად; რაღაცა შეშლოდა, რაღაცა ვერ მოეზომა და იმიტომაც იჯდა ახლა ასე დაბღვერილი, ასე პირგამეხებული, ასე გაბითურებული. არა, აქ აღარაფერი ესაქმებოდა ნატოს; პირიქით, რაც დროზე გააღწევდა აქედან, ის აჯობებდა მისთვისაც და მისი შვილისთვისაც. მის უბედურებასთან შედარებით, სალაპარაკოდაც არ ღირდა ქალბატონი ელენეს დახავსებული უბედურება, თუნდაც იმიტომ, აღარაფერი რომ მიემატებოდა იმის უბედურებას, როცა ნატოსი ჯერ მხოლოდ იწყებოდა. უცებ საათმაამურმა მხიარული მელოდიის ნაგლეჯი დაიწკრიალა და ნატომ გულიანად გადაიკისკისა, თითქოს მისი და მისი შვილის გასართობად, მათ გასაოცებლად წკრიალებდა მასპინძლის საათი. “ნახე, ნახე, როგორ უკრავს, — უთხრა ანდროს. — ლა, ლა, ლა, ლა. — აჰყვა საათს. — გაჩუმდი! — უყვირა უცებ, თითქოს ანდროს ტირილი აფუჭებდა საქმეს, თითქოს ასე რომ ჩხაოდა, იმიტომ არ მოსწონდა იგი ბებიამისს, თითქოს კიდევ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, აღიარებდა თუ არა მის შვილს ქალბატონი ელენე. — მართლა ცუდი ბიჭი კი არა, ვარ, ბებო, ალბათ ჩავისვარე და იმიტომ ვტირი. ხო, წავალთ, წავალთ... აქ კი არ დაგტოვებ. — გააგრძელა ჩვეულებრივი ხმით და გაღიმებულმა გამოხედა ქალბატონ ელენეს, როგორც ნებისმიერ ქალს გამოხედავდა იმ წუთას, ყოველგვარი შეფარული განზრახვის გარეშე, უბრალოდ, როგორც “დედის” ენის მცოდნეს და ამდენად, მისიანს, მხოლოდ და მხოლოდ ერთნაირი ბუნების გამო. — გაჩუმდი. გაჩუმდი! — იყვირა ისევ და თვალები ცრემლით აევსო, გული აუჩუყდა რატომღაც, რაღაც იდუმალი, გაურკვეველი სინანული დაეუფლა მოულოდნელად. — გაჩუმდი, თორემ კატას მივუგდებ შენს თავს, აგე, როგორი ჭკვიანი ფისუნია ჰყავს ქალბატონ ელენეს. ფისო, ფისო!” — დაიძახა ათრთოლებული, ცრემლნარევი ხმით. “ნატო!” — ამოიხრიალა ქალბატონმა ელენემ. “გაანებეთ ნატოს თავი, ყველამ გაანებეთ!..” — შეუღრინა ნატომ და საკუთარი საქციელით შემცბარი, შერცხვენილი, გამოვარდა ოთახი-

დან, აჩხავლებულ შვილთან ერთად. იმის მერე ნატო აღარ მისულა ქალბატონ ელენესთან. არც ის გაუგებინებია, პოლიციაში რომ დაიბარეს და, რაღა თქმა უნდა, არც ის, თავად ნატომ რომ გაათავისუფლა იგი ბებიობის მოვალეობისგან, თუმცა თავს ძლივს ერეოდა, ენა ექავებოდა, სული მისდიოდა, ისე უნდოდა ამის თქმა, ისე უნდოდა ენახა, რა სახე დაედებოდა ქალბატონ ელენეს, როცა ვითომ სხვათა შორის, აგდებულად ეტყოდა: შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, რადგან პოლიციამ უკვე გაარკვია, თქვენი შვილიშვილი თქვენი შვილიშვილი რომ არ არის და, ამიტომაც, ცხადია, თქვენც აღარ ბრძანდებით თქვენი შვილიშვილის ბებიაო. მაგრამ თავს თუ იკავებდა, თუ უძალიანდებოდა ამ მართლაც ძნელად დასაოკებელ ცდუნებას, მხოლოდ იმიტომ, არაფერი რომ უმაგრებდა ზურგს, გარდა საკუთარი, ბრმად შობილი, გიჟური განზრახვისა, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ისევ მას დასტყდომოდა თავზე, კახპობასთან ერთად, გამომძალველობაც დაებრალებინა, რადგან არავითარი საფუძველი არ გააჩნდა საიმისოდ, გულდამშვიდებული ყოფილიყო, საბა ლაფაჩიც სიტყვაზე რომ დაუჯერებდა იმას, რაც პოლიციამ დაუჯერა. დაუჯერა? მართალია, აღარ დაუბარებიათ, თავი გაანებეს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ისინიც საბა ლაფაჩის დაბრუნებას რომ ელოდებოდნენ, რადგან მხოლოდ მისგან შეიტყობდნენ სიმართლეს, ანუ მხოლოდ მისი მეშვეობით ამხელდნენ სიყალბეს, რის მერეც გაცილებით ძნელი დასადგენი გახდებოდა ანდროს ჭეშმარიტი ვინაობა, არა მარტო პოლიციისთვის, არამედ ქალბატონი ელენესთვისაც; ხოლო ქალბატონი ელენე ერთხელ მაინც თუ დაუშვებდა, ანდრო არ ყოფილა ჩემი შვილიშვილიო, მაშინ ნატო უპირატესობის შეგრძნებასაც დაკარგავდა, რადგან საერთოდ აღარ ექნებოდა იმასთან ბრძოლას აზრი, იმისი აღიარებაც გაუფასურდებოდა და იმისი უარყოფაც. აქედან გამომდინარე, ისევ ნატო დარჩებოდა გაბითურებული. მისი განზრახვა, ჯერჯერობით, არაფერს ნიშნავდა, მთავარია, როგორ შეხედავდა საბა ლაფაჩი მის განზრახვას. ასე რომ, უნდოდა თუ არ უნდოდა, ხვდებო-

და თუ ვერ ხვდებოდა, ნატოს არჩევანი თავისთავად იხრებოდა საბა ლაფაჩისკენ და ნატოც სიყვარულის გზიდან, თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, ვერაგობის გზაზე გადადიოდა, რომელიც ქარაფშუტა, გრძნობას აყოლილი გოგოებისთვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ ცხოვრებისგან გამოქექილი, ჭკუადამჯდარი ქალბატონებისთვის. უფრო სწორად, ქარაფშუტა გოგოს გარდაქმნაც შეუძლია ჭკუადამჯდარ ქალბატონად. დიახ, ქალბატონად! თუკი ნატოს უნდოდა, ქალბატონ ელენესავით თავაწეულს ევლო, თუკი უნდოდა, ქალბატონ ელენესთან ანგარიში გაესწორებინა, როგორც თანატოლსა და თანასწორს, სხვა გზა არ არსებობდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა: რაც გელას დასცანცლა, საბა ლაფაჩისთვის უნდა მიესაღებინა, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებდა მეუღლისა და დედის სახელს, პატივსა და ღირსებას. სიყვარული ის უპირატესობა იყო მხოლოდ, რომლითაც საკუთარ თვალში შეეძლო ამაღლება. ამას ალბათ ქალბატონი ელენეც ხვდებოდა და იმიტომაც ტოვებდა სიყვარულის ამარა, იმიტომაც არ აღიარებდა იმის დედობას, იმის მეუღლეობას, რათა ყოველთვის ნატოზე მაღლა მდგარიყო სხვათა თვალში, სხვათა და სხვათა, რომლებიც სახელსა და წოდებას სცემენ თაყვანს და არა გრძნობას, თავისი სითამამითა და მოურიდებლობით ეჭვსა და უნდობლობას რომ ბადებს, როგორც ბოშა მკითხავი, რომელსაც ერთ ხელს კი უწვდიან სამარჩიელოდ, მაგრამ მეორეს ჯიბეში იდებენ, ფული არ ამოგვაცალოსო; ეშინიათ ფეხშიშველი, თავშიშველი ჯადოქრისა თუ ღვთაებისა, გაჯადოქრებული ღვთაებისა — ყველა ტაძრიდან გამოდევნილი, კვარცხლბეკზე დგომას გადაჩვეული, წელშეზნექილი, ძუძუმოშიშვლებული, გამომწვევად რომ მოირწევა ქუჩაში და ამაყად მოჰყავს ატატებული, ლეკვივით ბინძური და მოუსვენარი ბავშვი, თავისუფლების საბუთი, უიდუმალესი, უწმინდესი, უუმანკოესი ჩასახვის სიმბოლო, ყველაზე დიდებული დროშა, ღერბი, ჰიმნი... მაგრამ ნატოს თავისუფლების საბუთი უფრო ადრე მოეპოვებინა, ვიდრე თავისუფლება. ასე რომ, საბუთიც ყალბი იყო. არა, პირიქით, საბუთიც სასწრაფოდ უნდა გაეყალბებინა, საბუთის

ძალა რომ შეეძინა იმას. ვიდრე არ გააყალბებდა, ვერც გამოაჩენდა, რადგან უმალ სხვათა პატიოსნებისა, წესიერებისა და თავისუფლების აბუჩად აგდებას დასწამებდნენ და, შეიძლება, ჩაექოლათ კიდეც, საბუთიანად. გარდა ამისა, ქალბატონ ელენესავით თავაწეული სიარულის ნებასაც მხოლოდ თავისუფლების დათრგუნვა მისცემდა და არა თავისუფლების აყოლა. ბოშა მკითხავი კი არ იყო მაგალითი, არამედ ქალბატონი ელენე. ამიტომ, საბა ლაფაჩის მეშვეობით, იმასაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოერეცხა თავხედი, უზრდელი, უსირცხვილო სიყვარულის ლაქა და პირში კი არ ჩავარდნოდა, ხახამშრალი დაეტოვებინა მისი დაკნინების, მისი მოსპობის მოწადინე ხალხი. ბრძოლა აუცილებლად შეკვდომას ხომ არ ნიშნავს? კი მაგრამ, ვის უნდა შეკვდომოდა და ვისი გულისთვის? გულგრილობას — მოსეირეთა გასახარად? სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სირცხვილი იქნებოდა, სირცხვილი; სიბრალულის ღირსადაც არ ჩათვლიდა არავინ, დაცინვით კი, ყველანი დასცინოდნენ. ტყუილად კი არ ამბობს მამამისი, კაცობრიობამ ამოწურა თავისი თავიო, დაისი დაუდგა და ახლა კეთილშობილებისა და პატიოსნების იმედზე ყოფნა იგივეა, ქვის ცულითა და მშვილდისრით გამოხვიდე ტყვიამფრქვევის, ზარბაზნისა და ტანკის წინააღმდეგო. ახლა ის იმარჯვებს, ვინც უკეთესადაა შეიარაღებული, ვინც უფრო დაუნდობელია. ანგარიშის გასაწევი და სათვალავში ჩასაგდები მხოლოდ ისაა, ვინც მეორე ლოყასაც კი არ უშვერს შეურაცხმყოფელს, არამედ თვალის წილ თვალს მოითხოვს და კბილის წილ კბილს. ასე იმართლებდა ნატო თავს — უსასრულოდ, უსინდისოდ — როგორც წარმოდგენილი "ქმრების", ისევე საკუთარი გრძნობისა და ამ გრძნობის ნაყოფის წინაშე. მაგრამ შუაღამისას, მოულოდნელად გამოღვიძებული, საწოლში წამომჯდარი, მონუსხულივით შესცქეროდა სარკმელს, საიდანაც ზანტად, მდორედ იღვრებოდა გამდნარი მთვარის თბილი ნაკადი და ოქროსფერი ზვირთებიდან პირველყოფილი სიცხოველით ხელახლა იბადებოდა ყველაფერი, რაც მკვდარი ეგონა, რასაც მკვდრად თვლიდა, ანდა უნდოდა, მკვდარი ყოფილიყო. თუმცა, ეს ღამეული გამოფხიზლებები

სრულიადაც არ იყო საკმარისი, თავი დაეღწია განზრახვის ტყვეობიდან. საამისოდ არც ის კმაროდა, არაფერი რომ აკავშირებდა საბა ლაფაჩთან, გარდა მისივე გამოგონილი, თითიდან გამოწოვილი, გულუბრყვილო, სულელური, თავხედური განზრახვისა, რომლის შესახებაც თავად საბა ლაფაჩმა ჯერ არაფერი იცოდა (ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ნატოს), ჯერ ისიც საკითხავია, საბა ლაფაჩიც ნატოს მხსნელად ჩათვლიდა თავს, თუ ბრმა იარაღად, რომლითაც ვიღაცები თავიანთი ქვენა ზრახვების განხორციელებას აპირებდნენ. მაგრამ ეს კი არ აწუხებდა ნატოს, იარაღის არსებობა აფორიაქებდა, აღელვებდა, აგიჟებდა, და იმასღა ცდილობდა, როგორ დაესწრო პოლიციისთვის, პოლიციაზე ადრე როგორ ჩაეგდო ის იარაღი ხელში, თუკი, რასაკვირველია, საბა ლაფაჩი მშვიდობიანად დაბრუნდებოდა ომიდან. ვერც შეამჩნია, როგორ ექცა ჩვეულებად საბა ლაფაჩის სახლის წინ დგომა. სატვირთო სადგურში წივილკივილით დაქროდნენ ორთქლმავლები. მეისრეები წითელყვითელი ბაიარაღების ფრიალით გადარბოდნენ და გადმორბოდნენ ლიანდაგებზე. დუქნიდან მთვრალების ღრიანცელი და სიმღერა გამოდიოდა. ხან ვიღაცა დაუტატანებდა, რა გინდა, რას უდგეხარ აქაო, ხან კედელთან მიმდგარი მთვრალი დაუქნევდა ხოლმე ხელს, მოდი, რა გაჩვენოო. ის კი, სუნთქვაშეკრული შესცქეროდა საბა ლაფაჩის ოთახის სარკმელს, ვიდრე ერთხელ კიდევ არ დარწმუნდებოდა, სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ არის იმ სარკმლის მიღმაო. იდგა და, ძალაუნებურად, დუქნიდან გამოსულ სიმღერას იმეორებდა გუნებაში, შიშისა და სიმორცხვის დასაძლევად, ყურადღება რომ არ მიექცია ათასი ვიგინდარისთვის, ყველა ერთნაირად ვალდებულად რომ თვლიდა თავს, გაჩერებულიყო, გამოლაპარაკებოდა, გაერკვია, რატომ იდგა აქ, ვის ელოდებოდა, დუქანში ხომ არ უნდოდა შესვლა შემთხვევით, ანდა კიდევ სხვა რამე. ის კი დაძაბული, დამფრთხალი იდგა და იმათთვის რომ არ ეპასუხა, იმათ რომ არ აჰყოლოდა, იმათთვის რომ არ გაეყადრებინა თავი, დუქნიდან გამომავალი სიმღერის სიტყვებს იმეორებდა, ყბაათრთოლებული, სატირლად გამზადებუ-

ლი, მრისხანებისგან გულგამსკდარი. “სანთელი ქრება. სანთელი ქრება. სანთელი ქრება. — იმეორებდა ბრაზიანად, ჯიბრით. — ჩვიდმეტი წლის ქურდი ბიჭი დედას უკვდება”... — იმეორებდა უსასრულოდ, ისევე როგორც კარმოღებული, აჟრიამულებული დუქანი. მაგრამ ერთხელაც არ გამოსტყდომია თავს, საბა ლაფაჩის მოლოდინი გელას დაღუპვასთან შეგუებასაც რომ ნიშნავდა, რადგან საბა ლაფაჩი თუ დაბრუნდებოდა, მხოლოდ იმიტომ უნდა დაბრუნებულიყო, გელას მაგივრობა გაეწია, მისი ქმრობა და მისი შვილის მამობა ეკისრა. მაგრამ მართლა ეს იყო ერთადერთი გამოსავალი? მართლა ასეთი საფრთხე ელოდებოდა მის შვილს? მარტო შვილზე ზრუნავდა თუ სხვა მიზეზიც არსებობდა, რაც შიშით ჩადენილის არა მარტო გამართლებას ავალდებულებდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავებასა და განმტკიცებას? “რა სისულელეებზე ვფიქრობო” — შეუწყრებოდა ხოლმე საკუთარ თავს, რამე რომ არ წამოსცდენოდა განზრახვის საწინააღმდეგო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა მისთვის, პირველ რიგში, საკუთარი პატივმოყვარეობის დასაცავად რომ ამბოხებულიყო და არა შვილისა. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ექნა პოლიციას მისი შვილისთვის? დაიჭერდა? გადაასახლებდა? დახვრეტდა? რა თქმა უნდა, არა. ამდენი მაინც იცოდა მამამისმა კანონებისა. უბრალოდ, მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებოდა იგი, როგორც თავად პოლიცმეისტერმა უთხრა, რათა დროულად დაეჭრათ ფრთები, თუკი მამის მიდრეკილებები განუვითარდებოდა და ბატად განწესებული, გედობას მოინდომებდა. ეს იყო და ეს. გელას შვილობა კი არ იყო სახიფათო, გელას შვილის დედობა იყო სამარცხვინო, რადგან ვიდრე გელა თავის სიმართლეს დაამტკიცებდა, ბევრი წყალი ჩაივლიდა და იქამდე, ნატოსაც და იმის ოჯახსაც, როგორც მამამისი ამბობდა, თავი უნდა ჩაეღუნა, პირში წყალი ჩაეგუბებინა და ყველა ძაღლისა და მამაძაღლისთვის კვერცხი ეგორებინა. მაგრამ არც ესაა მთავარი. ამასაც აიტანდა ნატო, თავისი სიყვარულის გულისთვის, ამ სიყვარულს გამგები და დამნახველი რომ ჰყოლოდა ვინმე, ვინმე კი არა, ვინც ყველაზე მეტად იყო ვალდებული, დაენახა

და გაეგო, შურით კი არ გამსკდარიყო გულზე, მეტოქედ, შემცილებლად, სახელისა და დიდების მოზიარედ კი არ უნდა ჩაეთვალა ნატო, არამედ თანამებრძოლად, თავისი უბედურების მემკვიდრედ და გამგრძელებლად. დიახ, ნატოს ყველაზე მეტად ის აცოფებდა, ქალბატონმა ელენემ რომ არ იკადრა, თავის ღირსად რომ არ ჩათვალა, და როცა პოლიციაში შვილის ჭეშმარიტ მამას უარყოფდა, შვილის გადასარჩენად კი არ იღვწოდა, როგორც მაშინ ეგონა, ანდა როგორც ახლა თვალთმაქცობდა, არამედ, მაშინაც და ახლაც, ნიშნს უგებდა ქალბატონ ელენეს — შენ თუ არ მინდომე, არც მე მინდიხარ, არც მე ვიკლავ თავს შენი რძლობისთვისო. პოლიცმეისტერის კაბინეტში, შემთხვევით, ალბათ შიშისა და გამოუცდელობის გამო დაბადებულმა სიცრუემ, თანდათანობით, სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა შეიძინა და, მართლაც რომ საზარელ იარაღად იქცა შეურაცხყოფილი, უგულებელყოფილი ქალის ხელში; ხოლო რაკი იარაღი არსებობდა, აუცილებლად გამოიყენებდა კიდეც მისი მფლობელი; იარაღის არსებობა მისი გამოყენების აუცილებლობასაც განაპირობებს; ასეთია იარაღის ბუნება და ამ ბუნებას, უპირველეს ყოვლისა, იარაღის მფლობელი ექვემდებარება. არც ნატო იყო გამონაკლისი, უფრო სწორად, არც ის იყო სხვებზე ნაკლებად უბედური, და ყველა ღონეს იხმარდა, მით უფრო იმის წინააღმდეგ, ვინც მის უბედურებას აუბზუებდა ცხვირს, ვისი იმედითაც გაუბედურებულიყო საერთოდ. არც ის შეაყოვნებდა, გამოუცდელობის გამო, ვაითუ მე უფრო მეტი ზიანი მომიტანოს ამ უცხო იარაღმა, ვიდრე ჩემს მტერსო. ამაზე არც დაფიქრდებოდა, ვიდრე სისხლს არ დაინახავდა — თავისას ან მტრისას. თუ ვინმემ იცოდა, ქალბატონმა ელენემ იცოდა ანდროს ნამდვილი მამის ვინაობა და ფიქრის ქარხანაში შეყუჟულ ნატოს ღვარძლიანად ეღიმებოდა, გოროზი, მედიდური, კვიპაროსივით აწოწილი მეტოქის წარმოდგენაზე, რომელიც ჯერ ვერ გრძნობდა, რა ჰქონდა გადასატანი, რანაირი გაწბილება ელოდებოდა წინ, როცა შეიტყობდა, მისი გელა საკმარისი რომ აღარ იქნებოდა ნატოს ანდროს გასაბათილებლად; როცა იძულებული გახდებოდა ეღიარებინა, ანდრო იგივე გე-

ლა რომ იყო, ოღონდ ამჯერად, ნატოს ქალბატონობის, დედობისა და მეუღლეობის, თუნდაც ქვრივობის დამადასტურებელი საბუთი. თუ მართლა ასეთი მაგარი ქალი გახლდათ, მაშინ ეთქვა, მე ჯერ შვილს ველოდებიო, როცა დაკარგული შვილის მაგიერს ვიღაცის მუნდირში გამოწყობილს დაინახავდა. მაშინ — ცოტა ხნით გვერდზე უნდა გადაედო ამპარტავნობა და ყელაწეულს ის ეთხოვა ნატოსთვის, რაც ჰქონდა და ვერ შეიფერა. ისე, ახი კი იყო იმისთვის! თითქოს სხვა არავინ ელოდებოდა გელას, თითქოს სხვას არავითარი უფლება არ ჰქონდა გელაზე. თუმცა, სხვაც, სასაფლაოს ხესავით, გარინდული კი არ ელოდებოდა იმას, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ტალახში ვარდებოდა, არაფერს ერიდებოდა, ოჯახსაც ფეხებზე იკიდებდა და სახელსაც, ოღონდ როგორმე გადაერჩინა ის და არა მაინცდამაინც თავისთვის, არამედ საერთოდ. გელას შვილის გადარჩენაც ხომ იგივე გელას გადარჩენას ნიშნავდა, რისი მიხვედრაც სხვაზე მეტად იმას არ უნდა გასჭირვებოდა, ვისაც ნამდვილად შესტკიოდა გელაზე გული. ხომ შეიძლებოდა, გელა აღარ დაბრუნებულიყო? როდემდე მოეტყუებინათ თავი ან ქალბატონ ელენესა და ან ნატოს? მაგრამ ერთიცა და მეორეც ისე დაებრმავებინა პატივმოყვარეობას, გაუმაძღარი, ხარბი სვავებივით გლეჯდნენ, ვინ იცის, სად ჩამკვდარი, სად ჩამარხული ბიჭის ლეშს და მხოლოდ ის ადარდებდათ, რომელი დაისაკუთრებდა, რომელი დაასკუპდებოდა პირველი, ლეშის სიმაღლიდან რომ გადმოეხედა მეორისთვის. მაგრამ დრო გადიოდა და ხვალ იქნებ იმისი გადარჩენაც ვეღარ მოეხერხებინათ, რაც საერთოდ დარჩენილიყო გელასგან, რასაც გელას სული ედგა, გელას სუნი ასდიოდა და რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ადასტურებდა, სიზმრად რომ არ მოლანდებოდა გელა, არც დედამისს და არც მის უგვირგვინო მეუღლეს. ძნელია ამისი აღიარება, მაგრამ ისევ აღიარება სჯობდა და ისევ იმის, დასიზმრებულის, ცის ბინადრის სასარგებლოდ. ასე რომ, ნატოს სრულებითაც არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა, გელაზე მეტად საბა ლაფაჩის დაბრუნებას რომ ელოდებოდა, რადგან გელა მაინც ოცნებას განეკუთვნებოდა, ხოლო საბა ლაფაჩი ცხოვრებისგან თავ-

სმოხვეულ აუცილებლობათა რიგს, ისევე როგორც ანდროზე ზრუნვა, ჭამა, დაძინება. ნატოსთვის ახლა მხოლოდ ის იყო მთავარი, ნებისყოფას არ ემტყუნა, გაეძლო მშობლების სიკეთისთვის, აეტანა სირცხვილი, და ასე თანდათანობით, ნაბიჯნაბიჯ გამოეყვანა შვილის სიცოცხლე სახიფათო ზონიდან. იმ დღემდე მაინც გაეძლო, როცა ქვეყანა გადატრიალდებოდა, როგორც მამამისი ამბობდა და როგორც თვითონ ნატრობდა, რადგან გადატრიალებულ ქვეყანაში უკანანი წინ მოექცეოდნენ, უკანონობას კანონი შეცვლიდა. მოთმინება და გაძლება იყო მთავარი — ამასაც მამამისი ამბობდა — და ნატოც ყველაფერს უსიტყვოდ ითმენდა, მაგრამ მაინც არ შეეძლო იმის უარყოფა, გაცილებით იოლად რომ აიტანდა თავის უბედურებას, თუკი ქალბატონი ელენეს გვერდით იდგებოდა და არა პირისპირ. ეს გაუთვალისწინებელი, არაბუნებრივი, უსამართლო, უსინდისო დაპირისპირება ტანჯავდა ცხადშიც და სიზმარშიც, თუმცა უკვე ისე იყო დაბნეული, ცხადისა და სიზმრის გარჩევაც უჭირდა, ისიც ვერ გაერკვია, რაც ხდებოდა, ცხადში ხდებოდა თუ სიზმარში. სიზმარი, უბრალოდ, უფრო ხატოვნად წარმოაჩენდა სიცხადეს, ხორცს ასხამდა იმას, რაც ცხადში ჯერ კიდევ შეფარულად, შენიღბულად და თითქოს თავისთავად ხდებოდა, ანდა ცოტა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. მაგრამ ნატოს აღარაფრით შეეძლო წინ აღსდგომოდა თავის განზრახვას და უსუსური ფუსფუსით, უაზრო ბზრიალტრიალით თან მიჰყვებოდა უფსკრულისკენ, როგორც ჩანჩქერს — ნაფოტი. სიზმარში საქორწინო გვირგვინი ედგა და ისე მოსწონდა თავი, ისე ეამაყებოდა გათხოვება, ლამის სარკეში შემძვრალიყო — ეპრანჭებოდა, ეკეკლუცებოდა საკუთარ გამოსახულებას — რას ვგავარ, რა საშინელება ვარო — იძახდა ყასიდად და გიმნაზიელი გოგოები რომ აწიოკდებოდნენ, აბა, რას ამბობ, ნეტავი ჩვენც შენისთანები ვიყოთო, გულიანად კისკისებდა, ციბრუტივით ბზრიალებდა სარკის წინ. ხან დარია უსწორებდა კაბის ნაოჭს, ხან გიმნაზიის გამგე და ხან გიმნაზიის დამლაგებელი ქალი. “სულ ასეთი იყო, მოუსვენარიო” — ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ისევ უმშვიდებდნენ აფრიალებულ კაბას. “დეიურე. დეიურე!” — უყვიროდა

მამამისი დამორცხვებულსა და მუცელს ქვემოთ ხელებგადაჯვარედინებულ პოლიცმეისტერს. თავზე გაპუდრული პარიკი ეხურა, შავი მანტია იატაკზე დასთრევდა, თითქოს შვილის ქორწილი კი არ ჰქონდა, არამედ — შვილის პროცესი. “თქვენ ისა თქვით, თუ არ დაბრუნდაო” — იცინოდა ნატო და თან სარკეში ენას უყოფდა მის ზურგს უკან გაჩერებულ ანდროს. ანდროს ოფიცრის მუნდირი ეცვა, მის ტანზე შეკერილი, ახალთახალი, და მედიდურად იბღვირებოდა. ბებერ ქონდრისკაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბავშვს. შეფერებული ჰქონდა “ოფიცრობა”, დაძაბული იდგა, მუნდირი არ დამეჭმუჭნოს, ანდა რამეს არ მივედო და არ დამესვაროსო. “ტყუილად გამოიპრანჭე, გაიხადე, არ მოვა მამაშენიო” — აბრაზებდა ნატო და გულიანად კისკისებდა, ანდროსი და მისი მეორე მამის საოცარი მსგავსება აცინებდა. ანდროს შეკავებული ტირილისგან ნიკაპი ეჭმუჭნებოდა, ცოტაც და, აღრიალდებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ქუჩაში დოლი აბრაგუნდებოდა, სასულე ორკესტრი აგუგუნდებოდა და, იმავე წამს, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი აივანზე ამოაგდებდა ცხენს. ცხენის ფლოქვები ფიცრის იატაკზე ისე ყრუდ, ისე უსიამოდ გაბაკუნდებოდნენ, თითქოს კუბოს მიწის ბელტები ეყრებაო. პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ცხენივით იქნევდა თავს აქეთიქით და ყვიროდა: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო. მთელი ქუჩა ჯარით იყო სავსე. ეზოშიც, ხრეშმოყრილი ბილიკის ორივე მხარეს, გაჯგიმული ჯარისკაცები ჩამწკრივებულიყვნენ. ალაპლაპებულ ხიშტებზე ნარინჯები ჩამოეცვათ. ნარინჯებზე ისარგაყრილი გული იყო ამოკაწრული. დოლები ბრაგუნობდნენ. ორკესტრი ქუხდა. სახეალეწილი, აღტაცებული, ბედნიერი ნატო ყურებზე იფარებდა ხელებს. “რა საჭიროა ამხელა ზეიმიო” — ყასიდად საყვედურობდა საბა ლაფაჩს და თან ამაყად იყურებოდა გიმნაზიელი გოგოებისკენ, ჯერ კიდევ “პატარები”, ჯერ კიდევ “სამწყემსავები” ერთად რომ მოქუჩებულიყვნენ, ბავშვების ნაცვლად, ჯერ კიდევ დაფურცლული, ყდაგაცრეცილი, მელნით დალაქული წიგნები რომ ჩაეხუტებინათ და არ იცოდნენ, სად წაეღოთ შურით დაბრეცილი თვალები. “ვადასტურებ. საქვეყნოდ ვადასტურებ!” — მშვიდად, მისი ასა-

კისთვის შესაფერისი სიდინჯით ამბობდა საბა ლაფაჩი და ასევე დინჯად სთავაზობდა ნატოს იდაყვში მოხრილ მკლავს. ნატო მაშინვე მკლავზე ეკიდებოდა და, არ გამეცინოსო, მეორე ხელით მარაოს იფარებდა პირზე. “ბატონო საბა, მე მხოლოდ შვილის გადასარჩენად... პოლიცმეისტერის მოსატყუებლად...” — ამბობდა მარაოს უკან, სხვას რომ არავის გაეგო, და თან შვილს თვალით ანიშნებდა: მომყევი, არ ჩამომრჩეო. ანდროს მუნდირის მოუტეხავი საყელო ნიკაპს მაღლა აწევინებდა და უფრო ყოყლოჩინა, უფრო გაბღენძილი ჩანდა. “რას ჰგავს ეს შეჩვენებული, ვერ შემიხედიაო” — იძახდა ნატო და იცინოდა, გულიანად იცინოდა, პირზე მარაოაფარებული. “ვაშაااა!” — ღრიალებდნენ ხრეშმოყრილი ბილიკის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯარისკაცები. ლეღვის ხეზე ათი წლის გელა ამძვრალიყო — ხავერდის მოკლე შარვალსა და ზოლიან პერანგში გამოწყობილი — აქანავებულ, აშრიალებულ, ახვნეშებულ ტოტზე გადამჯდარიყო და ზუსტად პოლკოვნიკი ვეზირიშვილის ხმით ყვიროდა: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო. და უცებ — ეს იყო მთავარი ნატოს სიზმარში — ყრუ კედელში დატანებული სარკმელი იღებოდა და ყვავილების წვიმა მოდიოდა იქიდან. “ხომ გაჯობეთ, ხომ მაინც ჩემი გავიტანეო” — ეძახდა ნატო სარკმელში გადმოკიდებულ ქალბატონ ელენეს და ცდილობდა ჰაერშივე დაეჭირა იმისი გადმოყრილი ყვავილები, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებდა, თეთრი, ფაფუკი ყვავილები უზარმაზარი ფიფქებივით ადნებოდა ხელზე. “მკვდრებსაც ელოდებიან. მკვდრებსაც ელოდებიან...” — ყვიროდა ქალბატონი ელენე და თან ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა ნატოს, ორივე ხელით. მწვანედ შეღებილ ჭიშკართან შავი კატაფალკი იდგა, მაგრამ ეს ამბავი სრულებითაც არ აკვირვებდა ნატოს, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს კატაფალკი თავიდან მექორწილეებისთვის გამოეგონათ და არა მიცვალებულებისთვის. “აჰა! დიდი ამბავი! ესეც თქვენი კანონიერი ბედნიერება!” — ამბობდა ნატო და კატაფალკაში ჯდებოდა. წინ მუნდირში გამოწყობილი შვილი ეჯდა, გვერდით, ასევე მუნდირში გამოწყობილი — საქმრო. ფეხებთან მკვდარი გედი ეგდო; უშნოდ დაკლაკვნოდა

გრძელი, გაბინძურებული კისერი. ნატო კაბის კალთას აფარებდა მკვდარ გედს, ფეხით ტენიდა სავარძლის ქვეშ, სხვებსაც რომ არ დაენახათ, მაგრამ, მკვდარი გედი მაინც ჯიუტად მოჩოჩავდა წინ, ეტლის ბიძგებს აყოლილი, ცოცხალივით თრთოდა და ღიად დარჩენილი, ფოლაქივით ბრჭყვიალა თვალით უყურებდა ნატოს. ნატოს გული უსკდებოდა შიშისგან, კატაფალკი კი მიდიოდა, მიბაკუნებდა ასფალტზე და ნატოს წარამარა ავიწყდებოდა, სად მიდიოდა, რატომ იჯდა ამ კატაფალკაში. გზა არ თავდებოდა, თუმცა კატაფალკის სარკმლიდან ერთი და იგივე სახლები, ერთი და იგივე სახეები მოჩანდა. ტროტუარის გასწვრივ გაჩერებული გამვლელები ეჭყანებოდნენ, ენას უყოფდნენ, რაღაც სიბილწეებს ანიშნებდნენ ხელით. კატაფალკის სარკმელს, გზააბნეული, გულგახეთქილი ჩიტივით, ხან ყვავილი მოაწყდებოდა, ხან ტალახის გუნდა მოეტყლაპებოდა ხოლმე. კატაფალკი კი მიდიოდა, მიდიოდა, მიდიოდა. კი არ მიდიოდა, თითქოს ცირკის არენას უვლიდა, ყველა მაყურებელს რომ დანახვებოდა, ყველა მაყურებლის წინ რომ ჩაევლო. “მოგვილოცავს უბედურებაო” — ეძახდნენ საშაქარლამოს წინ ატუზული მეძავები. “სანთელი ქრება. სანთელი ქრება. სანთელი ქრება...” — მღეროდნენ დუქნიდან გამოფენილი მთვრალები. და უცებ თვითონაც იწყებდა სიმღერას. თვითონაც კი არა, ყველა და ყველაფერი მღეროდა: ცხენის ფლოქვებიც, კატაფალკის ბორბლებიც, ყურამდე გამოღებული ფანჯრებიც, სადარბაზოებიც, ვიტრინებიც — ერთხმად, ერთნაირად იმეორებდნენ მასთან ერთად: სანთელი ქრება. სანთელი ქრება. სანთელი ქრება. ჩვიდმეტი წლის ქურდი ბიჭი დედას უკვდება... და ნატოც იღვიძებდა, ოფლში გაღვრილი, გაოგნებული, გამოცარიელებული. მაშინვე ბრმასავით მოაფათურებდა ბნელში ხელს და როცა ანდროს თბილ სხეულს წააწყდებოდა, მერე მშვიდდებოდა ცოტათი. საწოლში წამომჯდარი, მონუსხულივით შესცქეროდა აწრიატებულ სარკმელს, ერთნაირად გაბითურებული სიზმრითაც და ცხადითაც. წამიერი გამოფხიზლება, ისევ და ისევ დანაშაულის გრძნობას უჩენდა მხოლოდ. საკუთარ უმწეობაში არწმუნებდა ერთხელ კიდევ და ანდრო რომ არ

წოლოდა გვერდით, ათიათასჯერ კი არ გაითამაშებდა გუნებაში — ერთხელ და სამუდამოდ, მართლა ისე დაამთავრებდა თავის ცხოვრებას, როგორც მის ბედში ჩავარდნილი ქალები ამთავრებდნენ წიგნებში. საწამლავს დალევდა, ანდა თოკზე დაეკიდებოდა და მერე მართლა სულერთი იქნებოდა, გადატრიალდებოდა თუ არა ეს ქვეყანა, შეიცვლებოდა თუ არა რამე, რამე მაინც. საკუთარი უმწეობა აცეცხლებდა და მზად იყო, მტვრად ექცია ყველაფერი — გელას ხსოვნაც, ანდროს სიცოცხლეც, საბა ლაფაჩის იმედიც — ყველაფერი, რაც აქამდე აკავებდა, რაც საკუთარი უმწეობის მოთმენას ავალდებულებდა და რის გამოც ამრეზილი ფიქრობდა იმ დროზე, როცა გულუბრყვილოდ სჯეროდა, მაინც რომ შესძრავდა გაქვავებულ გულებს თავისი თამამი, თავგანწირული, უანგარო სიყვარულით; ყველა კარი რომ გაიხსნებოდა მის წინ, გელასკენ მიმავალი, და ყველა კანონი სასწრაფოდ გადასახედი გახდებოდა, სიყვარულის გაუთვალისწინებლად დაწერილი და დადგენილი. მაგრამ ცხოვრება მასზე გაცილებით ძლიერი და ჯიუტიც აღმოჩნდა, და ასეთიც უნდა ყოფილიყო, სად ერთი სულელი გოგო და სად ცხოვრება, მაგრამ ყველაზე მეტად ნატო მაინც იმის აღმოჩენამ შეზარა, ცხოვრება ღირსი რომ არ იყო სიყვარულისა და, რაღა თქმა უნდა, არც მსხვერპლისა, რადგან ერთი მხოლოდ აფრთხობდა და აღიზიანებდა, მეორე კი, მხოლოდ ართობდა და ამშვიდებდა. ამიტომ, ყველაზე სულელი ის გამოდიოდა, ვინც ამ უგულო, გაპირუტყვებულ ცხოვრებაში თავგანწირვაზე ფიქრობდა და არა გადარჩენაზე. პატივს და დიდებას სწორედ ის იმსახურებდა, ვინც არაფერს ერიდებოდა გადარჩენისთვის, ვინც ყველა ღონეს ხმარობდა, როგორმე ამოტივტივებულიყო ცხოვრების ზედაპირზე, თუნდაც საკუთარი სინდისისა და სხვათა სიცოცხლის საფასურად. სხვები, ვინც ამას ვერ ახერხებდნენ, უმაქნისებად, უნდილებად, ანდა სულაც ბრიყვებად ითვლებოდნენ და არაფერს იმსახურებდნენ ცხოვრებისგან, გაკიცხვისა და დაცინვის მეტს. ხოლო, თუ მართლა ასეთი იყო ცხოვრება, თუ მხოლოდ და მხოლოდ ამას ერქვა ცხოვრება, მაშინ ნატო რაღაზე იხეთქავდა გულს? რატომ ტანჯავდა

სინდისის ქენჯნა, რატომ თვლიდა თავს დამნაშავედ, როგორც გელას, ისევე საბა ლაფაჩის წინაშე? არ აჯობებდა, იმათ ეხეთქათ გულები, ხოლო ნატოს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ერთიცა და მეორეც, მკვდარიცა და ცოცხალიც? რა თქმა უნდა, ჯობდა. ბოლოს და ბოლოს, ვისზე ნაკლები იყო, სხვების მაგივრად რომ ასულიყო ეშაფოტზე? სხვები ასულიყვნენ, ქალბატონი ელენე ასულიყო, თუ კარგია; ნატო კი, ერთს კარგად გამოიძინებდა და მერე, რაკი თავად ცხოვრებაც აიძულებდა, რაკი თავად ცხოვრებაც აქეთკენ უბიძგებდა, ორივე ხელით გამოწურავდა, რისი გამოწურვაც კი შეიძლებოდა იმისგან, მით უფრო, თუკი მართლა დათვლილი ჰქონდა იმას დღეები და თუკი მალე ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. მოლოდინის უფლებასაც ქალბატონ ელენეს დაუთმობდა (ანდა რა თავში იხლიდა ფუყე, უსაფუძვლო მოლოდინს) და საბა ლაფაჩსაც თუ ჩააძაღლებდნენ სადმე, უკეთესს გამონახავდა, უფრო გავლენიანს, უფრო მაღალ ჩინიანს; პოლკოვნიკ ვეზირიშვილს ანდა თავად პოლიცმეისტერს გაჰყვებოდა ცოლად (რა მოხდა? სხვას არავის დაუნგრევია ოჯახი?), ანდა კიდევ უკეთესი — საყვარლებად გაიჩენდა ორივეს და მთელ ბათუმს ამოიდებდა ფეხქვეშ; თავჩაღუნული, პირში წყალჩაგუბებული კი არ ივლიდა, იმის რჩევაში იქნებოდა, რომელ რესტორანში ესაუზმა, ესადილა და ევახშმა; ერთ გაუთავებელ ბანკეტად გადაიქცევდა ცხოვრებას, შამპანურის აბაზანებს მიიღებდა, კაბებს უცხოეთიდან გამოიწერდა, საკუთარი, ოთხცხენიანი ეტლი ეყოლებოდა (კატაფალკი კი არა — ეტლი!); კონსულების, ვაჭრების, გენერლებისა და საქმოსნების რიგს დაიყენებდა აივნიდან ჭიშკრამდე და აბა, მერე გენახათ, ვინმე თუ გაუბედავდა ცხვირის აბზუებას, თითის მიშვერას... მთვრალები თუ დაანახვებდნენ თავიანთ სიბილწეს... თუ იქნებოდა, მაშინ იქნებოდა ნამდვილად ქალბატონი; გახუნებულ ქოლგას კი არ დაიბჯენდა — ყავარჯენივით, შავი პირბადით კი არ ივლიდა — სიკვდილის ანგელოზივით, ყელკისერ მოშიშვლებული, ფეხი ფეხზე გადადებული დაენახვებოდა ქვეყანას, სამკაულებით დახუნძლული, როგორც ნაძვის ხე — სათამაშოებით. თუ დაუხეთქავდა, მაშინ დაუხეთქავდა შუ-

რით გულებს გიმნაზიელ გოგოებს, მამა აბრამის ბატკნებად რომ მოაქვთ თავი უფროსებთან, თუმცა, ღმერთმა იცის, რაღაზე არ ლაპარაკობდნენ გიმნაზიის საპირფარეშოში. წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს სიყვარული, თუკი არავის არ ესმის, თუკი არავის არ სჭირდება იგი. თუკი სენია და არა მადლი. წყეულიმც იყოს! აი, როგორ ბობოქრობდა, როგორ იმუქრებოდა გულში და როგორ იტყუებდა თავს უმწეობისგან დაოსებული ნატო, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, საბა ლაფაჩის სარკმელში სინათლე რომ დაინახა, მოულოდნელობისგან, ელდისგან, შიშისგან, ცოტას მორჩა, შეჰკივლა. რადგან იმავე წამს ისიც იგრძნო, ვერასოდეს ვეღარ ნახავდა გელას. საბა ლაფაჩის სარკმელს შესცქეროდა და — გელა, გელა, გელაო — ჩურჩულებდა ნირწამხდარი.

6

მეორედ მოსვლა იყო, აბა, რა იყო — შეშას ცეცხლი არ ეკიდებოდა. აშიშინებულ კუნძს წყალი გასდიოდა, ბზარებზე დუჟი მოსდგომოდა, ბნედიანივით. დიმიტრიმ ბუხრის წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, განახევრებული ბოთლიდან ისევ შეასხა ბუხარში ნავთი და წამობრიალებულ ცეცხლს სახე გაარიდა; ცოტა ხანს შეიცადა ასე, ჩაჩოქილმა, თავგადახრილმა, მაგრამ უცებ წამობრიალებული ცეცხლი უცებვე რომ ჩაცხრა, ბოთლი დადგა, ბოთლზე დაბჯენილი ნელა წამოდგა და გაგულისებულმა ჩაიბურდღუნა: შეშაც გააფუჭეს ამ შეჩვენებულებმა და ნავთიცო. დარიას მარჯვენა ხელის იდაყვით რეზინის სათბური მიეჭირა ფერდზე, მეორე ხელში დანა ეჭირა და დანის პირით ლამპის პატრუქს ფხეკდა, წუხანდელ ჭვარტლს აცლიდა. ლამპის შუშა თავისთავად გამოგორდებოდა ხოლმე მაგიდის კიდისკენ, დარია რომ უარესად გაებრაზებინა, გაეწვალებინა. დარია ლამპის შუშას წყევლიდა, დანიანი ხელით აჩერებდა და უკანვე აბრუნებდა. დანის პირს ჭვარტლი სცვიოდა. ანდრო ტახტზე იჯდა და ხან ბებიას შესცქეროდა, ხან ბაბუას, მაგრამ გულისყური გარეთ ჰქონდა, ეზოსკენ — მოუთმენლად ელოდებოდა, როდის შემობრუნდებოდა დედა. დედამისი ეზოში "ჰაერს ყლაპავდა". უჩვეულო არაფერი ხდებოდა, მაგრამ ყველანი დაძაბულები იყვნენ, ყველაფერი აღიზიანებდათ და თითქოს შეგნებულად არიდებდნენ ერთმანეთს თავს, რაც მთავარია, იმასაც — ანდროსაც — თითქოს სამივეს დავიწყებოდა ის, ანდა სამივენი ერთდროულად შემოსწყრომოდნენ. ერთი ბუხარს ებუზღუნებოდა, მეორე — ლამპას, მესამე კი ჰაერს ყლაპავდა ეზოში. პალტოც არ მოუხურავს, უპალტოოდ გავიდა ამ სიცივეში, იმიტომ, რომ ანდროზე მეტი ჭკუა არც იმას მოეკითხება, როგორც ბებიამ თქვა, და მარტო იმაზე ფიქრობს, როგორ გაამწაროს დედამისი. ესეც ბებიამ თქვა, მაგრამ დედა უკვე გასული იყო ოთახიდან. ლამპას უთხრა. ბაბუა კი ბუხარს მიუბრუნდა: ბავშვი აღარ არის, როგორც უნდა, ისე მოიქცევაო. შენი ბრალია ყველაფერიო — გაბრაზდა ბებია და ანდროს გაუკ-

ვირდა, რადგან ვერასოდეს წარმოიდგენდა, უფროსებიც თუ აშავებდნენ რამეს. რამდენადაც ანდრომ იცის, დამნაშავეები ყოველთვის ბავშვები არიან, უფროსებს კი მათი გაწყრომა და მათთვის ჭკუის დარიგება ევალებათ. ერთ ნავთქურაზე ქვაბი იდგა, მეორეზე — ტაფა. ქვაბში ლობიო იხარშებოდა (არ დაადგა საშველი), ტაფაზე ჭადი ცხვებოდა. გადაბრუნებულ ჭადს ქერქი დაბზარვოდა, შუაში გამოშავებულიყო. დილიდან მითამაშებს ეს დასამიწებელი თვალიო — თქვა ბებიამ, ხელი წინსაფარზე შეიხოცა და ლამპას შუშა მოარგო. ოთახი ნელნელა განათდა. "იყავნ სინათლე!" — თქვა ბაბუამ და გაიცინა. "იყავნ სინათლე!" — გაიმეორა ანდრომ გუნებაში და, რატომღაც, იმასაც გაეცინა. ბაბუას ლამპისკენ მობრუნებული ლოყა ულაპლაპებდა, თითქოს დასველებიაო. ტახტის მეორე ბოლოში იჯდა და ისევ ბუხარს შესცქეროდა. მუხლებზე შეშის ნაპობი ედო. ბებიას ახლა ერთ ხელში ქვაბის ხუფი ეჭირა, მეორეში — ლობიოს მარცვალი. მარცვალს ორთქლი ასდიოდა. ბებიამ სული შეუბერა, გააგრილა და გაჭყლიტა. ჩახარშულაო — თქვა და გაჭყლეტილი მარცვალი ისევ ქვაბში ჩააბრუნა. დღეს ლუკმა არ ჩამსვლია პირშიო — თქვა ბაბუამ. შენ კი არა, ბავშვი მოვკალი მშიერიო — უპასუხა ბებიამ და ანდრო უარესად გაისუსა, თითქოს ბებია და ბაბუა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდნენ, არ იცოდნენ, ისიც იქ რომ იყო. ძალიან მოუნდა კიდევ ეთქვათ რამე იმაზე, კიდევ ეხსენებინათ. ბებია ახლა რაღაცას ნაყავდა ქვიჯაში. ოთახში სასიამოვნო სუნი იდგა, გამომაცოცხლებელი, გამომაფხიზლებელი, ნაზი, მსუბუქი. ბაბუას მუხლებზე თეთრი, ნუჟრიანი შეშის ნაპობი ედო და ნელა ეფერებოდა, როგორც სულიერს. მართლა ჰგავდა რომელიღაც ცხოველს. კატას? ლეკვს? კურდღელს? მოფერება აღიზიანებდა და ბრაზიანად მოსჩერებოდა ანდროს ყავისფერი ნუჟრებით. თითქოს, სადაცაა ისკუპებდა, გადაუხტებოდა ბაბუას მუხლიდან. უცებ სარკმელს გარედან დედა მოადგა, ხელისგულები მინას მოაბჯინა და ოთახში შემოიხედა. "დედა!" — უნებურად წამოსცდა ანდროს. დედა მაშინვე მოშორდა სარკმელს, თითქოს ეწყინა, რომ შეამჩნიეს; თითქოს ჩუმად უნდოდა ეთვალთვალა, რა ხდებოდა ოთახ-

ში უიმისოდ. დამეღუპა შვილიო — ამოიზმუვლა ბებიამ, მაგრამ იმავე წუთას გაიღიმა, ქვაბი ნავთქურიდან გადმოდგა და ანდროს უთხრა: ჭამის მეტი არაფერი უნდა ამასო. ბაბუამ შეშის ნაპობი ბუხართან დაადგდო, სარკმელთან მივიდა და მინაზე მიაკაკუნა. დედა ისევ გამოჩნდა სარკმელში, თითქოს მიკაკუნებას ელოდებოდა. ბაბუა და დედა უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, მინით გათიშულნი, მერე ორივე ერთდროულად მოშორდა სარკმელს. ახლავე მოვაო — თქვა ბაბუამ და მაგიდასთან სკამი მიიჩოჩა. ბებია მაგიდაზე თეფშებსა და დანაჩანგალს აწყობდა. მოულოდნელად გამოხედავდა ხოლმე ანდროს. ბაბუამ ჭადი გადატეხა. გადატეხილი ჭადიდან ორთქლი ამოვარდა. ანდროსაც დიდი თეფში დაუდგი, უკვე დიდი ბიჭიაო — უთხრა ბაბუამ ბებიას. ოთახში დედა შემოვიდა. ბრრრრ — დაიფრუტუნა ცხენივით, ვითომ ძალიან შემცივდაო. რა იყო, რას გვითვალთვალებდი გარედანო — ჰკითხა ბაბუამ დედას. დედამ ლიმონი ჩაკბიჩა, თვალი მოეჭუტა და თავი დაარატრატა, თითქოს ზღვიდან ამოსულმა სველი თმა გაიბერტყა. უნებურად, ანდროსაც გააჟრჟოლა და პირი ნერწყვით გაევსო. თქვენ კი არ გითვალთვალებდით, ჩემი თავის დანახვა მინდოდა შუშაშიო — უპასუხა დედამ ბაბუას. — მაგრამ არ გამოვჩნდი. თქვენ ჩანდით. მე კი არა. — გააგრძელა ცოტა ხნის მერე. — იმიტომ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ხართ, მე კი — აღარ. — დაამთავრა ტუჩების წკლაპუნით და იმანაც დაბნეულად გაუღიმა ანდროს. — მერე ილაპარაკეთ. მერე ილაპარაკეთ! — იყვირა ბებიამ. ახლა ოთხივენი ერთად იყვნენ. ანდროსთვის კი მთავარი ეს იყო და ერთბაშად გადაუარა გაურკვეველმა, შემბორკავმა მღელვარებამ. მართლა დიდი ბიჭივით იჯდა მაგიდასთან, ბაბუას გვერდით, ქალებისგან შორს. წესიერად ჯერ კიდევ ვერ იმორჩილებდა ჩანგალს, მაგრამ თავს ძალას ატანდა და მადიანად ილკუმებოდა, ლობიოთი პირმოთხუპნული. ყველანი თავიანთ თეფშებზე იყვნენ დახრილნი და პირველ შიმშილს იკლავდნენ. არ შეიძლებოდა საჭმელზე უარის თქმა, "ღმერთი უწყენდათ", და ანდროც ჭამდა, მოწადინებული, უფროსები რომ არ მიხმარებოდნენ, თავისი დიდობა რომ დაემტკიცებინა უფროსებისთვის.

უცებ დედამ მაგიდაზე ხელი დაჰკრა და თითქოს რამე ახალი თამაში გახსენებიაო, სახეგაბრწყინებულმა დაიძახა: მოდით, ვითომ დღეს გელას ქელეხიაო. მაგიდაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სამაგიეროდ, ქარი მთელი ძალით მოეხეთქა სარკმელს. ოთხივემ, უნებურად, იქით გაიხედა, მაგრამ ქარი მაშინვე სხვა მხარეს წაბუბუნდა. ანდრომ არ იცოდა, რა იყო ქელეხი, მაგრამ ისევ დაიძაბა, ისევ გაურკვეველი, შემბორკავი მღელვარება დაეუფლა. არც სხვები იყვნენ უკეთეს დღეში. ბაბუამისს, ცოტას მორჩა, ლუკმა გადასცდა, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ბაბუამისმა მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა ქელეხი, ოღონდ არ ეგონა, სხვამაც თუ იცოდა გელას სიკვდილის ამბავი; უფრო სწორად, ბოლომდე არ სჯეროდა, მართლა მკვდარი თუ იყო გელა, თუმცა, ამწინებზე, თავად გელამ აუწყა საკუთარი სიკვდილი. ამწინებზე, კრამიტის გასასწორებლად სხვენში რომ ავიდა და სანთლის ნამწვი აანთო. ელდა ეცა: სხვენში გელა დაუხვდა! მაგრამ ისეთი კი არა, უკანასკნელად რომ გააძევეს აქედან, არამედ ისეთი, პირველად რომ გამოეცხადა ნატოს დღეობაზე. ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალი და ზოლიანი პერანგი ეცვა. სკივრზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადადებული, და ძველ, დამტვერილ ჟურნალს ფურცლავდა. დიმიტრი ისე გაშტერდა, გვერდზე გაწევაც ვერ მოისაზრა, კისერში რომ არ ჩასვლოდა გაბზარული კრამიტიდან გამოჟონილი წყალი. იდგა და პირდაღებული შესცქეროდა. ჯერ იფიქრა, ალბათ კიბეზე ამოსვლისას დამეხვა თავბრუ და იმის ბრალიაო, ჩაახველა კიდეც, მოჩვენების დასაფრთხობად, მაგრამ მოჩვენება კი არ გაქრა, გამოერკვა, გაღიმებულმა გამოხედა დიმიტრის, ჟურნალი გვერდზე გადადო და უთხრა: სადა ხართ აქამდე, ძია დიმიტრი, ამდენი ხნის მკვდარი ვარ, მაგრამ მადლობა რომ არ გითხრათ, ისე ვერ მივალ მამაჩემთანო. დიმიტრიმ თავს ძალა დაატანა, ძლივს ჩაიწმინდა მღელვარებისგან ჩახორგილი ყელი და ძლივს ამოილუღლუღა: რისთვის მიხდი, შვილო, მადლობასო. ყველაფრისთვისო, მაშინვე უპასუხა გელამ და ისევ გაიღიმა, ვითომ, რას მალაპარაკებთ, თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად იცითო. ნატყვიარებიდან ლურჯ სინათლეს ასხივებდა. დი-

მიტრის კი ჭუჭყიანი წყალი ჩასდიოდა კისერში. წელში მოხრილი იდგა, მთხოვნელივით თუ ქვეშევრდომივით, და კისერში ჩასდიოდა მტვრითა და აბლაბუდით გასქელებული წყალი, მკვდარი წყალი, მკვდარ წყალში აზელილი მკვდარი მტვერი და მკვდარი აბლაბუდა. კი არ სველდებოდა, იჟღინთებოდა თხევადი წყვდიადით, თხევადი მტვრით, თხევადი აბლაბუდით, ძველმანების თხევადი სულით. სხვა ვერაფერს ახერხებდა, ერთიანად ჩამქრალი, გაბინძურებული. აცახცახებულ თითებზე სანთლის ცხელი ნაღვენთი ახმებოდა. თითქოს თითებიღა დარჩენოდა ცოცხალი და მალე მთლიანად გაშეშდებოდა, სანთლად იქცეოდა. გელა კი უღიმოდა და ეუბნებოდა: ნუ გეშინიაო; მე თქვენს დასაღუპად კი არ მოვედი, როგორც თავიდანვე იფიქრეთ, არამედ გადასარჩენად, რასაც მერე მიხვდებითო; თქვენ კი არ გამომარჩიეთ ნატოს სხვა ამხანაგებისგან, მე გამოგარჩიეთ მთელს ქალაქშიო; მართალია, ამის გამო ბევრმა მოგიძულათ, ბევრი უსიამოვნება შეგხვდათ და კიდევ ბევრი შეგხვდებათ, მაგრამ ის სიკეთე და სითბო, უმამო ბავშვს რომ მაგრძნობინეთ, ქვეყნის შურსა და სიძულვილს გადაწონისო; ამიტომ, ბოლომდე მაპატიეთ და ბოლომდე გჯეროდეთ ჩემი, რადგან დღეიდან თქვენ ყოველთვის ჩემთან იქნებით, მე კი — თქვენ შორისო. სწორედ ამ დროს სანთელს წვეთი დაეცა და ვიდრე დიმიტრი ისევ მოახერხებდა სანთლის ანთებას, გელა უკვალოდ გაქრა, თუმცა გადაშლილი ჟურნალი ისევ ისე იდო სკივრზე, როგორც გელამ დატოვა. იმ დღეს ირწმუნა დიმიტრიმ, გელა ცოცხალი აღარ არისო, მაგრამ მაინც ენას კბილი დააჭირა, დარია და ნატო შეეცოდა, რომლებმაც ჯერ არაფერი იცოდნენ ამ ამბისა და ბოშა ქალები შემოჰყავდათ ქუჩიდან, იმათგან რომ შეეტყოთ, სად იყო და რას აპირებდა გელა. ბოშებისა სჯეროდათ, ანდა თავიანთ სიმართლეს ბოშების ტყუილი ერჩიათ და თავადაც მკითხავებივით იმეორებდნენ: მოდის, გზაშიაო. იმათი მტერი მოსულიყო ისე, იმათი მტერი დამდგარიყო გელას გზაზე, მაგრამ დიმიტრის რა უფლება ჰქონდა, ეს უკანასკნელი იმედი, ეს უკანასკნელი თავშესაფარიც მოეშალა ქალებისთვის. ახლა კი გაოგნებული იჯდა და არ

იცოდა, როგორ მოქცეულიყო. “უღვინო ქელეხი სად გაგონილაო” — ამოილუღლუღა ბოლოს. ნატო წამოხტა და ოთახიდან გავარდა, ხოლო ვიდრე უკანვე შემობრუნდებოდა კიტრიანი ბოთლით, დიმიტრი და დარია დაბნეულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. არაყი რომ იყოს, ვითომ რა დაშავდებაო — თქვა ნატომ. თან კიტრიან ბოთლს გულში იხუტებდა, თითქოს წართმევას უპირებდა ვინმე. რამ გადაგრია, გოგო, რა შენი საქმეა არაყიო — შეუწყრა დარია. შენ თუ არ გინდა, მე და მამა დავლევთო — თქვა ნატომ, კარადიდან ორი ჭიქა გადმოიღო და არაყი ჩამოასხა. ლოთივით უკანკალებდა ხელი. სახეზე კი კვიმატური ღიმილი დასთამაშებდა. ერთი ჭიქა მამას მიუჩოჩა, მეორე თვითონ აიღო და სულმოუთქმელად გადაჰკრა. ჭიქიანი ხელის ზურგი ტუჩებზე მიიფარა და ცოტა ხანს ასე იყო, სახეგაფაციცებული, დაძაბული, თითქოს ელოდებოდა, როდის აფეთქდებოდა. ყველანი იმას უყურებდნენ: დარია გამწყრალი, დიმიტრი შეწუხებული, ანდრო გაოცებული, აღტაცებული. ნატომ ჭიქა დადგა და ლიმონი აიღო. ჩაკბეჩამდე ღონივრად დაყნოსა. გამალებული იღეჭებოდა, თვალებდავიწროებული. ანდრომ გაიცინა. კარგ მაგალითს აძლევ შვილსო — თავი გადაიქნია დარიამ. მაგრამ იმასაც დაეტყო პირზე შეკავებული ღიმილის გამონასხივი. — გეთქვა მაინც რამე, ქრისტიანულად... სადაც იყოს, იქ გაუმარჯოს! — ჩაიბურდღუნა დიმიტრიმ უკვე პირთან მიტანილ ჭიქაში და იმანაც სულმოუთქმელად გადაჰკრა, არ ჩამორჩა ქალიშვილს. — გაანათლოს! — თქვა ნატომ. — რა კარგი ყოფილაააა! — გააგრძელა ისევ კვიმატურად მოღიმარმა და გულზე ხელი ჩამოისვა. — რატომ კლავთ იმ კაცს წინასწარ, რა დაგიშავათო — ყასიდად გაიცინა დარიამ. არავის უპასუხია. ნატომ ისევ ჩამოასხა არაყი. დაპირქვავებული ბოთლი ორივე ხელით ეჭირა, თითქოს ბოთლს წურავდა. ბოთლიდან უკანასკნელი, დაგრძელებული, გაზანტებული წვეთები ცვიოდა. ამ ბოთლში მარტო კიტრი ყოფილაო — თქვა შუბლშეჭმუხნილმა, გაწბილებულმა. კარგი, მეტი აღარ დალიოო — დაუძახა დარიამ. რაც არ არის, რა დავლიოო — გაიცინა ნატომ. შენ არხეინად იყავი, დედაშენი თავშენახული ქალიაო — აჰყვა შვილს

დიმიტრი. — დიმიტრი მომიკვდეს... — დაიწყო დარიამ, მაგრამ ნერწყვი გადასცდა და ხველა აუვარდა. ჩანგლიანი ხელი გაასავსავა ჰაერში. სამივემ გაიცინა. თითქოს დარია განგებ ახველებდა, ტყუილად რომ არ დაეფიცა ქმარი. — ალალი. აჰა, დალიე! — თავისი ჭიქა გაუწოდა ნატომ. დარიამ გვერდულად გამოხედა, ვითომ, რაღა არაყი მინდა, ისედაც ვიხრჩობიო. ერთი ხელით რეზინის სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი, მეორე მაგიდაზე ჩამოედო და ახველებდა. დალიე, მე თუ გიყვარვარო — შეეხვეწა ნატო. ჩემი ჭიქით დალევს, ჩემი ჭიქით უფრო ესიამოვნებაო — თავი გამოიდო დიმიტრიმაც. — არ გაგივათ ეგ ოინი... განა არ ვიცი... განა ვერ ვხვდები... — იძახდა დარია და ახველებდა, მაგრამ უკვე გაღიმებული, უკვე თავადაც აყოლილი ქმარშვილს, უკვე თავადაც ჩათრეული ამ უნებლიე მხიარულებაში. ნატოს ჭიქა ჩამოართვა და უთხრა: გინდაც მომკლას, მაინც დავლევ, შენ რომ არ დალიოო. მაშინ, დამიბრუნე ჩემი ჭიქაო — გადაწვა მაგიდაზე ნატო. დარიამ ჭიქა გაარიდა. — სდომებია, სდომებია! — ტაში შემოჰკრა დიმიტრიმ. — დალიე, დალიე! — დაიძახა ანდრომ. რამ გადაგრიათ ასე ერთნაირად ყველანიო — გაიცინა დარიამ. დალევ და ახალ ბოთლსაც ჩამოდგამო — უთხრა დიმიტრიმ. რაც არა მაქვს, რას ჩამოვდგამო — გაიკვირვა დარიამ, ერთი ხელით ისევ რეზინის სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი, მეორეში კი, ჩანგლის ნაცვლად, ახლა ნატოს ჭიქა ეჭირა. — აბა, მე დამიფიცე! — უთხრა ნატომ. — აცალე, ჯერ დალიოს. — თქვა დიმიტრიმ. თან თვალი ჩაუკრა ნატოს. დარიამ დაინახა და შუბლი შეიკრა, ვითომ განაწყენდა, მაგრამ ამასაც თამაშობდა, ქმარშვილს ეთამაშებოდა. სიამოვნებდა თამაში, დიდი ხნის განუცდელ, დიდი ხნის დავიწყებულ შვებას გრძნობდა მთელს სხეულში. მხოლოდ ბავშვობაში, პაპის სახლში განეცადა მსგავსი სიხარული, უმიზეზო, წამიერი, მაგრამ წარუშლელი კვალის დამჩნევი; ადათთან, ჩვეულებასთან გათანაბრებული, მიუხედავად თავისი მოულოდნელობისა და განუმეორებლობისა. — ჩვენს ოჯახში უღვინო სადილი სადილად არ ითვლებოდა. თქვენ გგონიათ, ერთი ორად მომეჩვენება? — თქვა დარიამ. დაგვიმტკიცეო — უთხრა დიმიტრიმ. და-

რიამ გაიცინა. მერე ჭიქა ფრთხილად მიიტანა პირთან, ფრთხილად შეახო ტუჩები, თითქოს ცხელი იყო, და ნელნელა დალია. სანამ სვამდა, დანარჩენები თვალდაუხამხამებლად შესცქეროდნენ, დაძაბულნი, აღგზნებულნი, თითქოს აქამდე არ ენახათ, თითქოს წარმოუდგენელი ამბავი იყო, ერთი ჭიქა არყის დალევა. დარიამ ჭიქა დაცალა და სხარტად მოიშორა პირიდან, თითქოს მუწუკი მოიგლიჯა. “ჰოჰ” — ამოიძახა შეწუხებულმა, თითქოს მტკივნეული იყო ჭიქის მოშორება. რა გასმევთ ამ ოხრობასო — თქვა სახეშეჭმუხნულმა და ცარიელი ჭიქა ნატოს დაუბრუნა. ნატომ ჭიქა ჩამოართვა და წინ დაიპირქვავა, ვითომ, ცარიელი რისი მაქნისიაო. — დიმიტრი მომიკვდეს, აღარა მაქვს. დიმიტრი ჩავდო... — დაიწყო დარიამ, მაგრამ ქმარმა არ აცალა: გაჩუმდი, არ გამწირო, არ დამიფიცო ტყუილზეო. ანდრო კიტრიან ბოთლში ენას ყოფდა. ბოთლში კიტრი ლაყლაყებდა. აბა, ანდრო დაიფიცეო — უთხრა ნატომ დარიას. ჩასკდა თქვენი მუცელიო — მოტყდა დარია. ზანტად წამოდგა და ზანტად გამოაღო კარადის კარი. ერთი ხელის იდაყვით რეზინის სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი, მეორეს კარადაში აფათურებდა, არც იყურებოდა შიგ. დიდი ხნის წინათ გადამალულ ბოთლს დაეძებდა, ხელის მახსოვრობას მინდობილი. თან ბუზღუნებდა: იმასაც ვნახავ, ხვალ რას იზამთ, წამლად რომ დაგჭირდეთო. ხვალამდე დიდი დროა, ხვალ იქნებ ჩვენც აღარ ვიყოთო — გაიცინა დიმიტრიმ. — თურქს უნახავ ხომ? — თვალი მოჭუტა ნატომ, მაგრამ დედის ნაცვლად გელა დაინახა — მისკენ მორბოდა, წელსზემოთ ტიტველი. დროშასავით მოაფრიალებდა სველ პერანგს. ნატომ თავი გაიქნია და ლიმონი აიღო. — თურქიც გჯობიათ თქვენ, გერმანელიც და ინგლისელიც... — თქვა დარიამ. — ოჰო?! — გაიკვირვა დიმიტრიმ. — შენ გაჩუმდი. შენ გაჩუმდი. შენი ბრალია ყველაფერი! — უყვირა უცებ დარიამ და მართლა გაბრაზდა, ქმრის არხეინმა, აგდებულმა ღიმილმა გააბრაზა რატომღაც. — ჟირანდოლი. ჟირონდა. ჟაკერია. ჟონგლიორი. ჟოკეი. — თქვა ნატომ და ისევ დაინახა გელა. სველ პერანგს მოატყლაშუნებდა. — თუ გვაძლევ, დააყენე საშველი... ყველანი დამნაშავეები ვართ. — გაბრაზდა დიმიტრიც. სრულე-

ბითაც აღარ უნდოდა არაყი. სიბრაზე რომ დაემალა, ცარიელი ჭიქა დააბზრიალა მაგიდაზე. ჭიქა თეფშს მოხვდა და გაჩერდა. — კიდევ. — დაუძახა ანდრომ. თან ორივე ხელით კიტრიანი ბოთლის ყელს ჩაფრენოდა, თითქოს დახრჩობას უპირებდა. ბებიაშენი მაბრაზებსო — შესჩივლა დიმიტრიმ. დარია კარადისკენ შეტრიალდა. კარადაში ბოთლებმა გაიწკრიალეს, ერთნაირად. ერთსულოვნად, დარია რომ დაებნიათ, გზაკვალი რომ აერიათ დარიას ხელისთვის, მაგრამ დარიას ხელმა ზუსტად ის ბოთლი იპოვა, რომელსაც ეძებდა. — აჰათ! — შესძახა ბრაზიანად და ბოთლი ქმარს დაუდგა წინ, ვითომ ახლა შენს სინდისზე იყოს, გინდა დაალევინე შვილს ეგ შხამი, გინდა არაო. ვიდრე არაყს ჭიქებში ჩამოასხამდა, დიმიტრიმ ბოთლი მაღლა ასწია, შეაჯანჯღარა და სინათლეზე გახედა, თითქოს დარიას კეთილსინდისიერება შეამოწმა. მოკუმულ ტუჩებზე გამომწვევი, ჯიბრიანი ღიმილი დასთამაშებდა. ნატომ ისევ სულმოუთქმელად გადაჰკრა არაყი, მაგრამ აღარ ესიამოვნა. ლიმონს წუწნიდა, არყის გემო რომ გაექრო. მეც მინდა, მეც მინდაო — ყვიროდა ანდრო. ხელი გაგიხმეს, ბავშვს თუ დაუსხაო — ბორგავდა დარია. ორი წვეთი რას უზამს, კარგიცაა მუცლისთვისო — დარიას აშინებდა დიმიტრი, თუმცა იმისკენ არც იყურებოდა, ისედაც გრძნობდა, როგორ წრიალებდა, როგორ იყო გამზადებული წამოსახტომად. მოდით ახლა, ჩემი გაბედნიერების სადღეგრძელო დავლიოთო — თქვა უცებ ნატომ. სუფრა დადუმდა, როგორც ადრე, დასაწყისში, როცა ნატომ იმდღევანდელი სადილობა გელას ქელეხად გამოაცხადა. რა იყო, რა ენა ჩაგივარდათ, რა ვთქვი ასეთი, არ იცოდით, რომ ვთხოვდებიო — გულუბრყვილოდ გაიღიმა ნატომ. ანდროს ისე შეეშინდა, თითქოს შუაღამისას ვიღაცა უბრახუნებდათ სარკმელზე, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არაფერი გამიგიაო. და ისევ კიტრიან ბოთლს მიუბრუნდა. დაპირქვავებულ ბოთლს ენაზე იბერტყავდა. ბოთლის ტუჩს გრძელი, ცრემლივით კრიალა წვეთი ეკიდა. — მე კანონიერი ქმარი მეყოლება. ანდროს — კანონიერი მამა. — გააგრძელა გულუბრყვილოდ მოღიმარმა ნატომ. ერთი წამით ანდროს გახედა, მაგრამ მაშინვე აარიდა თვალი. —

თქვენც ერთხელ და სამუდამოდ ამოხვალთ სირცხვილიდან. — მოაყოლა ბოლოს. ჩვენ არაფრის არ გვრცხვენია, არც არავინ გვჭირდებაო — ჩაიბურდღუნა დიმიტრიმ. — რას ჰქვია, არ გვრცხვენია?! რას ჰქვია, არ გვჭირდება?! — პირში ეცა დარია. სახე წამონთებოდა, თმა გასჩეჩვოდა. ერთბაშად შეშლილისთვის დაემსგავსებინა წამიერსა და ბოლომდე გაუაზრებელ იმედს. ფერდზე იდაყვით მიჭერილი ხელის თითები მოეღუნა და გაეფარჩხა, საბრძოლველად გამზადებული ნადირის ბრჭყალებივით. ნატო ისევ გულუბრყვილოდ იღიმებოდა. მამის დაბნეულობაც მოსწონდა და დედის გაწამაწიაც. თუმცა არც ერთი მიჰქონდა გულთან და არც მეორე, უბრალოდ, გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე იტყოდა ვთხოვდებიო, თითქოს მოწამლულს, კუჭი ამოერეცხა და მთავარი შხამი მოეშორებინა, რადგან იმ დღის მერე, როცა საბა ლაფაჩის სარკმელში სინათლე დაინახა, მართლა მოწამლულივით გრძნობდა თავს, იმიტომ კი არა, რაიმე შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი მოეჩვენა უცებ თავის განზრახვაში — იმიტომ, რომ ყველაფერმა დაკარგა ერთბაშად აზრი: სიყვარულმაც, განზრახვამაც, ქალბატონმა ელენემაც, რადგან სამივე იმდენად სჭირდებოდა, რამდენადაც სამივეს მეშვეობით მაინც გელას უკავშირდებოდა, ხოლო საბა ლაფაჩის დაბრუნება კიდევ ერთხელ ადასტურებდა, გელა რომ აღარ არსებობდა. ასე რომ, აღარც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, საბა ლაფაჩის ცოლი გახდებოდა ის, თუ პროფესიონალი საყვარელი ძლიერთა ამა ქვეყნისა; ანდა სულაც ხუთმანეთიანი მეძავი — მეზღვაურთა და მოგზაურთა თავშესაქცევი ტიკინა. რაღა თქმა უნდა, აღარც პოლიციას შეაშფოთებდა მისი უკანონო შვილის მამის ვინაობა, რადგან მკვდარი მამის შვილი ისეთი გაიზრდებოდა, როგორ გარემოსაც დედა შეუქმნიდა: ან დედის მეუღლესავით იმპერიის ოფიცერი გახდებოდა, ან დედის საყვარლებივით პატივისა და სიმდიდრის მოხვეჭას მიჰყოფდა თავიდანვე ხელს, ანდა დედის შემთხვევითი მუშტრებივით დილიდან დილამდე დუქანში ჩალპებოდა და მხოლოდ იმიტომ გამოვიდოდა იქიდან ერთი წუთით, შარდის ბუშტი გაეცალა და ქუჩაში გავლილი გოგოებისთვის თავისი

სიბილწე დაენახვებინა. საბა ლაფაჩის დაბრუნება არც სწყენია, არც გახარებია, რადგან საბა ლაფაჩს სინამდვილეში არაფერი ესაქმებოდა მის პირად ცხოვრებასთან, ისა და საბა ლაფაჩი სხვადასხვა დროში არსებობდნენ და, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ვერ ამჩნევდა იგი, მით უფრო, როგორც ქალს, როცა ათასში ერთხელ სტუმრად მოდიოდა მათთან, შორეული, ბიბლიური წარსულის ელჩი, შორეული, ბიბლიური წარსულისა, რადგან იმისი წასვლის შემდეგ, ყოველთვის ერთნაირად ეუფლებოდა მთელ სახლს დროის უსასრულობის, დაღლილობის, განწირულობის მომთენთავი, დამასევდიანებელი შეგრძნება, რაც ისევე უცხო და მიუღებელი იყო ნატოს არსებისთვის, როგორც... როგორც გელასთვის ციხე. საბა ლაფაჩის სარკმელში ანთებულმა სინათლემ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დროის უსასრულობის, დაღლილობისა და განწირულობის შეგრძნება გაუჩინა ნატოს და იმასაც მაშინვე მიხვდა, უფრო ადრე დამკვიდრებულიყო ეს შეგრძნება მის არსებაში, ვიდრე საბა ლაფაჩის სარკმელში შუქი აინთებოდა. იმ დღის მერე აღარ მისულა საბა ლაფაჩის სახლთან. სრულებითაც არ ადარდებდა, რას ეტყოდა ის პოლიციას. მაგრამ ახლა უფრო დამნაშავედ თვლიდა თავს იმის წინაშე, ვიდრე ადრე, ვიდრე საბა ლაფაჩი საერთოდ იმდენად არსებობდა, რამდენადაც სულელური განზრახვის შესანარჩუნებლად იყო საჭირო, რამდენადაც ღმერთი არსებობს, ყველასათვის ერთნაირად მიუწვდომელი, ერთნაირად უხილავი, რომელიც მაშინ ახსენდებათ, როცა სხვა გზა აღარა აქვთ და რომლისგანაც მხოლოდ იმას მოითხოვენ, რისი აღსრულებაც თავად შეუძლებლად მიაჩნიათ, რადგან ის ღმერთია და იმიტომაცაა ღმერთი, არაფერი რომ აკავშირებს მისი იმედის ამარა დარჩენილ ადამიანთან, გარდა იმავე ადამიანის გულუბრყვილო და გინდაც თავხედური მომთხოვნელობისა, ჟინიანობისა. დიახ, ღმერთი იმიტომაა ღმერთი, არავითარ მონაწილეობას რომ არ იღებს შენს პირად ცხოვრებაში, ვიდრე პირადი ცხოვრება გაქვს და, ასე თუ ისე, თვითონვე შეგიძლია გაართვა თავი ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს, ხოლო როცა შენი პირადი ცხოვრება სხვათა განსჯისა და გან-

ქიქების საგნად იქცევა, როცა შენი მიზეზით შენთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანებიც საფრთხეში იგდებენ თავს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოგვევლინება ღმერთად, ანუ მიუღწეველ, უხილველ სულად, რომელთანაც უფრო თამამად შეგიძლია თქვა ის, რისი თქმაც მშობლებთანაც გაგიჭირდება, შეგიძლია დააკისრო ის, რაც თვითონაც სულმდაბლობად მიგაჩნია და სწორედ იმიტომ გაგაქვს ღმერთისა და არა ადამიანის სამსჯავროზე. მაგრამ საბა ლაფაჩი ახლა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ადამიანური თავმოყვარეობის, ღირსების, ზნეობის მატარებელი, და არავის არ ჰქონდა უფლება, ადამიანისთვის შეუფერებელი გულისხმიერება, გაგება, განურჩევლობა ანდა სულაც გულგრილობა მოეთხოვა მისგან. სულ ფიქრობდა, მივალ, ბოდიშს მოვუხდი, ყველაფერს ავუხსნიო, მაგრამ ბოლო წუთას, იმის სევდიან მზერასა და ღიმილს რომ წარმოიდგენდა, მუხლი მოეკვეთებოდა ხოლმე. მაგრამ მაინც უნდა მისულიყო. თანაც იქამდე, ვიდრე პოლიცია დასაპირისპირებლად მიიყვანდა იმასთან და უკვე აღარც ბოდიშის მოხდას ექნებოდა აზრი. ამას თვითონაც გრძნობდა და უარესად ღიზიანდებოდა. — ცოტა ბებერი კია, მაგრამ წყნარი, წესიერი კაცია. — გააგრძელა უდარდელი ხმით. — რაც მთავარია, ვუყვარვარ და პატივს მცემს. თუ არ გამომყვები, თავს მოვიკლავო. — გაიცინა რატომღაც. — სხვათა შორის, თქვენც იცნობთ. — მოაყოლა უცებ. ხუმრობ თუ მართლა ამბობო — შეევედრა დარია. — მართლა ვამბობ. მართლა ვამბობ! — გაბრაზდა ნატო, ვეღარ გაუძლო თვალთმაქცობას — რატომ უნდა ვხუმრობდე? რა მეხუმრება? არ შეიძლება, მეც შემირთოს ვინმემ? — რას ჰქვია, არ შეიძლება?! შენ კი არა... — მღელვარებისგან ენა დაება დარიას, — ჩემზე უარესებიც თხოვდებიან, არა? — ღვარძლიანად გაუღიმა ნატომ. — განა არსებობენ ჩემზე უარესებიც? — მაგას ვამბობ? რატომ გესმის ჩემი სიტყვა შებრუნებულად? — შეწუხდა დარია. უარესად მიიჭირა ფერდზე რეზინის სათბური. დაბნეულმა გამოხედა ქმარს. დიმიტრი დარწმუნებული იყო, ნატო ხუმრობდა, არაყს იყო აყოლილი, ხოლო დედის გულუბრყვილობამ კიდევ უფრო გააქეზა, უფრო ღრმად

შეატოპინა თავისავე მონაჭორში, მაგრამ მეორე წუთას გულიანად გაიცინებდა ალბათ და დედამისს ეტყოდა: რატომ გჯერა ყველაფერი, ასე როგორ შეიძლება ცხოვრებაო. ჯერ ზრდილობისთვის მაინც გვეკითხა, ვის მიყვება და მერე ჩაგველაგებინა მზითევიო — დაუძახა ცოლს. — შენ გაჩუმდი. შენ გაჩუმდი! — ისევ აენთო დარია, თუმცა მაშინვე მიხვდა, ქმარი მართალი იყო: გათხოვება გათხოვებად, მაგრამ ხისფეხა კოსტას ხომ არ გაატანდნენ შვილს, მხოლოდ იმიტომ, კანონიერი ქმარი რომ ჰყოლოდა? ისევ ნატოს მიაჩერდა აწრიალებული, მომლოდინე თვალებით. — ვის მივყვები დაააა. — მეტიჩრულად გააგრძელა ნატომ. — ვის მივყვები? ხო. გამახსენდა. ბატონ საბა ლაფაჩზე რას იტყვით? მე მგონი... გაანებე მაგ ბოთლს თავი! — დაუყვირა უცებ ანდროს და ყურებზე აიფარა ხელები, თითქოს საკუთარმა ხმამ შეაშინაო. ნიკაპი უცახცახებდა და ჭერში იყურებოდა, უეცარი ცრემლი რომ დაემალა, მაგრამ ცრემლი მაინც მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მისი თვალის უპეები დაიტევდნენ, და ნელნელა ჩამოაცოცდა ლოყებზე. ამჯერად დიმიტრიც დაიბნა. გული მოურღვია ნატოს საცოდაობამ. უბედურების სუნი ეცა, როგორც მწევარს ნადირისა, და უნებურად, ჭადის ფინჩხებს დაუწყო მოგროვება ათრთოლებული თითებით. ეს თამაში აღარ იყო, არც სიმთვრალე. ნატო გალახულს უფრო ჰგავდა, ვიდრე მთვრალს. ისევ ჭერში იყურებოდა, ნიკაპი უცახცახებდა და სურდოიანი ბავშვივით აქსუტუნებდა ცხვირს. სხვებზე არანაკლებ შემცბარი, მოუთმენლად ელოდებოდა, როდის მიეცემოდა საშუალება, ეს უეცარი სისუსტე რომ გაებათილებინა და ისევ თვალთმაქცობის საიმედო ნიჟარაში ჩაბრუნებულიყო. დიმიტრიმ ესეც იგრძნო და თავი ვალდებულად ჩათვალა, მიხმარებოდა შვილს. უდარდელად გაიღიმა და მღელვარებისგან ჩახრინწული ხმით, ვითომ სხვათა შორის, თქვა: საბა ლაფაჩი კარგი კაცია, მაგრამ არა მგონია, ცოლი სჭირდებოდესო. ნატომ გაიცინა. ისევ ისე იჯდა, ჭერს მიშტერებული. ხვლიკივით რომაა გალეული, იმიტომ არ ეტყობა ასაკი, თორემ სამას წელს იქნება გადაცილებულიო — გააგრძელა დიმიტრიმ. ნატომ ისევ გაიცინა. დიმიტრიმ იგრძნო, ნატო

მადლიერი იყო მისი, გული გაუთბა, ხმაც დაეწმინდა და, გახალისებულმა, ისიც კი გაიხსენა, როგორ იჯდა საბა ლაფაჩის კალთაში და, ჯერ კიდევ სანახევროდ მძინარე, შიშისაგან როგორ კრუნჩხავდა ფეხის თითებს; როგორ უტრიალებდა ცხვირწინ საბა ლაფაჩი მანდილით გადახვეულ ხელს და როგორ ეუბნებოდა — აი, მე როგორი ვავა მაქვს და აი, მე როგორი ვავა მაქვსო. თვითონვე იცინოდა, შორეულ, ბავშვობის დროინდელ მოგონებებში გადავარდნილი, და სხვებიც რომ გაეცინებინა, აზვიადებდა, მუქი ფერებით ხატავდა ყოველ წვრილმანს. მიზანსაც აღწევდა: ყველანი იცინოდნენ: ანდროც, ნატოც, დარიაც. ანდროს ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ მოსწონდა, უხაროდა, ყველანი რომ იცინოდნენ და თვითონაც ჰყვებოდა უფროსებს; ხან ბებიას შეაცქერდებოდა, ხან დედას, და ისინი რომ ჩაიფხუკუნებდნენ, გულიანად კისკისებდა. კარგი, სირცხვილია, რეებს ამბობო — ყასიდად წყრებოდა დარია, მაგრამ მაშინვე პირზე მიიფარებდა ხოლმე ხელს, სიცილის შესაკავებლად. ჩაფსმაც ჩაფსმას ჰქვიაო — ყვებოდა, როლში შესული, საკუთარი ნალაპარაკევით აღგზნებული დიმიტრი. — წარღვნა მოგონილია. მთელი კვირა დატბორილი იყო ქალაქი და ფაეტონების მაგივრად ნავებით დადიოდა ხალხი, როგორც ვენეციაშიო. ბოლოს ყველანი გააფრთხილა, არსად წამოსცდენოდათ ეს ამბავი, რადგან, მისი აზრით, საბა ლაფაჩი კიდევ ჯობდა სხვებს და, თუნდაც ასაკის გამო, ყველასგან პატივისცემას იმსახურებდა მხოლოდ, მიუხედავად იმისა, ოდესღაც ქვეშაფსია იყო ის თუ მზეჭაბუკი. — ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ძილი გაამოთ ყველასა. ჩვენს წარსულს გაუმარჯოს! — თქვა დიმიტრიმ და ჭიქას მისწვდა. — წარსული მაინც უფრო სანდოა. რაც არის, ის არის. — თქვა ნატომ, თვალები ხელის ზურგით ამოიწმინდა და იმანაც აიღო ჭიქა. — შენ მამაშენს ნუ უსმენ, — ისევ აფორიაქდა დარია. — საბა ლაფაჩს ჩვენი დასაწუნი არაფერი სჭირს. ისე მოიქეცი, როგორც გულმა გირჩიოს, მაგრამ მამაშენს არ დაუჯერო. მამაშენმა ერთხელ უკვე... — უცებ გაჩუმდა, შემცბარმა გამოხედა დიმიტრის. დიმიტრი ყურადღებით უსმენდა, გაღიმებული, დაინტერე-

სებული. დარიას ქმარი შეეცოდა, მაგრამ ამ მოულოდნელმა სიბრალულმა უარესად გააღიზიანა, სიბრალულით ფონს ვერ გავიდოდა, პირიქით, სიბრალული უნდა დაეძლია პირველ რიგში, თუკი შვილის გადარჩენა უნდოდა, თუკი კიდევ შეიძლებოდა შვილის გადარჩენა. — მამაშენმა ერთხელ უკვე გადაწყვიტა შენი ბედი!.. — მაინც დაამთავრა, საკუთარი სიბრალულის ჯიბრით. — საინტერესოა, საინტერესოა! — სახე შეეცვალა დიმიტრის. ნატომ არაყი მოსვა და ნაკლული ჭიქა დედას გაუწოდა. დარიამ უნებურად ჩამოართვა ჭიქა. ახლა ერთი ხელის იდაყვით სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი, მეორეში სანახევროდ დაცლილი ჭიქა ეჭირა და ნირწამხდარი, სახტად დარჩენილი აცეცებდა თვალებს. — ბატონებო, ბატონებო, ჭკუას მოუხმეთ! — გაიცინა დიმიტრიმ და ხელი ასწია, თითქოს სასამართლოში იყო და მთელი დარბაზი ჰყავდა გასაჩუმებელი. — ჭკუას მოუხმეთ, ბატონებო! ნატომ მამას შეხედა, არც გაოცებით, არც სიბრაზით, არც საყვედურით, უბრალოდ, შეხედა. მამის ხმის უეცრად შეცვლილმა ჟღერადობამ უფრო მიიქცია მისი ყურადღება, ვიდრე ნათქვამმა. ეგ იყო და ეგ. სხვას არაფერს გრძნობდა, არც არაფერი აწუხებდა. არაფერზე ფიქრობდა. გამაოგნებელი სიცარიელე გასჯდომოდა ტანში, თითქოს შიგნით არაფერი ჰქონდა, არც გული, არც ღვიძლი, არც ფილტვები და არც კუჭნაწლავი; ხორცის კედლები იყო მხოლოდ და იმ კედლებში მოქცეული სიცარიელე. არაყითა და ლიმონის წვენით აპირებდა იმ სიცარიელის ამოვსებას. არა, თვითონ არაფერს არ აპირებდა, უბრალოდ, სიამოვნებდა და ისიც ეწაფებოდა ორივეს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალიან შორიდან, ძალიან დიდი ხნის მერე დაბრუნებულიყო ამ სახლში, მაგრამ არც ეს გრძნობა ცვლიდა რამეს. ხანდახან მისკენ გამოქცეული გელა ელანდებოდა, მაგრამ საკმარისია, თავი გაექნია, ანდა სხვა რამეზე გადაეტანა თვალი, ისიც მაშინვე ქრებოდა, არ უძალიანდებოდა. ყელი ეწვოდა ოდნავ, ყელი და ტუჩები. მაგრამ არც ისე, წარამარა ყურადღება მიექცია ამისთვის. გამოღეჭილი ლიმონის ქერქი თეფშზე დააგდო და ახალი აიღო, მის ჭიქას, დედამისს რომ ეჭირა ახლა, ლამპის შუქი ეცემოდა და თვალისმომ-

ჭრელად ბრჭყვიალებდა, როგორც ალმასის თვალი გვირგვინზე. ჭიქის თვალისმომჭრელი ბრჭყვიალი იზიდავდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ მაცდურ მიმზიდველობასაც უძალიანდებოდა. ყველანი კარგა ხანს დუმდნენ. ბოლოს ისევ დარიამ დაარღვია დუმილი: რამდენიც არ უნდა იომოს ქალმა, მისი ხვედრი მაინც მოწყალების მიღებააო — თქვა მშვიდად, სევდიანად. არავის არ მიმართავდა, ხმამაღლა ფიქრობდა თითქოს. თვალები ნელა, თანდათანობით ევსებოდა ცრემლით, მაგრამ დღეს ვეღარ მოიტყუებდა თავს ამ უჩუმარი, დაბადებამდე დათრგუნული, ხათრის, თავშეკავების ფილტრში გატარებული ცრემლით, ვეღარ შეაკავებდა ლამის გაჩენის დღიდან ნათმენსა და ნამალავ ჟინს, სურვილს, მოთხოვნილებას ნამდვილი, უკიდეგანო, შეუზღუდველი, მოურიდებელი გლოვისა, და თავზარდაცემული გარბოდა თავისი ბავშვობისკენ, ერთადერთი ქვეყნისკენ, რომელიც არავის ეომებოდა, რომელსაც პურის, ღვინისა და გამზეურებული ლოგინის სუნი ასდიოდა, ვარდისა და იასამნის ფერი დაჰკრავდა, საგოზინაყე თაფლისა და საჩურჩხელე ბადაგის გემო ჰქონდა; სადაც მაშინ თენდებოდა, როცა აივნის მოაჯირზე შეფრენილი მამალი დაიყივლებდა და მაშინ ღამდებოდა, როცა მაგიდის თავში დაბრძანებული პაპა პირჯვარს გადაიწერდა და ღმერთს ახედავდა; სადაც შიშს დასცინოდნენ, სიკეთეს ქადაგებდნენ და სიყვარულს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ... და სადაც, რაც მთავარია, არავინ კვდებოდა, არც იცვლებოდა, ისეთივე იყო, როგორიც გუშინ, და ისეთივე იქნებოდა ხვალაც; ხვალაც კი არა, სულ, უსასრულოდ... ბავშვობაში მიბრუნებულ დარიას ყველაფერი ისევე ხვდებოდა, როგორც დაეტოვებინა, ღმერთმა იცის, როდის. თვითონაც ისევ პატარა გოგო იყო, ისევ წითელი, ჭრაჭუნა, ღილებიანი ფეხსაცმელები და ლურჯი, მაქმანებიანი კაბა ეცვა, ხელში კაბისფერი ქოლგა ეჭირა და თალარის ქვეშ, სელის სკამზე დასკუპებული, ქალბატონივით ფეხი ფეხზე გადადებული, ვენახში ჩაკარგულ პაპას ელოდებოდა. პაპაც ისევე მოულოდნელად გამოდიოდა გველხოკერების ფაჩუნით, კალიების კუთვითა და მუმლის წუილით გაბრუებული ვენახიდან, როგორც დი-

ლის ნისლიდან — მათი სოფლის თავზე გადმომდგარი საყდარი. ერთ ხელში ისევ "ყველაზე ლამაზი" ჩხა ეჭირა, მეორეში — "ყველაზე გემრიელი" ატმები, რომლებიც დარიას უნდა გაეშველებინა, რადგან თვითონ ვერ "რიგდებოდნენ" და თურმე, სულ იმაზე ჰქონდათ ჩხუბი, არა მე უნდა შემჭამოს დარიამ პირველად და არა მეო. პაპას ისევ ეჭუტებოდა, ისევ უჟუჟუნებდა მზემიშუქებული თვალები და ისევ ღიმილით ეუბნებოდა დარიას: ასე უნდა, გოგო, იმ ვექილს რომ გვანაცვალე ყველანიო. "ისიც უბედურიაო" — პასუხობდა დარია და თან გაბრაზებულ ფუტკარს იგერიებდა ქოლგით, ჩხასა და ატმებს რომ გამოსდევნებოდა ვენახიდან. "ქმარს ვინ ჩივის, შვილიც გამიუბედურდაო" — აგრძელებდა დარია, მაგრამ პაპას ან არ ესმოდა, ან არ უნდოდა გაეგონა, თითქოს თუ მოუყრუებდა, შვილიშვილსაც დაავიწყებდა ცხოვრების სისასტიკესა და სივერაგეს, ატმითა და ყურძნით ჩაუტკბარუნებდა ცხოვრების ბალღამით ჩამწარებულ, ჩამწვარ გულმუცელს. "ნელა ჭამე, გოგო, კაბა არ დაისვარო, თორემ მოგვკლავს ბებიაშენიო" — ეუბნებოდა დარიას. დარია კი ფაცაფუცით თქვლეფდა წვნიან ატამს, სველი თითები ერთმანეთზე ეწებებოდა, ნიკაპზე ტკბილი წვეთი უბრწყინავდა, ეშინოდა, არ გასხლტომოდა ხელიდან პაპის გაფცქვნილი, ხორციანი, სლიპინა ნაყოფი, და თან სლუკუნებდა: ცეცხლსა ვჭამ და ცეცხლსა ვსვამ, პაპაჩემოო; ძაღლზე უარესი ყოფილა ადამიანიო; ასეთი ბედდამწვარი თუ ვიყავი, ნეტავი მართლა არ გაგეშვით, ნეტავი ამ თალარქვეშ, ამ სკამზე, ამ ფეხსაცმელებსა და ამ კაბაში მოვმკვდარიყავი ამ ხნისაო"... "ნუ ტირი, გოგო, წამო, ვირზე შეგსვაო" — ეუბნებოდა პაპა და დარიასაც ერთბაშად ავიწყდებოდა სატკივარი, გახარებული, გაბედნიერებული, ფეხსაცმელების ჭრაჭუნითა და კაბის შარიშურით მიჰყვებოდა არარსებულ პაპას არარსებული ვირისკენ, რომელიც არარსებული ვენახის ღობესთან იდგა, არარსებული კაკლის ხეების ძირას, და დაეჭვებული, დაინტერესებული იყურებოდა, რას მიპირებენ ნეტავი, რა უნდათ ჩემგან ამ დამთხვეულ პაპაშვილიშვილსაო. ეს არარსებული ქვეყანა იყო დარიასთვის ერთადერთი ხსნა, ხსნა კი არა, დროებითი თავშესაფარი,

სამადლოდ მოწოდებული ჭიქა წყალი, რომელსაც მომწოდებლის ხელის სუნი ასდიოდა და თავისი სიკეთით, ლმობიერებითა და სიწმინდით სასიცოცხლო ძალებს აღვივებდა უბედური ქალის ბნელსა და შეძრწუნებულ წიაღში. მაგრამ ამჯერად ვერ მოასწრო დარიამ ბავშვობაში გახიზვნა, არ აცალეს, უკანვე მოაბრუნეს შუა გზიდან. დამიბრუნე, ახლავე დამიბრუნე ჩემი ჭიქაო — დაუძახა ნატომ და მისკენ გადახრილი, მაგიდაზე გადაწოლილი, ხელით თეფშის კიდეს დააწვა. თეფში დაყირავდა და გამოღეჭილი ლიმონის ქერქი მკერდზე მიაყარა. თავი ქვას გიხეთქიათ. გინდა მე მილაპარაკია ამ სახლში და გინდა ძაღლს უყეფიაო — თქვა დარიამ და ჭიქა კი არ დადგა, დაახეთქა მაგიდაზე. ჭიქის ნაცვლად, ჩანგალს დასწვდა, თითქოს ჭამის გაგრძელებას აპირებდა, ანდა თითქოს ქმარშვილის მოსაგერიებლად მოიმარჯვაო, მაგრამ უცებ ჩანგლიანი ხელი შუბლზე მიიდო და ბავშვივით აზლუქუნდა. — და ცრემლოოდა დარიაცა. რა იყო, რა მოგივიდათ, სხვას არავის დაულევია არაყი?! — დაიძახა დიმიტრიმ. ნატო უაზრო, გამოცარიელებული თვალებით მისჩერებოდა. ანდრო აბურძგნული იჯდა, ისევ კიტრიან ბოთლს ჩასჭიდებოდა ორივე ხელით. დარია კი ზლუქუნებდა. ქარი მთელი ძალით მოეხეთქა სარკმელს, თითქოს ამათთან ყოფნა უნდოდა და ვერ მოისვენებდა, სანამ არ შემოაღწევდა. რა მოხდა, რა უთხარი ასეთიო — ახლა ნატოს ჰკითხა დიმიტრიმ. ნატომ მხრები აიჩეჩა. ისევ უაზრო, გამოცარიელებული თვალებით იყურებოდა. დარია კი ტიროდა. თანდათან ხმას უწევდა. ზუზუნებდა, ზმუოდა, როგორც ცარიელ ქუჩებში ქარი, ყველასათვის მოსაბეზრებელი, ყველასაგან ათვალწუნებული, მარტო დარჩენილი. არავინ იცოდა, რას ტიროდა, ვის მისტიროდა. მაგრამ ყველანი გრძნობდნენ, ოჯახურ კინკლაობასა და წყენაზე მეტი მიზეზი ჰქონდა ამ ტირილს. რაღაცა, ბნელი და შემზარავი უნდა ეუწყებინა მათთვის. დავამტვრევ ყველაფერსო — თქვა ნატომ მშვიდი, ჩვეულებრივი ხმით. დიმიტრი დამფრთხალი, დაბნეული აცეცებდა თვალებს. ანდრო ბოთლს ჩაფრენოდა. დავამტვრევ ყველაფერსო — გაიმეორა ნატომ, რადგან ახლახან ნათქვამი ეს ორი სიტყვა ჯერ კი-

დევ არ გადაშლოდა ენიდან, ხოლო სხვა სიტყვები ერთმანეთში ათქვეფილიყვნენ, ერთ უაზრო, უსახო გუნდად ქცეულიყვნენ მის შეგნებაში. უცებ ანდროს დაჟინებული მზერა იგრძნო და შეკრთა. აენთო, აღეგზნო, როგორც მსახიობი, მისივე ნათქვამით, მისივე ნამოქმედარით მოჯადოებული დარბაზის წინაშე. "ანდროს ვუყვარვარ. ანდროს ვეცოდები. მარტო ანდროს ესმის ჩემიო", — გაიფიქრა სწრაფად. გულის ამაჩუყებელი, ყველაფრის გადამძლევი სურვილით მოუნდა, კიდევ უფრო შეყვარებოდა, კიდევ უფრო შესცოდებოდა ანდროს. რა გინდა, დედაჩემო, ეს ერთი დღე მაინც მაცალე, აღარ შემიძლია მეტიო — თქვა ყალბი წუხილით, ყალბი უმწეობითა და სასოწარკვეთით, რაც ბუნებრივ სიშმაგეში გადაეზარდა იმავე წუთას. გამოგვიტირა ყველანი წინასწარო — თქვა დიმიტრიმ. — შენ გაჩუმდი. შენ გაჩუმდი! — დაუყვირა ნატომ და მუშტი დაჰკრა მაგიდას. დიმიტრიმ გაკვირვებულმა შეხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნატომ არ აცალა, ისევ დაჰკრა მაგიდას მუშტი და ახლა უფრო ხმამაღლა იყვირა: გამანებეთ თავი, აღარ შემიძლია თქვენი ხმის გაგონებაო. და აი, უკვე სიშმაგის ტყვეობაშია მთლიანად. აღარც თავი ახსოვს, აღარც მაყურებელი. "აღარ შემიძლია... გაჩუმდი... გაჩუმდით... თორემ... თორემ..." — სიტყვა არ ყოფნის, არ ყოფნის კი არა — ახრჩობს, აღარ ეტევა უეცარი რისხვით დავიწროებულ ყელში. ახლა ფეხზე თუ არ წამოდგა, მართლა დაიხრჩობა. სისხლი თავში აქვს ავარდნილი. ვეღარაფერს ხედავს. — დავამტვრევ... ყველაფერს დავამტვრევ!.. — ყვირის გამწარებული. სკამი ვერ მოუშორებია, თითქოს ძეძვის ბუჩქში ჩაუდგამს ფეხი. მაინც ახერხებს, გამოსტაცოს შვილს კიტრიანი ბოთლი; მაინც ხედავს, როგორ იმსხვრევა კიტრიანი ბოთლი კედელზე; როგორ იპობა ჰაერშივე და ნაწილნაწილ როგორ ჩამოდის ძირს ბოთლში გამომპალი კიტრი; როგორ მოცოცავს მამის ლოყაზე სისხლის წითელი ჭიაყელა — ალბათ ბოთლის ნამსხვრევებმა გაუკაწრა ლოყა. დედამისი კი ისევ ისე ზის, ჩანგლიანი ხელი შუბლზე მიუდია და ტირის, ზუზუნებს, ზმუის. — აღარ შემიძლია. აღარ შემიძლია!.. — სული ეხუთება ნატოს. "ნატო. ნატო. ნატო!" — ეძახის მამა; თითქოს

კი არ ამშვიდებს, აქეზებს, როგორც მაყურებელი მსახიობს: კარგია, მიდი, გააგრძელეო. მაგრამ ნატოს მართლა აღარ შეუძლია მეტი, ვერ ამოისუნთქავს, ვერ იცოცხლებს, კიდევ ერთი წამი თუ დარჩა აქ. იცის და არც იცის, რას აკეთებს. უნდა და არც უნდა გააკეთოს ის, რასაც აკეთებს. უცებ გამომაფხიზლებელი, შემარცხვენელი სისუსტე ეუფლება. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს თუ ამოისუნთქა, წაყვება კიდეც საკუთარ ამონასუნთქს. უჭირს თვალი გაუსწოროს შვილს, ისევ დაჟინებული რომ შემოსცქერის. რცხვენია, წუხს, თუმცა წესიერად აღარ ახსოვს, რა მოხდა, რამ გადარია ასე, რა უნდოდა? ვის მოკვლას აპირებდა? დედის? მამის? შვილის? თუ სამივესი? კი მაგრამ, იმათ რა დაუშავეს? კარგის მეტი რა გაუკეთებიათ ნატოსთვის? იმათაც ის დაუშავეს, რაც საბა ლაფაჩმა დაუშავა; ფუჭი იმედი ჩაუსახეს; აიძულეს ფეხი აეთრია ამ დამპალ ქვეყანაზე; ესუნთქა ეს დამპალი ჰაერი, იმიტომ, რომ უყვართ, ეცოდებათ ნატო, თითქოს სიკვდილი უფრო საშინელებაა, ვიდრე სიცოცხლე. ვინ დაადგინა, ვინ დაამტკიცა ამგვარი სისულელე? ვინ რა იცის, პირიქით რომ არაა, თუნდაც იმათთვის, ვისაც აღარ შეუძლიათ სიყვარულს სიყვარულით უპასუხონ. ნატოსაც არ შეუძლია, რადგან რაც სიყვარულისთვისაა საჭირო, გელამ თან წაიყოლა, გელამ გამოწოვა, როგორც ბუზი ობობამ და ცხოვრების ალბალუდას ფშუტე, ცარიელი, უუნარო და უგრძნობელი გვამი შეატოვა მხოლოდ. აი, რა მოუვიდა ნატოს. აი, რა აბნევს, აბრმავებს, აშმაგებს. მკვდარია და ვერ ამჩნევენ. იბრძოლეო — აქეზებენ, როცა დამარხვის მეტი არაფერი აღარ უნდა თავად. — ცხელა. თქვენ არ გცხელათ? — ამბობს სტუმარი ქალივით. თითქოს არაფერი არ მომხდარა, თითქოს ეს წუთია შემოვიდა და პირველი სიმორცხვისა და უხერხულობის დასაძლევად ისა თქვა, რაც ენაზე მოადგა. მაგრამ არავინ არ პასუხობს და ისიც უხმოდ გადის ოთახიდან. დიმიტრი ახლა ტახტის კიდეზე ჩამომჯდარა. ლაჯებში მოუმწყვდევია ხელები; ლოყაზე სისხლის წვრილი ზოლი შეხმობია; თავი ჩაუქინდრავს და ტალახში ამოგანგლულ ფეხსაცმელებს დასცქერის. “შეშა რომ შემოვიტანე, ალბათ მაშინ თუ დავისვარეო” — ფიქრობს თავისთვის. მისი

ცოლი კი კედელთან ჩაცუცქულა, რეზინის სათბური ორივე ხელით მიუჭერია მუცელზე და ჩუმად, მაგრამ გულის გამაწვრილებლად ზუზუნებს. — გაჩუმდი, ადამიანო! თავიდან დავიწყოთ? ცოცხლად დავჭამოთ ერთმანეთი? — ეუბნება დიმიტრი ცოლს. თან თავის ტალახიან ფეხსაცმელებს დასცქერის. ანდრო მარტო ზის მაგიდასთან. ნატო ეზოშია. ჰაერს ჩაყლაპავს, დამშვიდდება და შემობრუნდება. მალე ოთხივენი ისევ ერთად იქნებიან. — გაჩუმდები თუ არა? გაჩუმდები თუ არა?! — ეძახის დიმიტრი ცოლს. არ უნდა, ოთახში შემობრუნებულ ნატოს დედა ისევ ატირებული დაუხვდეს. "იქეიფეს" და ეყოფათ. ყველამ გამოირწყა თავისი მუწუკი და ახლა, კეთილი ინებონ და, დამშვიდდნენ, დაიკავონ თავიანთი ადგილები, რადგან ცხოვრება გრძელდება და ჯერ კიდევ საკითხავია, დაინგრევა თუ არა იგი. დიმიტრი ზანტად, გაჭირვებით დგება, თითქოს ეზარება ადგომა, მაგრამ აუცილებლად უნდა ადგეს, უნდა დასძლიოს სიზარმაცე. კედელთან ჩაცუცქულ ცოლთან მიდის და, მისკენ გადახრილი, ჩუმად დასცქერის, თითქოს კატის კნუტს გადასწყდომია და ვერ გადაუწყვეტია, წავიყვანო თუ დავტოვოო. ცოლი ყურადღებას არ აქცევს, ზუზუნებს ფუტკრის სკასავით. გაჩუმდი, ვიდრე ნატო შემოსულაო — დამყვავებლური, მავედრებელი ხმით ეუბნება დიმიტრი და უცებ, შემაშფოთებელი, მაგრამ ამავე დროს შვების მომგვრები, ტკივილისგან გამათავისუფლებელი გაოცებით გრძნობს, როგორ ეხეთქება მისი დაღლილი, გამოთიშული ხელი ცოლის ძვლიან სახეს. გაჩუმდიმეთქი — იმეორებს საკუთარი საქციელით თავზარდაცემული, მაგრამ მისი ხელი, ისევ მისი სურვილის, მისი ნებართვის გარეშე, კიდევ რამდენჯერმე ეხეთქება უგრძნობელ სახეს, როგორც ქარს აყოლილი დარაბა — კედელს, ახლა უფრო ტლანქად, უფრო ღონივრად, თითქოს ცოლს კი არ სცემს, სკაზე აკაკუნებს, აზუზუნებული ფუტკრის დასაფრთხობად. ცოლი კი ზუზუნებს, ზმუის, ზუზუნებს, ზმუის, ხან ფუტკრის სკასავით ზუზუნებს, ხან საბალახოდან დაბრუნებულ ძროხასავით ზმუის, ჭიშკარს რომ მოსდგომია და ელოდება, როდის შეუშვებენ ეზოში.

ხოლო ნატო, ამ დროს, უკვე ზღვისპირა ბაღის ქვიშას მიაჩხრიალებდა გამალებული. თითქოს ვიღაცასთან უგვიანდებოდა, ვიღაცასთან კი არა, თავად ზღვასთან. ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა. "კაციშვილი არ იქნება, რომ არ ციოდეს, ვიბანავებდი კიდეცო" — ფიქრობდა, რათა მართლა არ მოქცეულიყო ასე. იმდენი კიდევ ესმოდა, ახლა გიჟის მეტი არავინ ჩავიდოდა ზღვაში. არადა, უსაშველოდ ენატრებოდა ზღვა. იმისი სიდიადის, უსასრულობის შეგრძნება, საკუთარი სიპატარავის დასათრგუნად. მაღალი ფიჭვები ჭრიალჭრიალით ირხეოდნენ. მაგნოლიის მწვანე ტოტებიდან გამოზამთრებული, ჩაყვითლებული ყვავილი იჭყიტებოდა. ცარიელ სკამზე ხმელი ფოთლების გვირგვინი ეგდო, ასანთის დამწვარი ღერებით შეკრული, როგორსაც თავადაც აკეთებდა ოდესღაც. ვიღაც პატარა გოგოს მოსწყენოდა დედოფლობანას თამაში, გადაეგდო, ანდა, შეიძლება, სულაც დარჩენოდა სკამზე, გადიის დაჟინებული ძახილით გამორკვეულს. სკამისკენ გადაუხვია და გვირგვინი აიღო, ისე, რომ ფეხი არ შეუნელებია. მიდიოდა და თან ცალი ხელით გვირგვინს იმაგრებდა თავზე. ფეხქვეშ ქვიშა ჩხრიალებდა. უცებ ზღვა მწვანედ აიფოფრა საღამოს ბინდბუნდში და მისკენ გამოქანდა. თვითონაც აუჩქარა ფეხს. მერე ლამის ცხვირწინ გაუჩერდა ატორტმანებულ, ახვნეშებულ სტიქიას და უთხრა: მთვრალი ვარო. ზურგზე კაბა გამოებერა, სიცივის, სიცარიელის კუზი გაუჩნდა. ზღვამ თითქოს ჩაიხითხითა ნატოს ნათქვამზე, მაგრამ მაშინვე ღრმად, ხანგრძლივად ჩაისუნთქა და ისევ საზარლად აიფოფრა. რას მიბრაზდები, შემოსვლას კი არ ვაპირებო — დაამშვიდა ნატომ. პირი ცივი ქარით გამოევსო უცებ. ზღვამ სადღაც, ჰაერში დაიჭექა და თეთრი ნაპერწკლები ამოაფრქვია. კარგი ყოფილა სიმთვრალე, ახლა ყოველთვის დავთვრებიო — გაიცინა ნატომ. ზღვამ უკან დაიხია და ამოიხვნეშა. ჭაღარაგარეულ ქოჩორში ძვალივით გაპრიალებული ნაფოტი გაბლანდვოდა. რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მენატრებიო — გაენაზა ნატო. თაფლავდა, თავისი ჭკუით. ზღვა აშიშინდა, გალღვა, ფეხქვეშ გაეგო, ნასიამოვნები. ნატომ შეჰკივლა და უკან გახტა, მაგ-

რამ მაინც დაუსველდა ფეხები. თეთრი ქაფი შერჩა ფეხსაცმლის წვერებზე. სადღაც, შორს ქვიშა აჩხრიალდა. ჩხრიალი თანდათან მოახლოვდა და გაძლიერდა. აშკარად ვიღაც მოდიოდა, ნატოსავით თავქარიანი. ანდა... მაგრამ ნატოს სრულებითაც არ შეშინებია. არც გაქცევა უფიქრია, არც დამალვა. ერთი კი დააპირა გვირგვინის მოხდა, გიჟი არ ვეგონო ვინმესო, მაგრამ ესეც მაშინვე გადაიფიქრა. ვის რა ესაქმებოდა, გიჟი იყო თუ ჭკვიანი? სიბნელიდან ორი ჯარისკაცი გამოვიდა. ისინი მოაჩხრიალებდნენ ქვიშას. ზღვის გასწვრივ მოდიოდნენ, ნაპირნაპირ. მხრებზე თოფები ეკიდათ. ნატოს დანახვაზე, ფეხიც არ შეუნელებიათ, თუმცა არც თვალი მოუშორებიათ, ვიდრე ჩაივლიდნენ. თითქოს თვალებს არ უჯერებდნენ, მოჩვენება ეგონათ, და მართლაც — ამ სიცივეში, ასე გვიან, მარტო, თავზე ხმელი ფოთლების გვირგვინით... "არ შეიძლება, ქალიშვილო, ზღვასთან დგომაო" — ბოლოს მაინც დაუძახა მეწინავემ, უფრო მოვალეობის მოსახდელად, რადგან ორივენი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ნატო, მოჩვენება იყო თუ ნამდვილი. "მოწყენილი ხარ?" — დაუძახა მეორემ, უკვე ჩავლილმა, ნატოსკენ კისერმოღრეცილმა. ამ ერთ სიტყვაში ჩაატია მთელი სათქმელი, სურვილი, სევდა, უეცარი, ჯარისკაცული სიხარული. ორივეს, რა თქმა უნდა, ნატოსნაირ გოგოსთან ჯდომა ერჩია, თუნდაც აქ, გთოშილ ქვიშაზე, ხორკლიან ბინდბუნდში, ზღვის ამონასუნთქით უბეამოვსილებს, მაგრამ ამის დრო არ იყო ახლა, სამორიგეოდ იყვნენ გამოსულები, იბრძოდნენ, ბევრი რამე უნდა მოეთმინათ კიდევ. მხარზე თოფგადაკიდებულები მიდიოდნენ, მიაჩხრიალებდნენ ქვიშას. "ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი ზღვაა!" — გუნებაში შეეპასუხათ ნატო. იმათკენ არც გაუხედავს. ქვიშის ჩხრიალს უსმენდა დაძაბული, ჯერ ზურგს უკან, მერე გვერდიდან, მეთევზეთა უბნისკენ მიქცეულს. ვითომ რატომ არ შეიძლება შენთან დგომაო — ჩასძახა ზღვას, როცა საბოლოოდ მიწყდა ქვიშის ჩხრიალი. რატომღაც ზღვას გაუბრაზდა, როგორც გოგო სატრფოს, რომლის გულისთვისაც შინიდან გამოქცეულიყო, ის კი, იმის მაგივრად, სამუდამოდ ჩაეხუტებინა, ნეკნები

დაემტვრია თავისი ღონიერი, ვნებიანი მკლავებით, ებუზღუნებოდა და შინ დაბრუნებას ურჩევდა. შენ თუ არ გინდივარ, ავდგები და საბა ლაფაჩს მივადგები, ასე თავდამშვენებულიო — უთხრა ზღვას და თვითონვე გაეცინა, რა სისულელეს ვამბობო. მაგრამ ისიც იგრძნო, თუკი გაბედავდა, მხოლოდ ახლა გაბედავდა საბა ლაფაჩთან მისვლას, სანამ ჯერ კიდევ უბრწყინავდა თავში არაყი. "რამ გამახსენა საბა ლაფაჩიო" — დაფრთხა და გაღიზიანდა ერთდროულად — ბრმად გაიბრძოლა, ბრმად მოუსინჯა კლანჭები ამ არანაკლებ გიჟურ განზრახვას, ვიდრე საბოლოოდ დანებდებოდა იმას. ზურგზე კაბაგამობერილი, აძაგძაგებული იდგა ზღვის პირას. კუზიანს ჰგავდა. ხალხში გამოჩენისა რომ რცხვენია და ღამღამობით ზღვას შესჩივის თავის სიმახინჯეს, გულუბრყვილოდ მოიმედე: ზღვაო, ჩემი კუზი შენ... ზურგს უკან უსასრულო, პირქუშ ლანდად ქცეული ბაღი გალურსულიყო; წინ — მოუსვენარი, მშფოთვარე, აჩურჩულებული, ახვნეშებული, აღრიალებული სტიქია იწვა, ისიც წყვდიადში ჩაკარგული. მაგრამ, ცოტა ხნის მერე, ნატო უკვე ქალაქის მეორე ბოლოსკენ გარბოდა. ცალი ხელით ხმელი ფოთლების გვირგვინს იმაგრებდა თავზე და აქოშინებული გარბოდა, თითქოს ბავშვის წამალზე გამოსულიყო შინიდან. რომელიღაც ეზოდან სუფრის ხორხოცი და ჟრიამული გამოუვარდა, ძაღლების ხროვასავით. ერთი წამით, ფერადი ქაღალდის ფანრებსაც მოჰკრა თვალი — თითქოს თავისთავად დატივტივებდნენ ჰაერში. "ქორწილი აქვთ ალბათო" — გაიფიქრა ასევე წამიერად და უფრო აუჩქარა ფეხს. ორთქლმავალმა რომ შეჰკივლა მოულოდნელად და ლიანდაგის სუნი ეცა, მხოლოდ მაშინ მოითქვა სული. თითქოს იქამდე ვიღაც მოსდევდა და, როგორც იქნა, დააღწია მდევარს თავი, როგორც იქნა, გამოვიდა სამშვიდობოს. რკინიგზის გადასასვლელთან დროგი იდგა. დროგზე სარკეებიანი, უზარმაზარი კარადა დაყუდებულიყო, მსხვილი, გაძენძილი თოკებით გაკოჭილი. მედროგე არ ჩანდა. საერთოდ, კაციშვილი არ ჭაჭანებდა სიახლოვეს. ბედის ანაბარა დაეტოვებინათ ცხენებიც, დროგიცა და კარადაც. ცხენები უძრავად იდგნენ, გარინდულნი. ცხენების ფიტულებს ჰგავდნენ. მაგრამ როცა

ნატომ წინ ჩაუარათ, თბილი, სუნიანი ამონასუნთქი შეაფრქვიეს. ნატოს მხოლოდ მაშინ გაახსენდა სახლი, მაგრამ წესიერად არც იყო გამოსული ცხენების მყუდრო, სასიამოვნო ოხშივრიდან, წვიმამ რომ დაუშვა, და, უნებურად, ისიც გაიქცა. ლიანდაგები ისე გადაირბინა, არც გაუხედავს, მატარებელი ხომ არ მოდისო. იმისთვის უკვე მართლა სულერთი იყო ყველაფერი.

საბა ლაფაჩს არ გაჰკვირვებია ნატოს დანახვა. იცოდა, ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. ამის ბრალიცაა ალბათ, ომიდან დაბრუნებულმა, მაშინვე თავის სოფელს რომ არ მიაშურა და მაინც აითრია ბათუმში ფეხი, სადაც, კაცმა რომ თქვას, აღარაფერი ესაქმებოდა. სოფელში დაბრუნება ჯერ კიდევ დედის დასაფლავების დღეს გადაწყვიტა, უფრო სწორად, იმ განმწმენდავსა და გამომაფხიზლებელ ღამეს, საბარგო ვაგონში რომ გაატარა დედის კუბოს გვერდით. პირველი, რაც დედის სიკვდილმა აგრძნობინა საბა ლაფაჩს, შვება იყო, რადგან დედამისს ოთხი ფიცრის მეტი აღარაფერი სჭირდებოდა და, აქედან გამომდინარე, იმასაც აღარაფერი ავალდებულებდა, გაეგრძელებინა იმ მუნდირის სამსახური, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მეობა დააკარგვინა, რათა დედამისს პუდრი, ლიქიორი და პაპიროსი არ მოჰკლებოდა. საბედნიეროდ, არც მოჰკლებია. იმ დღეს, როცა დედა მკვდარი დაუხვდა ახრჩოლებულ ნავთქურასთან, ბუდაპერჩის ხვლიკის კუდში მომწყვდეული საპუდრე სავსე იყო, ბალიშის ქვეშ პაპიროსის სამი გაუხსნელი კოლოფი იდო, ხოლო ლიქიორის ბოთლს ბევრი არაფერი აკლდა. ვერ მოესწრო, უბედურს, “კაი ცხოვრების” ბოლომდე ამოწურვა, ანდა მოყირჭებოდა და, ნავთქურასთან ჩაცუცქული, მშვიდად, უდრტვინველად გადასულიყო სამუდამო სასუფეველში. ვერც შვილთან გამოთხოვება მოასწრო, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, შეგნებულად მოიქცა ასე, არ ისურვა, არ ჩათვალა საჭიროდ, რადგან იმის მეათასედსაც ვერ იტყოდა სიტყვით, რისი თქმაც მისმა კუბომ შეძლო, რაზედაც მისმა კუბომ აუხილა მის შვილს თვალი, თანაც ერთი ღამის განმავლობაში. ის ღამე კუბოსთან ჭიდილში გაატარა მისმა შვილმა. ვაგონის აძაგძა-

გებულ იატაკზე კუბო აქეთიქით დადიოდა და იმასაც ყოველ წუთას უხდებოდა ადგომა, თავის ადგილზე რომ დაებრუნებინა იგი. მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, ხელისგულები უხურდა და სიბრაზისგან სული ეხუთებოდა. არ გინდა, შენს მიწაში დამარხვაო — დაჰყვიროდა კუბოს მოთმინებიდან გამოსული, გამწარებული, და ვერ გაეგო, ებუტებოდა თუ დასცინოდა მკვდარი დედა. თუმცა, ორივე შემთხვევაში მკვდარი მართალი იქნებოდა ცოცხლის მიმართ. მკვდარი არაფერში არ იყო დამნაშავე, რადგან მთელი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის იბრძოდა, რასაც სიკეთედ თვლიდა, იმ გზას მისდევდა, რომელიც თავად ცხოვრებამ დაანახვა და ღრმად იყო დარწმუნებული, პირნათლად ჰქონდა მოხდილი მშობლის ვალი, რადგან, რაც მან თავისი შვილისთვის შეძლო, ყველა ვერ შეძლებდა, იმიტომ კი არა, ეჭვი რომ გაუჩნდებოდა, ვაითუ ვცდები, ვაითუ შვილი დავღუპოო, არამედ იმიტომ, ყველას რომ ვერ აღმოაჩნდებოდა მისი სიჯიუტე, ყველა რომ ვერ გაბედავდა, ცივ ქვაზე დაესვა ოჯახი, რათა შვილი დაეყენებინა ფეხზე, შვილი გამოეყვანა ხალხში, შვილი ექცია კაცად, რმდენადაც "ფეხზე დაყენება", "ხალხში გამოსვლა" და "კაცად ქცევა" სწორედ იმას ერქვა, რაც მან შვილს მოუპოვა და რისთვისაც მეზობლების შური და შვილის სიძულვილი დაიმსახურა მხოლოდ. მეტი არაფერი. მაგრამ ესეც აიტანა, რადგან სჯეროდა, სწორად რომ მოიქცა, ყველა დედა ასე რომ მოიქცეოდა მის ადგილას, რა თქმა უნდა, თუკი შეძლებდა. დამნაშავე ის იყო, ვინც მის სიბრიყვეს თვალი მოუხუჭა, ვინც სიბრიყვე ბოლომდე გაატანინა და ვინც მის სიბრიყვეს ხარკს უხდიდა: პუდრის, ლიქიორისა და პაპიროსის სახით. დამნაშავე ის იყო, ვინც დროზე არ ამხილა, ვინც არ დასცინა და ვინც არ ჩაახედა ჭეშმარიტების სარკეში, საიდანაც ოდესღაც კდემამოსილი, გამრჯე, ამაყი და გაუტეხელი გლეხი ქალის ნაცვლად ჯამბაზივით გაპუდრული, ლიქიორით თვალებაპრიალებული და პირში პაპიროსგაჩრილი არარაობა შემოხედავდა — სხვათა სილაჩრის მსხვერპლი — სხვათა კი არა, საკუთარი ქმარშვილის სილაჩრისა, გაუბედაობისა, რადგან ქმარს იმდენი ვაჟკაცობაც არ ეყო, სახრით აეჭრელებინა იმისთვის

გვერდები, ვიდრე არ დაარწმუნებდა (ვიდრე არ გაახსენებდა), კერიის მოვლაპატრონობა რომ ევალებოდა იმას და არა ცხოვრებაში გზააბნეულთა, ხარბთა, მომხვეჭელთა, მედღეურეთა აყოლა, რომელთა სამშობლოც იქ არის, სადაც გაძღებიან და არა იქ, სადაც ბევრ რამეზე უნდა თქვან უარი და, შეიძლება, საერთოდ ცარიელი მუცლით ჩავიდნენ საფლავში, მხოლოდ იმიტომ, თავიანთი გვარი რომ არ დაივიწყონ და გულგრილობის ბალახი გლიჯონ წაგებულ ომებში დაღუპულთა საფლავებზე, მაშინაც კი, როცა მკვდარი კი არა, ცოცხალიც აღარავის ახსოვს, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და, რაც მთავარია, როცა არავინ არ იცის დაბეჯითებით, საერთოდ იქნება თუ არა ხვალ ან გვარი, ან საფლავი. ქმარზე პატიოსნად არც შვილი მოექცა. პირიქით, შვილი უფრო შორს წავიდა, დედის სიბრიყვით მოპოვებული მუნდირი არა მარტო შეიშნოვა, თავისი სიმდაბლისა და სიპატარავის შესანიღბადაც გამოიყენა. არც აქეთ იყო, არც იქით. უფრო ზუსტად, აქეთაც იყო და იქითაც, რადგან ტახტსაც თავისი ეგონა და ტახტის მტერსაც. ტახტის წინ ერთგული ჯარისკაცის, მაგრამ "პროგრესულად მოაზროვნე" ადამიანის როლს თამაშობდა, ხოლო ტახტის მტრებთან გზააბნეული ბატკანივით იკატუნებდა თავს, ვითომ უძღები შვილი კი არა ვარ, არამედ უძღები მშობლების შვილიო; თვითონ კი არ გაქცეულიყო მამისეული სახლიდან, მამისეული სახლი გაქცეოდა და ელოდებოდა, ელოდებოდა, ელოდებოდა, ოხ, რომ იცოდეთ, როგორ ელოდებოდა, როდის დაუბრუნდებოდა მამისეული სახლი თავისით, თავისთავად. მამამისის არ იყოს, თავად არც არაფრის დაბრუნება შეეძლო, არც არაფრის შენარჩუნება. იქამდე დაეყარა ფარხმალი, ვიდრე ბრძოლის დრო დაუდგებოდა. იქამდე შეჰგუებოდა დამარცხებას, ვიდრე შეიტყობდა, დამარცხებული ვყოფილვარო. და, რაღა გასაკვირია, მამამისივით, იმასაც უიღბლობისთვის დაებრალებინა თავისი სიგლახე, დედის სიბრიყვემდე დაეყვანა ის უბედურება, არა მარტო მათ ოჯახს, მთელ მათ სამშობლოს რომ დასტყდომოდა თავს, და რაშიც, გარკვეული თვალსაზრისით, თვითონ და მამამისი უფრო მეტად იყვნენ დამნაშავენი, ვიდრე ერთის

დედა და მეორის ცოლი, რადგან ქალი მაშინ ბრიყვდება, როცა კაცის “სიჭკვიანეზე” ინდაურებსაც ეცინებათ ღობის გადაღმა. ქალი მაშინ იღებს ხელში ოჯახის სადავეებს, როცა კაცი დაუძლურდება, დაჩაჩანაკდება და იმისთვისღა ვარგა, ცოლის ანდა დედის ზურგს უკან მუშტში იხითხითოს, ცოლის ანდა დედის სიბრიყვე ხელზე დაიხვიოს, შარაზე გამოვიდეს და ამვლელჩამომვლელის გასაგონად იძახოს: უიღბლო ვყოფილვარ, ბატონო, და იღბალთან ვის რა გასვლია, მე რომ გამსვლოდაო; მე ღვთისნიერი ცოლი (ანდა დედა) რომ შემხვედროდა, მე ვიცოდი და ჩემმა კაცობამო, ჩემს ეზოზე ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა უნებართვოდ და ჭიანჭველა ვერ გადაცოცდებოდაო. ფუი, ჩვენს კაცობას! მამა იმდენად გულსუსტი გახლდათ, ბოლომდე ვერც გააცილა. თავი აარიდა გამოთხოვების მძიმე წუთებს. ვინ იცის, რომელიღაც ფარდულს ამოფარებული, ქურდულად უთვალთვალებდა, როგორ აჰყავდათ გემზე ორმოცი განწირული ბავშვი, რომლებსაც თავიანთი ბრიყვი და მხდალი მშობლებისთვის “კაი ცხოვრება” უნდა ჩამოეტანათ მილუტინის სამხედრო გიმნაზიიდან. აკი ჩამოუტანეს კიდეც. დედამისს სიკვდილამდე არ მოჰკლებია პუდრი, ლიქიორი და პაპიროსი. არ მოჰკლებია, მაგრამ შვილი ამაგს კი არ უხდიდა, როგორც თვითონ ეგონა ალბათ, არამედ ლაჩრულად სჯიდა. როგორც შეეძლო, ისე ახარებდა თავის ჭიას, ანუ სხვებისთვის საიდუმლო ჯავრსაც იყრიდა დედაზე და, ამავე დროს, დედის პატივისმცემელიც გამოდიოდა სხვათა თვალში. საბრალო მღილი. გულღრძო იანუსი. ხელი კი არ გაუწოდა ცხოვრებისგან ჭკუაშეტრიალებულსა და თავგზააბნეულ ქალს, კიდევ უფრო ღრმად ჩაფლო სიბრიყვის ჭაობში. პაპიროსის ბოლით გააბრუა, ლიქიორით დაათრო, პუდრი შეაყარა თვალებში და კიდევ უფრო დაარწმუნა, მართალი რომ იყო, სწორად რომ ირჯებოდა, როცა ძველს დაუფიქრებლად ანადგურებდა და ახალს ბრმად ეპოტინებოდა. ჰარალალი, ჰარალალი! მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ისაა, ბრიყვი ქალი ქმარშვილზე მეტად კეთილშობილი რომ აღმოჩნდა ბოლოს, რადგან, რაც სწამდა, იმას ემსახურებოდა, რაც სწორად მიაჩნდა, იმისთვის იღვწოდა და რასაც

მიაღწია, ბევრად აღემატებოდა ერთი ქალის ძალასა და შესაძლებლობებს. ხოლო მისი ქმარშვილი იმას შეეწირნენ, რაც არ სწამდათ, იმას ემსახურებოდნენ, რასაც ბოროტებად თვლიდნენ და ის მოიპოვეს მხოლოდ, რისი მოპოვებაც ხელის გაუნძრევლადაც, სულის წაუწყმედავადაც შეეძლოთ: ერთმა სამარე, მეორემ სიმარტოვე. ჰარალალი, ჰარალალო! კუბო კი თავისას არ იშლიდა, მატარებლის ქროლვას აყოლილი, აქეთიქით დახტუნავდა და საბა ლაფაჩს აღარ ეგონა, ის ღამე თუ გათენდებოდა, როდისმე თუ ჩააღწევდა მშობლიურ სოფლამდე, სადაც კუბოს პირდაღებული სამარე ელოდებოდა და, უნდოდა თუ არა, მაინც დამშვიდდებოდა, თანაც სამუდამოდ (სამარის ერთი კედლის ძირას მამის კუბოს გამოეყო წვერი — თითქოს გულმა ვერ გაუძლო და მაინც გამოხედა ცოლს საბოლოო სახლის სარკმლიდანო). "ბათუმშივე უნდა დამეჭედებინა კუბო იატაკზეო" — ფიქრობდა კუბოზე გადამხობილი საბა ლაფაჩი და კუბოსთან ერთად ძაგძაგებდა, ხტოდა, აქეთიქით აწყდებოდა ვაგონის ჩახუთულ წყვდიადში. ისე იყო დაღლილი და ყინწმოწყვეტილი, მატარებლის გაჩერებისთანავე რული ერეოდა და ჩათვლემილს, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს იმ წუთას უნდა გაშორებოდა პირველად (სამუდამოდ!) თავის მშობლიურ სოფელს. თითქოს საბარგო ვაგონში კი არ იჯდა, არამედ მამაპაპურ სახლში. თითქოს ისევ ცხრა წლის ბიჭი, უხეშ, უგრძნობელ კუბოს კი არა, ცოცხალ დედას ეხვეოდა ფეხებზე: არ მინდა, ნუ გამიშვებთ, მეშინიაო. მაგრამ არავის არ ესმოდა მისი. დედა ქმარს უყვიროდა: რას ზოზინობ, გავიდა პარახოტიო. ბუხრის წინ დაბრძანებული ბაბუაც თვალს არიდებდა, ცეცხლში იყურებოდა, ვითომ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის სახლში. ეზოში აკრიახებული ქათამი დარბოდა. საბძლის ღია კარიდან ძროხა იმზირებოდა, დიდი, წყლიანი თვალებით. საბა. საბა. საბაო — ეძახდა გვიმრებში ჩაკარგული ნაკადული, ისევ წისქვილებისკენ უპირებდა გატყუებას, რადგან იმასაც არაფერი გაეგებოდა, ისიც ვერ ხვდებოდა საბას გასაჭირს. სამზარეულოდან ქალების ჟრიამული, სიცილკისკისი გამოდიოდა. ყავრის ყალიბში ურმის ბორბლისხელა ღვეზელი ცხვებოდა. ბებერი,

დაუძლურებული გადია სასიმინდის ქვეშ დამჯდარიყო შეშაზე და კაბის კალთით იმშრალებდა ჩაწითლებულ თვალებს. “ნუ გამოიტირე ეს ბაღანა წინასწარ, მაშინვე ომში კი არ უკრავენ თავსო” — იძახდნენ ბიძები, ბიცოლები, დეიდები, მამიდები, მეზობლები... მთელი სოფელი ირეოდა, მთელ სოფელს იქ მოეყარა თავი, თითქოს სასწავლებლად კი არ მიდიოდა, მომკვდარიყო და ასაფლავებდნენ (ასედაც გამოვიდა ბოლოს). “კაი ახლა, სირცხვილია, როგორ იქცევიო” — ეუბნებოდა დედა და ძალით აშვებინებდა ხელს. “მაი არაფერი, ბიძიკო, მე საიქიო მოვიარე, მაგრამ ქე დავბრუნდი უკანვეო” — იცინოდა ოსმალეთში ტყვედ ნამყოფი ცალთვალა აბესალომი, ბაბუამისის ნაყმევი და განუყრელი მეგობარი. “რამდენი ვინმე მხსომებიაო” — უკვირდა და უხაროდა კუბოზე ჩამოძინებულ საბას და აღნავლებული, მაგრამ ბედნიერი, დაბორიალობდა წარსულის ნანგრევებში, ვიდრე ისევ დაიძვრებოდა მატარებელი და კუბოზე ჩამოარტყმევინებდა ნიკაპს. იმ ქვეყნისა ბევრი აღარაფერი არსებობდა პირვანდელი სახით. იმ ხალხისგანაც აღარავინ იყო ცოცხალი. საბას მახსოვრობაშიღა არსებობდნენ ისინი და საბასაც ყველაზე მეტად ის სიამოვნებდა, ამის შესახებ არაფერი რომ არ იცოდნენ თავად, ვერასოდეს რომ ვერ წარმოიდგენდნენ, სწორედ მათი გულიდან მოგლეჯილი, მათგან განწირული ბავშვი თუ დაიმახსოვრებდათ აქამდე, თანაც სიძულვილით კი არა, სიყვარულით, და ცალთვალა აბესალომივით ისევ დაბრუნებდათ საიქიოდან. სიხარულით გულსავსეს გაეღვიძა საბოლოოდ, ნახშირის მტვრით მოფენილ იატაკზე, აძაგძაგებული კუბოს გვერდით. ხოლო ვაგონის ჭუჭრუტანებიდან, სიცივესთან ერთად, სინათლეც რომ შემოვიდა, ისეთი სიმშვიდე და სიმსუბუქე დაეუფლა უცებ, თვითონვე გაუკვირდა, რადგან მთელი ღამე, ქვეცნობიერად, იმასაც წუხდა, კაცად არ ვივარგებ ხვალო. არც ხორცი ტკიოდა და არც სული. დახუთული ვაგონის წყვდიადში დედის კუბოსთან მეომარი, წარსულის ნანგრევებში ნახეტიალები — ერთიანად განწმენდილიყო ლამის ნახევარსაუკუნოვანი უჟმურისგან, ბოღმისგან, დარდისა და სინანულისგან. არც არავინ სძულდა, არც არავის ამტყუნებდა.

არც დაკარგულ ბავშვობას მისტიროდა, არც ყაზარმაში გაფლანგულ წლებს. ერთადერთი შეგრძნება, რითაც სულიანხორციანად გაჟღენთილიყო, დაბრუნების შეგრძნება იყო, ესოდენ სანატრელი და ესოდენ უცხო მისთვის, რადგან იქამდე მსგავსიც არაფერი განუცდია, თუმცა ჯიუტად ირწმუნებდა თავს, უფრო სწორად, ყველა ღონეს ხმარობდა, დაბრუნებულად რომ ჩაეთვალა თავი, მაგრამ არც მრწამსს, არც ქველმოქმედებას, არც პოეტობასა და არც თავად სიყვარულს არ შესწევდა თურმე უნარი მისი დაბრუნებისა; მრწამსიც, ქველმოქმედებაც, პოეტობაცა და სიყვარულიც სწორედ იმისი დადასტურება იყო, ჯერ კიდევ უგზოუკვლოდ რომ დახეტიალობდა, ჯერ კიდევ შორს რომ იყო საბოლოო ნავსაყუდელამდე, საიდანაც ოდესღაც გამოსულიყო ცხოვრების ზღვაში, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო. მრწამსიც, ქველმოქმედებაც, პოეტობაცა და სიყვარულიც დაკარგული გზის ძიება იყო მხოლოდ, ერთადერთი გზისა, რომელიც იქ მიიყვანდა, სადაც უნდა მისულიყო, აუცილებლად, არა ვიღაცის ჯიბრით, არამედ ბუნების კანონის ძალით — თავის ფუძეზე, თავის ჭერქვეშ, თავის აკვანთან და თავის სამარესთან. ამ გზის ჩვენება კი მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც საერთოდ მოავლინა ქვეყანაზე. და აი, ასედაც მომხდარიყო ბოლოს. დედის ცხედარს კი არ მიაცილებდა ის, უკანასკნელ ვალს კი არ იხდიდა მშობლის წინაშე, დედის ცხედარი მიუძღვოდა იმას ჭეშმარიტი სახლისკენ. საკუთარი სიკვდილით შვილის უაზრო წანწალსაც უსვამდა წერტილს და, რაც მთავარია, დაბრუნების ნებას აძლევდა თავისსავე განდევნილს. ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა განდევნის მიზეზთა კვლევას. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მოხდა და გათავდა. და მადლობა ღმერთს, სწორედ ასე რომ მოხდა და არა სხვანაირად. შეგნებულად ჩაიდინა ეს დედამისმა თუ შეუგნებლად, სიბრიყვითა თუ სიბრძნით, ამასაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან შედეგით ფასდება ყველაფერი და ვაი იმას, ვისაც მოთმინება არ ეყოფა, ანდა ბოლომდე არ აეხილება შედეგის დასანახი თვალი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მარტო იმ თავბრუდამხვევი, გამაცოცხლებელი, გამასუფთავებელი, ყოველ-

გვარი ხინჯისგან ერთბაშად განწმენდავი შეგრძნებისთვის ღირდა ნებისმიერი ტანჯვისა და დამცირების გადატანა, რითაც ახლა საბა ლაფაჩი იყო გამსჭვალული. ეს შეგრძნება შინ დაბრუნების შეგრძნება იყო, ოდისევსისთვის განკუთვნილი, ოდისევსობით მოპოვებული, რისი განცდაც ყველა გზააბნეულს როდი ღირსებია, რამდენადაც დაბრუნება უკან დახევას ანდა არჩევანს კი არ ნიშნავს, არამედ იმის დამტკიცებას, ნამდვილად ღირსი რომ ხარ ადგილისა და სხვა ვერავინ რომ დაიკავებს იმ ადგილს, ვერც ძალითა და ვერც ვერაგობით, რამეთუ მხოლოდ შენთვის განამწესა უფალმა! განა აჯობებდა სხვანაირად წარმართულიყო საბა ლაფაჩის ცხოვრება? საკუთარ კისერზე არ ეწვნია ის, რაც იწვნია? თანდათანობით, ტანჯვითა და ტკივილით არ ახელოდა თვალი იმაზე, რაზედაც აეხილა? არა, არავითარ შემთხვევაში. მაშინ საბა ლაფაჩიც ერთი იმათგანი იქნებოდა, ბაქანზე რომ ელოდებოდნენ ახლა, თავიანთი პატივისცემისა და თანაგრძნობის გამოსახატავად. იმასაც ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი სიამაყისა და მოკრძალების გრძნობა დაეუფლებოდა, საბარგო ვაგონიდან ჩამომხტარი ეპოლეტებიანი თანასოფლელის დანახვაზე; ისიც ვერაფრისდიდებით ვერ დაიჯერებდა, სწორედ ის რომ იყო მისი მთავარი მტერი, ვინც მწყალობლად და ქომაგად აჩვენებდა თავს; ასევე ვერ წარმოიდგენდა, ლამის ქვეყნის მპყრობელი ხელმწიფე, მაინცდამაინც მისი გადაბრეცილი ფაცხისა და მისი ერთი მტკაველა ყანის მოშურნე თუ იქნებოდა. ვერაფრით ვერ დაიჯერებდა. ისიც უნდობლად, ცოტა დაცინვითაც (კაი ერთი, თუ კაცი ხარ!) გაუღიმებდა ამის მთქმელს და არა მარტო უვიცობის, სიბნელის გამო, არამედ, ჯერჯერობით, კიდევ შეურყვნელი, მტრისთვის, ჯერჯერობით, კიდევ მიუდგომელი გულუბრყვილობისა და თანდაყოლილი, ძვალრბილში გამჯდარი ნდობის გამოც. ამას რომ მიხვედრილიყო, ცხრა წლისა გულიდან უნდა მოეგლიჯა დედას და გულღრძო, ტვინგაყინული, სხვათა ღირსებათა მოსპობაში გაწაფული მასწავლებლებისთვის მიეგდო, რომლებისგანაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ისწავლიდა, უცხო რომ იყო იმათთვის, არა იმათნაირი და, ამიტომაც, ზედმეტი, საძულ-

ველი, ხელისშემშლელი, სასწრაფოდ ამოსაძირკვი ანდა გადასაგვარებელი. თუკი რამე შერჩებოდა საკუთარი, იმათგან გამოსარჩევი, იმ მუნდირში უნდა ჩაემარხა — ვინ იცის, რამდენი ხნით — რომელსაც უნდა შეკვდომოდა, რადგან ის მუნდირი, პირველ რიგში, სწორედ საკუთარი აკვნის წაბილწვასა და საკუთარი სამარის გადახვნას დაავალებდა. აი, რამოდენა სიბრძნეს აზიარა დედის სიბრიყვემ. სიბრიყვემ? განა ჩიტი ბრიყვია, თავის ბარტყს ბუდიდან რომ აგდებს? ჩვენზე ნაკლებად უყვარს ან ჩვენზე ნაკლებად ეცოდება თავისი ბარტყი? პირიქით. უსაზღვრო, უმაგალითო დედური სიყვარული და დედური სიბრალული აიძულებს, ჩვენზე დაუნდობელი იყოს საკუთარი ბარტყის მიმართ. ურჩევნია, დაიღუპოს იგი, ვიდრე მთელი სიცოცხლე საპყარი დარჩეს, ბუდეში ჩალპეს, ბუდეში იფუტფუტოს სულ, როგორც მატლმა ჭრილობაში, ვერც ცის უსასრულობა განიცადოს და ვერც ბუდეში დაბრუნების სიამე. მაგრამ მართლა ასე ფიქრობდა საბა ლაფაჩის დედაც? ძნელი სათქმელია. არასოდეს არ ულაპარაკიათ ამაზე. მაგრამ საბა ლაფაჩის დედაც, უპირველეს ყოვლისა, დედა იყო და როგორც ნებისმიერ დედას, იმასაც შვილისთვის მხოლოდ კარგი უნდოდა, მხოლოდ კარგი, და რაც არ უნდა ბრიყვი ყოფილიყო, მისი სიბრიყვე დედურ ალღოს ვერ მოერეოდა, ვერ დააჩლუნგებდა, ვერც გადასძლევდა, ალღო მაინც თავისას გაიტანდა და აკი გაიტანა კიდეც. ალღომ აიძულა საბა ლაფაჩის დედა, ხელი ეკრა შვილისთვის, მთელი სიცოცხლე გულუბრყვილოდ რომ არ დარჩენილიყო ის, ბრმად არ მინდობოდა ყველას. თავიდანვე სცოდნოდა, დედისგან განწირულს, სხვაც არ ჩაიხუტებდა უანგაროდ, თავიდანვე სცოდნოდა, სად ცხოვრობდა, რა ქვეყანაში, რა დროს, და დედის სიბრიყვით, დედის სიხარბით, დედის დაუნდობლობით აცრილს, უფრო იოლად გადაეტანა სხვათა სიბრიყვე, სხვათა სიხარბე და სხვათა დაუნდობლობა. და, რაც მთავარია, არასოდეს დავიწყებოდა, ვინ იყო, ვისგან იღებდა სათავეს და საიდან გამოეძევებინათ, რაც არ უნდა მტკივნეული, მტანჯველი, შეურაცხმყოფელი ყოფილიყო ამის არდავიწყება. მთავარი არდავიწყება იყო. პირველ რიგში, ვინაობა უნ-

და გადაერჩინა და თუკი როდისმე საამისო დროც დადგებოდა, მერე გაერკვია, რამდენად სამართლიანი იყო მისი ეჭვი, მისი სიბრაზე და თუნდაც მისი სიძულვილი მშობლის მიმართ. მაგრამ როცა ამის დრო არ არის, როცა ღმერთმაც გაგწირა და კაცმაც, როცა მტერი ტკბილი ნანინათი გიპირებს ჩაძინებას, როცა შენი წინაპრის მახვილი დუქნის კედელზე ჰკიდია, საანგარიშოს გვერდით, როცა შენი წინაპრის მუზარადი პრისტავის ცოლს ღამის ქოთნად გაუხდია — შენიანით აღძრული ეჭვიც, შენიანებზე განრისხებაც და შენიანის საქციელით მოგვრილი სირცხვილიც იარაღია, თანაც ერთადერთი იარაღი, რომლითაც კიდევ შეგიძლია გადაარჩინო შენი მეობა. რა თქმა უნდა, შენზე არ იყო დამოკიდებული, კაცად გაჩნდებოდი თუ პირუტყვად, საბა იქნებოდი თუ ლაბა, მაგრამ კაცად გაჩენილი პირუტყვად რომ არ იქცე, შენიანი არასოდეს არ უნდა გახდეს შენთვის სულერთი და, თუ სიყვარულს არ იმსახურებს, სჯობს გძულდეს, სიშლეგემდე, გულის გახეთქვამდე, ვიდრე მშვიდად ჩაიქნიო ხელი და თქვა: ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო, რადგან შენიანთან ერთად, იმავე წუთას, შენც ჯანდაბაში ამოყოფ თავს. ასე ფიქრობდა საბარგო ვაგონში დედის კუბოსთან დაჩოქილი საბა ლაფაჩი და ბედნიერების მდუღარე ცრემლი ჩამოსდიოდა ნახშირის მტვრით გადაშავებულ სახეზე. ვაგონი მიძაგძაგებდა. ჭუჭრუტანებიდან შემომძვრალი სხივები შუბებივით ესობოდნენ კუბოს და კუბოცა და მის წინ დაჩოქილი ჭირისუფალიც მზის ათინათში იყო გახვეული. “დედა. დედა. დედა”. — ზედიზედ იმეორებდა საბა ლაფაჩი, თითქოს სხვა სიტყვა არ იცოდა ჯერ, ანდა თითქოს ამ ერთი სიტყვითაც შეიძლებოდა იმის გამოხატვა, რაც იცოდა, რაც განეცადა, რასაც იმ წუთას განიცდიდა და რაც ჯერ კიდევ განსაცდელი ჰქონდა. “დედა. დედა. დედა.” მატარებელი მიქროდა. ვაგონი ძაგძაგებდა. კუბოც. საბაც. ხელი კუბოზე ედო და ბედნიერი იყო, უსაზღვროდ ბედნიერი. დედის კუბოს არა მარტო გაგების უნარი გაეჩინა მისთვის, არამედ მიტევებისაც. გაიხარა გულმან მისმან და გალობდა ენაი მისი. “დედა. დედა. დედა.” აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა, და ყველაფერი ეს, ერთად აღებული,

არის დედა; ხოლო ვინც ამას ვერ მიხვდება, თუნდაც სიბერეში, მღილია და არა ადამიანი, რომელსაც დედა კი არ შობს, არამედ დროის ჭუჭყი და სიბინძურე აჩენს; ვერც ქველმოქმედი გამოვა, ვერც პოეტი და ვერც რაინდი. ტყუილია! თავსაც იტყუებს და სხვასაც ატყუებს, რადგან არც სიქველისა გაეგება რამე, არც პოეზიისა და არც ქალისა: მშობელს — ანუ დედას — უარყოფს და გამჩენს — ანუ ჭუჭყსა და სიბინძურეს — ეგუება, მშვენივრად გრძნობს თავს იმ ჭუჭყსა და სიბინძურეში და ხარკსაც უხდის, პუდრს, პაპიროსსა და ლიქიორს უზიდავს, სიხარულით, სიამოვნებით, რადგან გამჩენის ვალიდან ასედაც შეიძლება ამოსვლა, მშობლის ვალი კი გაცილებით მეტს გულისხმობს, უფრო სწორად, მშობლის ვალიდან ამოსვლა შეუძლებელია, რადგან ვალი კი არ არის, ბედისწერაა და პირადად შენი მშობლის კეთილდღეობაზე ზრუნვას კი არ გავალებს მხოლოდ (იმას არაფერი არ უნდა შენგან, შენი კარგად ყოფნის მეტი. ხელიც რომ აღმართო იმაზე, კიდევ აქეთ გკითხავს, შენ ხომ არაფერი გეტკინაო), არამედ საერთოდ სიცოცხლეზე ხარ პასუხისმგებელი და თანაც სამივე დროში ერთნაირად: წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც; დედა სამ დროში განფენილი უსაზღვროებაა და არა ავადმყოფი ქათამივით ნავთქურასთან მობუზული საბრალო, გზააბნეული, ცხოვრებისგან გაპამპულებული და ქმარშვილისგან განწირული დედაკაცი, რომელსაც ისევ ქმრისა და შვილის გამოსაფხიზლებლად, შესაძრწუნებლად და გასაღიზიანებლად ჩაუგდია თავი ამ დღეში. “დედა. დედა. დედა”. — სულათრთოლებული იმეორებდა საბა ლაფაჩი. დედა. დედა. დედა. — მასთან ერთად იმეორებდნენ მატარებლის ბორბლებიც. მან უკვე იცოდა, სამუდამოდ რომ ბრუნდებოდა შინ და როცა მატარებელი გაჩერდა, როცა ვაგონიდან ჩამოხტა და როცა პატარა ბაქანზე თავშეყრილი, მისი მომლოდინე (მისი და არა კუბოსი) თანასოფლელები, დამწუხრებული, დადუმებული, ნელა, თითქოს გაუბედავად დაიძრნენ მისკენ, პირველი სამძიმრის სათქმელად, ისე მხიარულად მოიკითხა ყველანი, ისე გულითადად მიესიყვარულა ყველას, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა დამხვდურები, რომლებიც უფრო

მისი მუნდირის ხათრით იყვნენ დამწუხრებულნი და მისი მუნდირის შიშითა და პატივისცემით ივიწყებდნენ ძველ წყენას, რაც დედამისისგან ახსოვდათ. “რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა აქაურობაო” — იძახდა ბავშვივით აღტაცებული და ოდნავი კოჭლობით მიყვებოდა დედის კუბოს. “ფეხზე რა მოგივიდათ, ბატონოო” — ზრდილობის გამო ეკითხებოდნენ დამხვდურები, მაგრამ თვითონ ვერც ამჩნევდა, თუ კოჭლობდა. არაფერი არ სტკიოდა, არაფერი არ აწუხებდა. პირიქით, არასოდეს არ ყოფილა ასე საღი, სულიანხორციანად, და ამ უჩვეულო შეგრძნებით ოდნავ თავბრუდახვეული, ლაღად მიჰყვებოდა კუბოს, თითქოს ძვირფასი ძღვენი ჩამოეტანა თავისი სოფლისთვის. ქუდმოხდილი ესალმებოდა ღობეებთან მომდგარ დედაბრებს, თავის კანტურით რომ მიაცილებდნენ და მომუწულ ხელებს ფრთხილად, დასანახად ირტყამდნენ ლოყაზე, ვითომ ეს რა მოგვივიდა, ეს რა ჭირის დღე ჩამოვარდა ჩვენს სოფელშიო. ის კი ბედნიერი იყო. არდადეგებზე ჩამოსული გიმნაზიელივით მიკუნტრუშობდა ორღობეში, დედის კუბოს უკან, ნახშირის მტვრით გადაშავებული, ვაგონიდან ჩამოხტომისას ფეხნატკენი, გამოუძინარი, მოწიწებაზე მეტად, გაკვირვებისა და სიბრალულის აღმძვრელი, მაგრამ სხვებმა რა იცოდნენ, რა ხდებოდა მის გულში; დედის კუბო მარტო დედის კუბო კი არ იყო მისთვის, არამედ ბრმის ჯოხიც. დიოგენეს ფარანიც, არიადნეს ძაფის გორგალიც, ურომლისოდაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვიდოდა უსაფუძვლო ეჭვის, უგვანო უმადურობისა და უსამართლო სიძულვილის ლაბირინთიდან. “აღარსად აღარ წავალ, მშობლებსაც უკეთესად მივხედავ და თავსაცო” — ფიქრობდა ხალისიანად, თითქოს ქალის დასანიშნად მიდიოდა და არა დედის დასამარხად. იმაზე ფიქრობდა, როგორ ტკბილად და უზრუნველად გაატარებდა დარჩენილ ცხოვრებას სოფლურ სიწყნარეში, დაუზარელი, ხელის გამმართველი და პატივისმცემელი მეზობლების გვერდით, ცხოვრებისგან განმდგარი, “ბერად აღკვეცილი” დაგვიანებული სიყვარულის მოსანანიებლად. იმაზე ფიქრობდა, რა მტანჯველად სასიამოვნო და სასიამოვნოდ მტანჯველი იქნებოდა ნატოზე ფიქრი ნატოსგან ასე

შორს... და ასედაც მოხდებოდა ალბათ, თვითონვე რომ ყოფილიყო თავისი თავის პატრონი. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჯერ მუნდირს ეკუთვნოდა, ჯერ კი არა — სამუდამოდ, ვიდრე თავად ის მუნდირი არ დაკარგავდა ძალას. ასე რომ, დედის დასაფლავებისთანავე ფრონტზე უკრეს თავი. ართვინისკენ მიმავალი, ბათუმში ერთი დღე გააჩერეს მხოლოდ, ქარის ამოსაღებად, მაგრამ ის ერთი დღეც სირბილში გაატარა, ხან ყვავილებს დაეძებდა და ხან ნარინჯს, რადგან, თითქოს განგების ძალით, მაინცდამაინც დიმიტრის გადაეყარა, მაინცდამაინც დიმიტრის პირიდან შეიტყო, მის ლექსებში ჩამწყვდეული ხატი მარადიული უმანკოებისა, მარადიული სიწმინდისა და მარადიული ბავშვობისა, სინამდვილეში, ჩვეულებრივი ადამიანი რომ იყო, თავისი გზა ჰქონდა, დროსა და ბუნებას ექვემდებარებოდა და არაფერი ესაქმებოდა გაპოეტებული ოფიცრის "შორით წვასთან" და "შორით დაგვასთან", უკვე ბავშვი ჩაეგორებინა კალთაში და სრულებითაც არ ხიბლავდა ლაურასა და ბეატრიჩეს გვერდით კვარცხლბეკზე დგომა. "თქვენ ჯერ ისევ გერჩით გული, საომრად მიდიხართ, მე კი ადრე დამაბერა შვილმა, ბაბუა გავხდიო" — უთხრა დიმიტრიმ, და საბა ლაფაჩმა პირველად მაშინ იგრძნო, როგორ დაბერებულიყო თვითონ, ის დაებერებინა ნატოს და არა მამამისი, რადგან მამამისისთვის ბაბუობა ბუნებრივი მდგომარეობა იყო, კანონზომიერების შემდეგი საფეხური, ხოლო ნატოს დედობა საბა ლაფაჩის უძლურობას ადასტურებდა მხოლოდ, ბებრულ უძლურობას, რადგან თავად ფიქრშიაც ვერ გაბედავდა იმას, რაც ნატოს გაებედა, უიმისოდ, შეიძლება, მისი ჯიბრითაც, მის მოსაშორებლად, რამდენადაც საკუთარ სიცოცხლეს, საკუთარ ვნებებსა და საკუთარ გრძნობებს ასახიერებდა და არა გაწმინდანებული მუზებისა, რომლებიც დასაძინებლადაც არ წვებიან ლოგინში. მაგრამ საბა ლაფაჩს უფრო გაუხარდა, ვიდრე ეწყინა ეს ამბავი. გსახარად მეტი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, პირველი გაგება იყო მისთვის, ასეთი ნატოც თუ არსებობდა, და რაკი თავადაც შეყვარებული გახლდათ, არ შეეძლო, არ აღფრთოვანებულიყო იმისი გამბედაობითა და სითამამით; არ მოხიბლულიყო, როგორც გმირობაზე

მეოცნებე ჯარისკაცი, სხვა, მისი მსგავსი ჯარისკაცის გმირობით. მეორეც ერთი, მისი ნატო, მთრთოლვარე სტრიქონებით დაწნულ გალიაში ჩიტივით გამომწყვდეული, ზრდაშეწყვეტილი, გაღმერთებული გოგო — დღეიდან მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთრება იქნებოდა, არა ხატი ვიღაცისა, არამედ დამოუკიდებელი, განუმეორებელი არსება, ბებრის ნუგეში, სიმარტოვის გადია, სინამდვილის შემცვლელი, ფიქრის გამჩენიცა და გადამრჩენიც. განა ეს ცოტაა? განა მეტს ელოდებოდა იქამდე? "ასე ჯობიაო" — თქვა ადგილზე აცქმუტებულმა. "მე არც არაფერს ვამბობ. თვითონაა ცოდო. ღმერთმა იცის, დაბრუნდება თუ არა ის ბიჭიო" — თქვა დიმიტრიმ. მაგრამ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთმანეთისა არაფერი გაეგებოდათ. დიმიტრის არასოდეს განეცადა ის, რასაც ახლა საბა ლაფაჩი განიცდიდა, ხოლო საბა ლაფაჩი ვერასოდეს გახდებოდა ბაბუა, თუნდაც უკანონო გზით. ერთი სული ჰქონდა, როდის დაემშვიდობებოდა დიმიტრის. უკვე იმაზე ფიქრობდა, რომელი ყვავილები გაეგზავნა ახალი, დღეს გაცნობილი ნატოსთვის, რომელი ყვავილები შეესაბამებოდა უფრო დედობის მილოცვას. მაგრამ თაიგულის გაგზავნის მერეც ვერ დამშვიდდა, ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან ნატოზე ფიქრი. ხან პატარა, პეპელასავით სიფრიფანა გოგო ედგა თვალწინ, ხან — სიყვარულს ნაზიარები ქალი, თვალში შუქჩამდგარი, მშვიდი და მიმზიდველი, ნაყოფით დახუნძლული ხესავით. მისი ნაწილი უკვე ეწყობოდა, უკვე ჟღარუნობდა საჭურველი, ხვიხვინებდნენ ცხენები, წინ და უკან დარბოდნენ ეფრეიტორები, ის კი, ჯერ ისევ თავის ოთახში იჯდა, მუხლზე დებილი ბავშვის თავივით უზარმაზარი, მეჭეჭიანი ნარინჯი ედო და მღელვარებისგან ენაგამოყოფილი, ხელათრთოლებული, დანის წვერით ზედ ისარგაყრილ გულს ჭრიდა. მისი ნაწილი უკვე გადიოდა ბათუმიდან, იმას კი, გაზეთში გახვეული ნარინჯი ამოედო იღლიაში და სხარტად მიაბიჯებდა დიმიტრის სახლისკენ. შიშისაგან ლამის სული გაჰპარვოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფერს აშავებდა — გაზეთში გახვეული ნარინჯი მიჰქონდა და მიდიოდა. ვერავინ მიიტანდა ეჭვს, ვერავინ დასწამებდა ცილს,

კარგ საქმეზე არ უნდა იყო გამოსული ამ შუაღამისასო, მაგრამ მაინც ეშინოდა, ფეხები უკან რჩებოდა, რადგან თვითონვე არ სჯეროდა, სწორად რომ იქცეოდა. “მართლა გამოვშტერდი ამ სიბერეშიო” — ფიქრობდა ცხარედ, მაგრამ მაინც მიდიოდა. თითქმის ნახევარი საუკუნე ეცხოვრა ამ ქვეყანაზე და რამდენიც არ უნდა ეცხოვრა კიდევ, იმაზე მეტს ვერაფერს მოიპოვებდა, რაც უკვე მოეპოვებინა, რაც დედის კუბომ მოაპოვებინა და რაც სავსებით კმაროდა საიმისოდ, მშვიდად დალოდებოდა სიკვდილს, არც სხვისი დასაცინი გამხდარიყო და არც სხვისი შესაცოდი. ამიტომაც მიძუნძულებდა ახლა, ქურდივით, მძინარე ქალაქის ქუჩებში. დიახ, მხოლოდ ამიტომ. ეტყობა, ეს გზაც უნდა გაევლო, გაზეთში გახვეული, იღლიაში ამოდებული ნარინჯიც უნდა მოეშორებინა, საბოლოოდ რომ დამშვიდებულიყო. თითქოს საკუთარი თავი მიჰქონდა: შერცხვენილი, მოჭრილი. ანდა თითქოს მოურჩენელი სენით შეპყრობილი, და ამიტომაც უსარგებლო გული ამოეჭრა და იმის გადაგდებას აპირებდა, ისევ კაცი რომ გამხდარიყო, ისევ რომ მიბრუნებოდა ცხოვრებას. ქალაქი უკაცურს ჰგავდა (კიდევ კარგი). საკუთარი ფეხის ხმა მისდევდა მხოლოდ. ათასში ერთხელ ზღვა ამოიხვნეშებდა ძილში, დარდიანი კაცივით, მაგრამ იმას არაფერი ესმოდა. ხოლო როცა დიმიტრის ეზოს გაუსწორდა, ნარინჯს გაზეთი შემოახია და ისე გადააგდო ღობის იქით, ფეხი არ შეუნელებია. ახლა აღარაფერი უჭირდა. ახლა ეტლს დაიჭერდა და იქამდე დაეწეოდა თავის ნაწილს, ვიდრე თვალში მოისაკლისებდა ვინმე. ორმოცი წელი იმპერიის ჯარისკაცი ერქვა, მაგრამ ბედი ზოგავდა თუ ომის ღმერთი უბზუებდა ცხვირს (ალბათ პატარა, არამხედრული ტანის გამო), პირველად მიდიოდა ნამდვილ ომში. მართალია, უკვე თვითონვე ეცინებოდა იმ წარმოდგენილ გმირობებზე, დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ სამხედრო გიმნაზიაში რომ ოცნებობდა, მაგრამ მის გუნებაგანწყობილებას ყველაზე უკეთ ახლა სწორედ ომი შეესაბამებოდა — ჯარისკაცული სიდუხჭირე, უსასთუმლობა, უგზოუკვლო ყიალი და განუწყვეტელი საფრთხე — ყველაზე უებარი წამალი მისი აფორიაქებული სულისთვის. ომი უფრო იოლად

გათიშავდა ნატოსგან, ვიდრე მშობლიურ სოფელში გახიზვნა. და არა მარტო იმიტომ, ომში ნაკლები დრო რომ ექნებოდა ნატოზე საფიქრელად, არამედ იმიტომაც, ომში უფრო ადრე რომ შეიძლებოდა მომკვდარიყო, ვიდრე მშობლიურ სოფელში. მაგრამ, ეტყობა, ბედისწერისთვის არც ომი არსებობს, არც უგზოობას დაგიდევს და არც დროს ეპუება, მაინც მოგნახავს, მაინც დაგეწევა, და აი, საბა ლაფაჩსაც დაეწია თავისი ბედისწერა — სადღაც, კლდეღრეებში ჩაკარგულს, ერთი წუთით, თვალის მოსატყუებლად, ქვაზე თავმიდებულს, მაზარაწაფარებულს, ხელი წაჰკრა და პოლიცმეისტერის ბარათი გადასცა. მავანი და მავანი თავისი შვილის მამად გასახელებთ და სახელმწიფოს ინტერესებისთვის უაღრესად საჭიროა სიმართლის დადგენაო — ეწერა ბარათში. ჯერ თვალს არ დაუჯერა, მერე ისიც კი იფიქრა, ალბათ ავად ვარ, სიცხე მაქვსო. მაგრამ შიკრიკად გადაცმული ბედისწერა თავზე ედგა და უმეორებდა, დილით უკანვე უნდა გავბრუნდე, სასწრაფოდ უნდა ჩავიტანო პასუხიო. გათენებას ბევრი აღარაფერი უკლდა, საბა ლაფაჩს კი მთელი დარჩენილი სიცოცხლეც არ ეყოფოდა იმის გამოსარკვევად, რაც ხდებოდა, ცხადში ხდებოდა თუ სიზმრად. არც გიჟი იყო, არც ჭკვიანი, არც მკვდარი და არც ცოცხალი. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს: აპამპულებდნენ თუ... თუ რა? სხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო? მაგრამ ვინ აპამპულებდა? პოლიცმეისტერი თუ ნატო? თუ ორივე ერთად? კი მაგრამ, ან ერთმა რა იცოდა, ან მეორემ მისი სიყვარულისა? იქნებ, დიმიტრიმ შეატყო რამე ლაპარაკისას? იქნებ თაიგულმა გასცა? ან იქნებ ვინმემ დაინახა, როგორ გადააგდო ნარინჯი დიმიტრის ეზოში? არა. გინდაც ასე ყოფილიყო, ამისთვის რატომ გაწირავდნენ, რატომ დასჯიდნენ ასე დაუნდობლად? რაღაც სხვა ამბავი იყო, მისთვის იდუმალი და ამოუხსნელი. დაძაბულობისგან ლამის გახეთქოდა თავი. ვერც კი შეამჩნია, როგორ გასცდა ბანაკს. მაზარამოხურული, უთავბოლოდ დაბორიალობდა აცრიატებულ წყვდიადში. და როცა თვითონაც აღარ ელოდებოდა უკვე, სწორედ მაშინ გაახსენდა ის, ვისზედაც იქამდე არასოდეს უფიქრია. ვინც მისთვის საერთოდ არ არსე-

ბობდა იქამდე, მაგრამ ვისი უგულებელყოფაც მიუტევებელი გულ-ნამცეცობა და უსინდისობა იქნებოდა მისგან, თუნდაც იმიტომ, თა-ვად ნატოს რომ უყვარდა იგი. აი, სად იყო, თურმე, ძაღლის თავი და-მარხული. იმას, ნატოს რჩეულს, დაეშავებინა რაღაცა სახელმწიფოს-თვის (აკი დიმიტრიმაც უთხრა: ღმერთმა იცის, დაბრუნდება თუ არა-ო), რის გამოც, მისი ნაშიერითაც დაინტერესებულიყო სახელმწიფო, რაც სრულებითაც არ არის გასაკვირი, რამდენადაც ესეც ერთერთი ჩვეულებრივი და მრავალგზის წარმატებით ნაცადი მეთოდია ანგა-რიშსწორებისა: ან დამნებდი, ან შვილს გამოეთხოვე! ხოლო საბა ლაფაჩი სწორად თუ ფიქრობდა (სწორად ფიქრობდა), მაშინ ისიც ადვილი ასახსნელია, რაღა მაინცდამაინც მისთვის დაებრალებინათ ნატოს შვილის მამობა. არავის არაფერი არ ავიწყდება, მით უფრო — გასაჭირში ჩავარდნილ კაცს, და რა გასაკვირია, დიმიტრისაც მაშინ-ვე საბა ლაფაჩი გახსენებოდა, რადგან თუ ვინმე იყო დავალებული მისგან, პირველ რიგში, საბა ლაფაჩი — დანდობისთვის, ნამუსის შე-ნახვისთვის. ასე რომ, თუკი ერთხელ დიმიტრი გაუჩუმდა, არ ამხილა მისი შერცხვენა, ახლა მისი ჯერი დამდგარიყო, ახლა მას უნდა მიეზ-ღო დიმიტრისთვის იგივე. რა თქმა უნდა, რასაკვირველია. ვალს გა-დახდა უნდა. ხელმა ხელი უნდა დაბანოს. ასეა მოწყობილი ქვეყანა, და არც საბა ლაფაჩი დაიხევდა უკან, არ გააწბილებდა მევალეს, პირწმინდად დაუბრუნებდა, რაც ემართა, მაგრამ ფიქტიური მამობა იმ ქალის შვილისა, რომელიც შეშლილივით უყვარდა, რომლის გუ-ლისთვისაც დაუფიქრებლად გადავარდებოდა ცეცხლში, ბედის და-ცინვა იყო და მეტი არაფერი; მხოლოდ და მხოლოდ იმას უდასტუ-რებდა, ფიქტიური რომ იყო თვითონაც და ნამდვილისთვის არაფ-რისთვის ვარგოდა. მაგრამ, ამავე დროს, განა უდიდესი პატივი არ იქნებოდა, თუნდაც ფიქტიურად, თუნდაც დროებით, იმისი განმასა-ხიერებელი ყოფილიყო, ვინც ნატოს უყვარდა? “ღმერთო, ნუ გადა-მაცდენ ჭკუიდანო” — შფოთავდა და მიდიოდა, ერთნაირად ჩაკარგუ-ლი ფიქრსა და წყვდიადში. ხან სველი ტოტი გაულაწუნებდა სილას, ხან ეკალბარდი ჩააფრინდებოდა მხრებზე მოგდებულ ფარაჯაში. მე-

რე ხორკლიანი, მობუბუნე, ზღვის სუნით გაჟღენთილი ქარი დაეძგერა და კოჭებამდე ჩაეფლო სველ ქვიშაში. მაგრამ მაინც მიდიოდა, მიბარბაცებდა, ფიქრის თოკს გამობმული, ფიქრის ნადავლი. ზღვა ჯერ არ ჩანდა, მხოლოდ ნაპირთან ქოთქოთებდა თეთრად. ქაფის ვიწრო, ხუჭუჭა ზოლი გასდევდა დაკლაკნილ ნაპირს. ზღვაზე ნისლი იგრაგნებოდა. ნისლის ერთი ბოლქვი ნაპირზეც ამოსულიყო, კაცსა ჰგავდა შორიდან. კაცივით იჯდა, თითქოს ახოვანსა და თმაწვერგაჩეჩილ მწირს დაბუჟული ფეხები წყალში ჩაუყრიაო. საბამ ნისლის ბოლქვში გაიარა და მაშინვე სუნთქვა შეეკრა, ცეცხლი შემოეგზნო სხეულზე, ელვარე სინათლემ თვალები ატკინა. “რომელიიგი მისგან იშვა, სულისა წმინდისა არსო” — ჩასჩურჩულა ვიღაცამ ყურში, ორივე ყურში ერთდროულად. შემკრთალმა, გაოცებულმა მოიხედა უკან, მაგრამ კაცის მსგავსი ნისლის ბოლქვის მეტი ვარფერი დაინახა. თუმცა, ნისლის ბოლქვიც აღარ ჰგავდა კაცს, კვამლივით აწოწილიყო, გაწეწილიყო, გაცრეცილიყო. ბანაკში რომ მობრუნდა, შიკრიკიბედისწერა უკვე კარავთან ელოდებოდა. დიდხანს აღარ შეუყოვნებია, ერთადერთი სიტყვა დაწერა ფურცელზე — ვადასტურებო — და ქვეშ ორჯერ, ორ ენაზე მოაწერა ხელი. ხოლო შიკრიკიბედისწერა რომ წავიდა, მუხლებზე დაემხო, მიტყუპული ხელის მტევნები პირთან მიიტანა და, თითქოს ეს წუთია, რაღაც საზარელი ცოდვა ჩაუდენიაო, ცხარედ, მღელვარებით, ფაცაფუცით წარმოთქვა: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევაი და ძალი და დიდებაი საუკუნეთა მიმართ. ამინ, ამინ. ამინ. ბავშვობაშიაც არ ულოცია ასე მხურვალედ. თუმცა, უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მისთვის, გაპამპულებული იყო თუ ვალმოხდილი, ბოროტება ჩაედინა თუ სიკეთე, თავისი კეთილშობილება დაედასტურებინა თუ თავისი არარაობა. რაც მთავარია, ეჭვიც აღარ ეპარებოდა, ამ ერთი დღისთვის რომ ცხოვრობდა თურმე. სასჯელიც ის იყო და ჯილდოც. სანა-

ნებლადაც ეყოფოდა და საამაყოდაც. ომი კი გრძელდებოდა. მაგრამ მთელი წელი ისე გავიდა, შორიდანაც არ მოუკრავთ მტრისთვის თვალი. ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა, ერთ გაუთავებელ, ამაზრზენ სიზმარს ჰგავდა, საიდანაც, ათასში ერთხელ, ერთი წამით, მისთვისაც მოულოდნელად გამოფხიზლდებოდა ხოლმე. მერე კი, ჯართან ერთად, ისევ უგზოუკვლოდ დაბორიალობდა ტყეღრეებში. მთავარსარდლობა ბორჩხაში იჯდა და იქიდან იძლეოდა ახალახალ ბრძანებებს, იმუქრებოდა, ილანძღებოდა, მუხლის ჩახრის საშუალებას არ აძლევდა ჯარს. ჯარი კი ამერიკული ცულებით მიიკვლევდა გზას გაუვალ ეკალბარდებში, დღისითა და ღამით. ხან კაცი გადაეჩეხებოდათ კლდიდან, ხან ცხენი. ღამღამობით, სასწაულად გადარჩენილი ძაღლები ყმუოდნენ მიტოვებული, ჩანაცრული სოფლებიდან და კიდევ უფრო აძრწუნებდნენ, აღიზიანებდნენ, თავგზას ურევდნენ უაზრო ყიალით გასავათებულ ჯარისკაცებს. მტერი არ ჩანდა, მაგრამ მთავარსარდლობა ღამით ცეცხლის ანთებასაც უკრძალავდათ. გაცოფებული ეფრეიტორები ღრიალით გამოედევნებოდნენ ხოლმე პეპელასავით აქაიქ გაელვებულ სინათლეს. ყველაზე ძალიან ყუბანიდან მორეკილ ჯარისკაცებს უჭირდათ კლდეღრეებში სიარული. ხანმოკლე შესვენებისას, იმის მაგივრად, ჩექმა გაეხადათ, თავი მიედოთ, ანდა თუთუნი გაეხვიათ, ისხდნენ და ტიროდნენ, ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ მტვრით გადათეთრებულ სახეებზე სიმწრის ცრემლი. საბა ლაფაჩს გულს უკლავდა ჯარისკაცების საცოდაობა, მაგრამ რას მისცემდა, პირადი მაგალითის მეტს? მანქანასავით დაუღლელი და უხორცოსავით უშიშარი, ჯარისკაცების გასამხნევებლად, ხან ერთ გორაკზე ააჭენებდა ხოლმე ცხენს და ხან მეორეზე. უზანგებზე აღმართული, ხელებს ჯვარცმულივით გაშლიდა და ვერაგულად გამოცარიელებულ სივრცეს გასძახოდა: გამოჩნდით, მესროლეთ, თუ ვაჟკაცები ხართო. მაგრამ მაინც ვერ ეღირსა გმირულად სიკვდილს. ციება შეეყარა და ორი თვე ბოდვაში გაატარა. თვალში რომ გამოიხედა, რიზაში იყო, ვიღაც ლაზი დედაბერი ძმარში გაწურულ ჭინჭს აფენდა შუბლზე. ერთი წამით, მკვდარ დედაში შეეშალა,

დედაო — დაუძახა გაკვირვებულმა. ხოლო ფეხზე წამოდგომა რომ შეძლო, იქვე დატოვეს, ბათუმტრაპიზონის სატრანსპორტო ხაზზე, და ისევ უაზრობის მორევში ჩაიძირა, სიგიჟის მორევში, რადგან სიგიჟეა და მეტი არაფერი, ერთ წელიწადში რკინიგზის გაყვანა ბათუმიდან ტრაპიზონამდე. ყველაფერი ინგრეოდა, ირღვეოდა, იხრწნებოდა, ფრონტიც მოშლილი იყო და ზურგიც. ჯარისკაცები საკუთარ ოფიცრებზე ნადირობდნენ. ხალხი ყველაფერს ჭამდა, რასაც კბილი მოეკიდებოდა: ხის ქერქს, ქალამანს, ჩალის სახურავს... ძარცვა, მკვლელობა, გაუპატიურება ცხოვრების წესად იყო ქცეული. არც არავის უკვირდა, არც არავინ ერიდებოდა. გაზეთები, თავშესაქცევი რომანივით, ნომრიდან ნომერში ბეჭდავდნენ მოკლულთა, თვითმკვლელთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიებს. მაგრამ იმპერია მაინც ხავსს ეჭიდებოდა, მაინც მათრახითა და ბრიყვთა ერთგულებით აპირებდა გადარჩენას. ასეთი ერთგული ბრიყვის შედგენილი პროექტით შენდებოდა ბათუმტრაპიზონის რკინიგზაც. ერთ ხელში პაპიროსი ეჭირა, მეორეში — მათრახი და ბუნებრივი დაბრკოლებების წინაშეც არ იხრიდა წარბს, მრავლად რომ არსებობდა ბათუმსა და ტრაპიზონს შორის. იმდენი მუშახელი მოაყარა იქაურობას, ჭიანჭველების ბუდეებს დაამსგავსა პირონიტი, რიზა, ხოფა თუ ართვინი. ნაპირთან იმდენი კარჭაპი, სანდალი, ბარჟა და ბარკასი ირეოდა, თოლია ვერ მოიქნევდა ფრთას. მაგრამ საქმე მაინც არ მიდიოდა წინ. ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ინჟინერს ხელისუფლების ნდობა და პატივი მხოლოდ და მხოლოდ მონური ერთგულებით ჰქონდა დამსახურებული და არა საინჟინრო ცოდნაგამოცდილებით. “კი მაგრამ, ამ კლდეებს რას უპირებთ? როგორ გინდათ მოერიოთო?” — ეკითხებოდა საბა ლაფაჩი. ის კი დამცინავად უღიმოდა და არც მთლად ქარაგმულად პასუხობდა: უფრო მაგრად უნდა უბრძანოთ და მაშინ ქვიდან წყალს გამოადენენო. საბედნიეროდ, საბა ლაფაჩს ისევ შეუბრუნა ციებამ და ამჯერად სანიტარულ გემზე გამოიხედა თვალში. “ჩქარა, ჩქარა, მაღლა ამოდით, წყალქვეშა ნავი მოგვდევსო” — დაუყვირა ვიღაცამ და ისიც დაფეთებული წამოვარდა საწოლი-

დან. უფრო ხმის შეეშინდა, ვიდრე წყალქვეშა ნავისა. იმავე წუთას გემი შეტორტმანდა და ნელნელა დაყირავდა. მერე, თავფეხიანად გასაწური, წყალნაყლაპი, ნავში იჯდა და ვერ გაერკვია, ესეც სიცხიანი კოშმარი იყო თუ სინამდვილე. წინ ვიღაც ეჯდა, ლამის დედიშობილა. პერანგის ამხანაგი ეცვა მხოლოდ და დიდი, აბრჭყვიალებული ჯვარი ეკიდა ბანჯგვლიან მკერდზე. წარამარა აცემინებდა. ხოლო ყოველი დაცემინების შემდეგ, პირჯვარს იწერდა და იცინოდა. ბათუმის ლაზარეთში სამსახურისთვის უვარგისად მიიჩნიეს და ამიტომაც იყო ალბათ, მაინცდამაინც რომ არ გადაჰყოლიან ზედ — აწი შენ თვითონ მიხედე შენს თავს, ხომ ხედავ, რა დღეში ვართ, ერთმანეთზე გვიწვენია დაჭრილებიო. არავის აღარ სჭირდებოდა იგი. ასე რომ, თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს, ახლა უკვე სამუდამოდ, დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელში, მშობლების საფლავებთან, და თავფეხიანად ჩაფლულიყო მოგონებებში, როგორც ხვლიკი სილაში. მართალია, ამისკენ მიისწრაფოდა თვითონაც, ამ დღეს ელოდებოდა სულ, როგორც ქალი გათხოვებას, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ ეგონა, ასე იოლად თუ მოიშორებდნენ თავიდან, ასე უსინდისოდ თუ დაუკარგავდნენ ნახევარსაუკუნოვან სამსახურს. ცოტა არ იყოს, ეწყინა, გაბრაზდა კიდეც, და ლაზარეთიდან გამოსულმა თუ გამოპანღურებულმა, პირველ რიგში, სამხრეები დააგლიჯა მუნდირს, თითქოს ამ მუნდირში კი არ გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, ახლახან ეყიდა შავ ბაზარზე, ვიღაც დეზერტირისგან. რა თქმა უნდა, გულგრილი, უმადური ხელისუფლების ჯიბრით მოიქცა ასე, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, მის არსებობას, ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ და მხოლოდ მუნდირი რომ აძლევდა აზრს. ახლა ხვდებოდა, ტყუილად რომ ემდუროდა ბედს, რადგან იქამდე, არც თვითონ იყო სხვებზე ბევრად ნაკლები და არც სხვა — იმაზე ბევრად მეტი. მეტნაკლებად ყველანი ერთნაირად იყვნენ გადამცდარნი ძველი გზიდან, რამდენადაც თავად ძველი გზა აღარ არსებობდა, და თუ აწუხებდათ, სიახლის შეგრძნება აწუხებდათ მხოლოდ, როგორც ჯერ კიდევ მოუტეხავი ფეხსაცმელი. მუნდირი კი არ აშორებდა თავი-

სიანებს, როგორც იქამდე ეგონა, უბრალოდ, მეტი ყურადღების ღირსად ხდიდა, რადგან თუ წარმოადგენდა რამეს, მუნდირის გამო წარმოადგენდა, მუნდირიანი სჭირდებოდა მტერსაც და მოყვარესაც, მუნდირი რომ ეცვა, იმიტომ ჰქონდა მნიშვნელობა, ვისკენ იქნებოდა ის, იმიტომ ეთვლებოდა ქველმოქმედებად, რასაც არაფრად ჩაუთვლიდნენ, უმუნდიროს რომ გაეკეთებინა იგივე, რადგან მუნდირიანისგან იყო გასაკვირიცა და დასაფასებელიც მამულიშვილური საქმიანობა (მაგალითად, არჩევნებზე ხმების შეგროვება, ანდა ქართულ სკოლაზე ზრუნვა) და არა ჩვეულებრივი, უპრეტენზიო და უუფლებო მამულიშვილისგან, რომლისთვისაც იგივე საქმინობა ისეთივე ბუნებრივი იქნებოდა, როგორც ქათმისთვის კვერცხის დადება. და, რაც მთავარია, მუნდირიანი სჭირდებოდა სიყვარულსაც, რადგან ვიდრე მუნდირი ეცვა, იქამდე ჰქონდა მხოლოდ ფასი იმის სიტყვას, იქამდე ჰქონდა მხოლოდ მნიშვნელობა მის უარსაც და დასტურსაც. მაგრამ ისიც წარმოუდგენელი, ისიც ენით უთქმელი, ისიც არაადამიანური უსამართლობა იყო, უმუნდირო, ასე მკვდარი თაგვივით რომ გადაეგდოთ იგი სანაგვეზე. ნუთუ იოტის ოდენა სიძულვილიც ვერ დაემსახურებინა ვინმესი, ახლა რომ გამოემჟღავნებინა იმას, თუკი ადრე ვერ უბედავდა მუნდირის შიშით? ნუთუ იოტის ოდენა სიკეთეც ვერ დაეთესა, თუნდაც მუნდირის წყალობით, ისე, ზრდილობისთვის მაინც რომ ეკითხათ ახლა მისი ამბავი? არა, რაღაცა უნდა მომხდარიყო კიდევ, რაც საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს იმ ნახევარსაუკუნოვან უაზრობას, რომელსაც საბა ლაფაჩი ერქვა, და უნდოდა თუ არა თავად საბა ლაფაჩს, ჯერჯერობით მაინც არსებობდა, მაინც იკავებდა გარკვეულ ადგილს ამ დაწყევლილ ქვეყანაზე. გამოლენჩებული დადიოდა, თუმცა, დუქანში თუ გადავიდოდა საჭმელად, დანარჩენი დრო, ოთახში ცხედარივით გაშოტილი, ელოდებოდა, არ კი იცოდა — რას. მაგრამ, სულ ცოტა, დღეში ორჯერ მაინც იგდებდა საფრთხეში თავს, რადგან დუქანში გადასული და დუქნიდან მობრუნებული, ბრმად, ალალბედზე გადადიოდა სატვირთო მატარებლებით გაძიძგულ ლიანდაგებზე და ყოველ წუთას შეიძლებოდა, ჩავარ-

დნოდა ორთქლმავალს. შეგნებულად კი არ იქცეოდა ასე, ამქვეყნისა აღარ იყო, ვერ ამყარებდა კავშირს გარემოსთან, ვერ აღიქვამდა გარემოს. მემანქანეები და მეისრეები დედას აგინებდნენ (მკვდარ დედას), ალბათ მაწანწალა ეგონათ, გაუპარსავი, გაუკრეჭავი, გაბინძურებული, მაგრამ თავად არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. არა, როგორ ვერ ხედავდა: ხან განრისხებული ნატო ედგა თვალწინ, რომელიც მისი წერილის ნაკუწებს სახეში აყრიდა, ხან კი — გახარებული, სახეგაცისკროვნებული, რომელსაც მისი წერილი ორივე ხელით მიეხუტებინა გულზე. ამ ორსახოვან ჩვენებას დაჰყავდა იგი გამოყრუებული ოთახიდან დუქნამდე და დუქნიდან გამოყრუებულ ოთახამდე. სხვა არაფერი არსებობდა მისთვის. ორსახოვანი ჩვენების მრისხანებაც ისევე ტანჯავდა, როგორც მადლიერება, მაგრამ იმისი ტყვე იყო, იმისი არჩივი, და ისიც, ორთავიანი სვავივით, დაუნდობლად უკორტნიდა თვალებს, გულს, ღვიძლს, სულს... არ შეეძლო, მაგრამ არც უნდოდა იმის მოშორება, რადგან თუ აძლებინებდა, მაინც ის აძლებინებდა, ის ავალდებულებდა მოლოდინს და ის უჩენდა გაბრძოლების სურვილსაც. ხან დანას დაისვამდა განგებ თითზე, ხან ქვით იჩეჩქვავდა ფრჩხილს, ვითომ კიდევ უფრო უაზრო, კიდევ უფრო ბრმა ტკივილით რომ გაებათილებინა დამაკნინებელი, დამაბეჩავებელი სიყვარულის ტკივილი. თუმცა, სიყვარულისა, ცხრა წლის ბიჭზე მეტი არც ახლა გაეგებოდა. ახლა უფრო ბნელი და უმწეო იყო ნამდვილი სიყვარულის გასაგებად და გადასატანად. ასე გადიოდა დრო და ისიც, დღითი დღე უფრო გლახაკდებოდა, დღითი დღე უარესად ეფლობოდა უმომავლო, უიმედო, უნაყოფო ცხოვრების წუმპეში. მხოლოდ დუქანში თუ იშორებდა, ისიც დროებით, სიმარტოვისა და განწირულობის შეგრძნებას. დახლიდარი პოლკოვნიკს ეძახდა, დიდი ამბით ესალმებოდა ყოველთვის და რაც არ უნდა ზედახორა ყოფილიყო, მაშინვე გამოუნახავდა ხოლმე ადგილს, “შევიწროვდით, პოლკოვნიკი მოვიდაო” — უხეშად მისწიმოსწევდა აყაყანებულ მთვრალებს და მაგიდას იდაყვით მოუპრიალებდა წინ, თუმცა უეპოლეტო, შავ ბაზარზე ნაყიდი თუ ნაქურდალი მუნდირი სხვასაც ბევრს

ეცვა მის დუქანში. ვიდრე იქაურობას შეეჩვეოდა, თავაუღებლად ჭამდა, დამფრთხალი, დაძაბული, ვინმე არ გამომელაპარაკოსო. ერთი სული ჰქონდა, როდის მოაპრიალებდა თეფშს და როდის დაცლიდა გაქონილ ჭიქას, მაგრამ მალე მიხვდა, ვერსად ვერ იპოვიდა უკეთეს ადგილს, უფრო ახლობელ და გამგებ ხალხს, რადგან იმათაც ისევე ეკიდათ ფეხებზე მისი ასავალდასავალი, როგორც თავად იმათი. ბოლოს და ბოლოს, დუქანში მასავით ხელმოცარული, უმაქნისი, ცხოვრებისგან ჩაწიხლული ხალხი იყრიდა თავს და იმათი ყაყანი, წუწუნი, ჩივილი თუ ქადილი თანდათანობით მასაც უხსნიდა ენას, მასაც უშლიდა ლაპარაკის საღერღელს, რასაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, სასმელიც უწყობდა ხელს. ცოტა ხანში ისე გაშინაურდა, ისე გათამამდა, თვითონაც აღარ უკვირდებოდა, რას ყვებოდა, რას მიედმოედებოდა ლოთური თანაგრძნობითა და ყურადღებით გაქეზებული. ის კი არა, ლექსებსაც კი კითხულობდა და ათასგვარ ლეგენდებს იგონებდა საკუთარ თავზე, მიუღწეველი დიდების შარავანდედით რომ შემოსილიყო შემთხვევითი მსმენელების თვალში, ვიდრე მაგიდაზე ჩამოიძინებდნენ ისინი, ანდა ვიდრე ერთმანეთს გაათრევდნენ თუთუნის ბოლითა და ამჟავებული, გაწებილი ოხშივრით გაჟღენთილი დუქნიდან. თვითონვე უკვირდა, რატომ იპყრობდა თავის გამოჩენის, თავის მოწონების დაუოკებელი ჟინი ამ უცხო, უსახო და უსახელო ხალხის წინაშე, მაგრამ სასმელს მიუჩვეველი, უცებ თვრებოდა და მერე განურჩევლად ყვებოდა ტყუილსა და მართალს, სინამდვილეში თუ ოცნებაში გარდახდენილს, და როგორც სუსტი ბუნების ხალხსა სჩვევია საერთოდ, უცებ აპილპილდებოდა ხოლმე, ვინმეს თუ ზღაპრად მოეჩვენებოდა მისი ნალაპარაკევი, იმიტომ კი არა, ტყუილში რომ იჭერდნენ და რცხვენოდა, არამედ იმიტომ... იმიტომ, რომ ტყუილის ღირსნიც არ იყვნენ ისინი, ტყუილის მოგონებაც არ შეეძლოთ, არც ოცნებისა გაეგებოდათ რამე, არც ფიქრისა, არც მოვალეობის გრძნობა განეცადათ, არც სიყვარული, არც ქვეყნის ბედით დაინტერესებულან როდისმე და არც ერთმანეთისა, მუცლის ჭკუაზე დადიოდნენ, ღორმუცელობას ეწირებოდნენ და იმისთვისაც მადლო-

ბა უნდა ეთქვათ, თავს რომ უყადრებდათ, გულს რომ უხსნიდათ ილიასა და აკაკის კუბოს ამწევი. "...და თუ ილია და აკაკი არაფერს არ ნიშნავს თქვენთვის, სამაგალითო ოფიცერი, რომელზედაც თავად იმპერატორმა, დიახ, თავად იმპერატორმა თქვა: ამ პატარა სხეულში დიდი სული დგასო... როდის? როდის და, როცა ბათუმში ბრძანდებოდა, ტაძრის კურთხევაზე, როცა თქვენ ჯერ კიდევ ძუძუს წოვდით და საკუთარ განავალში იწექით. თუმცა, იმის მერე ბევრი არაფერი შეცვლილა თქვენს ცხოვრებაში. ეგაა, რომ დედის ძუძუს ნაცვლად, ახლა ბოთლსა წოვთ. მე კი პოლკი წამიყვანია იერიშზე. გაფრენილ ბეღურას ვარტყამდი ტყვიას. ქალები თავს იკლავდნენ, მაინცდამაინც ჩემგან რომ გაეჩინათ შვილი. რახან თქვენთან ვსვამ და ვჭამ, ნუკი გაკადნიერდებით. თქვენ თუ გგონიათ... და ბოლოს... არა, სხვას მაინც ჰკითხეთ, ვინ ვიყავი, ვიდრე თქვენისთანა გავხდებოდი. უფრო სწორად, ვიდრე თქვენთან მომიყვანდა ეს უკუღმართი წუთისოფელი!" — ბობოქრობდა საბა ლაფაჩი, მაგრამ გაბრაზებულზე მეტად, სასმელითა და საკუთარი ნალაპარაკევით აღგზნებული, ცოტას თამაშობდა კიდეც, უფრო დიდხანს რომ მოესმინათ მისთვის, უფრო დიდხანს რომ ყოფილიყო მიზეზი და წარმმართველი დუქნური, ყოველდღიური, უსაფუძვლო და უშედეგო ვნებათაღელვისა. მაგრამ დახლიდარმა რომ უთხრა ერთხელ, ბედნიერი კაცი ხარო, ისე შეკრთა, ისე აიბურძგნა, თითქოს დედა შეეგინებინოს იმას. მაშინვე ჭიქა მიიყუდა, ვითომ ვერ გაიგო დახლიდარის ნათქვამი. დუქანში აღარავინ იყო, მთელ ქალაქში ცნობილი გიჟის მეტი. ისიც ზურგშექცეული იჯდა მაგიდასთან და სქელ რვეულში რაღაცას იწერდა გამალებული (რას ხედავდა, ნეტავი, იმ ბოლსა და ოხშივარში). დახლიდარი ჭურჭელს აგროვებდა. ფეხები ფლოსტებში წაეყარა. ნელა დადიოდა, ფეხმძიმე ქალივით. — ცხოვრება ნახე. ხალხში ტრიალებდი. ახლა პენსია მოგდის, გამზადებული, და ხარ შენთვის, არხეინად... — გააგრძელა დახლიდარმა. — მე ჯერ კარგი სიზმარიც არ მინახავს, სულ ყაჩაღი და პოლიციელი მესიზმრება. — ჩაიხითხითა თავისთვის. — ეს გიჟიც მჯობია. — ხელი მიუშვირა გიჟს. — ზის და წერს. თავს იქ-

ცევს. თავი სად მაბია, არ ვიცი. ღირდეს მაინც წვალებად. ხან ისე დაღამდება, ლუკმას ვერ ჩავიდებ პირში. — უცებ ჭუჭყიანი თეფში გაუსხლტა ხელიდან. თეფში ნამსხვრევებად იქცა იატაკზე. — შენი პატრონის დედაც... — შეუკურთხა გაგულისებულმა. — ვარდს ვთესავ და რა ამოდისო? — დაუძახა საბას. — ვენაცვალე მაგის დამწერს. შენი დაწერილი იქნება ეგეც. — ისევ ჩაიხითხითა და ერთმანეთზე შეხუხულავებული თეფშები ორივე ხელით მობოჭა. — დღე მიდის და ღამე მოდის, ვხედავ საქმე არ გამოდის... — წაიმღერა დახლისკენ მიმავალმა. თეფშები დახლზე დააწყო, ამოიხვნეშა და მძიმედ გამობრუნდა. თან სველი ტილო გამოაყოლა ხელს, მაგიდების გადასაწმენდად. — დღეს მე თავი უნდა მოვიკლა! — თქვა უცებ საბა ლაფაჩმა. — კაი, თუ კაცი ხარ! — ყალბად შეიცხადა დახლიდარმა. არ დაუჯერა. — მე დღეს თავი უნდა მოვიკლა! — გაიმეორა საბა ლაფაჩმა და ჭიქა გვერდზე გააჩოჩა. შეეზიზღა ღვინო, ღვინო თუ ეთქმოდა იმ მჟავე, ამღვრეულ სითხეს. — ეხ, პოლკოვნიკო, პოლკოვნიკო, — ამოიოხრა დახლიდარმა, — ხომ გაგიგონია, ერთი დღის სიცოცხლისთვის ხელმწიფემ ლეკვი შეჭამაო. — საქართველოს უკანასკნელი მეფე ზაქსა ჭამდა. ზაქიჭამიას ეძახდნენ. — თქვა გიჟმა. თავი არ აუღია, ისევ გამალებული წერდა რაღაცას. — უყურე, ამ შეჩვენებულს? ცალი ყური ჩვენკენ ჰქონია. ისე, რომ ჰკითხო, გიჟი ვარო. ადექი. ადექი. დავწვე უნდა აწი. — დაუძახა დახლიდარმა გიჟს. — აგერ, ვიღაცა სამი წელი მჯდარა ორმოში, ომში არ წამიყვანონო. — მიუბრუნდა ისევ საბა ლაფაჩს, — სხვამ თუ არ მოკლა, თავს როგორ მოიკლავს კაცი. — პაციფისტი. — თქვა გიჟმა. — ომის მოწინააღმდეგეს ზოგადად პაციფისტი ჰქვია, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ან გმირია ან მოღალატე. გააჩნია, ვისი ჯარისკაცია, მტრისა თუ შენი. — სად შვრებოდა ნეტავი? ალბათ, იქვე. ფუი. — გაიცინა დახლიდარმა. — დედას დაუღუპია. დიდი ფული აუღია პოლიციისგან. დედასაც ვეღარ ენდობა კაცი. — ისევ გაიცინა. ახლა უფრო ხალისიანად, გულიანად. უფრო გამალებით მოუსვა ჩვარი მაგიდის ზედაპირს. ჩვრის დანატოვარი სველი ზოლები გველებივით იხლართებოდნენ ერთმანეთში. — ასეა, ბატონო, ცხოვრება. და-

ლევ კიდევ? — მოაყოლა მოულოდნელად. საბა ლაფაჩმა სასწრაფოდ დააფარა ჭიქას ხელი, ორმოში დამალულ კაცსა და შვილის დამსმენელ დედაზე ფიქრობდა, აფორიაქებული. თითქოს მისი ამბავი მოეყოლა დახლიდარს. განა თვითონაც ორმოში არ ემალებოდა ცხოვრებას? სამი წელი კი არა, ნახევარი საუკუნე. განა დედამ არ "დაასმინა" ისიც? განა დედამ არ მიახვედრა, ცოცხლად რომ იმარხავდა თავს უაზრო სიძულვილში? თან ჭიქას აფარებდა ხელს, ღვინო არ დამისხას დახლიდარმაო, თან ამ ფიქრს უტრიალებდა, როგორც შიმშილით შეწუხებული თაგვი გემრიელ საცმუცნავს, რომლის შეჭმა ეშინია, არშეჭმა კი არ შეუძლია. — ყველას ჩვენ ჩვენი ორმო გვაქვს. ორმოში ვიმალებით ყველანი. — თქვა ხმამაღლა. — სიცოცხლეს ვუფრთხილდებით, არკი ვიცით, რაა სიცოცხლე, რას მოგვცემს, რაში გამოგვადგება. სიკვდილი. სიკვდილი. სიკვდილი გადაგვარჩენს მხოლოდ! — იყვირა უცებ. — ჩვენი დედა. ჩვენი კეთილი დედა. ჩვენზე მზრუნველი. ბატონო პოლიცმეისტერო, ამოიყვანეთ ჩემი შვილი ორმოდან. დახვრიტეთ, ჩამოახრჩვეთ, ოღონდ ერთხელ მაინც შეახედეთ მზისთვის, თუნდაც სიკვდილის წინ. ნუ ჩამარხავთ ორმოში, განავალივით... — ორივე ხელი ერთდროულად დაჰკრა მაგიდას და სხარტად წამოდგა. გიჟი თავაუღებლად წერდა. დახლიდარი, ცოტა არ იყოს, დაბნეული უყურებდა. ჩვრიანი ხელი მაგიდაზე დარჩენოდა, გაშეშებოდა. საბა ლაფაჩი კარისკენ წავიდა, მაგრამ დახლიდარს რომ ჩაუარა, შეჩერდა, მიუტრიალდა და ღიმილით, დაყვავებით უთხრა: კაცმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რას აკეთებს და რითი შეიძლება დამთავრდეს ის, რასაც აკეთებსო. — ბეჩა?! — პირი დააღო დახლიდარმა, ვითომ, რა სალაპარაკოა, ან მე რატომ მეუბნები ამასო. საბა ლაფაჩმა პირმოკუმულმა გაიცინა, ღვარძლიანად, დამცინავად. უცებ გიჟს მოჰკრა თვალი: თავაწეული გაფაციცებული იყურებოდა იმათკენ. რატომღაც გული აუჩუყდა, თუმცა იმის გარკვევაც ვერ მოასწრო, ვინ შეეცოდა: საკუთარი თავი, დახლიდარი თუ გიჟი. ალბათ სამივე, და ამ უნებლიე სიბრალულის დასამალავად, თვითონაც რომ არ გაუაზრებია, რას აკეთებდა, დახლიდარს წკიპურტი წაჰკრა ცხვი-

რის წვერზე. ხოლო როცა იმის დაბნეულ, გაკვირვებულ და სიმწრისგან ცრემლჩამდგარ თვალებს წააწყდა, შეწუხდა, გაშტერდა, ეს რა ჩავიდინეო. თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყო ყურადღების მისაქცევი, მაგრამ რაღაცა მაინც უნდა მოემოქმედებინა, თავისი უმსგავსო საქციელის ასახსნელად და გასაქარწყლებლად, რასაც ასე მოუთმენლად ელოდებოდა მისგან ნირწამხდარი დახლიდარიც. კი მაგრამ, როგორ უნდა აეხსნა და გაექარწყლებინა ის, რაშიც მისი ხელი არ ერია, უფრო სწორად, რაც მისი მეშვეობით მოიმოქმედა დიადმა, იდუმალმა სულმა, რომელსაც ადამიანი ღმერთს ეძახის და რომელსაც ბრმად ემორჩილება, რაკი თავად არ იცის, როდის როგორ მოიქცეს? — ბასტა! — თქვა შეწუხებულმა. — გინდა, კარგი ლექსი გითხრა? — მოაყოლა მაშინვე, უკვე აღგზნებულმა, აღელვებულმა. პასუხისთვის არ დაუცდია და გააგრძელა: ბასტა! აღარ მჭირდება სოფოკლე და პერიკლე... სოფოკლე და პერიკლე ბერძენი ფილოსოფოსები იყვნენ. ხალხს ანათლებდნენ, მაგრამ ვერ გაანათლეს. ბასტა! აღარ მჭირდება სოფოკლე და პერიკლე, ველოდები დიდებას, როგორც ჩვენი მერი... ვარდის მაგივრად რომ ამოდის — იმას. ხომ კარგია? დაიმახსოვრე. ჩემგან გქონდეს სახსოვრად! — მოამთავრა ფაცაფუცით. ერთი წუთით სამარისებური დუმილი ჩამოვარდა დუქანში. საბა ლაფაჩი და დახლიდარი ერთმანეთს შესცქეროდნენ, გიჟი — ორივეს. უცებ — თითქოს მატარებელი შემოვარდა დუქანშიო — სამივენი ერთდროულად ახარხარდნენ. “ეგ რომელი მერიაო” — ამოიკივლებდა ხოლმე დახლიდარი. “მაგას არა აქვს მნიშვნელობაო” — ხელებს ასავსავებდა საბა ლაფაჩი. გიჟი მუშტებს აბრახუნებდა მაგიდაზე.

მერე თავის ოთახში გულაღმა იწვა ტახტზე, თავქვეშ ხელებამოწყობილი და პირველად ამჩნევდა ირგვლივ გამეფებულ სიბინძურეს. თითის სისქე მტვერი დასდებოდა ყველაფერს. უთავბოლოდ ეყარა გამონაცვალი თეთრეული. დაბინძურებულ სარკეში ძლივსღა ირეკლებოდა დედის დანატოვარი ნივთები: კიდეჩამომტვრეული ნიჟარა თუ ბუდაპერჩის ხვლიკი, კუდში მომწყვდეული საპუდრეთი. დიდი

დრო გასულიყო. მაგრამ საბა ლაფაჩი თვითმკვლელის შიშნარევი ნეტარებით გრძნობდა, დასასრულს უახლოვდებოდა მისი მოლოდინი. იმასაც გრძნობდა, მთელი მისი უბედურება პატარა კაცის უბედურება რომ იყო და მეტი არაფერი. პატარა კაცი იყო. ჩია კი არა — პატარა. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო. მთელი სიცოცხლე საკუთარ სიპატარავესთან ბრძოლას შეალია მხოლოდ. თანაც უიარაღოდ, უიმედოდ, რადგან არც იარაღი არსებობს და არც რაიმე იმედი, როდისმე რომ გაიზრდები, ისეთი გახდები, როგორადაც ოცნებაში წარმოგვიდგენია თავი; რადგან შენ კი არა გაქვს არჩევანის უფლება, არამედ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ამოგივა ბედის ყუთიდან, რა ეწერება იმ ფურცელზე, ფურცლის იმ ნაგლეჯზე, რომელსაც, თავისი მიუდგომლობისა და სამართლიანობის დასადასტურებლად, ზღვის ვირთხას ამოაღებინებს ყუთიდან ბედის მწერალი. ცხოვრებაში პატარაც ისევე საჭიროა, როგორც დიდი, თუნდაც იმიტომ, უფრო ნათლად რომ წარმოაჩინონ ერთმანეთი. ასე რომ, სხვა დროს თუ დაიბადებოდა, ანდა ფურცლის სხვა ნაგლეჯს თუ ჩაავლებდა ვირთხა თავის აცმაცუნებულ ტუჩებს, შეიძლება... თუმცა, ესეც გამორიცხულია: სხვა დრო არ არსებობს; არც სხვა ფურცელი. მაშინ მოდიხარ ამ ქვეყანაზე, როცა უნდა მოხვიდე, და ზღვის ვირთხასაც სწორედ ის ფურცელი ამოაქვს ბედის ყუთიდან, რომელიც უნდა ამოიღოს. პატარა კაცის ერთადერთი შეღავათი ისაა, მის ხელთ რომაა მისივე სიპატარავე: უნდა — დიდის სამსახურში ჩააყენებს, უნდა — მოსპობს. მაგრამ მართლა მოიკლავდა ვითომ თავს საბა ლაფაჩი? ტყვიები რომ არ ჰქონდა რევოლვერში? მერე რა მოხდა, მარტო რევოლვერით ხომ არ იკლავს ხალხი თავს? ფეხსაცმლის ზონარითაც შეიძლება. მაკრატლითაც. სულაც ბალიშს დაიფარებ პირზე და ერთ წუთს გაძლებ უჰაეროდ. თავის მოკვლა თუ გინდა (თუ შეგიძლია), ერთ წუთსაც გაძლებ უჰაეროდ და ერთ საათსაც, ვიდრე არ დარწმუნდები. ნამდვილად რომ მოკვდი, ნამდვილად რომ აღარა ხარ. მაგრამ საბა ლაფაჩი თავის მოკვლას არც აპირებდა. იმიტომ კი არა, თავის მოკვლისა რომ ეშინოდა, ანდა არ უნდოდა, უბრალოდ, თვით-

მკვლელობაზე უფრო დიდ საშინელებას ელოდებოდა, და არა მარტო ახლა, ტახტზე გვამივით გაშოტილი, გაფუჭებული ღვინით თავატკივებული, გულაწრიალებული — არამედ, მთელი სიცოცხლე, მთელი სიცოცხლით დამსახურებულს და ამიტომაც გარდაუვალს, სასჯელისა და ჯილდოს ნაზავს, სასჯელში გადაზრდილ ჯილდოსა და ჯილდოში გადაზრდილ სასჯელს, რასაც პატარა კაცი იმსახურებს, დიდობისკენ განუწყვეტელი, დაუოკებელი მიდრეკილების გამო. და აი, ისიც ელოდებოდა, თავისი სიმარტოვის ორმოში გულაღმა გაშოტილი. ხანდახან ორთქლმავალი თუ შეიკივლებდა მოულოდნელად. მერე გაწვიმდა და წვიმის მძიმე შხეფი ხმაურით მოაწყდა სარკმელს, დაფეთებული, დაბრმავებული ჩიტების გუნდივით. მერე ვიღაცამ მოუკაკუნა კარზე და გველნაცემივით წამოვარდა ტახტიდან, თუმცა სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, თავფეხიანად გუწუწული ნატო რომ შერჩა ხელში. ხოლო რაც მერე მოხდა, უაზრობის, სისულელისა და სიგიჟის დომხალი იყო და სხვა არაფერი, როგორც მასპინძლისთვის, ისევე სტუმრისთვის. თითქოს მართლა ერთად კი არ იყვნენ, ერთ ჭერქვეშ, ერთ კედლებში, არამედ ერთმანეთს ესიზმრებოდნენ და რასაც ამბობდნენ, ანდა აკეთებდნენ, იმისთვის ამბობდნენ და აკეთებდნენ, ორივესთვის ერთნაირად დამაკნინებელი და გამაბითურებელი სიზმრიდან რომ გამორკვეულიყვნენ როგორმე. ნატოს ისიც კი აღარ ახსოვდა, რის სათქმელად, რა განზრახვით მოსულიყო აქ. ხანდახან იმაშიც ეპარებოდა ეჭვი, ნამდვილად აქ რომ იყო და ნამდვილად საბა ლაფაჩი რომ იყო ეს დაგლახავებული, გაბინძურებული, შეშლილი ბებერი, მეფე ლირივით, ხმელი ფოთლების გვირგვინი რომ დაეკოსებინა თავზე, გამწარებული რომ დაეძებდა ლიქიორის ბოთლს და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: სადღაც აქ არის, აბა, თან ხომ არ წაიღებდა უბედური დედაჩემიო. “სასმელი რომ დავინახო, ცუდად გავხდებიო” — ამრეზილი ფიქრობდა ნატო, თან გამალებული იმშრალებდა თავს ჭუჭყიანი პირსახოცით და გულიანად კისკისებდა: ბატონო საბა, ალბათ თქვენც კახპა გგონივართო. მერე ვითომ ნატო კი არ იყო, არამედ საბა ლაფაჩის დედა, რად-

გან საბა ლაფაჩის დედის კაბა ეცვა და საბა ლაფაჩის დედის ფლოსტები. ყვითელი, გაფუყული პომპონები წიწილებივით დასკუპებოდნენ ფეხებზე. “დედიკო. დედიკო, დედიკო”. — ეძახდა საბა ლაფაჩი. იმას კი პირჩამომტვრეული ნიჟარა მიედო ყურზე და გაფაციცებული უსმენდა სიცარიელის, არარაობის ერთფეროვანსა და გაუთავებელ შხუილს. “შენ ჩემი სიზმარი ხარ. პატარა კაცის დიდი სიზმარიო” — ეუბნებოდა საბა ლაფაჩი და, მის წინ დაჩოქილი, კალთაში უდებდა თავს, როგორც უპატრონო, მაწანწალა ძაღლი. ნატოს უნდოდა, ნიჟარა დაემტვრია თავზე, მაგრამ, ამის მაგივრად, ზიზღნარევი სიბრალულით უსვამდა ხელს გაზინთულსა და ქერტლიან თმაზე. “ეს ერთი დღე მაჩუქე. ეს ერთი დღე მაჩუქე. ვითომ ყვავილი მოგიტანია ჩემს საფლავზეო” — ლუღლუღებდა მის კალთაში პირჩამხობილი საბა ლაფაჩი. მაგრამ ნატოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ იყო მკვდარი, თითქოს მის ცხედარზე დამხობილიყო ეს საცოდავი, ამაზრზენი, უბედურებისგან შეშლილი კაცი. მკვდარ პატარძალს მისტიროდა თავადაც მკვდარი სასიძო. იმათზე იყო სწორედ ნათქვამი: მკვდარი მკვდარს აეკიდაო. მაგრამ მაინც ნატო გამოდიოდა ყველაფერში დამნაშავე. განა არ იცოდა, ასე რომ მოხდებოდა? განა იმიტომ არ მოვიდა აქ, ასე რომ მომხდარიყო? აბა, რამ მოიყვანა? ახლა, კეთილი უნდა ენება, და ყველაფერი უხმოდ მოეთმინა, ყველაფრის ნება მიეცა ამ კაცისთვის, რადგან თუ ვინმეს სჭირდებოდა, ამ კაცს სჭირდებოდა მხოლოდ. კი არ უნდა შეზიზღებოდა ის, არამედ ძალით უნდა გამოეწურა საკუთარი არსებიდან, როგორც ერთხელ უკვე გამოწურული ლიმონიდან, თუკი რამე შერჩენოდა კიდევ სიცოცხლისა, ადამიანობისა, ქალობისა და ნაწილობრივ მაინც ამოსულიყო ბრმად აღებული ვალიდან, ვიდრე სამუდამოდ გაიყინებოდა, გაშეშდებოდა, გაქრებოდა. მერე საბა ლაფაჩი ბებრულად, ამაზრზენად აქვითინდა და ნატომ უხეშად მოიშორა იგი, უმწეო, უძლური, თითქოს უარესად დაპატარავებული, კუდმოწყვეტილი ხვლიკივით. “ახლა ხომ დარწმუნდით, რომ აღარა ვარ. გამანებეთ ყველამ თავი!” — იყვირა ნატომ და გიჟივით გამოვარდა ოთახიდან. “მოიცა, ქოლგა წაიღეო” —

გამოედევნა საბა ლაფაჩი. მაგრამ ნატოს, ქოლგა კი არა, ისიც არ ახსოვდა, მკვდარი ქალის კაბა და ფლოსტები რომ ეცვა. მერე შეამჩნია, უკვე ქუჩაში გამოსულმა, მაგრამ არც უფიქრია უკან მიბრუნება. პირიქით, ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა აქაურობას. წამით შეჩერდა მხოლოდ, ფლოსტები სასწრაფოდ წაიძრო და საბა ლაფაჩს მიაყარა, თითქოს ძაღლი მოიგერიაო. საბა ლაფაჩმა ფლოსტები აკრიფა, გულზე მიიხუტა და ასე იდგა თავსხმაში, ვიდრე ნატო თვალს მიეფარებოდა. "გათავდა სიზმარი. გათავდა სიზმარი. გათავდა სიზმარიო" — იმეორებდა უაზროდ, უსასრულოდ, უანგარიშოდ, ერთიანად გამოცარიელებული, ყოველგვარი გრძნობებისგან განტვირთული, გათავისუფლებული. ნატო კი, დაჭრილივით, მუცელზე ხელებმიჭერილი გარბოდა, წინ გადახრილი, და მხოლოდ ზღვისპირა ბაღში მოეგო გონს. უფრო მეტმა სიბნელემ და ქვიშის ჩხრიალმა გამოაფხიზლა. შიშმა აიტანა უცებ. სველი, გაუვალი წყვდიადი შემოეტმასნა ტანზე, საბა ლაფაჩის დედის კაბასავით, და სული შეეხუთა. აქ სხვა ხმაზე წვიმდა. იდუმალი, დამაეჭვებელი, დამაფრთხობელი გუგუნი ჩაბუდებულიყო გაუჩინარებულ ხეებში. თითქოს წყალქვეშა ხელმწიფის სამფლობელოში მოხვედრილიყო და არა ბავშვობიდან ნაცნობსა და საყვარელ ბაღში. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შლამში გალურსული რვაფეხა უცებ შემოხვეოდა თავისი ცივი, ლორწოვანი საცეცებით. "ყელი რომ გამომჭრას ვინმემ, კაციშვილი ვერ გაიგებსო" — გაიფიქრა ელდანაცემმა, მაგრამ კი არ შემობრუნდა, თავპირისმტვრევით კი არ გაიქცა შინისკენ, უარესად გადაიხარა წინ, მთელი ტანით მიაწვა წყვდიადს, თითქოს წყვდიადი განგებ უღობავდა ზღვისკენ მიმავალ გზას. "ზღვაში რომ არ შევიდე, გავგიჟდებიო" — თქვა ხმამაღლა, ვიღაცის გასაგონად, ვითომ ამ თავსხმაში, ამ შუაღამისას ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ რა მომიყვანდა აქაო. სინამდვილეში, დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ საბა ლაფაჩის ოთახში ჩასახულმა განზრახვამ საბოლოო სახე მიიღო მის აფორიაქებულ გონებაში. წვიმა არ ეყოფოდა იმ ამაზრზენი, გამაბინძურებელი შეგრძნების მოსაშორებლად, საბა ლაფაჩის ოთახიდან რომ გამოჰყო-

ლოდა. საკუთარი სხეული ეზიზღებოდა და ალბათ მართლა გაგიჟდებოდა, ამ უსიამო, დამაკნინებელ, გამაბითურებელ შეგრძნებას თუ არ მოიშორებდა როგორმე. ზღვის იმედი ჰქონდა. თუ მიშველის, მხოლოდ ზღვა მიშველისო — ფიქრობდა აღგზნებული და ეს ფიქრი აძლევინებდა შიშს, რადგან შიში უფრო ადვილი მოსარევი იყო, ვიდრე განწმენდის სურვილი. ნაპირზე ნაკლებად ბნელოდა, მაგრამ იქაც უძრავად ეკიდა წვიმის ნაცრისფერი ფარდა. ფეხები ძლივს ამოჰქონდა სველი სილიდან. მაგრამ მაინც მიდიოდა, მხრებით ფხრეწდა წვიმის ფარდას, წარამარა იშორებდა სახეზე მიწებებულ თმას. ზღვა უზარმაზარ ტალღებს შუშის კასრებივით მოაგორებდა და ნაპირზე ზათქით ამსხვრევდა. ის კი ჯიუტად მიიწევდა ზღვისკენ, თითქოს მის დანახვაზე ზღვა მაშინვე დამშვიდდებოდა, ტალღების მსხვრევას შეეშვებოდა და სიყვარულით გადაუსვამდა თავზე ხელს, როგორც მამა გზააბნეულ შვილს, როგორც ქმარი შემორიგებულ ცოლს. ზღვამ კი დაუღრიალა და ქაფიანი შხეფი შეასხურა სახეში. სახე ხელით მოიწმინდა, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონდა ამას: თავფეხიანად გაწუწული, თავსხმაში იდგა. "შენ ხომ არ იცი, საიდან მოვდივარო" — უთხრა ზღვას და მლიქვნელურად გაუღიმა. იცოდა, ზღვა ყველაფერს მიუტევებდა. ზღვამ ღრმად, ხანგრძლივად ჩაისუნთქა, თითქოს იმის ნათქვამს ჩაუფიქრდა, მაგრამ მეორე წუთას ისევ ზათქით, ისევ ღრიალით მოაწყდა ნაპირს. "აი, ნახავ, თუ არ შემოვალ!" — ეწყინა ნატოს. ზღვას თითქოს ფეხი დაუსხლტაო, ათრთოლებული ხელებით წაიხვეტა ქვიშა. "შემოვალ, მინდა და შემოვალ! შენს იქით მაინც არა მაქვს გზა..." — უარესად გაწიწმატდა ნატო. ზღვა რაღაცას ბუყბუყებდა სიბრაზისგან ჩახორგილ ყელში. ნატოს იმედი მიეცა, მგონი გული მოვულბეო; წინ გადახრილი იდგა და უსმენდა. ქვიშა ჩხრიალით ჩარბოდა ზღვისქვეშეთში. ზღვა კი ნელნელა აიფოფრა და ჭახანით გასკდა ჰაერში. ქვიშა და დორბლი გადმოაფრქვია ნაპირზე. "ბინძური ვარ, ბინძური!" — იყვირა ნატომ, მაგრამ, უკვე მუხლამდე წყალში შესული, უზარმაზარმა, შავად დაგრაგნილმა ტალღამ უკანვე გამოაგდო. ნატომ ცოტა შეიცადა და მერე სირბი-

ლით მიჰყვა უკან დახეულ წყალს. მაგრამ წყალმა ისევ მოასწრო წამოყელყელავება, ისევ შემზარავ ზვირთად შეიკრა და ისევ უკან გამოაპანღურა. გამწარებულმა ნატომ მუშტები დაუშინა ჰაერშივე გამსკდარ ზვირთს, როგორც მოთმინებიდან გამოსულმა პატიმარმა — საკნის კედელს. თმა სახეზე მისწებებოდა. კაბა უშნოდ შემოტმასნოდა ტანზე. "შემოვალ, მაინც შემოვალ, შენს ჯიბრზეო" — გზამოჭრილი ნადირივით შეუღრინა ზღვას და ახალ ტალღას ქვეშ შეუვარდა, როგორც თვითმკვლელი — მატარებელს. ცოტა ხნის მერე, ნაპირიდან უკვე კარგა შორ მანძილზე ამოყვინთა, ბავშვივით გახარებულმა და გახალისებულმა. უკვე ზღვაში იყო, ზღვას ეკუთვნოდა, საიდანაც ახალშობილივით სუფთა და უცოდველი დაუბრუნდებოდა ქვეყანას. "ხომ გაჯობეო" — ნიშნი მოუგო სტიქიას, წყლის თვალჩაუწვდენელ უფსკრულებად და წყლის თვალშეუწვდენელ მწვერვალებად ქცეულს. ხან უფსკრულისკენ მიექანებოდა, სუნთქვაშეკრული, ხან მწვერვალს მოექცეოდა ხოლმე თავზე. ძარღვიანი, ღონიერი წყალი ტორტმანებდა, ბორგავდა, ხოლო წვიმის მსხვილი წვეთები ტყვიებივით ეფლობოდნენ მის უსასრულო, უკვდავ სხეულში. ნატო კი მიცურავდა, მიცურავდა გახარებული, გახალისებული, განახლებული, განწმენდილი. მერე დაღლა იგრძნო და ზურგზე გაწვა. წვიმის წვეთებმა სახე ატკინეს. თვალდახუჭული ითმენდა ტკივილს. კი არ ითმენდა, ესეც სიამოვნებდა. წვიმის უთვალავი, მკვრივი წვეთებით გალახული, თითქოს საქანელაზე იჯდა და ხან უფსკრულში იკარგებოდა, ხან ცას აწყდებოდა მკერდით. უცებ ხელზე რაღაცა წამოედო და დაფეთებული გადმობრუნდა. "მკვდარიაო" — გაიფიქრა შეძრწუნებულმა. ქალაქში ამბობდნენ, იმდენი გემი იძირება, ზღვა გვამებითაა სავსეო. უარესად მოერია შიში. ვერც ვერაფერს ხედავდა, ვერც განძრევა გაებედა. ძლივს იმაგრებდა წყალზე თავს. დამბლადაცემული, ქვადქცეული სხეული ქვევით ექაჩებოდა. "ვეღარასოდეს გავალ აქედანო" — გაუელვა უცებ და მართლა ქვასავით წავიდა ფსკერისკენ, თითქოს ფეხზე ვიღაცა ებღაუჭებოდა ქვემოდან. ვიღაცა კი არა — მკვდარი. ძლივს დაუსხლტა იმის დაკრუნჩხულ, დაუნდობელ ხე-

ლებს. დგაფუნით, ფრუტუნით ამოყვინთა. უარესად აადუღა, ააქოთ-ქოთა წყალი. “დავიღუპე. დავიღუპე. დავიღუპეო” — კივილით დარ-ბოდა ვიღაცა მის არსებაში. ის კი სულს ძლივს ითქვამდა, წყალნაყ-ლაპი, ამაოდ უძალიანდებოდა ხველას. “დავიღუპეო” — ახლა ზემო-დან ჩამოსძახა ვიღაცამ — თითქოს კეტი დაჰკრა თავში. ისევ ჩაიძი-რა, მაგრამ იმავე წთას ამოვარდა მაღლა, თავისთავად ამოსხლტა თითქოს, ჰაერით გაბერილი ბუშტივით. გამწარებული, ალალბედზე აფართხალებდა ხელფეხს, შეპყრობილი ფრინველივით. ისიც აღარ იცოდა, საით იყო ნაპირი. “ანდრო, ანდრო, მიშველე, ანდროო!” — შეჰბღავლა ცას და ხველა აუვარდა. კი არ მიცურავდა, თითქოს ატოტვილ, ატორტმანებულ ტალღაზე აცოცებას ცდილობდა. ირ-გვლივ არაფერი იყო, წყლის უფსკრულებისა და წყლის მწვერვალე-ბის გარდა.

P.S.

ის ღამე თეთრად გაათენა ქალბატონმა ელენემ. გარეთ კოკისპი-რულად წვიმდა. დაგლეჯილი მავთულები მიწაზე ეთრეოდნენ. ქაფი-ან გუბეებში ხმელი ფოთლები, პაპიროსის ნამწვავები, მკვდარი ხო-ჭოები ბზრიალებდნენ. გადაყირავებულ კიოსკში ცარიელი ბოთლი დახრიგინობდა. ის კი, კატასავით მოკუნტული იწვა, კატის გვერდით და ხელმეორედ მარხავდა ქმარს. საათიამური ყოველ თხუთმეტ წუთ-ში მხიარული მელოდიის ნაგლეჯს უკრავდა. ის კი, დროს ჯიუტად აბ-რუნებდა უკან. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს წუთია მობრუნე-ბულიყო სასაფლაოდან და თავფეხიანად სველი, სასაფლაოს ტა-ლახში ამოგანგლული მიგდებულიყო ტახტზე, აქ კი არა, თბილისში, მშობლიურ ციხეში. არც არაფრის გაგონება უნდოდა, არც არაფრის დანახვა. ყველა ეჯავრებოდა: დედაც, მამაც, ლიზაც... ყველა, ვინც “მისი მწუხარება გაიზიარა”, “ვინც მხარში ამოუდგა გაჭირვების ჟამს”, ვინც მისი ქმრის დამარხვა იხილა, მაგრამ თავის დროზე არა-

ფერი იღონა, ასე რომ არ მომხდარიყო. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი ეჯავრებოდა — გულქვა, თავკერძა, ხარბი დედაკაცი. მაგრამ ახლაც, ათი წლის მერეც, თვითგვემის ნეტარებით უჩუმდებოდა, უჩერდებოდა პირველობის მოსაპოვებლად ჩადენილი ცოდვის სიმძიმესა და გაღებული მსხვერპლის სიმწარეს. ხოლო ერთხელ უკვე დამარხული კუბო ზანტად, ტორტმანით ამოდიოდა საფლავიდან, რათა ხელმეორედ გაევლო უკანასკნელი გზა — საძულველი სახლიდან საუკუნო სასუფევლამდე. ციხიდან ციხემდე. თითქოს სცენაზე თამაშდებოდა ყველაფერი. თითქოს წარმატებით დადგმული სპექტაკლის ფინალი მეორდებოდა, აღტაცებული, აღფრთოვანებული მაყურებლის დაჟინებული მოთხოვნით. და ისიც, "ქართული სცენის დიდების", "ხელოვნების ქურუმის" ქვრივი, ერთხელ კიდევ ჯდებოდა "შინ" მობრუნებულ კუბოსთან. დედასა და ლიზას შორის; ერთხელ კიდევ ჩასჩურჩულებდა დედა ყურში: მეფისნაცვლის ცოლი მოვიდაო; ერთხელ კიდევ აშვებინებდნენ ვიღაცები კუბოზე ჩაფრენილ ხელს, მორიდებულად, გაუბედავად, მაგრამ ჯიუტად; ერთხელ კიდევ დგებოდა ხალხში, მშობლიური ციხის წინ, და ერთხელ კიდევ ეუფლებოდა სულელური გაკვირვება კუბოს დანახვისას, თითქოს მისი ქმარი საკუთარი ფეხით უნდა გამოსულიყო სახლიდან, ღიმილით გაბრდღვიალებული, და, მადლობის ნიშნად, თავი დაეკრა მისი "მომხიბვლელი სიკვდილით" გულშეძრული და მისი "აღდგომით" გახარებული, კმაყოფილი მაყურებლისთვის. მაგრამ ამჯერად ბუნებრივად გათამაშებულ სიკვდილს კი არ მოეზიდა ხალხი (ისე, მეტი ხალხი უნდა მოსულიყო მაინც. მაინც მეტის ღირსი იყო მისი ქმარი), არამედ ნამდვილსა და არაბუნებრივს. ისიც — არაბუნებრივად, მაგრამ ნამდვილად მკვდარი — გულხელდაკრეფილი, პირმოკუმული, შუბლშეჭმუხნული იწვა კუბოში. პერგამენტივით გადაყვითლებულს, ყვავილებიდან ფეხსაცმლის პრიალა წვერები ამოეყო და, ათასში ერთხელ, თავისთავად შეუთრთოლდებოდა ხოლმე ფაფარივით თმა. ორკესტრი კი გუგუნებდა. სამგლოვიარო მარშით დაფეთებული ჰაერის ჭავლები ზრიალით აწყდებოდნენ სარკმლებს. შეუწყობელი

ნაბიჯების ხმა ქვიშის ჩხრიალს ჰგავდა, თითქოს პროცესია ზღვის ნაპირზე მიდიოდა, მიცვალებულის საყვარელ ქალაქში. ტროტუარებზე გამვლელები ჩერდებოდნენ. კაცები მოწიწებით იხდიდნენ ქუდს. ქალები ცხვირსახოცებს იფარებდნენ პირზე, მაგრამ უფრო ცნობისმოყვარეობის დასამალად, ვიდრე ცრემლისა. გაანათლე. შეუნდე. მიუტევე. აცხონე. რამდენი სიტყვაა მკვდრის გულის მოსაგებად. მკვდრებს ყველაფერი ეპატიებათ. მით უფრო, თუკი თავისი ნებით გაგვეცლებიან. გაანათლე. შეუნდე. მიუტევე. აცხონე. მერე, ისევ მოულოდნელად წვიმდებოდა და სასწრაფოდ, ფართხაფურთხით, ერთმანეთის მიყოლებით ამოიზრდებოდნენ ქოლგები, როგორც სოკოები სველი მიწიდან. კიდევ უფრო შეთხელებული პროცესია ფეხს უჩქარებდა, წკიპად მიხტოდა უეცრად გაჩენილ გუბეებზე. ზოგს წვიმის მძიმე წვეთებით აქაიქ ჩაგლეჯილი გაზეთი წაეფარებინა თავზე — ნაუცბათევად, ზეზეურად დაწერილი გამოსათხოვარი სიტყვებით გადაშავებული. "წავიდა ჩვენგან". "უდროოდ". "სამარადისოდ". ცოცხალმა იკითხოს. მკვდარი ვეღარაფერს გაიგებს. მკვდრისთვის უკვე ყველაფერი სულერთია. საფლავს საჭმლის მომლოდინე ბარტყივით დაეღო წითელი, უკბილო პირი. საფლავის ფსკერზე დაბუშტული წყალი იდგა. ვიღაცა მუხლამდე ჩაეფლო საფლავიდან ამოღებული მიწის ბორცვში. საწყალი. მთლად გაიოხრა ფეხსაცმელიცა და შარვალიც. მოთხრილი, მოგლეჯილი, მკვდარი ფესვების სუნი დაჰკრავდა წვიმას. ლიზამ კაბა შეახია ეკალს. შავი ქსოვილიდან უსიამოდ გამოაჭყიტა ხორცმა, წითელ ტალახში გველივით გასრიალდა მესაფლავის თოკის ბოლო. ღრმა, დაკლაკნილი კვალი დატოვა, შენ რა დატოვე, ჩემო ქმარო? არაფერი. არაფერი? სველი მიწის პირველი ბელტი უშნოდ დაეტყაპნა კუბოს სახურავს, როგორც ცეცხლზე გამთბარი ლუქის ბეჭედი — ამანათს. კიდევ ერთი ამანათი გაიგზავნა სააქაოდან საიქიოში. ესაა და ეს. "მშვიდობით, მშვიდობით!" — ჩასძახა საფლავს. ვიღაცამ დაყირავებული, იღლიაში ამოდებული სურათი ჩაატარა ქოლგების ქვეშ შეყუჟულ ხალხში. დაიშალეთ. დამთავრდა სპექტაკლი. საფლავი ნელნელა ივსებოდა წითელი, წებოვანი

ტალახით. შევახვიეთ პალტოში, გადავაგდეთ ტლაპოში. გალექსილი განაჩენი უწესო ბავშვებისათვის. გულცარიელი, პირგამშრალი იდგა და უყურებდა, როგორ ივსებოდა საფლავი წითელი ტალახით, გაწყალებული მიწით, წურწურით რომ ჩამოსდიოდა ნიჩაბს გზადაგზა. თითქოს, რაკი მის ქმარს თავი მოეკლა, წესიერ, ნამდვილ მიწაში დამარხვასაც არ იმსახურებდა. სხვა რა ჰქონდა ნამდვილი? სამშობლო? ოჯახი? არა. მომიტევე, უფალო. ცოდვას ვამბობ. ყველაფერი ნამდვილი ჰქონდა, რადგან შვილი დარჩა. შვილი! შვილს მკვდარსაც ვერ წაართმევ. შვილი გველსაც არ უნდა მოუკლაო. განა ახლა, ხელმეორედ იმიტომ არ მარხავდა ქმარს, იმის შვილზე რომ არ ეფიქრა? არასოდეს არ უგრძვნია ასე ცხადად, ასე შემაშფოთებლად, ასე მტანჯველად — ცოცხალი რომ იყო იგი. თითქოს ჯერ ისევ მუცელში ჰყავდა. ეს შეგრძნება აწრიალებდა სწორედ — ბედნიერების შეგრძნება — და როგორც შეეძლო, ისე ჩქმალავდა. უბედურების ძონძებში მალავდა. როგორც ნაქურდალს, მითვისებულს, რადგან აღარ სჯეროდა, ღირსი თუ იყო ბედნიერებისა. მერე უაზროდ, უმიზნოდ დაყიალობდა ბნელ ოთახში, შავ ნიჟარაში, საერთოდ რომ აღარ ეფიქრა არაფერზე. რამდენჯერმე მოიდუღა ყავა. ფეხშიშველი, ღამის პერანგის ამარა იდგა ნავთქურასთან, საყავის უგრძნობელ ტარს ჩაფრენილი, და მოუთმენლად, ბავშვური სულსწრაფობით ელოდებოდა, როდის გაიღვიძებდა რკინის ჭურჭელში მომწყვდეული ბნელი სითხე; როდის დაიძვრებოდა ყრუ ბიძგებით, როგორც ნაყოფი მუცლიდან, და როდის აიფოფრებოდა პატარა ურჩხულივით, ათასნაირი იდუმალი ნიშნის მომცველი. რაღაცის, მნიშვნელოვანისა და გარდაუვალის მაუწყებელი. ხანდახან მიტოვებული კატა დაიკნავლებდა ტახტიდან, თითქოს ეძახდა, ევედრებოდა დაბრუნებას. “გადავუძახებ ფანჯრიდანო” — ყასიდად იმუქრებოდა გუნებაში, რადგან, საცა სამართალია, კატა კი არ უნდა გადაეგდო, თვითონ უნდა გადავარდნილიყო; მაგრამ, ეტყობა, ადამიანისთვის მთავარი მაინც სიცოცხლის ხანგრძლივობაა და არა სიცოცხლის სიავკარგე. ერთი წლის ბედნიერებას ასი წლის უბედურება ურჩევნია. რა თქმა უნდა, არსებობენ გამო-

ნაკლისებიც (მაგალითად, მისი ქმარი), მაგრამ გამონაკლისები იმიტომაც არიან გამონაკლისები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ბუნებას რომ უჯანყდებიან. მეფეს კი არა, გუბერნიის მთავარ მოსამართლეს კი არა, თავკერძა, თავნება ცოლს კი არა — საკუთარ ბუნებას. "მე ყოველთვის მჯეროდა შენი. — თქვა უცებ ხმამაღლა. ახლა უპასუხა ქმრის ოდინდელ შეკითხვას. — ყოველთვის. — გაიმეორა ცოტა ხნის მერე. — არ ვტყუი. ღმერთია მოწამე. ღმერთია მოწამე. უბრალოდ, არ მინდოდა, არც შემეძლო ამის თქმა... მეგონა... თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს". — მოამთავრა უცებ. სიამოვნებით შევჭამდი ახლა ვაშლსო — გააგრძელა გუნებაში. მიზეზიანი ავადმყოფივით, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. საინტერესოა, შეჭამა თუ არა უმშვენიერესმა ის ვაშლი, მარადიული სიყვარულისა და ტანჯვის ნიშნად რომ მიართვეს. ალბათ შეჭამდა. რატომ არ უნდა შეეჭამა. მაინც დალპებოდა როდისმე. სარკმელში ჩამდგარი წყვდიადი ჯერ გადალურჯდა, მერე კი აიჭრა, გაიცრიცა. ახლა ამან შეაშფოთა. თითქოს აღარ ელოდებოდა, კიდევ თუ გათენდებოდა. "იცი თუ არა შენ, ჩემი შვილი რომ ცოცხალიაო" — დაუყვირა კატას. კატამ დაიკნავლა. "ცოცხალია. ცოცხალია!.." — გაიმეორა მღელვარედ, ვნებიანად, თითქოს კატის ჯიბრით. თითქოს კატის გადასარწმუნებლად. არადა, ჭეშმარიტებას ამბობდა. მისი შვილი უკვე გზაზე იდგა. მოდიოდა, თუმცა ჯერ არც დედა ახსოვდა, არც თავი. ჯერ დანამდვილებით ისიც არ იცოდა, გზა მართლა გზა რომ იყო, მართლა თვითონ რომ მოდიოდა გზაზე და მართლა აღთქმულ ქვეყანაში თუ მიიყვანდა ეს გზა, ნატოს ქვეყანაში, ერთადერთ ქვეყანაში, სადაც უნდა ეცოცხლა და მომკვდარიყო. მაგრამ გააზრებული სურვილი კი არ წარმართავდა, არამედ თავისთავად აღძრული მოთხოვნილება შიშნაჭამი, დაღლილი, გაოგნებული სულისა. ცარიელი იყო, როგორც ძილში წამობოდებული სიტყვა; უგრძნობელი, როგორც გატყორცნილი ქვა, რომელიც მხოლოდ იმ ადგილისკენ მიისწრაფვის, სადაც უნდა დაეცეს, ქანის დაკარგვის შემდეგ, და სადაც არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდებოდა, სხვა, გარეშე ძალას რომ არ გამოეტყორ-

ცნა იგი. მაგრამ, ქვისგან განსხვავებით, დაცემა მისთვის დაბადებას ნიშნავდა; ხელმეორედ უნდა დაბადებულიყო და, ამჯერად, საკუთარი ჩვიდმეტწლიანი ცხოვრების წყვდიადიდან. ჯერ კი ბრმად მოდიოდა. მაგრამ ქვეყანასთან ერთად, თანდათანობით, იმისი გონებაც ნათდებოდა. თანდათანობით უბრუნდებოდა შეგრძნებისა და აღქმის უნარი. თითქოს პირველი ადამიანი იყო, სამყაროს დაბადების მომსწრე, და თითქოს პირველი დილა თენდებოდა. თითქოს პირველად უნდა ამოსულიყო მზე. თითქოს ჯერ არაფერი არ მომხდარიყო. თითქოს ჯერ არც არაფერი არსებობდა საერთოდ ამ გზის გარდა. არაფერი. არც წარსული, არც მომავალი. მაგრამ გაოგნების ბურანი ბინდთან ერთად ირღვეოდა და მალე მტკივნეული, უხეში, დაუნდობელი სიცხადით აღსდგებოდა მის გონებაში უკვე განცდილი, გადატანილი, დაკარგული და შენაძენი. პირველი, რამაც მისი ყურადღება მიიქცია, რამაც საკუთარ თავთან დააბრუნა, რევოლვერი აღმოჩნდა. ჯერ გაუკვირდა, რატომ მიჭირავს რევოლვერი ხელშიო, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით, რადგან მაშინვე გაახსენდა ყველაფერი. გაახსენდა, როგორ მოაპირქვავა ბრტყელსახიანმა ცეცხლზე შავი, გამურული კარდალი; როგორ აიზილა ერთმანეთში ატალახებული ნაცარი, ახრჩოლებული მუგუზლები და მოხარშული ხორცის ნაჭრები; როგორ მოარღვევდნენ წელამდე თოვლს ისა და ბრტყელსახიანი; როგორ ებღაუჭებოდა გალუმპულ, ეკლიან ბუჩქებს — თავი რომ შეეკავებინა დაღმართში; როგორ ეხუთებოდა სული, როგორ უშრებოდა პირი, როგორ ეკიდებოდა ცეცხლი, თავფეხიანად გაწუწულს; როგორ უხრიალებდა გულმუცელი; როგორ იტენიდა პირში თოვლს; როგორ იმალებოდა თოვლში, ბრტყელსახიანს რომ ვეღარ მიეგნო, ბრტყელსახიანს რომ ვეღარ დაეფრთხო მისთვის ენით უთქმელი შვება, ენით უთქმელი ნეტარება, რასაც თოვლში გულაღმა წოლა ანიჭებდა და რომლის მსგავსიც არაფერი განეცადა — მამის სიცოცხლეშიც კი; როგორ მიილტვოდა მთელი მისი არსება თოვლის ცივი წიაღისკენ, ადამიანისთვის შეუღწეველი და ამიტომაც წაუბილწავი, მარადიული სითეთრისკენ, სისუფთავისკენ, საიდანაც მხოლოდ ბრტყელსახიანის

ღონიერსა და ტლანქ ხელებს შეეძლოთ მისი გამოთრევა; როგორ თანდათანობით გამოიკვეთებოდა ხოლმე უკიდეგანო სიცარიელეში ბრტყელი სახე — ჩამავალ მზესავით უზარმაზარი, გადაწითლებული; როგორ სცემდა თოვლიდან, როგორც ცხვირთან მიტანილი წამლის შუშიდან, ნატოს თბილი, იდუმალი სურნელი და როგორ უშენდა მუშტებს ბრტყელსა და ალაპლაპებულ სახეს, ღრმად დარწმუნებული, რაღაც უბედურება რომ დასტყდომოდა ნატოს თავს, თითქოს ნატო იყო ის ხუთი წლის გოგო, შემზარავი, ამაზრზენი სიკვდილით რომ მოეკლათ, და ნატოს წაბილწულ, დასახიჩრებულ გვამს დაეძებდა თოვლში; როგორ არ უნდოდა სიცოცხლე; როგორ სწყუროდა სიკვდილი; როგორ დასცინოდა, აგინებდა, ეევედრებოდა ბრტყელსახიანი, კიდევ ერთხელ რომ ჩაეგდო გონში, კიდევ ერთხელ რომ წამოეყენებინა იგი ფეხზე, კიდევ ერთხელ რომ გამოეტანა ყველაზე სუფთა, ყველაზე წმინდა საცხედრედან, მამაშვილურად გაბრიყვებული, შეგინებული ობლების უკანასკნელი თავშესაფრიდან; როგორ სტკიოდა ბრტყელსახიანის ტორებში მომწყვდეული მაჯები; როგორ ეხეოდა ბრტყელსახიანის მხრებზე იღლიები; როგორ ეწებებოდა ტუჩები ბრტყელსახიანის ოფლიან კისერზე. “რა დროს შენი სიკვდილია, ჯერ რა გინახავს, შე მამაძაღლო” — ეუბნებოდა ბრტყელსახიანი, თავადაც მისავათებული, ახიხინებული, აქლოშინებული. ისიც გაახსენდა, როგორ გამოაღწიეს თოვლიდან, როგორ დატრიალდა ჰაერში გზის სუნი (იქამდე არც იცოდა და ვერც წარმოიდგენდა, გზასაც თუ ჰქონდა სუნი); როგორ ეჩხუბებოდა ბრტყელსახიანს, რატომ მაგდებ, რითი ვარ შენზე ნაკლები ავაზაკიო; როგორ გადაიხარხარა ბრტყელსახიანმა, როგორ უხეშად უბიძგა გზისკენ ხელი და როგორ გატრიალდა თავად უკანვე; ხოლო როცა ამან რევოლვერი ამოიღო და დაუძახა: წამიყვანე, თორემ გესვრიო — არც შემობრუნებულა, არაფრად არ ჩაუგდია ამისი მუქარა, ხელი ჩაიქნია მხოლოდ და ნელა შეუყვა ახლახან ძლივს ჩამოთავებულ აღმართს, ისევ ტყისკენ, ისევ კედლებგამომპალი ქოხისკენ — გაბურძგნული, გახვითქული, უთვისტომო, უამხანაგო, მარტოსული, ყველაფერზე ხელაღებული,

ყველაფერზე ხელჩაქნეული, განწირული... (მხართან გამორღვეული ჯუბიდან გაბინძურებული, სველი ბამბა გამოსჩაჩვოდა). გამგელებული ადამიანი. არა, გამგელებული ადამიანი კი არა, გაადამიანებული მგელი, რადგან, იმის მაგივრად, გადაესანსლა, ტყიდან გამოდენა გზააბნეული კრავი, გზაზე დააყენა: წადი, დაბრუნდი შენს ფარეხშიო. და აი, კრავიც მოისწრაფოდა შინისკენ. უკვე გონს მოსული, უკვე გადარჩენილი, უკვე დარწმუნებული, ეს გზა მხოლოდ და მხოლოდ იქ რომ მიიყვანდა, სადაც მისი ადგილი იყო, სადაც უნდა ეცხოვრა და მომკვდარიყო. რევოლვერი აღარაფრად სჭირდებოდა. რევოლვერს თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა, მამობა გაეწია, რადგან შიშისა და გაუბედაობის დასაძლევად სჭირდებოდა იგი და არა ვიღაცის შუბლის გასახვრეტად. ჩაესმა, როგორ გაიშხუილა ჰაერში ვალმოხდილმა რკინამ და როგორ ჩაეფლო თოვლში, სადღაც, გზის გადაღმა. მოდიოდა და მდუღარე ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყებზე. მაგრამ სრულებითაც არ ერცხვინებოდა, რადგან ბავშვურად კი არ მისტიროდა იმას, რისი დაბრუნებაც აღარ შეიძლება, არამედ მამაკაცურად გლოვობდა ყველაფერს, რისი დავიწყებაც დანაშაულია. მტირალას დასცინიან და არა მგლოვიარეს. ტირილი ფარხმალის დაყრაა, საკუთარი უმწეობის აღიარებაა. ხოლო გლოვა შენს შეურყევლობას, შენს სიჯიუტესა და სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს მხოლოდ; და კიდევ — შენს ერთგულებას იმ ფიცისა და რწმენის მიმართ, რითაც თავიდანვე დაიწყე ბრძოლა, რამაც, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაქცია ადამიანად და მოწყალების, ანდა შეწყალების მთხოვნელ გლახასავით კი არა, არამედ გუშაგივით დაგაყენა შენიანის კუბოსთან, მამის კუბოსთან; თუნდაც ათი წლის მერე დაგაბრუნა თანამებრძოლის კუბოსთან, რომლის დაკარგვა, რა თქმა უნდა, გასუსტებს, მაგრამ არ გაბეჩავებს, რადგან რაც თვალს აკლდება, ის სულს ემატება, ხოლო სულის მოსპობა გაცილებით ძნელია, ვიდრე ხორცისა. მგლოვიარე თანაგრძნობასა და მოწიწებას იმსახურებს მხოლოდ და არა დაცინვას, ანდა სიბრალულს. ამიტომაც იყო ალბათ, შარაგზაზე მარტო მომავალ გელასაც რომ უნდოდა,

მთელ ქვეყანას დაენახა. როგორ ტიროდა, ანუ როგორ გლოვობდა იგი. მთელ ქვეყანას გაეგო, რას გლოვობდა, რა მდიდარი იყო, რამდენი რამის დამკარგავი, და რა მძიმე, რა საპატიო ტვირთი ეკიდა ჯერ კიდევ ბავშვურად სუსტ მხრებზე. მარტო შვილი კი არ იყო ვიღაცისა, არამედ ვიღაცის მამაც. ძე წარსულისა და მამა მომავლისა! მოდიოდა.